www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალეგრილი ფანცხავა

ქაოსი და ვარსკვლავები



ანზორ ქირაკი

ანზორ ქირაკის
საუკეთესო ნანარმოები

არტურ კლარკი

ქალაქი და ვარსკვლავები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

ქალაქი უდაბნოს კალთაზე მოელვარე ალმასივით იწვა. ერთ დროს ჟამთა სვლას ემორჩილებოდა, დროის დინებას მისთვის ცვლილებები და სიახლე მოჰქონდა, მაგრამ ახლა გვერდს უვლიდა. უდაბნოს თავზე დღეს ღამე ენაცვლებოდა, დიასპარის ქუჩაში კი მუდამ შუადღე იდგა და არასოდეს ბნელდებოდა. ზამთრის გრძელი ღამეები უდაბნოს თრთვილით ფარავდა, ხოლო უკანასკნელი წვიმის წვეთები დედამიწის გაუხშოებულ ჰაერში იყინებოდა. თუმცა, ქალაქმა არც სიცხე იცოდა, არც სიცივე, გარე სამყაროსთან კავშირი გაეწყვიტა და დამოუკიდებელ სამყაროდ ქცეულიყო.

ადამიანებს ადრეც უშენებიათ ქალაქები, მაგრამ ასეთი ქალაქი არასოდეს აუგიათ. ზოგმა საუკუნეებს გაუძლო, ზოგმა – ათასწლეულებს, სანამ დრომ მათი სახელებიც არ აჰგავა მიწისპირისგან. მხოლოდ დიასპარმა გაუძლო მარადიულობას და მედგრად იცავდა საკუთარ თავსა და ყველას, ვისაც საუკუნეების დინებისგან, ნგრევისა და ხრწნისგან მფარველობდა.

მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი აშენდა, ოკეანეებმა დედამიწა დატოვეს და სამყარო უდაბნომ მოიცვა. უკანასკნელი მთები ქარებმა და წვიმამ ნაცარტუტად აქციეს, ხოლო გამოფიტულ დედამიწას აღარ შესწევდა იმის ძალაღონე, რომ ახალი მთები ეშვა. ქალაქს ეს სულაც არ ადარდებდა, შეიძლება აღარც დედამიწას ეარსება, მაგრამ მაინც გააგძელებდა საკუთარი დამაარსებლების შთამომავლობის და მათი საგანძურის დაცვას დროის ტალღებისგან.

მათ ბევრი რამ დაავიწყდათ, მაგრამ ამას ვერ ხვდებოდნენ. ისინი ისევე შეერწყნენ გარემოს, როგორც ის მათ – რაგდან ორივე ერთად შეიქმნა. რაც ქალაქის კედლებს მიღმა იყო, არ აღელვებდათ; ეს მათ გონებაში არ ეწერა. არსებობდა მხოლოდ დიასპარი, ამის მეტი არაფერი უნდოდათ, სხვა ვერაფერი წარმოედგინათ. მათთვის არაფერს ნიშნავდა, რომ ერთ დროს ადამიანი ვარსკვლავებს ფლობდა.

თუმცა ზოგჯერ უძველესი მითები მაინც იღვიძებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ისინიც აღელვებულები ბორგავდნენ, როცა იმპერიის ლეგენდები ახსენდებოდათ, როცა ახლადშექმნილი დიასპარი ვარსკვლავებისგან იღებდა საზრდოს. არ უნდოდათ ძველი დროის დაბრუნება, რადგანაც მარადიული შემოდგომით კმაყოფილები იყვნენ. იმპერიის გარდასული დიდება წარსულის კუთვნილება გახლდათ და იქ უნდა დარჩენილიყო – რადგან კარგად ახსოვდათ, როგორ დაიშალა იმპერია და დამპყრობლების გახსენებაზე ჟრუანტელი ძვალსა და რბილში აღწევდა.

მაგრამ ამ ავისმომასწავებელ ფიქრებს მალევე გადაიგდებდნენ გონებიდან და ისევ უბრუნდებოდნენ ქალაქის ჩვეულ ცხოვრებას, მის სითბოს, ხანგრძლივ ოქროს ხანას, რომლის დასაწყისი დროის მორევში ჩაკარგულიყო, დასასრული კი უსასრულოდ

fb.com/groups/elib

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შორს იყო. ასეთ ხანაზე სხვები მხოლოდ ოცნებობდნენ, დიასპარელებმა კი საკუთარი ძალებით მიაღწიეს.

ათასმა მილიონმა წელმა განვლო, ქალაქის მოსახლეობისთვის არაფერი შეცვლილა, ძველებურად ცხოვრობდნენ წარმოუდგენლად უცვლელ ქალაქში და ძველ, გაქვავებულ ქუჩებში სეირნობდნენ

თავი I

რამდენიმე საათი დასჭირდათ, თეთრი მატლების მღვიმესთვის რომ დაეღწიათ თავი. ახლაც კი, როცა ძირითადი საფრთხე უკან ჩამოიტოვეს, არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ფერწასულმა, მკვდარივით გაფითრებულმა ურჩხულებმა მათ დევნას თავი დაანებეს. ამასობაში ენერგიის მარაგი იარაღში თითქმის მთლიანად ამოწურულიყო. სინათლის მოციმციმე ისარი, რომლებიც იდუმალ მეგზურობას უწევდა მათ კრისტალური მთის ლაბირინთებში, კვლავინდებურად უხმობდა და მათაც სხვა გზა არ დარჩენოდათ, თუ არა რომ მას გაჰყოლოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შუქს არა ერთხელ შეუტყუებია უფრო საზარელ მახეში.

ელვინმა მოიხედა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი თანამგზავრები არ ჩამორჩნენ. პირველი ალისტრა მოჰყვებოდა, რომელსაც ხელში მარადიული, გაყინული შუქით განათებული სფერო ეჭირა. სფერო მოგზაურობის პირველივე დღიდანვე უნათებდა გზას და უკუნეთ სიბნელეში ხან წარმოუდგენელ საშინელებას, ხანაც ენითაუწერელ სილამაზეს ჰფენდა შუქს. მკრთალი სინათლე ვიწრო დერეფანში იღვრებოდა და მოელვარე კედლებს ეფინებოდა. სანამ სინათლის წყაროს ძალა შესწევდა და ბოლომდე არ ამოშრეტილა, გზას მაინც ხედავდნენ და ხილული საშიშროების აღმოჩენა შეეძლოთ, თუმცა ელვინმა მშვენივრად იცოდა, რომ ყველაზე სერიოზული საფრთხე ამ მღვიმეში არა ხილულ, არამედ უხილავთა რიცხვს ეკუთვნოდა.

ალისტრას უკან კვაზერების სიმძიმით წელგაწყვეტილი ნარილიანი და ფლორანუსი მოაბიჯებდნენ. ელვინს წამიერმა ფიქრმა გაუელვა თავში – რატომ არის ეს კვაზერები ასე მძიმე, ნუთუ ძნელია მათი გრავიტაციული ნეიტრალიზატორებით აღჭურვა? ელვინი გამუდმებით, ყველაზე თავზეხელაღებული მოგზაურობის დროსაც უფიქრდებოდა ასეთ საკითხებს, და როცა მსგავსი ფიქრები ეწვეოდა, ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს რეალობა წამიერ თრთოლვას განიცდიდა და შეგრძნებების ხილული სამყაროს მიღმა, სხვა, სრულიად განსხვავებული სამყარო გაიელვებდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დერეფანი მოულოდნელად ყრუ კედელმა გადაკვეთა. ნუთუ გზის მაჩვენებელმა სხივმა ისევ უღალატა? თუმცა არა - მიუახლოვდნენ თუ არა, ქვის კედელმა დაშლა დაიწყო. კედლის ზედაპირს მბრუნავი მეტალის შუბი აპობდა, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა და მალე გიგანტურ ბურღში გადაიზარდა. ელვინმა და მისმა მეგობრებმა უკან დაიხიეს და მანქანას მღვიმეში გზის გაკვლევა აცალეს. გამაყრუებელი ღრჭიალით, რომელსაც მეტალი გამოსცემდა ქვასთან შეხებისას, - ეს ხმა უსათუოდ ექოსავით მოედებოდა მთის ყველაზე ბნელ კუნჭულებსაც კი და მის საზარელ ბინადრებს გამოაფხიზლებდა! – მიწისქვეშა ყველგანმავალმა კედელი გამოხეთქა და ჩაწყნარდა. უცბად მასიური ხუფი გაიხსნა, საიდანაც კალისტრონმა ამოყო თავი და დაუძახა, სწრაფად ემოქმედათ. (“რატომ კალისტრონი“ – გაიკვირვა ელვინმა. „და საერთოდ, რა ესაქმება აქ კალისტრონს?“) რამდენიმე წამში სამშვიდობოს მიაღწიეს. მანქანა დაძვრისას წინ გადაიხარა და დაადგა დედამიწის შუაგულისკენ მიმავალ გზას.

თავგადასავალი დასრულდა. მალე სახლში დაბრუნდებოდნენ, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, და ყველა სასწაული, საშინელება და მძაფრი შეგრძნებები წარსულს ჩაბარდებოდა. დაღლას და კმაყოფილებას გრძნობდნენ.

ელვინი ყველგანმავალის გადახრის კუთხით ხვდებოდა, რომ მიწის შუაგულისკენ მიემართებოდნენ. ალბათ კალისტრონმა იცოდა, რასაც აკეთებდა და, სავარაუდოდ, სწორედ ეს გზა მიიყვანდა სახლში. თუმცა დასანანი იყო....

„კალისტრონ,“ – მოულოდნელად დაარღვია სიჩუმე ელვინმა, – „მოდი, ზევით ავიდეთ. არავინ იცის, სინამდვილეში როგორია კრისტალური მთა. რა მშვენიერი იქნებოდა, ერთ-ერთ ფერდობზე რომ გავსულიყავით, მზისთვის და გარსშემორტყმული მიწისთვის რომ შეგვევლო თვალი. ამდენი ხანია, მიწისქვეშეთიდან ფეხი არ მოგვიცვლია.“

ნათქვამი არ დაესრულებინა, რომ მის უადგილობას მიხვდა. უცბად ალისტრას დახშული კივილის ხმა გაისმა, ყველგანმავალის ინტერიერი ტალღასავით შეირყა და ყველაფერმა ბუნდოვანი გამოსახულება მიიღო, როგორც წყალში ჩაძირულმა სხეულმა. ელვინმა იქაურობას თვალი შეავლო და გარსშემორტყმული მეტალის კედლებს მიღმა კვლავ შენიშნა მეორე სამყაროს წამიერი ხატება. ეს ორი რეალობა გამუდმებით ებრძოდა ერთმანეთს, დროებითი ხანმოკლე გამარჯვება ხან ერთს ხვდებოდა წილად, ხან - მეორეს. და შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ყველაფერი დასრულდა. თითქოს რაღაცა ჩაწყდა, ჩაინგრა და წეღანდელი სიზმარიც ნანგრევებში მოიყოლა, ისე რომ მისგან კვალიც არ დარჩა. ელვინი დიასპარში დაბრუნებულიყო, თავის ნაცნობ ოთახში ტივტივებდა იატაკიდან ორიოდე ფუტის დაშორებით. გრავიტაციული იატაკი უხეშ მატერიაზე მოულოდნელი დანარცხებისგან იცავდა.

ელვინი საბოლოოდ მოეგო გონს. სწორედ ეს გახლდათ რეალობა და ზუსტად იცოდა, შემდეგ რაც მოხდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველად ალისტრა გამოჩნდა. რადგან ელვინი ძალიან უყვარდა, ნაწყენს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაღიზიანებულს.

„ელვინ!“ – საწყალობლად წამოიძახა მან, თან ზემოდან დაჰყურებდა კედლიდან, სადაც მისი ბუნდოვანი გამოსახულება ნელ-ნელა ხორცს ისხამდა და მატერიალურ სახეს იღებდა. „რა შესანიშნავი მოგზაურობა იყო! შენ კიდევ ყველაფერი წყალში გადაყარე.“

„მაპატიე. არ მინდოდა – უბრალოდ, ვიფიქრე, კარგი აზრი იქნებოდა – „

კალისტრონისა და ფლორანუსის ერთდროულმა გამოჩენამ არ აცალა, აზრი ბოლომდე გამოეთქვა.

„მომისმინე, ელვინ,“ – დაიწყო კალისტრონმა. – „უკვე მესამედ აფუჭებ საგას. გუშინ მოგზაურობის მსვლელობა იმით დაარღვიე, რომ ცისარტყელების ველის საზღვრების გადაკვეთა მოინდომე. მანამდე კიდევ მაშინ გააფუჭე ყველაფერი, როცა დროის ბილიკის გავლით, ჩვენ რომ ვიკვლევდით, პირდაპირ მის სათავესთან დაბრუნება სცადე. თუ წესებს არ დაემორჩილები, მარტო მოგიწევს მოგზაურობა.“

აღშფოთებული კალისტრონი ფლორანუსთან ერთად გაუჩინარდა. ნარილიანი საერთოდ არ გამოჩენილა; ალბათ მთელი ეს ისტორია ყელში ჰქონდა ამოსული. მხოლოდ ალისტრას გამოისახულება დარჩენილიყო, რომელიც ნაღვლიანად დაჰყურებდა ელვინს.

ელვინმა გრავიტაციული ველი დახარა, ფეხზე წამოდგა და მატერიალიზებული მაგიდისკენ გაემართა. მაგიდის ზედაპირზე ეგზოტიკური ხილით სავსე თასი გაჩნდა – სინამდვილეში ეს ის ხილი არ გახლდათ, რომლის მატერიალიზებაც ეწადა, მაგრამ იმდენად ჰქონდა ტვინი არეული, რომ აზრი ვერ დაალაგა. რადგან არ უნდოდა თავისი შეცდომა გამოეაშკარავებინა, იმ ხილს დაავლო ხელი, რომელიც ნაკლებად საეჭვოდ გამოიყურებოდა და ფრთხილად მოკბიჩა.

„რას აპირებ?“ - როგორც იქნა, ხმა ამოიღო ალისტრამ.

„ვერაფერი მომიხერხებია საკუთარი თავისთვის,“ – უპასუხა მან ოდნავ ნაწყენი ხმით. „მე მგონი, ეს წესები უბრალოდ სულელურია. გარდა ამისა, როგორ უნდა მახსოვდეს წესები, როცა საგაში ვცხოვრობ? ისე ვიქცევი, როგორც ბუნებრივად მივიჩნევ. შენ რა, დავიჯერო, არ გინდოდა მთისთვის შეგეხედა გარედან?“

ალისტრას შიშისგან თვალები გაუფართოვდა.

„ეს იმას ნიშნავს, რომ გარეთ გამოსვლა მოგვიხდებოდა!“ – სუნთქვა შეეკრა ალისტრას.

ელვინმა იცოდა, რომ კამათის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. სწორედ აქ გადიოდა ბარიერი, რომელიც მას დიასპარის სხვა მცხოვრებლებისგან აშორებდა და რომელსაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეძლო, უიმედო ცხოვრებისთვის გაეწირა. ელვინს ყოველთვის უნდოდა გარეთ გაღწევა, ცხადშიც და სიზმარშიც. თუმცა დიასპარში სიტყვა „გარეთ“ წარმოუდგენელ კოშმარად ესახებოდათ. ყველა შეძლებისდაგვარად ცდილობდა გვერდი აერიდებინა არ თემისთვის, არც ეხსენებინა ეს სიტყვა. „გარეთ“ რაგაც ბინძურსა და ავისმომასწავლებელს ნიშნავდა. ჯეზერაკიც კი, ელვინის მასწავლებელი, არასოდეს ასახელებდა მიზეზს...

ალისტრა გაკვირვებულ, მაგრამ ალერსიან მზერას არ აშორებდა. „ელვინ, ცუდად ხარ?“ – ჰკითხა. „დიასპარში ყველა ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს. მომეცი ნება, მოვიდე, დაგელაპარაკო.“

ელვინმა უხეშად გააქნია თავი. იცოდა, რაც მოყვებოდა ამ ვიზიტს, იმ მომენტში კი მარტო დარჩენა უნდოდა. ორმაგად გულდაწყვეტილი ალისტრა თვალს მიეფარა.

ქალაქში, სადაც ათი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, - ფიქრობდა ელვინი, - ერთიც არ ეგულებოდა, ვისაც გულახდილად დაელაპარაკებოდა. ერისტონსა და ეთანიას თავისებურად უყვარდათ ის, მაგრამ ახლა, როცა მათი მეურვეობის პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა, მოხარულიც კი იყვნენ, რომ ამიერიდან აღარ იქნებოდა მათზე დამოკიდებული და საკუთარი სურვილისამებრ აირჩევდა საქმიანობის სფეროს და ზოგადად, ცხოვრების სტილს. ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც მისი წინააღმდეგობა დამკვიდრებული და მიღებული სტანდარტების მიმართ სულ უფრო მკაფიო ხასიათს იძენდა, მეურვეებისგან ხშირად გრძნობდა უკმაყოფილებას. ეს უკმაყოფილება გამოწვეული იყო არა ელვინის პიროვნებით, – ამას, ალბათ, ადვილად გაუსწორებდა თვალს და გაუმკლავდებოდა – არამედ უფრო იმ ფაქტით, რომ ქალაქის მილიონობით მკვიდრიდან სწორედ მათ არ გაუმართლა, რადგან წილად ხვდათ, ოცი წლის წინ შემოქმედის დარბაზიდან გამოსულ ელვინს შეგებებოდნენ.

ოცი წელი. მშვენივრად ახსოვდა პირველი მომენტი, სიტყვები, რომლებიც პირველად ჩაესმა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ელვინ. ჩვენ შენი მეურვეები ვართ - ერისტონი და ეთანია.“ ამ სიტყვებს მაშინ არავითარი აზრი არ ჰქონდათ, მაგრამ ელვინის გონებაში ისინი გასაოცარი სიზუსტით აღიბეჭდნენ. გაახსენდა, როგორ დახედა საკუთარ სხეულს, რომელსაც შექმნის დღიდან მოყოლებული თითქმის არავითარი ცვლილება არ დასტყობია, გარდა იმისა, რომ რამოდენიმე სანტიმეტრით მოიმატა სიმაღლეში. ელვინი ზრდასრული მოევლინა ამ ქვეყანას და როცა ათასი წლის შემდეგ ამ ქვეყნის დატოვება მოუწევს, ისევ ასეთი იქნება, სიმაღლეში მატებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში.

იმ პირველ მოგონებას აბსოლუტური სიცარიელე უსწრებდა. ალბათ ერთ დღეს სიცარიელე ისევ დაისადგურებს, მაგრამ ეს მომენტი იმდენად შორს იყო, რომ მასში არავითარ ემოციას არ იწვევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინის ფიქრი კვლავ მის იდუმალ შექმნას უტრიალებდა. სულაც არ უკვირდა, რომ დროის რაღაც მცირე მონაკვეთში იმ ძლევამოსილმა ძალებმა შექმნეს, რომლებიც მისი ყოველდღიური ცხოვრების საგნებს მატერიალურ მხარეს ანიჭებდნენ. არა; საიდუმლო ამაში არ მდგომარეობდა. ჭეშმარიტ გამოცანას, რომლის ამოხსნა ვერაფრით მოეხერხებინა და ვერც ვერავის აეხსნა მისთვის, უნიკალურობა წარმოადგენდა, ის რომ ელვინი ყველასგან განსხვავდებოდა.

ყველასგან განსხვავებული, უჩვეულო. ყველაზე უცნაური და სევდიანი სიტყვები – საკუთარი უცნაურობის შეგრძნებაც მეტად უჩვეულოდ და სევდიანად მიაჩნდა. როცა მასზე ასე ლაპარაკობდნენ, – ელვინს ხშირად სმენია ზურგს უკან ასეთი ლაპარაკი – მოსაუბრეების ტონი ავისმომასწავებელ ნიშნებს შეიცავდა, რაც საფრთხეს უქმნიდა მის მომავალს და ბედნიერ ცხოვრებას.

ელვინის მშობლები – მასწავლებელი – ყველა, ვისაც კი იცნობდა – ცდილობდნენ, დაეფარათ სიმართლისგან, თითქოს ამით მისი ხანგრძლივი ბავშვობის უმანკოების შენარჩუნებას ცდილობდნენ. მაგრამ ამ ტყუილს მალე ფარდა აეხდება; რამდენიმე დღეში დიასპარის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდება და ყველაფერს გაიგებს, რისი გაგებაც მოისურვებს.

რატომ ვერ ერგებოდა, მაგალითად, საგას? ქალაქში ათასობით სხვადასხვა გართობისა და დასვენების საშუალება არსებობდა, მაგრამ საგებს პოპულარობით ვერცერთი ვერ ჩამოუვარდებოდა. საგებში პასიური დამკვირვებლის როლს კი არ თამაშობდი, როგორც იმ პრიმიტიული გართობის სახეებში, რომელსაც ელვინი მეტად შორეულ წარსულში ირჩევდა ხოლმე, არამედ აქტიურად მონაწილებდი და გქონდა – ან გეგონა, რომ გქონდა – თავისუფალი არჩევანის უფლება. მოვლენები და სცენები, რომლებიც მოგზაურობის საფუძველს წარმოადგენდნენ, სავარაუდოდ, უხსოვარ დროში მივიწყებულმა ხელოვანებმა შექმნეს, მაგრამ მათში საკმაოდ დიდი მოქნილობა შეიმჩნეოდა, რაც ყველაზე მოულოდნელი ვარიაციების საშუალებას იძლეოდა. მოჩვენებით სამყაროში გამგზავრება იმ მძაფრი შეგრძნებების საძებნელად, რაც დიასპარში არ არსებობდა, მეგობრებთან ერთად შეგეძლო და სანამ ეს სიზმარი გრძელდებოდა, მას რეალობისგან ვერაფრით გაარჩევდი. თუმცა, დანამდვილებით ვინ იტყოდა, რომ თავად დიასპარიც სიზმარს არ წარმოადგენდა?

ქალაქის დაარსების დღიდან მოგონილი და ჩაწერილი საგების რაოდენობა ამოუწურავი იყო. ისინი ადამიანის ნებისმიერ ემოციას და გრძნობას ეხმიანებოდნენ და უზომო დახვეწილობით გამოირჩეოდნენ. ზოგიერთი მათგანი – რაც ახალგაზრდებს ყველაზე მეტად მოსწონდათ – მარტივ დრამატულ სიუჟეტებზე იყო აგებული და თავგადასავალსა და აღმოჩენებზე მოგითხრობდათ. ზოგიც კიდევ ადამიანის გონებრივი მდგომარეობის წმინდა ფსიქოლოგიურ შესწავლას გულისხმობდა. არსებობდა საგების განსაკუთრებული ტიპი, ვარჯიშები ლოგიკასა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მათემატიკაში, რომელიც წარმოუდგენელ კმაყოფილებას ანიჭებდა ყველაზე დახვეწილი გონების ადამიანებს.

მაგრამ ეს საგები, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით აკმაყოფილებდა ელვინის მეგობრებს, თავად მას გარკვეული დაუსრულებლობის გრძნობას უტოვებდა. მართალია, საგები ფერთა დიდი პალიტრით, შემოთავაზებული ემოციებისა და განცდების სიმდიდრით, თემატიკისა და მოქმედების ადგილების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, მაინც რაღაცა აკლდათ.

საგას არასოდეს მოჰქონდა სასურველი შედეგი, რადგან ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული და ვერ შესთავაზებდა ელვინს იმ სივრცეს, გაშლილ და თვალუწვდენელ პეიზაჟებს, რომლების მის სულს ესალბუნებოდა. და რაც ყველაზე მთავარია, არც ერთი საგა გაკვრითაც კი არ მიანიშნებდა იმ უკიდეგანო სივრცეზე, ვარსკვლავებსა და პლანეტებს შორის გაშლილ მოკაშკაშე უფსკრულზე, რომელსაც უძველესი დროის ადამიანები იკვლევდნენ. საგების შემქმნელი ხელოვანები იმავე ამოუცნობ შიშს შეეპყრო, რომელიც დიასპარის მცხოვრებლების ცნობიერებაში გამეფებულიყო. მათი წარმოსახვითი თავგადასავალიც აუცილებლად მყუდრო, ჩაკეტილ სივრცეში, მიწისქვეშა გამოქვაბულებში ანდა პატარა კოხტა მთებით გარსშემოჯარულ და დანარჩენი სამყაროსგან ჩაკეტილი ველების წიაღში უნდა გაშლილიყო.

ამას მხოლოდ ერთი ახსნა ჰქონდა. შორეულ წარსულში, ალბათ დიასპარის დაარსებამდე, ისეთი რამ მოხდა, რამაც არა მარტო ცნობისმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის გრძნობა ჩაკლა ადამიანებში, არამედ შორეულ ვასკვლავებს მოსწყვიტა და დედამიწაზე დააბრუნა, რითაც აიძულა უკანასკნელი ცოცხალი ქალაქის ვიწრო ჩაკეტილ სივრცეში ეძებნა თავშესაფარი. ადამიანმა უარი თქვა სამყაროზე და დიასპარის ხელოვნურ კალთას ამოეფარა. დაუოკებელი, მწველი სწრაფვა გალაქტიკისა და მის მიღმა გაშლილი ნისლიანი კუნძულების შეცნობისა უკვალოდ გაქრა. მრავალი ეპოქის განმავლობაში მზის სისტემაში არც ერთი ხომალდი არ შემოსულა; იქ, შორეული ვარსკვლავების წიაღში, ადამიანის შთამომავლები შეიძლება ახლაც აშენებდნენ ძლევამოსილ იმპერიებს და ვარსკვლავებს იპყრობდნენ, მაგრამ დედამიწამ ეს არ უწყოდა და არც ჰქონდა სურვილი, გაეგო.

დედამიწისთვის სულ ერთი იყო, ელვინისთვის კი – არა.

თავი II

ჩაბნელებულ ოთახს მხოლოდ ერთი კედელი ანათებდა, რომელსაც ფერადი ტალღები რეცხავდნენ. ფერთა ნაკადი ხან ღვარივით მოაწყდებოდა კედელს, ხანაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკუიქცეოდა, იმისდა მიხედვით თუ რა მიმართულებას იძენდა ელვინის ჭიდილი თავის ზმანებასთან. გონებაში წარმოშობილი სურათები ნაწილობრივ აკმაყოფილებდა მის სურვილს, რადგან ზღვის წიაღიდან აღმოცენებული, ცაში აჭრილი კონტურები იზიდავდა. ამ ზეაღმართულ სილუეტებში დიდი ძალა და სიამაყე შეინიშნებოდა; ელვინი დიდხანს აკვირდებოდა მათ და ვიზუალიზატორის მეხსიერების ბლოკში შეყავდა, სადაც ეს სურათები მანამ შეინახებოდა, სანამ ელვინი სურათის დარჩენილ ნაწილს სწავლობდა. და მაინც რაღაცა ყოველთვის უსხლტებოდა გონებიდან, მაგრამ ვერ გაერკვია, რა. ისევ და ისევ ცდილობდა ცარიელი ადგილების შევსებას, ხოლო აპარატი მის გონებაში მონაცვლე სურათებს კითხულობდა და კედელზე ასხამდა ხორცს. თუმცა უშედეგოდ. ხაზები ბუნდოვანი და გაურკვეველი გამოდიოდა, ფერები - უღიმღამო და გაცრეცილი. როცა თავად მხატვრისთვისაც უცნობია მიზანი, ყველაზე ჯადოსნური ინსტრუმენტიც უძლურია, მის პოვნაში დაეხამროს.

ბოლოს და ბოლოს მოეშვა უშედეგო მცდელობებს, მზერა სამი მეოთხედით ცარიელ მართკუთხედს მიაჯაჭვა, რომლის მშვენიერი გამოსახულებებით შევსებას რომ ცდილობდა. უეცარი იმპულსით სუნთქვაშეკრულმა არსებული ჩანახატის მასშტაბი გააორმაგა და სურათის შუაგულისკენ გადაისროლა. არა, ასეთი გადაწყვეტა არ გამოდგებოდა, რადგან მხოლოდ სიზარმაცით იყო ნაკარნახევი და სიმეტრიაც ირღვეოდა. უარესი, მასშტაბის შეცვლამ მისი კონსტრუქციის დეფექტები გამოავლინა და ერთი შეხედვით თამამ კონტურებში თავდაჯერებულობის არარსებობას გაუსვა ხაზი. ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო.

„წაშლა აღდგენის გარეშე," – უბრძანა მანქანას. ზღვის სილურჯემ ფერი დაკარგა; მთები ნისლივით გაიფანტა, დარჩა მხოლოდ ცარიელი ბნელი კედელი. თითქოს ამ ფერებსა და კონტურებს არც უარსებიათ – თითქოს იმ უფსკრულში ჩაიკარგნენ, რომელმაც დედამიწის ყველა ზღვა და მთა შთანთქა საუკუნეების წინ ელვინის დაბადებამდე.

ოთახში ისევ ჩამოიღვარა შუქი და მოკაშკშე მართკუთხედი, რომლეზეც ელვინი თავის ფანტაზიებს ასახავდა, გარშემო მყოფ საგნებს შეერწყა და ისევ ერთ-ერთ კედლად იქცა. მაგრამ იყო კი სინამდვილეში ეს კედლები? ადამიანს, რომელიც ასეთ ადგილებს არ სტუმრობს, ოთახი მეტად უჩვეულოდ მოეჩვენებოდა. ოთახი, რომელსაც არ ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ვიღაცას პირწმინდად გაეთავისუფლებინა ავეჯისგან და გეგონებოდათ, ელვინი სფეროს ცენტრში იდგა. თვალს არ ხვდებოდა არც ერთი ხილური ხაზი, რომელიც კედლებს გამოყოფს იატაკისგან ან ჭერისგან. მზერას ვერაფერზე შეაჩერებდი. დანამდვილებით ვერ იტყოდი, ელვინის ირგვლივ გაფენილი სივრცე რა მანძილზე იშლებოდა, ათ ფუტზე თუ ათ მილზე. ჩნდებოდა დაუოკებელი სურვილი, ხელები გაგეშვირა და წინ გადაგედგა ნაბიჯი, რომ ამ უჩვეულო ადგილსამყოფელის საზღვრების რეალობაში დარწმუნებულიყავი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთი ოთახები უწევდა ადამიანებს სახლის მაგივრობას კაცობრიობის ისტორიაში საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში. ელვინს მხოლოდ შესაბამისი აზრი უნდა ჩამოეყალიბებინა და კედლები ქალაქის იმ ნაწილში გამავალ ფანჯრებად იქცეოდნენ, რომელსაც თავად აირჩევდა. კიდევ ერთი სურვილი და უხილავი მანქანები უმალ გააჩენდნენ აუცილებელი ავეჯის პროექტირებულ გამოსახულებებს. უკანასკნელი მილიარდი წლის განმავლობაში ცოტას თუ ადარდებდა ამ საგნების რეალურობის პრობლემა. ყოველ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებულ კონკრეტულ ნივთებს არ ჩამოუვარდებოდნენ რეალობაში და როცა რომელიმე მათგანი აქტუალობას დაკარგავს, თავისუფლად შეიძლება მისი ქალაქის მეხსიერების საცავის მოჩვენებით სამყაროში გადასროლა. ნივთები, ისევე როგორც სხვა ყველაფერი დიასპარში, არ იცვითებოდა და არ იცვლებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე განზრახ არ წაშლიდა საცავიდან მათ გამოსახულებებს.

ელვინს თავისი ოთახი ნაწილობრივ გადაეკეთებინა, როცა ზარივით წკრიალა, გაბმული ხმა გაისმა. წარმოსახვითი სიგნალით მოსულს შემოსვლის უფლება მისცა და კედელი, რომელზეც ორიოდე წუთის წინ ხატავდა, კიდევ ერთხელ გაიხსნა. კედლის მიღმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი მშობლები იდგნენ, შორიახლოს კი – ჯეზერაკი. მასწავლებლის გამოჩენა ცხადყოფდა, რომ ეს უბრალო ოჯახური შეკრება არ იქნებოდა – თუმცა ამის შესახებ უკვე იცოდა.

შეხვედრის ილუზია სრულყოფილი იყო და რეალობისგან ვერ გაარჩევდით, არც მაშინ გამქრალა, როცა ერისტონმა ხმა ამოიღო. სინამდვილეში, ელვინმა მშვენივრად უწყოდა, რომ ერისტონს, ეთანიასა და ჯეზერაკს კილომეტრები აშორებდა ერთმანეთისგან, რადგან ქალაქის მშენებლებმა სივრცის დამორჩილებაც ისეთივე წარმატებით მოახერხეს, როგორც დროის დამონება. ელვინმა დანამდვილებით არც ის იცოდა, დიასპარის მრავალრიცხოვანი კოშკებიდან და ჩახლართული ლაბირინთებიდან რომელი გახლდათ მისი მშობლების საცხოვრებელი, ბოლოს როცა იხილა ისინი ხორცშესხმული, სხვაგან ცხოვრობდნენ.

„ელვინ,“ - მიმართა ერისტონმა, - „ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე და დედაშენმა პირველად გნახეთ. შენთვის ცნობილია, ეს რასაც ნიშნავს. ჩვენი მეურვეობის პერიოდი დასრულდა და შენ თავისუფალი ხარ, შეგიძლია აკეთო, რაც გსურს.“

ერისტონის ხმაში მცირედი მწუხარების კვალი – მხოლოდ მცირედი სევდა - შეინიშნებოდა. მეტწილად კი მასში შვება ერია, თითქოს ერისტონი მოხარული იყო, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა ამიერიდან იურიდიულ საფუძველს შეიძენდა. ელვინი დიდი ხანი ელოდა თავისუფლებას.

„გასაგებია,“ – უპასუხა ელვინმა. „გმადლობთ მზრუნველობისთვის და ყველა შემდგომ ცხოვრებაში მემახსოვრებით.“ ეს ფორმალური პასუხი გახლდათ; იმდენად ხშირად ისმოდა, რომ ყოველგვარი მნიშვნელობა დაეკარგა – მხოლოდ უაზრო და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არაფრისმთქმელი ბგერების კომბინაციად ქცეულიყო. მიუხედავად ამისა, „ყველა შემდგომ ცხოვრებაში“, თუ დაუკვირდებოდით, საკმაოდ უცნაური გამოთქმა იყო. ელვინს ყოველთვის ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ ფრაზის მნიშვნელობაზე. ახლა დრო დადგა, ზუსტად გაეგო მისი აზრი. დიასპიარში უამრავი რამ არ ესმოდა, მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ბევრი სიახლის გაგება მოუწევდა.

წუთით მოეჩვენა, თითქოს ეთანიამ რაღაცის თქმა დააპირა. ცალი ხელი ასწია, რითაც საკუთარი მოლივლივე გამჭვირვალე კაბის გამოსახულება შეარხია, მაგრამ მაშინვე ჩამოუშვა და ჯეზერაკს უმწეო სახის გამომეტყველებით შეხედა. პირველად ცხოვრებაში, ელვინმა მშობლებს მღელვარება შენიშნა. გონებაში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მომხდარი მოვლენები გადასინჯა. არა, ბოლოდროინდელ საქციელში ვერ შეამჩნია ვერაფერი, რაც ამ ეჭვს, ამ გაურკვეველ მღელვარებას გამოიწვევდა, საბურველივით რომ შემოხვეოდა ერისტონსა და ეთანიას.

თუმცა ჯეზერაკს თავი სავსებით მშვიდად და აუღელვებლად ეჭირა. კითხვის ნიშნით შეხედა ერისტონსა და ეთანიას და როცა დარწმუნდა, რომ სათქმელი აღაფერი ჰქონდათ, დაიწყო იმ სიტყვის წარმოთქმა, რომელიც დიდი ხნის წინ მოემზადებინა.

„ელვინ,“ – დაიწყო მან, „ოცი წლის განმავლობაში ჩემი მოსწავლე იყავი. როგორც შემეძლო, ვცდილობდი, შენთვის ქალაქის წეს-ჩვეულებანი მესწავლებინა და მისი მემკვიდრეობისკენ მიმავალი გზა გამეკვალა. ჩემთვის ბევრი კითხვა დაგისვამს, მაგრამ ზოგიერთებზე პასუხი ვერ გაგეცი, რადგან ბევრი რამის გასაგებად მზად არ იყავი, ზოგიერთი რამ თვითონაც არ ვიცოდი. ჩვილობის პერიოდი დასრულდა და ამიერიდან ბავშვობა იწყება. შენთვის გზის ჩვენება ჩემს მოვალეობად რჩება, თუ, რა თქმა უნდა, ისევ გჭირდება ჩემი დახმარება. გაივლის ორასი წელი, ელვინ, და შეიძლება გარკვეულ წილად გაიცნო ეს ქალაქი და მისი ისტორია. მეც კი, ამჟამინდელი ცხოვრების დასასრულს მივუახლოვდი, დიასპარის მეოთხედსაც არ ვიცნობ და მისი საგანძურის ალბათ მეათასედი თუ მექნება ნანახი.“

ჯეზერაკის ახალს არაფერს ამბობდა, მაგრამ მისი შეჩერება ან აჩქარება გამორიცხული იყო. მოხუცი დაჟინებით შესცქეროდა ელვინს მათ შორის გაჭიმული საუკუნეების უფსკრულიდან, მისი სიტყვები ადამიანებთან და მანქანებთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად დაგროვილი სიბრძნით დამძიმებულიყო.

„მითხარი, ელვინ,“ მიმართა მან, „ოდესმე გაგჩენია კითხვა, სად იყავი დაბადებამდე, სანამ შემოქმედის დარბაზში ეთანიასა და ერისტონის პირისპირ აღმოჩნდებოდი?“

„ალბათ არსად. შეიძლება უბრალო გამოსახულება ვიყავი ქალაქის მეხსიერებაში აღბეჭდილი და ველოდებოდი, როდის მოვევლინებოდი სამყაროს, ისეთი, როგორიც ვარ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინთან ახლოს პატარა სავარძლის ბუნდოვანმა სილუეტმა გაიელვა და წამში რეალური ფორმა მიიღო. ელვინი ჩამოჯდა და საუბარის გაგრძელებას დაელოდა.

„მართალი ხარ, რა თქმა უნდა,“ – პასუხმა არ დააყოვნა. - „მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ნაწილია პასუხისა, სინამდვილეში - მისი მეტად მცირედი ნაწილი. აქამდე მარტო შენი ასაკის ბავშვებთან გქონია ურთიერთობა და მათაც წარმოდგენა არ ჰქონდათ სიმართლეზე. ისინი მალე გაიხსენებენ წარსულს, შენ კი – არა, ამიტომ უნდა შეგამზადოთ, რომ შეძლო რეალობას თვალი გაუსწორო.

„მილიარდ წელზე მეტია, ელვინ, რაც კაცობრიობა ამ ქალაქში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც გალაქტიკური იმპერია დაეცა და დამპყრობლები ვარკვლავებს დაუბრუნდნენ, დიასპარი ჩვენ სამყაროდ იქცა. მის კედლებს მიღმა არაფერია, უდაბნოს გარდა, რომელზედაც ჩვენი ლეგენდები გვიამბობენ.

„პირველყოფილი წინაპრების შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ დიდი ხნის სიცოცხლით არ გამოირჩეოდნენ და, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, მეხსიერების ბლოკებისა და მატერიის ორგანიზატორების გარეშეც შეეძლოთ გამრავლება. რთულ და, უდავოდ უმართავ პროცესში თითოეული ადამიანის ძირითადი ფორმები ფაქტობრივად სხეულის შიგნით შექმნილ მიკროსკოპულ უჯრედოვან სტრუქტურებში ინახებოდა. თუ დაგაინტერესა, ბიოლოგები უფრო დაწვრილებით აგიხსნიან ამ პროცესს, მაგრამ ასეთ მეთოდს ჩვენთვის არავითარი ღირებულება არ აქვს, რადგან ჯერ კიდევ ისტორიის დასაბამიდან დაკარგა აქტუალობა.

„ადამიანს, როგორც ნებისმიერ სხვა ობიექტს, მისი სტრუქტურა განსაზღვრავს – მისი მატერია. ადამიანის სტრუქტურა, განსაკუთრებით კი გონების განმსაზღვრელი სტრუქტურა, წარმოუდგენლად რთული ფენომენია. მიუხედავად ამისა, ბუნებამ მაინც შეძლო მისი ერთ პაწაწინა უჯრედში მოქცევა, იმდენად პატარაში, რომ შეუიარაღებელი თვალით დანახვა შეუძლებელია.

„ის, რისი გაკეთებაც ბუნებას შეუძლია, ადამიანსაც ძალუძს, თავისებურად. არ ვიცით, რა დრო დასჭირდა ამ ამოცანის შესრულებას, ალბათ მილიონი წელი, მაგრამ რა არის მილიონი წელი? საბოლოო ჯამში, ჩვენმა წინაპრებმა თითოეული ადამიანის განმსაზღვრელი ინფორმაციის ანალიზი და შენახვა ისწავლეს, და შეძლეს ამ ინფორმაციის გამოყენება ორიგინალის აღსადგენად, ისევე, როგორც შენ შექმენი ორიოდე წუთის წინ სავარძელი.

„ვიცი, ელვინ, რომ გაინტერესებს ამგვარი რაღაცეები, მაგრამ ზუსტად ვერ აგიხსნი, ეს როგორ კეთდება. ინფორმაციის შენახვის მეთოდი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, როგორც თავად ინფორმაცია. მას შეიძლება ქაღალდზე დაწერილი სიტყვების, მაგნიტური ველების რიგის ან ელექტრული მუხტების თანმიმდევრობის სახე ჰქონდეს. ადამიანებმა ინფორმაციის შენახვის ეს და ბევრი სხვა მეთოდი გამოიყენეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ მათ უხსოვარი დროიდან შეეძლოთ საკუთარი თავის კონსერვირება – ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ უსულო გამოსახულებების შენახვა, რომლის მეშვეობითაც არსებობას უბრუნდებოდნენ.

„ეს უკვე ცნობილია შენთვის. სწორედ ამგვარად მოგვანიჭეს ჩვენმა წინაპრებმა ვირტუალური უკვდავება, ამავე დროს თავიდან აიცილეს სიკვდილის უარყოფით გამოწვეული პრობლემები. ერთ სხეულში გატარებული ათასი წელი სავსებით საკმარისია ნებისმიერი ადამიანისთვის; ამ დროისთვის მისი გონება უამრავი მოგონებით გადაჭედილი და იმდენად გადაღლილია, რომ დასვენება სწყურია – ან ახალი ცხოვრების დასაწყისი.

„მალე, ელვინ, ამ ცხოვრებიდან წასვლისთვის დავიწყებ მზადებას. გულდასმით გადავხედავ მოგონებებს, გადავახალისებ და ცნობიერებიდან იმ მომენტებს ამოვშლი, რომელთა შენახვაც აღარ მომინდება. შემდეგ შემოქმედის დარბაზში შევალ, მაგრამ იმ ზღურბლს გადავაბიჯებ, რომელიც ჯერ არ გინახავს. ბებერი სხეული არსებობას შეწყვეტს, მას ცნობიერებაც მიჰყვება და ჯეზერაკისგან, კრისტალის შუაგულში გაყინული ელექტრონების გარდა, არაფერი დარჩება.

„შემდეგ ძილს მივეცემი, ელვინ, ძილს სიზმრების გარეშე და ერთ დღესაც, შეიძლება ასი ათასი წლის შემდეგ, ახალ სხეულში მოვევლინები სამყაროს და იმ ადამიანებს შევხვდები, რომლებსაც ჩემს მეურვეებად აირჩევენ. ისინი იზრუნებენ ჩემზე, როგორც ერისტონი და ეთანია ზრუნავდნენ შენზე და გზას გიჩვენებდნენ, რადგანაც თავიდან დისპარზე არაფერი მეცოდინება და არც ის მემახსოვრება, ვინ ვიყავი იქამდე. ეს მოგონებები ნელ-ნელა დამიბრუნდება ჩვილობის ბოლოსთვის და მათზე დაყრდნობით ჩემი არსებობის ახალ ეტაპზე გადავინაცვლებ.

„ეს არის ჩვენი ცხოვრების სტრუქტურა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოვევლინეთ ამ სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ არარსებობის ინტერვალები განსხვავდება ერთმანეთისგან და ალბათ შემთხვევითობის კანონებზეა დამოკიდებული, დღევანდელი მოსახლეობა აღარსდროს განმეორდება, რადგან თითოეული თაობა უნიკალურია. ახალ ჯეზერაკს ახალი ინტერესები ექნება და ახალ მეგობრებს შეიძენს, მაგრამ წინანდელი ჯეზერაკი – მისი ის ნაწილი, რომლის შენახვაც მომესურვება – გააგრძელებს არსებობას.

„მაგრამ ამით არ დამთავრებულა. დიასპარის მოსახლების მხოლოდ მეასედი თუ ცხოვრობს და სეირნობს ქალაქის ქუჩებში. აბსოლუტური უმრავლესობა მისი მეხსიერების რეზერვუარებში თვლემს და ელის ნიშანს, რომელიც გამოაფხიზლებს და ყოფიერების ახალი სცენაზე გამოიხმობს. ეს საშუალებას გვაძლევს უწყვეტობა ცვლილებებს შევუხამოთ და უკვდავების ხიბლით დავტკბეთ, ისე რომ სტაგნაციის საშიშროება არ ვიგრძნოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ვიცი, რაზეც ფიქრობ, ელვინ. გინდა გაიგო, შენი თანატოლების მსგავსად, როდის გაიხსენებ წინამორბედი ცხოვრების დეტალებს.“

„არ არსებობს ასეთი დეტალები, რადგან ერთადერთი ხარ. შეძლებისდაგვარად ვცდილობდით, არ გაგვემხილა შენთვის სიმართლე, რადგან არ გვინდოდა, რაიმე ნაღველს დაეჩრდილა შენი ბავშვობა, თუმცა, სიმართლის ნაწილს ალბათ უკვე თავადაც მიხვდებოდი. ხუთი წლის წინ ჩვენც არ ვიცოდით ამის შესახებ, მაგრამ ახლა არავითარი ეჭვი არ არსებობს.

„შენ, ელვინ, ისეთი რამ ხარ, რაც დიასპარში სულ რამდენჯერმე მომხდარა ქალაქის დასაბამიდან. ალბათ მთელი საუკუნეების განმავლობაში მეხსიერების რეზერვუარებში გეძინა – ან შეიძლება სულაც ოცი წინ შეიქმენი პირველად შემთხვევითი მეტამორფოზის შედეგად. ორი ვარიანტი არსებობს, ან ქალაქის შემქმნელებს თავიდანვე ჰქონდათ დაგეგმილი შენი მოვლინება ამ ქვეყნად, ან ჩვენი დროის ქმნილება ხარ, ყოველგვარ აზრსა და მიზანს მოკლებული.

„არ ვიცით. ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ შენ, ელვინ, ერთადერთი ხარ კაცობრიობის მოდგმიდან, რომელსაც აქამდე არ უცხოვრია. პირდაპირი მნიშვნელობით, პირველი ბავშვი ხარ, რომელიც სულ მცირე ბოლო ათი მილიონი წლის განმავლობაში დედამიწაზე გაჩნდა.“

თავი III

მას შემდეგ, რაც ჯეზერაკი და ელვინის მშობლები გაუჩინარდნენ, ელვინი დიდხანს იწვა და ცდილობდა, გონება ყოველგვარი ფიქრისგან გაეთავისუფლებინა. ოთახის კედლები თავის ირგვლივ ჩაკეტა, ვინმეს უეცრად ღრმა ტრანსისგან რომ არ გამოეფხიზლებინა.

ელვინს არ ეძინა; არასოდეს ჰქონია ძილის მოთხოვნილება, რადგან არ იცოდა, რა ნიშნავდა. ძილი დღისა და ღამის სამყაროს ეკუთვნოდა, აქ კი მარადიული დღე მეფობდა. ტრანსი ყველაზე ახლოს იდგა ძილის მივიწყებულ მდგომარეობასთან. თუმცა ტრანსი ელვინისთვის არ იყო აუცილებელი მდგომარეობა, იცოდა, რომ ეს აზრების მოკრებაში დაეხმარებოდა.

ჯეზერაკის ნაამბობიდან ახალი თითქმის არაფერი შეუტყვია. ბევრ რამეს თვითონაც ხვდებოდა. მაგრამ ერთია, როდესაც მხოლოდ ვარაუდობ, და მეორე, როდესაც ამ ვარაუდს უცილობელი მტკიცებულება ამყარებს.

რა გავლენას მოახდენს ეს მის ცხოვრებაზე და საერთოდ მოახდენს კი? ელვინს ეჭვი ეპარებოდა, გაურკვევლობა მისთვის უცხო ხილი გახლდათ. შეიძლება ამას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რადგან თუ ამ ცხოვრებაში ვერ მოერგო დიასპარს ჭანჭიკივით, იმედია, მეორე ცხოვრებაში მაინც გაუმართლებს – ან მესამეში.

მაგრამ ფიქრი არც ჩამოეყალიბებინა, რომ ელვინის გონებამ უმალ უარყო. დიასპარი შეიძლება კაცობრიობის დარჩენილ ნაწილს სავსებით აკმაყოფილებდეს, მაგრამ მისთვის საკმარისი არ იყო. ადამიანს ათასი ცხოვრება რომ გაევლო, მაინც ვერ ამოწურავდა ყველა იმ სასწაულს და ვერ გამოცდიდა ყოფიერების ყველა იმ სახეცვლილებას, რომელსაც დიასპარი სთავაზობდა. მსგავსი განცდები მასაც ხელეწიფებოდა, მაგრამ თუ ამაზე მეტს ვერ მიიღებდა ცხოვრებისგან, მაშინ კმაყოფილების იმედიც არ უნდა ჰქონოდა.

ელვინის წინაშე ერთადერთი პრობლემა იდგა. კიდევ რის გაკეთება შეეძლო?

უპასუხო კითხვამ მედიტაციისგან მოულოდნელად გამოაფხიზლა. ასეთ მშფოთვარე მდგომარეობაში სახლში ვერ გაჩერდებოდა. ქალაქში ერთადერთი ადგილი ეგულებოდა, სადაც მისი გონება სიმშვიდეს დაიბრუნებდა.

კედლის ნაწილი, რომელშიც ელვინმა შეაბიჯა და რომელიც დერეფანში გადიოდა, აციმციმდა და გაუჩინარდა. მისმა პოლარიზებულმა ნაწილაკებმა სუსტი ნიავივით დაუარეს სახეზე. დანიშნულების ადგილამდე მისვლა უამრავი მეთოდით შეეძლო, მაგრამ ფეხით სიარული ერჩივნა. მისი ოთახი თითქმის ქალაქის ძირითად დონეზე მდებარეობდა და მოკლე გასასვლელმა სპირალისებურ დაღმართზე გაიყვანა, რომელიც ქუჩაში ეშვებოდა. ელვინმა უგულებელყო მოძრავი გზა და ვიწრო ტროტუარს დაუყვა, რაც მეტად უცნაური საქციელი გახლდათ, რადგანაც რამდენიმე მილი ჰქონდა გასავლელი. მაგრამ ელვინს ფეხით სიარული უყვარდა – ეს გონებას ამშვიდებდა. გარდა ამისა, გზად იმდენი საინტერესო რამის ნახვა შეიძლებოდა, რომ დასანანიც კი იყო დიასპარის უახლესი საოცრებებისთვის ჩაგექროლებინა, როცა მთელი საუკუნეები წინ გქონდა და არსად გეჩქარებოდა.

დიასპარის მხატვრებს – დიასპარში კი ყველა მეტნაკლებად მხატვარი იყო – ჩვეულებად ჰქონდათ მოძრავი გზების პირას თავიანთი უახლესი ნამუშევრების გამოფენა, რათა გამვლელებს ხელოვნების ნიმუშებით ტკბობის საშუალება მისცემოდათ. ამ გზით რამდენიმე დღეში მთელი მოსახლეობა ასწრებდა ესა თუ ის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები კრიტიკულად შეეფასებინა და საკუთარი აზრი გამოეხატა. შეფასების შედეგად გამოტანილი საბოლოო ვერდიქტი საზოგადოებრივი აზრის ამსახველ სპეციალურ აპარატურაზე ფიქსირდებოდა, რომლის მოსყიდვა ან მოტყუება, მრავალი მცდელობა მიუხედავად, ვერავის მოეხერხებინა. სწორედ ეს განაჩენი წყვეტდა თითოეული შედევრის ბედს. თუ ესა თუ ის ნამუშევარი დადებითი ხმების განსაზღვრულ რაოდენობას დააგროვებდა, მისი მატრიცა ქალაქის მეხსიერებაში შეინახებოდა და ნებისმიერი მსურველი მომავლის ნებისმიერ მონაკვეთში ორიგინალის იდენტურ რეპროდუქციას მიიღებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაკლებად წარმატებულ ქმნილებებს იგივე ბედი ელოდა, როგორც ყველა მსგავს ნამუშევრებს. ისინი ან თავდაპირველ შემადგენელ ელემენტებად იშლებოდნენ, ან მხატვრის რომელიმე მეგობრის სახლში ჰპოვებდნენ განსასვენებელს.

ხელოვნების ნიმუშებიდან, რომელიც ელვინმა გზად იხილა, მხოლოდ ერთმა მიიქცია მისი ყურადღება. ეს კომპოზიცია მარტივი, წმინდა სიცოცხლის შექმნის პროცესს ასახავდა და ბუნდოვნად მოგაგონებდათ გაუშლელ ყვავილს. ყვავილი ნელ-ნელა იზრდებოდა უმცირესი ფერადი გულიდან, რთულ სპირალებად და ფარდებად იშლებოდა, შემდეგ მოულოდნელად იხურებოდა და ციკლი მეორდებოდა, მაგრამ არა აბსოლუტური სიზუსტით. ყოველი ახალი ციკლი წინამორბედისგან განსხვავდებოდა. ელვინმა რამდენიმე პულსაციას მიადევნა თვალი და დარწმუნდა, რომ მცირედი, ოდნავ შესამჩნევი განსხვავებების მიუხედავად, კომპოზიციის საფუძველი იგივე რჩებოდა.

ხვდებოდა, რატომაც მოეწონა ეს მიუწვდომელი სკულპტურა. მისი მზარდი რითმი გაშლილი სივრცის და გარკვეულ წილად ტყვეობიდან თავის დაღწევის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ელვინის ბევრი თანამემამულე სწორედ ამ მიზეზის გამო დაიწუნებდა ნამუშევარს. მხატვრის სახელი დაიმახსოვრა და პირველივე შესაძლებლობაზე მასთან დაკავშირება გადაწყვიტა.

ყველა გზა, მოძრავიც და უმოძრაოც, პარკის შესასვლელთან მთავრდებოდა, რომელიც დიასპარის მწვანე გულს წარმოადგენდა. აქ, სამიოდე მილზე გაშლილ წრიულ სივრცეზე ისევ ცოცხლობდა იმ დღეების ხსოვნა, როდესაც უდაბნოს ჯერ კიდევ არ შთაენთქა ყველაფერი დედამიწაზე, დიასპარის გარდა. პარკი მინდვრის ფართო სარტყელით იწყებოდა, რომელსაც მეჩხერი ტევრი მიყვებოდა. რაც უფრო ღრმად მიიწევდი, ტევრი სულ უფრო ხშირდებოდა. მიწა ოდნავ ქვემოთ იყო დაქანებული და როდესაც ტყის ვიწრო ზოლს დააღწევდი თავს, დაინახავდი, რომ ტყის ფარდას ამოფარებული ქალაქის ნაკვალევიც კი გამქრალიყო.

განიერ ნაკადს, ელვინის წინ რომ მიედინებოდა, უბრალოდ მდინარე ერქვა. სხვა სახელი არც ჰქონდა და არც სჭრიდებოდა. მდინარეს ალაგ-ალაგ ვიწრო ხიდები კვეთდნენ. ნაკადი პარკის გარშემო სწორ, ჩაკეტილ წრეს კრავდა, რომელსაც დრო და დრო მცირე ყურეები არღვევდა. ის ფაქტი, რომ ჩქარი მდინარე, ექსიოდე მილის გავლის შემდეგ, ისევ თავის თავში ჩაედინებოდა, ელვინს უცნაურად სულაც არ ეჩვენებოდა; არც ის გაუკვირდებოდა, რომ ნაკადი დინების რომელიმე წერტილში ფერდობს ზევითაც აუყვებოდა. დიასპარში ამაზე უფრო უცნაური მოვლენებიც ხდებოდა.

მდინარის ერთ-ერთ ყურეში ახალგაზრდები ბანაობდნენ. ელვინი შეჩერდა, თვალი რომ მიედევნებინა მათთვის. უმეტესობას სახეზე ცნობდა, ბევრის სახელიც იცოდა, წამიერმა სურვილმა აიტაცა, შეერთებოდა გართობას, მაგრამ საიდუმლო ფიქრებით დამძიმებულმა ელვინმა უარი თქვა განზრახვაზე და მაყურებლის როლს დასჯერდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარეგნულად ამ ახალგაზრდებს ვერც შეატყობდით, შემოქმედის დარბაზიდან რომელი მათგანი გამოვიდა ამ წელს და რომელმა დაჰყო დიასპარში იმდენივე წელი, რამდენიც ელვინმა. საგრძნობ განსხვავებებს სიმაღლესა და წონაში ასაკთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, ხალხი აქ უბრალოდ ასეთი იბადებოდა. თუმცა სიმაღლე გარკვეულ წილად ასაკზეც მიანიშნებდა, მაგრამ ეს მისი განსაზღვრის საიმედო მეთოდად ვერ გამოდგებოდა, ამით მხოლოდ საუკუნეების დადგენა თუ შეიძლებოდა.

სახის ნაკვთების ალბათ უფრო მეტს გეტყოდათ. ზოგიერთი ახალდაბადებული ელვინზე მაღალიც კი იყო, მაგრამ სახეზე მოუმწიფებლობის დაღი ესვათ და გულწრფელი განცვიფრება და გაოცება ეტყობოდათ იმ სამყაროს მიმართ, რომელშიც ასე მოულოდნელად აღმოჩნდნენ. გასაოცარია, მაგრამ მათ მეხსიერებაში აუღელვებელი, მშვიდი ძილით თვლემდა წინამორბედი მივიწყებული ცხოვრების უსასრულო ჯაჭვი, რომლის გახსენებაც უახლოეს მომავალში მოუწევდათ. ელვინს შურდა ახალდაბადებულების, მაგრამ იყო კი მათი მდგომარეობა შესაშური? პირველშობილობა ძვირფასი და სანუკვარი საჩუქარი გახლდათ და არასოდეს განმეორდებოდა. რა საოცარი გრძნობაა, როცა ცხოვრებას პირველად, მთელი სიცხადით ადევნებ თვალს. ნეტა დიასპარში ვინმე მისნაირი ყოფილიყო, ვისაც თავისი ფიქრებისა და გრძნობების გაზიარებდა...

თუმცა ფიზიკურად ელვინი ზუსტად იგივე ყალიბში ჩამოესხათ, როგორც მდინარეში მოთამაშე ბავშვები. დიასპარის შექმნიდან მოყოლებული მილიარდი წლის განმავლობაში ადამიანის სხეული ოდნავადაც არ შეცვლილა, რადგანაც მისი აგებულების ძირითადი ელემენტები სამუდამოდ გაყინულიყო ქალაქის მეხსიერების საცავებში. მიუხედავად ამისა, არსებითად განსხვავდებოდა თავისი თავდაპირველი პრიმიტიული მოდელისგან, თუმცა სახეცვლილებების უმეტესობა შინაგან ხასისათს ატარებდა და თვალისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე ადამიანს არაერთხელ გარდაუქმნია საკუთარი თავი იმ სნეულებების აღმოფხვრის მიზნით, რაც მის სხეულს მემკვიდრეობით ერგო.

გაქრა ისეთი უსარგებლო ელემენტები, როგორიცაა ფრჩხილები და კბილები. თმა მხოლოდ თავზე შემორჩა, ტანზე მისი ნაკვალევიც არ ჩანდა. განთიადის ეპოქის ადამიანის კი, ალბათ, ყველაზე მეტად ჭიპის გაუჩინარება განაცვიფრებდა. მისი ამოუხსნელი არარსებობა უხვ საზრდოს მისცემდა ფიქრისა და განსჯისთვის და ერთი შეხედვით ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისგან გარჩევაც გადაუჭრელ პრობლემად იქცეოდა. რაღაც მომენტში შეიძლება ეფიქრა, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა, რაც სერიოზული შეცდომა იქნებოდა. შესაბამისი გარემოებებისას დიასპარის მამრობითი სქესის ნებისმიერი წარმომადგენლის მამაკაცურობა ეჭვს არ იწვევდა, უბრალოდ, შესაბამისი მოწყობილობა, როცა არ გამოიყენებოდა, საგულდაგულოდ იყო შენახული, - შინაგანი შეფუთვა ბუნების მიერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავდაპირველად შექმნილ ტლანქ და, შეიძლება ითქვას, სახიფათო გარეგან აღჭურვილობასთან შედარებით აშკარა უპირატესობით სარგებლობდა.

რა თქმა უნდა, რეპროდუქცია აღარ წარმოადგენდა სხეულის ფუნქციას, რადგან გაცილებით უფრო სერიოზული საკითხი იყო და მისი ხელაღებით გადაჭრა არ შეიძლებოდა, მსგავსად აზარტული თამაშისა, სადაც კამათლების ნაცვლად ქრომოსომები იყრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მეხსიერებიდან წაშლილიყო მოგონებები ჩასახვისა და დაბადების შესახებ, სექსი მაინც აგრძელებდა არსებობას. უძველეს დროშიც კი, სექსუალური აქტივობის ერთი მეასედი თუ იქნებოდა დაკავშირებული რეპროდუქციასთან. ამ უმცირესი პროცენტის გაუჩინარებამ შეცვალა ადამიანთა საზოგადოების სურათი და თავად ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა ‘მამა’ და ‘დედა’, თუმცა ლტოლვა დარჩა, მაგრამ მის დაკმაყოფილებას რომელიმე სხვა ხორციელ სიამოვნებაზე უფრო ღრმა აზრი აღარ ჰქონდა.

ელვინმა ცელქი თანატოლები დატოვა და პარკის შუაგულისკენ გაემართა. ოდნავ გაკვალულ ბილიკებზე მიაბიჯებდა, რომლებიც დაბალ ბუჩქნარს კვეთდნენ და პერიოდულად რიყის დიდრონ ხავსმოდებულ ქვებს შორის წარმოქმნილ ნაპრალებში ეშვებოდნენ. გზად ადამიანის თავის ოდენა მრავალწახნაგას ფორმის მანქანა შემოხვდა, რომელიც ხის ტოტებში ტივტივებდა. დიასპარში რობოტების უამრავი სახეობა არსებობდა; ყოველთვის თვალსმოფარებულები, ისე ეფექტურად და ნაყოფიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რომ იშვიათად თუ მოკრავდით სადმე თვალს.

მალე ისევ აღმართი დაიწყო; ელვინი პარკის, და აქედან გამომდინარე, თავად ქალაქის შუაგულში მდებარე პატარა ბორცვს უახლოვდებოდა. უკვე ნაკლები დაბრკოლებისა და შემოვლითი გზების გადალახვა უხდებოდა. აქედან ნათლად მოჩანდა ბორცვის მწვერვალი და მასზე გუმბათივით აღმართული მარტივი ნაგებობა. დანიშნულების ადგილს რომ მიაღწია, დაღლილობისგან სუნთქვაშეკრული შვებით მიეყრდნო შენობის ერთ-ერთ ვარდისფერ სვეტს და განვლილ მანძილს გადაავო თვალი.

არსებობს არქიტექტურული ფორმები, რომლებიც ჟამთა სვლას არ ემორჩილებიან, რადგან სრულყოფილებას მიაღწიეს. იარლან ზეის აკლდამა ალბათ კაცობრიობისთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ცივილიზაციების ხუროთმოძღვართა ნამუშევარს წარმოადგენდა, მაგრამ კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, რა მასალისგან იყო ეს ნაგებობა ნაშენები. აკლდამის სახურავი ცაში იხსნებოდა, მისი ერთადერთი დარბაზი დიდი ზომის ქვის ფილებით მოეკირწყლათ, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით ბუნებრივ ქვებს მოგაგონებდათ. მრავალი გეოლოგიური ეპოქის განმავლობაში უამრავ ფეხს გაუთელია ეს იატაკი, მაგრამ კვალიც კი ვერ დაუტოვებია მის წარმოუდგენლად მყარ და ურჩ ზედაპირზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრანდიოზული პარკის, და ზოგიერთის თქმით, თავად დიასპარის, შემქმნელს ოდნავ ქვემოთ მიემართა მზერა, თითქოს კალთაზე გაშლილ რუქებს აკვირდებოდა. მის სახეზე აღბეჭდილ უცნაურ და მოუხელთებელ გამომეტყველებას არაერთი თაობა ჩაუგდია საგონებელში. ზოგიერთები მას სკულპტორის ზანტ კაპრიზს მიაწერდნენ, სხვები ფიქრობდნენ, რომ იარლან ზეის რაღაც იდუმალ ოინზე ეღიმებოდა.

მთლიანი შენობა საიდუმლოებას მოეცვა, რადგან ქალაქის ისტორიული ქრონიკები მასზე სიტყვასაც კი არ წერდნენ. ელვინმა დანამდვილებით არც სიტყვა 'აკლდამის' მნიშვნელობა იცოდა; ჯეზერაკს ალბათ შეეძლო მისი ახსნა, მას ხომ ძალიან უყვარდა მოძველებული, ხმარებიდან გადასული სიტყვების შეგროვება და შემგდომ თანამოსაუბრეების შესაცბუნებლად მათი მეტყველებაში გამოყენება.

ამ მოსახერხებელი სათვალთვალო პუნქტიდან ელვინის მზერა პარკსა და ჩამწრკივებული ხეების მწვერვალებს ევლებოდა და ქალაქსაც აღწევდა. უახლოესი შენობები მისგან ორიოდე მილის მანძილზე მდებარეობდა და პარკს დაბალი სარტყელივით ერტყმოდა გარშემო. ქალაქის ძირითად მასივს შენობების უკან აღმართული კოშკები და ტერასები შეადგენდა, რომლებიც კილომეტრებზე იშლებოდა, ნელ-ნელა მიიწევდა ცისკენ და რაც უფრო უახლოვდებოდა მას, მათი ფორმები მით უფრო რთულდებოდა და წარმოსახვას თავისი მონუმენტურობით ანცვიფრებდა. დიასპარის ჩანაფიქრს ერთიანი ძლევამოსილი მანქანის შექმნა წარმოადგენდა და თუმცა მისი გარეგნული მხარე თრგუნავდა ადამიანს თავისი სირთულით და გრანდიოზულობით, მხოლოდ გაკვრით მიანიშნებდა ტექნოლოგიის იმ ფარულ სასწაულებზე, რომლის გარეშეც ყველა ეს უზარმაზარი შენობა უსიცოცხლო სამარხებად მოგეჩვენებოდათ.

ელვინმა საკუთარი სამყაროს საზღვრებს გაუსწორა თვალი. ოციოდე მილის მოშორებით ქალაქის ბასტიონები გადიოდა, მათი კონტურების დეტალები მანძილს წაეშალა, რომელზედაც, გეგონებოდა, თავად ცის კამარა ესვენა. იმის იქით აღარაფერი მოჩანდა, გარდა უდაბნოს მგმინავი სიცარიელისა, სადაც ნებისმიერი ადამიანი შეიშლებოდა.

თუ მასეა, მაშინ რატომ ეძახდა და იზიდავდა ასე ძლიერად ეს სიცარიელე, ისე როგორც არავის მისი ნაცნობებიდან? ელვინს ვერაფრით გაეგო. თვალი კოშკების ფერადი შპილებისა და ქონგურებისთვის, კაცობრიობის თანამედროვე სამფლობელოების საზღვრებისთვის, გაესწორებინა, თითქოს კითხვაზე პასუხის პოვნას ცდილობდა.

პასუხს ვერ მიაკვლია, სამაგიეროდ იმ წუთებში, როცა მისი გული შეუძლებელსა და მიუღწეველს ლამობდა, გადაწყვეტილება მიიღო.

ახლა უკვე იცოდა, რა უნდა ეკეთებინა ცხოვრებაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი IV

თუმცა ჯეზერაკმა დიდი დახმარება ვერ აღმოუჩინა, მისმა მზადყოფნამ თანამშრომლობისთვის ელვინის მოლოდინს გადააჭარბა. ჯეზერაკისთვის მოძღვრის ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არაერთხელ დაუსვამთ მსგავსი შეკითხვები და არ სჯეროდა, რომ ვინმეს, თუნდაც ელვინისნაირ უნიკალურ ადამიანს, შეეძლო გაეკვირვებინა ან გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დაეყენებინა.

მართალია, ელვინის საქციელს გარკვეული ექსცენტრიულობა შეერია, და, საბოლოო ჯამში, ალბათ მისი გამოსწორების აუცილებლობაც დადგებოდა. უცნაური საქციელი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ელვინი სათანადოდ არ ერთვებოდა ქალაქის უაღრესად რთულ და დახვეწილ სოციალურ ცხოვრებასა და თანატოლების ფანტასტიკურ თავგადასავლებში. ამაღლებული აზროვნების მწვერვალებისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ ავლენდა, თუმცა ეს მისი ასაკისთვის არც თუ ისე გასაკვირი იყო. გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა მისი მოუწესრიგებელი სასიყვარულო ცხოვრება; რა თქმა უნდა, ელვინის ასაკის ადამიანისგან სულ მცირე ასწლეულის განმავლობაში არავინ ელოდა მყარი და სტაბილური ურთიერთობების დამყარებას, მაგრამ მოკლევადიანმა სასიყვარულო გატაცებებმა უკვე სახელი გაუთქვეს. სანამ ეს გატაცებები გრძელდებოდა, ინტენსიურობითა და ნაყოფიერებით გამოირჩეოდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გრძელდებოდა რამდენიმე კვირაზე მეტ ხანს. როგორც ჩანდა, ელვინს არ შეეძლო ერთდორულად ორი რამით დაინტერესებულიყო. ისეთი პერიოდებიც ჰქონდა, როცა მთელი არსებით ერთვებოდა თანატოლების სატრფიალო თამაშებში და რამდენიმე დღით გადაიკარგებოდა ხოლმე თავის რჩეულთან ერთად. მაგრამ როგორც კი გატაცება გადაივლიდა, დგებოდა ხანგრძლივი ეტაპი, როცა ელვინს საერთოდ აღარ იზიდავდა ის, რაც მის ასაკის ადამიანის მთავარი საქმიანობა უნდა ყოფილიყო. ეს, ალბათ, არასასურველი შედეგის მომტანი იყო მისთვის და განსაკუთრებით მიტოვებული შეყვარებულებისთვის, რომლებიც უმიზნოდ დაბორიალობდნენ ქალაქში და საკმაოდ დიდი ხანი სჭირდებოდათ, სანამ გონს მოეგებოდნენ და სადმე სხვასთან ჰპოვებდნენ ნუგეშს. როგორც ჯეზერაკმა შენიშნა, ალისტრამაც ზუსტად ამ უიმედო სტადიას მიაღწია.

ეს, რა თქმა უნდა, ელვინის უგულობასა ან უპასუხისმგებლობაზე არ მიანიშნებდა, უბრალოდ, სიყვარულში, ისევე როგორც ყველაფერ სხვაში, იმ დიად მიზანს ეძებდა, რასაც დიასპარში ვერ პოულობდა.

ხასიათის ეს შტრიხები ელვინს სრულებით არ ადარდებდა. უნიკალური ადამინიასგან ასეთივე უჩვეულო და ორიგინალური საქციელი იყო მოსალოდნელი. თავის დროზე ისიც შეურიგდებოდა ბედს და ქალაქის ჩვეულ რითმს აყვებოდა, სადაც მძლავრი ინერცია სუფევდა და ვერავინ, მათ შორის ყველაზე ექსცენტრიული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ბრწყინვალე პიროვნებაც, შეძლებდა იმ საზოგადოების კოლოსალური სიმყუდროვის დარღვევას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უცვლელი, აუღელვებელი ინერციით ცხოვრობდა. ჯეზერაკს არა მხოლოდ სწამდა სტაბილურობის, სხვა ვერაფერი წარმოედგინა.

„თავსატეხი, რომელიც შენ გაწუხებს, საუკუნეებს ითვლის“, - ეუბნებოდა ელვინს ჯეზერაკი, - „ალბათ გაგიკვირდება, მაგრამ უამრავი ადამიანი არსებობს, ვინც ამ სამყაროს უდარდელად უყურებს, ფიქრობს, რომ ასეც უნდა იყოს, არ ანაღვლებს და აზრადაც არ მოსდის, ამ პრობლემას დაუფიქრდეს. მართალია, ერთ დროს ადამიანთა მოდგმას ამ ქალაქზე უსასრულოდ უფრო დიდი ტერიტორია ეკავა. გარკვეული წარმოდგენა გაქვს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურებოდა დედამიწა, სანამ უდაბნო წალეკავდა და ოკეანეები გაუჩინარდებოდა. ჩვენს განკარგულებაში მყოფი ჩანაწერები, რომლის დათვალიერება ასე ძალიან გიყვარს, ყველაზე ძველია და იმდროინდელ დედამიწას ასახავს, სანამ დამყრობლები გამოჩნდებოდნენ. არა მგონია, ეს ჩანაწერები ბევრს ჰქონდეს დათვალიერებული; ხომ იცი, რა აუტანელია ჩვენთვის უსასრულო, ღია და გაშლილი სივრცეების ჭვრეტა.

„თავად დედამიწაც მხოლოდ ქვიშის უმცირეს მარცვალს წარმოადგენდა გალაქტიკურ იმპერიაში. ვარსკვლავებს შორის გაჭიმული უფსკრული ისეთი კოშმარია, რომლის წარმოდგენა ჭკუათმყოფელი ადამიანის ძალებს აღემატება. ჩვენმა წინაპრებმა ეს სიცარიელე ჯერ კიდევ ისტორიის გარიჟრაჟზე გადალახეს, როცა იმპერიის ასაგებად გაემგზავრნენ. ბოლოს ვარკვლავთშორისი უფსრკული მაშინ გადაკვეთეს, როცა დამპყრობლებმა იმპერიიდან გამოდევნეს და დედამიწაზე გადმოისროლეს.

„ლეგენდა გვიამბობს, - არ დაგავიწყდეს, ეს მხოლოდ ლეგენდაა - რომ დამყრობლებთან შეთანხმებას მივაღწიეთ. მათ მფლობელობაში გადადიოდა მთელი სამყარო, თუკი ასე ძლიერ სჭირდებოდათ, ჩვენ კი მისი იმ მცირედი ნაწილით უნდა დავკმაყოფილებულიყავით, სადაც დავიბადეთ“.

„ჩვენ ვიცავდით ამ შეთანხმებას და დავივიწყეთ ბავშვობის აუსრულებელი და ფუჭი ოცნებები. შენც მალე დაივიწყებ, ელვინ. ხალხი, რომელმაც ეს ქალაქი ააგო და მასში მცხოვრები საზოგადოება შექმნა, არა მარტო ადამიანის გონებაზე, არამედ მატერიაზეც ბატონობდა. ამ კედლებში მთელი სამყარო მოაქციეს, ყველაფერი, რაც ოდესმე შეიძლება დასჭირდეს კაცობრიობას და იმაზეც სათანადოდ იზრუნეს, რომ ადამიანს არასოდეს დაეტოვებინა ეს ჩაკეტილი საზღვრები.

„ფიზიკურ ბარიერებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. შესაძლოა, არსებობს ქალაქს გარეთ მიმავალი გზები, მაგრამ რომც იპოვნო, შორს მაინც ვერ წაგიყვანს. დავუშვათ, ცდა წარმატებით დასრულდა – რა შედეგს მოიტანს? შენი სხეული სუსტია და უდაბნოში დიდხანს ვერ გაძლებს, ქალაქი კი ვეღარ დაგიცავს და გიპატრონებს.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„თუკი არსებობს ამ ქალაქიდან გასასვლელი, - ნელა წარმოთქვა ელვინმა, - მაშინ რა მიშლის ხელს მის დატოვებაში?“

„სულელური კითხვაა, - უპასუხა ჯეზერაკმა. – მე მგონი, პასუხი შენ თვითონაც კარგად იცი.“

ჯეზერაკი ერთის მხრივ მართალი იყო. ელვინმა პასუხი იცოდა – უფრო სწორად, ხვდებოდა. სიმართლე მეგობრებმა უკარნახეს თავიანთი საქციელით რეალურ ცხოვრებასა და წარმოსახვით თავგადასავლებში, რომლებშიც მათთან ერთად ელვინიც იღებდა მონაწილეობას. ისინი ვერასდროს შეძლებდნენ დიასპარის დატოვებას; მაგრამ ჯეზერაკმა არ იცოდა, რომ მორჩილება და იძულება, რომელიც მათ ცხოვრებას მართავდა, ელვინზე არანაირად არ მოქმედებდა. არ იცოდა, რისთვის უნდა მიეწერა თავისი უნიკალურობა, შემთხვევითობისთვის თუ შეგნებული მიზნისთვის, რომლიღაცა უძველესი ჩანაფიქრისთვის, მაგრამ მისი ცნობიერების ეს მხარე უდავოდ უნიკალურობის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენდა. საინტერესოა, კიდევ რა ფარული შესაძლებლობებით იყო დაჯილდოვებული.

დიასპარში არავინ არსად არ ჩქარობდა და ელვინიც იშვიათად არღვევდა ამ წესს. რამდენიმე კვირის განმავლობაში საგულდაგულოდ სწავლობდა ამ საკითხს და დიდი დრო დახარჯა ქალაქის ისტორიულ ქრონიკებში დაცული უძველესი ჩანაწერების ძებნაში. საათობით იჯდა ხოლმე ანტიგრავიტაციული ველის უხილავ ხელებზე დაყრდნობილი, ხოლო ჰიპნოპროექტორი მის გონებას წარსულის სურათებს უშლიდა. როდესაც ფირი დასრულდებოდა, პროექტორი ბუნდოვან ფორმებს მიიღებდა და გაუჩინარდებოდა – ელვინი კიდევ დიდხანს რჩებოდა ხოლმე ასე გარინდებული და სიცარიელეს მისჩერებოდა, სანამ ასწლეულების გამოვლით ისევ რეალობას არ გაუსწორებდა თვალს. მის თვალწინ კვლავ ფირუზისფერი ზღვის უსასრულო სივრცეები იშლებოდა, ხმელეთზე უფრო ვრცელი, და ტალღები, ოქროსფერს ნაპრის რომ ეხეთქებოდა. ყურებში მილიონობით წლის წინ გაყინული ზვითცემის გამაყრუებელი ხმა ქუხდა. გონებაში ტყეებს, პრერიებსა და იმ განსაცვიფრებელ ცხოველებს აცოცხლებდა, ერთ დროს ადამიანთან ერთად რომ სახლობდნენ დედამიწაზე.

უძველესი ჩანაწერების არქივი უაღრესად მწირი იყო; დიასპარის მცხოვრებნი მიიჩნევდნენ, თუმცა არავინ იცოდა, რატომ, რომ პირველყოფილი ცხოვრების ამსახველი ყველა მოგონება დამყრობლების შემოჭრასა და ქალაქის აშენებას შორის განვლილი დროის რომელიღაცა პერიოდში დაიკარგა. მეხსიერების წაშლის შემდეგ მოგონებათა კვალიც არ დარჩენილა, აბსოლუტური განადგურება შემთხვევითობას ეჭვ ქვეშ აყენებს. კაცობრიობამ წარსული დაკარგა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე, წმინდად ლეგენდარული ხასიათის, ქრონიკას. დიასპარამდე არსებობდა მხოლოდ გარიჟრაჟის საუკუნეები. ამ ამოუცნობ დროით სივრცეში ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც პირველად დაიმორჩილეს ცეცხლი, პირველად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაანთავისუფლეს ატომური ენერგია, პირველად გამოთალეს ხის ტანისგან კანოე და პირველად ესტუმრნენ ვარკვლავებს. დროის უდაბნოს შორეულ მხარეს ეს ადამიანები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ.

ელვინი მარტო აპირებდა სეირნობას, თუმცა განმარტოების უზრუნველყოფა დიასპარში არც თუ ისე ადვილი საქმე გახლდათ. ოთახიდან გამოსულიც არ იყო, რომ ალსიტრას გადააწყდა, რომლესაც არც უცდია, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს შემთხვევით მოხვდა იქ.

ელვინს არასოდეს აზრადაც არ მოსვლია შეემჩნია, თუ რამდენად ლამაზი იყო ალისტრა, რადგან ადამიანური სიმახინჯე არასდროს ენახა. როცა სილამაზე საყოველთაო ხასიათს ატარებს, გულს ვეღარ შესძრავს, ამის ძალა აღარ შესწევს, და მხოლოდ მის არარსებობას შეუძლია გამოიწვიოს ძლიერი ემოციური ეფექტი.

ამ შეხვედრამ ელვინი წამიერად გააღიზიანა, ის ვნებანი გაახსენა, რომელიც აღარ აღელვებდა. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა და თავდაჯერებული იყო, გრძელვადიანი ურთიერთობების აუცილებლობა რომ ეგრძნო. ასეთი კავშირის დამყარება, ალბათ, ზრდასრულ ასაკშიც გაუჭირდებოდა. ყველაზე ინტიმურ მომენტებშიც კი, მასსა და მის საყვარლებს შორის კედელივით აღმართულიყო მისი უნიკალურობის ბარიერი. მიუხედავად ჩამოყალიბებული სხეულისა, მაინც ბავშვი იყო და ბავშვად დარჩებოდა ათწლეულების განმავლობაში, სანამ მისი თანატოლები ერთი მეორის მიყოლებით აღიდგენდნენ წარსული ცხოვრების მოგონებებს და დიდი მანძილით ჩამოიტოვებდნენ უკან. მსგავსი რამ არაერთხელ მომხდარა და ელვინიც წინდახედულობას იჩენდა და ერიდებოდა ვინმეს თავდავიწყებით შეყვარებას. ალისტრაც კი, რომელიც ახლა ძალზედ მიამიტ და უბრალო ადამიანად მოგეჩვენებოდათ, მალე ისეთ მოგონებებს და ტალანტებს შეიძენდა, რაც ელვინის წარმოდგენას აღემატებოდა.

მცირედი გულისწყრომა მალევე გაქრა. თუ ალისტრას მასთან წამოსვლა სურდა, არ არსებობდა არავითარი მიზეზი, რატომაც არ უნდა მოქცეულიყო ასე. ელვინს ხომ ეგოიზმი არ ახასიათებდა და სულაც არ უნდოდა, ძუნწის მსგავსად ჩაბღაუჭებოდა ამ ახალ გამოცდილებას და სხვისთვის არ გაეზიარებინა. პირიქით, ალსიტრას მოსალოდნელი რეაქციები შეიძლება ზოგიერთი რამის უკეთ აღქმაში დახმარებოდა.

სანამ ჩქაროსნული ბილიკი ქალაქის გადაჭედილი ცენტრიდან მიაქროლებდათ, ალსიტრას, რაოდენ უჩვეულოც არ უნდა იყოს, კითხვები არ დაუსვამს. ერთად მიისწრაფოდნენ მაღალი სიჩქარის ცენტრალური სექციისკენ, ისე რომ ერთხელაც არ მოფიქრებიათ მათ ფეხქვეშ გაფენილი სასწაულებისთვის გადაევლოთ თვალი. უძველესი დროის ინჟინერი ჭკუიდან გადავიდოდა, როცა იმის ახსნას შეეცდებოდა, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით მყარ ტროტუარს ნაპირებში უძრაობა შეენარჩუნებინა, მაშინ, როცა მისი შუაგული სტაბილურად მზარდი სიჩქარით მოძრაობდა. თუმცა ელვინისა და ალისტრასთვის ისეთი ნივთიერების არსებობა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც ერთი მიმართულებით მყარ, ხოლო მეორე მიმართულებით სითხის ფორმას იღებდა, სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ირგვლივ აღმოცენებული შენობების სიმაღლე თანდათან იზრდებოდა, თითქოს ქალაქი ბასტიონებს აღმართავდა გარე სამყაროსგან თავის დასაცად. რა საოცარი იქნებოდა, - ფიქრობდა ელვინი, - ამ კოშკივით აშოლტილი შენობების კედლები მოულოდნელად შუშასავით გამჭვირვალე რომ გამხდარიყო და მის მიღმა მჩქეფარე ცხოვრებას დაკვირვებოდა. გარშემორტყმულ სივრცეში ელვინის მეგობრები გაფანტულიყვნენ, ბევრს მათგანს უკვე იცნობდა, ბევრსაც მომავალში გაიცნობდა, და უცნონებიც, რომელთაც ვერასდროს შეხვდებოდა – თუმცა უცნობთა რაოდენობა მეტად მცირე იქნებოდა, ცხოვრების მანძილზე დიასპარის თითქმის ყველა მკვიდრს გაიცნობდა. მათი უმრავლესობა იზოლირებულ ოთახებში იცხოვრებდა, მაგრამ მარტოსულად არასდროს იგრძნობდა თავს, რადგან საკმარისია სურვილი გამოეთქვა, რომ უმალ იმ დიასპარელის გარემოცვაში აღმოჩნებოდა, რომელსაც თანამოსაუბრედ აირჩევდა. გარემოცვაში, რა თქმა უნდა, ფიზიკური მხარე არ იგულისხმებოდა. მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალათ, რადგან ქალაქის დაარსებიდან რეალურსა და წარმოსახვით სამყაროში მომხდარ ყველა მოვლენაზე მიუწვდებოდათ ხელი. ამგვარად მოწყობილი გონების მქონე ადამიანს ასეთი არსებობა სავსებით აკმაყოფილებდა და მის აბსოლუტურ უსარგებლობის შესახებ ჯერ თავად ელვინსაც არ ჰქონდა წარმოდგენა.

რაც უფრო შორდებოდნენ ელვინი და ალისტრა ქალაქის შუაგულს, მით უფრო იკლებდა მის ქუჩებში გამვლელების რაოდენობა და როდესაც მოძრავი ტროტუარი კაშკაშა ფერის მარმარილოთი გაწყობილ გრძელ პლატფორმასთან მიცურდა, ირგვლივ უკვე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მატერიის გაყინულ მორევს გადააბიჯეს, სადაც მოძრავი ბილიკის სუბსტანცია თავის სათავეს უბრუნდებოდა და თვალისმომჭრელი შუქით განათებული გვირაბებით განმსჭვალული კედლის პირდაპირ აღმოჩნდნენ. ელვინმა უყოყმანოდ აირჩია ერთ-ერთი მათგანი და შეაბიჯა, ალისტრაც მიჰყვა. პერისტალტიკურმა ველმა დაუყოვნებლივ აიტაცა ისინი და გააქროლა. ელვინი და ალისტრა მოხერხებულად გადაწვნენ, ისე რომ არც არაფერს დაყრდნობიან და არემარის თვალიერება დაიწყეს.

დაუჯერებელი იყო, რომ გვირაბი მიწის სიღრმეში მდებარეობდა. ხელოვნებას, რომელსაც მთელი დიასპარი მხატვრის ტილოსავით გაეფინა, აქაც შეეღწია და ფრთები გაეშალა, გეგონებოდათ, ზეციური კარიბჭე გახსნილიყოს სამოთხის სიოსთვის. გარს ქალაქის მზეზე მოელვარე ქონგურები შემორტყმოდათ. ეს ელვინისთვის ასე ნაცნობ ქალაქს კი არ ჰგავდა, არამედ გაცილებით უფრო ადრეული ეპოქის დიასპარს მოაგონებდა. მიუხედავად იმისა, რომ მასიური შენობების უმრავლესობა უკვე ენახა, არემარეს მაინც გარკვეული განსხვავებები ახასიათებდა, რაც უფრო მეტ საინტერესო შტრიხს მატებდა პეიზაჟს. ელვინს უნდოდა, მცირედი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხნით შეყოვნებულიყო, მაგრამ ვერაფრით მოეძებნა გვირაბში გადაადგილების შეჩერების მეთოდი.

მალე რაღაც უხილავმა ძალამ ახალგაზრდები უშველებელი ელიფსური დარბაზის შუაგულში რბილად დაუშვა. დარბაზს ყოველი მხრიდან ფანჯრები ერტყა გარს, ფანჯრებს მიღმა კი ყვავილების კაშკაშა ფერებით მოელვარე სამოთხის ბაღების სურათები მოჩანდა, რომლებიც აუტანელი სილამაზით ჭრიდნენ თვალს. დიასპარში ბაღები ჯერ კიდევ შემორჩენილიყო, მაგრამ ესენი მხოლოდ მათი შემქმნელი მხატრის ცნობიერებასა და წარმოსახვაში ცოცხლობდნენ, სინამდვილეში ასეთი ყვავილები დღესდღეობით ბუნებაში არ არსებობდა.

ალისტრა ყვავილების სილამაზეს მოეჯადოებინა. ალბათ ფიქრობდა, ელვინმაც სწორედ ამიტომ მოიყვანა აქ, მათი ცქერით რომ დამტკბარიყვნენ. ერთხანს აკვირდებოდა, როგორ გადადიოდა გოგო მხიარულად ერთი პეიზაჟიდან მეორეზე და სიამოვნებით უზიარებდა ყოველი ახალი აღმოჩენით გამოწვეულ აღტაცებას. დიასპარის პერიფერიებზე გაშლილ ნახევრად მიტოვებულ შენობებში უამრავი ასეთი ადგილი იმალებოდა, რომელსაც უხილავი ძალა ყარაულობდა და ირგვლივ გამეფებულ უზადო წესრიგზე ზრუნავდა. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ცხოვრების ნაკადი ისევ მოაწყდეს აქაურობას, მაგრამ სანამ ეს მოხდება, იდუმალი ბაღი საიდუმლოდ დარჩება და მხოლოდ მათ გულებში იარსებებს.

„გზა უნდა გავაგრძელოთ, - დაარღვია სიჩუმე ელვინმა. – ეს მხოლოდ დასაწყისია.“ ერთ ფანჯარაში გავიდა და მთელი ილუზია დაიმსხვრა. შუშის იქით არავითარი ბაღი არ არსებობდა, მხოლოდ სპირალისებრი გასასვლელი, რომელიც მკვეთრად უხვევდა ზევით. ელვინი ჯერ კიდევ ხედავდა მისგან რამდენიმე ფუტში მდგარ ალისტრას, მაგრამ ალისტრა მას ვეღარ ამჩნევდა. აღარ შეყოვნებულა და რამდენიმე წამში ელვინის გვერდით გასასვლელში აღმოჩნდა.

მათ ფეხქვეშ დაგებული იატაკი ამოძრავდა და ნელი სვლით ცოცვით განაგრძო გზა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, დანიშნულების ადგილამდე მიეყვანა. თავიდან რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, სანამ სიჩქარემ ისე არ იმატა, რომ დამატებითი ძალისხმევის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა.

გასასვლელი ისევ ზევით მიემართებოდა და ასიოდე ფუტის შემდეგ სრული მართი კუთხით მოუხვია. ამ ცვლილების ახსნა მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით შეიძლებოდა, რადგან შეგრძნება სულ სხვა რამეს გკარნახობდა და გეგონა, აბსოლუტურად სწორ ზედაპირის მქონე დერეფანში მიექანებოდი. ის ფაქტი, რომ სინამდვილეში პირდაპირ ზევით მიემართებოდნენ ათასობით ფუტის სიღრმის მქონე შახტაში, არავითარ შიშს არ გვრიდა ახალგაზრდებს, რადგან მაპოლარიზებელი ველის მწყობრიდან გამოსვლა წარმოუდგენელი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც იქნა დერეფანი დაბლა დაეშვა და კიდევ ერთხელ მართი კუთხით მოუხვია. იატაკის მოძრაობის სიჩქარე ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იკლებდა. იატაკმა გრძელი დარბაზის ბოლომდე მიიყვანა, რომლის გასწვრისაც სარკეები ჩაემწკრივებინათ, და გაჩერდა. აქ კი ელვინი მიხვდა, რომ ალისტრას დაჩქარებას აზრი არ ჰქონდა, არა იმიტომ, რომ ევას დროიდან მოყოლებული ქალის ხასიათის ზოგიერთი შტრიხი უცვლელი დარჩა, უბრალოდ, ამ ადგილის მომაჯადოვებელ ძალას ვერავინ გაუძლებდა. რამდენადაც ელვინს მოეხსენებოდა, მთელს დიასპარში მსგავსი არაფერი მოიძებნებოდა. შემოქმედის რაღაც იდუმალი სურვილის მიხედვით, მხოლოდ რამდენიმე სარკე ასახავდა სამყაროს ისეთს, როგორიც სინამდვილეში არის, ესენიც კი – ელვინი დარწმუნებული იყო – მუდმივად იცვლიდნენ მდებარეობას და გამოსახულებას. დანარჩენებიც, რა თქმა უნდა, ასახავდნენ რაღაცას, მაგრამ ცვალებადი და აბსოლუტურად არარეალურ და წარმოსახვით გარემოში სეირნობა გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა.

დროდადრო სარკის მიღმა არსებულ საოცარ სამყაროში ადამიანების მოხეტიალე სილუეტები გაიელვებდნენ ხოლმე, ერთი ორჯერ ელვინისთვის ნაცნობი სახეებიც ამოტივტივდა. კარგად ესმოდა, რომ ეს მისი ამჟამინდელი ცხოვრების ნაცნობ-მეგობრების გამოსახულებები არ გახლდათ. ელვინი უცნობი მხატვრის გონების თვალით დანახულ წარსულში იხედებოდა და იმ ადამიანების წინამორბედ განსახიერებებს აკვირდებოდა, რომლებიც დღევანდელ სამყაროში ცხოვრობდნენ. თავისი უნიკალურობის გახსენებამ სევდა მოჰგვარა, რაც უნდა დიდი ხანი შეყოვნებულიყო ამ ცვალებადი სურათის პირისპირ, საკუთარი თავის უძველეს ექოს მაინც ვერ აღმოაჩენდა.

„იცი, სად ვართ?“ – ჰკითხა ელვინმა ალისტრას, როდესაც სარკეებიანი დარბაზი გაიარეს. ალისტრამ თავი გააქნია.

„ალბათ, სადღაც ქალაქის განაპირას, – უდარდელად უპასუხა ალისტამ. – როგორც ჩანს, ძალიან შორს გავედით, მაგრამ ზუსტად სად ვართ, ვერ გეტყვი.“

„ლორენის კოშკში ვართ,“ – უპასუხა ელვინმა. – ერთ-ერთი ყველაზე მაღალი წერტილია დიასპარში. წამოდი, გაჩვენებ.“ ალისტრას ხელი მოჰკიდა და დარბაზიდან გაიყვანა. ხილული გასასვლელი არ ჩანდა, სამაგიეროდ ზოგიერთ ადგილას იატაკზე გამოხატული სურათი გვერდითი დერეფნების არსებობაზე მიანიშნებდა. საკმარისი იყო, სარკეების ამ წერტილებს მიახლოვებოდი, რომ გამოსახულება მოულოდნელად მანათობელი თაღის ფორმას მიიღებდა, რომლის გავლით სხვა გასასვლელში გადიოდი. ალისტრას მრავალრიცხოვანი ხვეულებისა და მოსახვევების სათვალავი აერია. როგორც იქნა გრძელ და აბსოლუტურად სწორ გვირაბში აღმოჩნდნენ, სადაც ძლიერი და ცივი ქარი უბერავდა. გვირაბი ორივე მიმართულებით ჰორიზონტალურად ასობით ფუტზე გაჭიმულიყო, რომლის ორივე ბოლოში სინათლის პაწაწინა რგოლები მოჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„არ მომწონს აქაურობა, - დაიჩივლა ალისტრამ. – ცივა.“ ალბათ, ცხოვრებაში ნამდვილი სიცივე არ გამოუცდია და ელვინმა დამნაშავედ იგრძნო თავი. უნდა გაეფრთხილებინა, რომ მოსასხამი წამოეღო, თან თბილი, რადგან ტანსაცმელს დიასპარში დეკორატიული ფუნქცია ჰქონდა და სიცივისგან თავის დასაცავად არ გამოდგებოდა.

რადგან დისკომფორტი, რომლესაც ალისტრა განიცდიდა, მთლიანად ელვინის ბრალი იყო, უსიტყვოდ მიაწოდა თავისი მოსასხამი. ეს ჟესტი თავაზიანობას სულაც არ გამოხატავდა; დიდი ხანია, რაც დიასპარში სქესთა შორის სრული თანასწორობა დამკვიდრებულიყო და მსგავს პირობითობას აღარავინ მიმართავდა. პირიქით რომ ყოფილიყო და ელვინს შესცივნოდა, მოსასხამს ალისტრა მიაწოდებდა და ელვინიც, ბუნებრივია, მექანიკურად გამოართმევდა.

მათ ზურგს უკან მქროლავ ქარში სიარული არც თუ ისე უსიამოვნო იყო. მალე გვირაბის ბოლოსაც მიაღწიეს. მოულოდნელად გზა ნაკვეთი ქვისგან გაკეთებულმა გისოსებმა გადაუღობა, გზას ვერ გააგრძელბდნენ, რადგან უფსკრულის პირას აღმოჩნდნენ. სავენტილაციო არხი პირდაპირ ერთ-ერთი ციცაბო კოშკის კედელში გამოდიოდა, მათ ქვემოთ კი სულ მცირე ათასი ფუტის სიმაღლის უფსკრულს დაეღო ხახა. ისინი ქალაქის ბასტიონების მაღლა იმყოფებოდნენ, ცოტას თუ ჰქონია შესაძლებლობა, მის ქვემოთ ხელისგულივით გაშლილი დიასპარი ენახა.

ელვინს იმ ხედის საპირისპირო სურათი წარმოუდგა თვალწინ, რაც პარკის ცენტრში იხილა. ახლა შეეძლო, ზემოდან ეყურებინა ქვისა და მეტალის კონცენტრირებული ტალღებისთვის, რომლებიც უზარმაზარი ზვირთებივით ეშვებოდნენ ქალაქის შუაგულისკენ. შორს კოშკების სილუეტებს ამოფარებული ველები, ხეები და მდინარე მოჩანდა, რომელიც მარადიულ წრეს ურტყამდა ქალაქს. უფრო შორს კი დიასპარის ზეაღმართული ბასტიონები მოჩანდა, ზეცას რომ ებჯინებოდნენ.

ელვინის გვერდით მიმავალი ალისტრა სიამოვნებით აკვირდებოდა პანორამას, თუმცა გაკვირვება არ ემჩნეოდა. დიასპარი უთვალავჯერ ენახა, თანაც სხვადასხვა ხელსაყრელი პოზიციიდან და ამაზე გაცილებუთ უფრო კომფორტულ პირობებში.

„ეს არის ჩვენი სამყარო – მთლიანად, - წამოიძახა ელვინმა. – კიდევ მინდა, რაღაც გაჩვენო.“ გისოსებს მოსცილდა და სინათლის მცირედი, შორეული რგოლისკენ გაემართა, გვირაბის საპირისპირო ბოლოში რომ მოჩანდა. ცივი ქარი სახეში ურტყამდა, ელვინი კი მაინც აგრძელებდა გზას, დისკომფორტის მიუხედავად, და თავდაუზოგავად აპობდა ჰაერის ნაკადს.

პატარა მანძილი რომ გაიარა, მიხვდა, რომ ალისტრა არ აპირებდა, გაჰყოლოდა. გაუნძრევლად იდგა და ელვინს ადევნებდა თვალს, ნათხოვარ მოსასხამს ქარი უფარფატებდა, ცალი ხელი ნახევრად მიეტანა სახესთან და გაეჩერებინა. ელვინი მისი ტუჩების მოძრაობას ამჩნევდა, მაგრამ სიტყვები იქამდე აღარ აღწევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავდაპირველად განცვიფრებით შეხედა, შემდეგ - სიბრალულნარევი მოუთმელობით. ჯეზერაკს სიმართლე უთქვამს. ალისტრა ვერ გაყვებოდა, რადგან მიხვდა, რასაც ნიშნავდა სინათლის შორეული რგოლები, საიდანაც დიასპარში ქარის მუდმივი ნაკადი ქროდა. ალისტრას უკან ნაცნობი, იდუმალებას მოკლებული სამყარო ყვაოდა, რომელიც ბევრ სასწაულს უმზადებდა, თუმცა ვერაფრით გააკვირვებდა და დროის მდინარის დინებას მიუყვებოდა მოელვარე, მაგრამ საგულდაგულოდ დახშული ბუშტივით. წინ კი, სულ რამდენიმე ნაბიჯში, ველური სამყარო, შიშველი უდაბნო – დამპყრობლების ქვეყანა – გაშლილიყო.

ელვინი ალისტრას დაუბრუნდა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ გოგო კანკალს აეტანა.

„რამ შეგაშინა? – ჰკითხა მან. – ისევ დიასპარში ვართ და არავითარი საფრთხე არ გვემუქრება და რადგან შეძელი, იმ ფანჯრიდან გაგეხედა, უკან რომ ჩამოვიტოვეთ, მაშინ ამასაც გაუსწორებ თვალს!“

ალისტრა გაოცებული მისჩერებოდა ელვინს, თითქოს რაღაც უცნაური მონსტრი ყოფილიყოს. მისთვის რომ გეკითხათ, ელვინი მართლაც იდუმალებით მოცულ ურჩხულს ჰგავდა.

„ვერ წამოვალ, - როგორც იქნა უპასუხა ალისტრამ. – ამაზე გაფიქრებაც კი მზარავს და ქარით გამოწვეულ სიცივეზე უფრო ძლიერად მივლის ტანში. ელვინ, ამაზე შორს ნუ წახვალ.“

„ვერავითარ ლოგიკას ვერ ვხედავ!“ – დაჟინებით საყვედურით სავსე ხმით განაგრძო ელვინმა. – რა დაშავდება, დერეფნის ბოლომდე რომ გავიდეთ და უბრალოდ გავიხედოთ? ვიცი, რომ ეს უცნაური და უდაბური ადგილია, მაგრამ საშიში ნამდვილად არაფერია. პირიქით, რაც უფრ დიდხანს ვაკვირდები, მით მეტ სილამაზეს ვხედავ მასში.“

ალისტრამ სიტყვის დასრულებაც არ აცალა. მკვეთრად მიტრიალდა ქუსლებით და გრძელი გასასვლელი ჩაირბინა, რომლემაც ამ გვირაბში მოიყვანა. ელვინს მისი შეჩერება არც უცდია, რადგან საკუთარი ნების სხვაზე თავს მოხვევა დიასპარში ცუდ ტონად ითვლებოდა. დარწმუნების მცდელობაც, როგორც ჩანდა, არავითარ შედეგს არ გამოიღებდა. იცოდა, რომ ალისტრა არ შეჩერდებოდა, სანამ მეგობრებს არ დაუბრუნდებოდა. ქალაქის ურთულეს ლაბირინტებში დაკარგვის საშიშროება არ არსებობდა. იმ გზის აღდგენა, რომელმაც აქამდე მოიყვანა, ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, რადგან ყველაზე ჩახლართული ლაბირინთებიდან თავის დაღწევა ერთ-ერთი იმ უამრავ მიღწევათაგანი იყო, რომელიც ადამიანმა ქალაქებში დასახლების შემდეგ მიაღწია. დიდი ხნის წინათ გადაშენებული ვირთხებიც იძულებული შეიქმნენ, იგივე უნარ-ჩვევები ესწავლათ, როცა მინდვრები დატოვეს და თავიანთი ცხოვრება ადამიანებს დაუკავშირეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი წამით შეჩერდა, თითქოს ალისტრას დაბრუნების იმედი ჰქონდა. გოგოს რეაქცია კი არ გაჰკვირვებია, არამედ მისი სიფიცხე და ირაციონალურობა ვერ გაეგო. მართალია, გულწრფელად ნანობდა ალისტრას წასვლას, მაინც გული დაწყდა, მოსასხამის დაბრუნება რომ დაავიწყდა.

ქალაქის ფილტვებიდან მონაბერი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა დიდ სიძნელეს ქმნიდა, სიცივეს რომ თავი დავანებოთ. ელვინი არა მარტო ჰაერის ნაკადს ებრძოდა, არამედ მის მამოძრავებელ იდუმალ ძალასაც. სანამ ქვის გისოსებს არ მიაღწია და მაგრად არ მოეჭიდა, მოდუნების საშუალება ვერ მისცა საკუთარ თავს. გისოსებს იმდენად მცირე მანძილი აშორებდა ერთმანეთისგან, თავის გასაყოფი ადგილიც ძნელად თუ მოიძებნებოდა და ისედაც მწირ და შეზღუდულ თვალსაწიერს ქალაქის კედელში ნაწილობრივ შეღრმავებული სავენტილაციო არხის შესასვლელი ამცირებდა.

მიუხედავად ამისა, საკმაოდ კარგად არჩევდა ზოგიერთ დეტალს. შორს, ქვემოთ, ათასობით ფუტის მოშორებით, მზე უდაბნოდან მიიპარებოდა. მზის სხივები თითქმის ჰორიზონტალურად აღწევდნენ გისოსებში და გვირაბის სიღრმეში ოქროსფერი შუქ-ჩრდილების ორნამენტებს ხატავდნენ. ელვინმა თვალები მოიჩრდილა, მზის ელვარებისგან რომ დაეცვა მზერა და ქვემოთ ხელისგულივით გაშლილ მიწას მიაშტერდა, სადაც საუკუნეების განმავლობაში ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს სამუდამოდ გაყინულ ზღვას გაჰყურებდა. ქვიშის დიუნების უსასრულო სივრცეები გველებივით იკლაკნებოდნენ დასავლეთისკენ, მათ კონტურებს კი ჩამავალი მზის სხივები ამუქებდნენ და გადაჭარბებულ ფორმებს ანიჭებდნენ. ზოგან ჭირვეულ ქარს ქვიშაში უცნაური მოყვანილობის ჭრილები და არხები გამოეკვეთა, ისე რომ, ზოგჯერ გაგიკვირდებოდათ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ სტიქიის ნახელავია და არა გონიერი არსების შემოქმედება. ძალიან შორს, იმდენად შორს, რომ მანძილის განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა, ოდნავ მომრგვალებული გორაკების ჯაჭვი გაჭიმულიყო. გორაკებმა ელვინს იმედი გაუცრუეს. რას არ გაიღებდა, ოღონდაც უძველეს ჩანაწერებში აღბეჭდილი და საკუთარ სიზმრებში გაცოცხლებული ცაში აჭრილი მწველვალებისთვის შეევლო თვალი.

ჩამავალი მზე ბორცვის კიდეს შეეხო, მისი შუქი ატმოსფეროში გავლილ ასობით მილს შეერბილებინა და გაეწითლებინა. მნათობის დისკზე ორი უზარმაზარი შავი ლაქა მოჩანდა; ელვინს ნასწავლი ჰქონდა, რომ ამგვარი მოვლენები ბუნებაში არსებობდა, მაგრამ გაოცებას ვერ მალავდა, რომ ასე მარტივად მიეცა მათი დაკვირვების საშუალება. ლაქები ორ უშველებელ თვალს მოაგონებდა, რომლებიც დაჟინებით მისჩერებოდნენ თავის სათვალთვალო პუნქტში მიყუჟულ ელვინს, რომლის ყურებშიც დაუღალავი ქარის წუილი ისმოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მწუხრი არ დამდგარა. მზის ჩასვლასთან ერთად, ქვიშის დიუნებში მოთამაშე ჩრდილის გუბეები ნელ-ნელა შეგროვდნენ და მიზანმიმართულად გაერთიანდნენ წყვდიადის ერთ უშველებელ ტბად. ციდან ფერები ჩამოირეცხა; წითელმა და ოქროსფერმა ტონებმა ზეცა ნელ-ნელა დატოვეს და ადგილი არქტიკულ ყინულოვან სიცისფრეს დაუთმეს, რომელიც თანდათან გამუქდა და ღამისეულ სილურჯეში გადაიზარდა. ელვინი სულმოუთქმელად ელოდა იმ ნეტარ წამს, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი – წამს, როდესაც პირველი ვარსკვლავი ციმციმით იბადება.

მრავალი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ადგილს ბოლოჯერ ეწვია და იცოდა, რომ ღამის ცის კამარის სურათი ამასობაში უნდა შეცვლილიყო. მიუხედავად ამისა, შვიდი მზის შესახვედრად მზად მაინც არ იყო.

მათ არ შეიძლება სხვა სახელი ჰქონოდათ; ფრაზა თავისდაუნებურად მოაწვა ტუჩებზე. ჩამავალი მზის მკრთალი შუქის ფონზე შვიდ მზეს პაწაწინა, ძალზედ კომპაქტური და გასაოცრად სიმეტრიული ჯგუფი შეექმნა. ექვსი მათგანი ოდნავ გაბრტყელებული ელიფსის სახით განლაგებულიყო, რომელიც – ელვინი დარწმუნებული იყო – სინამდვილეში სრულყოფილ წრეს წარმოადგენდა და ელიფსად მხოლოდ იმიტომ ჩანდა, რომ მხედველობითი სხივისადმი ოდნავ კუთხით იყო დახრილი. თითოეულ ვასრკვლავს თავისი ფერი ჰქონდა; ელვინი წითელს, ცისფერს, ოქროსფერსა და მწვანეს ცნობდა, დანარჩენი ფერები ვერ გაერჩია. ამ სტრუქტურის აბსოლუტურ ცენტრში მარტოხელა თეთრი გიგანტი განისვენებდა – ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ცის მთელ კამარაზე. მთელი ჯგუფი უზარმაზარ საიუველირო ნაწარმს ჰგავდა; დაუჯერებელად ეჩვენებოდა, და შემთხვევითობის კანონების საზღვრებს სცილდებოდა, რომ ბუნებას ასეთი იდეალური, სრულყოფილი ნიმუშის შექმნა შეეძლო.

როცა თვალები სიბნელეს შეეჩვია, ელვინმა ბურუსის უზარმაზარი საფარი გაარჩია, რომელსაც ერთ დროს ირმის ნახტომი ერქვა. საბურველი ზენიტიდან ჰორიზონტამდე გაშლილიყო და შვიდი მზე საკუთარ ნაკეცებში გაეხვია. მოულოდნელად სხვა ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ, რომელთა შემთხვევითი ხასიათის ჯგუფური განლაგება შვიდეულის უნაკლო სიმეტრიას უსვამდა ხაზს, და მათ სიკაშკაშეში გაეჯიბრდნენ. თითქოს რაღაც უხილავი ძალის ნება ბუნებრივი სამყაროს უწესრიგობას დაუპირისპირდა და ცაზე ვარსკვლავების განლაგებას თავისი დაღი დაასვა.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად დადგა ფეხი დედამიწაზე, გალაქტიკა საკუთარი ღერძის გარშემო არა უმეტეს ათჯერ შემობრუნდა. გალაქტიკის საზომით ეს მხოლოდ მცირედ მონაკვეთს წარმოადგენდა, თუმცა ამ უმნიშვნელო პერიოდის განმავლობაში გალაქტიკა მთლიანად შეიცვალა – შეიცვალა უფრო მეტად, ვიდრე მოვლენათა ბუნებრივი სვლის ლოგიკიდან გამომდინარე შეეძლო. დიდებული მნათობები, რომლებიც ერთ დროს სიყმაწვილისთვის დამახასიათებელი სიამაყითა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ენთუზიაზმით ანათებდნენ, ელვარებას ნელ-ნელა კარგავდნენ და უღიმღამო სიბერისთვის ემზადებოდნენ. მაგრამ ელვინს არასდროს ენახა ზეცა მთელი თავისი უძველესი მშვენიერებით და დაკარგული განძის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა.

სიცივემ, ძვალსა და რბილში რომ აღწევდა, აიძულა ქალაქში დაბრუნებულიყო. ელვინი გისოსებს მოსცილდა და გათოშილ ხელ-ფეხს ზელა დაუწყო, გაყინული სისხლი რომ აემოძრავებინა. წინ, გვირაბის მეორე ბოლოში, დიასპარიდან წამოსული შუქი იმდენად კაშკაშა იყო, რომ ელვინმა ვეღარ გაუძლო და თვალი მოარიდა. ქალაქის საზღვრებს იქით დღეც არსებობდა და ღამეც, მაგრამ მის კედლებში მარადიული დღე იდგა. როცა მზე ცისკიდეს ტოვებდა, დიასპარს ხელოვნური განათება ავსებდა, ისე რომ ვერც ვერავინ ამჩნევდა ბუნებრივი შუქის გაუჩინარებას. ადამიანებმა ქალაქიდან სიბნელე ჯერ კიდევ მანამდე განდევნეს, სანამ ძილის აუცილებლობას დაკარგავდნენ და მის გარეშე ცხოვრებას ისწავლიდნენ. ერთადერთი ეგრედ წოდებული ღამე, რომელიც ოდესმე დგებოდა დიასპარში, იშვიათი და არპოგნოზირებადი სიბნელე გახლდათ, რომელიც დროდადრო ეშვებოდა პარკში და მისტიურ ელფერს სძენდა მას.

ელვინი ნელ-ნელა გაუდგა გზას, რომელმაც სარკეებიანი დარბაზის გავლით აქამდე მოიყვანა, გონებიდან ღამისა და ვარსკვლავების სურათი არ შორდებოდა. ერთსა და იმავე დროს აღფრთოვანებასა და იმედგაცრუებას გრძნობდა. ამ უშველებელ სიცარიელეში გაჭრის ვერანაირი საშუალება ვერ ეპოვნა და ვერც რაიმე გონივრული მიზეზი ასეთი საქციელის გასამართლებლად. ჯეზერაკმა თქვა, ადამიანი დიდხანს ვერ გაძლებს უდაბნოშიო, დაიღუპებაო და ელვინს სჯეროდა, რომ მოხუცი სიმართლეს ეუბნებოდა. შეიძლება ერთ დღესაც დიასპარიდან გაღწევის გზა იპოვოს, მაგრამ ამ შემთხვევევაშიც წინასწარ იცოდა, რომ მალე დაბრუნება მოუწევდა. უდაბნოში გასეირნება სასიამოვნო თავგადასავალი იქნებოდა, არც მეტი, არც ნაკლები, არაფრის მომცემი თავგადასავალი, რომელსაც ვერავის გაუზიარებდა. მაგრამ თუ ეს მოგზაურობა სულიერ სევდას გაუქარვებდა, მაშინ ღირდა უდაბნოს გადალახვა.

ელვინი უმიზნოდ დაბორიალობდა წარსულის აჩრდილებში, თითქოს ნაცნობ სამყაროში დაბრუნება არ ეჩქარებოდა. ერთ-ერთი ყველზე დიდი სარკის წინ შეჩერდა და აკვირდებოდა, როგორ ჩნდებოდა და ქრებოდა მის წაიღში გამოსახულებები. უცნობია, რა უხილავი მექანიზმი წარმოშობდა ამ სურათებს, მაგრამ მათ უთუოდ ელვინის იქ ყოფნა და გარკვეულ წილად მისი ფიქრები მართავდა. სარკეები სიცარიელეს ირეკლავდა, როცა პირველად შევიდა დარბაზში, მაგრამ საკმარისი იყო, რომელიმე მათგანის გვერდზე ჩაეარა, რომ მაშინვე გამოსახულებებითა და მოქმედებებით ივსებოდნენ.

ეგონა, თითქოს გაშლილ მოედანზე იდგა, რომელიც სინამდვილეში არასდროს ენახა, მაგრამ ალბათ მართლაც არსებობდა დიასპარის რომელიღაცა ნაწილში. მოედანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალხით გავსებულიყო, სავარაუდოდ რაღაც შეკრება ჰქონდათ. მომაღლებულ პლატფორმაზე ორი მამაკაცი ასულიყო და თავაზიანად კამათობდა რაღაც საკითხზე, მათი მხარდამჭერები კი გარს შემორტყმოდნენ და პერიოდული რეპლიკებით ერთვებოდნენ საუბარში.

სრული სიჩუმე ხიბლს მატებდა მოქმედებას, წარმოსახვა კი მაშინვე შეუდგა დიალოგისთვის საჭირო ბგერების უზრუნველყოფას. ნეტავ რაზე კამათობდნენ? შეიძლება ეს რეალური სცენა კი არ იყო წარსულიდან, არამედ – პირწმინდად გამოგონილი ეპიზოდი. ზედმიწევნით ზუსტად განლაგებული ფიგურები, მოხდენილი, ოდნავ გადაჭარბებული მოძრაობები მოქმედებას თეატრალურობას სძენდა, რაც რეალური ცხოვრებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი იყო.

ელვინი შეკრებილებს აკვირდებოდა, ცდილობდა ნაცნობი სახეები ამოეცნო, მაგრამ უშედეგოდ. შეიძლება იმ მეგობრების სახეებსაც უყურებდა, ვისაც საუკუნეების განმავლობაში ვერ შეხვდებოდა. ადამიანის გარეგნობის რამდენი შესაძლო ვარიანტი და სახე არსებობს? მათი რიცხვი უზარმაზარი იყო, მაგრამ არა უსასრულო, განსაკუთრებით ახლა, როცა ნაკლებად ესთეტიკური ვარიაციები აღმოეფხვრათ.

სარკის მიღმა ხალხი თავის დიდი ხნის წინათ მივიწყებულ დებატებს განაგრძობდა და ყურადღებას არ აქცევდნენ შორის მდგარი ელვინის უძრავ გამოსახულებას. სრულყოფილი ილუზიის გამო, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ თავად ელვინი სცენის რეალურ თანამონაწილეს არ წარმოადგენდა. როდესაც სარკეში რომელიღაცა ფანტომი ელვინის უკან გაივლიდა, ელვინის ფიგურა ისევე ფარავდა მას, როგორც რეალურ ადამიანს, ხოლო თუ ვინმე ელვინს წინ გადაეღობებოდა მაშინ, პირიქით, ელვინის ფიგურა იფარებოდა.

უკვე წასვლას აპირებდა, როცა ძირითადი ჯგუფისგან ოდნად მოშორებით მდგარი, უჩვეულოდ ჩაცმული კაცი შენიშნა. ყველაფერი უცნობის გარეგნობაში, მისი ქცევა, ტანსაცმელი, იქ შეკრებილთაგან აშკარად განსხვავდებოდა, ხალხის საერთო სტილში ვერ ჯდებოდა და სურათის ჰარმონიას არღვევდა. სხვებთან შედარებით ისეთივე ანაქრონიზმს წარმოადგენდა, როგორიც ელვინი იყო.

მაგრამ რაც ყველაზე საკვირველი იყო, რეალური ადამიანი გახლდათ და ელვინს დამცინავი ღიმილით ათვალიერებდა.

თავი V

თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ელვინმა დიასპარის მცხოვრებთა მხოლოდ მეათასედი ნაწილის გაცნობა თუ მოასწრო. ამიტომ არც გაჰკვირვებია, რომ მის წინ მდგარი კაცი სრულიად უცნობი იყო. ყველაზე მეტად იმ ფაქრს გაეოცებინა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ამ მიტოვებულ კოშკში, იდუმალების საზღვართან, რეალური ადამიანის ნახვის საშუალება მიეცა.

სარკის მიღმა არსებულ სამყაროს ზურგი შეაქცია და დაუპატიჟებელ სტუმარს მიუბრუნდა, მაგრამ უცნობმა ხმის ამოღება არ დააცადა და პირველმა მიმართა.

„შენ, ალბათ, ელვინი ხარ. ამას მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, როცა გავიგე, რომ აქ ვიღაცა მოდიოდა.“

უცნობი ამ სიტყვებით სულაც არ აპირებდა ელვინის წყენინებას; უბრალოდ ფაქტს ადასტურებდა და ელვინმაც სწორად გაუგო. არ გაჰკვირვებია, რომ იცნეს; მოსწონდა თუ არა, მისი უნიკალურობისა და მასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობების გამო მთელი ქალაქი იცნობდა.

„მე ხედრონი ვარ, - განაგრძო უცნობმა, თითქოს ეს სიტყვები ყველა საიდუმლოს ფარდას ხდიდა. – მასხარას მეძახიან.“

ელვინი შეცბუნებული სახით უყურებდა. ხედრონმა მხრები აიჩეჩა დამცინავი და მოჩვენებითი გულისწყრომით.

„ოჰ, ეს სახელი და დიდება. თუმცა, ახალგაზრდა ხარ და არ იცი, მასხარა რა არის. ალბათ, ცხოვრებას ჯერ არ გაუმასხრებიხარ, ამიტომაც უცოდინრობა გეპატიება.“

ხედრონის უჩვეულობა დადებით ემოციებს იწვევდა. ელვინმა გონების არქივები გადაქექა უცნაური სიტყვის „მასხარას“ ძიებაში; ძებნამ რაღაც შორეული და ამოუცნობი მოგონებები გააღვიძა, მაგრან ელვინმა ვერაფრით დაადგინა, ზუსტად რომელი. ქალაქის რთულ სოციალურ სტრუქტურაში იმდენი ასეთი ტიტული და სახელი არსებობდა, რომ მათ დამახსოვრებას მთელი ცხოვრება მოუნდებოდა.

„აქ ხშირად მოდიხარ ხოლმე?“ – ჰკითხა ელვინმა მცირედი ეჭვით. ლორენის კოშკს უკვე თავის საკუთრებად მიიჩნევდა და ოდნავ აღიზიანებდა კიდევაც, რომ მის სასწაულებს სხვა ეზიარა. საინტერესოა, - გაიფიქრა ელვინმა, - ნეტა ხედრონს თუ უნახავს უდაბნო ან თუ დაკვირვებია, როგორ ეშვებიან ვარსკვლავები დედამიწის დასავლეთის კიდეზე?

„არა, - უპასუხა ხედრონმა, თითქოს მის გულში დასმულ კითხვას პასუხი გასცა. – აქ არასდროს ვყოფილვარ. მაგრამ დიდი სიამოვნებით ვადევნებ თვალს-ყურს და ვეცნობი ქალაქის ამა თუ იმ შემთხვევებს, თანაც კარგა ხანია, ლორენის კოშკში ფეხი არ დაუდგამს არავის.“

ელვინს ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, როგორ გაიგო ხედრონმა მისი წინა ვიზიტების შესახებ, მაგრამ მალევე მოეშვა ამაზე ფიქრს. დიასპარი ყოველი მხრიდან თვალებით, ყურებითა და იმ მრძნობიარე ორგანოებით გახლდათ გარსშემორტყმული, რომლებიც დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიდნენ ქალაქს იმის შესახებ, რაც მის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კედლებს შიგნით ხდებოდა. რა თქმა უნდა, ამ წყაროების მოძიება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო.

„დავუშვათ, რომ აქ მოხვედრა მართლა უჩვეულო ამბავია, - წარმოთქვა ელვინმა, თითქოს თავის დაცვას ცდილობდა, - და მაინც რატომ უნდა გაინტერებდეს?“

„იმიტომ, რომ ყველაფერი უჩვეულო, რაც დიასპარში ხდება, - აუხსნა ხედრონმა, - ჩემი პრეროგატივაა. სხვებისგან დიდი წინ გამოგარჩიე; ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, აუცილებლად შევხვდებოდით. გარკვეულ წილად მეც უნიკალური ვარ. არა, იმ კუთხით არა, როგორც შენ: ანუ ეს ჩემი პირველი ცხოვრება არ არის ამ სამყაროში. შემოქმედის დარბაზიდან ათასჯერ მაინც გამოვსულვარ. მაგრამ ერთ შორეულ დროს, სულ დასაწყისში მასხარას როლი დამაკისრეს, დიასპარში კი ერთდროულად მხოლოდ ერთი მასხარა უნდა ცხოვრობდეს, თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ერთიც ზედმეტია.“

ხედრონის ლაპარაკს ირონიის მარცვალი არ შორდებოდა, რაც ელვინის დაბნეულობას და გაოცებას კიდევ უფრო აძლიერებდა. პირდაპირი და პირადი კითხვების დასმა მაინცდამაინც კარგ ტონად არ ითვლებოდა, მაგრამ მასხარამ თავად წამოჭრა ეს საკითხი.

„მაპატიე ჩემი უვიცობა, - მოიბოდიშა ელვინმა. – მაგრამ რას ნიშავს მასხარა და რას აკეთებს?“

„შენ სვამ კითხვას ‘რა’, - უპასუხა ხედრონმა, - მე კიდევ იმით დავიწყებ, რომ ვუპასუხებ კითხვას ‘რატომ’. გრძელი ისტორია კია, მაგრამ მე ვფიქრობ, დაგაინტერესებს.“

„მე ყველაფერი მაინტერებს,“ – გულწრფელად მიუგო ელვინმა.

„მშვენიერია. დიასპარის შემქმნელი ადამიანები – თუ ისინი მართლა ადამიანები იყვნენ, რაც ზოგჯერ მეეჭვება – დაუჯერებლად რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. დიასპარი, როგორც მოგეხსენება, მარტო მანქანა კი არა, ცოცხალი, და ამავე დროს, უკვდავი ორგანიზმია. იმდენად მივეჩვიეთ ჩვენს საზოგადოებას, რომ ვერც კი წარმოვიდგენთ, რაოდენ უცნაურად მოეჩვენებოდათ ის ჩვენს პირველყოფილ წინაპრებს. პატარა, ჩაკეტილ სამყაროში ვცხოვრობთ, რომელიც ფაქტიურად არც იცვლება, უმცირეს დეტალებს თუ არ ჩავთვლით, და საუკუნეების განმავლობაში აბსოლუტურ სტაბილურობას ინარჩნებს. დიასპარმა თავისი არსებობის ხანგრძლივობით მთელი კაცობრიობის ისტორიას გადააჭარბა – თუმცა, ამ ისტორიის მსვლელობისას, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ, მრავალი ათასი კულტურა და ცივილიზაცია წარმოშობილა, გარკვეული ხანი უცოცხლია და აღგვილა პირიგან მიწისა. როგორ მიაღწია დიასპარმა ამ იდეალურ სტაბილურობას?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინს ვერ დაეჯერებინა, რომ ვინმეს ასეთი ელემენტარული კითხვის დასმა შეეძლო და რაიმე ახლის გაგების იმედმა ნელ-ნელა ძალა დაკარგა.

„რა თქმა უნდა, მეხსიერების საცავების მეშვეობით, - განუმარტა ელვინმა. – დიასპარი ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანებისგან შედგება, თუმცა საზოგადოების დაჯგუფებების სტრუქტურა იცვლება, როცა მათი ფიზიკური სხეულები იქმნება ან ნადგურდება.“

ხედრონმა თავი გადააქნია.

„ეს პასუხის მხოლოდ მცირედი და უმნიშვნელო ნაწილია. აბსოლუტურად ერთი და იგივე ადამიანებისგან საზოგადოების მრავალი განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბება შეიძლება. ამის დამტკიცება არ შემიძლია, რადგან პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები არ მაქვს, მაგრამ მჯერა, რომ ეს სიმართლეა. ქალაქის შემქმნელებმა არა მარტო მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრეს, არამედ მისი ქცევის მართვის კანონები შეიმუშავეს. ჩვენ ხშირ შემთხვევაში არც კი ვაცნობიერებთ მათ არსებობას, მაგრამ ძალაუნებურად ვემორჩილებით. დიასპარი დროში გაყინულ კულტურას წარმოადგენს, რომელსაც არ ძალუძს თავისი ვიწრო საზღვრების გარღვევა და მხოლოდ საზღვრებს შიგნით იცვლება. მეხსიერების საცავებში ჩვენი ფიზიკური სხეულებისა და პიროვნებების ნიმუშების გარდა კიდევ ბევრი სხვა რამ ინახება. რეზერვუარები თავად ქალაქის ფორმულას იცავენ, მისი ატომების უძრაობას ინარჩუნებენ და არ აძლევენ დროს იმის საშუალებას, თავისი ხელი დაატყოს მის ძირითად სტრუქტურას. მაგალითისთვის ამ ტროტუარს შეხედე – მილიონობით წლის წინ დაუგიათ და უამრავ ფეხს გაუთელია. ამჩნევ ცვეთის რაიმე ნიშანს? ნებისმიერი დაუცველი ნივთიერება, რაც არ უნდა მყარი იყოს, დიდი ხნის წინ იქცეოდა მტვრად. მაგრამ იქამდე, სანამ მეხსიერების საცავების მართვისა და ფუნქციოენირებისთვის საჭირო ენერგია არსებობს, და სანამ მასში თავმოყრილ მატრიცებს ქალაქის სტრუქტურის კონტროლის ძალა შესწევთ, დიასპარის ფიზიკური მხარე არასდროს შეიცვლება.“

„მაგრამ რაღაც ცვლილება მაინც მოხდა, - შეეწინააღმდეგა ელვინი. – ქალაქის დაარსებიდან მოყოლებული უამრავი შენობა გადაკეთდა ან მათ ადგილას ახალი აღმოცენდა.“

„რა თქმა უნდა – მაგრამ მხოლოდ მეხსიერების საცავებში დაცული ინფორმაციის წაშლისა და მისი ახალი ფორმულების ჩანაცვლების შედეგად. რაც არ უნდა იყოს, ეს მაგალითი იმ საშუალების უკეთ ასახსნელად გამოვიყენე, რომელსაც ქალაქი თავისი ფიზიკური მხარის შესანარჩუნებლად იყენებს. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ დიასპარში ანალოგიური მანქანები არსებობენ, რომლებიც ჩვენს სოციალურ სტრუქტურას იცავენ. ისინი თითოეულ ცვლილებას აკვირდებიან და მანამდე ასწორებენ, სანამ სერიოზულ ხასიათს მიიღებს. როგორ ახერხებენ ამას? არ ვიცი – შეიძლება იმათი შერჩევით, ვინც შემოქმედის დარბაზში ჩნდებიან. შეიძლება ჩვენს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინდივიდუალურ მატრიცებს აკონტროლებენ და მათში ცვლილებები შეაქვთ; ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისუფალი ნება გვამოძრავებს, მაგრამ ვართ კი ამაში დარწმუნებული?

„ასეა თუ ისე, საკითხი გადაწყდა. დიასპარი გადარჩა და მშვიდობიანად და უვნებლად გამოიარა საუკუნეები, როგორც გიგანტურმა გემმა, რომლესაც ტვირთად ადამიანთა მოდგმის ის ნაწილი მოაქვს, ჟამთა სვლას რომ გაუძლო. მართალია, ეს სოციალური ინჟინერიის გრანდიოზულ მიღწევას წარმოადგენს, მაგრამ ღირდა კი ამ ყველაფრის წამოწყება, კიდევ სხვა საკითხია.“

„მხოლოდ სტაბილურობა საკმარისი არაა. მას ადვილად მივყავართ სტაგნაციამდე, რასაც შემდეგ უსათუოდ დაცემა მოსდევს. ქალაქის შემქმნელებმა გაითვალისწინეს ეს და მიზანმირათული ზომები მიიღეს რეგრესის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ეს მიტოვებული შენობები ცხადყობს, რომ მათ საწადელს ბოლომდე ვერ მიაღწიეს. მე, მასხარა ხედრონი, ამ გეგმის ნაწილი გახლავართ, თუმცა მისი მეტად მცირედი ნაწილი. რა თქმა უნდა, მირჩევნია ვიფიქრო, რომ ასე არ არის, მაგრამ ამას ვერაფრით დავამტკიცებ.“

„და რას გულისხმობს შენი მონაწილეობა?“ – იკიხა ელვინმა, რომელიც ბოლომდე ვერ გარკვეულიყო თანამოსაუბრის ლაპარაკში და ეს იდუმალება ოდნავ აღიზიანებდა კიდევაც.

„მოდი ასე ვთქვათ, ქალაქში გათვლილი ოდენობის არეულობა შემომაქვს. ჩემი ქმედებების ახსნა მათ ეფექტურობას მოუღებს ბოლოს. სჯობს ჩემი მცირერიცხოვანი საქმეებით განმსაჯოთ, ვიდრე ჩემი მრავალრიცხოვანი სიტყვებით.“

ელვინი ხედრონისნაირ ადამიანს არასდროს შეხვედრია. მასხარა ნამდვილი პიროვნება იყო – ადამიანი, რომელიც ერთი თავით მაღლა იდგა დიასპარისთვის დამახასიათებელი ერთსახოვნების საერთო დონისგან. თუმცა, იმის გარკვევის იმედი, თუ რაში მდგომარეობდა მისი მოვალეობები ან როგორ ასრულებდა მათ, ფაქტიურად გაქრა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ, - გრძნობდა ელვინი, - როგორც იქნა, შეხვდა ადამიანს, ვისაც შეიძლება, დაელაპარაკოს – როდესაც მის მონილოგში პაუზის დრო დადგებოდა – და იმ კითხვებზე პასუხი მიიღოს, რომლებიც დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევენ.

ერთად დაუყვნენ ლორენის კოშკის დერეფნებს, და მალე გარეთ, მიტოვებული მოძრავი ბილიკის გვერდით აღმოჩნდნენ. როცა ისევ ქალაქის ქუჩებში მოხვდნენ, მხოლოდ მაშინ მოუვიდა ელვინს აზრად, რომ ხედრონს არც კი უკითხავს, რას აკეთებდა იქ, იდუმალების საზღვართან. გუმანით ხვდებოდა, რომ ხედრონმა იცოდა, მართალია აინტერესებდა, მაგრამ არ გაჰკვირვებია. ინტუიცია კარნახობდა, რომ მასხარას გაოცება არც თუ ისე ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინდექსები გაცვალეს, რათა სურვილის შემთხვევაში ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება მისცემოდათ. ელვინს ერთი სული ჰქონდა, ხედრონს როდის შეხვდებოდა, თან შიშობდა, რომ ხშირი და ხანგრძლივი შეხვედრები მოსაბეზრებელი და დამქანცველი იქნებოდა. თუმცა, მორიგ შეხვედრამდე სურდა, გაეგო, რას ფიქრობდნენ მასხარას შესახებ მისი თანატოლები და განსაკუთრებით ჯეზერაკი.

„მომავალ შეხვედრამდე," – დაემშვიდობა ხედრონი და უმალვე გაუჩინარდა. მასხარას საქციელმა ელვინი გარკვეულწილად გააღიზიანა. თუ ადამიანს ხორცშესმული კი არ ხვდებოდი, არამედ საკუთარი თავის პროექტირებული გამოსახულების სახით, მიზანშეწონილად ითვლებოდა, რომ თანამოსაურე ამის შესახებ თავიდანმე გაგეფრთხილებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე მხარე, რომელმაც სიმართლე არ იცის, შეიძლება მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. სავსებით შესაძლებელია, ხედრონი მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარ სახლში მოკალათებული ესაუბრებოდა – სადაც არ უნდა ცხოვრობდეს. ინდექსი, რომელიც ელვინს მისცა, ნებისმიერი გზავნილის ადრესატამდე მისვლას უზრუნველყოფდა, მაგრამ ხედრონის ფიზიკურ მისამართს არ წარმოადგენდა. თუმცა ეს მიღებულ ნორმებს შეესაბამებოდა. ინდექსის ნომერი შეგეძლოთ თამამად დაგერიგებინათ, მაგრამ მისამართს მხოლოდ უახლოეს მეგობრებს უმჟღავნებდით.

ქალაქში მიმავალი ელვინი მთელი გზა ხედრონის მონაყოლზე ფიქრობდა დიასპარისა და მისი სოციალური წყობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ არასდროს არ შეხვედრია ქალაქში თავისი ცხოვრების წესით უკმაყოფილო ადამიანი. დიასპარი და მისი მაცხოვრებლები საერთო ყოვლისმომცველი გეგმის ნაწილებად შეექმნათ და იდეალურ სიმბიოზს შეადგენდნენ. მრავალწლიანი ცხოვრების განმავლობაში დიასპარელები არასოდეს იწყენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გარდასული საუკუნეების საზომით, მათი სამყარო ერთი ბეწო იყო, მისი სირთულე და მრავალფეროვნება, სასწაულების საგანძური და აურაცხელი სიმდიდრე წარმოდგენას აღემატებოდა. აქ ადამიანს საკუთარი გენიის ყველა ნაყოფი მოეკრიფა, ყველაფერი, რაც კი წარსულის ნანგრევებს გადაურჩა. ამბობდნენ, რომ დიასპარის მშენებლობაში ყველა ოდესღაც არსებულ ქალაქს შეუტანია თავისი წვლილი; დამპყრობელთა მოსვლამდე მის სახელს ადამიანის მიერ დაკარგულ ყველა სამყაროში იცნობდნენ. დიასპარის მშენებლობაში იმპერიის მთელი ხელოვნება, გამოცდილება და შემოქმედებითი ნიჭი ჩააქსოვეს. როდესაც დიდებული დღეები დასასრულს უახლოვდებოდნენ, უძველესმა გენიოსებმა ქალაქს ახალი ფორმა მიანიჭეს და სპეციალური მანქანებით აღჭურვეს, რითაც უკვდავი გახადეს. ყველაფერი შეიძლება დავიწყებას მიეცეს, მაგრამ დიასპარი მაინც იარსებებს, რათა ადამიანის შთამომავლები დროის დინებისგან დაიცვას.

ვერაფერს მიაღწიეს, გარდა გადარჩენის შესაძლებლობისა, რაც სავსებით აკმაყოფილებდათ. საქმიანობის უამრავი სფერო არსებობდა, რითაც შეეძლოთ თავი შეექციათ და შემოქმედის დარბაზიდან ზრდასრული სახით გამოსლასა და ქალაქის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეხსიერების საცავებში ოდნავ დაბერებული სახით დაბრუნებას შორის გავლებული დროის შუალედი მონაკვეთი შეევსოთ. სამყაროში, სადაც მამაკაცები და ქალები ისეთი გონებით დაეჯილდოვებინათ, რომელიც ადრე მხოლოდ გენიოსების ხვედრი გახლდათ, მოწყენის საშიშროება არავის ემუქრებოდა. საუბრითა და კამათით მიღებული სიამოვნება, სოციალური ურთიერთობების სფეროსთვის დამახასიათებელი დახვეწილი ფორმალობები საკმარისი იყო ცხოვრების უმეტესი ნაწილის ნაყოფიერად გასატარებლად. გარდა ამისა, გრანდიოზული ოფიციალური დისკუსიები ეწყობოდა, სადაც მთელი ქალაქი მოჯადოვებული ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ იწვევდნენ დიასპარის ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნეები ერთმანეთს ბრძოლის ველზე ან ცდილობდნენ, ფილოსოფიის დაუმარცხებელი მწვერვალები დაეპყროთ, რომლებიც განუწყვეტლივ იქცევდნენ ადამიანის გონების ყურადღებას და ორთაბრძოლაში იწვევდნენ.

დიასპარში ყველას თავისი ყოვლისმომცველი ინტელექტუალური ინტერესი და გატაცება ამოძრავებდა. მაგალითად, ერისტონი თავისი დროის დიდ ნაწილს ცენტრალურ კომპიუტერთან ხანგრძლივ საუბრებს უთმობდა. კომპიუტერი, მართალია, ქალაქს ვირტულაურად მართავდა, მაგრამ მაინც იცლიდა უამრავი ერთდროული დისკუსიების გასამართავად ყველასთან, ვინც კი მასთან გონიერებაში შეჯიბრებას მოისურვებდა. სამასი წლის განმავლობაში ერისტონი ლოგიკური პარადოქსების ჩამოყალიბებას ცდილობდა, რომელსაც მანქანა ვერ გაუმკლავდებოდა. სერიოზული პროგრესის იმედი არც ჰქონდა, ამისთვის, სავარაუდოდ, კიდევ რამოდენიმე ცხოვრება დასჭირდებოდა.

ეთანიას ინტერესები უფრო ესთეტიკურ ხასიათს ატარებდა. მატერიის ორგანიზატორების დახმარებით, ისეთი სირთულისა და სილამაზის სამ განზომილებიან გადახლართულ ფიგურებს ქმნიდა, რომლებიც მხოლოდ ხელოვნებას აღარ წარმოადგენდნენ და სერიოზულ ტოპოლოგიურ პრობლემებს ჭრიდნენ. მის ნამუშევრებს მთელს დიასპარში განფენილს შეხვდებოდით, ზოგიერთი ნაწარმოები საფუძვლად დაედო ქორეორგაფიის დიდი დარბაზის იატაკის მოხატულობას და საბალეტო ხელოვნების ახალი ნიმუშებისა და საცეკვაო მოტივების შექმნას უწყობდა ხელს.

ინტელექტუალურ დახვეწილობას მოკლებულ ადამიანებს, რომელთაც არ შესწევდათ ძალა ხელოვნების ამგვარი სინატიფე შეეფასებინათ, მსგავსი საქმიანობა შეიძლება მოსაწყენად და უნაყოფოდ მიეჩნიათ. მაგრამ დიასპარში ნებისმიერი მიხვდებოდა, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც, რისკენ მიისწრაფოდნენ და რას ისახავდნენ მიზნად ერისტონი და ეთანია, თანაც ქალაქში ყველას ჰქონდა თავისი, ასეთივე ძლიერი, გატაცება.

ათლეტიკა და სპორტის სხვადასხვა სახეობები, მათ შორის ბევრი ისეთიც, რომელიც გრავიტაციის დაუფლებამ გახადა შესაძლებელი, ახალგაზრდობის პირველ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საუკუნეებს ალამაზებდა და უფრო მიმზიდველს ხდიდა. თავგადასავლის მაძიებლებისა და წარმოსახვის ვარჯიშის მსურველებისთვის საგები შესანიშნავ გამოსავალს წარმოადგენდა, რადგან ადამიანის ყველანირ ფანტაზიას ასხამდა ფრთებს. საგები გარდაუვალი შედეგი გახლდათ რეალობისკენ მისწრაფებისა, რომელიც მაშინ დაიწყო, როდესაც ადამიანებმა მოძრავი გამოსახულებების რეპროდუქციითა და ბგერების ჩაწერით დაინტერესდნენ და შემდეგ ამ მეთოდებს რეალური და წარმოსახვითი ცხოვრებიდან აღებული სცენების განსახიერებისთვის იყენებენ. საგებით მიღწეული ილუზია სრულყოფილი იყო, რადგან ყველა გრძნობითი შთაბეჭდილებები უშუალოდ გონებას მიეწოდებოდა, ხოლო წინააღმდეგობრივი ემოციები აღმოიფხვრებოდა ხოლმე. სანამ თავგადასავალი გრძელდებოდა, მოჯადოვებული მაყურებელი რეალობას სწყდებოდა; სინამდვილეში სიზმარში ცხოვობდა, თუმცა ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს ყველაფერი ცხადში ხდებოდა.

სტაბილურობისა და წესრიგის სამყაროში, რომლის ძირითადი ნიშნები უცვლელი რჩებოდა მილიარდობით წლის განმავლობაში, შემთხვევითობაზე დაფუძნებული თამაშებისადმი ყოვლისმომცველი მისწრაფების აღმოჩენა არც თუ ისე გასაკვირი ამბავი იყო. კაცობრიობას ყოველთვის ხიბლავდა ნასროლი კამათლების, გაშლილი კარტისა და მბრუნავი რულეტის საიდუმლოება. ამ ინტერესის სათავეს უბრალო სიხარბე წარმოადგენდა – გრძნობა, რომელიც დაუშვებელია ისეთ სამყაროში, სადაც ადამიანს ყველაფერი აქვს, რაც კი მისი რაციონალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. მაგრამ სიხარბის აღმოფხვრის მიუხედავად, შემთხვევითობის წმინდად ინტელექტუალური ხიბლი მაინც აგრძელებდა არსებობას და ყველაზე დახვეწილი გონების მქონე ადამიანების ცდუნებას. შემთხვევითობის პრინციპებით მომუშავე მანქანები, მოვლენები, რომელთა შედეგების წინასწარ ვერ განსაზღვრავდი, მიუხედავად იმისა, თუ რა მოცულობის ინფორმაციას ფლობ – ყველაფერი ეს ფილოსოფოსსა და მოთამაშეს ერთნაირ სიამოვნებას ანიჭებდნენ.

დაბოლოს, არსებობდა ურთიერთდაკავშირებული სიყვარულისა და ხელოვნების სამყაროები, რომელთა გაზიარებაც ყველას შეეძლო. ურთიერთდაკავშირებული იმიტომ, რადგან სიყვარული ხელოვნების გარეშე მხოლოდ და მხოლოდ სურვილის დაკმაყოფილებაა, ხოლო ხელოვნების ჭეშმარიტი აღქმა შეუძლებელია, თუ მას სიყვარულის კუთხიდან არ შეხედავ.

ადამიანი ყველგან ეძებდა სილამაზეს – ბგერების თანმიმდევრობაში, ქაღალდზე გავლებულ ხაზებში, ქვის ზედაპირებზე, ადამიანის სხეულის მოძრაობებში, სივრცეში გაბნეულ ფერთა პალიტრაში. სილამაზის გამოხატვის ეს საშუალებები არსებობას დიასპარში აგრძელებდა, ხოლო საუკუნეების განმავლობაში მათ ახალი მეთოდები დაემატა. და მაინც, არავის შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, რომ ხელოვნების ყველა საშუალება ამოიწურა ან არსებობს თუ არა ადამიანის ცნობიერების მიღმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგივე სიყვარულსაც ეხებოდა.

თავი VI

ჯეზერაკი ციფრების მორევში მოკალათებულიყო. ორობით კოდში გამოხატულმა პირველმა ათასმა მარტივმა რიცხვმა, მის წინ მარშით, მწყობრში ჩაიარეს. ჯეზერაკის თვალწინ ერთეულებისა და ნულების უსასრულო მწკრივი მიიწევდა და იმ ციფრების სრულ თანმიმდევრობას წარმოუდგენდა, რომელთაც საკუთარი თავისა და ერთის გარდა სხვა მამრავლები არ გააჩნდათ. მარტივ რიცხვებში საიდუმლო იმალებოდა, რომელიც ყოველთვის იზიდავდა ადამიანს და დღესაც მოსვენებას არ აძლევს მის წარმოსახვას.

ჯეზერაკი მათემატიკოსი არ იყო, თუმცა ხანდახან სჯეროდა, რომ მათ რიცხვს ეკუთვნოდა. ერთადერთი მარტივი რიცხვების უსასრულო მწკრივებში ქექვა შეეძლო, რათა მათში განსაკუთრებული ურთიერთმიმართებები და წესები მოეძებნა, რომლებსაც შემდგომ უფრო ნიჭიერი ადამიანები საერთო კანონებად აქცევდნენ. ჯეზერაკი ციფრების მოქმედების სპეციფიკას ამჩნევდა, მაგრამ მათი ქცევის მიზეზი ვერაფრით აეხსნა. არითმეტიკულ ტევრებში გზის გაჭრა უდიდეს სიამოვნებას გვრიდა, ზოგჯერ ისეთ სასწაულს აღმოაჩენდა ხოლმე, რომელიც მასზე უფრო გამოცდილ მკვლევარებს გამორჩენოდათ.

ჯეზერაკმა ყველა შესაძლო მთელი რიცხვის მატრიცა შექმნა და ისე დააპროგრამა თავისი კომპიუტერი, რომ ბადისებრი სიბრტყის ზედაპირზე მარტივი რიცხვები ბადის კვანძებში მძივების მსგავსად ჩამოემწკრივებინა. ჯეზერაკს ეს ბევრჯერ გაუკეთებია, მაგრამ ჯერჯერობით ვერავითარი შედეგი ვერ მიიღო. მოხუცი მოხიბლული ადენებდა თვალს მთელი რიცხვების სპექტრში, სავარაუდოდ, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე, მიმობნეულ მარტივ რიცხვებს. და მიუხედავად იმისა, რომ მათი განაწილების კანონები იმ დროისთვის უკვე აღმოეჩინათ, ჯეზერაკს მაინც სჯეროდა, რომ ახალი კანონების აღმოჩენას შეძლებდა.

ჯეზერაკი ნამდვილად ვერ დაიჩივლებდა, რომ მოაცდინეს. თუ უნდოდა, რომ ვინმეს მისთვის მყუდროება არ დაერღვია, კომპიუტერისათვის, რომელიც სტუმრის მოსვლას შეატყობინებდა, შესაბამისი ბრძანება უნდა მიეცა. როდესაც ზარის მელოდიური წკრიალი გაისმა, რიცხვების კედელი შეკრთა, ციფრები ერთმანეთში აირივნენ და ჯეზერაკი უმალ რეალურ სამყაროს დაუბრუნდა.

ჯეზერაკმა ხედრონი მაშინვე იცნო და მაინც და მაინც არ გახარებია მისი ხილვა. არ უყვარდა, როდესაც ვინმე მისი ცხოვრების განსაზღვრულ რიტმს არღვევდა, განსაკუთრებით ხედრონი, რომლის მოულოდნელობის განსახიერებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ჯეზერაკმა სტუმარი თავაზიანად მიიღო და მღელვარების ნიშნების დამალვას შეეცადა.

როდესაც დიასპარში ორი ადამიანი ერთმანეთს პირველად, ან მეასედ, ხვდებოდა, სანამ პირდაპირ საქმეზე გადავიდოდა, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ჰქონდათ განსახილველი, საზოგადოებრივი ჩვეულების თანახმად, დაახლოებით ერთი საათი მაინც უნდა დაეთმოთ მისალმებებისა და მოკითხვებისათვის. ხედრონმა კი ეს ფორმალობები თხუთმეტ წუთში მოაგვარა, რითაც ჯეზერაკი გაანაწყენა, და შემდეგ პირდაპირ განუცხადა: „ელვინზე მინდა დაგელაპარაკო. რამდენადაც ვიცი, მისი ზედამხედველი ხარ, არა?“

„მართალია, – უპასუხა ჯეზერაკმა. – კიდევ ვხვდები კვირაში რამდენჯერმე – რამდენჯერაც თავად მოისურვებს.“

„როგორ ფიქრობ, ნიჭიერი მოსწავლე იყო?“

ჯეზერაკი ჩაფიქრდა; ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილი იყო. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა დიასპარის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, შეიძლება ითქვას, მის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ქალაქში ყოველწლიურად დაახლოებით ათი ათასი ადამიანი იქმნებოდა. პირველი ოცი წლის განმავლობაში მათი წინა ცხოვრების მოგონებები დაფარულ, მიძინებულ მდგომარეობაში იმყობებოდა, ყველაფერი, რაც მათ გარშემო ხდებოდა, სიახლით გამოირჩეოდა და უცხო და უცნაურ ხასიათს ატარებდა. მათ უნდა ესწავლათ დიასპარის ყოველდღიური ცხოვრების წარმართველი აურაცხელი მანქანისა და მოწყობილობის გამოყენების წესები, ამასთან ერთად, ადამიანის მიერ შექმნილ ყველაზე რთულ საზოგადოებაში საკუთარი ადგილი უნდა დაემკვიდრებინათ.

ამ ინფორმაციის ნაწილს ახალი მოქალაქეების მშობლებად არჩეული წყვილები გადასცემდნენ. მშობლების არჩევა კენჭის ყრით ხდებოდა და მათზე დაკისრებული მოვალეობები სულაც არ იყო მძიმე. ერისტონმა და ეთანიამ ელვინის აღზრდას საკუთარი დროის ერთი მესამედი დაუთმეს და ყველაფერი გააკეთეს, რაც მოეთხოვებოდათ.

ჯეზერაკის ვალდებულებები ელვინის აღზრდის უფრო ფორმალური ასპექტებით შემოიფარგლებოდა; მშობლებს მისთვის საზოგადოებაში მოქცევის წესები უნდა ესწავლებინათ და მეგობრების სულ უფრო მზარდი წრისთვის გაეცნოთ. მეურვეები ყმაწვილის ხასიათზე აგებნენ პასუხს, ხოლო ჯეზერაკი – მის გონებაზე.

„მე ვფიქრობ რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია, - მიუგო ჯეზერაკმა. – რა თქმა უნდა, ელვინის აზროვნება წესრიგშია, მაგრამ ბევრი ის საკითხი, რომელიც მისი ასაკის ადამიანს უნდა აინტერესებდეს, სრულებით არ აღელვებს. უფრო მეტიც,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადაჭარბებულ ცნობისმოყვარეობას ავლენს იმ თემების მიმართ, რომლებსაც, როგორც წესი, არ განვიხილავთ ხოლმე.“

„მაგალითად, დიასპარის საზღვრებს მიღმა არსებული სამყარო?“

„დიახ – საიდან იცი?“

ხედრონი წამით შეყოვნდა, ფიქრობდა, რამდენად შეეძლო ჯეზერაკის ნდობა. მართალია, მოხუცი სანდომიანი და კეთილგანწყობილი ხასიათით გამოირჩეოდა, მაგრამ იგივე აკრძალვებს ემორჩილებოდა, რომლებიც დიასპარის ყველა მკვიდრის ცხოვრებას მართავდა, გარდა ელვინისა.

„მივხვდი,“ – უპასუხა ხედრონმა მცირე ყოყმანის შემდეგ.

ჯეზერაკი მოხერხებულად მოკალათდა მის მიერ მტერიალიზებული სავარძლის სიღრმეში. სიტუაცია სულ უფრო საინტერესო ხდებოდა და უნდოდა, რაც შეიძლება დეტალურად განეხილა. რა თქმა უნდა, თუ ხედრონი თანამშრომლობას არ მოისურვებდა, ბევრს ვერაფერს შეიტყობდა.

უნდა სცოდნოდა, რომ ელვინი ადრე თუ გვიან ხედრონს შეხვდებოდა და მათი შეხვედის შედეგების განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა. ხედრონი ერთადერთი იყო მთელს დიასპარში, რომლისთვისაც შეგეძლოთ ექსცენტრიული ადამიანი გეწოდებინათ – მისი ექსცენტრიულობაც ქალაქის შემქმნელებს წინასწარ ჩაეფიქრებინათ და დაეგეგმათ. დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს, რომ გარკვეული დანაშაულისა და არეულობის გარეშე, უტოპია აზრს კარგავდა და საშინლად მოსაწყენი ხდებოდა. თუმცა, სოციალური ბალანსიდან გამომდინარე დანაშაულის ოპტიმალური დონის შენარჩუნება, ბუნების კანონზომიერებების თანახმად, შეუძლებელი იყო. თუ მის არსებობას დავუშვებდით და მის მართვას დავიწყებდით, ეს უკვე დანაშაული აღარ იქნებოდა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად ქალაქის შემქმნელებმა მასხარის როლის დაწესება გადაწყვიტეს – ეს ერთი შეხედვით მიამიტური გადაწყვეტილება გახლდათ, მაგრამ თუ მის აზრს ჩაუღრმავდებოდით, პრობლემის გადაჭრის ყველაზე დახვეწილ და სიღრმისეულ ხერხს აღმოაჩენდით. დიასპარის მთელი ისტორიის განმავლობაში სულ ორასიოდე ადამიანი თუ მოიძებნებოდა, რომლებიც თავისი ინტელექტუალი მემკვიდრეობის წყალობით ამ სპეციფიკური როლისთვის გამოდგებოდნენ. ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რომლებიც ზოგიერთი მასხრული საქციელის შედეგებისგან იცავდნენ, თუმცა ერთი ორი მასხარა იმდენად გაკადნიერდა, რომ საზღვრების გარღვევა მოინდომა და დიაპარის მიერ დაწესებული ერთადერთი სასჯელის გადახდა მოუწია – მათ ამჟამინდელი არსებობის ვადის ამოწურვამდე სდევნიდნენ მომავალში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მასხარას სრულიად მოულოდნელად შეეძლო მთელი ქალაქი თავდაყირა დაეყენებინა თავისი ოინით, რომელიც წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი ხუმრობა ანდა იმ მომენტისთვის საზოგადოდ მიღებული შეხედულების ან ცხოვრების წესის წინააღმდეგ მიმართული შეტევა შეიძლება ყოფილიყო. ყველა სავარაუდო სახელიდან 'მასხარა' ყველაზე მეტად შეეფერებოდა ამ თანამდებობას. თავის დროზე, მონარქიის არსებობის პერიოდში, სამეფო კარზე მსგავსი მოვალეობებისა და ფუნქციების ადამიანები მსახურობდნენ.

„ერთმანეთთან გულახდილობა ძალიან დაგვეხმარება." – თქვა ჯეზერაკმა. – ორივემ ვიცით, რომ ელვინი უნიკალურია, რომ ეს მისი პირველი სიცოცხლეა დიასპარში. ალბათ, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რას ნიშნავს ეს განუმეორებლობა. ეჭვი მეპარება, რომ რაიმე ამ ქალაქში შემთხვევით, დაუგეგმავად ხდება, ასე რომ, მის შექმნას განსაკუთრებული მიზანი უნდა ჰქონდეს. მიაღწევს თუ არა ელვინი ამ მიზანს – რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს ის – გაურკვეველია. არც ის ვიცი, ბოროტია ეს მიზანი თუ კეთილშობილური. უბრალოდ ვერ ვწვდები მის არსს."

„დავუშვათ, რომ ის ქალაქის მიღმა არსებულ რამესთან არის დაკავშირებული."

ჯეზერაკმა მოთმინებით გაუღიმა. მასხარამ ცოტა იმასხრა, როგორც მოსალოდნელი იყო.

„უკვე ავუხსენი, რაც იმალება ქალაქს მიღმა; ელვინმა იცის, რომ დიასპარის იქით უდაბოს გარდა არც არაფერია. წაიყვანე, თუ შეგიძლია, რა თქმა უნდა; გზა, ალბათ, იცი. როცა რეალობას შეხედავს თვალებში, შეიძლება, ძალაუნებურად, მისი უცნაური აზროვნებაც განიკურნოს."

„მე კიდევ ვფიქრობ, რომ უკვე შეხედა," – ჩუმად ჩაილაპრაკა ხედრონმა, მხოლოდ გულში, ჯეზერაკისთვის არ უთქვამს.

„არა მგონია, ელვინი ბედნიერი იყოს, - განაგრძო ჯეზერაკმა. – ჯერ ნამდვილი ურთიერთობები არავისთან დაუმყარებია და სანამ ამ უცნაურ ახირებას არ მოიშორებს, ალბათ, ვერც დაამყარებს. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, იმედია ასაკის მატებასთან ერთად ამ პერიოდსაც გადალახავს და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდება."

ჯეზერაკის ნათქვამს თავდაჯერებულობა აკლდა, თითქოს საკუთარი დავს დაჯერებას ცდილობდა; ხედრონს ეჭვი ეპარებოდა, რომ მოხუცს საკუთარი სიტყვების სჯეროდა.

„მითხარი, ჯეზერაკ, - მოკლედ მოუჭრა ხედრონმა, - ელვინმა იცის, რომ ის პირველი უნიკალური ადამიანი არაა?"

ჯეზერაკი მოულოდნელობისგან შეკრთა, შემდეგ კადნიერი სახე მიიღო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„უნდა მივმხვდარიყავი, რომ იცოდი. – სინანულით აღნიშნა მოხუცმა. – დიასპარის ისტორიაში სულ რამდენი უნიკუმი არსებობდა? ათი?“

„თოთხმეტი, - ყოყმანის გარეშე უპასუხა ხედრონმა. – თუ ელვინს არ ჩავთვლით.“

„ჩემზე მეტ ინფორმაციას ფლობ, როგორც ჩანს, უკეთესი წყაროებისთვის მიგიგნია, - მშრალად მიუგო ჯეზერაკმა. – ხომ არ მომიყვები, რა ბედი ეწიათ ამ უნიკუმებს?“

„გაუჩინარდნენ.“

„გმადლობ: ეს უშენოდაც კარგად ვიცოდი. ელვინს ამიტომაც მივაწოდე შეძლებისდაგვარად ცოტა ინფორმაცია თავისი წინამორბედების შესახებ: ახლანდელ მდგომარეობაში ეს ცოდნა გუნება-განწყობილებას ნამდვილად ვერ გამოუკეთებდა. შემიძლია, შენი თანამშრომლობის იმედი მქონდეს?“

„ამ მომენტისთვის – კი. მე თვითონ მინდა, ელვინს დავაკვირდე. ხომ იცი, საიდუმლოებები ყოველთვის მიტაცებდა, დიასპარი კი გამოცანებით არ გვანებივრებს. გარდა ამისა, ვფიქრობ, განგება შეიძლება ისეთ ოინს გვიმზადებდეს, რომლის გვერდზე ჩემი მასხრობა არაფრად აღარ მოგეჩვენებათ. თუ ჩემი სიტყვები გამართლდა, მინდა, რომ მოვლენების ცენტრში ავღმოვჩნდე.“

„როგორ გიყვარს რებუსებით ლაპარაკი, - დაიჩივლა ჯეზერაკმა. – ზუსტად რას ელოდები?“

„არა მგონია, ჩემი ვარაუდები სიმართლესთან უფრო ახლოს იდგეს, ვიდრე შენი. მაგრამ ერთი რამეში დარწმუნებული ვარ – თუ ელვინმა რაღაცის გაკეთება გადაწყვიტა, ვერ მე, ვერც შენ და ვერც სხვა ვინმე დიასპარში ვერ შეაჩერებს. მე მგონი, წინ მეტად საინტერესო რამდენიმე ასწლეული გველოდება.“

მას შემდეგ, რაც ხედრონი თვალს მიეფარა, ჯეზერაკი დიდხანს იჯდა გაუნძრევლად, მათემატიკა სულ გადავიწყებოდა. გულზე ისეთი წინათგრძნობა აწვა ლოდივით, რომლის მსგავსი ჯერ არ განუცდია. წამით გაიფიქრა, საბჭოს აუდიენცია ხომ არ ეთხოვა – მაგრამ, მეორეს მხრივ, ხომ არ იქნებოდა ეს აურზაურის ატეხვა არაფრის გამო? შეიძლება მთელი ამბავი ხედრონის ბნელი და ჩახლართული ოინის ნაწილი ყოფილიყო, თუმცა ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ხუმრობის სამიზნედ სწორედ ის აირჩიეს.

ჯეზერაკმა გულდასმით აწონ-დაწონა სიტუაცია, ყველა კუთხით გააანალიზა. დაახლოებით ერთ საათში მისთვის მეტად დამახასიათებელი გადაწყვეტილება მიიღო.

მოვლენების განვითარებას დაელოდებოდა.

ელვინი დროს უქმად არ კარგავდა, მაშინვე შეუდგა ხედრონზე ინფორმაციის მოძიებას. როგორც ყოველთვის, ინფორმაციის ძირითად წყაროს ჯეზერაკი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარმოადგენდა. მოხუცმა მასწავლებელმა ხედრონთან შეხვედრის ზუსტი ანგარიში მიაწოდა და მოუყვა, რაც კი იცოდა, მასხარას ცხოვრების წესის შესახებ. რამდენადაც ეს დიასპარში შესაძლებელი იყო, ხედრონი განდეგილის ცხოვრებას ეწეოდა: არავინ იცოდა, სად ცხოვრობდა ან რას აკეთებდა. მისი ბოლო ოინი ბავშვურ ცელქობას უფრო ჰგავდა და შედეგად მხოლოდ ქალაქის მაგისტრალების პარალიზება მოჰყვა. ეს ორმოცდაათი წლის წინ მოხდა; ასი წლით ადრე ქალაქში უმახინჯესი დრაკონი გამოუშვა. საზიზღარი მონსტრი ქუჩებს მოედო და იმჟამად ყველაზე პოპულარული სკულპტორის ნამუშევრებს დაერია და შესანსლა. თავად სკულპტორმა, ურჩხულის მეტად უჩვეულო მიმართულების გასტრონომიული გემოვნებით სამართლიანად აღშფოთებულმა და შეშინებულმა, სამალავს მიაშურა და იქიდან, სანამ არ დარწმუნდა, რომ მონსტრი ისევე უცნაურად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა, არც გამოსულა.

მოხუცის მონათხრობი ერთ რამეს ცხადყოფდა. ხედრონი ძირფესვიან ცოდნას ფლობდა დიასპარის მმართველი მანქანებისა და ძალების შესახებ და შეეძლო ისინი საკუთარ ნებას დაემორჩილებინა. ასეთი ძალაუფლებოდა ქალაქის სხვა მკვიდრებს არ ხელეწიფებოდათ. სავარაუდოდ, დიასპარში კონტროლის უფრო მაღალი დონეც არსებობდა, რაც საშუალებას არ აძლევდა ყველაზე ამბიციურ მასხარას, თავისი ძალა ბოროტად გამოეყენებინა და ქალაქის ურთულესი სტრუქტურისთვის გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა.

ელვინმა მიღებული ინფორმაცია გაითვალისწინა, თუმცა ხედრონთან დაკავშირება არ უცდია. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი კითხვა ჰქონდა დასასმელი ხედრონისთვის, დამოუკიდებლობისადმი ჯიუტი ლტოლვა – ალბათ მისი ყველაზე უფრო განუმეორებელი თვისება – აიძულებდა გამოცანა საკუთარი ძალებით, ყოველგვარი დახმარების გარეშე, ამოეხსნა. ისეთ საქმეს მოეკიდა, რომლის განხორციელებას, შეიძლება, წლები დასჭირვებდა, მაგრამ ამას არ დაეძებდა, რადგან მარტო ის ფაქტი, რომ წინ მიდოდა და მიზანს უახლოვდებოდა, ბედნიერებას გვრიდა.

უცხო მიწის მკვლევარი უძველესი მოგზაურის მსგავსად, ელვინი დიასპარის სისიტემატურ შესწავლას შეუდგა. კვირების განმავლობაში ქალაქის საზღვართან აღმართულ მიტოვებულ და უკაცრიელ კოშკების ლაბირინთებში დაბორიალობდა, იმ იმედით, რომ სადმე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ გასასვლელს იპოვნიდა. ძიების დროს უდაბნოს მაღლა გამავალ რამდენიმე სავენტილაციო ლუქს მიაკვლია, მაგრამ ყველა ჩარაზული და გისოსებით გარშემორტყმული დახვდა – გისოსები რომც არ ჰქონოდათ, ერთი მილის სიღრმის ციცაბო უფსკრულში ვარდნის პერსპექტივაც საკმარის წინააღმდეგობას ქმნიდა.

ათასობით დერეფანი და ათი ათასობის ცარიელი დარბაზი შეისწავლა, მაგრამ სხვა გასასვლელს მაინც ვერ მიაკვლია. ყველა ამ უკაცრიელ შენობას იდეალური

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდგომარეობა შეენარჩუნებინა, რასაც დიასპარის მოსახლეობა ისე აღიქვამდა, როგორც ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენას. ერთი ორჯერ საინსპექციო შემოწმებაზე გამოსულ რობოტს შეხვდა და გამოკითხვა ჩაუტარა, მაგრამ მათგან პასუხს ვერ ეღირსა, რადგან ეს მანქანები არ იყვნენ ადამიანის კითხვებისა და ფიქრების საპასუხოდ დაპროგრამებული. მიუხედავად იმისა, რომ რობოტები მის არსებობას გრძნობდნენ, რადგან გვერზე იწეოდნენ, რომ გაეტარებინათ, საუბრის გაბმაზე უარს ამბობდნენ.

ზოგჯერ დღეები ისე გადიოდა, გზაზე სულიერი არ შეხვდებოდა. როცა მოშივდებოდა, რომელიმე მიტოვებულ საცხოვრებელ სახლში შევიდოდა და სადილს შეუკვეთავდა. საოცარი მანქანები, რომელთა არსებობაზე ადრე არც დაფიქრებულა, მარადიული ძილისგან იღვიძებდნენ და მოქმედებას იწყებდნენ. აპარატის მეხსიერებაში საგულდაგულოდ შენახული გამოსახულებები აციმციმდებოდნენ, რეალობის საზღვრებს მიუახლოვდებოდნენ და იმ მატერიის გარდაქმნას შეუდგებოდნენ, რომელიც მათ ემორჩილებოდა. ამგვარად, საუკეთესო მზარეულის მიერ მილიარდი წლის წინ მომზადებული კერძი ცოცხლდებოდა დახვეწილი გასტრონომიული გემოვნების დასაკმაყოფილებლად, ან, უბრალოდ, შიმშილის მოსაკლავად.

ამ მიტოვებული სამყაროს სიცარიელე – ქალაქის ცოცხალ გულს გარშემორტყმული ცარიელი გარსი – სრულებით არ თრგუნავდა ელვინს. მარტოობას მიეჩვია – მაშინაც კი, როცა იმ ხალხის გარემოცვაში ტრიალებდა, ვისაც მეგობრებს უწოდებდა. ამ თავგამოდებულმა ძიებამ, რომელიც მთელს მის ენერგიასა და ინტერესებს შთანთქავდა, დროებით დაავიწყა თავისი იდუმალი წარმომავლობა და ანომალია, რომელიც თანატოლებისგან განასხავებდა.

როდესაც ქალაქის განაპირა მხარის მეასედი შეისწავლდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დროს ფუჭად ხარჯავდა. მისი გადაწყვეტილება უნებისყოფობისგან კი არ გამომდინარეობდა, არამედ საღი აზრის შედეგს წარმოადგენდა. თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, ელვინი მზად იყო, დაბრუნებულიყო და დაწყებული საქმე დაემთავრებინა, თუნდაც მისი განხორციელებისთვის მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება შეეწირა. ძიებამ მხოლოდ იმაში დაარწმუნა, რომ თუ დიასპარიდან გამავალი სარკმელი მართლა არსებობდა, მისი პოვნა ასე ადვილი არ იქნებოდა. უნაყოფო ძებნა საუკუნეები გაგრძელდებოდა, თუ უფრო ბრძენ ხალხს არ მიმართავდა დახმარებისთვის.

ჯეზერაკმა პირდაპირ განუცხადა, რომ დიასპარიდან გამავალი გზა არ იცოდა და ეჭვი ეპარებოდა მის არსებობაში. საინფორმაციო მანქანებმაც, რომლებსაც ელვინმა იგივე კითხვა დაუსვა, უშედეგოდ გადაქექეს თავიანთი თითქმის უსაზღვრო მეხსიერება. კომპიუტერები დაწვრილებით ინფორმაციას მოიცავდნენ ქალაქის ისტორიის შესახებ ჩანაწერების გაჩენის პერიოდიდან – ბარიერიდან მოყოლებული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომლის მიღმაც სამუდამოდ მიმალული განთიადის საუკუნეები ინახებოდა. მაგრამ ამ ყოვლისმცოდნე მანქანებს ელვინის მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემა ან არ შეეძლოთ, ან რომელიმე უზენაესმა ძალამ აუკრძალა ამ თემაზე საუბარი.

ისევ ხედრონის მონახულება მოუწევდა.

თავი VII

„როგორც გატყობ, არ ჩქარობდი, - მიეგება ხედრონი, - მაგრამ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, მოხვიდოდი.“

მასხარას თავდაჯერებულობამ ელვინი გააღიზიანა; დიდად არ ესიამოვნა, რომ ვინმეს ასე ადვილად შეეძლო მისი საქციელის წინასწარ განსაზღვრა. ელვინს ეჭვი შეეპარა, ხომ არ უთვალთვალებდა ხედრონი მის უშედეგო ძიებას და ზუსტად იცის, რასაც აკეთებდა.

„ქალაქიდან გასასვლელს ვეძებ, - პირდაპირ მოუჭრა ელვინმა. – გზა უნდა იყოს და ვფიქრობ, მის მოძებნაში დამეხმარები.“

ხედრონი ერთხანს ხმას არ იღებდა. თუ მოისურვებდა, ჯერ კიდევ ჰქონდა დრო, გზიდან გადაეხვია, რომელიც მის წინ გაჭიმულიყო და მომავლისკენ მიემართებოდა. აქ მისი წინასწარმეტყველება ყოველგვარ ძალას კარგავდა. მის ადგილას სხვა ყოყმანს არ დაიწყებდა; ქალაქის ვერც ერთი მკვიდრი, შესაბამისი ძალაუფლებაც რომ ჰქონოდა, ვერ გაბედავდა მილიონი ასწლეულის განმავლობაში გაყინული წარსულის აჩრდილების გაღვიძებას. შეიძლება არც არავითარი საფრთხე არ არსებობდა, შეიძლება დიასპარის მარადიულ უცვლელობას არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ თუ სამყაროში რაიმე უცნაურისა და შეუსწავლელის შემოღწევის თუნდაც მცირედი რისკი იყო, მაშინ მისი თავიდან აცილების ამაზე უკეთესი შანსი აღარ მიეცემოდა.

ხედრონს სავსებით აკმაყოფილებდა ცხოვრების არსებული წესი. მართალია, დროდადრო ამ წესის დარღვევის უფლება მიეცემოდა ხოლმე, მაგრამ მხოლოდ მცირედით. მასხარა ცხოვრებას უბრალოდ კრიტიკულად უყურებდა, არავითარი რევოლუციური მოტივები არ ამოძრავებდა. დროის მდინარის წყნარ და აუღელვებელ ზედაპირზე სუსტი ჭავლის დაყენება უნდოდა, მისი მიმართულების შეცვლაზე ფიქრიც კი ზარავდა. მისი, ისევე როგორც დიასპარის ყველა დანარჩენი მცხოვრების, ცნობიერებიდან სამუდამოდ აღმოეფხვრათ ნებისმიერი მოგზაურობის ჟინი, გარდა გონებრივისა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა მასში მაინც ღვიოდა იმ ცნობისმოყვარეობის თითქმის ჩამქრალი ნაპეწკალი, რომელიც ოდესღაც ადამიანის უდიდეს უნარს წარმოადგენდა. ხედრონი მზად იყო, გაერისკა.

ელვინს შეხედა და თავისი ახალგაზრდობის გახსენებას შეეცადა, ოცნებებს, რომლებსაც ნახევარი ათასწლეულის წინ ატარებდა. წარსულის ნებისმიერი მოგონება, რომელსაც გონებრივ თვალს მიაპყრობდა, ნათელ და მკაფიო გამოსახულებას იძენდა. მისი ამჟამინდელი და ყველა წინამორბედი ცხოვრება ძაფზე აცმული მძივებივით ჩამწკრივებულიყო; შეეძლო, ნებისმიერს მიწვდომოდა და გადაეხედა. ხშირ შემთხვევაში, წინა ხედრონებს მასთან მჭიდრო კავშირი დაეკარგათ; ძირითადი შტრიხების მსგავსების მიუხედავად, უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის, რადგან ცხოვრებისეული გამოცდილების სიმძიმე სამუდამოდ აშორებდათ. თუ სურვილი ჰქონდა, შეეძლო საკუთარი გონება ყველა წინა განსახიერებების მოგონებებისგან გაეთავისუფლებინა, როცა შემოქმედის დარბაზში შეაბიჯებდა და დაიძინებდა, სანამ ქალაქი ხელახლა უხმობდა და გააცოცხლებდა. მაგრამ ეს გარკვეულწილად სიკვდილის ტოლფასი მოვლენა იქნებოდა, ხედრონი კი ამისთვის ჯერ მზად არ იყო. უწინდელი მონდომებით ეწაფებოდა ყველაფერს, რასაც ცხოვრება სთავაზობდა, მოთმინებით აგროვებდა გამოცდილებას, მსგავსად ნიჟარაში გამომწყვდეული ნაუტილუსისა, რუდუნებით რომ ამატებს ახალ-ახალ უჯრედებს ნელ-ნელა მზარდი ნიჟარის სპირალს.

ახალგაზრდობაში თანატოლებისგან არაფრით განსხვავდებოდა. მასხარას მოვალეობები, რომელიც განგებამ დიდი ხნის წინ დააკისრა, მხოლოდ მაშინ იტვირთა, როცა ზრდასრულ ასაკს მიაღწია და წინა ცხოვრების მთვლემარე მოგონებებმა გაიღვიძა და ტალღასავით მოაწყდა. დროგამოშვებით აღშფოთება იპყრობდა იმის გამო, რომ უდიდესმა მოაზროვნეები, დიასპარის შექმნას უსაზღვრო ცოდნა და ნიჭი რომ ჩააქსოვა, ახლაც, ამდენი საუკუნის შემდეგ, ძველებურად მართავდნენ მას სცენაზე მოთამაშე მარიონეტივით. შესაძლოა, დაგვიანებული შურისძიების დრო დადგა. როგორც იქნა, გამოჩნდა ახალი მსახიობი, რომელსაც შეეძლო, გაჭიანურებული სპექტაკლის ბოლოს უკანასკნელად ჩამოეშვა ფარდა.

თანაგრძნობა იმ ადამიანისადმი, რომლის მარტოობის გრძნობა, ალბათ, მისას გაცილებით აღემატებოდა; საუკუნოვანი მონოტონურობითა და ერთფეროვანებით გამოწყვეული მოწყენილობა; და სიცელქისა და მავნებლობისადმი მიდრეკილება – ეს ის წინაამდეგობრივი ფაქტორები გახლდათ, რომლებიც ხედრონს მოქმედებისკენ მოუწიდებდნენ.

„ან დაგეხმარები, - მიუგო ელვინს, - ან ვერა. არ მინდა, ფუჭი იმედები გაგიღვივო. ნახევარ საათში მესამე რადიუსისა და მეორე რგოლის გადაკვეთაზე შევხვდეთ. თუ მნიშვნელოვან დახმარებას ვერ აღმოგიჩენ, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო მოგზაურობის გარანტიას გაძლევ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი დანიშნულების ადგილას ათი წუთით ადრე მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის საპირისპირო მხარეს მდებარეობდა. ხედრონს მოუთმენლად ელოდა და მის წინ უსასრულო და უწყვეტი ლენტასავით გაჭიმულ მოძრავ ტროტუარს თვალს არ აშორებდა, რომელსაც სხვადასხვა უმნიშვნელო საქმეებით დაკავებული ქალაქის თვითკმაყოფილი და აუღელვებელი მოსახლეობის ნაკადი გადაჰყავდა. როგორც იქნა, შორს ხედრონის მაღალ ფიგურას მოჰკრა თვალი და წამში პირველად აღმოჩნდა ფიზიკურად მასხარას წინაშე. ეს მისი პროექტირებული, ელექტრონული გამოსახულება არ გახლდათ; როცა ძველი მისალმების მიხედვით ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ელვინი მიხვდა, რომ ხორცშესხმულ ხედრონს ესალმებოდა.

ხედრონი მარმარილოს ერთ-ერთ ბალუსტრადაზე ჩამოჯდა და ელვინს დაჟინებული ცნობისმოყვარეობის მზერა შეავლო.

„ნეტა თუ იცი, - თქვა მან, - რას მთხოვ. საინტერესოა, რას გააკეთებდი, სურვილი რომ აგისრულდეს. ნუთუ მართლა გგონია, ქალაქის დატოვებას შეძლებ, აქედან გასასვლელ გზასაც რომ მიაკვლიო?“

„დარწმუნებული ვარ ამაში,“ - უპასუხა ელვინმა საკმაოდ თავდაჯერებულად, თუმცა ხედრონმა მაინც შეამჩნია ხმაში მცირედი მერყეობა.

„მაშინ ერთ რამე გეტყვი, რაზეც, შეიძლება, წარმოდგენაც არ გქონდეს. ხედავ აი იმ კოშკებს? – ხედრონმა ცენტრალური ენერგოსადგურისა და საბჭოს შენობის ტყუპი ქონგურებისკენ მიანიშნა, რომლებიც ერთმანეთს ერთი მილის სიღრმის კანიონის ნაპირებიდან უმზერდნენ. – წარმოიდგინე, რომ ამ ორ კოშკს შორის ექვსი დუიმის სისქის აბსოლუტურად მყარი ფიცარი გავდევი. შეძლებდი მასზე გავლას?“

ელვინი შეყოყმანდა.

„არ ვიცი, - მიუგო მცირე ხნის შემდეგ. – არც მინდა, ვცადო.“

„დარწმუნებული ვარ, ვერასდროს შეძლებდი. თავბრუსხვევა აგიტანს და ჩამოვარდები, ისე რომ ათიოდე ნაბიჯის გადადგმასაც ვერ მოასწრებ. მაგრამ იგივე ფიცარი დედამიწის ზედაპირთან ახლოს რომ იყოს გადებული, მასზე გავლა საერთოდ არ გაგიჭირდებოდა.“

„და რას ნიშნავს ეს?“

„ჩემი ნათქვამიდან მარტივი დასკვნა გამომდინარეობს. ორივე ექსპერიმენტში, რომელიც აღვწერე, ფიცარი აბსოლუტურად ერთი და იგივეა. ნებიმიერი იმ ბორბლებიანი რობოტებისგან, გზაზე რომ გხვდება ხოლმე, ამ კოშკებს შორის გადებულ ხიდზე ისევე ადვილად გაივლიდა, როგორც დედამიწის ზედაპირთან ახლოს დამაგრებულ ფიცარზე. ჩვენ ამას ვერ შვძლებთ, რადგან სიმაღლის შიში დაგვყვება. შეიძლება, ეს გრძნობა რაციონალურობსგან შორს დგას, მაგრამ იმდენად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძლიერია, რომ ამას ვერ ვუგულებელყოფთ, რადგან ჩვენი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ჩვენ ვიბადებით ამ თვისებით.“

„ასევე თანდაყოლილია ჩვენში სივრცის შიში. მაგალითისთვის, დიასპარის ნებისმიერ მცხოვრებს ქალაქიდან გამავალი გზა აჩვენე, ზუსტად იგივე, როგორც ამ კოშკებს შორის გადებული ხიდი, და ნახავ, რომ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. მაშინვე უკან მოტრიალდება, ისევე, როგორც შენ მობრუნდებოდი, ამ ფიცარზე ფეხი რომ დაგედგა.“

„კი მაგრამ, რატომ? – იკითხა ელვინმა. – ხომ იყო დრო, როდესაც – „

„ვიცი, ვიცი, - გააწყვეტინა სიტყვა ხედრონმა. – ერთ დროს ადამიანები მთელს სამყაროში და თავად ვარკვლავებზეც მოგზაურობდნენ. შემდეგ რაღაცამ შეცვალა ხალხი და ის შიში შთაუნერგა, რომლითაც მას შემდეგ იბადებიან. შენ ფიქრობ, რომ ერთადერთი ხარ, ვისთვისაც ეს შიში უცხოა, მაშ კარგი, წავიდეთ საბჭოს შენობაში და შევამოწმოთ.“

საბჭოს შენობა ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაგობება იყო და თითქმის მთლიანად იმ მანქანებს ეკავათ, რომლებიც დიასპარის ჭეშმარიტ ადმინისტრაციას წარმოადგენდნენ. შენობის მწვერვალთან ახლოს საბჭოს შეკრების ოთახი მდებარეობდა, სადაც ქალაქის უხუცესები იშვიათ შემთხვევაში იკრიბებოდნენ და გადაუდებელ საკითხებს განიხილავდნენ.

განიერმა შესასვლელმა მთლიანად შთანთქა ისინი, და ხედრონმა ოქროსფერ ბინდ-ბუნდში შეაბიჯა. ელვინს არასდროს დაუდგამს ფეხი საბჭოს შენობაში; არა იმიტომ, რომ ამას რაიმე კანონი უკრძალავდა, – დიასპარში ამგვარი ამკრძალავი კანონები ბევრი არ მოქმედებდა – მაგრამ ისევე, როგორც ყველას, ელვინსაც ერთგვარი რელიგიური კრძალვა იპყრობდა ამ ადგილი მიმართ. სამყაროში, სადაც არ სწამდათ ღმერთების, საბჭოს შენობა ტაძართან ყველაზე ახლოს იდგა.

ხედრონი თავდაჯერებულად მიუძღვოდა ელვინს დერეფნებსა და დამრეც ჩასასვლელებში, რომლებიც სავარაუდოდ არა ადამიანებისთვის, არამედ ბორბლებიანი მექანიზმებისთვის შეექმნათ. ზოგიერთი ამ დაღმართიდან ზიგზაგებად ეშვებოდა შენობის სიღრმეში და ისეთ მკვეთრ კუთხეებს ხაზავდა, რომ მასზე გაჩერება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა შესაბამისად მოწყობილი გრავიტაცია, რომელიც დაღმართის კომპენსაცას ახდენდა.

როგორც იქნა, ჩაკეტილი კარის წინ აღმოჩნდნენ, რომელიც მათ მიახლოვებაზე უხმოდ გაიხსნა, შეუშვა და ისევ ჩაიკეტა, ისე რომ უკან დასახევი გზა გადაუღობა. წინ კიდევ ერთი კარი გამოჩნდა, მაგრამ მათ მისვლაზე არ გახსნილა. ხედრონი გაუნძრევლად იდგა კარის წინ, არც უცდია მისი გაღება. მცირედი პაუზის შემდეგ, მშვიდი ხმა გაისმა: „გთხოვთ, თქვენი სახელები თქვათ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მე ხედრონი ვარ – მასხარა. ეს კი ჩემი თანამგზავრი ელვინია.“

„რა საქმე გაქვთ?“

„უბრალო ცნობისმოყვარეობა.“

ელვინის გასაკვირად, კარი მაშინვე გაიღო. საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ თუ მანქანას ამგვარ ოხუნჯურ პასუხებს გასცემდი, გაუგებრობას გამოიწვევდა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიხდებოდა. მანქანა, რომელიც ხედრონს კითხვებს უსვამდა, ალბათ, საკმაოდ დახვეწილ მოწყობილობას წარმოადგენდა და ცენტრალური კომპიუტერის იერარქიაში მაღალი ადგილი ეკავა.

ბარიერი მეტი აღარ შეხვედრიათ, მაგრამ ელვინი ეჭვობდა, რომ ბევრი საიდუმლო შემოწმება მოუწყვეს, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა. ვიწრო დერეფანმა მოულოდნელად ჩაღრმავებული იატაკის მქონე მრგვალი ფორმის უზარმაზარ ოთახში გაიყვანა. იატაკზე იმდენად საოცარი რამ შენიშნა, რომ წამით განცვიფრებისგან მეტყველების უნარი დაკარგა. ელვინი მთელს დიასპარს გადაჰყურებდა, რომელიც ხელისგულივით გაშლილიყო მის წინაშე, ქალაქის ყველაზე მაღალი შენობები თითქმის მხრებამდე წვდებოდა.

იმდენი ხანი მოანდომა ნაცნობი ადგილების ძებნას და მოულოდნელი ლანდშაფტების შესწავლას, რომ მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მიაქცია ყურადღება ოთახის დანარჩენ ნაწილს. მისი კედლები შავი და თეთრი ოთკუთხედების მიკროსკოპიული ნახატებით ყოფილა დაფარული; თავად მოზაიკა, ერთი შეხედვით, კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა და ელვინს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს კედელი ციმციმებდა, როდესაც წამიერ მზერას მიაპყრობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იყო, მოზაიკა უცვლელი რჩებოდა. მრგვალი ოთახის გარშემო თანაბარი მანძილით დაშორებული გაურკვეველი ტიპის აპარატები განეთავსებინათ, თითოეული მათგანი მართვის კლავიატურით, ეკრანითა და ოპერატორის სკამით აღეჭურვათ.

ხედრონმა ელვინს საშუალება მისცა, მოულოდნელი სანახაობით ბოლომდე დამტკბარიყო, შემდეგ მინიატურულ ქალაქზე მიუთითა და ჰკითხა: „იცი, ეს რა არის?“

ელვინს უნდოდა, ეპასუხა ‘ქალაქის მოდელი, ჩემი აზრით’, მაგრამ თავი შეიკავა, პასუხი იმდენად მარტივი ჩანდა, რომ უეჭველად მცდარი აღმოჩნდებოდა. ასე რომ, თავი გადააქნია და დაელოდა, სანამ ხედრონი თავად უპასუხებდა საკუთარ შეკითხვას.

„გახსოვს, - დაიწყო ხედრონმა, - ერთხელ მოგიყევი, რა პრინციპებს ეყრდნობა ქალაქი, როგორ ხდება მისი უცვლელი ფორმის შენარჩუნება – როგორ ინახავენ მეხსიერების საცავები მის სამარადჟამოდ გაყინულ სტრუქტურას. ეს რეზერვუარები ახლა ჩვენს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარშემო მდებარეობს, ინფორმაციის აურაცხელ მარაგს ინახავენ და თავიდან ბოლომდე განსაზღვრავენ ქალაქის დღევანდელ იერსახეს. ჩვენთვის აწ უკვე დავიწყებული ძალების მეშვეობით, დიასპარის თითოეული ატომი ამ კედლებში ჩატანებულ მატრიცებს უკავშირდება.“

ხელის მოძრაობით ხედრონმა მათ პირდაპირ მოთავსებულ დიასპარის სრულყოფილ, უსაზღვროდ დეტალური გამოსახულებაზე ანიშნა.

„ეს მაკეტი არ გეგონოს; ის, რასაც ხედავ, სინამდვილეში არ არსებობს, მხოლოდ მეხსიერების საცავებში შენახული სტრუქტურის პროექტირებულ გამოსახულებას წარმოადგენს და, შესაბამისად, აბსოლუტურად იდენტურია თავად ქალაქისა. საჭვრეტი მექანიზმები დიასპარის ნებისმიერი მონაკვეთის გადიდების, მისი ნატურალური სიდიდით ან გაცილებით უფრო მსხვილი მასშტაბით განხილვის საშუალებას იძლევა. ეს მონიტორები მაშინ გამოიყენება, როცა დიასპარის ზოგად კონსტრუქციაში ცვლილებების შეტანის საჭიროება იქმნება, თუმცა კარგა ხანია, არავის არაფერი არ შეუცვლია. თუ გინდა, გაიგო, როგორია დიასპარი, ამ ადგილას უნდა მოხვიდე. აქ სულ რამდენიმე დღეში იმდენ რამეს შეიტყობ, რასაც ქუჩებში ხეტიალში გატარებული მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ აღმოაჩენ.“

„რა შესანიშნავი ადგილია, - აღმოხდა ელვინს. – რამდენმა ადამიანმა იცის მისი არსებობის შესახებ?“

„საკმაოდ ბევრმა იცის, მაგრამ ეს საკითხი იშვიათად თუ დააინტერესებს ვინმეს. დროდადრო აქ საბჭო იკრიბება; ქალაქში ვერავითარი ცვლილება ვერ განხორციელდება, თუ საბჭოს ყველა წევრი არ დაესწრება შეკრებას. მაგრამ არც ეს არის საკმარისი, შემოთავაზებული ცვლილების საბოლოო დასტურს ცენტრალური კომპიუტერი იძლევა. ეჭვი მეპარება, რომ ვინმე ამ ოთახს წელიწადში ორ-სამ ჯერზე მეტჯერ ეწვიოს.“

ელვინს უნდოდა, ხედრონისთვის ეკითხა, საიდან მიიღო ამ დარბაზში შესვლის უფელბა, მაგრამ გაახსენდა, რომ მასხარას დახვეწილი ოხუნჯობებიდან ბევრი ქალაქის შიდა მექანიზმების ძირფესვიან ცოდნას მოითხოვდა, რისი მიღწევა მხოლოდ დიასპარის სტრუქტურის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად შეიძლებოდა. ხედრონის ერთ-ერთ პრივილეგიას, ალბათ, ნებისმიერ ადგილას მოხვედრისა და ნებისმიერი რამის დაუფლების შესაძლებლობა წარმოადგენდა; დიასპარის ყველაზე იდუმალი მხარეების კვლევისას უკეთეს მეგზურს ვერც იპოვნიდა.

„შეიძლება ის, რასაც ეძებ, უბრალოდ არც არსებობდეს, - განუცხადა ხედრონმა, - მაგრამ თუ არსებობს, მხოლოდ აქ აღმოაჩენ. მოდი, გაჩვენებ, როგორ უნდა მონიტორების მართვა.“

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ელვინი ერთ-ერთ მონიტორთან იჯდა და მის მართვას ეუფლებდა. სურვილისამებრ ქალაქის ნებისმიერი მონაკვეთის არჩევა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ნებისმიერი მასშტაბით გადიდებული გამოსახულების შესწავლა შეეძლო. კოორდინატების შეცვლასთან ერთად მის თვალწინ უზარმაზარ მონიტორზე ქალაქის ქუჩები, კოშკები, კედლები და მოძრავი ბილიკები გაიელვებდნენ; ელვინი, თითქოს ყოვლისმხილველი და ყოვლისშემძლე სულის მსგავსად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე დაფრინავდა დიასპარის თავზე და ვერავითარი ფიზიკური წინაღობები ვერ უშლიდნენ ხელს.

თუმცა სინამდვილეში ელვინი დიასპარს კი არ იკვლევდა, არამედ მეხსიერების უჯრედებში გადაადგილდებოდა და ქალაქ-ზმანებას, რეალური დიასპარის სიზმრისეულ გამოსახულებას, აკვირდებოდა – ზმანებას, რომელიც ქალაქს მილიარდი წლის განმავლობაში იცავდა ცვლილებებისგან და დროს არ აძლევდა მასზე ნაკვალევის დამჩნევის საშუალებას. ელვინი მხოლოდ დიასპარის ურყევ ნაწილს აღიქვამდა; მის ქუჩებში მოსეირნე ხალხი ამ გაყინულ გამოსახულებას არ ეკუთვნოდა. თუმცა ელვინის მიზნისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას მხოლოდ ქვისა და მეტალის ქმნილება ადარდებდა, რომელსაც დაეტყვევებინა და არა მასთან ერთ ბედს ქვეშ მყოფი ადამიანები, ვინც ნებით თუ უნებლიეთ მის ხვედრს იზიარებდნენ.

ელვინი ლორენის კოშკის ძებნას შეუდგა და მალევე იპოვნა, შემდეგ სწრაფად აუყვა მის დერეფნებსა და გასასვლელებს, რომლებიც სინამდვილეში უკვე ენახა. როცა მის თვალწინ ქვის გისოსების გამოსახულება ამოტივტივდა, თითქოს ცხადლივ შეიგრძნო გამჭოლი ქარის სიცივე, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში მრავალი საუკუნის განმავლობაში აღწევდა ამ გისოსებში. გისოსებს მიუახლოვდა და გადაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. წამიერი შოკი იმდენად ძლიერი იყო, რომ ელვინს რაღაც მომენტში საკუთარი მეხსიერების სიცხადეში შეეპარა ეჭვი; ნუთუ უდაბნო იმ დღეს სიზმრად ნახა?

მაგრამ მალევე ჩაწვდა სიმართლეს. უდაბნო დიასპარს არ ეკუთვნოდა, ასე რომ იმ მოჩვენებით სამყაროში, რომელსაც იკვლევდა, მისი გამოსახულება არ მოიპოვებოდა. გისოსებს მიღმა, სინამდვილეში, შეიძლება ნებისმიერი რამ ყოფილიყო, მაგრამ მონიტორი მას ვერ აღიქვამდა.

და მაინც, მონიტორის მეშვეობით ისეთი რამ იხილა, რაც დიასპარის არც ერთ ცოცხალ მკვიდრს არ უნახავს. ელვინმა სათვალთვალო წერტილი გისოსებს გარეთ, ქალაქის მიღმა გამეფებულ სიცარიელეში, გადაიტანა და მზერის მიმართულების მარეგულირებელი მოწყობილობა ქალაქის საპირისპიროდ მოატრიალა. ახლა იმ მიმართულებით იყურებოდა საიდანაც მოვიდა და მის წინ გარედან დანახული დიასპარი აღმოცენდა.

კომპიუტერებისთვის, მეხსიერების სქემებისთვის და ყველა იმ აურაცხელი მექანიზმებისთვის, რომლებმაც ის გამოსახულება შექმნეს, ელვინი რომ ჭვრეტდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ პერსპექტივის საკითხს წარმოადგენდა. ქალაქის ფორმას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარგად იცნობდნენ, ამიტომ შეეძლოთ, ისე წარმოეჩინათ, როგორც გარედან ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ ელვინს კარგად ესმოდა ამ ტრიუკის მიღების მეთოდი, მაინც თავბრუდამხვევი ეფექტი ჰქონდა, რადგან თუ ფიზიკურად არა, სულიერად მაინც შეძლო ქალაქიდან თავის დაღწევა. ეგონა, თითქოს ლორენის კოშკის ციცაბო კედლიდან რამდენიმე ფუტის მოშორებით, სივრცეში ეკიდა. რამდენიმე წამით მზერა მის თვალწინ აღმართულ ნაცრისფერ, გლუვ ზედაპირზე შეაჩერა; შემდეგ მართვის სახელურს მოქაჩა და მზერამ იატაკზე გადაინაცვლა.

ახლა, როცა ამ საოცარი მოწყობილობის შესაძლებლობებს გაეცნო, ელვინის სამოქმედო გეგმა აშკარა გახდა. დიასპარის შიგნიდან, ოთახ-ოთახ და დერეფან-დერეფან, კვლევაში თვეებისა და წლების ფუჭად ხარჯვა საჭირო აღარ იყო. ამ ახალი მოსახერხებელი სათვალთვალო პუნქტიდან ფრინველის მსგავსად ქალაქს გარეთ გაჭრა და უდაბნოში ან დიასპარის მიღმა არსებულ სამყაროში გამავალი ნებისმიერი გასასვლელი ან ხვრელი აღმოჩენა შეეძლო.

გამარჯვებითა და მიზნის მიღწევით გამოწვეულმა სიხარულმა ელვინს თავბრუ დაუხვია და ამ საამური წუთების ვინმესთან გაზიარების სურვილი აღუძრა. ხედრონს მიუბრუნდა, უნდოდა, მადლობა გადაეხადა სანუკვარი ოცნების ასრულებისთვის. მაგრამ მასხარა წასულიყო. მაშინვე მიხვდა მისი წასვლის მიზეზს.

ელვინი ალბათ ერთადერთი ადამიანი გახლდათ მთელს დიასპარში, ვისაც ჰქონდა უნარი, ეკრანზე მოცურავე გამოსახულებები აუღელვებლად ეთვალიერებინა. ხედრონს შეეძლო ძებნაში დახმარებოდა, მაგრამ თავად მასხარაც სამყაროსადმი იმ უცნაურ და აუხსნელ შიშს იზიარებდა, რომელსაც კაცობრიობა ასე დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა თავის პატარა ჩაკეტილ წრეს მიჯაჭვული. ამიტომ დატოვა ელვინი და მასთან ერთად არ გააგრძელა ძიება.

მარტოობის გრძნობა, რომელიც ცოტა ხნით მოეშვა ელვინის გულს, ისევ ლოდად დააწვა. მაგრამ ახლა მოწყენილობის დრო არ ჰქონდა; იმდენი რამ უნდა გაეკეთებინა. მონიტორის ეკრანს მიუბრუნდა, ისე დააყენა, რომ ქალაქის კედლის გამოსახულებას ნელა ემოძრავა ეკრანზე და ძებნა განაგრძო.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ელვინი დიასპარში თითქმის არ გამოჩენილა, თუმცა მისი არ ყოფნა ბევრს არც შეუმჩნევია. როცა ჯეზერაკმა გაიგო, რომ მისი ყოფილი მოსწავლე მთელ დროს საბჭოს დარბაზში ატარებდა, ქალაქის საზღვრებთან ხეტიალის ნაცვლად, ერთგვარი შვებით ამოისუნთქა, რადგან იფიქრა, რომ დარბაზში გამოკეტილი ელვინი ნაკლებ უსიამოვნებას გადააწყდებოდა. ერისტონი და ეთანია რამდენჯერმე ეწვიენ მის ოთახს, მაგრამ შინ არ დახვდათ, ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. რაც შეეხება ალისტრას, ის უფრო ჯიუტი გამოდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საკუთარი სიმშვიდის თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა, ალისტრა ელვინით კი არა, უფრო სასურველი და შესაფერისი ახალგაზრდით გატაცებულიყო, მით უმეტეს, რომ დიასპარში ვარიანტების ფართო არჩევანი არსებობდა. ალისტრას არასოდეს გასჭირვების პარტნიორების არჩევა, მაგრამ ელვინთან შედარებით, ყველა მისი ნაცნობი მამაკაცი არარაობად, ერთ ყალიბში ჩამოსხმულ, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავებულ ნიმუშებად მიაჩნდა. უბრძოლველად დანებებას ნამდილად არ აპირებდა; ელვინის გაუცხოვება და გულგრილობა ისეთი გამოწვევა იყო მისთვის, რომელსაც ვერ გაუძლებდა, აუცილებლად უნდა მიეღო.

თუმცა, შესაძლოა, ალისტრას იმდენად ეგოისტური მოტივები არ ამოძრავებდა, მისი საქციელი უფრო დედობრივი გრძნობებით იყო განპირობებული, ვიდრე სასიყვარულოთი. მართალია, შვილოსნობის უნარი უკვე დიდი ხანია მიევიწყებინათ, მაგრამ თანაგრძნობისა და დაცვის დედობრივი ინსტინქტები ჯერ კიდევ არსებობდა. შეიძლება ელვინი ერთი შეხედვით ჯიუტი, ზედმეტად თავდაჯერებული ადამიანი ჩანდა, რომელიც მტკიცედ ცდილობდა, თავისი გაეტანა, მაგრამ ალისტრა ხედავდა მის შინაგან მარტოობას.

როცა გაუჩინარება შეამჩნია, მაშინვე მივიდა ჯეზერაკთან და მისი ასავალ-დასავალი იკითხა. ჯეზერაკმა, მცირედი ყოყმანის შემდეგ, მოუყვა. თუ ელვინს ვინმესთან ურთიერთობა არ სურდა, თავად უნდა ეთქვა მისთვის ამის შესახებ. მისი მასწავლებელი არც იწონებდა და არც კიცხავდა მათ ურთიერთობას. მოხუცს მოსწონდა კიდეც ალისტრა და იმედოვნებდა, რომ გოგო დადებით გავლენას იქონიებდა ელვინზე და დაეხმარებოდა დიასპარის ცხოვრების რიტმის აყოლაში.

ის ფაქტი, რომ ელვინი საბჭოს დარბაზში ატარებდა მთელ თავის დროს, მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ რაღაც კვლევაში იყო ჩაფლული და თავისთავად სავარაუდო მეტოქეების არსებობას გამორიცხავდა. მაგრამ თუ ელვინის საქციელმა ეჭვიანობის საბაბი არ მისცა, სამაგიეროდ ცნობისმოყვარეობის ძლიერი გრძნობა გაუღვივა. ალისტრა ზოგჯერ საყვედურობდა კიდეც საკუთარ თავს, ლორენის კოშკში რომ მიატოვა ელვინი, თუმცა ყველაფერი თავიდან რომ განმეორებულიყო, ზუსტად ისევე მოიქცეოდა, როგორც მაშინ. ელვინის ჩანაფიქრის გაგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ გაარკვევდა, რას აკეთებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ალისტრამ მიზანმიმართულად შეაბიჯა მთავარ დარბაზში, გარშემო ჩამოწოლილმა სიჩუმემ, რომელმაც მაშინვე მოიცვა, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, გააოცა, თუმცა არ დაუთრგუნია. ვესტიბიულის შორეულ კედელზე საინფორმაციო მანქანები ჩამწკრივებულიყო, და ალისტრამ ერთი-ერთი ამოირჩია.

როგორც კი მიღების სიგნალი გაისმა, განაცხადა: „ელვინს ვეძებ; სადღაც ამ შენობაში უნდა იყოს. სად შემიძლია მისი პოვნა?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი ცხოვრება რომ გაგეტარებინა ფიქრში, მაინც ვერ მიხვდებოდი, რა პრინციპით მუშაობდნენ საინფორმაციო მანქანები და როგორ ახერხებდნენ, დაუყოვნებლივ გაეცათ პასუხი მარტივ შეკითხვებზე. დიასპარში მოიძებნებოდნენ ადამიანები, ვინც იცოდნენ – ან ამტკიცებდნენ, რომ იცოდნენ – ეს როგორც ხდება, და სწავლული გამომეტყველებით ლაპარაკობდნენ 'ხელმისაწვდომობის დროისა' და 'მეხსიერების მოცულობის' შესახებ, მაგრამ მათი მსჯელობებისაგან დამოუკიდებლად საბოლოო შედეგი მაინც არ კარგავდა განსაცვიფრებელ ეფექტს. მანქანები ქალაქის შესახებ მეხსიერებაში დაცული ინფორმაციის გრანდიოზული მოცულობიდან გამომდინარე, მყისვე პასუხობდნენ საყოფაცხოვრებო ხასიათის ნებისმიერი კითხვას. თუ კითხვა ურთულეს გამოთვლებს მოითხოვდა, მხოლოდ მაშინ იქმნებოდა უმცირესი შეფერხება პასუხის გაცემისას.

„მონიტორებთანაა," - გაისმა პასუხი. სიტყვა 'მონიტორი' ასლიტრას არაფერს ეუბნებოდა, ასე რომ პასუხი დიდად არ დახმარებია. არც ერთი მანქანა არ აწვდიდა იმაზე მეტ ინფორმაციას, რამდენსაც მკითხველი ითხოვდა, და ამიტომ, კითხვის დასმის ხელოვნების შესწავლას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა.

„როგორ მივიდე მასთან?" – იკითხა ალისტრამ. როცა ელვინთან მიაღწევს, მონიტორებსაც ნახავს და გაარკვევს, რასაც ნიშნავს.

„საბჭოს ნებართვის გარეშე ვერ გეტყვი."

ყველაზე ნაკლებად ალისტრა მოვლენათა ასეთ თავგზადამბნევ განვითარებას მოელოდა. დიასპარში ძალიან ცოტა აკრძალული ადგილი არსებობდა, ქალაქის მცხოვრებთ თითქმის ყველგან მოხვედრის უფლება ჰქონდათ, თუ მოისურვებდნენ. ალისტრას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ელვინს არავითარი საბჭოს ნებართვა არ მიუღია, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას საბჭოზე ზემდომი ავტორიტეტი ეხმარებოდა.

დიასპარს საბჭო განაგებდა, და ძალაუფლებით თავად საბჭოზე მაღლა ალბათ მხოლოდ ცენტრალური კომპიუტერის უსაზღვრო ინტელექტი იდგა. ძნელი იყო, ცენტრალურ კომპიუტერზე, როგორც განსაზღვრულ ადგილას განთავსებულ ცოცხალ არსებაზე, გეფიქრა, თუმცა სინამდვილეში დიასპარში მოქმედი ყველა მანქანის ჯამს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი არსება არ იყო, ამ სიტყვის ბიოლოგიური მნიშვნელობით, ადამიანზე ნაკლები ცნობიერება და თვითშეგნება ნამდვილად არ ჰქონდა. კომპიუტერმა უთუოდ იცოდა, რას აკეთებდა ელვინი და, შესაბამისად, იწონებდა მის საქციელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეაჩერებდა ან უფლების ასაღებად საბჭოს გადასცემდა, ისევე როგორც საინფორმაციო მანქანა მოიქცა ალისტრასთან მიმართებაში.

აქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა. ალისტრამ იცოდა, რომ ელვინის პოვნის ნებისმიერი ცდა – რომც სცოდნოდა მისი ზუსტი ადგილსამყოფელი ამ უზარმაზარ შენობაში – უშედეგოდ დამთავდებოდა. კარები ჩაირაზებოდა, მოძრავი ტროტუარები, როდესაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიმეზე შედგებოდა, საპირისპირო მიმართულებით წაიყვანდა და უკან დააბრუნებდა; გრავიტაციული ამწეები რაღაც იდუმალი გზით ძალას დაკარგავდნენ და მის ერთი სართულიდან მეორეზე გადაყვანაზე უარს იტყოდნენ. თუ მაინც დაიჟინებდა და წინააღმდეგობას გაუწევდა, რომელიღაც თავაზიანი, მაგრამ შეუდრეკელი რობოტი ქუჩაში გააცილებდა, ანდა რაღაც უხილავი მანქანა გზას აუბნევდა და იმდენ ხანს ატარებდა უმიზნოდ საბჭოს მთელ დარბაზში, სანამ ალისტრას არ მობეზრდებოდა და საკუთარი სურვილით არ დატოვებდა შენობას.

საშინელ ხასიათზე დადგა, ქუჩაში რომ გამოვიდა. შენობაში მომხდარმა ამბავმა საგონებელში ჩააგდო, და ცხოვრებაში პირველად მიხვდა რაღაც საიდუმლოს არსებობას, რომლის გვერდზე მისი პირადი სურვილები და ინტერესები ტრივიალურ ხასიათს იძენდა, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ მისთვის ისინი უწინდელ მნიშვნელობას კარგავდნენ. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა მოემოქმედა, მაგრამ ერთ რამეს წყალი არ გაუვიდოდა: ელვინი ერთადერთი ჯიუტი და შეუპოვარი ადამიანი ნამდვილად არ გახლდათ მთელს დიასპარში.

თავი VIII

ელვინმა ხელი აუშვა თუ არა მართვის ღილაკებს და სქემა გადატვირთა, ეკრანზე აღბეჭდილი გამოსახულება მაშინვე გაქრა. რამდენიმე წამის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა და ეკრანის ჩამქრალ შავ ოთკუთხედს მისჩერებოდა, რომელიც უკვე არა ერთი კვირაა, მთლიანად იპყრობდა მის ცნობიერებას. საკუთარი სამყარო თავიდან ბოლომდე შემოიარა და დაწვრილებით შეისწავლა; ამ ეკრანის ზედაპირზე დიასპარის გარე კედლის თითოეულმა კვადრატულმა ფუტმა გაიარა. ამიერიდან ქალაქს მის ნებისმიერ ცოცხალ მკვიდრზე უკეთესად იცნობდა, თუ, რა თქმა უნდა, ხედრონს არ ჩავთლით; და დარწმუნდა, რომ მის კედლებს ვერანაირი გზით ვერ გაარღვევდა.

იმედგაცრუების მიუხედავად, ელვინმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა; არც უფიქრია, რომ მიზანს ასე ადვილად მიაღწევდა და პირველივე ცდით იპოვნიდა იმას, რასაც ეძებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ერთი ვარიანტის გამორიცხვა მოახერხა. ახლა სხვები უნდა ეძებნა.

ფეხზე წამოდგა და ქალაქის გამოსახულებას მიუახლოვდა, რომელიც დარბაზს თითქმის მთლიანად იკავებდა. ძნელი იყო, მასზე როგორც რეალურ მაკეტზე, ისე არ გეფიქრა, თუმცა ელვინმა იცოდა, რომ სინამდვილეში ის მხოლოდ მეხსიერების უჯრედებში, რომლებსაც ასე რუდუნებით იკვლევდა, დაცული ნიმუშის ოპტიკურ პროექციას წარმოადგენდა. როდესაც მონიტორის მართვის სახელურებს ატრიალებდა და საკუთარ სათვალთვალო წერტილს პოზიციას და მიმართულებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცვლიდა, ამ ელექტრონული ასლის ზედაპირზე კურსორის გადაადგილებასთან ერთად სინქრონულად მოძრაობდა სინათლის პაწაწინა ლაქა, რაც საშუალებას აძლევდა, ზუსტად დაედგინა თავისი ადგილმდებარეობა. თავიდან ეს ლაქა ძალიან დაეხმარა, მაგრამ მალე ისე დაოსტატდა მონიტორის მართვასა და კოორდინატების დაყენებაში, რომ მისი დახმარება აღარც დასჭირვებია.

ქალაქი მის ფეხქვეშ გაშლილიყო და ელვინი მას ღმერთვით დაჰყურებდა. თუმცა ახლა ნაკლებად ამჩნევდა მას, რადგან გონებაში თითოეულ სამომავლო ნაბიჯსა და მათ თანმიმდევრობას აანალიზებდა.

თუ ყველა დანარჩენი ხერხი არ გაჭრის, პრობლემის გადაწვეტის ერთი გზა მაინც რჩებოდა. თუმცა, დიასპარი მეხსიერების უჯრედებში დაცული სტრუქტურის შესაბამისად მარადიულ შეუცვლელობას ინარჩუნებდა, რასაც მისი უსასრულობის სქემები განაპირობებდა, სტრუქტურის შეცვლა შესაძლებელი იყო. ამიტომ, მათ შეცვლას შედეგად ქალაქის შეცვლა მოჰყვებოდა. სწორედ ამ ვარაუდიდან გამომდინარეობდა გარე კედლის მთლიანი სექციის იმგვარად გადაკეთების შესაძლებლობა, რომ მასში გასასვლელი ასახულიყო, შემდეგ სტრუქტურის ამ ნიმუშს მონიტორებში ატვირთავდა და ქალაქს ახალი კონცეფციის მიხედვით გარდაქმნის საშუალებას მისცემდა.

ელვინი ეჭვობდა, რომ მონიტორის კონტროლის პანელის უმეტესი ნაწილი, რომლის დანიშნულებაც ხედრონს არ აუხსნია, სწორედ ასეთი ცვლილებებისა და შესწორებებისთვის იყო განკუთვნილი. მათზე ექსპერიმენტების ჩატარებას აზრი არ ჰქონდა; მართვის საშუალებები, რომელთაც ქალაქის თვით სტრუქტურის შეცვლა შეეძლოთ, საგულდაგულოდ ჩაერაზათ და მათი ამუშავება საბჭოს ნებართვისა და ცენტრალური კომპიუტერის დასტურის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. საბჭოს კეთილგანწყობის მოპოვების შანსი კი თითქმის არ არსებობდა, მრავალწლიანი ან თუნდაც მრავალსაუკუნოვანი თხოვნაც ვერ გაჭრიდა და საწადელს მაინც ვერ აუსრულებდა. ასეთი პერსპექტივა კი ყველაზე ნაკლებად იზიდავდა.

ფიქრები ცაზე გადაიტანა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, - ოცნებებში, რომლებსაც შემდგომ ერთგვარი უხერხულობის გრძნობით იხსენებდა – თითქოს ხელახლა მოიპოვა ადამიანის მიერ დიდი ხნის წინათ დაკარგული თავისუფლება ზეცაში თავისუფლად მოგზაურობისა. წარსულში, ერთ დროს, დარწმუნებული იყო, ზეცას დედამიწის თავზე უჩვეულო ფორმის სილუეტები ავსებდა. გამოუცნობი განძით დატვირთული უზარმაზარი ხომალდები კოსმოსური მოგზაურობიდან ბრუნდებოდნენ და დიასპარის ლეგენდარულ პორტში ჩერდებოდნენ. მაგრამ პორტი ქალაქის საზღვებს იქით მდებარეობდა; მას შემდეგ საუკუნეები გავიდა და პორტი უდაბნოს მოძრავ ქვიშაში დაიმარხა. რა თქმა უნდა, შეეძლო ეოცნება, რომ სადღაც დიასპარის ლაბირინთებში დღემდე ინახებოდა საფრენი აპარატი, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ამის არ სჯეროდა. იმ დროსაც კი, როცა მცირე ზომის პირად ფლაერებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველდღიურად იყენებდნენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათი მოხმარება ქალაქის საზღვრებში ყოფილიყო ნებადართული.

წამით ელვინი ძველმა, კარგად ნაცნობმა ოცნებამ გაიტაცა. წარმოიდგინა, რომ ზეცა ემორჩილებოდა, მის ფეხქვეში კი მთელი სამყარო გაშლილიყო და სასურველ ადგილებში სამოგზაუროდ ეპატიჟებოდა. ოცნებისეული სამყარო თანამედროვე ეპოქას არ ეკუთნოდა, ეს განთიადის უძველესი დაკარგული სამყარო გახლდათ – მთების, ტყეებისა და ტბების მდიდარი, ცოცხალი პანორამა. მწარე შურით აივსო თავისი უცნობი, შორეული წინაპრების მიმართ, რომლებიც ასე თავისუფლად დაფრინავდნენ მთელი დედამიწის გარშემო, აუწერელი სილამაზით ტკბებოდნენ. ბრაზი იპყრობდა, რომ ხელიდან გაუშვეს ეს სილამაზე და წინ ვერ აღუდგნენ მის დაღუპვას.

ეს ფუჭი ოცნებები მხოლოდ ტვინს უბნევდა; ძალისხმევა მოიკრიბა, რომ სინამდვილეს დაბრუნებოდა და არსებულ პრობლემაზე ეფიქრა. თუ ზეცა მიუწვდომელია, ხოლო სახმელეთო გზა გადაკეტილი, რაღა რჩებოდა?

კვლავ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როდესაც სხვისი დახმარების გარეშე ვერაფერს გახდებოდა. დიდად არ სიამოვნებდა იმ ფაქტის აღიარება, რომ საკუთარი ძალებით საწადელს ვერ მიაღწევდა, მაგრამ სიმართლეს ვერ გაექცეოდა, მისი შინაგანი გულახდილობა არ აძლევდა თავის მოტყუების საშუალებას. ფიქრები, ძალაუნებურად, ისევ ხედრონისკენ მიემართებოდა.

ელვინს ვერაფრით გადაეწყვიტა, მოსწონდა თუ არა მასხარა. ძალიან უხაროდა, რომ გაიცნო და მადლიერიც იყო ხედრონის დახმარებისა და ფარული თანადგომისთვის, რომელიც ძებნის პროცესში აღმოუჩინა. დიასპარში არავინ ეგულებოდა, ვისთანაც უფრო მეტი საერთო ექნებოდა, ვიდრე მასხარასთან, თუმცა ამ უკანასკნელის ხასისათის ზოგიერთი შტრიხი მოსვენებას არ აძლევდა. ალბათ ხედრონისთვის დამახასიათებელი ირონიული განკერძოებულობის გამომეტყველება უქმნიდა ელვინს შთაბეჭდილებას, თითქოს მასხარა ფარულად დასცინოდა ყველა მის მცდელობას, თუმცა ცხადლივ ღონეს არ იშურებდა, რომ დახმარებოდა. სწორედ ამის გამო, ისევე, როგორც საკუთარი სიჯიუტისა და დამოუკიდებლობის გამო, ელვინი ყოყმანობდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, ხედრონისთვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიემართა.

ელვინი და ხედრონი შეხვედრაზე შეთანხმდნენ, შეხვედრის ადგილად საბჭოს დარბაზთან ახლოს მდებარე პატარა მრგვალი პარკი აირჩიეს. ქალაქში ასეთი მყუდრო, განცალკევებული ადგილები მრავლად მოიძებნებოდა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, გადატვირთული მაგისტრალებიდან სულ ორიოდე ნაბიჯში მდებარეობდნენ, თუმცა მისგან სრულიად მოწყვეტილი იყვნენ. აქ მოხვედრა მხოლოდ ფეხით, შემოვლითი გზებით შეიძლებოდა; ხშირ შემთხვევაში, ოსტატურად ჩაფიქრებული ლაბირინთების ცენტრებს წარმოადგენდნენ, რაც მათ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განცელკევებულობას ხაზს უსვამდა. ხედრონისთვის სავსებით ნიშანდობლივი იყო, რომ შეხვედრა სწორედ ასეთ ადგილას დანიშნა.

ეზო სიგანეში ორმოცდათ ნაბიჯზე ოდნავ მეტი თუ იქნებოდა და, სინამდვილეში, გარეთ კი არა, არამედ რომელიღაცა უშველებელი შენობის სიღრმეში მდებარებდა. თუმცა, ერთი შეხედვით, ვერავითარ ფიზიკურ საზღვრებს ვერ შეამჩნევდით. ეზოს გარშემო გამჭვირვალე, მკრთალი შიდა შუქით განათებული, მოცისფრო-მომწვანო ფერის მატერია შემორტყმოდა. მიუხედავად ამ ხილული საზღვრების არ არსებობისა, ეზო იმგვარად გახლდათ დაპროექტებული, რომ უსასრულო სივრცეში დაკარგვის შიში არ გიპყრობდათ. დაბალი კედლები, რომლებიც ადამიანს წელამდე სწვდებოდა და ალაგ-ალაგ კედელში დატანებულ გასასვლელებს უთმობდა გზას, უსაფრთხო და მყუდრო განმარტოვების შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომლის გარეშე დიასპარში ვერავინ იგრძნობდა თავს სრულიად ბედნიერად.

ხედრონი გულდასმით ათვალიერებდა ერთ-ერთ ასეთ კედელს, როდესაც ელვინი გამოჩნდა. კედელი ფერადი ფილებისგან შემდგარი ურთულესი მოზაიკით მოეპირკეთებინათ, რომელსაც იმდენად ფანტასტიური უზორი შეექმნა, რომ ელვინს არც უცდია მისი დეტალების გახსნა.

„ერთი შეხედე ამ მოზაიკას, ელვინ, - მიმართა მასხარამ. – რაიმე უჩვეულოს ხომ არ ატყობ?“

„არა, - აღიარა ელვინმა მცირედი დაკვირვების შემდეგ. – მაინც და მაინც კი არ მაინტერესებს, მაგრამ უცნაურს ვერაფერს ვატყობ.“

ხედრონმა თითები ფერად ფილებზე მოატარა. „დიდად დაკვირვებული არ ჩანხარ, - აღნიშნა მან. – შეხედე ამ კიდეებს, ამჩნევ, როგორ მომრგვალებულან და გლუვი ფორმა მიუღიათ? ასეთ მოვლენას დიასპარში ძალიან იშვიათად თუ ნახავ, ელვინ. ამას ცვეთა ქვია და დროის შემოტევის შედეგად ნივთიერების ნელ რღვევას და დაშლას გულისხმობს. მახსოვს, ეს მასალა ერთ დროს, ჩემს წინა ცხოვრებაში, დაახლოებით რვა ათასი წლის წინ, ახალთახალი იყო. თუ რამდენიმე სიცოცხლის ან გარდაქმნის შემდეგ ისევ დავუბრუნდები ამ ადგილს, ფილები სრულიად გაცვეთილი დამხვდება.“

„მე ამაში ვერაფერ განსაცვიფრებელს ვერ ვხედავ, - განუცხადა ელვინმა. – ქალაქში ხელოვნების უამრავი საშუალო ღირებულების ნიმუში არსებობს, რომლის მეხსიერების საცავებში შენახვა ნამდვილად არ ღირს, მაგრამ არც იმდენად ცუდია, რომ გასანადგურებლად გაიმეტო. ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, სხვა მხატვარი გამოჩნდება, რომელიც უკეთეს ნამუშევრებს შექმნის და მის ქმნილებას ცვეთა და განადგურება აღარ დაემუქრება.“

„ამ კედლის შემქმნელს ვიცნობდი, - აღნიშნა ხედრონმა, თან მოზაიკაში წარმოქმნილ ბზარების სინჯვას განაგრძობდა. – რა საოცარია, თავად ფაქტი ნათლად მახსოვს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ის ადამიანი, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ სრულიად დამავიწყდა. ალბათ, ძალიან არ მომწონდა და, სავარაუდოდ, საკუთარი ცნობიერებიდან ამოვშალე. – ხედრონმა ჩაიცინა. – ადვილად შესაძლებელია, მე თვითონ შემექმნას ეს ნახატი ერთ-ერთი შემოქმდებითი შემოტევის დროს, და სასტიკად გავღიზიანებულყავი, ქალაქმა რომ არ აღიარა და უკვდავება არ მიანიჭა და გადავწყვიტე, სამუდამოდ დამევიწყებინა ეს ამბავი. ეგრეც ვიცოდი, რომ ეს ნაწილი ჩამოვარდებოდა!“

ხედრონმა მოოქროვილ ფილას პატარა ნატეხი მოამტვრია, და, როგორც ჩანდა, საკუთარი წვრილმანი მავნებლობით მეტად ნასიამოვნები დარჩა. ნატეხი მიწაზე დააგდო და განაცხადა: „დასუფთავებაზე პასუხისმგებელ რობოტებს საქმე გამოუჩნდათ!“

ინტუიციის სახელით ცნობილი უცნაური ინსტინქტი, რომელიც ლოგიკას კი არ მიყვებოდა, არამედ მეტად უჩვეულო გზებს ირჩევდა გასაკვალად, ელვინს კარნახობდა, რომ ეს ამბავი გაკვეთილად გამოადგებოდა. მის ფეხთან დაგდებულ ოქროს ნამსხვრევს შეხედა და შეეცადა, როგორმე იმ პრობლემისადმი დაეკავშირებინა, რომელიც მის გონებას მოსვენებას არ აძლევდა.

ელვინს პასუხის პოვნა არ გასჭირვებია, მითუმეტეს, როცა მის არსებობაში დარწმუნდა.

„ვიცი, რისი თქმაც გინდა, - მიმართა ხედრონს. – დიასპარში არსებული ზოგიერთი ობექტები მისი მეხსიერების სქემებში არაა დაცული, ასე რომ, საბჭოს დარბაზის მონიტორებზე ვერასოდეს აღიბეჭდება. რომ მივიდე დარბაზში და ფოკუსი ამ ეზოზე მივმართო, ეს იმას ნიშნავს, რომ მონიტორებზე იმ კედლის კვალსაც ვერ ვიხილავ, რომელზედაც ახლა ვსხედვართ?“

„მე მგონი, კედელს კი დაინახავ, მაგრამ მასზე გამოსახულ მოზაიკას ვეღარ შეამჩნევ.“

„ჰო, გასაგებია, - მოკლედ მოუჭრა ელვინმა, რომელიც ისე გაეტაცა საკუთარ საფიქრალს, რომ ასეთი წვრილმანებისთვის ვეღარ იცლიდა. – ზუსტად ამგვრად შეიძლება ქალაქის მთელი რაიონები არსებობდეს, რომლებიც კომპიუტერის მარადიულ სქემებში არ აღბეჭდილა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაცვეთილა, შემონახულა. მაგრამ არა, მაინც ვერ ვხვდები, რაში დამეხმარება ეს ცოდნა. მე ხომ ვიცი, რომ გარე კედელი არსებობს და რომ მას გასასვლელი არა აქვს, შეუვალია.“

„შეიძლება გასასვლელი მართლა არ არსებობდეს, - ჩაილაპარაკა ხედრონმა. – დანამდვილებით ვერაფერს შეგპირდები. მაგრამ ვფიქრობ, რომ მონიტორებისგან კიდევ ძალიან ბევრ რამეს ვისწავლით – თუ, რა თქნა უნდა, ცენტრალური კომპიუტერი ამის ნებართვას მისცემს. ის კი, როგორც ვატყობ, საკმაოდ მეგობრულად არის შენს მიმართ განწყობილი.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საბჭოს დარბაზისკენ გაემართნენ. გზად ელვინი ხედრონის სიტყვებზე ფიქრობდა. აქამდე ეგონა, რომ დარბაზში შესვლისა და მონიტორების გამოყენების უფლება მარტოოდენ მასხარას გავლენის წყალობით მიიღო. აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი შინაგანი თვისებების გამო გახდა შესაძლებელი. უნიკალურობას ბევრი უარყოფითი მხარე ჰქონდა; და თუ მცირე პრივილეგიებს და უპირატესობებს მოიპოვებდა, სამართლიანიც იქნებოდა.

დარბაზში, სადაც ელვინმა არა ერთი საათი გააარა, კვლავ ქალაქის უცვლელი გამოსახულება დომინირებდა. ახლა მას უკვე სხვა თვალით უყურებდა; ყველაფერი, რასაც მონიტორებზე ხედავდა, სინამდვილეშიც არსებობდა, მაგრამ ამ ჯადოსნურ სარკეში ხომ მთელი დიასპარი არ აისახებოდა. ჰო, რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახის შეუსაბამობა იმდენად ტრივიალური და უმნიშვნელო უნდა იყოს, რომ – ელვინის აზრით – გარეშე თვალისვის შეუმჩნეველი დარჩეს.

„ამის გაკეთება დიდი ხნის წინ ვცადე, - გამოუტყდა ხედრონი და მონიტორთან მოკალათდა, - მაგრამ მართვის კლავიშები დაიბლოკა და მისი ამუშავების საშუალება არ მომეცა. შეიძლება ახლა დამემორჩილონ.“

ხედრონის თითები მართვის პანელზე ამოძრავდნენ, ჯერ ნელა, შემდეგ კი მზარდი თავდაჯერებით, რადგან დიდი ხნის წინ მივიწყებულ უნარ-ჩვევებს იხსენებდა. დროდადრო, პულტში დამონტაჟებული სენსორული ქსელის საკვანძო წერტილებში, მოძრაობას ანელებდა.

„მე მგონი, ყველაფერს სწორად ვაკეთებთ, - დაარღვია სიჩუმე ხედრონმა. – ასეა თუ ისე, ამაში მალე დავრწმუნდებით.“

ეკრანი განათდა, მაგრამ მოსალოდნელი სურათის ნაცვლად, მასზე უცნაური შინაარსის შეტყობინება გამოისახა:

რეგრესია მაშინვე დაიწყება, როგორც კი სიჩქარის მარეგულირებელ მოწყობილობას დააყენებთ

„რა სულელი ვარ, - ჩაიბურტყუნა ხედრონმა. – ყველაფერი სწორად გავაკეთე და ყველაზე მნიშვნელოვანი გადამავიწყდა.“ მისი თითები ახლა უფრო მეტი სიმტკიცითა და დარწმუნებით ამოძრავდნენ პანელზე და როცა ეკრანზე წარწერა გაქრა, გადაწვა სავარძელში, რათა მოხერხებულად ეცქირა ქალაქის დუბლიკატისთვის.

„ყურადღებით დაუკვირდი, ელვინ, - წამოიძახა. – მე მგონი, დღეს მე და შენ რაღაც ახალს შევიტყობთ ამ ქალაქის შესახებ.“

ელვინი მოთმინებით ადევნებდა თვალს ეკრანს, მაგრამ არაფერი იცვლებოდა. ქალაქის გამოსახულება ძველებურად ტივტივებდა მის თვალწინ მთელი თავისი სიდიადითა და სილამაზით – თუმცა ელვინი ახლა ვერც ერთს აცნობიერებდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერც მეორეს. ხედრონისთვის უნდოდა ეკითხა, ზუსტად რაზე გაემახვილებინა ყურადღება, როდესაც თვალი უცაბედ მოძრაობას შეასწრო და თავი სწრაფად მიაბრუნა იქითკენ, რათა უკეთ დაენახა, რამ გაიელვა. ეს რაღაც მომენტალურ, ოდნავ შესამჩნევ გაელვებას ან ციმციმს ჰგავდა, ელვინმა ვერც მოასწრო, გაერკვია, რამ გამოიწვია. შედეგად არაფერი შეცვლილა; დიასპარი იგივე რჩებოდა, როგორსაც ყოველთვის იცნობდა. შემდეგ ხედრონს შეხედა და დაინახა, რომ მასხარა სარკასტული ღიმილით აკვირდებოდა და მზერა ისევ ქალაქზე გადაიტანა. მოულოდნელად იგივე განმეორდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი მის თვალწინ მოხდა.

პარკის განაპირა მხარეს მდებარე ერთ-ერთი შენობა უცბად გაქრა და იმავდროულად გაუჩინარებული ნაგებობა სხვა, აბსოლუტურად განსხვავებული არქიტექტურის მქონე შენობამ შეცვალა. ტრანსფორმაცია იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ელვინის მზერა მონიტორზე რომ არ ყოფილიყო მიჯაჭვული ან უბრალოდ თვალი დაეხამხამებინა, გამოეპარებოდა. გაოგნებული შესცქეროდა ოდნავ შეცვლილ ქალაქს, მაგრამ პირველადი გაოცებისგან მოგვრილი შოკის დროსაც ელვინი ამ უცნაური მოვლენის ამხსნელ პასუხს ეძებდა. გაახსენდა მონიტორზე გამოტანილი სიტყვები – რეგრესია დაიწყება – და მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა.

„ეს ათასობით წლის წინანდელი ქალაქია, - მოახსენა ელვინმა. – დროში დავბრუნდით, არა?“

„საკმაოდ მხატვრული ხერხი აგირჩევია აქ მომხდარის აღსაწერად, - მიუგო მასხარამ. – თუმცა ნაკლებად ზუსტი. სინამდვილეში მონიტორი ქალაქის ადრეულ ვერსიებს იხსენებს. როცა წარსულში სხვადასხვა მოდიფიკაციები სრულდებოდა, მეხსიერების სქემებიდან ინფორმაცია კი არ იშლებოდა, არამედ დამხმარე მეხსიერების მოწყობილობაში გადადიოდა, და როცა ვინმეს დასჭირდებოდა, ადვილად შეეძლო მისი გამოხმობა. მონიტორი ისე დავაყენე, რომ ამ პროგრამებიდან წამში ათასი წლის სიჩქარით უკუთვლით მიგვეღო წარსულის გამოსახულებები. ამჟამად, მილიონი წლის წინანდელ დიასპარს ვუყურებთ. მაგრამ რაიმე ძირეული ცვლილებები რომ შევმჩნიოთ, ამაზე გაცილებით უფრო ადრინდელ ხანაში უნდა დავბრუნდეთ – მოიცადე, სიჩქარეს მოვუმატებ.“

ხედრონი მართვის პანელს მიუბრუნდა და მცირე ხნის შემდეგ მარტო ერთი შენობა კი არა, მთელი კვარტალი გაუჩინარდა და მის ადგილას დიდი ზომის ოვალური ამფითეატრი გაჩნდა.

„ა, არენა! – წამოიძახა ხედრონმა. – მახსოვს, რა აურზაური ატყდა, როცა მისი გაუქმება გადავწყვიტეთ. არენით თითქმის არავინ სარგებლობდა, მაგრამ ძალიან ბევრს მის მიმართ სენტიმენტალური ემოციები ამოძრავებდა.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მონიტორი ახლა გაცილებით უფრო მაღალი სიჩქარით იღებდა ინფორმაციას მეხსიერების სქემებიდან. დიასპარის გამოსახულება წარსულში წუთში მილიონობით წლის სიჩქარით მიექანებოდა და ცვლილებები იმდენად სწრაფად ხდებოდა, რომ თვალი ვერ ასწრებდა მათ დაფიქსირებას. ელვინმა შენიშნა, რომ ცვლილებებს ქალაქის იერ-სახეში ციკლური ხასიათი ჰქონდა; უძრაობისა და უმოქმედობის ხანგრძლივ პერიოდს გასაოცარი აღმშენებლობისა და გარდაქმნების ეტაპი მოჰყვებოდა და შემდეგ იგივე მეორდებოდა. თითქოს დიასპარი ცოცხალი ორგანიზმი ყოფილიყო, რომელსაც ზრდის თითოეული მძლავრი პერიოდის შემდეგ დასვენება და ძალების მოკრება სჭირდებოდა.

ამ ცვლილებების მიუხედავად, ქალაქის ძირითადი სურათი არ იცვლებოდა. შენობები ჩნდებოდა და ქრებოდა, მაგრამ ქუჩების განლაგება და სტრუქტურა მარადიული იყო, ხოლო პარკი კი დიასპარის მუდმივ მწვანე გულად რჩებოდა. ნეტა რამდენად შორს მიდიოდა მონიტორის მეხსიერება, - გაიფიქრა ელვინმა. შეეძლო ქალაქის დასაბამისთან დაბრუნება და ყველასათვის ნაცნობი ისტორიასა და განთიადის ეპოქის მითებსა და ლეგენდებს შორის გავლებული ფარდის გარღვევა?

უკვე ხუთასი მილიონი წლით წინანდელ ეპოქაში გადაენაცვლათ. დიასპარის კედლებს მიღმა მონიტორებისთვის სრულიად უცნობი, განსხვავებული დედამიწა იმალებოდა. შესაძლოა იქ ისევ შემორჩენილიყო ოკეანეები და ტყეები, ან თუნდაც სხვა ქალაქები, რომლებიც საბოლოო ნავთსაყუდელის ძებნაში გათანგულ ადამიანს ჯერ კიდევ არ მიუტოვებია.

წუთები გადიოდა – მონიტორების პატარა სამყაროში თითოეული წუთი მთელს ეპოქას უდრიდა. მალე, - ფიქრობდა ელვინი, - მონიტორის მეხსერებაში შენახულ ყველაზე ადრეულ მოგონებებამდეც მიაღწევდნენ და უკუსვლაც დასრულდებოდა. თვალწარმტაცი და მომხიბვლელი სანახაობის მიუხედავად, ელვინი მაინც ვერ ხვდებოდა, როგორ დაეხმარებოდა ეს ყველაფერი იმ ადგილას და იმ დროს არსებული ქალაქიდან გაღწევაში.

მკვეთრი, უხმო მოძრაობით, დიასპარი მცირედით შემჭიდროვდა და თავის უწინდელ ფორმას დაუბრუნდა. პარკი გაქრა, თვალის დახამხამებაში ვეებერთელა კოშკებისგან შემდგარი სასაზღვრო კედელიც გაუჩინარდა. ამ ქალაქს კარი მთელი სამყაროსთვის გაეღო, ხოლო მისი რადიალური გზები დაუბრკოლებლად იჭრებოდნენ გამოსახულების საზღვრებისკენ. სწორედ ასეთი გახლდათ დიასპარი, სანამ კაცობრიობას უდიდესი ცვლელებების პერიოდი დაატყდა თავს.

„ამაზე შორს ვეღარ წავალთ, - გამოუცხადა ხედრონმა და მონიტორის ეკრანზე მიანიშნა, სადაც შემდეგი წარწერა გამოსახულიყო: რეგრესია დასრულებულია. – ეს მეხსიერების სქემებში დაცული ქალაქის ყველაზე ადრინდელი ვერსია უნდა იყოს. ამ მომენტამდე არა მგონია, მარადიულ სქემებს იყენებდნენ, და შენობების ცვეთაც ალბათ ბუნებრივ კანონზომიერებს ემორჩილებოდა.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი დიდი ხანი შეჰყურებდა უძველესი ქალაქის მოდელს. ფიქრობდა მოძრაობაზე, რომელიც ამ გზებზე ოდესღაც დუღდა და ტრანსპორტს ხალხი თავისუფლად გადაჰყავდა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. იყო დრო, როდესაც ადამიანები, ელვინის შორეული წინაპრები, სხვა სამყაროებსაც უკავშირდებოდნენ. მათთან უფრო მეტ სიახლოვეს გრძნობდა, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, რომლებიც დიასპარში ცხოვრობდნენ. უნდოდა, შეეხედა მათთვის, მათი აზრები ამოეკითხა, გაეგო, რაზე ფიქრობდა ხალხი, რომელიც მილიარდი წლის წინანდელ დიასპარის ქუჩებში სეირნობდა. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ბედნიერი ფიქრები უტრიალებდათ თავში, რადგან ქალაქი იმ შავბნელ პერიოდში დამპყრობლების ჩრდილში ცხოვრობდა. რამდენიმე საუკუნეში იძულებული გახდებოდნენ მათ მიერ მოპოვებული დიდებისთვის ზურგი შეექციათ და გარე სამყაროსგან გამყოფი კედელი აღემართათ.

ხედრონმა მონიტორზე რამდენჯერმე გაატარა წინ და უკან ისტორიის ის მოკლე პერიოდი, რომელსაც ქალაქის ტრანსფორმაცია აღებეჭდა. პატარა ღია ქალაქის გაცილებუთ უფრო დიდ, მაგრამ ჩაკეტილ, სამყაროსგან მოწყვეტილ, ქალაქად გარდაქმნას ათას წელზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა. სწორედ ამ ხნის განმავლობაში უნდა შეემუშავებინათ და აეწყოთ მექანიზმები, რომლებიც დიასპარს ასე ერთგულად ემსახურებოდნენ, და მათი მეხსიერების სქემაში ის ინფორმაცია და ცოდნა შეეყვანათ, რომელიც მათ სხვადასხვდა დავალების შესრულების საშუალებას მისცემდა. მეხსიერების ამ სქემაშივე შევიდა ყველა ცოცხალი ადამიანის მნიშვნელოვანი სტრუქტურის ელექტრონული ვერსია. როცა სათანადო იმპულსი შემოვიდოდა, რომელიმე მათგანი ხორცს შეისხამდა და შემოქმედის დარბაზიდან გარდაქმნილი და ხელახლა დაბადებული გამოვიდოდა. ელვინი მიხვდა, რომ გარკვეულ წილად მასაც უარსებია ამ უძველეს სამყაროში. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იყო, რომ სრულიად სინთეზური პროცესის შედეგი აღმოჩენილიყო, რომ მისი პიროვნება თავიდან ბოლომდე ინჟინერ-მხატვრებს შეექმნათ, რომლებიც გასაოცარი ოსტატობით იყენებდნენ ურთულეს საჭრისებს და ხელსაწყოებს და საკმაოდ ნათლად გამოხატული მიზანი ამოძრავებდათ. მაგრამ ელვინს მაინც სჯეროდა, რომ იმ ხალხის ნაწილს შეადგენდა, რომლებსაც ოდესღაც უცხოვრიათ და უმოგზაურიათ დედამიწაზე.

როცა ახალმა დიასპარმა ძველი შეცვალა, უკანასკნელისგან ცოტა რამ თუ შემორჩა; პარკმა თითქმის მთლიანად დაფარა ქალაქის თავდაპირველი ტერიტორია. ტრანსფორმაციამდეც დიასპარის შუაგულში მცირე ზომის მწვანით მოცული მინდორი მდებარეობდა, რომელიც გარს მთელი რადიალური მაგისტრალების შემაერთებელ საკვანძო მონაკვეთს შემორტყმოდა. შემდგომ პერიოდში პარკი ათჯერ გაიზარდა და შენობები და მთელი ქუჩები აღგავა პირისაგან მიწისა. სწორედ მაშინ შეიქმნა იარლან ზეის სამარხი, რომელმაც ერთ დროს ყველა ქუჩის შემაერთებელ წერტილზე აღმართული უზარმაზარი წრიული კონსტრუქციის ადგილი დაიკავა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინს დიდად არასდროს სჯეროდა სამარხის სიძველის შესახებ გავრცელებული ლეგენდებისა, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ლეგენდები არ ტყუოდა.

„ხომ შეგვიძლია, - წამოიძახა ელვინმა, რომელსაც მოულოდნელად დაატყდა თავს აზრი, - ამ გამოსახულების შესწავლა, ისევე როგორც დღევანდელი დიასპარის გამოსახულება შევისწავლეთ?“

ხედრონის თითებმა მონიტორის მართვის პანელზე გაიელვეს და ეკრანმა თავად გასცა პასუხი ელვინის შეკითხვას. მის თვალწინ უძველეს დროში დაკარგულმა ქალაქმა იწყო გაცოცხლება, ყმაწვილის მზერა კი მის უჩვეულოდ ვიწრო შუკებში იძირებოდა. ამ პერიოდის დიასპარს ისეთივე მკვეთრი და მკაფიო გამოსახულება ჰქონდა, როგორც თანამედროვე ქალაქს. მილიარდობით წლის განმავლობაში საინფორმაციო სქემები მის ფსევდო-არსებობის აჩრდილისებრ მეხსიერებას ინახავდნენ და ელოდნენ იმ მომენტს, როდესაც ვინმე კვლავ გამოიძახებდა. მაგრამ ელვინი ხვდებოდა, რომ მარტოოდენ მეხსიერებას კი არ ათვალიერებდა, არამედ მასზე გაცილებით უფრო რთულ ფენომენს – მოგონებას მეხსიერების შესახებ...

არ იცოდა, რა როლს ითამაშებდა ეს ახალი მიღებული ცოდნა და თუ დაეხმარებოდა საერთოდ მიზნის მიღწევაში. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა; წარსულის სურათების თვალიერება და იმ დროის სამყაროს შესწავლა, როდესაც ადამიანები ვარსკვლავებზე მოგზაურობდნენ, დიდ სიამოვნებას გვრიდა. ქალაქის ცენტრში მდებარე დაბალ, მრგვალ შენობაზე მიანიშნა.

„მოდი, აქედან დავიწყოთ, - შესთავაზა ხედრონს. – ძიების დასაწყისისთვის მშვენიერი ადგილია.“

შეიძლება ეს უბრალო იღბალის შედეგი აღმოჩნდა; შეიძლება რომელიღაცა უძველესი მოგონებიდან გამომდინარეობდა; ან სულაც ელემენტარულ ლოგიკურ აზროვნებას ემყარებოდა. მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ადრე თუ გვიან ქალაქის ყველა რადიალური ქუჩის თავშეყრის ამ ადგილს მაინც მიადგებოდა.

ათი წუთი დასჭირდა, რომ აღმოეჩინა: ქუჩები აქ მხოლოდ და მხოლოდ სიმეტრიის თვალსაზრისით არ ერთდებოდნენ - ათი წუთი, რომ მიმხვდარიყო, რომ ხანგრძლივმა ძებნამ სასურველი შედეგი გამოიღო.

თავი IX

ალისტრა შეუმჩნევლად დააგდა ელვინისა და ხედრონის კვალს, ისე რომ ეჭვიც არ აუღიათ, რომ ვინმე უთვალთვალებდათ. ძალიან ეჩქარებოდათ – რაც თავის თავად მეტად უცნაური იყო – და ერთხელაც არ მოუხედიათ უკან. მათი მოძრავ ბილიკებზე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალხის ბრბოს ამოფარებული დევნა ალისტრას სახალისო თამაშად ექცა. როგორც იქნა, მათი მოგზაურობის მიზანიც ცხადი გახდა; როცა ქუჩები დატოვეს და პარკისკენ გადაუხვიეს, ალისტრა მიხვდა, რომ იარლან ზეის სამარხისკენ მიემართებოდნენ. რადგან პარკი მხოლოდ ამ ერთადერთ შენობას მოიცავდა, ხოლო ხალხი, რომელიც ელვინივით და ხედრონივით მიიჩქაროდა, პეიზაჟების დასათვალიერებლად სულაც არ მოვიდოდა აქ.

რადგანაც სამარხიდან ასიოდე იარდში ვეღარსად დაიმალებოდა, ალისტრამ დაიცადა, სანამ ელვინი და მასხარა მარმარილოსფერ ბინდბუნდში გაუჩინარდებოდნენ. და, როცა თვალს მიეფარნენ, გამოვიდა სამალავიდან და სწრაფად აირბინა ბალახით დაფარული ფერდობი. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ერთ-ერთი უშველებელი სვეტის უკან ამოეფარებოდა იქამდე, სანამ ზუსტად არ გაარკვევდა, რა ესაქმებოდათ ამ ადგილას; როცა მიზანს მიაღწევდა, მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, შეამჩნევდნენ თუ არა.

აკლდამა ორი კონცენტრული კოლონადისგან შედგებოდა, რომელიც მრგვალ ეზოს ერტყა გარს. კოლონები, გარდა ერთი სექტორისა, მთლიანად ფარავდნენ ინტერიერს. ალისტრამ თავი აარიდა ამ შესასვლელთან მიახლოებას, იმის შიშით, რომ მისი ადგილსამყოფელი არ გამომჟღავნებულიყო, და აკლდამას გვერდითი მხრიდან შემოუარა. პირველი კოლონადა წარმატებით ჩაიარა და როცა დარწმუნდა, რომ არავინ ჩანდა, მეორე კოლონადისკენ გასწია. კოლონებს შორის იარლან ზეის სკულპტურა გამოჩნდა, რომელსაც მზერა სამარხის შესასვლელიდან მის მიერვე აშენებული პარკის შუაგულისკენ მიეპყრო. იარლან ზეის თვალი პარკის იქით გაშენებულ ქალაქსაც სწვდებოდა, რომელსაც ამდენი ათასწლეულის განმავლობაში უთვალთვალებდა.

მის გაქვავებულ სიჩუმეს არავითარი ხმაური არ არღვევდა. აკლდამაში არავინ ჩანდა.

სწორედ ამ მომენტში ელვინი და ხედრონი დედამიწის ზედაპირიდან ასი ფუტის სიღრმეში მდებარე ყუთისებრ ოთახში იმყოფებოდნენ, რომლის კედლები, როგორც ჩანდა, თითქოს შეუჩერებლივ მიცურავდნენ ზევით. ეს ამ ყუთის მოძრაობის ერთადერთი დამადასტურებელი ნიშანი იყო; ვერავითარ ვიბრაციას ვერ გრძნობდნენ, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ნელა ეშვებოდნენ მიწის სიღრმეში და თანდათან მიზანს უახლოვდებოდნენ, რომელზეც არც ერთს და არც მეორეს სათანადო წარმოდგენა არ ჰქონდა.

გზა იმდენად ადვილი იყო, გაგეცინებიდათ, თითქოს ვიღაცას მათთვის წინასწარ გაეკვალა და მოემზადებინა ყველაფერი. (ვის? – უკვირდა ელვინს. ცენტრალურ კომპიუტერს? თუ თავად იარლან ზეის, როცა ქალაქი გადააკეთა?) მონიტორის ეკრანმა სიღრმეში ჩამავალი გრძელი, ვერტიკალური შახტი აჩვენა, მის მიმართულებას მიყვნენ, მაგრამ დიდი მანძილი არ გაევლოთ, რომ ეკრანი ჩაქრა. ეს კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმას ნიშნავდა, რამდენადაც ელვინს მოეხსენებოდა, რომ ინფორმაცია, რომელიც ითხოვეს, მონიტორს არ მოეპოვებოდა და, სავარაუდოდ, არც არასოდეს ჰქონია.

გაფიქრებულიც არ ჰქონდა, რომ ეკრანი ისევ აინთო, რომლეზედაც გამარტივებული შრიფტით დაბეჭილი მოკლე ტექსტი გამოისახა. ასეთი შრიფტი მას შემდეგ გამოიყენებოდა, რაც მანქანები ინტელექტით ადამიანს გაუტოლდნენ და მასთან ლაპარაკი დაიწყეს:

დადექი იქ, საითაც ქანდაკება იყურება და დაიმახსოვრე: დიასპარი ყოველთვის ასეთი არ ყოფილა.

ბოლო ხუთი სიტყვა გადიდებული ზომით დაებეჭდათ და ელვინი მაშინვე მიხვდა ამ შეტყობინების შინაარსს. გონებაში ჩამოყალიბებული კოდური შეტყობინებები ჩარაზული კარების გასაღებად ან მანქანების ასამუშავებლად გამოიყენებოდა. რაც შეეხება ბრძანება ‘დადექი იქ, საითაც ქანდაკება იყურება’, ამაზე მარტივს ვერაფერს მოიფიქრებდნენ.

„საინტერესოა, რამდენ ადამიანს აქვს ეს შეტყობინება წაკითხული?“ – წამოიძახა ჩაფიქრებულმა ელვინმა.

„თოთხმეტს, რამდენადაც მე ვიცი, - უპასუხა ხედრონმა. – შეიძლება სხვებიც ყოფილიყვნენ.“ მასხარას არც უცდია თავისი იდუმალებით მოცული რეპლიკა განემარტა, ელვინს კი ისე ეჩქარებოდა პარკის შუაგულამდე მისვლა, რომ დამატებთი კითხვები არ დაუსვამს.

დარწმუნებული არ იყვნენ, რომ მექანიზმები ისევ უპასუხებდნენ გამშვებ იმპულსებზე. როდესაც აკლდამას მიაღწიეს, რამდენიმე წამი დასჭირდათ, რომ იმ ფილებიდან, რომლითაც იატაკი მოეკირწყლათ, ის ერთადერთი მოეძებნათ, რომლისკენაც იარლან ზეის მზერა მიეპყრო. მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ქანდაკება ქალაქს გაჰყურებდა; თუ მის წინ დადგებოდი, დარწმუნდებოდი, რომ თვალები დაეხარა და ორაზროვანი ღიმილი ალდამის შესასვლელთან მდებარე ფილისკენ მიემართა. რადგან გამოცანა ამოიხსნა, არავითარი ეჭვის საბაბი აღარ არსებობდა. ელვინმა მეორე ფილაზე გადაინაცვლა და დარწმუნდა, რომ იარლან ზეი მას აღარ უყურებდა.

ხედრონთან დაბრუნდა და გონებაში მასხარას მიერ ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები გაიმეორა: დიასპარი ყოველთვის ასეთი არ ყოფილა. მექანიზმები უმალვე გამოეხმაურნენ და ამუშავდნენ, თითქოს მათი ბოლო ჩართვიდან გასულ მილიარდ წელიწადს არც უარსებია. უშველებელი ქვის ფილა, რომელზედაც იდგნენ, ამოძრავდა და ნარნარად დაიწყო სიღრმისკენ გადაადგილება.

ცისფერი ზეცის ნაგლეჯი მათ თავზე თვალის დახამხამებაში გაქრა. შახტის სარქველი ზემოდან დაიხურა და იმის საშიშროება, რომ შიგ შემთხვევით ვინმე ჩავარდებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღარ არსებობდა. ელვინმა წამიერად გაიფიქრა, სხვა რომელიმე ფილამ ხომ არ მოახდინა მატერიალიზება და ის ფილა ჩაანაცვლა, თვითონ და ხედრონი რომ იდგნენ, მაგრამ მალევე შეიცვალა აზრი. აკლდამის იატაკზე ფილები ისევ ეგო; უბრალოდ ის ფილა, რომლეზედაც იდგნენ, მხოლოდ წამის მეასედი მონაკვეთის განმავლობაში არსებობდა და განუწყვეტლივ ხდებოდა მისი ხელახალი მატერიალიზაცია დედამიწის ზედაპირიდან სულ უფრო და უფრო ღრმად, რათა დაუსრულებელი ვარდნის ილუზია წარმოშობილიყო.

სანამ კედლები უსიტყვოდ მიცურავდნენ მათ გვერდით, ელვინს და ხედრონს ხმა არ ამოუღიათ. ხედრონი ისევ საკუთარ სინდისს ებრძოდა, ფიქრობდა, ამჯერად მეტისმეტად შორს ხომ არ შეტოპა. მცირედი წარმოდგენაც არ ჰქონდა, სადამდე შეეძლო ამ გზას მიეყვანა, თუ საერთოდ მიიყვანდა სადმე. ცხოვრებაში პირველად იწვნია ნამდვილი შიში.

ელვინს არ ეშინოდა; უბრალოდ მეტისმეტად აფორიაქებული იყო. ზუსტად ასეთი გრძნობა დაეუფლა ლორენის კოშკში, როცა გაუთელავი უდაბნოსკენ გაიხედა და ვარსკვლავებით მოჭედილ ღამის ცას მოკრა თვალი. მაშინ უბრალოდ სწრაფი მზერა გადაავლო იდუმალს, ახლა კი უახლოვდებოდა მას.

კედლებმა ცურვა შეწყვიტეს. იდუმალებით მოცული მოძრავი ოთახის ერთ მხარეს შუქის ლაქა გამოჩნდა, რომელიც სულ უფრო კაშკაშა ხდებოდა და მალე კარად იქცა. ზღურბლს გადააბიჯეს, მოკლე დერეფანში რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და მოულოდნელად უზარმაზარი მრგვალი ფორმის გამოქვაბულის შიგნით აღმოჩნდნენ, რომლის კედლებიც მათ თავთან სამასიოდე ფუტში თაღად ერთიანდებოდნენ.

კოლონა, რომლის სიღრმეშიც ჩაეშვნენ, ძალიან სუსტი ჩანდა, მილიონობით ტონის სიმძიმის ლოდებისთვის რომ გაეძლო; სინამდვილეში, ამ ადგილსამყოფლის შემადგენელ ნაწილს სულ არ ჰგავდა, უფრო ძირითადი მშენებლობის დასრულების შემდგომი მიშენების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხედრონი, რომელმაც ელვინის მზერას მიაყოლა თვალი, იგივე დასკვნამდე მივიდა.

„ეს კოლონა, - ნერვიულად მოახსენა ხედრონმა, თითქოს რაღაცის თქმის აუცილებლობას გრძნობდა და სიტყვებს ეძებდა, - მხოლოდ იმ მიზნისთვის ააგეს, რომ მასში ის შახტა ყოფილიყო, ჩვენ რითაც ჩამოვედით. ეს, რა თქმა უნდა, ვერაფრით გაუმკლავდებოდა მოძრაობის იმ ნაკადს, ძველი დროის დიასპარში რომ შეინიშნებოდა, როცა ქალაქს მსოფლიოსთვის კარი ჰქონდა ღია. ძირითადი მოძრაობა სწორედ ამ გვირაბებში გადიოდა; მე მგონი, თავადაც კარდად ხვდები, რა დანიშნულებაც აქვთ.“

ელვინმა მათგან ასიოდე იარდით დაშორებულ კედლებს შეხედა, რომელიც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებულ დიდრონ გვირაბებს გაეჭრათ –

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სულ თორმეტი გვირაბი დაითვალა, რომლებიც რადიალურად იშლებოდა ყველა მიმართულებით და თანამედროვე მოძრავი ბილიკების მარშრუტებს ზუსტად იმეორებდა. ელვინმა შეამჩნია, რომ გვირაბები ოდნავ ზევით იხრებოდა და ნაცნობი მოძრავი გზების ნაცრისფერი ზედაპირი იცნო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ დროს დიდებული გზების მოჭრილ მონაკვეთებს წარმოადგენდა; უცნაური ნივთიერება, რომელიც მათ სიცოცხლეს ანიჭებდა, სამუდამოდ გაყინულიყო. როცა ზემოთ პარკი გაშენდა, მოძრავი გზების სისტემის კვანძი მიწის ქვეშ დაიმარხა, მაგრამ ბოლომდე არ განადგურებულა.

ელვინი უახლესი გვირაბისკენ გაემართა. ორიოდე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მიხვდა, რომ იატაკს მის ფეხქვეშ უჩვეულო რაღაც ემართებოდა. იატაკი ნელ-ნელა გამჭვირვალე სახეს ღებულობდა. კიდევ რამდენიმე იარდი გაიარა და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ჰაერში გამოკიდულა ხულული საყრდენის გარეშე. შეჩერდა და ქვემოთ აღმოცენებულ უფსკრულს მიაჩერდა.

„ხედრონ! – დაიძახა. – მოდი, ერთი ამას შეხედე!“

მასხარა შეუერთდა და ერთად აკვირდებოდნენ მათ ფეხ ქვეშ წარმოქმნილ სასწაულს. უფსკრულის ფსკერზე, ისე შორს, რომ თვალი ძლივს სწვდებოდა, უზარმაზარი რუქა გაშლილიყო. მასზე ხაზების ურთულესი ქსელი გამოესახათ, რომელიც ცენტრალური შახტის ქვეშ არსებული წერტილთან ერთიანდებოდა. ერთხანს უსიტყვოდ მიშტერებოდნენ რუქას, შემდეგ ხედრონმა ჩუმად წარმოთქვა: „გესმის, ეს რა არის?“

„მე მგონი, კი, - მიუგო ელვინმა. – ეს საერთო სატრანსპორტო სისტემის რუქაა, ხოლო ის პატარა წერტილები ალბათ დედამიწის სხვა ქალაქებს აღნიშნავს. ვხედავ, რომ მათ ქვემოთ რაღაცა წარწერებია, მაგრამ იმდენად შორსაა, ვერ ვარჩევ, რა წერია.“

„ეს ადგილი ძველად რომელიღაცა შიდა განათებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.“ – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ხედრონმა. დაკვირვებით ადევნებდა თვალს ხაზებს, რომლებიც გამოქვაბულის კედლებზე თნხვდებოდნენ ერთმანეთს.

„ასეც ვიფიქრე! – წამოიძახა მოულოდნელად. – ამჩნევ, რომ ყველა ეს რადიალური ხაზი პატარა გვირაბებისკენ მიდიან?“

ელვინმა შეამჩნია, რომ მოძრავი გზების თაღების გარდა, გამოქვაბულიდან გარეთ გამავალი უამრავი მომცრო გვირაბი არსებობდა, რომლებიც ზევით კი არა, არამედ ქვემოთ იხრებოდნენ.

ხედრონი პასუხს არ დალოდებია და ლაპარაკი განაგრძო.

„ამაზე მარტივ სისტემას ვერც მოიფიქრებდა კაცი. ხალხი მოძრავ მაგისტრალთან ჩამოვიდოდა, სასურველ ადგილს აირჩევდა და რუქაზე გამოსახული ხაზებიდან შესაბამისს მიჰყვებოდა.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შემდეგ რა ხდებოდა?“ – ჰკითხა ელვინმა. ხედრონი დუმდა, მისი თვალები დაღმა მიმავალი გვირაბების საიდუმლოების გაშიფვრას ცდილობდნენ. საერთო ჯამში, ორმოცი ან ორმოცდაათი გვირაბი მოითვლებოდა და ყველა აბსოლუტურად ერთნაირად გამოიყურებოდა. მათი გარჩევა მხოლოდ რუქაზე დატანებული სახელებით შეიძლებოდა, რომლებიც ახლა ისე წაშლილიყო, რომ აღარ იკითხებოდა.

ელვინი ადგილიდან დაიძრა და ცენტრალურ კოლონას შემოუარა. ხედრონს უცბად ელვინის ოდნავ დახშული და გამოქვაბულის კედლებიდან წამოშლილი ექოთი დამძიმებული ხმა შემოესმა.

„რა ხდება?“ – დაუძახა ხედრონმა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა არ უნდოდა, რადგანაც რუქაზე დატანებული ძნელად გასარჩევი ნიშნების ჯგუფის გაშიფრვა თითქმის დაესრულებინა. მაგრამ ელვინის ხმა ისე კატეგორიულად ჟღერდა, რომ მოსწყდა წარწერებს და მასთან მივიდა.

შორს, სიღრმეში უზარმაზარი რუქის მეორე ნაწილი მოჩანდა, მისი ბუნდოვანი ხაზების ქსელი კომპასის ყველა მიმართულებით მიდიოდა. თუმცა, ამჯერად ყველა წარწერა არ ყოფილა გაურკვეველი. ერთი ხაზი - მხოლოდ ერთი –გამოკვეთილად კაშკაშებდა. მას თითქოს არ ჰქონდა რაიმე კავშირი სისტემის დანარჩენ ნაწილთან და ერთ-ერთი დამრეცი გვირაბისკენ მბრწყინავი ისარივით მიუთითებდა. ისრის ბოლო შუქის ოქროსფერ რგოლს აპობდა, ხოლო ამ რგოლთან ახლოს ერთადერთი სიტყვა ელვარებდა ‘ლისი’. ამის მეტი არაფერი მოჩანდა.

ელვინი და ხედრონი დიდხანს იდგნენ და უტყვ სიმბოლოს აკვირდებოდნენ. ხედრონისთვის ეს ნიშანი გამოწვევას წარმოადგენდა, რომელსაც, - იცოდა, - ვერასდროს გაუსწორებდა თვალს, სინამდვილეში, ერჩივნა, რომ არც ეარსება. მაგრამ ელვინისთვის ეს წარწერა მისი ყველა სანუკვარი ოცნების ასრულების საწინდარს წარმოადგენდა; და თუმცა თავად სიტყვა ‘ლისი’ არაფერს ეუბნებოდა, დიდი ნეტარებით ატრიალებდა პირში, გემოს უსინჯავდა მის სასიამოვნო სისინს, როგორც ეგზოტიკურ ხილს. ძარღვებში სისხლი მოაწვა, ლოყები კი ციებ-ცხელების სიწითლით უელვარებდა. მზერა ნიშნების ამ ერთობლიობაზე შეეჩერებინა და ცდილობდა, წარმოედგინა ის უძველესი დრო, როდესაც საჰაერო ტრანსპორტს არსებობა შეეწყვიტა, მაგრამ დედამიწის ქალაქები ისევ ახერხებდნენ ერთმანეთთან კავშირის შენარჩუნებას. იმ უთვალავ მილიონ წელზე ფიქრობდა, რომლის განმავლობაში მოძრაობა ნელ-ნელა მცირდებოდა, ხოლო შუქები უზარმაზარ რუქაზე თანდათან ქრებოდა, საბოლოო ჯამში კი ეს ერთადერთი ხაზიღა დარჩა. ნეტავ რანდენი ხანი კრთოდა ეულად ჩაბნელებული მეზობლების გვერდით და ამაოდ ელოდა იმ მომენტს, როცა ვინმეს გაუძღვებოდა, სანამ იარლან ზეიმ მოძრავი გზები არ ჩაკეტა და სამუდამოდ არ ჩარაზა დიასპარის დანარჩენ სამყაროსთან დამაკავშირებელი კარი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ათასი მილიონი წლის წინ მოხდა. ამ დროისთვის 'ლისს', სავარაუდოდ, უკვე დაეკარგა კავშირი დიასპართან. წარმოუდგენელია, რომ 'ლისი' ცოცხალი დარჩენილიყო; ხომ შეიძლება, რომ რუქას, ბოლოს და ბოლოს, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონოდა?

ხედრონმა ელვინის ფიქრები დაარღვია. მასხარა მოუსვენრობას შეეპყრო, აღელვებული ჩანდა, სადღაც გამქრალიყო მისი მტკიცე ხასიათი და თავდაჯერებულობა, ასე მკაფიოდ რომ ახასიათებდა ზემოთ, ქალაქში.

„არა მგონია, ამაზე შორს წასვლა ღირდეს, - ჩაილაპარაკა მან. – შეიძლება საშიში იყოს, უკეთ უნდა მოვემზადოთ."

ხედრონის ნათქვამს სიბრძნე არ აკლდა, მაგრამ ელვინმა მაინც შეამჩნია მის ხმაში შიშის ფარული კილო. სხვა მდგომარეობაში უფრო გონიერად და წინდახედულად მოიქცეოდა, მაგრამ საკუთარი სიმამაცის უმძაფრესი შეგრძნება ხედრონის გაუბედაობით გამოწვეულ ზიზღთან ერთად ელვინს გზის გაგრძელებისკენ უბიძგებდა. ასე შორს შესვლა, მხოლოდ იმისთვის, რომ უკან გაბრუნებულიყვნენ, მაშინ როცა სანუკვარი საწადელის ასრულების დრო შეიძლება სულ ახლოს ყოფილიყო, უგუნური საქციელი იქნებოდა.

„მე ამ გვირაბს უნდა დავუყვე, - ჯიუტად მოახსენა ელვინმა, თითქოს ხედრონს მისი გაჩერებისკენ მოუწოდებდა. - მინდა, გავიგო, საით მიმიყვანს." ელვინი მიზანმიმართულად გაუდგა გზას, და ხედრონიც, მცირედი ყოყმანის შემდეგ, ელვინის მსგავსად, მათ ფეხ ქვეშ მოელვარე შუქის ისარს გაჰყვა.

გვირაბში როგორც კი შეაბიჯეს, პერისტალტიკური ველის ნაცნობი წევა იგრძნეს, რომელმაც წამში აიტაცა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დედამიწის სიღრმეში გადაისროლა. მოგზაურობა ერთი წუთიც არ გაგრძელებულა; როცა ველის მიზიდულობის ძალა გაქრა, ნახევარ ცილინდრის ფორმის გრძელი და ვიწრო ოთახის ერთ ბოლოში აღმოჩნდნენ. მის მეორე, შორეულ ბოლოში უსასრულობაში მიმავალი ორი გვირაბის მბჟუტავი შუქი მოჩანდა.

თითქმის ყველა ცივილიზაციის წარმომადგენლები, რომელსაც ოდესმე უარსებია დედამიწაზე განთიადის ეპოქიდან მოყოლებული, ამ გარემოში სავსებით ბუნებრივად იგრძნობდნენ თავს, თუმცა ხედრონისა და ელვინისთვის ეს სულ სხვა, უცნობ სამყაროს წარმოადგენდა. გრძელი, გარსშემოდენილი, გვირაბის სიღრმისკენ ჭურვივით მიმართული მანქანის დანიშნულება ნათელი იყო, მაგრამ ეს მის იდუმალებას ფარდას არ ხდიდა. მანქანის ნაწილი გამჭვირვალე გახლდათ, რომლის კედლებშიც ელვინმა მდიდრულად გაწყობილი სავარძლების რიგები შენიშნა. შესასვლელის არავითარი ნიშნები არ ჩანდა, მთლიანი მანქანა იატაკიდან ორიოდე ფუტის სიმაღლეზე ტივტივებდა ერთადერთ მეტალის ღეროს თავზე, რომელიც შორეულ სივრცეზე გადაჭიმულიყო და გვირაბის სიღრმეში იკარგებოდა. ორიოდე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იარდის მოშორებით კიდევ ერთი ასეთი ტროსი მიემართებოდა მეორე გვირაბისკენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მასზე მანქანა არ იდგა. ელვინი დარწმუნებული იყო, რომ სადღაც, შორეული და ამოუცნობი 'ლისის' ქვემოთ ზუსტად ასეთივე ოთახში მეორე მანქანა ელოდება.

მოულოდნელად ხედრონმა ლაპარაკი დაიწყო, ჩვეულებრივზე ოდნავ სწრაფად.

„რა უცნაური სატრანსპორტო სისტემაა! ერთდროულად მხოლოდ ასამდე მგზავრის მომსახურება შეეძლო, აქედან გამომდინარე, დიდ მოძრაობას არც ელოდნენ. და ერთი კითხვა ჩნდება, რისთვის შეიწუხეს ასე თავი, რატომ დასჭირდათ მიწაში ჩამარხვა, როცა მთელი ზეცა ჯერ კიდევ მათ ხელში იყო? შეიძლება, დამპყრობლებს მათთვის ფრენის უფლებაც არ მიეცათ, რისი დაჯერებაც ძალიან მიჭირს. ან შეიძლება ეს მაგისტრალი გარდამავალ პერიოდში ააშენეს, როცა ხალხი ისევ მოგზაურობდა, მაგრამ კოსმოსის გახსენების სურვილიც აღარ ჰქონდათ. შეეძლოთ, მხოლოდ ქალაქიდან ქალაქამდე გადაადგილებულიყვნენ და აღარ ენახათ არც ზეცა და არც ვარსკვლავები. – ხედრონმა ნერვულად ჩაიცინა. – ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ელვინ. როცა 'ლისი' არსებობდა, ძალიან წააგადავდა დიასპარს. ძირითადად, ალბათ, ყველა ქალაქი ერთმანეთს ჰგავდა. რა გასაკვირია, რომ, საბოლოო ჯამში, ხალხმა ყველა დანარჩენი ქალაქი დატოვა და დიასპარში გაერთიადა. რა აზრი ჰქონდა ერთზე მეტი ქალაქის არსებობას?"

ელვინს თითქმის არც ესმოდა მისი. უზარმაზარი ჭურვის შესწავლით იყო დაკავებული, ცდილობდა, შესასვლელი ეპოვნა. თუ ეს მანქანა რაიმე სახის გონებრივი ან სიტყვიერი ბრძანებით იმართებოდა, ალბათ ვერაფრით აიძულებდა, დამორჩილებოდა, ეს ამოუხსნელი საიდუმლო კი ცხოვრების ბოლომდე დატანჯავდა და მოსვენებას არ მისცემდა.

უხმაუროდ გაღებულმა კარმა თავზარი დასცა. სიჩუმე არავითარ ბგერას არ დაურღვევია, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე კედლის მთელი სექცია უბრალოდ გაუჩინარდა და მის თვალწინ მანქანის ლამაზად მოწყობილი სალონი გადაიშალა.

ელვინი არჩევანის წინაშე დადგა. ამ დრომდე ნებისმიერ წუთს შეეძლო უკან დაბრუნება, თუ მოინდომებდა. თუ ამ კარში შეაბიჯებდა, რომელიც სტუმართმოყვარე მასპინძელიით ეპატიჟებოდა, იცოდა, რაც მოხდებოდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, საით მიიყვანდა. საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი აღარ იქნებოდა და იძულებული გახდებოდა, უცნობი, იდუმალი ძალისთვის მიენდო თავისი ცხოვრება.

თითქმის არც უყოყმანია. საშინლად ეშინოდა უკან დახევის, ეგონა, რომ თუ დიდხანს გაჩერდებოდა და გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ამ მომენტს, რომელიც არასდროს განმეორდებოდა, ხელიდან გაუშვებდა. ან თუ ისევ დადგებოდა, საკმარის გამბედაობას ვერ მოიკრეფდა, ახლის ძიებისადმი დაუოკებელი წყურვილი რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოეკლა. ხედრონმა პირი გააღო, უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ სანამ რამის თქმა მოასწრო, ელვინმა ზღურბლს გადააბიჯა. შემობრუნდა და ხედრონს შეხედა, რომელიც ოდნავ შესამჩნევ მართკუთხედ შემოსასვლელში ჩარჩოში ჩასმულს ჰგავდა. წუთით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, ორივენი იდგნენ და ერთმანეთს ელოდნენ, ვერ ბედავდნენ სიჩუმის დარღვევას.

რაღაც მანქანამ მათ მაგივრად მიიღო გადაწყვეტილება. ნახევრად გამჭვირვალე კედელი აციმციმდა და მანქანის კორპუსი ისევ დაიხურა. ელვინმა დასამშვიდობებლად ხელის დაქნევაც ვერ მოასწრო, რომ გრძელი ცილინდრი ადგილიდან დაიძრა. სანამ გვირაბს მიუახლოვდა, სიჩქარე აკრიფა და მორბენალ ადამიანზე სწრაფად მოძრაობდა.

ერთ დროს ამგვარ გზას მილიონობით ადამიანი მსგავსი მანქანებით ყოველდღიურად გადიოდა, მოგზაურობდა სახლიდან თავის მოსაწყენ სამუშაო ადგილებში და პირიქით. იმ უძველესი, გარდასული დღეებიდან მოყოლებული, ადამიანმა სამყაროს შემეცნება და დედამიწაზე დაბრუნდა მოასწრო – მთელი იმპერია დააარსა, რომელიც შემდეგ დამპყრობელმა გამოსტაცა ხელიდან. ახლა, ასეთი მოგზაურობა კიდევ ერთხელ განხორციელდა, ამუშავდა მანქანა, რომლის სალონშიც მივიწყებული და თავგადასავლებისადმი აბსოლუტურად გულგრილი ადამიანების ლეგიონები როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძნობდნენ თავს.

და ეს ყველაზე დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი მოგზაურობა უნდა ყოფილიყო, რომელიც ადამიანს ამ ბოლო მილიარდი წლის განმავლობაში განეხორციელებინა.

ალისტრამ სულ მცირე ათჯერ მაინც დაათვალიერა აკლდამა, თუმცა ერთხელაც საკმარისი იქნებოდა, რადგანაც აქ ვერსად დაიმალებოდი. გაოცებისგან მოგვრილი პირველი შოკის მერე ალისტრა დაფიქრდა, ის ხალხი, ვისაც მთელი გზა დაყვებოდა პარკიდან, მართლა ელვინი და ხედრონი იყვნენ, თუ მხოლოდ მათი მატერიალიზებული გამოსახულებები. მაგრამ ამაში აზრს ვერ ხედავდა; მატერიალიზაციასაც ხომ სწორედ ის მიზანი ჰქონდა, რომ საშულება მიეცა ადამიანისთვის ნებისმიერ წერტილში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოხვედრილიყო და პირადად არ გამგზავებულიყო. არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ გადაატარებდა ‘ფეხით’ საკუთარ პროექტირებულ გამოსახულებას რამდენიმე მილის მანძილზე და არ დახარჯავდა ამაზე ნახევარ საათს, როცა შეეძლო წამიერად მიეღწია დანიშნლების ადგილადმე. არა; ეს ნამდვილი ელვინი და ნამდვილი ხედრონი იყვნენ, სწორედ მათ მისდია ალისტრამ აკლდამამდე.

გამოდის, რომ აქ სადღაც საიდუმლო შესასვლელი უნდა იმალებოდეს. ალისტრამ გადაწვიტა, მოეძებნდა კარი, სანამ ელვინისა და ხედრონის დაბრუნებას ელოდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისე მოხდა, რომ ხედრონის ხელახალი გამოჩენა თვალთახედვიდან გამორჩა. ქანდაკების უკან მდგარ კოლონას სწავლობდა, როცა მასხარა მისი მეორე მხრიდან გამოჩნდა. ალისტრამ მისი ფეხის ხმა გაიგონა, შემოტრიალდა და დაინახა, რომ ელვინი არ ახლდა.

„სად არის ელვინი?“ – იყვირა ალისტრამ.

მცირედი ხანი გავიდა, სანამ მასხარა უპასუხებდა. დათრგუნული და გაუბედავი ჩანდა, და ალისტრას ყურადღება მხოლოდ მაშინ მიაქცია, როცა კითხვა გაუმეორა. სულაც არ გაჰკვირვებია გოგოს გამოჩენა.

„არ ვიცი, სად არის, - უპასუხა ბოლოს და ბოლოს. – მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ‘ლისისკენ’ მიემართება. ახლა შენც იმდენივე იცი, რამდენიც მე.“

ხედრონის სიტყვების პირდაპირ გაგება გონივრული საქციელი არ იქნებოდა. მაგრამ ამჯერად არ ჭირდებოდა დამატებით იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მასხარა თავის ჩვეულ როლს არ თამაშობდა. ხედრონი სიმართლეს ამბობდა, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს.

თავი X

როცა კარი დაიხურა, ელვინი ყველაზე ახლოს მდგომ სავარძელში მოცელივით ჩაესვენა. ფეხებმა უცბად დაკარგეს ყველანაირი ძალა; როგორც იქნა, საკუთარ თავზე გამოსცადა ის გამოუთქმელი შიში ამოუცნობის წინაშე, მის თანატოლებს რომ სტანჯავდა მუდამ და რომელიც თვითონ არ უგრძვნია აქამდე. ყველა სახსარი უთრთოდა, თვალებზე ბინდი გადაკვროდა. რომ შეძლებოდა, სიამოვნებით დააღწევდა თავს ამ გაქანებულ მანქანას, ყველა თავის ოცნებაზე უარის თქმის ფასადაც.

არა მარტო შიში უღრღნიდა გულს, არამედ წარმოუდგენელი მარტოობის შეგრძნებაც. ყველაფერი მისთვის ნაცნობი და საყვარელი დიასპარში დაეტოვებინა; არავითარი საფრთხე რომც არ ემუქრებოდეს, იცოდა, რომ შეიძლება ვეღარასოდეს ეხილა თავისი სამყარო. მთელი არსებით შეიგრძნო, ისე როგორც არავის უგრძვნია საუკუნეების განმავლობაში, საკუთარი სახლის სამუდამოდ დატოვების სიმწარე. მარტოობისა და იმედგაცრუების ამ წუთში მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, საით მიჰყავდა გზას, დაღუპვამდე თუ უსაფრთხო ადგილამდე, ყველაზე მთავარი იმაში მდგომარეობდა, რომ სულ უფრო და უფრო აცილებდა სახლს.

მანქანა არ ჩერდებოდა; დროთა განმავლობაში ამ გაწნყობამ გაუარა და შავბნელმა ფიქრებმა მისი გონება დატოვეს. ელვინმა ყურადღება მანქანის ინტერიერზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადაიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა, ახალი რამ შეეტყო იმ დაუჯერებლად ძველი სატრანსპორტო საშუალების შესახებ, რომლითაც ახლა მოგზაურობდა. მაინცდამაინც არ გაკვირვებია ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩამარხულ და უმოძრაოდ მყოფ სატრანსპორტო სისტემას ასეთი დაუბრკოლებელი მოძრაობა შეეძლო. მართალია, ქალაქის მონიტორების მარადიულ სქემებში მისი მონაცემები არ ინახებოდა, მაგრამ სადღაც სხვაგან მსგავს სქემებს უნდა ეარსება, რომლებიც მას ცვლილებებისა და ნგრევისგან იცავდა.

და სწორედ ახლა პირველად შენიშნა ინდიკატორული აბრა, რომელიც წინა კედლის ნაწილს წარმოადგენდა. მასზე შემდეგი სახის მოკლე, მაგრამ დამაჯერებელი წარწერა შეინიშნებოდა:

ლისი

35 წუთი

სანამ წარწერას ათვალიერებდა, რიცხვი ‘34’-ით შეიცვალა. ეს სასარგებლო ინფორმაცია იყო, მაგრამ რადგანაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რა სიჩქარით მიქროდა მანქანა, ვერავითარ მინიშნებას ვერ აძლევდა სავარაუდოდ რა მანძილი უნდა გაევლო კიდევ, დანიშნულების ადგილას რომ მისულიყო. გვირაბი ერთ უწყვეტ ნაცრისფერ ზოლად ეჩვენებოდა და მოძრაობაზე მხოლოდ სუსტი ვიბრაცია მიანიშნებდა, რომელსაც ელვინი ვერც კი იგრძნობდა, სპეციალურად რომ არ გაემახვილებინა ყურადღება.

დიასპარი ალბათ მრავალი მილის მოშორებით მდებარეობდა, მის ზემოთ კი, სავარაუდოდ, უდაბნო უნდა ყოფილიყო გადაჭიმული თავისი მოძრავი ქვიშის დიუნებით. ახლა ალბათ იმ უსწორმასწორო მთაგრეხილის ქვეშ მიქროდა, ლორენის კოშკიდან ასე ხშირად რომ ადევნებდა თვალს.

ელვინის წარმოდგენა ‘ლისს’ გადასწვდა, თითქოს მოუთმენლობამ შეიპყრო, რაც შეიძლება მალე ენახა უცხო ქალაქი. ნეტავ როგორია? მთელი თავისი მონდომების მიუხედავად, გონებაში მხოლოდ დიასპარის შემცირებული სურათის წარმოსახვა შეძლო. არსებობს კი ისევ უძველესი ქალაქი? – გაიფიქრა ელვინმა. – მაგრამ მალევე დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მანქანა არ გააქროლებდა ასე გამალებით დედამიწის სიღრმეებისკენ.

უცბად ფეხქვეშ ვიბრაციის საგრძნობი ცვლილება იგრძნო. მანქანა სვლას ანელებდა – ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. დრომ ალბათ იმაზე სწრაფად გაიარა, ვიდრე ეგონა; ერთგვარი გაოცებით, ელვინმა ინდიკატორს შეხედა.

ლისი

23 წუთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაუგებრობითა და მოულოდნელობით შეპყრობილმა ელვინმა სახე მანქანის გამჭვირვალე კედელთან ახლოს მიიტანა. სიჩქარე გვირაბის ზედაპირს ისევ მთლიან და უფორმო ნაცრისფერ ზოლად აქცევდა, თუმცა ახლა დრო და დრო იდუმალი ნიშნულების გარჩევა შეეძლო, რომლებიც ისევე სწრაფად ქრებოდნენ, როგორც ჩნდებოდნენ. ყოველი გაუჩინარების შემდეგ ნიშნები თვალთახედვის არეში წინანდელზე ოდნავ მეტხანს რჩებოდნენ.

შემდეგ, მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, გვირაბის ორივე მხარე აორთქლდა. მანქანა კვლავ ძალიან მაღალი სიჩქარით მიქროდა უზარმაზარ ღია სივრცეზე, რომელიც მოძრავი ბილიკების გამოქვაბულზე გაცილებით უფრო დიდი იყო.

ელვინი გაოცებული ათვალიერებდა გამჭვირვალე კედლებს მიღმა გაშლილ სივრცეს. ქვემოთ გზის მაჩვენებელი ტროსების ურთულესი ქსელი გაარჩია. ტროსები ერთიანდებოდნენ, ერთმანეთს კვეთდნენ და ყველა მხარეს მიმართული გვირაბების ლაბირინთებში იკარგებოდნენ. გუმბათისებრი თაღოვანი ჭერიდან მოცისფრო შუქის ნაკადი იღვრებოდა და უზარმაზარი სარტანსპორტო საშუალებების სილუეტებს ხატავდა. კაშკაშა სინათლე თვალებს ჭრიდა, და ელვინი მიხვდა, რომ ეს ადგილი ადამიანებისთვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ორიოდე წამის შემდეგ მანქანამ თავიანთი გზის მაჩვენებლების თავზე უმოძრაოდ მოტივტივე ცილინდრების რამდენიმე რიგს ჩაუარა. მანქანები გაცილებით უფრო დიდი ზომის იყო, ვიდრე მისი ტრანსპორტი, რაც მათ ტვირთის გადაზიდვის ფუნქციაზე მიუთითებდა. ირგვლივ გაუგებარი დანიშნულების ჩახლართული მექანიზმები უსიტყვოდ და უმოძრაოდ დაჯგუფებულიყვნენ.

გიგანტური და უდაბური ადგილსამყოფელი ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. მისმა გამოსახულებამ ელვინის გონება მოკრძალებითა და შიშით აავსო. პირველად გაისიგრძეგანა დიასპარის სიღრმეში მოთავსებული უშველებელი ჩამქრალი რუქის მნიშვნელობა. სამყარო უფრო მეტ სასწაულს იტევდა, ვიდრე ოდესმე წარმოედგინა.

ელვინმა ინდიკატორს შეავლო თვალი. მონაცემები არ შეცვლილა; მანქანას ერთი წუთიც არ დასჭირვებია, უზარმაზარი მღვიმე უკან რომ ჩამოეტოვებინა. სიჩქარემ ისევ იმატა; თუმცა მოძრაობა ახლაც თითქმის არ შეიმჩნეოდა, გვირაბის კედლები ისეთი სისწრაფით მიქროდნენ, რომ ელვინს მიახლოებითი სიჩქარის განსაზღვრაც კი არ შეეძლო.

თითქოს მთელმა საუკუნემ განვლო, სანამ ვიბრაციის ოდნავ შესამჩნევი ცვლილება ისევ დადგებოდა. ახლა ინდიკატორზე შემდეგი წარწერა გამოესახა:

ლისი

1 წუთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ეს ერთი წუთი ელვინის ცხოვრებაში ყველა დიდხანს გაგრძელდა. მანქანა სულ უფრო ნელა გადაადგილდებოდა; ამჯერად კი არ ანელებდა სვლას, როგორც უწინ, არამედ, როგორც იქნა, ჩერდებოდა.

გრძელი ფორმის ცილინდრი უხმოდ და ნარნარად გამოვიდა გვირაბიდან და დიასპარის ქვემოთ არსებული მღვიმის ანალოგიურ გამოქვაბულში გადაინაცვლა. გარკვეული დროის განმავლობაში ელვინი იმდენად აღელვებული იყო, რომ ნათლად ვერაფერს ამჩნევდა; როცა მოისაზრა, რომ მანქანის დატოვება შეეძლო, აღმოჩნდა, რომ კარი საკმაოდ დიდი ხანის წინ გაღებულიყო. ტრანსპორიდან ჩასვლამდე, უკანასკნელი მზერა გადაავლო ინდიკატორს. წარწერა შეცვლილიყო და მასზე გამოსახული ახალი ფრაზა წარმოუდგენლად დამაჯერებელი და იმედის მომცემი აღმოჩნდა:

დიასპარი

35 წუთი

როდესაც მღვიმიდან გასასვლელს ეძებდა, ელვინმა იმის პირველ დამადასტურებელ ნიშანს მოკრა თვალი, რომ საკუთარისგან აბსოლუტურად განსვავებულ ცივილიზაციის წიაღში იმყოფებოდა. ზედაპირზე გამავალი გზა აშკარად მღვიმის განაპირა მხარეს მდებარე დაბალ, განიერ გვირაბში გადიოდა, ხოლო გვირაბის გასწვრივ კიბეების რიგები ადიოდა. მსგავს რამეს დიასპარში ძალზე იშვიათად თუ შეხვდებოდით; როდესაც ზედაპირის დონე იცვლებოდა, არქიტექტორები დაღმართებს და დამრეც დერეფნებს აგებდნენ. ეს იმ პერიოდის გადმონაშთი გახლდათ, როდესაც რობოტთა უმრავლესობა ბორბლებით გადაადგილდებოდა და კიბე მათთვის გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა.

კიბე ძალიან მოკლე აღმოჩნდა და მალევე მიიყვანა კართან, რომელიც ელვინის მიახლოვებაზე ავტომატურად გაიღო. პატარა ოთახში შეაბიჯა, იმის მსგავსში, იარლან ზეის სამარხის ქვემოთ მდებარე შახტაში რომ ჩაიყვანა, და არც გაკვირვებია, როდესაც ორიოდე წუთის შემდეგ კარი ისევ გაიღო და მის თვალწინ კამაროვანი დერეფანი გამოჩნდა, რომლის თაღისებრი ჭერი ცის ნახევარწრეს უსვამდა ხაზს. მოძრაობის შეგრძნება არც ახლა ჰქონია, მაგრამ ელვინმა იცოდა, რომ მრავალი ასეული ფუტის სიმაღლეზე უნდა ასულიყო. სწრაფი ნაბიჯით აუყვა დერეფანს მზით განათებული გასასვლელისკენ, ისე ეწადა, გაეგო, რა ელოდა იქ, რომ შიშიც გადაავიწყდა.

დაბალი ბორცვის ძირას იდგა და წუთით ეგონა, რომ ისევ დიასპარის ცენტრალურ პარკში იმყოფებოდა. მაგრამ თუ ეს მართლაც პარკი გახლდათ, მაშინ მის კოლოსალურ სიდიდეს ელვინის გონება ვერ წვდებოდა. ქალაქი, რომლის ხილვასაც ელოდა, არსად ჩანდა. თვალთახედვის არეში ტყითა და ბალახით მოფენილი პრერიების გარდა არაფერი ჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინმა ჰორიზონტზე გადაიტანა მზერა და შორს, ხეების თავზე, ქვის უზარმაზარი კედელი შენიშნა, რომელიც მარჯვნიდან მარცხნივ უდიდესი რკალივით ერტყმოდა გარს მსოფლიოს და რომლის სიდიადის გვერდით დიასპარის ყველაზე გიგანტური შენობებიც კი ჯუჯებად გამოჩნდებოდნენ. ქვის ნაგებობა იმდენად შორს იყო, რომ მის დეტალებს უბრალო მანძილის გამო ვერ გაარჩევდით, მაგრამ მათ კონტურებში მეტად უცნაური და იდუმალი რამ შეინიშნებოდა. მალე თვალი ამ გრანდიოზული პეიზაჟის მასშტაბებს შეეგუა და ელვინი მიხვდა, რომ ის შორეული კედლები ადამიანის ხელით არ უნდა ყოფილიყო შექმნილი.

დროს ყველაფრის დამორჩილება ვერ მოეხერხებინა; დედამიწას ჯერ კიდევ შერჩენოდა მთები, რომლითაც იამაყებდა.

დიდი ხნის განმავლობაში ელვინი გვირაბის შესართავთან იდგა და ნელ-ნელა ეჩვეოდა იმ უცნაურ სამყაროს, რომელშიც ასე მოულოდნელად აღმოჩნდა. გარსშემოჯარული სივრცის სიდიადემ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე; ნისლიანი მთების რკალს დიასპარის ოდენა ათიოდე ქალაქის დატევა შეეძლო. ელვინმა იქაურობა საგულდაგულოდ დაათვალიერა, მაგრამ ადამიანის არსებობის ნაკვალევიც ვერსად შენიშნა. მიუხედავად ამისა, გორაკიდან დამავალი გზა კარგად იყო მოვლილი; ელვინს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა მას გაჰყოლოდა.

გორაკის ძირას გზა უზარმაზარ ხეებში იკარგებოდა, რომელთაც მზე თითქმის მთლიანად დაეჩრდილათ. როგორც კი ტყის საფარში აღმოჩნდა, სურნელებისა და ბგერების უცნაური ნაზავი შემოეგება. ნიავისგან აშრიალებული ფოთლების ხმა ადრეც გაეგონა, მაგრამ ამჯერად შრიალს თან ასობით სუსტი და იდუმალი ბგერა ახლავდა, რომლის მნიშვნელობასაც ელვინის გონება ვერ წვდებოდა. გამოუცნობმა ფერებმა გაიტაცეს, არომატებმა, რომლებიც თანამედროვე კაცობრიობის მეხსიერებიდან წაშლილიყო. სითბო, არომატებისა და ფერების უხვი პალიტრა, და მილიონობით ცოცხალი არსების უხილავი თანდასწრება თითქმის გამანადგურებელი ძალით დაატყდა თავს.

სრულიად მოულოდნელად ტბის პირას აღმოჩნდა. მარჯვენა მხარეს ჩამწკრივებული ხეების რიგი უცბად დამთავრდა და მის თვალწინ პაწაწინა კუნძულებით მოწინწკლული წყლის ზედაპირი გადაიშალა. ელვინს ცხოვრებაში არ ენახა წყლის ამხელა სივრცე; ამასთან შედარებით, დიასპარის ყველაზე დიდი ტბორებიც კი გუბურებად გამოჩნდებოდნენ. ნელი ნაბიჯით ჩავიდა ტბის პირას, პეშვით თბილი წყალი აიღო და თვალს ადევნებდა, როგორ ჟონავდა წყალი თითებს შორის.

უშველებელი ვერცხლისფერი თევზი, რომელმაც მოულოდნელად გააპო მოლივლივე წყალმცენარეები, ადამიანისგან განსხვავებული პირველი არსება გახლდათ, რომელიც ელვინს ოდესმე შეხვედროდა. თუმცა ეს არსება აბსოლუტურად უცხო უნდა ყოფილიყო, მისი ფორმები გასაოცრად ჰგავდა რაღაც ნაცნობს. მომწვანო სიცარიელეში მოტივტივე თევზი, ოდნავ მოძრავი ფარფლებით, ელვინისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძალისა და სიჩქარის განსახირებას წარმოადგენდა, თითქოს დედამიწის ზეცაზე ერთ დროს გაბატონებული დიდებული ხომალდების გრაციოზული მოხაზულობები ამ ცოცხალი სხეულის ფორმებში გარდაისახნენ. ევოლუციისა და მეცნიერების შედეგები ერთმანეთს დაემთხვა; ხოლო ბუნების ნამუშევარმა უფრო მეტი ხანი გაძლო, ვიდრე მეცნიერების ნააზრევმა.

ელვინმა, როგორც იქნა, ტბის მომაჯადოვებელ ძალას თავი დააღწია და მიხვეულ-მოხვეული გზა განაგრძო. ტყის საფარი ისევ შემოერტყა გარს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მცირედ მანძილზე, მალე გზა დასრულდა და ნახევარი მილის სიგანისა და ორი მაგდენი სიგრძის ველი გამოჩნდა – ახლა კი მიხვდა ელვინი, რატომ ვერ შეხვდა აქამდე ადამიანის ნაკვალევს.

ველი დაბალი, ორსართულიანი, ნაზი ფერის საღებავებით შეღებილი შენობებით გაეშენებინათ, რომელიც თვალს ყველაზე კაშკაშა მზის დროსაც კი ეამებოდა. შენობების უმრავლესობა ნათელი, მარტივი დიზაინის მიხედვით აეგოთ, მაგრამ რამდენიმე მართლაც რთულ არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენდა და დაღარული კოლონების რიგსა და დახვეწილ ჩუქურთმებს მოიცავდა. ამ ერთი შეხედვით უძველეს შენობებში უხსოვარი დროის არქიტექტურული ხერხი – წვეტიანი თაღი გამოიყენებოდა.

ელვინი აუჩქარებლად მიყვებოდა სოფელს, თან გამალებული ცდილობდა ახალ გარემოსთან შეგუებას. აქ ყველაფერი უცხო იყო; თითქოს ამ ამოუცნობი ცხოვრების გულის ცემით გაჟღენთილი ჰაერიც კი განსხვავდებოდა. ქუჩებში მოძრავი მაღალი, ქერათმიანი ადამიანებიც ისეთი ბუნებრივი გრაციოზულობით გადაადგილდებოდნენ, რომ დიასპარის მოსახლეობისგან აშკარად გამოირჩეოდნენ, თითქოს სულ სხვა რასას მიეკუთვნებოდნენ.

ხალხი ელვინს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, რაც მეტად უცნაური იყო, რადგან აბსოლუტურად განსხვავებულ ტანსაცმელს ატარებდა. ტემპერატურა დიასპარში არ იცვლებოდა, ამიტომ ტანსაცმელი უფრო დეკორატიულ ფუნქციას ატარებდა და ხშირად მდიდრული მოკაზმულობით გამოირჩეოდა, აქ კი ტანსაცმელს უშუალოდ დანიშნულებისამებრ იცვამდნენ, უფრო გამოყენებისთვის კერავდნენ და არა სილამაზისთვის. ხშირ შემთხვევაში, სამოსი ტანზე შემოხვეულ ერთიან მატერიას წარმოადგენდა.

ლისის მოსახლეობამ ელვინს მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება მის არსებობას, როცა სოფელში ღრმად შევიდა და მათმა რეაქციამაც მეტად მოულოდნელი ფორმა მიიღო. ერთ-ერთი სახლიდან ხუთიოდე კაცისგან შემდგარი ჯგუფი გამოვიდა და მისკენ მიზანმიმართულად გამოემართა, თითქოს ჩასაფრებულები მის გამოჩენას ელოდნენ. ელვინი მოულოდნელმა მღელვარებამ შეიპყრო, სისხლი ძარღვებში მოაწვა. უცბად ყველა საბედისწერო შეხვედრა მოაგონდა რომელიც ადამიანს ჰქონია სხვა პლანეტებზე მცხოვრებ განსხვავებული რასებთან. მართალია, აქ საკუთარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რასის წარმომადგენლებს ხვდებოდა, მაგრამ ვინ იცის, რამდენად დაშორდნენ ერთმანეთს საუკუნეების იზოლაციის შედეგად.

დელეგაცია ელვინისგან რამდენიმე ფუტის მოშორებით გაჩერდა. ჯგუფის უფროსმა გაუღიმა და ელვინს კეთილგანწყობის გამოხატვის ძველებური ჟესტის თანახმად ხელი გაუწოდა.

„ვიფიქრეთ, უკეთესი იქნებოდა, თუ აქ დაგხვდებოდით, - მიმართა მან. – ჩვენი საცხოვრებელი დიასპარისგან დიდად განსხვავდება, და ბოლო გაჩერებიდან ფეხით სეირნობა სტუმრებს აკლიმატიზაციის საშუალებას აძლევს.“

ელვინმა ჩამოართვა გამოწვდილი ხელი, მაგრამ გაოცების გამო ვერ შეძლო დაუყოვნელივ ეპასუხა მისთვის. ახლა მიხვდა, რატომაც არ აქცევდნენ სოფლის სხვა მაცხოვრებლები ყურადღებას.

„იცოდით, რომ მოვდიოდი?“ – იკითხა მცირედი პაუზის შემდეგ.

„რა თქმა უნდა. ჩვენ ყოველთვის ვიგებთ, როცა ვაგონი ამუშავდება. მითხარი, როგორ აღმოაჩინე გზა? ბოლო სტუმრობიდან იმდენი დრო გავიდა, რომ ვშიშობდით, რომ საიდუმლო საბოლოოდ დაიკარგა.“

მოლაპარაკეს მისმა ერთ-ერთმა თანამზავრმა შეაწყვეტინა.

„მე მგონი, ცნობისმოყვარეობის მოთოკვა გვმართებს, ჯერეინ. სერანისი გველოდება.“

სერანისის სახელს წინ ელვინისთვის უცხო სიტყვა უძღოდა, და ჩათვალა, რომ გარკვეული სახის ტიტული უნდა ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ თანამოსაუბრეების გაგება არ გაჭირვებია, უჩვეულოდ არც მოჩვენებია. დიასპარსა და ლისს ერთი და იგივე ლინგვისტური მემკვიდრეობა ჰქონდათ, ხოლო უხსოვარ დროში გამოგონილმა ბგერების ჩამწერმა მოწყობილობამ მეტყველების უცვლელი და მუდმივი ფორმებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ჯერეინმა თვალთმაქცური მორჩილების ნიშნად მხრები აიჩეჩა.

„კარგი, - გაეღიმა, - სერანისს არც თუ ისე ბევრი პრივილეგია აქვს, ამას ნამდვილად ვერ წავართმევ.“

სანამ სოფლის შუაგულისკენ მიემართებოდნენ, ელვინი გულდასმით ათვალიერებდა გარშემო მყოფთ. სოფლის მოსახლეობას ჭკვიანი გამომეტყველება ჰქონდა და კეთილი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ამ ღირსებებს მთელი ცხოვრების განმავლობაში ბუნებრივად მიიჩნევდა, გასაოცარს მათში ვერაფერს ხედავდა. ელვინი უფრო დიასპარის მკვიდრთაგან განმასხვავებელ თვისებებს ეძებდა. განსხვავებები არსებობდა, მაგრამ მათი დადგენა საკმაოდ რთული საქმე გახლდათ. ყველა მათგანი ელვინზე ოდნავ მაღალი იყო, ერთ-ორს სახეზე ასაკისთვის დამახასიათებელი აშკარა ნიშნები ეტყობოდა. მუქი კანი ჰქონდათ, მათი მოძრაობები კი ისეთ ენერგიასა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძალას ასხივებდა, რაც ელვინს გარკვეულწილად ამხნევებდა კიდევაც და ამავე დროს ოდნავ აბნევდა. გაეღიმა, როცა უნებლიეთ ხედრონის წინასწარმეტყველება გაახსენდა. მასხარამ უთხრა, რომ თუ ოდესმე ლისში მოხვდებოდა, დიასპართან მის უდავო მსგავსებაში დარწმუნდებოდა.

სოფლის მაცხოვრებლები ახლა უკვე დაუფარავი და გულწრფელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ თავისი მეგზურების უკან მომავალ ელვინს და აღარავინ არ აჩვენებდა თავს, თითქოს ყურადღებას არ აქცევდა მას. მოულოდნელად მარჯვენა მხარეს ხეებიდან ჟივილისა და ჟრიამულის ხმები გაისმა, ტყიდან სიცოცხლით სავსე პაწაწინა არსებები გამოცვივდნენ და ელვინს გარს შემოეჯარნენ. მათ დანახვაზე ელვინი გაოცებისგან გაშეშდა, თვალებს არ უჯერებდა. მის თვალწინ გადაშლილმა სურათმა თავისი სამყაროს მიერ საუკუნეების წინ დაკარგული და აწ უკვე მითად ქცეული ფენომენი გაახსენა. სწორედ ამგვარად იწყებოდა ერთ დროს ცხოვრება; ეს ხმაურიანი, ცოცხალი პატარა არსებები ბავშვები იყვნენ.

ელვინი გაოცებული უნდობლობით ადევნებდა მათ თვალს, კიდევ ერთი გრძნობა აწვა გულზე ლოდად და მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა იმდენად გაურკვეველი, რომ მისი არსის დადგენა ვერაფრით მოეხერხებინა. ნაცნობი სამყაროსგან მისი დაშორების ამ სურათზე უკეთეს დამამტკიცებელ საბუთს ვერ ნახავდა. დიასპარს სრულად აზღვევინეს უკვდავების ფასი.

მცირედი ხნის შემდეგ ყველაზე დიდი შენობის წინ გაჩერდნენ, რომელიც აქამდე შეხვედრია ელვინს. შენობა სოფლის ცენტრში იდგა, მისი პატარა მრგვალი კოშკურის თავზე მოთავსებულ ფლაგშტოკზე ქარი მწვანე ალამს აფრიალებდა.

შენობაში მხოლოდ ელვინი და ჯერეინი შევიდნენ, დანარჩენები უკან ჩამოიტოვეს. შიგნით გრილოდა და სიჩუმე იყო, ნახევრად გამჭვირვალე კედლებიდან შემოსული მზის სხივები ინტერიერს ნაზი და რბილი შუქით ავსებდნენ. გლუვ და ელასტიურ იატაკზე თხელი მოზაიკა დაეგოთ. კედელზე უდიდესი ნიჭისა და შესაძლებლობების მხატვარს ტყესთან დაკავშირებული რამდენიმე სცენა გამოეხატა. ნახატებთან ერთად ფრესკებიც შეინიშნებოდა, რომლებსაც ელვინისთვის უცხო შინაარსი და დატვირთვა ჰქონდათ, მაგრამ მათი თვალიერება დიდ სიამოვნებას გვრიდა. ერთ-ერთ კედელში მართკუთხედის ფორმის გარდამავალი ფერებით სავსე ეკრანი ჩაემონტაჟებინათ, სავარაუდოდ, ვიდეოფონის მიმღები მოწყობილობა, თუმცა საკმაოდ მცირე ზომის.

მოკლე ხვეული კიბის ავლით ელვინი და ჯერეინი შენობის ბრტყელ სახურავზე გავიდნენ. აქედან მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანდა. დასახლება, - ელვინი დარწმუნდა, - ასიოდე შენობისგან შედგებოდა. გარკვეული მანძილის მოშორებით ტყე იშლებოდა და წრესავით ერტყმოდა გაშლილ მდელოებს, სადაც სხვადასხვა ჯიშის ცხოლველები ძოვდნენ. ელვინს წარმოდგენაც არ ჰქონდა მათი სახეობების შესახებ; უმრავლესობა ოთხფეხა იყო, თუმცა ზოგიერთს ექვსი და რვა ფეხიც ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სერანისი კოშკურის ჩრდილში ელოდებოდა. ნეტავ რამდენი წლისაა? – გაიფიქრა ელვინმა. ქალის გრძელ, ოქროსფერ თმას ვერცხლისფერი შერეოდა, რაც, რამდენადაც ელვინი ხვდებოდა, ხანდაზმულობის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო. ბავშვების არსებობამ ამ სამყაროში, მთელი თავისი სავარაუდო შედეგებით, საკმაოდ დააბნია. სადაც დაბადება არის, სიკვდილიც უნდა იყოს, და სიცოცხლის ხანგრძლივობაც ლისში და დიასპარში ალბათ დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. გარეგნულად ვერ განსაზღვრავდი, ორმოცდაათი წლის გახლდათ სერანისი, ხუთასის თუ ხუთი ათასის, მაგრამ როცა თვალებში ჩახედა, ჯეზერაკისთვის დამახასიათებელი სიბრძნე ამოიკითხა.

ქალმა პატარა სავარძლისკენ მიანიშნა. თბილად მომღიმარი მზერის მიუხედავად, სერენისს არაფერი უთქვამს, სანამ ელვინი მოხერხებულად არ მოკალათდა – უფრო სწორად, შეძლებისდაგვარად მოხერხებულად, ამ გამჭოლი, თუმცა მეგობრული მზერის ქვეშ.

„მსგავსი შემთხვევები მეტად იშვიათად ხდება, ასე რომ, მაპატიე, თუ წესის და რიგის მიხედვით არ მოგმართავ. მაგრამ ყველა სტუმარს, მათ შორის ყველაზე მოულოდნელად მოსულსაც კი, თავისი უფლებები აქვს. სანამ საუბარს დავიწყებდით, მინდა გაგაფრთხილო, რომ შენი აზრების ამოკითხვა შემიძლია.“

ელვინის მოულოდნელმა და დაუფარავმა გაოგნებამ ღიმილი მოგვარა და სასწრაფოდ დაამატა: „მაგრამ ამაზე არ ინერვიულო. აქ გონებისა და აზრების ხელშეუხებლობაზე სათუთად არც ერთი უფლება არ არის დაცული. შენს გონებაში მხოლოდ შენი ნებართვით შევიჭრები. უბრალოდ, ჩავთვალე, რომ უსამართლობა იქნებოდა, შენთვის ეს ფაქტი დამემალა. თანაც ეს ცოდნა იმის გაგებაშიც დაგეხმარება, თუ რატომ არის ჩვენი მეტყველება ასეთი ნელი და გაჭიანურებული და რატომ გამოიყენება ასე იშვიათად.“

მართალია ამ აღიარებამ ელვინი გარკვეულ წილად შეაშფოთა, მაგრამ დიდად არ გაკვირვებია. ერთ დროს ადამიანიც და მანქანაც ფლობდა ამ ძალას, ხოლო მარად უცვლელ მანქანებს ახლაც შეეძლოთ თავიანთი მფლობელების უხმო ბრძანებები ამოეკითხათ, მაგრამ დიასპარში ადამიანს უკვე დაეკარგა ის ნიჭი, რაც ერთ დროს მისთვისაც იყო დამახასიათებელი და მისი მექანიკური მსახურებისთვისაც.

„არ ვიცი, რამ მოგიყვანა შენი სამყაროდან ჩვენს სამყაროში, - განაგრძო სერანისმა, - მაგრამ თუ სიცოცხლეს ეძებ, მინდა გითხრა, რომ შენი ძიება აქ დასრულებულია. დიასპარის გარდა, ჩვენი მთაგრეხილის იქით, მხოლოდ უდაბნო არსებობს.“

გასაოცარია, მაგრამ ელვინმა, რომელიც მანამდე საზოგადოდ მიღებულ შეხედულებებსაც კი ეჭვქვეშ აყენებდა, უსიტყვოდ დაიჯერა სერანისის სიტყვები. ერთადერთი რეაქცია ჰქონდა მის ნათქვამზე, გულისტკივილს გრძნობა იმის გამო, რომ ყველაფერი, რასაც აქამდე ასწავლიდნენ, ასე ახლოს იდგა სიმართლესთან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მომიყევი ლისზე, - შეეხვეწა ელვინი. – რატომ მოსწყდით დიასპარს ასე დიდი ხნით, თქვენ ხომ, როგორც გატყობთ, საკმაოდ ბევრი რამ იცით ჩვენს შესახებ.“

სერანისს ელვინის მოუთმენლობაზე გაეღიმა.

„რა თქმა უნდა მოგიყვები, - დააიმედა სერანისმა. – მაგრამ ჯერ შენზე მინდა ზოგიერთი რამის გაგება. მითხარი, როგორ იპოვნე აქ მოსასვლელი გზა და რატომ მოხვედი?“

ელვინი, თავიდან ერთგვარი თავშეკავებით, ხოლო მოგვიანებით გაცილებით მეტი თავდაჯერებით, შეუდგა საკუთარი ამბის მოყოლას. აქამდე ასე თავისუფლად არც უსაუბრია არასდროს; როგორც იქნა, შეხვდა ისეთ ადამიანს, ვინც მის ოცნებებს მასხარად არ აიგდებდა, რადგან იცოდა, რომ ისინი რეალობას არ იყვნენ მოკლებული. სერანისმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა ელვინს თხრობა, როდესაც დიასპარის მისთვის უცნობ ასპექტებზე საუბრობდა, და მოკლე კითხვები დაუსვა. ელვინისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მისი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების დეტალებს არავითარი აზრი არ ჰქონდა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არასოდეს უცხოვრიათ ქალაქში და არ იცნობენ მისი ურთულეს კულტურულ და საზოგადოებრივ წყობას. სერანისი ისე გულდასმით უსმენდა, რომ ელვინს მისი ყურადღება ბუნებრივად მიაჩნდა, ეგონა, ყველაფერს ხვდებოდა; მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ გაარკვია, რომ მის ნაამბობს უამრავი ადამიანი უგდებდა ყურს.

როცა თხრობა დაასრულა, მცირედი დროით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ სერანისმა შეხედა და წყნარად ჰკითხა: „რისთვის მოხვედი ლისში?“

ელვინმა გაოცებული სახით შეხედა სერანისს.

„ხომ გითხარით, - მიუგო მან. – მინდოდა, სამყარო შემესწავლა. ყველა მეუბნებოდა, რომ ქალაქს მიღმა უდაბნოს გარდა არაფერი არსებობდა, მე კიდევ მსურდა, თავად დავრწმუნებულიყავი ამაში.“

„და ეს ერთადერთი მიზეზია?“

ელვინი შეყოყმანდა. და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, უპასუხა, ეს დაუცხრომელი მკვლევარის პასუხს სულაც არ ჰგავდა, უფრო უცხო ქვეყანაში დაკარგული ბავშვის სასოწარკვეთილი ხმას მოგაგონებდათ.

„არა, - ჩუმად უპასუხა ელვინმა. – ეს ერთადერთი მიზეზი არ არის, თუმცა ამის შესახებ აქამდე არც მე ვიცოდი. ალბათ ახლაღა გავისიგრძეგანე, რომ მარტოსული ვარ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მარტოსული? დიასპარში?“ – სერანისის ტუჩებს ღიმილი დასთამაშებდა, თუმცა მის თვალებში თანაგრძნობის ნაპერწკალი ღვიოდა და ელვინი მიხვდა, რომ სერანისს არ ჭირდებოდა შემდგომი განმარტებები.“

ახლა, როცა ქალმა მისი მთლიანი თავგადასავალი შეიტყო, ელვინი ელოდა, რომ სერანისი თავის დანაპირებს შეასრულებდა. სერანისი წამოდგა და სახურავზე ბოლთის ცემას შეუდგა.

„ვიცი, რისი გაგებაც გინდა, - დაიწყო მან. – ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემას შევძლებ, მაგრამ სიტყვებით სათქმელის გადმოცემა ძალიან გამიჭირდება. ჩემი აზრებისთვის გონების კარის გახსნა რომ შეგეძლოს, ყველაფერს მოგახსენებდი, რასაც მოისურვებდი. მერწმუნე: შენი ნებართვის გარეშე შენს ფიქრებს არ წავიკითხავ.“

„რა უნდა გავაკეთო?“ – ფრთხილად იკითხა ელვინმა.

„გონება მომართე ჩემი დახმარების მიღების მზადყოფნისკენ – თვალებში შემომხედე – და ყველაფერი დაივიწყე,“ – უბრძანა სერანისმა.

ელვინმა ვერც ვერასდროს გაიგო, ზუსტად რა მოხდა მაშინ. ახსოვდა, რომ ყველა გრძნობა მთლიანად გაეთიშა, და მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოეგონებინა, როგორ დაიბრუნა აზრი, როცა გონებაში ჩაიხედა, დარწმუნდა, რომ ყველაფერი იცოდა.

წარსულის დანახვა შეეძლო, თუმცა ოდნავ ბუნდოვნად, როგორც მაღალი მთის მწვერვალზე მდგარი ადამიანი ხედავს ნისლიან ველებს. გაიგო, რომ ადამიანს ყოველთვის ქალაქში არ უცხოვრია, და მას შემდეგ, რაც მანქანებმა შავი სამუშაოს შესრულების ტვირთისგან გაათავისუფლა, ცივილიზაციის ორ სხვადასვა სახეს შორის გაუთავებელი შუღლი და ჯიბრი წარმოიშვა. განთიადის ეპოქაში ათასობით ქალაქი არსებობდა, მაგრამ კაცობრიობის უმეტესი ნაწილი მაინც განცალკევებით, შედარებით პატარა საზოგადოებებში გაერთიანებას ამჯობინება. უნივერსალური სატრანსპორტო სისტემა და მომენტალური საკომუნიკაციო საშუალებები ხალხს დანარჩენ მსოფლიოსთან დაკავშირებას უიოლებდა, და ამიტომ გადატვირტულ ქალაქებში, მილიონობით თანამეგრობრის გვერდით ცხოვრების აუცილებლობას ვერ ხედავდა.

იმ უძველეს ხანაში ლისი მცირედით თუ განსხვავდებოდა ასობით სხვა დასახლებებისგან. მაგრამ თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში, ლისმა ადამიანის ისტორიაში ცნობილი ყველაზე მაღალგანვითარებული დამოუკიდებელი კულტურის შექმნა შეძლო. ეს კულტურა უმეტეს წილად გონებრივი შესაძლებლობების პირდაპირ გამოყენებას ეფუძნებოდა და სწორედ ეს თვისება განასხვავებდა ამ ქალაქს კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისგან, რომელიც მანქანებზე სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეპოქები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და დრო რაც უფრო გადიოდა, მით უფრო ღრმავდებოდა და იზრდებოდა ლისსა და სხვა ქალაქებს შორის არსებული უფსკრული. ჩატეხილი ხიდი მხოლოდ უდიდესი კრიზისა და გაჭირვების პერიოდში აღდგებოდა ხოლმე, მაგალითად, როცა მთვარე დედამიწას ეცემოდა და ლისის მეცნიერებმა მისი შეჩერება შეძლეს, ასევე დედამიწის მომხდურებისგან დაცვის დროს, როცა დამპყრობლები შალმირანის გადამწყვეტი ბრძოლის დროს ერთობლივი ძალებით მოიგერიეს.

უდიდესმა გამოცდებმა, რომელიც განგებამ კაცობრიობას მოუწყო, ძალა გამოაცალეს მას; ქალაქები ერთი მეორის მიყოლებით ქრებოდნენ, მათ ადგილს კი უდაბნოს საფარი იკავებდა. მოსახლეობის რაოდენობის კლებასთან ერთად კაცობრიობამ მიგრაცია დაიწყო, რამაც დიასპარის უკანასკნელ და უდიდეს ქალაქად ქცევას შეუწყო ხელი.

ამ ცვლილებათა უმეტესობა ლისს არ შეხებია, თუმცა არც მას ულხინდა მაინცდამაინც, ლისს გასაჭირი დასდგომოდა, უდაბნოსთან ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. მთებისგან შექმნილი ბუნებრივი ბარიერი აღარ კმაროდა, და ლისის მცხოვრებლებს მრავალი საუკუნე დასჭირდათ, სანამ თავიანთ პატარა ოაზისს უსაფრთხო სავანედ აქცევდნენ. აქ კი სურათმა სიმკვეთრე დაკარგა, ალბათ ელვინს შეგნებულად არ მისცეს იმის გარკვევის საშუალება, თუ როგორ მიაღწია ლისმა იგივე ვირტუალურ მარადიულობას, რომელსაც დიასპარიც ფლობდა.

სერანისის ხმა შორი მანძილიდან ესმოდა, თუმცა ეს მხოლოდ ხმას არ ჰგავდა, ელვინის ყურამდე უამრავი ბგერისა და სიტყვის სიმფონია აღწევდა, თითქოს სერანის კიდევ ბევრი სხვა ენა უწყობდა ხმას.

„აი, ასეთია ჩვენი მოკლე ისტორია. როგორც ხედავ, განთიადის ეპოქაშიც მეტად ცოტა რამ გვქონდა საერთო სხვა ქალაქებთან, თუმცა მათი მაცხოვრებლები ხშირად სტუმრობდნენ ჩვენს მიწას. მათთვის ხელი არასდროს შეგვიშლია, რადგან ჩვენი საზოგადოების ბევრი ყველაზე პატივსაცემი წარმომადგენლები სწორედ სხვა ქალაქებიდან იყვნენ მოსული, მაგრამ როდესაც ქალაქებმა უკანსვლა იწყეს, ჩვენ არ გვსურდა მათი დაცემის უშუალო მომსწრენი ვყოფილიყავით. საჰაერო ტრანსპორტის განადგურების შემდეგ ლისში მიმავალი მხოლოდ ერთი გზა დარჩა – დიასპარის მიწისქვეშა სატრანსპორტო სისტემა. თქვენი მხრიდან გზა პარკის მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩაიკეტა და თქვენც დაივიწყეთ ჩვენს შესახებ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვახსოვდით.“

„დიასპარმა გაგვაოცა. ჩვენი მოლოდინით, ისიც სხვა ქალაქების გზით უნდა წასულიყო, თუმცა ამის ნაცვლად, ისეთი სტაბილური კულტურა შექმნა, რომელმაც, სავსებით შესაძლებელია, იმდენი ხანი გაძლოს, რამდენიც დედამიწა. მართალია თქვენი კულტურით აღფრთოვანებული არ ვართ, მაგრამ მაინც გვიხარია, როცა მსურველები ქალაქიდან თავის დაღწევას ახერხებენ. შენამდე არა ერთ ადამიანს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უმოგზაურია ლისში და ბევრი მათგანი, მინდა გითხრა, გამოჩენილი პიროვნება აღმოჩნდა, რომელმაც ლისს ბევრი რამ შესძინა.“

ხმა შესუსტდა; გრძნობების შებოჭილობა თანდათან ქრებოდა და მალე ელვინმა ჩვეული მდგომარეობა დაიბრუნდა. თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ მზე უკვე ხეებში ჩასვენებულიყო და აღმოსავლეთის ცაში ღამის ნიშნები შეიმჩნეოდა. სადღაც შორიდან უზარმაზარი ზარის დახშული რეკვა ისმოდა, რომლის მთრთოლვარე ხმა გარს ჩამოწოლილ სიჩუმეს არღვევდა და ჰაერს იდუმალებითა და უჩვეულო წინათგრძნობით ავსებდა. შეგრძნება როცა დაუბრუნდა, ელვინმა აღმოაჩინა, რომ ოდნავ კანკალებდა, და არა ჩამოწოლილი საღამოს სუსხისგან, არამედ ნანახისა და განცდილისგან მოგვრილი შიშნარევი გაოცებისგან. უკვე დაგვიანდა, ის კი სახლიდან შორს იმყოფებოდა. მეგობრებთან ყოფნისა და დიასპარის ნაცნობი ადგილებისა და პეიზაჟების მონახულების უეცარმა სურვილმა შეიპყრო.

„უნდა დავბრუნდე, - გამოაცხადა. – ხედრონი, ჩემი მშობლები, ალბათ უკვე მელოდებიან.“

ეს სრულ სიმართლეს არ შეესაბამებოდა; ხედრონს, რა თქმა უნდა, მისი ადგილსამყოფელის გაგების სურვილი გაუჩნდებოდა, მაგრამ რამდენადაც ელვინს მოეხსენებოდა, მასხარას გარდა, მის გაუჩინარებას დიასპარში ვერც ვერავინ შეამჩნევდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რამ აიძულა ამ უმნიშვნელო ტყუილის თქმა და სიტყვების წარმოთქმისთანავე მცირედი სირცხვილიც კი განიცადა ამის გამო.

სერანისმა შეფიქრიანებული მზერა შეავლო.

„ვშიშობ, ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იქნება,“ – მიუგო მან.

„რისი თქმა გინდა? – იკითხა ელვინმა. – იმ ვაგონს, აქამდე რომ მომიყვანა, არ შეუძლია ისევ უკან დამაბრუნოს?“ ჯერ კიდევ ჯიუტად ებრძოდა ლისში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ შეყოვნების შესაძლებლობას. თუმცა ამ აზრმა უკვე გაუელვა გონებაში.

სერანისს პირველად შეეტყო მოუსვენრობა.

„შენს საკითხს განვიხილავდით, - მოახსენა სერანისმა, თუმცა არც ის უხსენებია, ვინ გულისხმობდა ‘ჩვენში’, ან როგორ განიხილეს მისი საქმე. – დიასპარში თუ დაბრუნდები, მთელი ქალაქი გაიგებს ჩვენს შესახებ. რომც შეგვპირდე, რომ არაფერს იტყვი, მაინც ვერ შეძლებ ამ საიდუმლოს შენახვას.“

„რატომ გინდათ ამ საიდუმლოს შენახვა? – გაუკვირდა ელვინს. – დარწმუნებული ვარ, ჩვენთვისაც და თქვენთვისაც ხელახალი შეხვედრა მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება.“

სერანისს სახეზე უკმაყოფილება შეეტყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ჩვენ მასე არ ვფიქრობთ, - მიუგო მან. – თუ კარიბჭეს გავხსნით, ლისს უამრავი უსაქმური ცნობისმოყვარე და თავგადასავლის მაძიებელი შემოესევა. ამჟამად კი თქვენი ხალხიდან მხოლოდ საუკეთესოებს შეუძლიათ აქ შემოღწევა.“

სერანისის პასუხი გაუთვიცნობიერებელ და სავსებით მცდარ ნიადაგზე დაფუძნებული უპირატესობის შეგრძნებას შეიცავდა, უეცარმა გაღიზიანებამ უწინდელი განგაში მთლიანად გადაწონა.

„ცდები, - შეეწინააღმდეგა ელვინი. – დიასპარში მეორე ადამიანი არ მეგულება, ვისაც ქალაქის დატოვება უფიქრია, სურვილი რომც გასჩენოდა და სცოდნოდა, საით წასულიყო, მაინც ვერ შეძლებდა ამის გაკეთებას. თუ დიასპარში დაბრუნების ნებას დამრთავთ, გარწმუნებთ, თქვენს ცხოვრებაზე ეს არანაირად არ აისახება.“

„შენი დატოვება მე არ გადამიწყვეტია, - აუხსნა სერანისმა. – ძალიან ცდები და გონების ძალას სათანადოდ ვერ აფასებ, თუ ფიქრობ, რომ ბარიერი, რომელიც შენს ხალხს ქალაქში აკავებს, ურღვევია. თუმცა, შენი იძულებით დაკავება ნამდვილად არ გვინდა. თუ დიასპარში დაბრუნდები, მაშინ შენი მეხსიერებიდან ლისის შესახებ არსებული ყველა მოგონება უნდა წავშალოთ. – სერანისი წამით შეყოვნდა. – ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია, ყველა შენი წინამორბედი აქ სამუდამოდ დარჩენილა.“

ასეთი არჩევანი ელვინისთვის მიუღებელი იყო. მხოლოდ ლისის შესწავლა, მისი იდუმალი მხარის კვლევა და დიასპარისგან განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენა უნდოდა. მაგრამ ამავე დროს, მშობლირი ქალაქში დაბრუნება ეჩქარებოდა, რათა თანატოლებისთვის დაემტკიცებინა, რომ უქმად დრო არ დაუკარგავს და რომ მისი ოცნებები რეალობას მოკლებული არ ყოფილა. ვერაფრით გაეგო ამ იდუმალებისადმი მიდრეკილების მიზეზი, რომც სცოდნოდა, ეს მის საქციელს მაინც ვერ შეცვლიდა.

ელვინი მიხვდა, რომ როგორმე დრო უნდა გაეყვანა, ან დაერწმუნებინა სერანისი, რომ მისი თხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო.

„ხედრონმა რომ იცის, სადაც ვარ, - მოახსენა. – მის მეხსიერებასაც ხომ ვერ წაშლით.“

სერანისს გაეღიმა. ღიმილი მეტად სასიამოვნო იყო და სხვა სიტუაციაში საკმაოდ მეგობრულად და კეთილგანწყობილად მოგეჩვენებოდათ. მაგრამ მის მიღმა ელვინმა პირველად შენიშნა შემაშინებელი და ულმობელი ძალის არსებობა.

„სათანადოდ ვერ გვაფასებ, ელვინ, - უპასუხა სერანისმა. – სულაც არ გამიჭირდებოდა ამის გაკეთება. დიასპარს უფრო მალე მივაღწევდი, ვიდრე ლისს გადავკვეთდი. დიასპარიდან მოსულმა ზოგიერთმა ადამიანმა მეგობრებს მოახსენა, სადაც მიემგზავრებოდა, მაგრამ მეგობრებმა მაინც დაივიწყეს ისინი. ეს ხალხი უბრალოდ გაქრა დიასპარის ისტორიიდან.“

რა უგუნური საქციელი იყო ელვინის მხრიდან ამ შესაძლებლობის არ გათვალისწინება, თუმცა ახლა, როცა სერანისმა აშკარად მიუთითა, ეჭვიც არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არსებობდა. ნეტავ ამ მილიონობის წლების მანძილზე, მას შემდეგ, რაც ეს ორი კულტურა ერთმანეთს დაშორდა, რამდენჯერ შეუღწევიათ ლისის წარმომადგენლებს დიასპარში თავისი სანუკვარი საიდუმლოს ჯიუტად დასაცავად და რამდენად ძლიერია ამ უცნაური ხალხის გონებრივი შესაძლებლობები, რომლებსაც ასე უყოყმანოდ და დაუბრკოლებლად იყენებდნენ.

ელვინი სავარაუდო საშიშროებაზე ფიქრობდა, რომელიც რაიმე გეგმის დასახვას შეეძლო მოეტანა. მართალია სერანისი შეპირდა, რომ ნებართვის გარეშე მის გონებას არ წაიკითხავდა, მაგრამ, საინტერესოა, რა ვითარებაში შეეძლო ქალს ამ დაპირების დარღვევა.

„რა თქმა უნდა, ჩემგან დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღებას არ მოელით. – მიმართა სერანისს. – სანამ არჩევანს გავაკეთებდე, შემიძლია, თქვენი ქალაქი დავათვალიერო?“

„როგორ არა, - მიუგო სერანისმა. – შეგიძლია იმდენს ხანს დარჩე, რამდენიც მოგესურვება, და დიასპარშიც დაბრუნდე, თუკი გადაიფიქრებ დარჩენას. მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ამ უახლოეს რამდენიმე დღეში მიიღებ გადაწყვეტილებას, ეს საქმეეს გააიოლებდა. ხომ არ გინდა, რომ მეგობრებმა შენზე ინერვიულონ, თანაც რაც უფრო დიდხანს დარჩები, მით უფრო გაგვიძნელდება საჭირო შესწორებების შეტანა.“

ასეთმა პასუხმა ელვინი გაახარა; ნეტა რას გულისხმობდნენ ‘შესწორებებში’, - გაიფიქრა მან, - ალბათ ლისის რომელიმე წარმომადგენელი ხედრონს დაუკავშირდებოდა, რის შესახებ თავად მასხარაც ვერ მიხვდებოდა, და მის გონებაში შენახულ გარკვეულ მოგონებას შეასწორებდა. ელვინის გაუჩინარების ფაქტს ვერ დამალავდნენ, მაგრამ ხედრონისა და მის მიერ აღმოჩენილი ინფორმაციის წაშლა კი ნამდვილად შეეძლოთ. საუკუნეები გავიდოდა და ელვინიც იმ სხვა უნიკალურ ადამიანთა რიგს შეუერთდებოდა, რომლებიც უკვალოდ დაიკარგნენ და მათი სახელები სამუდამო დავიწყებას მიეცა.

ლისში უამრავი საიდუმლო არსებობდა და ელვინი, როგორც ჩანდა, ვერც ერთი მათგანის ამოხსნას ვერ მიუახლოვდა. ვერ გაეგო, იდუმალი, ცალმხრივი ურთიერთობა ლისსა და დიასპარს შორის გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა, თუ უბრალო ისტორიულ შემთხვევითობას წარმოადგენდა. ვინ იყვნენ ეს უნიკალური ადამიანები და თუ ლისის ხალხს დიასპარში შესვლა შეეძლო, რატომ არ გაანადგურეს მეხსიერების სქემების ის ნაწილი, რომელიც მათი არსებობის შესახებ დაცულ ინფორმაციას შეიცავდა? ელვინს ყველაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ალბათ მხოლოდ ამ კითხვაზე შეეძლო. შესაძლებელია, ცენტრალური კომპიუტერი ერთ-ერთი ყველაზე მედგარი და შეუპოვარი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, რომელიც ყველაზე დახვეწილ და განვითარებულ გონებრივ მეთოდებსაც კი არ აძლევდა მასზე ზემოქმედების მოხდენის საშუალებას...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს გამოცანები სამომავლოდ გადადო; ერთ დღეს, როცა უფრო მეტს შეიტყობს, ალბათ მათი ამოხსნის შესაძლებლობა მიეცემოდა. მანამდე კი, ფუჭი ფიქრისა და განსჯისთვის, და უმეცრებაზე დაფუძნებული მოსაზრებების პირამიდის შენებისთვის თავი უნდა დაენებებინა.

„ძალიან კარგი, - თქვა ელვინმა, თუმცა მისი ტონი ნაკლები თავაზიანობით გამოირჩეოდა, რადგან ჯერ კიდევ გრძნობდა მოულოდნელი დაბრკოლებით გამოწვეულ მძაფრ გაღიზიანებას. – პასუხს რაც შეიძლება მალე მოგახსენებთ, თუ თქვენი ქვეყნის დათვალიერების საშუალებას მომცემთ.“

„კარგი, - უპასუხა სერანისმა, და ამჯერად მის ღიმილში ვერანაირი ფარული მუქარა ვერ შენიშნა. – ჩვენ ლისით ვამაყობთ, და სიამოვნებით გაჩვენებთ, როგორ შეუძლია ხალხს ქალაქების გარეშე ცხოვრება. არაფერზე ინერვიულო, შენს მეგობრებს შენი არყოფნა არ შეაშფოთებს, ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ, ჩვენივე უსაფრთხოებისთვის.“

სერანისმა ცხოვრებაში პირველად დადო პირობა, რომელიც ვერ შეასრულა.

თავი XI

ალისტრამ, დიდი ცდის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო ხედრონისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება. მასხარას მალევე გადაურა პირველადი შოკისგან გამოწვეულმა რეაქციამ და იმ პანიურ შიშს სძლია, რამაც აიძულა, თავქუდმოგლეჯილი გამოქცეულიყო დედამიწის ზედარისკენ, როცა აღმოაჩინა, რომ სრულიად მარტო იყო სამარხის სიღრმეებში. გარკვეულ წილად რცხვენოდა კიდეც საკუთარი მხდალი საქციელის გამო და ეჭვი ეპარებოდა, რომ ოდესმე მოიკრეფდა გამბედაობას და მოძრავი გზების გამოქვაბულსა და მსოფლიოს ყველა წერტილში გამავალი გვირაბების ქსელს დაუბრუნდებოდა. თუმცა ელვინს მოუთმენელ და ზოგჯერ უგუნურ ადამიანადაც კი თვლიდა, მაგრამ მაინც არ სჯეროდა, რომ რაიმე რეალური საფრთხე ემუქრებოდა. თავის დროზე დაბრუნდებოდა, ხედრონი დარწმუნებული იყო ამაში, უფრო სწორად, თითქმის დარწმუნებული. ეჭვის საბაბი მაინც ჰქონდა, რაც წინდახედულობისა და გაფრთხილებისკენ მოუწოდებდა. ჯერჯერობით ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება რაც შეიძლება ნაკლები ლაპარაკი და მთელი ამ ამბის მორიგ ხუმრობაში გატარება იქნებაოდა.

თავისდა სამწუხაროდ, ვერ შეძლო მოზღვავებული ემოციების დაფარვა, როცა ზედაპირზე ამოსვლისას ალისტრას შეეჩეხა. მასხარას თვალებში ისეთი აშკარა შიში აღბეჭდოდა, ალისტრამ მაშინვე გაიფიქრა, რომ ელვინს საფრთხე ემუქრებოდა. ხედრონის ყველა მცდელობა, ალისტრა დაემშვიდებინა, უშედეგო აღმოჩნდა, და ალისტრას ბრაზი სულ უფრო ემატებოდა, სანამ პარკის გავლით უკან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრუნდებოდნენ. თავიდან უნდოდა, აკლდამაში დარჩენილიყო, იმედი ჰქონდა, რომ ელვინი ისევე მოულოდნელად და უჩვეულოდ გამოჩნდებოდა, როგორც გაუჩინარდა. ხედრონმა ალისტრას ჩანაფიქრის უსაფუძვლობაში დარწმუნება შეძლო და შვებით ამოისუნქა, როცა გოგო ქალაქისკენ გაჰყვა. ხომ შეიძლებოდა, ელვინი მაშინვე დაბრუნებულიყო, მას კი არ უნდოდა, რომ იარლან ზეის საიდუმლო საქვეყნოდ ცნობილი გამხდარიყო.

ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ხედრონისთვის აშკარა გახდა, რომ მისმა ორჭოფულმა ტაქტიკამ სრული კრახი განიცადა და სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. მასხარა ცხოვრებაში პირველად დაიბნა, თვითდაჯერება დაკარგა და მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემის წინაშე უძლური აღმოჩნდა. პირვალადი, ინსტიქტური და გაუთვიცნობიერებელი შიში ნელ-ნელა საფუძვლიანმა და ღრმა შეშფოთებამ შეცვალა. აქამდე საკუთარი საქციელის სავარაუდო შედეგებზე სერიოზულად არც დაფიქრებულა. პირადი ინტერესები და მცირედი, მაგრამ გულწრფელი სიმპათია ელვინის მიმართ მისი ქმედების ერთადერთ მოტივს წარმოადგენდა. ელვინისთვის გაწეული დახმარებისა და წახალისების მიუხედავად, აზრდაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა მსგავსი რამ სინამდვილეში მომხდარიყო.

მათ შორის ასაკსა და გამოცდილებაში უფსკრულივით გაჭიმული ზღვარის მიუხედავად, ელვინის ნება ყოველთვის აღემატებოდა მისას. ახლა კონკრეტული ზომების მიღებას აზრი არ ჰქონდა, დაგვიანდა; ხედრონი გრძნობდა, რომ მოვლენები პიკს უახლოვდებოდა, მასზე უკვე აღარაფერი იყო დამოკიდებული.

ის, რომ ალისტრა ხედრონს ელვინის ბოროტ გენიად მიიჩნევდა და მომხდარში პირველ რიგში ადანაშაულებდა, უსამართლოდ ეჩვენებოდა. თუმცა ალისტრა შურისძიების გრძნობით ნამდვილად არ ყოფილა შეპყრობილი, უბრალოდ გაღიზიანებული იყო და მისი ბრაზის გარკვეულ წილად ხედრონზეც ვრცელდებოდა და თუ მასხარა მისი საქციელის გამო უხერხულად იგრძნობდა თავს, ამაზე დიდად არ იდარდებდა.

როცა პარკს გარშემორტყმულ წრიულ გზას მიუახლოვდნენ, ერთმანეთს უხმოდ დასცილდნენ. ხედრონი ალისტრას თვალს არ ადევნებდა, სანამ მზერას არ მოეფარა, თან ცდილობდა, გამოეცნო, რა ფიქრები უტრიალებდა თავში და საბოლოოდ რა გეგმის სახეს მიიღებდა.

ახლა მხოლოდ ერთ რამეში არ ეპარებოდა ეჭვი. გარკვეული ხნის განმავლობაში მოწყენილობა აღარ შეაწუხებდა.

ალისტრა საკმაოდ სწრაფად და გონივრულად მოქმედებდა. ერისტონთან და ეთანიასთან დაკავშირება არც უცდია; ელვინის მშობლები მისთვის მხოლოდ სასიამოვნო არარაობებს წარმოადგენდნენ, მართალია თავისებურად უყვარდა ისინი, მაგრამ არავითარ პატივისცემას არ გრძნობდა მათ მიმართ. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უსარგებლო მსჯელობაში დაკარგავდნენ დროს და საბოლოოდ იგივეს გააკეთებდნენ, რასაც ალისტრა აპირებდა.

ჯეზერაკმა სრული სიმშვიდით, ყოველგვარი ემოციების გარეშე, მოუსმინა. თუ აღელვებული ან გაოცებული იყო, იმდენად ოსტატურად შეენიღბა, რომ ალისტრას ერთგვარი იმედგაცრუებაც კი გამოიწვია. მისი აზრით, ამაზე მნიშვნელოვანი და უჩვეულო დიასპარში ჯერ არაფერი მომხდარა, და ჯეზერაკის ზერელე დამოკიდებულებამ თავგზა დაუბნია. როცა მოყოლა დაასრულა, მოხუცმა რამდენიმე კითხვა დაუსვა, რითაც მიანიშნა, თუმცა პირდაპირ არ უთქვამს, რომ შესაძლებელია, ცდებოდეს. რა მიზეზით უნდა ეფიქრა, რომ ელვინმა ქალაქი დატოვა? შეიძლება ეხუმრა; ის ფაქტი, რომ ამ ამბავში ხედრონი იყო გარეული, ამის ალბათობას ზრდიდა. ალბათ ამ წუთას დიასპარის რომელიმე უბანშია დამალული და ჩუმად დასცინის.

ჯეზერაკისგან ერთადერთი კონკრეტული პასუხის მიღება მოახერხა, მოხუცი დაპირდა, რომ გაიკითხავდა და დღის განმავლობაში დაუკავშირდებოდა. ურჩია, ამაზე არ ენერვიულა და უმჯობესი იქნებოდა, თუ არავის ეტყოდა ამ ამბის შესახებ. არ ღირდა უბრალო შემთხვევაზე, რომლის გარკვევა სულ რამდენიმე საათში შეიძლებოდა, უსაფუძვლო განგაშის ატეხვა.

ალისტრა გულგატეხილი გამოვიდა ჯეზერაკის სამყოფელიდან. მისი წასვლის შემდეგ ჯეზერაკის საქციელი რომ დაენახა, უფრო მეტი კმაყოფილებით დატოვებდა იქაურობას.

მოხუცს საბჭოში მეგობრები ჰყავდა; ერთ დროს თავის ცხოვრების გარკვეულ პეროდში თავად გახლდათ მისი წევრი და შეიძლება კიდევ გამხდარიყო, თუ არ გაუმართლებდა. სამი ყველაზე გავლენიანი კოლეგა შემოიკრიფა და დიდი სიფრთხილით დაუსვა საკითხი და მათი ინტერესის აღძვრას შეეცადა. როგორც ელვინის მასწავლებელს, კარგად ესმოდა საკუთარი მდგომარეობის დელიკატურობა და ბუნებრივია, ცდილობდა, თავი დაეზღვია. მანამდე, რაც ნაკლებს ეცოდინებოდა მომხდარის შესახებ, მით უკეთესი იქნებოდა.

ერთპიროვნულად გადაწყდა, ხედრონს დაკავშირებოდნენ და მისგან ახსნა-განმარტება მოეთხოვათ. მაგრამ ამ შესანიშნავ გეგმას ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, ხედრონმა წინასწარ განსაზღვრა სიტუაცია და გამიზნულად გაუჩინარდა.

თუკი ელვინის ამჟამინდელ მდგომარეობას ორაზროვნება ახასიათებდა, მისი მასპინძლები წინდახედულობას იჩენდნენ და არ აგრძნობინებდნენ ამის შესახებ. ერლიში, პატარა სოფელში, რომელსაც სერანისი მართავდა, - თუ ეს სიტყვა გადაჭარბებული არაა მისი თანამდებობისთვის, – ელვინს ნებისმიერ ადგილას შეეძლო მოხვედრა, სადაც კი მოისურვებდა. ზოგჯერ სერანისი ულმობელ დიქტატორად წარმოუდგებოდა, ხანდახან კი ეგონა, რომ არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა. იმ დრომდე ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რაში მდგომარეობდა ლისის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოციალური სისტემა, რადგან ან ძალიან მარტივი იყო, ან იმდენად ჩახლართული, რომ მის არსს ვერ ჩაწვდა. ერთადერთი რამის გარკვევა შეძლო, ლისი უამრავ სოფლებად იყოფოდა, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური მაგალითიც ერლი გახლდათ. თუმცა, ფაქტიურად, აქ ტიპური მაგალითებიც არ არსებობდა, რადგან ელვინს არწმუნებდნენ, რომ თითოეული სოფელი ცდილობდა, თავისი მეზობელი სოფლებისგან შეძლებისდაგვარად განსხვავებული ყოფილიყო. ეს ყველაფერი კი უფრო უბნევდა თავგზას.

მცირე ზომის მიუხედავად სოფელი, რომელიც სულ რაღაც ათასამდე მაცხოვრებელს ითვლიდა, არა ერთ სიურპრიზს იტევდა. აქაური ცხოვრება აბსოლუტურად ყველაფერში განსხვავდებოდა დიასპარისგან. განსხვავებები ისეთ ფუნდამენტალურ საკითხებსაც ეხებოდა, როგორიცაა მეტყველება. ნორმალური ურთიერთობისას ხმას მხოლოდ ბავშვები გამოიყენებდნენ; უფროსები იშვიათად ლაპარაკობდნენ, და მცირედი ხნის შემდეგ ელვინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამას მხოლოდ მის პატივსაცემად აკეთებდნენ. ყოველი მხრიდან გარს შემორტყმული უხმო ბგერებისა და სიტყვების ქსელში აღმოჩენა ელვინს უცნაურ და უხერხულ შეგრძნებას გვრიდა, მაგრამ მალევე შეეჩვია ასეთ მეტყველებას. გასაკვირიც კი იყო, რომ ზეპირი მეტყველება დღემდე შემორჩა, მით უმეტეს, რომ მისი გამოყენების აღარავითარი საჭიროება აღარ არსებობდა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ლისის მაცხოვრებლებს ძალიან ყვარებიათ სიმღერა და საერთოდ მუსიკის ნებისმიერი სახეობა. ეს მისწრაფება რომ არ ყოფილიყო, ალბათ დიდი ხნის წინათ დამუნჯდებოდნენ სამუდამოდ.

ერლის მკვიდრნი მუდამ რაღაც საქმის შესრულებით და პრობლემის გადაჭრით იყვნენ დაკავებული, ამ საკითხების უმრავლესობა ელვინს უბრალოდ არ ესმოდა. და როცა ხვდებოდა, რასაც აკეთებდნენ, მათი საქმიანობის უმეტესობა უსაფუძვლოდ ეჩვენებოდა. მაგალითად, მაცხოვრებლებს თავიანთი საკვები პროდუქტები ძირითადად თავად მოყავდათ, საუკუნეების წინათ შემუშავებული ნიმუშების მიხედვით კი არ ახდენდნენ მათ სინთეზირებას. როცა ელვინმა ამის შესახებ აღნიშნა, მოთმინებით აუხსნეს, რომ ლისელებს მოსწონდათ ცოცხალი ორგანიზმების ზრდის პროცესებზე დაკვირვება, რთული გენეტიკური ექსპერიმენტების ჩატარება და ახალ-ახალი დახვეწილი გემოსა და არომატების შექმნა. ერლი ხილით იყო განთქმული, მაგრამ როდესაც რამდენიმე რჩეული ნაყოფი გასინჯა, იმ ხილზე გემრიელად სულაც არ მოეჩვენა, დიასპარში ხელის ერთი მოსმით რომ შეეძლო შეექმნა.

თავიდან ეგონა, რომ ლისის მცხოვრებთ დავიწყებიათ ან არასოდეს ჰქონიათ ძალაუფლება და ის ძლევამოსილი მანქანები, რომლებსაც ელვინი ბუნებრივად მიიჩნევდა, რადგან უხსოვარი დროიდან მოყოლებული დიასპარის ყოველდღიური ცხოვრება სწორედ მათ ემყარებოდა. მოგვიანებით შეიტყო, რაშიც მდგომარეობდა საქმე. ლისში ყველა სახის იარაღი და მანქანა ინახებოდა, ასევე მათი მართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევები შემორჩენილიყო, მაგრამ მანქანებს ხალხი იშვიათ, მხოლოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეტად საჭირო მგომარეობის დროს მიმართავდა. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ეგრეთ წოდებული სატრანსპორტო სისტემა წარმოადგენდა. მოკლე მანძილებს ლისის მოსახლეობა ფეხით გადიოდა ხოლმე, და ამაში დიდ სიამოვნებასაც პოულობდა. თუ ეჩქარებოდათ ან მცირე ტვირთი ჰქონდათ გადასატანი, სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყვანილი ცხოველების ჯიშებს გამოიყენებდნენ. ცხოველი, რომელსაც ტვირთს ადებდნენ, დაბალი, ექვსფეხა, ზედმეტად დამჯერი, მაგრამ გონებრივად ნაკლებად განვითარებული იყო. ფეხმარდი ცხოველები მათგან სრულიად განსხვავდებოდნენ. ჩვეულებრივი სიარულისას ოთხ ფეხზე გადაადგილდებოდნენ, მაგრამ როდესაც სიჩქარის აკრეფა უნდოდათ, ძლიერ უკანა ფეხებზე დგებოდნენ და ისე გარბოდნენ. ლისის მთლიანი ტერიტორიის შემოვლა რამდენიმე საათში შეეძლოთ, ხოლო მგზავრი მათ ზურგზე მიმაგრებული სახსრიან სავარძელში თავსდებოდა. რა უნდა მომხდარიყო, რომ ელვინს ამგვარი ტრანსპორტის გამოყენება გაებედა, თუმცა ლისის ახალგაზრდობისთვის ეს დოღი სპორტის პოპულარულ სახეობას წარმოადგენდა. მათი ჯიშიანი ბედაურები აქაურ ცხოველთა სამყაროს არისტოკრატებს მიეკუთვნებოდნენ, და მშვენივრად იფერებდნენ საკუთარ მდგომარეობას. ცხოველები სიტყვების საკმაოდ დიდ მარაგს ფლობდნენ. ელვინმა მათ საუბარს მოკრა ყური, როცა ერთმანეთთან წარსული და მომავალი გამარჯვებებით ტრაბახობდნენ. როცა ელვინმა მათ მიმართ კეთილგანწყობის გამოხატვას ცდილობდა და საუბარში ჩართვას მოისურვებდა, ბედაურები იუკადრისებდნენ და თავს ისე მოაჩვენებდნენ, თითქოს არ ესმოდათ მისი, და თუ ელვინი ჯიუტად განაგრძობდა, შელახული ღირსების გამომხატველი სახით გარბოდნენ მისგან.

ცხოველთა ეს ორი სახეობა ნებისმიერ ჩვეულებრივ მოთხოვნას აკმაყოფილებდა, და, როგორც ჩანდა, მათთან ურთიერთობა პატრონებს ისეთ სიამოვნებას ანიჭებდა, რომელსაც ვერც ერთი მექანიკური დანადგარი ვერ უზრუნველყოფდა. მაგრამ თუ განსაკუთრებულად მაღალი სიჩქარის ან დიდი ტვირთის გადატანის საჭიროება დადგებოდა, მანქანები ყოველთვის მზადყოფნაში ჰყავდათ და მათ გამოყენებასაც არ აყოვნებდნენ.

თუმცა ლისის ცხოველთა სამყაროს აღმოჩენამ ელვინს მრავალი საინტერესო მოულოდნელობის განცდის საშუალება მისცა, ყველაზე მეტად მაინც მოსახლეობის ორმა ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავებულმა ფენომენმა მოხიბლა. ძალიან ახალგაზრდებმა და ძალიან მოხუცებმა – და ორივე მდგომარეობა ელვინს ერთნაირად უჩვეულოდ და გასაოცრად ეჩვენებოდა. ერლის ყველაზე უხუცესს მცხოვრებს მეორე საუკუნისთვისაც არ მიეღწია და წინ მხოლოდ რამდენიმე წლის სიცოცხლეღა დარჩენოდა. როცა ელვინი ამ ასაკს მიაღწევდა, მისი სხეული მცირედით თუ შეიცვლებოდა, ხოლო ამ მოხუცს, რომელსაც წინ არავითარი მომავალი განსახიერებები აღარ ელოდა გარკვეული კომპენსაციის სახით, თითქმის ამოეწურა საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობანი. თმა სრულიად გაჭაღარავებოდა და სახეც ნაოჭებს გადაეფარა. თავის დარჩენილ დღეებს სავარძელს მიჯაჭვული და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზეს მიფიცხებული ატარებდა, ხანდახან ნელი ნაბიჯით აუყვებოდა სოფელს და ყველა გამვლელს ესალმებოდა. ელვინის ვარაუდით, მოხუცი სავსებით კმაყოფილი ჩანდა, ცხოვრებისგან მეტს არც არაფერს ითხოვდა და მცირედითაც არ ტანჯავდა მოახლოვებული დასასრულის პერსპექტივა.

ცხოვრებისადმი ამგვარი დამოკიდებულება იმდენად განსხვავდებოდა და ეწინააღმდეგებოდა დიასპარის შეხედულებებს, რომ მათი გაგება ელვინის ძალებს აღემატებოდა. როგორ შეეძლო ადამიანს სიკვდილს შეგუებოდა და მიეღო, როცა ამის საჭიროება არ არსებობდა, როცა გქონდა არჩევანი და შეგეძლო ათასი წელი გეცხოვრა, ახალ ათასწლეულში შეგებიჯებინა და ახალი ცხოვრება დაგეწყო შენი მონაწილეობით შექმნილ სამყაროში? ამ საიდუმლოს ამოხსნა ყველაზე მეტად აინტერესებდა და როგორც კი გულახდილი საუბრის შესაძლებლობა მიეცემოდა, აუცილებლად ჩამოაგდებდა სიტყვას. ელვინს უჭირდა იმის დაჯერება, რომ ლისმა საკუთარი ნება-სურვილით გააკეთა ასეთი არჩევანი, თუ, რა თქმა უნდა, იცოდა სხვა ალტერნატივის შესახებ.

ამ კითხვაზე ნაწილობრივი პასუხი, ელვინის აზრით, ბავშვებში იმალებოდა, პარატა არსებებში, რომლებიც ისევე უცნაურად ეჩვენებოდა, როგორც ლისის ცხოველები. ბავშვებს დიდი დრო დაუთმო, აკვირდებოდა მათ თამაშს, სანამ საბოლოოდ ბავშვებმა თავიანთ მეგობრად არ აღიარეს. მათი ქცევა, მათი ლოგიკა და ენაც კი იმდენად ეუცხოვებოდა, რომ ზოგჯერ ეგონა, საერთოდ ადამიანებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. როცა ზრდასრულ ხალხს ადარებდა, დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ სწორედ იმ არსებებისგან განვითარებულიყვნენ, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს საკუთარ ჩაკეტილ სამყაროში ატარებდნენ.

განცვიფრებასთან ერთად, ბავშვები კიდევ ერთ, მისთვის აქამდე სრულიად უცხო ემოციას იწვევნდნენ. იშვიათად, როცა რაღაცა ხდებოდა, ბავშვები ტირილს იწყებდნენ და მათ სახეზე ისეთი უიმედო და სასოწარკვეთილ გამომეტყველება აღიბეჭდებოდა, რომ მათი პატარა იმედგაცრუება და გულგატეხილობა ელვინს უფრო ტრაგიკულად ეჩვენებოდა, ვიდრე ადამინის მიერ გალაქტიკური იმპერიის დაკარგვითა და უკან დახევით გამოწვეული სიმწარე. ეს უძლიერესი განცდა მისგან იმდენად შორს იყო, რომ მისი გაგება უჭირდა, მაგრამ ბავშვის ტირილი კი პირდაპირ გულს უპობდა.

ელვინი, მართალია, სიყვარულს დიასპარშივე ეზიარა, მაგრამ ახლა სიყვარულზე არა ნაკლებ მნიშვნელოვან რამეს ეუფლებოდა, რომლის გარეშეც ის უმაღლეს მწვერვალს ვერ მიაღწევდა და მარად დაუსრულებელ გრძნობად დარჩებოდა. ელვინმა პირველად შეიცნო სინაზის არსი.

სანამ ელვინის ლისს სწავლობდა, არც ლისი კარგავდა უქმად დროს და მის ამოცნობას ცდილობდა. აღმოჩენას იმედი ნამდვილად არ გაუცრუებია. ლისში ყოფნის მესამე დღეს სერანისმა ქვეყნის უფრო შორეული ნაწილების მონახულება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შესთავაზა, რათა უკეთ გაცნობოდა მას. ელვინმა უყოყმანოდ მიიღო წინადადება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთ-ერთი იმ საუკუთესოთაგანი ბედაურებით არ იმგზავრებდნენ.

„გარწმუნებ, - დაამშვიდა სერანისმა, მისი მეტყველებისთვის ნაკლებად დამახასიათებელი იუმორით, - რომ აქ თავშიც არ მოუვა ვინმეს, თავისი უძვირფასესი ცხოველის სიცოცხლე სასწორზე დადოს. გამონაკლისის სახით შენთვის ტრანსპორტს დავუშვებ, იქ უფრო მშვიდად იგრძნობ თავს. ჰილვარი შენი მეგზური იქნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, სადაც მოგესურვება, იქ გაემგზავრო.“

ელვინს ეჭვი შეეპარა სერანისის სიტყვებში. იმ პატარა გორაკთან დაბრუნება რომ ეცადა, რომლის მწვერვალიდანაც პირველად დაადგა ლისის მიწაზე ფეხი, მის საქციელს გარკვეული წინააღმდეგობა მოყვებოდა ლისელების მხრიდან. თუმცა, ამაზე მაინცდამაინც არ უნერვიულია, რადგან დიასპარში დაბრუნება არ ეჩქარებოდა; არსებითად, სერანისთან პირველად შეხვედრისას წამოჭრილ საკითხზე სერიოზულად არც დაფიქრებულა. ლისის ცხოვრება იმდენად საინტერესო სიახლედ ეჩვენებოდა, რომ აწმყოთითაც სავსებით კმაყოფილდებოდა.

ელვინი აფასებდა იმ ფაქტს, რომ სერანისმა მის მეგზურად საკუთარი შვილი დანიშნა, თუმცა, უდავოდ, ჰილვარს დეტალური ინსტრუქცია ჩაუტარეს, რომ ყურადღება მიექცია მისთვის და ნებისმიერი უსიამოვნება თავიდან აეცილებინა. ელვინს ჰილვართან შესაგუებლად გარკვეული დრო დასჭირდა, ამის მიზეზი ჰილვარისთვის რომ აეხსნა, უთუოდ გულს ატკენდა. დიასპარში ფიზიკური სრულყოფილებას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა და ცალკეული ადამიანის სილამაზესაც აღარავინ ამჩნევდა; ხალხისთვის ეს ჰაერივით ბუნებრივი იყო. ლისში კი სულ სხვაგვარად მდგომარეობდა საქმე, ჰილვარის გარეგნობის აღსაწერად ყველაზე საუკეთესო ზედსართავი ალბათ ‘სიმპათიური’ იქნებოდა. ელვინის სტანდარტების მიხედვით კი ჰილვარს უბრალოდ მახინჯი გარეგნობა ჰქონდა, და გარკვეული დროის განმავლობაში შეგნებულადაც გაურბოდა კიდევაც. თუ ჰილვარი ხედავდა ელვინის დამოკიდებულებას, აშკარად არ იმჩნევდა, მაგრამ მისმა გულკეთილობამ და კეთილგანწყობამ ელვინს მათ შორის აღმართული ბარიერი მალევე დააძლევინა. ცოტა ხანში ისე შეეჩვია ჰილვარის ფართო ღიმილს, მის ძალასა და სიკეთეს, რომ ულამაზობა თვალში აღარ ხვდებოდა და მის გარეგნობას არაფრის დიდებით არ შეცვლიდა.

ერლი განთიადზე დატოვეს მცირე ზომის მანქანით, რომელსაც ჰილვარი გლაიდერს ეძახდა და რომელიც, სავარაუდოდ, იმავე პრინციპით მოქმედებდა, რითაც დიასპარიდან წამოსული ტრანპორტი. მანქანა მიწის ზედაპირიდან რამდენიმე გოჯით მაღლა მოძრაობდა და თუმცა გზის მკვლევი ბაგირი არ ჩანდა, ჰილვარის თქმით, ტრანსპორტი მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადაადგილდებოდა. ლისის ყველა დასახლებული პუნქტი ამ გზით უკავშირდებოდა ერთმანეთს, მაგრამ იქ ყოფნის პერიოდში ელვინს მეორე ასეთი მანქანა არ უნახავს.

ჰილვარს დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა ამ ექსპედიციის მოწყობა და ეტყობოდა, ელვინზე ნაკლებად არ უნდოდა გამგზავრება. ექსპედიციის მარშრუტის ზოგიერთი პუნქტი პირადი ინტერესის მიხედვით დაგეგმა, რადგან ბუნებისმეტყველება მისთვის ყოვლისმომცველ გატაცებას წარმოადგენდა და ლისის შედარებით დაუსახლებელ რეგიონებში, სადაც გამგზავრებას აპირებდნენ, მწერების ახალი სახეობების აღმოჩენის იმედი ჰქონდა. ჰილვარი სამხრეთით აპირებდა მოგზაურობას, იქ, სადაც მანქანა ვეღარ გაივლიდა, ფეხით გააგრძელებდნენ გზას. ელვინი ისე დათანხმდა, რომ არც შეწინააღმდეგებია და ვერც იმას ათვიცნობიერებდა, როგორი იქნებოდა მოგზაურობა სინამდვილეში.

მოგზაურობისას კიდევ ერთი არსება უწევდათ მეგზურობას – კრიფი, ჰილვარის უამრავი საყვარელი არსებებიდან ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო და ღირშესანიშნავი. როცა კრიფი ისვენებდა, მისი ნახევრად გამჭვირვალე ექვსი ფრთა სხეულის გასწვრივ დაეკრიფა, რომელიც ფრთებში ძვირფასი თვლებით მოჭედილი კვერთხივით მოჩანდა. თუ რაიმე მის მყუდროებას დაარღვევდა, უჩინარი ფრთების ოდნავ გასაგონი შრიალით წამოიშლებოდა და ცისარტყელას ფერებით მოელვარე ისარივით გაიჭრებოდა ზეცაში. მიუხედავად იმისა, რომ გიგანტური მწერი პატრონის ძახილზე მოდიოდა და ზოგჯერ ზოგიერთ მარტივ ბრძანებებსაც კი ემორჩილებოდა, არავითარი გონება არ გააჩნდა. თუმცა, ეჭვგარეშე, მკვეთრად ჩამოყალიბებული პიროვნული მახასიათებლებიც ჰქონდა, და გაუგებარი მიზეზების გამო ელვინს ეჭვის თვალით უყურებდა და მწერის კეთილგანწყობის მოპოვების ყოველი მცდელობა მარცხით მთავრებოდა.

ელვინისთვის ლისის გარშემო მოგზაურობა რაღაც ჯადოსნური ოცნების განსახიერებას ჰგავდა. მანქანა მოჩვენებასავით უხმაუროდ მიცურავდა ბორცვებიან ვაკეზე და უღრან ტყეებში მიიკვლევდა გზას, ისე, რომ ერთხელაც არ გადაუხვევია თავისი უხილავი ბილიკიდან. ალბათ აუჩქარებელი ნაბიჯებით მოსეირნე ადამიანზე დაახლოებით ათჯერ უფრო სწრაფად მოძრაობდა; პრინციპში, ლისში არც არვის ეჩქარებოდა და ამაზე სწრაფად იშვიათად თუ დადიოდა ვინმე.

გზად ბევრი სოფელი გაიარეს, ზოგიერთი მათგანი ერლის სიდიდით აღემატებოდა, მაგრამ ყველა ისინი მეტნაკლებად მსგავსი პრინციპით გაეშენებინათ. ელვინი ინტერესით აკვირდებოდა მცირედ, მაგრამ ნიშანდობლივ და მნიშვნელოვან განსხვავებებს სხვადასხვა დასახლების მაცხოვრებლების ჩაცმულობასა და გარეგნულ მახასიათებლებშიც. ლისის ცივილიზაცია ასობით გამოკვეთილი და განუმეორებელი კულტურისგან შედგებოდა. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდა მთლიან ცივილიზაციაში. მანქანა სავსე იყო ერლის ყველაზე განთქმული ხილით, პატარა, ყვითელი ატმებით, რომლებსაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰილვარი ხელგაშლილად ურიგებდა გამვლელებს გასასინჯათ და ისინიც მადლიერებით იღებდნენ. ჰილვარი ხშირად ჩერდებოდა, მეგობრებს რომ მისალმებოდა და ელვინი გაეცნო მათთვის, რომელიც გაოცებული დატოვა ამ ხალხის თავაზიანობამ. როდესაც იგებდნენ, ვინც იყო, ყოველთვის ხმოვან მეტყველებას მიმართავდნენ. მართალია, ასეთი საუბარი მათთვის ცოტა დამღლელი გახლდათ, მაგრამ, რამდენადაც ელვინი ამჩნევდა, მთელი ძალით ცდილობდნენ, ცდუნებისთვის გაეძლოთ და ტელეპათიურ მეტყველებაზე არ გადასულიყვნენ, რომ ელვინს უხერხულად არ ეგრძნო თავი.

ყველაზე დიდხანს ერთ მაღალი ოქროსფერი ბალახის ზღვაში ჩაკარგულ პატარა სოფელში შეჩერდნენ. ბალახის საფარი მათ თავს ზემოთ შრიალებდა და ნიავის თითოეულ დაბერვაზე ტალღისებურად ირხეოდა, თითქოს სული შთაბერესო. ბალახის სიღრმეში გზის გაკვლევა მოზღვავებული ტალღის ქიმთან ბრძოლას ჰგავდა, უთვალავი ღერო შეხმატკბილებულად ხრიდა თავს. თავიდან მათი რხევა ოდნავ აწუხებდა ელვინს, ეგონა, თითქოს ბალახი იმისთვის იხრებოდა, რომ მისთვის სახეში შეეხედა, მაგრამ ცოტა ხანში ამ უწყვეტ მოძრაობას შეეჩვია და ახლა დამამშვიდებლადაც ეჩვენებოდა.

ელვინი მალევე მიხვდა მათი შეჩერების მიზეზს. ხალხის პატარა გროვაში, რომელიც, სავარაუდოდ, მანქანის სოფელში ჩასვლამდე შეკრებილიყო, მორცხვი, შავგვრემანი გოგო იდგა, რომელიც ჰილვარმა ელვინს ნიარად გააცნო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ არ ორს ერთმანეთის ხილვა ძალიან გაუხარდა და მათი დაუფარავი ბედნიერების შემხედვარე ელვინმა მცირედი შურიც კი იგრძნო. ჰილვარი გიდის მოვალეობისა და ნიარასთან ყოფნის სურვილს შორის იხლიჩებოდა, ელვინმა შეამჩნია ეს ტანჯვა და თვითონვე იხსნა გასაჭირისგან – მარტო შეუდგა სოფლის დათვალიერებას. სოფელში სანახავიც ბევრი არაფერი იყო, მაგრამ ელვინი არ ჩქარობდა.

როცა გზა გააგრძელეს, ელვინს უამრავი კითხვა დაგროვებოდა და ერთი სული ჰქონდა, ჰილვარს როდის დაუსვამდა. ვერ წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო სიყვარული ტელეპათიურ საზოგადოებაში და როცა დრო შეარჩია, ფრთხილად დაუსვა საკითხი. ჰილვარი ხალისიანად შეუდგა ახსნას, თუმცა ელვინი ეჭვობდა, რომ მეგობარს გრძელი და ნაზი გონებრივი დამშვიდობების რიტუალი შეაწყვეტინა.

როგორც გაირკვა, ლისში სიყვარული გონებრივი კონტაქტით იწყებოდა, და სანამ წყვილი ერთმანეთს სინამდვილეში შეხვდებოდა, შეიძლება თვეებს და წლებსაც კი გაევლოთ. ასეთი გაცნობა, ჰილვარის თქმით, გამორიცხავდა ცრუ წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და ერთმანეთის ნდობის ბოროტად გამოყენებას. ორი ადამიანი, რომელთა გონება გადაშლილ წინგს ჰგავდა, ერთმანეთისგან ვერაფერს დამალავდა. თუ ერთ-ერთი პარტნიორი რამის დაფარვას ეცდებოდა, მეორე ამის შესახებ მაშინვე შეიტყობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასეთი გულახდილობა მხოლოდ ძალზედ გაწონასწორებულ გონებას ხელეწიფებოდა; ამგვარ პირობებს უპირატესად გულწრელ ნიადაგზე დაფუძნებული უანგარო სიყვარული თუ გაუძლებდა. ელვინს კარგად ესმოდა, რომ ასეთი სიყვარული მისი ხალხისთვის დამახასიათებელი ყველა მსგავს გრძნობაზე უფრო ძლიერი და ღრმა უნდა ყოფილიყო; იმდენად სრულყოფილი, რომ ელვინს მისი არსებობის დაჯერებაც კი უჭირდა.

თუმცა ჰილვარი არწმუნებდა, რომ ამაღლებული სიყვარული რეალურად არსებობდა, და როცა ელვინი სთხოვდა, დაწვრილებით მოეყოლა მის შესახებ, ჰილვარს თვალები აუციმციმდებოდა და საკუთარ მოგონებებში ჩაეფლობოდა. ზოგიერთი რამის სიტყვებით გადმოცემა უბრალოდ არ შეეძლო; ადამიანმა ან იცოდა მათ შესახებ ან არა, ყოველ შემთვხვევაში თვითონ უნდა მიმხვდარიყო. ელვინი გულისტკივილით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვერასდროს მიაღწევდა ურთიერთგაგების იმ საფეხურს, რომელიც ამ ბედნიერ ხალხს თავისი ცხოვრების დასაყრდენად ექცია.

როდესაც მანქანამ სავანა გადაკვეთა, რომელიც მოულოდნელად დასრულდა, თითქოს იმ ზღვარს მიაღწია, რომლის იქითაც ბალახს გადასვლა ვერ გაებედა, მათ წინ დაბალი, უღრანი ტყით მოფენილი მთები გამოჩნდა. ჰილვარმა აუხსნა, რომ ეს ლისის ერთ-ერთი დამცავი მთიანი ბასტიონის საგუშაგო იყო. ნამდვილი მთები ამ ბასტიონის მიღმა აღმართულიყო, მაგრამ ელვინისთვის ეს პატარა ბორცვებიც შთამბეჭდავ და შიშისმომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა.

მანქანა ჩამავალი მზის სითბოთი და სინათლით გამთბარი პატარა და მყუდრო ველზე გავიდა და გაჩერდა. ჰილვარმა ისეთი გულწრფელი და გულუბრყვილო თვალებით შეხედა ელვინს, რომ მის მზერაში ვერაფითარი ფარული მუხანათობისა და პირმოთნეობის კვალს ვერ შეამჩნევდით.

„აქედან ფეხით უნდა გავაგრძელოთ გზა, - მხიარულად განაცხადა ჰილმარმა და მანქანიდან აღჭურვილობის გადმოყრა დაიწყო. – მანქანა აქ ვერ გაივლის.“

ელვინმა გარსმოჯარულ მთებს შეავლო თვალი, შემდეგ თავის კომფორტულ სავარძელზე გადაიტანა მზერა.

„ნუთუ შემოვლითი გზა არ არსებობს?“ – ჰკითხა ელვინმა თითქმის უიმედოდ.

„რა თქმა უნდა, არსებობს, - უპასუხა ჰილვარმა. – მაგრამ შემოვლას არ ვაპირებთ, პირდაპირ მწვერვალისკენ გავემგზავრებით, მოგზაურობა გაცილებით უფრო საინტერესო გამოვა. მანქანას ავტომატურ რეჟიმში გადავიყვან, და როცა ქვემოთ მეორე მხრიდან დავბრუნდებით, იქ დაგველოდება.“

ელვინს მტკიცედ გადაეწყვიტა, უბრძოლველად არ დანებებოდა და ბოლოჯერ სცადა ბედი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მალე დაღამდება, - შეეწინააღმდეგა. – დაღამებამდე ვერაფრით შევძლებთ მთელი გზის გავლას.“

„მართალი ხარ, - დაეთანხმა ჰილვარი, თან წარმოუდგენელი სისწრაფით ახარისხებდა სანოვაგესა და აღჭურვილობას. – ღამეს მწვერვალზე გავატარებთ, და მოგზაურობას დილით დავასრულებთ.“

ამჯერად ელვინი იძულებული გახდა, დამარცხება ეღიარებინა.

მოწყობილობა, რომელსაც ეზიდებოდნენ, შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მაგრამ სიდიდის მიუხედავად ფაქტიურად არაფერს იწონიდა. აღჭურვილობა გრავიტაციულ კონტეინერში მოეთავსებინათ, რომელიც მის მასას ანეიტრალებდა და მხოლოდ ინერციას ტოვებდა. თუ ელვინი სწორ ხაზზე მოძრაობდა, ტვირთის სიმძიმეს ვერც გრძნობდა. ამ კონტეინერის ტარება მცირედი პრაქტიკას მოითხოვდა, რადგან თუ მკვეთრად შეიცვლიდა მიმართულებას, აღჭურვილობა მოულოდნელად იმხელა სიჯიუტეს იჩენდა, რომ ელვინს იძულებულს ხდიდა, თავდაპირველ კურსს დაბრუნებოდა, სანან ინერციას არ გაუმკლავდებოდა.

როცა ჰილვარმა ყველა ქამარი და ღვედი შემოუჭირა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, ნელი ნაბიჯით აუყვნენ ველს. ელვინმა გულდაწყვეტით გადახედა მანქანას, რომელიც უკანა სვლით დაიძრა და მალე თვალს მიეფარა; ნეტა რამდენი საათი უნდა იხეტიალონ, სანამ ისევ მისი კომფორტულ სალონში აღმოჩნდებიან.

მიუხედავად ამისა, ფეხით სიარული მაინც დიდ სიამოვნებას გვრიდა. ზურგს მზის ნაზი სხივები უთბობდნენ, ხოლო თვალწინ ახალი-ახალი პეიზაჟები იშლებოდა. ბალახით მოცულ ბილიკს მიყვებოდნენ, რომელიც დრო და დრო საერთოდ ქრებოდა, თუმცა ჰილვარს არ უჭირდა მისი პოვნა და ერთხელაც არ აბნევია გზა, მაშინაც კი, როცა ელვინი მის კვალსაც ვერ ხედავდა. ნეტა ვინ გაკვალა ბილიკი, - დაინტერესდა ელვინი. როგორც აღმოჩნდა, მთებში უამრავი ცხოველი ბინადრობდა, ზოგი მათგანი განცალკევებით ცხოვრობდა, ზოგიც ჯოგებად დადიოდა, მათი ცხოვრება გარკვეულწილად უძველესი ადამიანის ყოფას წააგავდა. ზოგიერთმა მათგანმა ცეცხლსაც კი მიაკვლია და მარტივი იარაღების გამოყენება ისწავლა. ელვინს აზრადაც არ მოსვლია, რომ რომელიმე ცხოველს მათ მიმართ მტრობის გამოხატვა შეეძლო; მას და ჰილვარს მათი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ბუნებრივად მიაჩნდათ, რადგან საუკენეების განმავლობაში ადამიანი და სხვა არსებანი დედამიწაზე მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ და არავის გაუბედია ადამიანის უზენაესობას ამხედრებოდა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ელვინს პირველად შემოესმა ჩურჩულის ჩუმი, გაბმული ხმა. ვერაფრით გაეგო, რა გამოსცემდა ამ ხმას, ვერც ის დაადგინა, რომელი მხრიდან მოდიოდა. ჩუჩული არ წყდებოდა და ლანდშაფტის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაფართოებასთან ერთად უფრო ძლიერდებოდა. ელვინს ჰილვარისთვის უნდოდა ეკითხა, მაგრამ გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა.

ელვინი იდეალურად ჯანმრთელი იყო, ცხოვრებაში საათიც კი არ უავადმყოფია. მაგრამ ახლა ფიზიკურ სიმრთელე, დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ახლად წამოჭრილი ამოცანის შესასრულებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. მის სრულყოფილ სხეულს სათანადო უნარ-ჩვევები აკლდა. ჰილვარის ჰაეროვანი ნაბიჯები, სიმსუბუქე, რომლითაც, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ნებისმიერ აღმართს უმკლავდებოდა, ელვინი შურით და მტკიცე გადაწყვეტილებით აავსო, სანამ ფეხები არ უმტყუნებდა, გზა გაეგრძელებინა. მშვენივრად იცოდა, რომ ჰილვარი ცდიდა და არც გაბრაზებულა ამაზე. ეს მეგობრულ თამაშს და გამოცდას უფრო ჰგავდა და ელვინიც მოძალებული დაქანცულობის მიუხედავად ჩაერთო მასში.

ჰილვარს შეეცოდა და, როცა გზის ორი მესამედი გაიარეს, ცოტათი შეისვენეს, დასავლეთისკენ მიმართულ კლდოვან ნაპირს მიეყუდნენ და ალერსიანი მზის სხივების სითბოთი დატკბნენ. პულსირებული გუგუნი იმდენად გაძლიერდა, რომ ელვინმა ჰილვარს ჰკითხა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უპასუხოდ დატოვა. მხოლოდ ის უთხრა, მთის მწვერვალზე სიურპრიზი ელოდებოდა და არ უნდოდა წინასწარ გამხელა.

მზის საწინააღმდეგოდ მიემართებოდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, ბოლო აღმართი ადვილი გადასალახი აღმოჩნდა. ხშირი ხეები, რომლებიც მთის ქვემოთა ნაწილს ფარავდნენ, ზემოთ შეთხელდა, თითქოს მიზიდულობის ძალასთან ბრძოლას მოეღალა. რამდენიმე ასეულ იარდზე დაბალი, უხეში ბალახი მოფენილიყო, მასზე გადაადგილება სასიამოვნოც კი იყო. როცა მწვერვალი გამოჩნდა, ჰილვარმა მოზღვავებული ენერგიით შეუტია დარჩენილ აღმართს. ელვინი, რა თქმა უნდა, არ აჰყოლია, არც ჰქონდა საამისო ძალა, მძიმედ მილასლასდა ჰილვართან და როცა გაუსწორდა, მის გვერდით დაქანცული და ძალაგამოცლილი მიესვენა.

სანამ არ შეისვენა და სუნთვა არ დაიბრუნა, ვერც შეამჩნია მის ქვემოთ გაშლილი ლადშაფტის სილამაზე და ამ შეუწყვეტელი გუგუნის გამომწვევი წყარო. მიწა მოულოდნელად და მკვეთრად ეცემოდა მთის მწვერვალიდან და ციცაბო, ვერტიკალურ კლდოვან ფერდობს ქმნიდა. სალი კლდის უბიდან წყლის უშველებელი მძლავრი ზოლი ჩამოედინებოდა, კლდის შვერილებზე იკლაკნებოდა, მთელი ძალით ეხეთქებოდა ათასიოდე ფუტის ქვემოთ გაფენილ ლოდებს და ქაფისა და შხეფების მოციმციმე ბურანში იკარგებოდა, რომლის შუაგულიდანაც ელვინისთვის ნაცნობი უწყვეტი გრუხუნის ხმა იშლებოდა და ნაკადულის ორივე მხარეს მთის ფერდობებს მგრგვინავ ექოდ ეფინებოდა.

ჩანჩქერის უმეტესი ნაწილი ჩრდილს მოეცვა, მაგრამ მთის მწვერვალებში გამჭოლი მზის სხივები ჯერ კიდევ ანათებდნენ მიწას და განუმეორებელ პეიზაჟს ჯადოსნურ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელფერს ანიჭებდნენ. ჩანჩქერის ძირას დედამიწაზე შემორჩენილი უკანასკნელი ცისარტყელა მთელი თავისი ეფემერული და წარმავალი სილამაზით კრთოდა.

ჰილვარმა ხელი მოავლო მთელ ჰორიზონტს.

„აქედან, - თქვა მან ხმამაღლა, ისე, რომ ელვინს ჩანჩქერის გუგუნში მისი ხმა გაეგო, - მთელი ლისი ხელისგულივით მოჩანს.“

ელვინს სჯეროდა, რომ ჰილვარი სიმართლეს ამბობდა. ჩრდილოეთით რამდენიმე მილის მანძილზე უღრანი ტყე გაშლილიყო, რომელსაც დრო და დრო მინდვრები, მდელოები და ასობით მდინარის წვრილი ზოლები კვეთდა. ამ თვალუწვდენელი პანორამის სიღრმეში უთუოდ ერლი იმალებოდა, მაგრამ მის მოძებნის ცდასაც კი არ ჰქონდა აზრი. ელვინს წამით მოეჩვენა, რომ თვალი ტბას მოკრა, რომლის გასწვრივაც ლისისკენ მიმავალი გზა გადიოდა. უფრო შორს ჩრდილოეთით ტყეები და მდელოები ხასხასა ბალახით საფარში იკარგებოდნენ, რომლებსაც პერიოდულად მცირე ზომის ბორცვები ჭრიდნენ. ბორცვებს იქით კი, თვალსაწიერის ზღვარზე, შორეული ღრუბლების ზვირთების მსგავსად ლისის უდაბნოსგან გამყოფი მთაგრეხილი აღმართულიყო.

აღმოსავლეთით და დასავლეთით თითქმის იგივე ხედი იშლებოდა, მაგრამ სამხრეთით მთები ისე ახლოს მოჩანდნენ, გეგონებოდა რამდენიმე მილი გაშორებდა. ელვინი ყურადღებით დააკვირდა მათ და მიხვდა, რომ გაცილებით უფრო მაღლა იჭრებოდნენ, ვიდრე ის მწვერვალი, რომელზედაც იდგა. მთებისგან იმ ადგილებზე გაცილებით უფრო ველური და პირველყოფილი მიდამოები აშორებდათ, რომელიც აქამდე გამოევლოთ. რატომღაც უდაბურად და მიტოვებულად გამოიყურებოდა, თითქოს წლების განმავლობაში ადამიანს მასზე ფეხი არ დაუდგამს.

ჰილვარმა ელვინის გამოუთქმელ შეკითხვას გასცა პასუხი.

„ერთ დროს ლისის ეს ნაწილიც დასახლებული ყოფილა, - მოახსენა. – არ ვიცი, რატომ გადასახლდა აქედან ადამიანი; შეიძლება ოდესმე ისევ დავუბრუნდეთ, ამჟამად კი ცხოველების გარდა აქ არავინ ბინადრობს.“

და მართლაც, ირგვლივ ადამიანის არსებობის დამადასტურებელი არც ერთი ნიშანი არ ჩანდა – არც მოვლილი მინდვრები, არც მდინარეების მოთოკილი კალაპოტები. მხოლოდ ერთადერთი ადგილი მიანიშნებდა, რომ ადამიანს აქ ოდესღაც უცხოვრია, მათგან მრავალი მილის მოშორებით გატეხილი ეშვივით მოჩანდა ტყის მწვანე საფარის თავზე ამოშვერილი მარტოსული თეთრი ნანგრევები. ყველგან სხვაგან უსიერ ტყეს თავისი პირვანდელი სახე შეენარჩუნებინა.

მზე ლისის დასავლეთ მთაგრეხილებზე ეშვებოდა. წამით შორეული მთები ჩამავალი მზის სხივების ცეცხლით აენთო; შემდეგ მიწა, რომელსაც ასე დაჟინებით უთვალთვალებდნენ, ნელ-ნელა ბინდმა მოიცვა და მალე ღამეც ჩამოწვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„აქამდე უნდა გვეზრუნა ამაზე, - წამოიძახა ჰილვარმა, რომელიც ყოველთვის პრაქტიკულად აზროვნებდა და აღჭურვილობის ამოლაგებას შეუდგა. – ზუსტად ხუთ წუთში უკუნი სიბნელე იქნება და თანაც აცივდება.“

მცირე ხანში ბალახი რაღაც უცნაური აპარატის ნაწილებმა დაფარა. წვრილი სამფეხა ზედადგარიდან ვერტიკალური ღერძი აღმართულიყო მსხლის ფორმის დაბოლოვებით. ჰილვარმა ღერძი მაღლა ასწია, სანამ მისი წვერო თავთან არ მოექცა, შემდეგ გულში რაღაც ბრძანება გასცა, რომლის მნიშვნელობა ელვინმა ვერ გაიგო, სამაგიეროდ აპარატი მაშინვე დაემორჩილა და წამში მსხლის ფორმის წვეროდან კაშკაშა სინათლე ჩამოიღვარა და სიბნელე გაფანტა. ნათურა არა მარტო სინათლეს, არამედ სითბოსაც გამოყოფდა, ელვინმა მაშინვე იგრძნო მისგან წამოსული ნაზი სითბოს გამოსხივება, რომელიც ძვალში ატანდა.

ჰილვარი ფერდობს დაუყვა, ცალ ხელში სამფეხა ეჭირა, მეორეში – თავისი კონვეიერი. ელვინი ფეხდაფეხ მიყვებოდა, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა და შუქის წრეში დარჩენილიყო. ჰილვარმა, როგორც იქნა, შეარჩია ღამის გასათევი, მთის მწვერვალიდან რამდენიმე იარდის ქვემოთ, პატარა შეღრმავებულ ადგილას დაბანაკდა და მოწყობილობის დანარჩენი ნაწილების ამუშავებას შეუდგა.

პირველად მკვრივი, მაგრამ თითქმის უხილავი მატერიისგან შექმნილი დიდი ნახევარ სფერო გამოჩნდა, რომელმაც მთლიანად დაფარა ისინი და მთის ფერდობებიდან წამოშლილი ცივი ქარისგან საიმედოდ დაიცვა. დამცავ გუმბათს პატარა მართკუთხა ყუთი წარმოშობდა, რომელიც ჰილვარმა მიწაზე დადო და მაშინვე მიივიწყა, ისე რომ ცოტა ხანში სხვადასხვა ნივთებიც კი მიაყარა. შეიძლება ის კომფორტული ნახევრად გამჭვირვალე სავარძლებიც, რომელზედაც ელვინი დიდი სიამოვნებითა და შვებით მიესვენა, ამ ყუთის პროექტირებულ გამოსახულებას წარმოადგენდნენ. ლისში პირველად შენიშნა მატერიალიზებული ავეჯი. აქაური სახლები ადამიანის მიერ შექმნილი სხვადასხვა დანიშნულების ნივთებით უაღრესად გადატვირთული ეჩვენებოდა, გაცილებით უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მათი ძირითადი ნაწილის მეხსიერების საცავებში გადატანა.

საჭმელიც, რომელიც ჰილვარის მეორე კონტეინერიდან წარმოიშვა, ასევე წმინდა სინთეტურ საკვებს წარმოადგენდა, რაც ელვინს ლისში ჩამოსვლის შემდეგ პირველად ეგემნა. როცა მატერიის გარდამქმნელი ნედლეულს შთანთქავდა, რათა თავისი მორიგი სასწაული შეექმნა, მათ თავთან ჰაერის ნაკადი შეირხა და თაღში კვეთილი რომელიღაცა ნაპრალიდან გაიწოვა. საერთოდ, ელვინს წმინდა სინთეზური საკვები გაცილებით ერჩივნა, რადგან ჩვეულებრივად მომზადებული საჭმელი არაჰიგიენურად ეჩვენებოდა. მატერიის გარდამქმნელის შემთხვევაში ზუსტად მაინც იცოდი, რას მიირთმევდი.

როცა სავახშმოდ დასხდნენ, ღამე უკვე დამდგარიყო და ცაც მალე ვარსკვლავებით მოიჭედა. ჭამა რომ დაასრულეს, სინათლის წრის მიღმა სრულ სიბნელეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაესადგურებინა. სინათლის კიდეებში ელვინმა სამალავებიდან გამოსული ტყის ბინადრების ჩრდილების მოძრაობა შენიშნა. დრო და დრო მისკენ მიმართულ ფერმკრთალ თვალებში სინათლის მომენტალური ანარეკლი გაიელვებდა. რასაც არ უნდა აკვირდებოდნენ ცხოველები, მიახლოვება არც უცდიათ და ელვინმა ისინი კარგადაც ვერ გაარჩია.

ირგვლივ გამოუთქმელი სიმშვიე სუფევდა და ელვინიც სრულ კმაყოფილებას განიცდიდა. ახალგაზრდები სავარძლებში მოკალათდნენ და საუბარი გააბეს. იმ დღეს ნანახსა და განცდილს განიხილავდნენ. მათ კულტურებს შორის არსებულ განსხვავებებსა და იმ საიდუმლოებებზე ლაპარაკობდნენ, რომელთა ამოხსნა ორივეს ეწადა. ჰილვარი მარადიულობის სქემების სასწაულებრივ თვისებებს განეცვიფრებინა, რისი წყალობითაც დიასპარი დროის მარწუხებისგან გათავისუფლდა. მის ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემა თავად ელვინსაც უჭირდა.

„რა არ მესმის, იცი? – დაინტერესდა ჰილვარი. – როგორ მოახერხეს დიასპარის შემქმნელებმა მეხსიერების საცავების ისე დაპროექტება, რომ მათ სამარადჟამოდ გაუჩერებლად იმუშავონ და ყოველთვის მწყობრში იყვნენ? შენ ამბობ, რომ მთელი ეს ინფორმაცია, რომელიც დიასპარსაც განსაზღვრავს და მასში მცხოვრებ თითოეულ ადამიანსაც, კრისტალების შიგნით დაცულ ელექტრულ მუხტებში ნიმუშების სახით ინახება. კარგი, დავუშვათ, რომ კრისტალები მარადიულია, მაგრამ მასთან მიერთებულ სქემებზე რაღას იტყვი? ნუთუ ყველა ყოველთვის შეუფერხებლად მუშაობს და არასდროს ფუჭდება?“

„ხედრონს იგივე კითხვა დავუსვი და როგორც ამიხსნა, მეხსიერების საცავები ვირტუალურად გასამმაგებულია. ქალაქის მომსახურება სამივეს შეუძლია და თუ რომელიმე მწყობრიდან გამოვა, დანარჩენი ორი ავტომატურად შეცვლის. სერიოზული საფრთხე მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას, როცა ერთდროულად ორ საცავში ერთი და იგივე პრობლემა წარმოიშობა, აი, მაშინ კი დიასპარს გამოუსწორებელი ზიანი მიადგება, მაგრამ ამის უსასრულოდ მცირე ალბათობა არსებობს.“

„და როგორ ინარჩუნებთ კავშირს მეხსიერების საცავებში შენახულ ნიმუშებსა და ქალაქის რეალურ სტრუქტურას შორის? ანუ გეგმასა და იმ საგნებს შორის, რომელსაც გეგმა ასახავს?“

ელვინს მთელი თავისი მჭერმეტყველების შესაძლებლობა ამოეწურა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმ ტექნოლოგიის სპეციფიკის განმარტებას საჭიროებდა, რომელიც თავად სივრცის მანიპულირებას ემყარებოდა, მაგრამ როგორ გახდა შესაძლებელი სადღაც სხვაგან შენახული მონაცემების მიერ განსაზღვრული ქალაქის თითოეული ატომის ერთ ადგილას, უძრავ მდგომარეობაში შენარჩუნება, ამის ახსნა მის ძალებს აღემატებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავში მოულოდნელმა აზრმა გაუელვა და უხილავი გუმბათისკენ მიუთითა, ღამის სუსხისგან რომ იცავდა.

„ჯერ შენ მითხარი, როგორ ქმნის ის პატარა ყუთი, შენ რომ აზიხარ, ჩვენს თავზე აღმართულ სახურავს, - უპასუხა, - და მეც აგიხსნი, რა პრინციპითაც მუშაობენ მარადიული სქემები.“

ჰილვარმა გადაიხარხარა.

„საკმაოდ კარგი შედარებაა. თუ მართლა გინდა, გაიგო, ჩვენს ველის თეორიის ექსპერტებს უნდა ჰკითხო, ისინი უკეთ აგიხსნიან. მე ვერაფრით დაგეხმარები.“

ჰილვარის პასუხმა ელვინი ღრმად ჩააფიქრა. გამოდის, რომ ლისში კიდევ დარჩენილა ხალხი, ვინც იცნობს საკუთარი მანქანების მუშაობის პრინციპს; დიასპარში კი ასეთ ადამიანებს ვეღარ შეხვდებოდით.

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდნენ და კამათობდნენ, ბოლოს ჰილვარმა მოუბოდიშა: „ძალიან დავიღალე. შენ? არ აპირებ ძილს?“

ელვინმა დაღლილობისგან დაბუჟებული ფეხები მოიზილა.

„კარგი იქნებოდა, მაგრამ არა მგონია, შევძლო – აღიარა მან. – ძილი ჩემთვის უცნაური ჩვევაა.“

„ეს ჩვევაზე გაცილებით მეტია, - გაუღიმა ჰილვარმა. – როგორც მითხრეს, ძილი ერთ დროს თითოუელი ადამიანისთვის აუცილებელ ფენომენს წარმოადგენდა. ჩვენ დღემდე გვიყვარს დღეში ერთხელ მაინც წაძინება, თუნდაც რამდენიმე საათით. ძილი სხეულსა და გონებას ასვენებს და აცოცხლებს. ნუთუ დიასპარში არავის არასდროს არ სძინავს?“

„ძალიან იშვიათ შემთხვევებში, - გამოუტყდა ელვინი. – ჯეზერაკს, ჩემს მასწავლებელს, ეძინა ერთი ორჯერ უმძიმესი გონებრივი დაძაბულობის შემდეგ. კარგად დაპროექტებული სხეული შესვენების ამგვარ პერიოდებს არ უნდა საჭიროებდეს. ძილს ჩვენ მილიონი წლის წინათ გავართვით თავი და მას შემდეგ ასეთი მოთხოვნილება აღარც გაგვჩენია.“

მაშინ როცა ელვინი თავისი ხალხის მიღწევებით იკვეხნიდა, მისი ქცევები საწინააღმდეგოზე მიუთითებდა. ასეთი დაღლილობა ცხოვრებაში არ უგრძვნია; ეგონა, თითქოს ფეხებიდან დაიძრა და მთელი სხეული მოიცვა. ეს უჩვეულო შეგრძნება სულაც არ ყოფილა არასასიამოვნო, პირიქით. ჰილვარი ხალისიანი ღიმილით აკვირდებოდა ელვინის საქციელს, რომელსაც მაინც ჰყოფნიდა იმდენი ძალა, რომ ეეჭვა, ჰილვარი თავის გონებრივ შესაძლებლობებს ხომ არ ცდიდა. ასეც რომ ყოფილიყო, წინააღმდეგობის გაწევა არც მოსდიოდა თავში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ ზემოთ დამაგრებული მეტალის ნათურის კაშკაშა შუქმა იკლო და მკრთალ ნათებაში გადავიდა, მაგრამ სითბოს პირვანდელი ძალით ასხივებდა. მბჟუტავი შუქის ფონზე ელვინის დაბინდულმა გონებამ ერთი უცნაური ფაქტი მაინც დააფიქსირა, რომლის შესახებაც დილით აუცილებლად უნდა გამოეკითხა.

ჰილვარმა ტანსაცმელი გაიძრო და ელვინმა პირველად შენიშნა, რამდენად დაშორდა ერთმანეთს ადამიანთა მოდგმის ეს ორი განშტოება. ზოგიერთი განსხვავებები სხეულის აგებულებაში მხოლოდ პროპორციებს ეხებოდა, მაგრამ სხვებს, მაგალითად გარეგანი გენიტალიების, კბილების, ფრჩხილებისა და სხეულზე თმის არსებობას, უფრო ფუნდამენტური ხასიათი ჰქონდა. თუმცა, ყველაზე მეტად ელვინს ჰილვარის მუცლის შუაგულში წარმოქმნილი პატარა ჩაღრმავება აოცებდა.

როცა, რამდენიმე დღის შემდეგ, ეს თემა გაახსენდა, მის ახსნას საკმაოდ ბევრი დრო და ენერგია დასჭირდა. სანამ ჰილვარი ელვინს ჭიპის დანიშნულებას გააგებინებდა, რამდენიმე ათასი სიტყვის წარმოთქმა და ათეულობით დიაგრამის დახატვა მოუწია.

და ამით ორივემ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ იმ საფუძვლების უკეთ გაცნობის მხრივ, რომელსაც დიასპარისა და ლისის კულტურები ემყარებოდა.

თავი XII

ელვინს შუაღამეს გამოეღვიძა. რაღაცამ დაუფრთხო ძილი, შორეული ჩურჩულის, შრიალის ხმამ, რომელიც ცნობიერებაში აღწევდა ჩანჩქერის გრუხუნის მიუხედავად. საწოლზე წამოჯდა, თვალებდაძაბული აკვირდებოდა ბნელით მოცულ მიწას და სულგანაბული უსმენდა წყლის გუგუნსა და ღამისეული მხეცების საამურ, იდუმალ ხმებს.

არაფერი ჩანდა. ვარსკვლავების მკრთალი შუქი ვერ ანათებდა შორს ქვემოთ გაშლილ დაბლობებს; სამხრეთ ჰორიზონტზე აღმართულ მთებზე მხოლოდ შედარებით უფრო მუქი დასერილი ხაზი მიანიშნებდა, რომელსაც ვარსკვლავები დაეჩრდილა. სიბნელეში ელვინმა გაიგონა, როგორ გადმოტრიალდა მისი მეგობარი მეორე მხარეს და წამოჯდა.

„რა მოხდა?“ – ჩურჩულით იკითხა ჰილვარმა.

„რაღაც ხმა შემომესმა.“

„როგორი ხმა?“

„არ იცი, შეიძლება მომეჩვენა.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიჩუმე ჩამოვარდა. მეგობრები დაძაბული მზერით შეჰყურებდნენ იდუმალებით მოცულ წყვდიადს. მოულოდნელად, ჰილვარმა ელვინის მხარს სტაცა ხელი.

„შეხედე!“ – წაუჩურჩულა.

შორს სამხრეთით ერთადერთი წერტილი კაშკაშებდა, იმდენად ახლოს ჰორიზონტთან, რომ ვარკვლავი არ უნდა ყოფილიყო. თვალისმომჭრელად თეთრი ნათება დრო და დრო იასამნისფერ ელფერს იღებდა, რაც უფრო დიდ ხანს აკვირდებოდნენ, მით უფრო ხშირად იცვლიდა სპექტრს და სიკაშკაშე ემატებოდა, ბოლოს მისი ელვარება თვალისთვის აუტანელი გახდა. მოულოდნელად ამ მოელვარე წერტილმა იფეთქა, თითქოს სამყაროს კიდეზე მეხი გავარდა. წამით განათდა და მთაგრეხილმა და მთელმა მიმდებარე მონაკვეთმა, რომელსაც გარს შემორტყმოდა, ჩაბნელებული ცის ფონზე გაიელვა. თითქოს საუკუნე გავიდა, როცა იქამდე შორეული აფეთქების დახშულმა გამოძახილმა მოაღწია, და ტყეში უეცრად მოვარდნილმა ქარის ნაკადმა ხეები ააშრიალა. ქარი მალევე ჩაცხრა და ჩამქრალი ვარკვლავები ერთი მეორის მიყოლებით ინთებოდნენ ცაში.

ელვინმა უკვე მეორედ გამოსცადა შიში. თუმცა ამჯერად ეს გრძნობა მოძრავი გზების დარბაზში განცდილ გარდაუვალ და პირადად მასთან დაკავშირებულ შიშს არ ჰგავდა, როცა ლისში გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღო. შიშზე უფრო მეტად რაღაც კრძალვასა და თრთოლვას ჰგავდა. ელვინი პირისპირ აღმოჩნდა გამოუცნობისა და იდუმალის წინაშე და მიხვდა, რომ აუცილებლად უნდა ნახოს, მთების მიღმა რა იმალება.

„ეს რა იყო?“ – ჩაუჩურჩულა ჰილვარს დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

„ვცდილობ, გავიგო,“ – უპასუხა ჰილვარმა და ისევ დადუმდა. ელვინი მიხვდა, რასაც აკეთებდა და აღარ შეუშლია ხელი მეგობრისთვის უხმო გამოძიებაში.

უშედეგო ძიების შემდეგ ჰილვარმა გულდაწყვეტით ამოიოხრა: „ყველას სძინავს, - თქვა მან. – ვერავინ ვერ მიპასუხა კითხვაზე. ან დილამდე მოცდა მოგვიწევს ან ერთ-ერთი ჩემი მეგობარი უნდა გავაღვიძო. სიმართლე გითხრა, არ მინდა ვინმეს გაღვიძება, თუ მართლა გამოუვალი მდგომარეობა არ იქნება.“

ნეტავ რას ეძახდა ჰილვარი გამოუვალ მდგომარეობას, - გაიფიქრა ელვინმა. უნდოდა ეთქვა, რაც სარკაზმს მოკლებული არ იქნებოდა, რომ ტყუილად არ გააღვიძებდა არავის, მომხდარი ამად ნამდვილად ღირდა. მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, ჰილვარმა დაასწრო.

„ახლა გამახსენდა, - მოახსენა ჰილვარმა, თითქოს თავს იმართლებდა. – აქ დიდი ხანია არ ვყოფილვარ და დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მე მგონი ეს შალმარინია.“

„შალმარინი ისევ არსებობს?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„კი; სულ დამავიწყდა, სერანისი მიყვებოდა ერთხელ, რომ ციხე-სიმაგრე მთების იქით მდებარეობს. რა თქმა უნდა, საუკენეების მანძილზე ნანგრევებად იქცა, მაგრამ შეიძლება ვინმე იქ ისევ ცხოვრობს.“

შალმარინი! ორი სრულიად განსხვავებული კულტურისა და ისტორიის მქონე რასის წარმომადგენელი შვილებისთვის ის ჯადოსნურ სიტყვას წარმოადგენდა. დედამიწის ისტორიას შალმარინის ზღუდეების სამყაროს დამყრობელ მომხდურთაგან დაცვაზე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ეპოსი არ ახსოვდა. თუმცა ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტები მთლიანად ჩაკარგულიყო განთიადის ეპოქის სქელ ბურუსში, მაგრამ ცალკეული ლეგენდები ჯერ კიდევ ცოცხლობდა და იმდენ ხანს იარსებებდა, რამდენ ხანსაც კაცობრიობა.

სიბნელეში ისევ გაისმა ჰილვარის ხმა.

„სამხრეთის ხალხი უფრო მეტს გვეტყვის. იქით მეგობრები მყავს; დილით დავუკავშირდები.“

ელვინი ისე იყო თავის ფიქრებში ჩაფლული, ჰილვარის სიტყვები თითქმის არ გაუგონია, ცდილობდა შალმირანზე გაგონილი ყველა ამბავი მოეგონებინა. ბევრს ვერაფერს გაიხსენებდა, რადგან ბრძოლა უხსოვარ დროში მომხდარა და ხალხი ვეღარ არჩევდა ერთმანეთისგან სიმართლესა და გამოგონილს. ერთი რამეში ეჭვი არ ეპარებოდა – შარლიმანის ბრძოლამ მნიშვნელოვანი ზღვარი გაავლო კაცობრიობის ისტორიაში, ბოლო მოუღო ადამიანის გამარჯვებებს და მისი დიდი ხნით უკან დახევა გამოიწვია.

ამ მთებს მიღმა, - ფიქრობდა ელვინი, - იმალებოდა პასუხი ყველა იმ გაუცემელ კითხვაზე, რომლებიც ამდენი წელია აწუხებდა.

„რამდენი ხანი დაგვჭირდება ციხე-სიმაგრემდე მისასვლელად?“ – ჰკითხა ჰილვარს.

„არ ვყოფილვარ, მაგრამ მასე შორს წასვლა არ მქონდა გეგმაში. არა მგონია, ერთ დღეში მივიდეთ.“

„მანქანა ვერ მიგვიყვანს?“

„არა; გზა მთებში გადის, მანქანა ვერ მიუდგება.“

ელვინი ჰილვარის სიტყვებს დაუფიქრდა. ასეთ დატვირთვას შეუჩვეველს დაღლილობისგან ფეხები ტკიოდა და კუნთები დაბუჟებოდა. ძალიან უნდოდა, მოგზაურობა სხვა დროისთვის გადაედო, მაგრამ ვინ იცის, იქნებ სხვა დრო არც დამდგარიყო.

მბჟუტავი ვარკვლავების მკრთალ შუქზე, - არაერთი მათგანი ჩამქრალა შალმარინის დაარსებიდან მოყოლებული, - ელვინი ფიქრებს ებრძოდა და ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილებამდე მივიდა. არაფერი შეცვლილა; მთებმა მთვლემარე არემარის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყარაულობა განაგრძეს. მაგრამ გადამწყვეტი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში უკვე დადგა და მალევე ჩაიარა, წარსულს ჩაბარდა და ადამიანი ახალი, გამოუცნობი მომავლისკენ დაიძრა.

ელვინს და ჰილვარს იმ ღამეს აღარ დაუძინიათ და ინათა თუ არა, ბანაკი აშალეს. მთელი მდელო ნამს გაეჟღინთა, ელვინი გაოცებული შეჰყურებდა ცვრის წვეთებით დამძიმებული ბალახის ღეროებსა და ფოთლებს. ცვრიან ბალახზე მიაბიჯებდა და მისი შრაშუნი უდიდეს სიამოვნებას გვრიდა. უკანმობრუნებულმა საკუთარი ნაკვალევი შეამჩნია, რომელიც ბალახის მბრწყინავი საფარის ფონზე მუქი ლენტივით მიიკლაკნებოდა.

როცა ტყის პირას გავიდნენ, მზე უკვე ლისის სამხრეთ კიდლის თავზე ამოწვერილიყო. აქ ბუნებას თავისი პირვანდელი სახე შეენარჩუნებინა. ჰილვარიც კი დაებნია გიგანტურ ხეებს, რომლებიც მზის შუქს ჩრდილავდნენ და ტყის ზედაპირზე ჩრდილის ფარდაგებს აფენდნენ. საბედნიეროდ, მდინარე, რომელიც ჩანჩქერიდან იღებდა სათავეს, იმდენად სწორ ხაზზე მიედინებოდა, რომ მისი ხელოვნური წარმოშობა ეჭვს არ იწვევდა და ახალგაზრდებიც მის სამხრეთ სანაპიროს მიუყვებოდნენ, რაც ქვეტყის ყველაზე ხშირი საფარის ავლის საშუალებას აძლევდათ. ჰილვარი დროის უმეტეს ნაწილს კრიფის დევნაში ატარებდა, მწერი ხან უსიერ ტყეში ჩაიკარგებოდა, ხანაც თავპირის მტვრევით მიაწყდებოდა ხოლმე წყლის ზედაპირს. ელვინიც, რომელიც პირველად ხედავდა აქაურობას, ხვდებოდა, რომ ეს პირველყოფილი ტყეს უფრო მეტი მომხიბვლელობით გამოირჩეოდა, ვიდრე ჩრდილოეთ ლისის შედარებით პატარა და მოვლილი ტყეები. აქ ორ ერთნაირ ხეს ვერ ნახავდით; მათი უმრავლესობა ევოლუციის სხვდასხვა ეტაპზე იმყოფებოდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი საუკუნეების განმავლობაში თავის პირვანდელ ფორმებს დაბრუნებოდა. ბევრის წარმოშობის ადგილი დედამიწა უდავოდ არ იქნებოდა, შეიძლება - არც მზის სისტემა. ასი მეტრის სიმაღლის გიგანტური სეკვოიას ხეები გუშაგებივით აღმართულიყვნენ შედარებით პატარა ხეების თავზე. ერთ დროს მათ დედამიწის ყველაზე უძველეს ბინადრებად მიიჩნევდნენ; ადამიანზე გაცილებით უფრო დიდი ხნის იყვნენ.

მდინარის კალაპოტი გაგანიერდა; პერიოდულად პატარ-პატარა ტბების ფორმას იღებდა, რომელზედაც პაწაწინა კუნძულებს ღუზები ჩაეშვათ. მდინარესთან წყლის ზედაპირის უამრავი სახის მკვეთრი შეფერილობის მწერი დაფრინავდა. მათ დანახვაზე კრიფი აღელდა, ჰილვარის ბრძანებას არ დაემორჩილა და თავისი შორეული მონათესავე მწერებისკენ გაექანა. კრიფი მომენტალურად გაუჩინარდა მოელვარე ფრთების ღრუბლებში, რომლის შუაგულიდანაც ბრაზმორეული ბზუილის ხმა აღწევდა. რამდენიმე წამის შემდეგ ღრუბელი გაიშალა და კრიფი გამოჩნდა, რომელმაც თვალის დახამხამებაში გადმოკვეთა მდინარის ზედაპირი. ამის შემდეგ ჰილვარს გვერდს არ მოსცილებია და გაპარვა არც უცდია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საღამოხანს შორეული მთების მწვერვალები გამოჩნდა. მდინარემ, რომელიც აქამდე ერთგულ მეგზურობას უწევდა, სვლა შეანელა და მდორედ მიედინებოდა, თითქოს ისიც მოგზაურობის დასასრულს მიუახლოვდა. მაგრამ, აშკარა იყო, რომ მთებს დაღამებამდე ვერ მიაღწევდნენ; ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ტყე იმდენად ჩაბნელდა, რომ წინსვლა შეუძლებელი გახდა. უზარმაზარი ხეები ჩრდილების ტბებში დაცურავდნენ, ხოლო ფოთლებში ცივმა ქარმა დაუბერა. ელვინი და ჰილვარი უშველებელი წითელი ხის ძირას მოკალათდნენ ღამის გასათევად, რომლის წვეროებს ისევ ეკიდა ჩამავალი მზის ცეცხლი.

როცა ხეების სიღრმეში ჩამალული მზე საბოლოოდ ჩაესვენა, შუქი ცოტა ხნის განმავლობაში ისევ ესვენა მდინარის მოლივლივე ზედაპირზე. ორი მკვლევარი, - სწორედ ასე ეძახდნენ ისინი საკუთარ თავს და იმსახურებდნენ კიდევაც ამ სახელს, - ჩამოწოლილ ბნელში იჯდა, მდინარეს შეჰყურებდა და ნანახზე ფიქრობდა. მალე ელვინმა ისევ იგრძნო მისთვის ახლა უკვე ნაცნობი მთვლემარე მდგომარეობა. რული ნელ-ნელა ეპარებოდა და ელვინიც სიამოვნებით დანებდა ძილს. დიასპარის უზრუნველ ცხოვრებაში ძილის საჭიროება არ არსებობდა, აქ კი დიდ შვებას ანიჭებდა. ბოლო მომენტში, სანამ საბოლოოდ გაეთიშებოდა რეალობას, მოასწრო, დაფიქრებულიყო, ვინ გაიარა ბოლოს ეს გზა და რამდენი ხნის წინ.

მზე უკვე მაღლა ამოსულიყო, როცა ტყე დატოვეს და როგორც იქნა ლისის გარს შემოჯარული მთიანი კედლის წინ აღმოჩნდნენ. მიწა მათ პირდაპირ მოულოდნელად ამაღლდა და ცისკენ აღმართული ციცაბო, ფრიალო კლდეებში გადაიზარდა. მდინარე აქ ისევე შთამბეჭდავად და თვალწარმტაცად მთავრდებოდა, როგორც იწყებოდა ჩანჩქერთან, შუაგულ კალაპოტში მიწა იხსნებოდა და მდინარე გრუხუნით ეშვებოდა ნაპრალში. ნეტავ რა მოსდის წყალს შემდეგ, - ფიქრობდა ელვინი, - რომელ მიწისქვეშა ქვაბულებს გაივლიდა მდინარე, სანამ ისევ იხილავდა დღის სინათლეს. შეიძლება დედამიწის დაკარგული ოკეანეები შორეულ სიღრმეში, მარადიული წყვდიადის მორევში, არსებობას აგრძელებდნენ, და ეს უძველესი მდინარე ჯერ კიდევ გრძნობს ძახილს, რომელიც ზღვისკენ მოუხმობს.

ჰილვარი წუთით შეჩერდა და მორევსა და უსწორმასწორო მიწას შეხედა, შემდეგ კლდეში წარმოქმნილ ნაპრალზე მიანიშნა.

„შალმარინი იმ მხარეს მდებარეობს,“ – განაცხადა დარწმუნებით. ელვინს არ უკითხავს, საიდან იცოდა; ივარაუდა, რომ ჰილვარი მათგან მრავალი მილით დაშორებულ რომელიმე მეგობარს დაუკავშირდა და საჭირო ინფორმაცია მიიღო.

ნაპრალთან მისვლას დიდი დრო არ დასჭირვებია. როდესაც გასასვლელი გაიარეს, უცნაური პლატოს პირდაპირ აღმოჩნდნენ, რომლის ნაპირები ნელ-ნელა ეშვებოდნენ ქვემოთ. ელვინს აღარც დაღლილობა ახსოვდა და აღარც შიში, მხოლოდ დაძაბულ მოლოდინს გრძნობდა და მოახლოებული თავგადასავლით წინასწარ ტკბებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარმოდგენა არ ჰქონდა, რას მოელოდა, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ რაღაცას უთუოდ აღმოაჩენდა.

მწვერვალთან მიახლოებასთან ერთად მკვეთრდ იცვლებოდა ნიადაგის ტიპი. პლატოს ფერდობის ქვედა ნაწილი ვულკანური შემადგენლობის ფოროვან ქვებს წარმოადგენდა, რომლებიც ალაგ-ალაგ ვულკანური წიდების გროვებს ქმნიდნენ. მიწის ზედაპირი უცბად მყარ, ისეთ გლუვ და პრიალა, მინისებრ ფენებად იქცა, გეგონებოდათ, კლდოვანი ქანები დამდნარი ნაკადებით მიედინებოდნენ მთის ფერდობებზე.

ცოტაც და პლატოს კიდეს მიაღწევდნენ. ჰილვარი პირველი მივიდა ნაპირამდე, ორიოდე წამში ელვინიც დაეწია და ჰილვარს გაუსწორდა თუ არა, გაოცებისგან მეტყველების უნარი წაერთვა, რადგან პლატოს კიდეზე კი არ იდგნენ, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ნახევარი მილის სიღრმისა და სამი მილი დიამეტრის მქონე უზარმაზარი თასისებრი წარმონაქმნის პირას აღმოჩნდნენ. მათ წინ მიწის ზედაპირი ქვემოთ მკვეთრად ეშვებოდა, მდელოს ძირისკენ ნელ-ნელა სწორდებოდა და შემდეგ საპირისპირო კიდისკენ ისევ მაღლდებოდა. თასის ძირას ტბა მოჩანდა, რომლის ზედაპირი განუწყვეტლივ ლივლივებდა, თითქოს მოუსვენარი ნიავი აჭავლებდა წყალს .

მიუხედავად იმისა, რომ ღრმულს კაშკაშა მზე დაჰყურებდა, კუპრივით შავი ფერი გადაჰკრავდა. ელვინსა და ჰილვარს ვერ გაეგოთ, რა ქანებს წარმოექმნა კრატერი, მაგრამ ღრმული იმდენად შავი იყო, გეგონებოდათ სამყაროს, სადაც წარმოიშვა, მზის სხივები არასდროს მოხვედრია. თუმცა უჩვეულო სანახაობა ამით არ მთავრდეოდა, მათ ფეხქვეშ ასიოდე ფუტის სისქის მეტალის ზოლი იწყებოდა და მთელ კრატერს რგოლივით ერტყმოდა გარს. უამრავი საუკუნის განმავლობაში ფერი გადასვლოდა, მაგრამ ჟამთა სვლის მიუხედავად, კოროზიის ნიშნებიც არ ეტყობოდა.

როცა მცირედი ხნის შემდეგ თვალები ამ არამიწიერ პეიზაჟს შეეჩვია, მეგობრები მიხვდნენ, რომ სიშავე არ ყოფილა ისეთი აბსოლუტური, როგორც წარმოედგინათ. აბანოზის ხესავით შავ კედლებზე, აქა იქ, შუქის პაწაწინა ათინათები გაიელვებდა ხოლმე და იმდენად სწრაფად გაუჩინარდებოდა, რომ თვალს მათი დაჭერა უჭირდა. მოციმციმე ნათება მოულოდნელად იფეთქებდა და სინათლე გაშლასაც ვერ ასწრებდა, რომ მაშინვე ქრებოდა, მსგავსად ვარსკვლავების გამოსახლებებისა აღელვებული ზღვის ზედაპირზე.

„რა სილამაზეა! – სუნთქვა შეეკრა ელვინს. – რა არის ეს?“

„როგორც ჩანს, რაღაც რეფლექტორი უნდა იყოს.“

„ასეთი შავი?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ასე მხოლოდ თვალებს ეჩვენებათ, არ დაგავიწყდეს. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა სახის გამოსხივებას გამოიყენებდნენ.“

„სულ ეს არის? დარწმუნებული ვარ, კიდევ რაღაც უნდა იყოს! ციხე-სიმაგრე სად არის?“

ჰილვარმა ტბისკენ გაიშვირა ხელი.

„კარგად დააკვირდი,“ – მიუგო მან.

ელვინმა ტბის მოცახცახე ზედაპირს გაუსწორა თვალი, ცდილობდა, მის სიღრმეში დამალული საიდუმლოებები ამოექექა. თავიდან ვერაფერი შენიშნა; ორიოდე წუთის შემდეგ, ტბის წყალნაკლებ ზედაპირთან შუქისა და ჩრდილების მონაცვლეობას მოკრა თვალი. წყლის ქვემოთ გარკვეული კონტურები შეინიშნებოდა, ელვინი ხაზებს მიჰყვა და აღმოაჩინა, რომ ნახაზის ყველა კვალი სიღრმეში, ტბის შუაგულში იკარგებოდა.

შავბნელ ტბას ციხე-სიმაგრე მთლიანად შთაენთქა. ტბის სიღრმეში ერთ დროს ძლევამოსილი და აწ უკვე დროის მიერ დამარცხებული და დამონებული ნანგრევები განისვენებდა. თუმცა სიმაგრის ზოგიერთი ნაწილი მაინც გადარჩენოდა წყლის სიღრმეში ჩაძირვას, კრატერის მოპირდაპირე შორეულ მხარეს ელვინმა დახვავებული ქვებისა და ლოდების უზარმაზარი გროვა შენიშნა. ქვები, სავარაუდოდ, ერთ დროს მასიური კედლების ნაწილს შეადგენდნენ. ტალღები მათ ზედაპირს აწყდებოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით იმდენად მაღლა ვერ აღმართულიყვნენ, რომ საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინათ წარსულის ამ გადმონაშთებზე.

„მოდი, ტბას გვერდიდან შემოვუაროთ, - წარმოთქვა ჰილვარმა დაბალი ხმით, თითქოს ამ ნანგრევების დიდებულებას მისი სული კრძალვით აესვო. – ვინ იცის, იქნებ რამე ვიპოვნოთ კიდევაც ნასახლარებში.“

რამდენიმე ასეული იარდის მანძილზე კრატერს კედლებს იმდენად გლუვი და ციცაბო ზედაპირი ჰქონდათ, რომ სწორად დგომაც ჭირდა, მაგრამ მალე შედარებით უფრო დამრეც მონაკვეთს მიაღწიეს და ახლა თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. ტბის ნაპირთან გლუვი შავი ზედაპირი მიწის თხელ ფენას დაეფარა, რომელიც ალბათ ლისის ქარებს შემოეყარათ საუკუნეების განმავლობაში.

მეოთხედი მილის მოშორებით ერთმანეთზე დახვავებული გიგნატური ლოდების გროვები ეწყო, რომელიც ჩვილი გოლიათის მიერ დაყრილ სათამაშოებს მოგაგონებდათ. აქა-იქ მასიური კედლის ნანგრევების გარჩევა შეიძლებოდა; ორი ნაკვეთი ობელისკი ციხე-სიმაგრის ერთ დროს დიდებულ და გრანდიოზულ პორტალზე მიანიშნებდა. იქაურობა სუროს, ხვიარებსა და ჯუჯა ხეებს დაეფარათ. ქარიც მიჩუმებულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინმა და ჰილვარმა შალმარინის ნანგრევებს მიაღწიეს. უხსოვარ დროში უდიდესი ენერგიის მფლობელ კედლებს გამანადგურებელი ძალები, რომლებსაც მთელი სამყაროს ნაცარტუტად ქცევა შეეძლოთ, ცეცხლითა და მახვილით დაატყდნენ თავს, მეხივით გაიელვეს და სრული კრახი განიცადეს. ერთ დროს ეს მშვიდობიანი და უზრუნველი ზეცა მზის შუაგულიდან მოგლეჯილი ცეცხლით ალმოდებული ბრიალებდა, ხოლო ლისის მთები გამძვინვარებული მოძღვრის წინაშე ცოცხალი არსებებივით მოწიწებით ცახცახებდნენ.

შალმარინის დაუმარცხებელი ციხის დაპყრობა ვერავინ შეძლო. მაგრამ უძლეველმა სიმაგრემ ბოლოს და ბოლოს სუროს ჯიუტი ულვაშების, მილიარდობით დაუღალავი მატლის, რომლებიც განუწყვეტლივ იკვლევდნენ გზას ლოდებში, და ტბის ზრდადი ტალღების შემოტევას ვეღარ გაუძლო და დამარცხებული და განადგურებული დაეცა.

კოლოსალური ნანგრევების დიდებულებით გაოცებული მეგობრები უჩუმრად სიღრმისკენ მიემართებოდნენ. დაქცეული კედლის ჩრდილი ჩამოიტოვეს და კანიონში შეაბიჯეს, სადაც კლდოვანი მთა ორად იხლიჩებოდა. ტბა მათ წინ გაშლილიყო, რამდენიმე ნაბიჯი და მუქი წყლის ზედაპირთან აღმოჩნდნენ, რომლის ტალღებიც ფეხებთან ტლაშუნობდა. სულ რაღაც რამდენიმე გოჯის სიმაღლის პაწაწინა ტალღები განუწყვეტლივ აწყდებოდნენ ვიწრო ნაპირს.

ჰილვარმა პირველმა დაილაპარაკა. ორჭოფობისა და გაუბედაობის ნოტამ, რომელიც მის ხმას დატყობოდა, ელვინი აიძულა, გაოცებით შეეხედა მეგობრისთვის.

„ერთი რამ ვერ გამიგია, - ნელა წარმოთქვა მან. – აქ ნიავიც არ უბერავს, რა იწვევს ამ ჭავლს? ჭყლის ზედაპირი აბსოლუტურად აუღელვებელი უნდა იყოს.“

სანამ ელვინი პასუხის გაცემას მოაწრებდა, ჰილვარი ჩაიკუზა, თავი დახარა და მარჯვენა ყური წყალში ჩაყო. თავდაპირველად ელვინმა ვერ გაიგო მეგობრის ასეთი სასაცილო ქცევის მიზანი, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ჰილვარმა რაღაცას მიაყურადა. ელვინმა მცირედი ზიზღი დაძლია, - ერთი შეხედვით მკვდარი წყალი მეტად არასასიამოვნო შერძნებას იწვევდა, - და ჰილვარს მიბაძა.

ცივი წყლით მოგვრილი შოკი რამდენიმე წამი გაგრძელდა; როცა სიცივეს შეეჩვია, ელვინმა გარკვევით გაარჩია სუსტი, მაგრამ უწყვეტი რითმული ცემა, თითქოს ღრმად, ტბის შუაგულში გიგანტური გული ფეთქავდა.

თმიდან წყალი ჩამოიბერტყეს და გაოცებულები უხმოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს. არც ერთს არ უნდოდა თავისი ეჭვის გამოთქმა – რომ ტბა ცოცხალი ორგანიზმი იყო.

„უკეთესი იქნება, - წარმოთქვა ბოლოს და ბოლოს ჰილვარმა, - თუ ნანგრევებს დავათვალიერებთ და ტბისგან თავს შორს დავიჭერთ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ფიქრობ, რომ ქვემოთ რაღაც არის? – ჰკითხა ელვინმა და მის ფეხებთან მოძრავ იდუმალ ჭავლზე მიუთითა. – გგონია, იქიდან შეიძლება საფრთხე მოდიოდეს?“

„გონების მქონე არსება საფრთხეს არ წარმოადგენს, - უპასუხა ჰილვარმა. (ნუთუ სიმართლეს ამბობს, - გაიფიქრა ელვინმა - აბა დამპყრობლები?) – აქ ვერავითარი აზრის არსებობა ვერ აღმოვაჩინე, თუმცა არ მჯერა, რომ მარტონი ვართ. რა საოცარია.“

ნელი ნაბიჯით ციხე-სიმაგრის ნანგრევებთან დაბრუნდნენ, ორივეს გონებაში თანაბარი, დახშული პულსაციის ხმა ესმოდა. ელვინს ეგონა, თითქოს საიდუმლოს საიდუმლო ემატებოდა და რაც უფრო მეტი თავგამოდებით ცდილობდა სიმართლე გაერკვას, მით უფრო მეტად სცილდებოდა მას.

ერთი შეხედვით ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ნანგრევებს რაიმე ახლის გაზიარება შეეძლოთ, მიუხედავად ამისა, გულდასმით ათვალიერებდნენ ნათალი ქვებისა და ლოდების გროვებს. შეიძლება მათ წიაღში მანქანები განისვენებდნენ, რომლებსაც უხსოვარ დროში შეესრულებინათ თავიანთი სამუშაო. ახლა ეს მექანიზმები არაფერში გამოადგებოდა, დამპყრობლები რომც დაბრუნებულიყვნენ. რატომ აღარ გამოჩენილან ისევ მომხდურნი? თუმცა, ეს კიდევ ერთ მტანჯველ საიდუმლოს წარმოადგენდა, ელვინს კი ისედაც ბევრი ამოუხსნელი გამოცანა დაგროვებოდა, ახლის ძიების არავითარი საჭიროება არ არსებობდა.

ტბიდან რამდენიმე იარდის მოშორებით ქვა-ღორღისგან გასუფთავებული პატარა მონაკვეთი აღნოაჩინეს. მიწის ზედაპირი აუტანელი სიცხისგან დამწვარ და დანახშირებულ სარეველა ბალახს დაეფარა. როცა ახალგაზრდებმა ბალახში შეაბიჯეს, დახრუკული ღეროები ფეხის შეხებაში მტვრად იქცა და შარვლის ტოტებზე შავ ზოლად დაატყო ნახშირის ლაქები. ცარიელი სივრცის შუაგულში მიწაში მყარად ჩამაგრებული მეტალის სამფეხა იდგა. ზედადგარს რგოლი ეკავა, რომელიც იმგვარად შემოეტრიალებინათ ღერძის გარშემო, რომ ჰორიზონტსა და ცას შორის არსებულ შუაწერტილს უყურებდა. ერთი შეხედვით ეს რგოლი ცარიელი იყო, მაგრამ როცა ელვინი ყურადღებით დააკვირდა, რგოლის შუაგულში მკრთალი ბურუსი შენიშნა, რომელიც თვალებს ტკენდა, რადგან ხილული სპექტრის ნაპირას მდებარეობდა. ამ ნათებაში ძალა იმალებოდა, და ელვინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შუქი, რომელმაც აქამდე შემოიტყუა, სწორედ ამ მექანიზმინდან გამომდინარეობდა.

ახლოს მისვლა ვერ გაებედათ და მანქანას შორიდან, უსაფრთხო მანძილიდან ათვალიერებდნენ. სწორ გზას ვადგავართ, - გაიფიქრა ელვინმა; ახლა მხოლოდ იმის გარკვევაღა დაგვრჩენია, ვინ ან რამ დაამონტაჟა აქ ეს მექანიზმი და რა მიზნები ამოძრავებდა. დახრილი რკალი უთუოდ კოსმოსისკენ მიემართათ. ნუთუ ის ნათება, მათ რომ შენიშნეს, გარკვეულ სიგნალს წარმოადგენდა? ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შედეგებზე ფიქრი გონებას უბნევდა და სუნთქვას უკრავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ელვინ, - წამოიძახა მოულოდნელად ჰილვარმა მშვიდი, მაგრამ გამაფრთხილებელი ხმით. – სტუმრები გვყავს.“

ელვინი მკვეთრად შემოტრიალდა და გაყინული თვალების სამკუთხედის გაქვავებული მზერა დაიჭირა; ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე მოეჩვენა. შემდეგ დაჟინებული მზერის მიღმა პატარა, მაგრამ მეტად კომპლექსური მანქანის კონტურები შენიშნა, რომელიც მიწის ზედაპირიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე ეკიდა და არც ერთ აქამდე ნანახ რობოტს არ ჰგავდა.

როცა პირველადმა გაოცებამ გადაურა, ელვინმა სიტუაციის სრულ ბატონ-პატრონად იგრძნო თავი. მთელი ცხოვრების განმავლობაში მანქანებს ბრძანებებს აძლევდა, და ის გარემოებას, რომ მოცემული მანქანა უცხო იყო, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს დიასპარში იმ რობოტების მხოლოდ მცირედი ნაწილი ჰყავდა ნანახი, ვისაც განკარგულებებს აძლევდა.

„შეგიძლია ლაპარაკი?“

პასუხი არ მოჰყოლია.

„ვინმე გმართავს?“

ისევ სიჩუმე იდგა.

„წადი, მოდი, ადექი, დაეშვი.“

მაგრამ საზოგადოდ მიღებულ ბრძანებას სასურველი შედეგი არ გამოუღია. მანქანა ადგილიდანაც არ განძრეულა. ორი ვარიანტი არსებობდა: ან იმდენად უგუნური იყო, რომ უბრალოდ არ ესმოდა მისი, ან პირიქით, ზედმეტად განვითარებული იყო და შეეძლო სურვილისამებრ აერჩია, რომელ ბრძანებას დამორჩილებოდა და რომელს არა. ამ შემთხვევაში, მანქანას თანასწორივით უნდა მოპყრობოდა და მაშინაც რჩებოდა რობოტის სათანადოდ ვერ შეფასების საშიშროება, თუმცა იცოდა, რომ მანქანა არ გაბრაზდებოდა, რადგან რობოტებს ზოგადად ამპარტავნება არ ახასიათებდათ.

ელვინის უშედეგო ცდის შემხედვარე ჰილვარმა სიცილი ვერ შეიკავა. რობოტთან კონტაქტის დამყარებაში საკუთარი დახმარების შეთავაზება დააპირა, მაგრამ სიტყვები შეაშრა პირზე. შალმარინის სამარისებული სიჩუმე ავისმომასწავლებელმა და მათთვის უთუოდ ნაცნობმა ხმამ შეარყია – წყლიდან ამომავალი უზარმაზარი სხეულის ბუყბუყმა და ტლაშუნმა.

დიასპარიდან წამოსვლის შემდეგ ელვინმა მეორედ ინატრა სახლში ყოფნა. მაგრამ მალევე მოეგო გონს და მიხვდა, რომ ასეთი განწყობით თავგადასავლის შეხვედრა არ ივარგებდა და ტბისკენ ნელი, მაგრამ მიზანმიმართული ნაბიჯით დაიძრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არსება, რომელიც შავი წყლიდან მოიწევდა, რობოტის საზარელ, ცოცხალ პაროდიას წარმოადგენდა, მათ უხმო და დაჟინებულ შესწავლას რომ განაგრძობდა. ტოლფერდა სამკუდხედის სახით თვალების იგივე განლაგება უბრალო დამთხვევას არ ჰგავდა, საცეცებიცა და მოკლე სახსრებიანი კიდურებიც უხეშ რეპროდუქციად გამოიყურებოდა. თუმცა ამითი მსგავსება ამოიწურა. რობოტს არ ჰქონდა დახვეწილი, ბუმბულისებრი ფარფლები, რომლებიც თანაბარი რიტმებით სცემდნენ წყლის ზედაპირს, მრავალრიცხოვანი მაგარი ფეხები, რომლითაც მხეცი მოხერხებულად დახტოდა ნაპირზე, ან სავენტილაციო სასუნთქი ხვრელი, რომელსაც დაძაბული სტვენა გაჰქონდა გაუხშოებულ ჰაერში.

ურჩხულის უმეტესი ნაწილი ისევ წყალში რჩებოდა, წყლიდან მხოლოდ წინა ათი ფეხი ამოსწია და გარემო, რომელიც ზემოთ დახვდა, აშკარად ეუცხოვა. მთლიანად არსება თხუთმეტიოდე ფუტის სიმაღლის იყო. ნებისმიერი ადამიანი, ისიც, ვისაც ანატომისთან შეხება არ ჰქონია, მის უცნაურობას შენიშნავდა. ურჩხულის იერ-სახეს მოულოდნელი იმპროვიზაციის კვალი ეტყობოდა, და არც თუ ისე წარმატებულის, თითქოს ვიღაცას დაუფიქრებლად შეექმნა მისი ცალკეული ნაწილები და შემდეგ, საჭიროებისამებრ, შეეწებებინა.

არსების სიდიდისა და ახალგაზრდების თავდაპირველი ეჭვის მიუხედავად, ელვინი და ჰილვარი ოდნავადაც არ შეშფოთებულან, როცა ტბის ბინადარი სათანადოდ დაათვალიერეს. არსებას იმდენად მიმზიდველი მოუხეშავობა ახასიათებდა, რომ მასში სერიოზულ საფრთხის დანახვას ხელს უშლიდა, მტრულადაც რომ ყოფილიყო განწყობილი. ადამიანმა დიდი ხნის წინათ დასძლია ბავშვური შიში უცხო არსებების წინაშე. ამგვარი შიში არ შეიძლებოდა, არ გამქრალიყო მეგობრულად განწყობილი არამიწიერ ცივილიზაციებთან პირველი კონტაქტის შემდეგ.

„ამას მე მივხედავ, - ჩუმად მოახსენა ჰილვარმა. – მიჩვეული ვარ ცხოველებთან ურთიერთობას.“

„ეს ხომ ცხოველი არ არის, - უჩურჩულა ელვინმა. – დარწმუნებული ვარ, გონიერი არსებაა და რობოტიც მისი საკუთრებაა.“

„ან შეიძლება პირიქით, რობოტი ფლობს. ყოველ შემთხვევაში არსებას ძალიან უცნაური გონებრივი შესაძლებლობები აქვს, და მაინც აზრის ვერავითარ ნაკვალევს ვერ ვამჩნევ. ეი – რა ხდება.“

მონსტრს არ შეუცვლია თავისი შემაღლებული პოზიცია წყლის ნაპირზე და, როგორც ჩანდა, საკმაოდ დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებოდა მისი შენარჩუნება. თუმცა თვალებისგან შემდგარი სამკუთხედის შუაგულში ნახევრად გამჭვირვალე მემბრანამ დაიწყო ფორმირება. მემბრანა პულსირებდა და კრთოდა და ცოტა ხანში გარკვევით შეუდგა რაღაც ბგერების წარმოთქმას. ეს უფრო დაბალ, ყრუ გუგუნს ჰგავდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეტყველებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, თუმცა არსება აშკარად ცდილობდა მათთან დალაპარაკებას.

ურჩხულის კომუნიკაციის დამყარების თავგანწირული ცდის ყურება საცოდაობა იყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში არსება უშედეგოდ იბრძოდა, შემდეგ, სავსებით მოულოდნელად, მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. მფეთქავი მემბრანა ოდნავ შეამჭიდროვა და ბგერები, რომლებსაც გამოსცემდა, რამდენიმე ოქტავით აამაღლა, სანამ ნორმალური ადამიანური მეტყველების ბგერით სპექტრს არ დაუახლოვა. შედეგად წარმოშობილი სიტყვები უფრო გასარჩევი იყო, თუმცა მაინც ერეოდა გაუგებარი აბდაუბდა. თითქოს არსება ერთ დროს ნაცნობ, მაგრამ დიდი ხნის წინათ მივიწყებულ და საუკუნეების განმავლობაში გამოუყენებელ ენას იხსენებდა.

ჰილვარი მის დახმარებას შეეცადა.

„ახლა უკვე გვესმის შენი, - წარმოთქვა ჰილვარმა ნელა და გარკვევით. – შეგვიძლია შენი დახმარება? შუქი შევნიშნეთ, შენ რომ გამოსცემდი. ლისიდან აქ მოგვიყვანა.“

სიტყვა ‘ლისის’ გაგონებაზე არსება ერთბაშად მოეშვა, თითქოს იმედი მწარედ გაუცრუვდაო.

„ლისი, - გაიმეორა; ‘ს’ წარმოთქმა ცოტათი უჭირდა, და სიტყვის გამოთქმა უფრო ‘ლიდს’ უახლოვდებოდა. – ყოველთვის ლისიდან მოდიან. სხვა არავინ ეკარება აქაურობას. ჩვენ ძლევამოსილებს ვუხმობთ, მაგრამ ჩვენი არ ესმით.“

„ვინ არიან ძლევამოსილები?“ – ჰკითხა ელვინმა და ენერგიულად გადაიხარა წინ. არსებამ ნაზი, მარად მოძრავი ფარფლები წამით ცისკენ აღაპყრო.

„ძლევამოსილები, - გაიმეორა. – მარადიული დღის პლანეტებიდან. მოძღვარი შეგვპირდა, რომ აუცილებლად გვეწვეოდნენ.“

ამ სიტყვებმა ვითარებას ნათელი ოდნავადაც არ მოჰფინეს. სანამ ელვინი არსების დაკითხვას განაახლებდა, ჰილვარი ისევ ჩაერთო. ისეთი მოთმინებითა და თანაგრძნობით სვამდა ღრმა და ყოვლისმომცველ კითხვებს, რომ ელვინმა, დიდი სურვილის მიუხედავად, დაკითხვა ვერ შეაწყვეტინა. არ სურდა ჰილვარის გონებრივი უპირატესობის აღიარება, მაგრამ ცხოველების მოთვინიერების, ასეთი ფანტასტიკური არსებებისაც კი, აშკარა ნიჭი ეჭვს არ იწვევდა, ამას ვერ უარყოფდა. გარდა ამისა, დაკითხვას შედეგიც მოჰქონდა, ცხოველი პასუხობდა. საუბარის მსვლელობისას მისი მეტყველება უფრო გასაგები გახდა, და თუ მანამდე მოკლე და დრო და დრო უხეშ პასუხებს უბრუნებდა, ახლა კი დეტალურად და დაწვრილებით პასუხობდა და ხანდახან ისეთ ინფორმაციასაც აწვდიდა, რასაც ჰილვარი არ კითხულობდა.

ჰილვარი ნელა, დიდი მოთმინებით აწყობდა ამ წარმოუდგენელი ისტორიის ნაწილებს. ელვინი ისე გაიტაცა ამ ამბავმა, სულ მთლად დაკარგა დროის შეგრძნება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სრული სიმართლის დადგენა მაინც ვერ შეძლეს, ვარაუდისა და კამათისთვის უამრავი მიზეზი რჩებოდა. არსება ჰილვართან საუბარს მზარდი ინტერესით ეკიდებოდა და განწყობის ცვალებადობასთან ერთად მისი გარეგნობაც იცვლებოდა. ისევ წყალში ჩაცურდა და მისი მოკლე ფეხები თითქოს დანარჩენ სხეულში გაითქვიფა. მოულოდნელად ამაზე უფრო საოცარი ცვლილება მოხდა; სამი უზარმაზარი თვალი ნელა დაიხუჭა, პაწაწინა წერტილებამდე შემჭიდროვდა და ბოლოს საერთოდ გაქრა. თითქოს არსებამ უკვე ყველაფერი დაინახა, რაც უნდა დაენახა, და თვალების საჭიროებას ვეღარ გრძნობდა.

ცვლილებები გრძელდებოდა, ახლა უკვე ნაკლებად თვალშისაცემი და საგრძნობი. საბოლოოდ წყლის ზედაპირზე ერთადერთი ვიბრაციული დიაფრაგმა დარჩა, რომლის მეშვეობითაც არსება ლაპარაკობდა. ეს დიაფრაგმაც საუბრის დასრულებისთანავე უთუოდ პროტოპლაზმის თავდაპირველ ამორფულ მასაში გაიხსნებოდა.

ელვინს იმ ფაქტის დაჯერება უჭირდა, რომ გონებას ასეთი არასტაბილური ფორმით არსებობა შეეძლო, მაგრამ წინ ამაზე გაცილებით უფრო გასაოცარი მოულოდნელობა ელოდა. თუმცა არსების არამიწიერი წარმომავლობა თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა, ჰილვარი, ბიოლოგიის საფუძვლიანი ცოდნის მიუხედავად, მაშინვე ვერ მიხვდა, ზუსტად რა სახის ორგანიზმთან ჰქონდათ საქმე. ერთარსებას არ ელაპარაკებოდნენ, რადგან თავად მათი თანამოსაუბრე საკუთარ თავს ‘ჩვენ’ უწოდებდა. სინამდვილეში ის უხილავი და გამოუცნობი ძალების მიერ მართული დამოუკიდებელი არსებების მთელ კოლონიას წარმოადგენდა.

დედამიწის უძველეს ოკეანეებში ერთ დროს გარკვეულწილად მსგავსი ცხოველები - მაგალითად, მედუზები – არსებობდნენ. ზოგიერთმა მათგანმა უდიდეს ზომებს მიაღწია და ცურვის დროს წყლის სივრცის დაახლოებით ორმოცდაათ, ზოგჯერ ას ფუტსაც იკავებდა თავისი ნახევრად გამჭვირვალე სხეულითა და მსუსხავი საცეცების ტყეებით. მაგრამ ამ მედუზათაგან ვერც ერთმა ვერ მიაღწია ინტელექტის მცირედ ნაწილსაც, რომელიც ამ არსებას გააჩნდა, მარტივ გამაღიზიანებლებზე რეაგირების უნარს თუ არ ჩავთვლით.

ინტელექტის არსებობას ნამდვილად ვერ უარყოფდი, მიუხედავად მისი დეგრადირებული, გადაგვარებული ხასიათისა. ეს დაუვიწყარი შეხვედრა სამუდამოდ აღიბეჭდა ელვინის გონებაში, როცა ჰილვარი დანაწევრებული ისტორიის შეკოწიწებას ცდილობდა, მრავალსახა პოლიპი გაფაციცებით იქექებოდა მივიწყებული სიტყვების არქივში, შავი ტბა შალმარინის ნაპირებს რეცხავდა, ხოლო სამთვალა რობოტი თვალის დაუხამხამებლად აკვირდებოდა მეგობრებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი XIII

მოძღვარი დედამიწას გარდამავალი ეპოქის ქაოსში მოევლინა, როცა გალაქტიკური იმპერია განადგურების პირას იყო მისული და უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მაგრამ ვარსკვლავებს შორის კავშირი ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაწყვეტილიყო. მოძღვარი ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელი გახლდათ, თუმცა მისი სამშობლო შვიდი მზის გარშემო მბრუნავ ერთ-ერთ პლანეტაზე მდებარეობდა. მშობლიური სამყაროს დატოვება ადრეულ ახალგაზრდობაში მოუწია, და იმ ავადსახსნებელი დღეების მოგონება მთელი ცხოვრების განმავობაში მოსვენებას არ აძლევდა. მშობლიური მხარიდან განდევნაში ვერაგ მტრებს ადანაშაულებდა, მაგრამ სინამდვილეში განუკურნებელი სენით იტანჯებოდა, რომელიც, სავარაუდოდ, სამყაროს ყველა გონიერი რასიდან მხოლოდ ჰომო საპიენსის წარმომადგენლებს თუ დაერეოდა. მის დაავადებას რელიგიური მანია ერქვა.

კაცობრიობის ისტორიის ადრეული სტადიის განმავლობაში სამყარომ აურაცხელი რაოდენობის წინასწარმეტყველი, ნათელმხილველი, მესია და ევანგელისტი წარმოშვა, რომლებიც საკუთარ თავსა და მიმდევრებსაც დაჟინებით არწმუნებდნენ, რომ სამყაროს დიადი საიდუმლოებანი მხოლოდ მათ ხელეწიფებოდათ. ზოგიერთმა მათგანმა იმდენად მყარი რელიგიური მოძღვრების ჩამოყალიბება შეძლო, რომ საუკუნეებს გაუძლო და მილიარდობით ადამიანზე მოახდინა ზემოქმედება; დანარჩენები მათი შემქმნელების სიცოცხლეშივე დაივიწყეს.

მეცნიერების აღმასვლამ, რომელიც მონოტონური თანმიმდევრობით, განუწყვეტლივ აბათილებდა წინასწარმეტყველების კოსმოლოგიებს და ისეთ სასწაულებს ახდენდა, რომელიც ამ ცრუ მესიებს არც დაესიზმრებოდა, საბოლოოდ სძლია რელიგიას და რწმენის უამრავი ნაირსახეობანი ნაცარტუტად აქცია, მაგრამ ენით აუწერელი კრძალვის, მოშიშების, მოწიწებისა და საკუთარი უსუსურობის შეგრძნების განადგურება, რომელსაც გონიერი არსებანი განიცდიდნენ, როდესაც მათ სამშობლოდ წოდებული უზარმაზარი და გასაოცარი სამყაროს საოცრებებს ჭვრეტდნენ, მაინც ვერ შეძლო. მეცნიერებამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ აურაცხელი რელიგიები ნელ-ნელა შეასუსტა და ბოლოს და ბოლოს გააცამტვერა. თითოეული ამ რელიგიათაგანი წარმოუდგენელი მედიდურობითა და ამპარტავნობით აცხადებდა, რომ ჭეშმარიტი სიმართლის ერთადერთი მღაღადებელი გახლდათ და მილინობით მეტოქეებსა და წინამორბედებს ცრუ რწმენის მსხვერპლებად რაცხავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ცივილიზაციის განვითარების ელემენტარულ დონეს მიაღწია რელიგიამ რეალური ძალაუფლება დაკარგა, საუკუნეების განმავლობაში ცალკეული კულტები მაინც აღმოცენდებოდნენ ხოლმე და ფანტასტიკური მოძღვრების მიუხედავად, ყოველთვის ახერხებნენ გარკვეული რაოდენობის მიმდევრების მოზიდვას. განსაკუთრებული ძალით რელიგიური ფანტიზმი მღელვარებისა და არეულობის პერიოდში ყვაოდა. გასაკვირიც არ იყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ გარდამავალმა საუკუნეებმა წარმოუდგენელი უგუნურობისა და ირაციონალიზმის აღზევებას შეუწყო ხელი. როცა რეალობა თრგუნავდა, ხალხი ყოველთვის მითებით ინუგეშებდა თავს.

მოძღვარს, საკუთარი ქვეყნიდან განდევნის მიუხედავად, ცარიელ-ტარიელს მაინც არ დაუტოვებია იქაურობა. შვიდი მზე გალაქტიკური ძალაუფლებისა და მეცნიერების ცენტრს წარმოადგენდა, მას კიდევ, როგორც ჩანდა, საკმაოდ გავლენიანი მეგობრებიც ჰყავდა. უნებლიე მოგზაურობა პატარა, მაგრამ ჩქაროსნულ ხომალდით დაიწყო, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფმავალ კოსმოსურ ხომალდად ითვლებოდა. გადასახლებაში კიდევ ერთი საოცრება, გალაქტიკური მეცნიერების სრულყოფილი ნიმუში, წაიყვანა – რობოტი, რომელიც ამ წუთას ელვინსა და ჰილვარს დაჰყურებდა.

მანქანის ნიჭი და შესაძლებლობანი ბოლომდე ჯერ ვერავის აღმოეჩინდა და შეესწავლა. გარკვეულ წილად, რობოტი მოძღვრის 'ალტერ ეგოსაც' წარმოადგენდა. რობოტი რომ არა, მისი სიკვდილის შემდეგ, დიდებულების მოძღვრებაც ალბათ დავიწყებას მიეცემოდა. ერთად ტკეპნიდნენ ზეციური ღრუბლების ზიგზაგისებრ ბილიკებს, რომელმაც საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, არა შემთხვევით, არამედ გამიზნულად, სწორედ იმ სამყაროში მიიყვანა, საიდანაც მოძღვრის წინაპრები წარმოიშვნენ.

ამ მოვლენას აურაცხელი ტომი მიეძღვნა, თითოეულმა ნაშრომმა უამრავი კომენტატორი შთააგონა, რასაც შედეგად, ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, იმდენი გამოხმაურება მოჰყვა, რომ ორიგინალური ვერსიები განმარტებებისა და ანოტაციების მთამ შთანთქა. მოძღვარი უამრავ სამყაროს სწვევია სტუმრად და სხვადასხვა რასებს შორის ბევრი მიმდევარი გაუჩენია. იმდენად ძლიერი და გავლენიანი პიროვნება ყოფილა, რომ ადამიანებსაც და არა-ადამიანებსაც ერთნაირად ნაყოფიერად შთააგონებდა; ასე ფართოდ გავრცელებული მოძღვრება, უდავოდ, წმინდა და ღირსეულ საფუძველს ემყარებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამდენი მიმდევარი არ გამოუჩნდებოდა. შესაძლოა, მოძღვარი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული, ასევე უკანასკნელი, მესია გახლდათ. მის არც ერთ წინამორბედს არ მოუქცევია ამდენი არსება და არც ერთი მათგანის მოძღვრებას არ გადაულახავს დროისა და სივრცის ასეთი უფსკრულები.

ელვინი და ჰილვარი მიახლოებითაც ვერ გარკვეულიყვნენ, ზუსტად რაში მდგომარეობდა მოძღვრების არსი. უზარმაზარი პოლიპი ყველა ღონეს მიმართავდა, რათა მათთვის ამ სწავლების შინაარსი აეხსნა, მაგრამ მეგობრებს მისი სიტყვების დიდი ნაწილი არ ესმოდათ, თან ისე ხშირად და ისეთი სწრაფი, მექანიკური მანერით იმეორებდა ცალკეულ წინადადებებს და ზოგჯერ მთლიან აბზაცებსაც, რომ აზრის გამოტანა ძალიან ჭირდა. ბოლოს და ბოლოს ჰილვარმა შეძლო საუბარი ამ უაზრო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თეოლოგიური ჭაობიდან გამოეყვანა და რობოტი იძულებული გაეხადა, ყურადღება უფრო კონკრეტულ და უტყუარ მოვლენებზე გაემახვილბინა.

მოძღვარი თავის რამდენიმე უერთგულეს მიმდევართან ერთად დედამიწაზე ქალაქების გადაშენებამდე ჩამოვიდა, მაშინ როცა დიასპარის კარიბჭე ვარსკვლავებიდან მოსულებისთვის ჯერ კიდევ ხსნილი იყო. ისინი, დედამიწას სავარაუდოდ, სხვადასხვა სახის კოსმოსური ხომალდით ესტუმრნენ; პოლიპები, მაგალითად, იმ ზღვის წყლებით სავსე ხომალდებით მგზავრობდნენ, რომელიც მათ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს წარმოადგენდა. არავინ იცის, როგორ შეხვდნენ დედამიწაზე ახალ მოსულებს; ყოველ შემთხვევაში, მათ მოძღვრებას აშკარა, მძაფრი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, და მცირედი ხეტიალის შემდეგ საბოლოო თავშესაფარი ლისის უსიერ ტყეებსა და მთებში ჰპოვეს.

ხანგრძლივი ცხოვრების მიწურულს მოძღვარს ფიქრები ისევ მშობლიური მიწისკენ მიემართა, საიდანაც მრავალი წლის წინ განდევნეს, და მეგობრებს სთხოვა, გაშლილ სივრცეში, სუფთა ჰაერზე გამოეყვანათ, რათა ვარკვლავებისთვის შეევლო თვალი. მოძღვარი შვიდი მზის კულმინაციას დაელოდა და როცა მისი სიცოცხლე უკანასნელ წუთებს ითვლიდა, ხანგრძლივ მონოლოგს შეუდგა. დიდი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ბუტბუტებდა სიტყვებს, რომლებიც მომავალ ათასწლეულებში კიდევ უფრო მეტი ადამიანის შთაგონების წყარო გახდა. ხშირად ახსენებდა „ძლევამოსილებს“, რომელთაც სივრცისა და მატერიის სამყარო დაეტოვებინათ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უთუოდ დაბრუნდებოდნენ, და თავის მიმდევრებს ანდერძად უბარებდა, ამ ადგილს არ მოშორებოდნენ და მათ მოსვლას დალოდებოდნენ. ეს საღ აზრზე მყოფი მოძღვრის ბოლო სიტყვები გახლდათ, ამის შემდეგ აზროვნება დაკარგა და ირგვლივ მომხდარ მოვლენებს ვეღარ აცნობიერებდა, მაგრამ აღსასრულამდე ერთი ფრაზა წარმოთქვა, რომელიც საუკუნეების შემდეგაც არ ასვენებდა მათ, ვისაც ეს სიტყვები ჩაესმა: „რა საოცარია მარადიული სინათლის პლანეტების ფერადი ჩრდილების ჭვრეტა,“ და აღესრულა.

მოძღვრის სიკვდილის შემდეგ მისი მიმდევრების უმეტესობა სექტას გამოეყო და მისი სწავლება უარყო, მაგრამ რაღაც ნაწილი მოძღვრების ერთგული დარჩა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში სრულყოფდა. თავდაპირველად ეგონათ, რომ „ძლევამოსილები“, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, მალე გამოჩნდებოდნენ, მაგრამ ათასწლეულების განმავლობაში მათი მოსვლის იმედი ნელ-ნელა გაქრა. ამ ადგილას ნაამბობი იმდენად ჩაიხლართა, რომ სიმართლისა და გამოგონილის გარჩევა ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან გაჭირდა. ელვინმა ბუნდოვნად წარმოიდგინა ფანატიკოს მიმდევართა მთელი თაობები, რომლებიც მორჩილად ელოდნენ გრანდიოზულ შემთხვევას, რომლის არც მნიშვნელობა ესმოდათ და არც ის იცოდნენ, როდის დადგებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძლევამოსილები არ გამოჩენილან. დროთა განმავლობაში მიმდინარეობამ ძალა დაკარგა, ხოლო სიკვდილი და იმედგაცრუება მისი მიმდევრების რიცხვს თანადათან ამცირებდა. პირველი ის ადამიანები დაიღუპნენ, ვინც ხანმოკლე სიცოცხლით იყვნენ დაჯილდოვებული, და რაოდენ ირონიულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ადამიანი წინასწარმეტყველის უკანასკნელი მიმდევარი ადამიანებისგან აბსოლუტურად განსხვავებული არსება აღმოჩნდა.

უზარმაზარი პოლიპი მოძღვრის უკანასკნელი მიმდევარი ერთი ძალიან მარტივი მიზეზის გამო გახდა. უკვდავი იყო. მისი სხეულის შემადგენელი მილიარდობით ინდივიდუალური უჯრედი კვდებოდა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, დაზიანებული და ძველი ქსოვილები რეპროდუქციას ახდენდნენ. ხანგრძლივი ინტერვალების შემდეგ, მონსტრი პერიოდულად უთვალავ ცალკეულ უჯრედად იშლებოდა, რომლებიც დამოუკიდებლად აგრძელებდნენ არსებობას და დაყოფით მრავლდებოდნენ, თუკი სასურველი გარემო შეხვდებოდათ და შესაფერისი პირობები შეექმნებოდათ. ამ ფაზის განმავლობაში პოლიპი უბრალოდ არ არსებობდა, როგორც გონიერი, ინტელექტუალური ქმნილება – და ელვინს ძალაუნებურად ქალაქის მეხსიერების რეზერვუარებში გამოკეტილი დიასპარელები გაახსენდა, მორჩილად რომ ელოდებოდნენ მძინარე საუკუნეების გასვლას.

როცა დრო დადგებოდა, რაღაც იდუმალი ბიოლოგიური ძალა ისევ გააერთიანებდა მიმოფანტულ კომპონენტებს და პოლიპისთვის არსებობის ახალი ციკლი დაიწყებოდა. მონსტრი გონებას და ინტელექტს დაიბრუნებდა და თავისი წინა ცხოვრების მოგონებებსაც გაიხსენებდა, თუმცა ზოგჯერ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან შემთხვევითი ზემოქმედების შედეგად მეხსიერების ყველაზე მგრძნობიარე სტრუქტურის მატარებელი უჯრედები ზიანდებოდა.

ალბათ ვერც ერთი სხვა ცოცხალი ორგანიზმი ვერ შეინარჩუნებდა რწმენას მილიარდი წლის წინათ მივიწყებული მოძღვრებისადმი. გარკვეულ წილად პოლიპი თავისი ბიოლოგიური ბუნების უმწეო მსხვერპლად იქცა. თავისი უკვდავების გამო საკუთარი სტრუქტურის შეცვლა არ შეეძლო და იძულებული იყო, მუდმივად უცვლელ ხატების რეპროდუქციას დაჯერებოდა.

განვითარების შემდგომ სტადიებზე რწმენა შვიდი მზის თაყვანისცემასთან იქნა გაიგივებული. როცა აღმოჩნდა, რომ „ძლევამოსილების“ ჯიუტად აცხადებდნენ უარს გამოჩენაზე, გადაწყვიტეს მათი შორეული სამყოფელისთვის ხმა მიეწვდინათ. დიდი ხანია უკვე ამ სიგნალების გაგზავნა უაზრო და უშედეგო რიტუალად ქცეულიყო, რომლის შესრულებასაც გულმოდგინედ განაგრძობდა ცხოველი, რომელსაც ახლის შესწავლის უნარი დაეკარგა, და რობოტი, რომელსაც სიტყვა ‘დავიწყების’ არსი არასოდეს სცოდნია.

როდესაც უძველესი ხმა ჩაწყნარდა და გარშემო სიჩუმე ჩამოწვა, ელვინს სიბრალულის ტალღა შემოაწვა. უაზრო თავდადება, ცარიელი სიტყვებისადმი ფუჭი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთგულება, რომელმაც მნათობებსა და პლანეტებს გაუძლო და მათზე უფრო დღეგრძელი აღმოჩნდა – მსგავს წარმოუდგენელ ისტორიას ვერც დაიჯერებდა, საკუთარი თვალით რომ არ ენახა მისი უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი. უმეცრების შეგრძნება ახლა ყველაზე მეტად დამთრგუნველი და სევდის მომგვრელი აღმოჩნდა. რაღაც წამით თითქოს წარსულის პაწაწინა მონაკვეთი განათდა, მაგრამ მალე ისევ ბნელმა მოიცვა.

სამყაროს ისტორია ალბათ უამრავი ასეთი დანაწევრებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ისტორიისგან შედგებოდა და ვინ იცის, რომელი მათგანია მნიშვნელოვანი და რომელი – უმნიშვნელო. მოძღვრისა და დიდებული ადამიანების ფანტასტიკური ამბავიც განთიადის ცივილიზაციების დროიდან სასწაულად შემორჩენილ აურაცხელ ლეგენდათაგან ერთ-ერთს ჰგავდა. თუმცა უზარმაზარი პოლიპისა და მშვიდად მომზირალი, უტყვი რობოტის არსებობა საწინააღდეგოზე მიუთითებდა. ელვინმა ისტორია სარწმუნოდ მიიჩნია და გამორიცხა, რომ ლეგენდა სიგიჟესა და თავის მოტყუებაზე დაფუძნებული უბრალო გამოგონება შეიძლებოდა ყოფილიყო.

საინტერესოა, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან საოცარ პარტნიორებს, რომლებიც ურთიერთობას საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ელვინი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ორიდან რობოტს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მანქანა მოძღვრის მესაიდუმლედ ითვლებოდა და ყველა მისი საიდუმლოება ეცოდინებოდა.

ელვინმა იდუმელებით სავსე მანქანას შეხედა, რომელიც დაჟინებით აგრძელებდა მის შესწავლას. რატომ არ იღებდა ხმას? რა ფიქრები ტრიალებდა ნეტავ მის რთულ და, შესაძლებელია, უცხოპლანეტური წარმოშობის გონებაში? თუმცა თუ მანქანა მოძღვრის მითითებების შესასრულებლად შეექმნათ, მაშინ აბსოლუტურად უცხო გონება არ ექნებოდა და ადამიანის ბრძანებებსაც უნდა დამორჩილებოდა.

ელვინი ყველა შესაძლო საიდუმლოზე ფიქრობდა, რომელსაც, სავარაუდოდ, უდრეკი და უტყვი რობოტი ფლობდა და დაუოკებელი და სიხარბეში გარდამავალი ცნობისმოყვერეობით ივსებოდა. რა უსამართლობაა, რომ ასეთი დიადი, თუმცა ხალხისთვის და სამყაროსთვის მიუწვდომელი, ცოდნა ტყუილად ცდებოდა; აქ ისეთი სასწაული იმალებოდა, რომელიც დიასპარის ცენტრალური კომპიუტერსაც კი გააკვირვებდა.

„რატომ არ გველაპარაკება შენი რობოტი?“ – ელვინმა დრო იხელთა და პოლიპს ჰკითხა, როცა ჰილვარს მოულოდნელად ამოეწურა კითხვები. პასუხი ისეთი მიიღო, როგორსაც მოელოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მოძღვარს არ სურდა, რომ რობოტს მისი ხმის გარდა, სხვა ხმისთვის გაეცა პასუხი, მოძღვრის ხმა კი სდუმს.“

„შენ დაგემორჩილება?“

„კი; მოძღვარმა ეს საქმე ჩვენ მოგვანდო. რობოტის თვალებით ვიხედებით, სადაც არ უნდა წავიდეს. მექანიზმებს ადევნებს თვალს, რომლებიც ამ ტბას იცავენ და წყლის სისუფთავეზე ზრუნავენ. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, მისთვის პარტნიორი გვეწოდებინა და არა მსახური.“

ელვინი პოლიპის სიტყვებს დაუფიქრდა. გონებაში ბუნდოვანმა, ჯერ კიდევ ნახევრად ფორმირებულმა აზრმა დაიწყო ჩამოყალიბება, რომლის წარმოშობაც, შესაძლებელია, ცოდნისა და ძალაუფლების წყურვილმა და მისწრაფებამ განაპირობა; როცა შემდეგ ამ მომენტს იხსნენებდა, ვერაფრით გაეგო, რა მოტივაციით ხელმძღვანელობდა. ალბათ ძირითადად ეგოისტური მიზნები ამოძრავებდა, რომელიც გარკვეულ წილად თანაგრძნობასაც შეიცავდა. თუ შეძლებდა, უნდოდა, მოვლენათა უაზრო, მონოტონური თანმიმდევრობა დაერღვია და ეს ორი არსება ამ ფანტასტიკური ბედისგან ეხსნა. პოლიპზე დარწმუნებით ვერაფერს იტყოდა, მაგრამ რობოტის სიგიჟისგან და ფანატიზმისგან განკურნება ჯერ კიდევ შეეძლო, რაც ამავე დროს მისი ფასდაუდებელი, მაგრამ საგულდაგულოდ ჩაკეტილი მეხსიერების განთავისუფლების საშუალებას მისცემდა.

„დარწმუნებული ხარ, - წარმოთქვა მან ნელა, თითქოს და პოლიპს ელაპარაკებოდა, სინამდვილეში კი რობოტს მიმართავდა, - რომ თქვენი აქ ყოფნით მოძღვრის ნებას ასრულებთ? მოძღვარს სურდა, რომ მისი სწავლების შესახებ მსოფლიოს გაეგო, მაგრამ ეს ცოდნა იკარგება, რადგან შალმარინის კედლებში ჩაკეტილხართ და კაცობრიობას ამ უნიკალურ მოძღვრებას უმალავთ. ჩვენც შემთხვევით აღმოგაჩინეთ, წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენ ადამიანის ენდომება დიდებული ადამიანების რწმენის გაზირება.“

ჰილვარმა სწრაფი მზერა შეავლო ელვინს, აშკარად ვერ მიუხვდა მეგობარს განზრახვას. პოლიპი აღელვებული ჩანდა, მისი სასუნთქი აპარატის მუდმივი, სტაბილური პულსირება რამდენიმე წამით შეჩერდა. შემდეგ პასუხიც გაისმა, პოლიპი ცდილობდა, აღელვება არ შეემჩნია და სიმშვიდე შეენარჩუნებინა: „ამ საკითხს მრავალი წელია განვიხილავთ. მაგრამ რადგან შალმარინიდან წასვლა არ შეგვიძლია, ამიტომ მსოფლიო თვითონ უნდა გვეახლოს, რამდენი ხანიც არ უნდა დაგვჭირდეს ლოდინი.“

„უკეთეს აზრს შემოგთავაზებთ, - მოუთმენლად წარმოთქვა ელვინმა. – შეიძლება მართლა არ გაქვს უფლება ტბიდან ფეხი მოიცვალო, მაგრამ შენს თანამგზავრს ხომ შეუძლია, გამოგვყვეს? პირობას გაძლევთ, რომ როცა მოისურვებს, ან როცა დაგჭირდება, თავისუფლად შეძლებს დაბრუნებას. მოძღვრის სიკვდილის შემდეგ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უამრავი რამ შეიცვალა. ამ ცვლილებების შესახებ აუცილებლად უნდა შეიტყოთ, მაგრამ თუ აქაურობას არ გაეცალეთ, ვერასოდეს გაიგებთ.“

რობოტი არ განძრეულა, მაგრამ გაუბედაობისა და ყოყმანის აგონიაში მყოფმა პოლიპმა ტბაში ჩაყვინთა და რამდენიმე წუთის განმავლობაში წყლის ზედაპირზე არ გამოჩენილა. ალბათ მასსა და მის თანამოსაუბრეს შორის უხმო კამათი მიმდინარეობდა; პოლიპმა რამდენჯერმე დააპირა ამოყვინთვა, ზედაპირისკენ ამოტივტიდა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა და ისევ გაუჩინარდა. ჰილვარმა შემთხვევით ისარგებლა და ელვინს გადაულაპარაკა.

„საინტერესოა, რა ჩაიფიქრე, - ჰკითხა მეგობარს ჩუმი ხმით, ხუმრობანარევი სერიოზულობით. – თუ შენ თვითონაც არ იცი?“

„დარწმუნებული ვარ, - უპასუხა ელვინმა, - ვიცი, ეს საწყალი არსებები შენც ძალიან გეცოდება. მათი გადარჩენა ხომ ნამდვილად კეთილი საქმე იქნებოდა? ასე არ ფიქრობ?“

„მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ იმდენად კარგად გაგიცანი, რომ ვიცი, ალტრუიზმი შენთვის დიდად დამახასიათებელი თვისებაა არაა, უთუოდ სხვა მიზანი უნდა გამოძრავებდეს.“

ელვინმა ნაღვლანად გაიღიმა. თუ ჰილვარს მისი გონების კითხვა არ შეეძლო, – ელვინს ამაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ ჰქონდა – მისი ხასიათის გაშიფვრა მაინც ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

„შენი ხალხი არაჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობებით არის დაჯილდოებული, - მიუგო ელვინმა, თან ცდილობდა, საუბრისთვის ნაკლებად სახიფათო მიმართულება მიეცა. – მე ვფიქრობ, თუ ამ ცხოველს ვერაფერს უშველიდნენ, რობოტს მაინც იხსნიდნენ.“ ელვინი ჩუმად ლაპარაკობდა, იმის შიშით, რომ არავის გაეგონა მისი ნათქვამი. ასეთი სიფრთხილე შეიძლება არც იყო საჭირო, მაგრამ თუ რობოტს მაინც ესმოდა მათი საუბარი, არაფერს იმჩნევდა.

საბედნიეროდ, სანამ ჰილვარი დაკითხვას განაგრძობდა, პოლიპი კიდევ ერთხელ ამოტივტივდა ტბის ზედაპირზე. ამ რამდენიმე წუთში მისი სხეული საგრძნობლად დაპატარავებულიყო და მოძრაობები უფრო მეტი სიტლანქით გამოირჩეოდა. ელვინის თვალწინ უზარმაზარი არსების რთულ, ნახევრად გამჭვირვალე სხეულს პატარა ნაწილი გამოეყო და მაშინვე უამრავ პაწაწინა სეგმენტად დაიშალა, რომლებიც მომენტალურად გაუჩინარდნენ წყლის ზედაპირიდან. არსება მათ თვალწინ იწყებდა დაშლას.

როცა პოლიპმა დაილაპარაკა, მის ხმას მერყეობა შეპარვოდა და სიტყვების გარჩევა ძალიან ჭირდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მორიგი ციკლი იწყება, - წამოიძახა მთრთოლვარე ჩურჩულოთ. – ასე მალე არ ველოდი – მხოლოდ რამდენიმე წუთიღა დარჩა – მიმდინარეობს ძალზედ ძლიერი რეაქცია – ცოტაც და დავიშლები.“

ელვინი და ჰილვარი გაოცებული და შიშნარევი თვალებით მისჩერებოდნენ არსებას. მიუხედავად იმისა, რომ სავდებით ბუნებრივ მოვლენას აკვირდებოდნენ, მაინც ადვილი საქმე არ გახლდათ სასიკვდილო აგონიის მდგომარეობაში მყოფი გონიერი ქმნილების ცქერა. გარკვეულ წილად დანაშაულის მსუბუქი გრძნობაც აწუხებდათ, თუმცა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როდის დაიწყებოდა პოლიპის მორიგი გარდაუვალი ციკლი. უბრალოდ ხვდებოდნენ, რომ ეს ნაადრევი მეტამორფოზა გადაჭარბებულმა აქტიურობამ, დაძაბულობამ და ემოციურმა დატვირთვამ გამოიწვია, ამას კი მათმა გამოჩენამ შეუწყო ხელი.

ელვინი მიხდა, რომ სწრაფად უნდა ემოქმედა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებდა – შეიძლება რამდენიმე წლით, შეიძლება რამდენიმე საუკუნითაც.

„რა გადაწყვიტეთ? – იკითხა მოუთმენლად ელვინმა. – რობოტი ჩვენთან ერთად მოდის?“

მტანჯველი პაუზის განმავლობაში პოლიპი დაჟინებით ცდილობდა, საკუთარი, დაშლის პირას მისული, ნახევრად დანაწევრებული სხეული ნებას დაემორჩილებინა. მეტყველების დიაფრაგმა შეირხა, მაგრამ არავითარი ხმოვანი ბგერა არ გამოუცია. შემდეგ, თითქოს სასოწარკვეთილი დამშვიდობების ჟესტით, არსებამ თავისი ნაზი საცეცები ოდნავ დააქნია. საცეცები სხეულს სწრაფად მოსწყდნენ, წყალში ჩაცვივდნენ და ტბის ზედაპირზე იწყეს ტივტივი. რამდენიმე წუთში ტრანსფორმაციის პროცესიც დასრულდა. ვეებერთელა არსებისგან მხოლოდ რამდენიმე დუიმის დიამეტრის სეგმენტებიღა დარჩა. წყლის ზედაპირი პაწაწინა მომწვანო ფერის ცოცხალი და საკუთარი ძალებით გადაადგილების უნარის მქონე წერტილებით გაივსო, რომლებიც ტბის სივრცეში მომენტალურად გაითქვიფნენ.

ჭავლი წყლის ზედაპირზე მთლიანად ჩაცხრა, ტბა დაწყნარდა და ელვინი მიხვდა, რომ სიღრმიდან მომავალი სტაბილური და რითმული პულსის ცემაც მალე შეჩერდებოდა. ეგონა, თითქოს ტბა ჩაკვდა. მაგრამ ეს მოჩვენებითი სიმშვიდე გახლდათ, ერთ მშვენიერ დღეს ამოუცნობი ძალები, რომლებიც თავიანთ მოვალეობას დაუღალავად და ყოველთვის წარმატებით ასრულებდნენ, ისევ იჩენდნენ თავს, ძალისხმევას არ დაიშურებდბებ და პოლიპიც ხელახლა წარმოიშობოდა. ეს თავის თავად უჩვეულო და გასაოცარი ფენომენი გახლდათ, მაგრამ ადამიანის სხეულის აგებულებაზე – ცალკეული ცოცხალი უჯრედების უზარმაზარ კოლონიაზე – უფრო საოცარი რა უნდა ყოფილიყო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინს ამგვარ მსჯელობასა და ვარაუდებზე დრო აღარ დაუკარგავს. დამთრგუნველ წარუმატებლობის შეგრძნებას მაინც ვერ გაექცა, მიუხედავად იმისა, რომ მიზანი არც დაუსახავს და თავიდანვე ნათლად ვერ გაეცნობიერებინა, რის მიღწევას ცდილობდა. ფაქტია, რომ ხელიდან შესანიშნავი შესაძლებლობა გაუშვა და არავინ იცის, ასეთი შანსი კიდევ როდის ჩაუვარდებოდა. ტბის ზედაპირს ნაღვლიანად გაჰყურებდა და მხოლოდ მოგვიანებით გაათვიცნობიერა, რასაც ეჩურჩულებოდა ჰილვარი ყურში.

„ელვინ, - ფრთხილად მოახსენა მეგობარმა. – მე მგონი, საწადელს მიაღწიე.“

ელვინი მკვეთად შემოტრიალდა და დაინახა, რომ რობოტი, რომელიც აქამდე შორიახლოს ტივტივებდა განმარტოვებით და ოც ფუტზე ახლოს არც მიჰკარებია, უხმად დაძრულიყო ადგილიდან, მიპარვოდა და მათ თავთან რანმედინე იარდში ჰაერში ჩამოკონწიალებულიყო. ფართო თვალსაწიერის მქონე, უმოძრაო თვალებში რობოტს ვერ შეატყობდით, მზერა საით მიემართა, რა წარმოადგენდა მის ინტერესის საგანს. შეიძლება რობოტი თვალწინ გაშლილ მთლიან ნახევარ სფეროს მკაფიოდ, თანაბარი სიმკვეთრით აღიქვამდა, მაგრამ ელვინს რატომღაც ეგონა, რომ რობოტს ყურადღება სწორედ მასზე მიეჯაჭვა.

რობოტი ელვინის შემდგომ ნაბიჯს ელოდა. გარკვეულ წილად ახლა რობოტს აკონტროლებდა კიდევაც. შეიძლება ლისამდეც გაჰყოლოდა, ან თუნდაც დიასპარამდე – თუ არ გადაიფიქრებდა, რა თქმა უნდა. მაგრამ მანამდე მისი დროებითი პატრონი ელვინი გახლდათ.

თავი XIV

ერლიში მისასვლელად თითქმის სამი დღე დასჭირდათ – ნაწილობრივ იმიტომ, რომ ელვინი, საკუთარი მიზეზებიდან გამომდინარე, სულაც არ ჩქარობდა დაბრუნებას. ლისის დათვალიერებამ და კვლევამ მეორე პლანზე გადაინაცვლა და ადგილი უფრო მნიშვნელოვან და საინტერესო საქმიანობას დაუთმო; ნელ-ნელა ეცნობოდა რობოტს და საერთო ენას პოულობდა ამ უცნაურ, გადაჭარბებულ ინტელექტის მქონე არსებასთან, რომელიც ამიერიდან მისი მეგზური გახდა.

ელვინი ეჭვობდა, რომ რობოტი მისი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობდა, რაც ამ შემთხვევაში, უდავოდ, პოეტური სამართლის გამოხატულება იქნებოდა. ელვინი დარწმუნებით ვერასდროს იტყოდა, რობოტს რა მისწრაფებები ამოძრავებდა, რადგან მასთან დალაპარაკებაზე ისევ ჯიუტად აცხადებდა უარს. კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, - ალბათ შიშის გამო, რომ რობოტს საჭიროზე მეტი საიდუმლოება არ გაეთქვა – მოძღავმა მისი საარტიკულაციო ბაზისის განსაზღვრული სქემები საგულდაგულოდ დაბლოკა, და ელვინის აკრძალვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხსნის მცდელობები აბსოლუტური წარუმატებლობით მთავრდებოდა. არც ამ ტიპის დაკითხვა ჭრიდა: „თუ არაფერს იტყვი, ვივარაუდებ, რომ მეთანხმები“; რობოტი საკმაოდ ჭკვიანი არსება იყო და ასეთ მარტივ ხრიკზე ნამდვილად არ წამოეგებოდა.

სხვა მრივ რობოტი თანამშრომლობის სრულ მზადყოფნას გამოხატავდა. ხალისით თანხმდებოდა ისეთი ბრძანებების შესრულებას, რომელიც ლაპარაკსა და კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნებას არ ითვალისწინებდა. მცირე ხნის შემდეგ ელვინმა აღმოაჩინა, რომ რობოტი ემორჩილებოდა, დიასპარის რობოტების მსგავსად, მისი მარტოოდენ ფიქრისა და გონების მეშვეობით მართვა შეეძლო, რაც უზარმაზარ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. სულ მალე არსებას – ძნელ იყო მისი როგორც მხოლოდ მანქანის აღქმა – დაძაბულობა ნაწილობრივ მოეხსნა და მოეშვა, ელვინს საშუალება მისცა მისი თვალებით შეეხედა არემარესთვის. როგორც ჩანდა, ასეთი პასიური კომუნიკაციის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი საქმე უფრო ახლო კონტაქტზე მივიდოდა, მაშინვე ბლოკავდა ყველანაირ მცდელობებს.

ჰილვარს რობოტი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, თითქოს არც არსებობდა; მისი არც ერთი ბრძანება არ შეუსრულებია, რობოტის გონება მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჰილვარის კონტაქტში შესვლის ყველა მცდელობას. ელვინს თავიდან გული სწყდებოდა, რადგან ეგონა, რომ ჰილვარის უდიდესი გონებრივი შესაძლებლობანი ფარული მეხსიერების საგანძურის გახსნაში დაეხმარებოდა. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა ისეთი მსახურის უპირატესობას, რომელიც მარტოოდენ მის ბრძანებებს ემორჩილებოდა.

რობოტის მეგზურობამ ექსპედიციის მესამე წევრის მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია – კრიფის. ალბათ საკუთარ მეტოქედ წარმოიდგინა, ან უბრალოდ, ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არ ენდობოდა ისეთ არსებებს, რომლებიც ფრთების გარეშე დაფრინავდნენ. როცა არავინ უყურებდა, ერთი ორჯერ დრო იხელთა და რობოტზე პირდაპირი იერიში მიიტანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კრიფის შეტევებს აბსოლუტურად არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თავისი გულგრილობით უფრო გააცოფა გიგანტური მწერი. საბოლოოდ, ჰილვარმა მისი დამშვიდება და დაყოლიება შეძლო, და კრიფიც იძულებული გახდა, მდგომარეობას შეგუებოდა და სახლისკენ მიმავალი მთელი გზა მშვიდად გაევლო. კრიფი რობოტთან ერთად მორჩილად მიაცილებდა გლაიდერს, რომელიც უხმოდ მიცურავდა ტყეებისა და მინდვრებზე. ორივე მათგანი პატრონს გვერდიდან არ შორდებოდა და თავს ისე ეჭირა, თითქოს მეტოქეს ვერც ხედავდა.

როცა მანაქანა ერლიში შეცურდა, სერანისი უკვე შესასვლელთან ელოდებოდა. შეუძლებელი იყო, - ფიქრობდა ელვინი, - ამ ხალხის გაოცება. ურთიერთდაკავშირებული გონება ერლის მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაფერი სცოდნოდათ, რაც კი მათ მიწაზე ხდებოდა. საინტერესოა, როგორ შეხვდნენ მის თავგადასავალს შალმარინში, რომლის შესახებაც, სავარაუდოდ, უკვე ყველამ იცოდა.

სერანისი უფრო შეწუხებული და აღელვებული ჩანდა, ვიდრე აქამდე ენახა და ელვინს მოულოდნელად გაახსენდა გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა მიეღო; ამ ბოლო რამდენიმე ემოციურად გადატვირთულმა დღემ თითქმის გადავიწყა რა არჩევანის წინაშეც დააყენეს ლისელებმა; რატომღაც არ სურდა დროისა და ენერგიის სამომავლო პრობლემებზე დახარჯვა და მათი გადაჭრა ბოლო წუთისთვის შემოინახა. მაგრამ მომავალი უკვე დადგა და ელვინს არჩევანი უნდა გაეკეთებინა ამ ორ სამყაროს შორის.

როცა სერანისმა დაილაპარაკა, მის ხმას მღელვარება ეტყობოდა და ელვინს მოულოდნელად ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს იმ გეგმის განხორციელებას, რომელსაც ლისი მასთან დაკავშირებით ისახავდა, რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. რა მოხდა ლისში მისი არ ყოფნის დროს? ნეტა შუამავლები ხომ არ გააგზავნეს დიასპარში ხედრონის გონებაზე ზემოქმედების მოსახდენად – და შეძლეს თუ არა ამის გაკეთება?

„ელვინ, - მიმართა სერანისმა, - ბევრი რამ შენთვის აქამდე არ მითქვამს, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა შეიტყო, თუ გინდა, რომ ჩვენი საქციელი გაიგო.“

„შენ უკვე იცი ჩვენს რასებს შორის იზოლაციის ერთ-ერთი მიზეზი. შიშმა დამპყრობლების წინაშე, თითოეული ადამიანის ქვეცნობიერების სიღრმეებში მიმალულმა შავბნელმა ჩრდილებმა იძულებული გახადა შენი ხალხი ზურგი შეექცია სამყაროსთვის და საკუთარ ოცნებებში ჩაძირულიყო. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი შეტევის სიმძიმე სწორედ ჩვენ კისერს დააწვა, ამ შიშს ლისში ისეთ გრანდიოზულ მასშტაბებს არასოდეს მიუღწევია, როგორც დიასპარში. ყოველთვის ნათლად ვაცნობიერებდით ჩვენს საქციელს და რაც ვაკეთებდით, მხოლოდ ფართოდ გახელილი თვალებით ვაკეთებდით.

„დიდი ხნის წინ, ელვინ, ადამიანები უკვდავებას ეძებდნენ და ბოლოს და ბოლოს იპოვეს კიდეც. გადაავიწყდათ, რომ სამყარომ, რომელიც სიკვდილზე ამბობს უარს, დაბადებაც უნდა უარყოს. სიცოცხლის უსასრულობამდე გაგრძელების შესაძლებლობამ შეიძლება მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს მოუტანოს კმაყოფილება, მაგრამ ზოგადად კაცობრიობისთვის მხოლოდ უძრაობისა და სტაგნაციის მაუწყებელია. უკვდავება საუკუნეების წინ შევწირეთ მსხვერპლად, დიასპარელები კი დღემდე ვერ ამბობთ მასზე უარს და ყალბი ოცნებებით ცხოვრობენ. აი, რატომ გაიყო ჩვენი გზები და რატომ არ უნდა შეერთდეს არასდროს.“

სერანისის სიტყვები მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მოსალოდნელი დარტყმის წინასწარ განსაზღვრა სულაც არ ამცირებს მის რეალურ ძალას. ელვინი ჯიუტად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აცხადებდა უარს დასახული გეგმების – თუმცა ბოლომდე ჩამოუყალიბებელი – ჩაშლის აღიარებაზე და ცნობიერების მხოლოდ ერთი ნაწილი უსმენდა სერანისის სიტყვებს, მის ყველა სიტყვას იგებდა და იმახსოვრებდა, მაგრამ ელვინის გონების ცნობიერი მხარე დიასპარში მიმავალი გზების აღდგენასა და ყველა შესაძლო წინაღობის განსაზღვრას ცდილობდა.

სერანისი აშკარად გულნატკენი ჩანდა. ქალის ხმაში ფარული მუდარა ისმოდა, და ელვინი მიხვდა, რომ მარტო მას კი არ მიმართავდა, არამედ ჰილვარსაც. ალბათ იცის, რომ ერთად გატარებული ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ახალგაზრდებმა მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჰილვარი გულისყურით უსმენდა დედამისს და ელვინს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მეგობრის მზერა წუხილის გარდა მცირედ გულისწყრომასა და გაკიცხვასაც გამოხატავდა.

„არ გვინდა გაიძულოთ, საკუთარი ნების საწინააღმდეგ მოიქცე, მაგრამ ალბათ აცნობიერებ, რა მოხდება, ჩვენი ხალხი რომ ისევ შეხვდეს ერთმანეთს. დიასპარისა და ლისის კულტურებს შორის ისეთივე უძირო უფსკრული დევს, როგორიც ერთ დროს დედამიწასა და მის უძველეს კოლონიებს აშორებდა ერთმანეთისგან. დაფიქრდი ამაზე, ელვინ. შენ და ჰილვარი თითქმის ტოლები ხართ, მაგრამ მასაც და მეც დიდი ხნის სიცოცხლე არ გვიწერია, შენი ახლაგაზრდობა კი კიდევ საუკუნეები გაგრძელდება. და ეს მხოლოდ დასაწყისია, წინ კიდევ მომავალი სიცოცხლეების უსასრულო ჯაჭვი გელოდება.“

ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ელვინს სოფლის იქით მინდვრებში მობინადრე უცნაური მხეცების უცხო, გულსაკლავი ხმები ესმოდა. როგორც იქნა, ჩურჩულით წარმოთქვა:

„რა გინდათ, რომ გავაკეთო, რას მოელით ჩემგან?“

„იმედი გვქონდა, რომ აქ დარჩენასა და დიასპარში დაბრუნებას შორის არჩევანის გაკეთების საშუალება მოგეცემოდა, მაგრამ ახალ უკვე გამორიცხულია. ამ მცირე ხანში იმდენი რამ მოხდა, რომ არჩევანს ვეღარ მოგანდობთ. მოკლე დროში, რაც აქ დაჰყავი, შენმა ზეგავლენამ არა ერთი უსიამოვნება მოგვიტანა. არ გეგონოს, რომ გკიცხავ; დარწმუნებული ვარ, ბოროტება გულში არ გაგივლია. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, შალმარინის ბინადრები საკუთარი ბედის ანაბარა დაგეტოვებინა, შენმა ჩარევამ სიკეთე ნამდვილად არ მოუტანა.

„დიასპარს რაც შეეხება, - სერანისმა გულისწყრომით გაიქნია ხელი. – შენი გაუჩინარების შესახებ უკვე ძალიან ბევრმა იცის. დროულად ვერ მივხედეთ ამ საკითხს. რაც ყველაზე მთავარია, ადამიანი, რომელიც ლისის აღმოჩენაში დაგეხმარა, გაქრა; მისი ასავალ-დასავალი ვერც თქვენმა საბჭომ და ვერც ჩვენმა აგენტებმა ვერ დაადგინეს, ამიტომ ხედრონი ჩვენს უსაფრთხოებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალბათ გიკვირს, ამას რომ გეუბნები, მაგრამ წინდახედულობა მალაპარაკებს. სხვა გამოსავალი არ გვაქვს; ვშიშობ, დიასპარში შენი ყალბი მოგონებებით გაგზავნა მოგვიწევს. ეს მოგონებები დიდი გულისყურით შევიმუშავეთ, და როცა სახლში დაბრუნდები, ლისის შესახებ არაფერი გემახსოვრება. დაიჯერებ, რომ მოსაწყენი და ერთფეროვანი თავგადასავლით სავსე გზა გამოიარე შავბნელ მიწისქვეშა გამოქვაბულებში, სადაც შენს ზურგს უკან განუწყვეტლივ იქცეოდა ჭერი და მხოლოდ უგემური სარეველას ჭამითა და გზა და გზა შემთხვევით აღმოცენებული ნაკადულის წყლის სმით ახერხებდი სიცოცხლის შენარჩუნებას. მთელი ცხოვრება დარწმუნებული იქნები ამ მოგზაურობის რეალობაში და ხალხიც დაიჯერებს შენი ამბის სინამდვილეს. ამგვარად, ლისი მომავალი დაუცხრომელი მკვლევარებისთვის ინტერესს დაკარგავს, რადგან ჩათვლიან, რომ ამ მხარის შესახებ ყველაფერი იციან.“

სერანისი წამით გაჩუმდა და ელვინს შეწუხებული მზერა შეავლო. „ძალიან ვწუხვართ ამის გამო, მაგრამ სხვა გზა ნამდვილად არ დაგვრჩენია და გთხოვთ, გვაპატიო, სანამ ჯერ კიდევ გახსოვართ. ჩვენს ვერდიქტს ალბათ არ დაეთანხმები, მაგრამ ბევრი ისეთი ფაქტის შესახებ ვიცით, რაც შენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, სინანული და დარდი არ შეგაწუხებს, რადგან ჩათვლი, რომ ყველაფერი აღმოაჩინე, რისი აღმოჩენაც შეიძლებოდა.“

ნუთუ სიმართლეს ამბობს – გაიფიქრა ელვინმა. ეჭვი ეპარებოდა, რომ დიასპარის ყოველდღიური, რუტინული ცხოვრებისთვის ფეხის აწყობას და ქალაქის ფერხულში ჩაბმას შეძლებდა, დარწმუნებული რომც ყოფილიყო, რომ ქალაქის კედლებს მიღმა ვერაფერს ღირებულს ვერ იხილავდა. გარდა ამისა, ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი ნამდვილად არ ჰქონდა.

„როდის აპირებთ ჩემს – დამუშავებას?“ - იკითხა ელვინმა.

„ახლავე, თუ შესაძლებელია. ჩვენ უკვე მზად ვართ. შენ მხოლოდ გონება უნდა გამიხსნა, როგორც ადრე და სანამ ისევ დიასპარში დაგაბრუნებთ, ყველაფერი დაგავიწყდება.“

ელვინი დუმდა. შემდეგ ჩუმად მიმართა სერანისს: „ჰილვართან მინდოდა დამშვიდობება.“

სერანისმა თავი დაუქნია.

„გასაგებია. კარგით, მაშინ ცოტა ხნით დაგტოვებთ და როცა ერთმანეთს გამოეთხოვებით და მზად იქნები, დავბრუნდები.“ სერანისი სახლში ჩამავალი კიბისკენ გაემართა და ახალგაზრდები სახურავზე მარტო დატოვა.

ელვინს გარკვეული ხანი ხმა არ გაუცია მეგობრისთვის; ღრმა სევდას შეეპყრო, თან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ფარ-ხმალი არ დაეყარა და უკანასკნელი იმედისთვის გაქრობის საშუალება არ მიეცა. კიდევ ერთხელ გადახედა სოფელს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადაც მცირედ ბედნიერებას ეზიარა და რომელსაც ალბათ ვერასდროს იხილავდა, თუ სერანისი და ისინი, ვინც ზურგს უკან იმალებოდნენ, თავისას გაიტანდნენ და ელვინს წაშლილი მეხსიერებით გაამგზავრებდნენ დიასპარში. გლაიდერი ისევ ეყენა ტოტებგაშლილი ხის ქვეშ, მის თავზე, ჰაერში კი მოთმინებით აღსავსე, უტყვი რობოტი დაცურავდა. უჩვეულო უცნობის სანახავად ბავშვების ჯგუფი შეგროვილიყო, მოზრდილებიდან კი რობოტის მიმართ არავინ გამოხატავდა ინტერესს.

„ჰილვარ, - მოულოდნელად წარმოთქვა ელვინმა, - ძალიან ვწუხვარ.’

„მეც, - მიუგო ჰილვარმა ემოციისგან აკანკალებული ხმით. – შენი დარჩენის იმედი მქონდა.“

„როგორ ფიქრობ, სერანისი სწორად იქცევა?“

„დედაჩემს ნუ გაამტყუნებ. რასაც სთხოვენ, იმას აკეთებს,“ - უპასუხა ჰილვარმა. თუმცა კითხვისთვის პასუხი არ გაუცია. ელვინს კითხვის გამეორება ვერ გაებედა, რადგან უსამართლობა იქნებოდა მისი მხრიდან მეგობრის ერთგულებაზე ასეთი ზეწოლის მოხდენა.

„მაშინ მითხარი, - განაგრძო მან, - როგორ შემაჩერებს შენი ხალხი, აქედან ხელუხლებელი მეხსიერებით გაღწევა რომ ვცადო?“

„ძალიან ადვილად. გაქცევა რომ სცადო, შენს გონებას დავეუფლებით და დაბრუნებას გაიძულებთ.“

ელვინი ზუსტად ასეთ პასუხს მოელოდა, მაგრამ გული მაინც დაწყდა. უნდოდა, მინდობოდა და გული გადაეშალა ჰილვარსთვის, რომელიც აშკარად განიცდიდა მოსალოდნელ განშორებას, მაგრამ ვერ გაებედა, რადგან გეგმების ჩაშლის ეშინოდა. ძალიან ფრთხილად, თითოეული დეტალის გათვალისწინებით, მოსინჯა ერთადერთი გზა, რომელიც მისთვის სასურველი პირობებითა და წაუშლელი მეხსიერებით დიასპარში მიიყვანდა.

თუმცა არსებობდა საფრთხე, რომლისთვისაც აუცილებლად უნდა გაესწორებინა თვალი და რომლის წინაშეც უძლური იყო. თუ სერანისი პირობას დაარღვევდა და მის გონებაში შეაღწევდა, მაშნ ყველა მცდელობა წყალში ჩაეყრებოდა; საგულდაგულო მზადება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა.

მეგობარს ხელი გაუწოდა, ჰილვარმა მაგრად ჩამოართვა, მაგრამ სიტყის თქმაც ვერ მოახერხა.

„დაბლა ჩავიდეთ სერანისთან, - შესთავაზა ელვინმა. – სანამ წავალ, სოფელში კიდევ რამდენიმე ადამიანის ნახვა მინდა.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰილვარი უხმოდ მიჰყვებოდა ელვინს. სახლის მშვიდი და გრილი დარბაზები გაიარეს, შემდეგ ვესტიბიულიდან გარეთ გავიდნენ ხასხასა გაზონზე, რომელიც შენობას გარს ერტყა. გარეთ სერანისი ელოდებოდა, მშვიდი და მტკიცე გამომეტყველებით. მიხვდა, რომ ელვინი რაღაცის დამალვას ცდილობდა, და მიღებულ უსაფრთხოების ზომებზე კიდევ ერთხელ დაფიქრდა. ძლიერი ფიზიკური დატვირთვის წინაშე მდგარი ადამიანის მსგავსად, რომელიც კუნთებს ავარჯიშებს, სანამ ძალას მიმართავდეს, გონებაში მოსალოდნელი იძულების ხერხები გადაალაგა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდა.

„მზად ხარ, ელვინ?“ – ჰკითხა.

„მზად ვარ,“ – მიუგო ელვინმა, მის ხმაში ისეთი მოულოდნელი ტონი გაისმა, რომ სერანისმა გამჭოლი მზერა შეავლო.

„მაშინ კარგი იქნება, თუ გონებას მთლიანად გათიშავ, როგორც ადრე გააკეთე. ამ პროცედურის დროს ვერაფერს იგრძნობ, ცნობიერება მხოლოდ დიასპარში ჩასვლისთანავე დაგიბრუნდება.“

ელვინი ჰილვარს მიუბრუნდა და სწრაფად უჩურჩულა, ისე რომ სერანისს არ გაეგო:

„ნახვამდის, ჰილვარ. არ იდარდო – დავბრუნდები.“ – შემდეგ ისევ სერანისს მიმართა.

„შენი საქციელი სრულებით არ მწყინს, - მიუგო მან. – ვიცი, დარწმუნებული ხარ, რომ საუკეთესო გამოსავალია და ასე აჯობებს, მაგრამ მე მგონი, ცდები. დიასპარი და ლისი ასე სამუდამოდ არ უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებული; ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ძალიან დასჭირდეთ ერთმანეთის დახმარება. ასე რომ, სახლში ვბრუნდები და თან ახალი შეძენილი ცოდნა მიმაქვს – და არა მგონია, ჩემი შეჩერება შეძლოთ.“

ლოდინი აღარ დაუწყია და სწორედაც მოიქცა. სერანისი ადგილიდანაც არ დაძრულა, მაგრამ მოულოდნელად იგრძნო, რომ სხეული აღარ ემორჩილებოდა. ძალა, რომელიც მის ნებას შეეჯახა, მოსალოდნელზე გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, და ელვინი მიხვდა, რომ სერანისს ალბათ ასობით ფარული გონება ეხმარებოდა, იმდენად დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ძალაგამოცლილმა თავგანწირვით სცადა, შენობაში შებრუნებულიყო, და წუთით საზარელმა აზრმა გაუელვა თავში, რომ მთელი მისი გეგმა ჩაიშალა.

შემდეგ ლითონისა და კრისტალის საგანმა გაიელვა და მეტალის ხელები გამალებით შემოეხვია და კლანჭები ჩასჭიდა. მთელი სხეულით და ძალით ებრძოდა რკინის ტორს, მაგრამ მის ძალისხმევას შედეგი არ მოუტანია. მოულოდნელად იგრძნო, როგორ გამოეცალა ფეხ ქვეშ მიწა და ელვინის მზერა მომენტალურად შეჩერდა ჰილვარზე, რომელიც ადგილზე გაქვავებულიყო და გაოცებული გამომეტყველებითა და სულელური ღიმილით მისჩერებოდა მეგობარს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობოტი დედამიწიდან ათიოდე ფუტის სიმაღლეზე მიაქროლებდა, მისი სისწრაფე მორბენალი ადამიანისას გაცილებით აღემატებოდა. სერანისი მაშინვე მიხვდა ელვინის ხრიკს და მისი გათავისუფლების თავგანწირული მცდელობა შენელდა, მას შემდეგ, რაც სერანისმა კონტროლი შეარბილა. მაგრამ ქალი ჯერ არ დამარცხებულა და უცბად მოხდა ის, რისიც ელვინს ყველაზე მეტად ეშინოდა და რასთან საბრძოლველადაც თავი შეემზადებინა.

ელვინის გონებაში ერთმანეთს ორი ცალკეული არსება ებრძოდა, და ერთ-ერთი მათგანი რობოტს ემუდარებოდა, მიწაზე დაეშვა. ნამდვილი ელვინი კი სუნთქვაშეკრული ელოდა, და მხოლოდ მცირედ წინააღმდეგობას უწევდა ძალებს, რომლის დამარცხებაც მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. უბრალოდ გარისკა; წინასწარ ვერაფრით განსაზღვრავდა, დაემორჩილებოდა თუ არა ასეთ რთულ ბრძანებებს მისი არასაიმედო მოკავშირე. არავითარ შემთხვევაში – უბრძანა რობოტს – არ დაემორჩილო ჩემს შემდგომ ბრძანებებს, სანამ უსაფრთხოდ არ ჩააღწევდნენ დიასპარში. თუ მისი მითითება შესრულდებოდა, ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ელვინმა საკუთარი ბედი იმ ძალას მიანდო, რომელიც ადამიანის ზემოქმედებას არ ექვემდებარება.

მანქანა მომენტალურად დაიძრა ადგილიდან და ელვინის მიერ საგულდაგულოდ დაგეგმილ ბილიკზე გააქროლა. გონების ერთი ნაწილი ძველებურად გაავებული ემუდარებოდა გათავისუფლებას, მაგრამ ელვინმა იცოდა, რომ უკვე სამშვიდობოს იყო და საფრთხე აღარ ემუქრებოდა. მალე სერანისიც მიხვდა ამას, რადგან მოწინააღმდეგე ძალებმა ელვინის ტვინში ერთმანეთთან ბრძოლა შეწყვიტეს. და როცა ყველაფერი დამთავრდა, ელვინმა ისევ მოიპოვა სიმშვიდე, როგორც საკუთარი გემის ანძაზე მიჯაჭვულმა უძველესმა მოგზაურმა, რომელიც დარწმუნდა, რომ ღვინისფერი ზღვის სივრცეში გაფანტული სირინოზების სიმღერის ხმა ნელ-ნელა წყდებოდა.

თავი XV

სანამ ისევ მოძრავი ტროტუარების დარბაზში არ აღმოჩნდა, ელვინი ვერ დამშვიდდა. ჯერ კიდევ არსებობდა იმის საფრთხე, რომ ლისელებს შეეჩერებინათ ან მანქანა, რომლითაც მოგზაურობდა, უკან მოეტრიალებინათ და ელვინი საწყის წერტილში დაებრუნებინათ. მაგრამ მისი შიში არ გამართლდა და ლისიდან დიასპარში მოგზაურობა ისეთივე ჩვეულებრივი და უღიმღამო გამოდგა, როგორც დიაპარიდან ლისში; ლისიდან გამოსვლიდან ორმოც წუთში იარლან ზეის სამარხთან აღმოჩნდა.

ოფიციალურ შავ სამოსში, რომელიც ალბათ უკვე საუკუნეებია აღარ ჩაუცვამთ, გამოწყობილი საბჭოს წევრები დარბაზის შესასვლელთან ელოდებოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დამხვედრი კომიტეტის გამოჩენა ელვინს არ გაჰკვირვებია და დიდად არ აღელვებულა მათ დანახვაზე. იმდენი დაბრკოლების გადალახვა მოუწია ამ მცირე ხანში, რომ კიდევ ერთი გამოწვევის მიღება არაფრად მიაჩნდა. დიასპარიდან წასვლის შემდეგ ბევრი რამ ისწავლა, და ამ ცოდნასთან ერთად ქედმაღლობასთან მომიჯანვე თავდაჯერებულობაც შეიძინა. გარდა ამისა, ძლიერი, თუმცა ალბათ ნაკლებად საიმედო, თანამოკავშირე ემსახურებოდა. ლისის ყველაზე გავლენიანმა მკვიდრებმაც, უდიდესი გონებრივი შესაძლებლობების მიუხედავად, ვერ შეძლეს მისი შეჩერება; რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ვერც დიასპარი შეძლებდა.

ელვინის მოსაზრება ძირითადად გონივრულ და რაციონალურ ნიადაგს ეფუძნებოდა, მაგრამ ნაწილობრივ ირაციონალური საფუძველიც ჰქონდა – საკუთარ ბედის რწმენა, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა ელვინის გონებაში. იდუმალი წარმომავლობა, აქამდე სხვებისთვის ჯერ კიდევ მიუღწეველი წარმატება, ახალი პერსპექტივები და შესაძლებლობები, რომლებსაც ეს წარმატებები უქადდნენ – ეს ყველაფერი ელვინს თავდაჯერებას და სიმტკიცეს მატებდა. საკუთარი ბედისწერის მტკიცე რწმენა ღმერთისგან ადამიანისთვის ბოძებულ ნიჭთაგან ყველაზე ძვირფასი გახლდათ, მაგრამ ელვინმა ჯერ არ იცოდა, რამდენი ადამიანი მიეყვანა ამ რწმენას დაღუპვამდე.

„ელვინ, - მიმართა ქალაქის რწმუნებულთა წინამძღოლმა, - შენი ყველგან თანხლება გვაქვს ნაბრძანები, სანამ საბჭო შენს საქმეს არ განიხილავს და გადაწყვეტილებას არ მიიღებს.“

„და რაში მდებენ ბრალს?“ – იკითხა ელვინმა. ჯერ კიდევ არ განელებოდა ლისიდან გაქცევით გამოწვეული აღტაცება და ეიფორია და მოვლენათა ასეთი მოულოდნელი განვითარების სერიოზულად აღქმა ვერ შეძლო. იფიქრა, ალბათ ხედრონმა მოუყვა ყველაფერი და წამიერი ბრაზი მოაწვა მასხარას მიმართ, რომელმაც საიდუმლოს შენახვა ვერ შეძლო.

„ჯერ ბრალი არ წაუყენებიათ, - გაისმა პასუხი. – თუ საჭირო გახდა, ბრალდებას შენი ამბის მოსმენის შემდეგ ჩამოაყალიბებენ.“

„და როდის მოხდება ეს?“

„ვფიქრობ, რომ ძალიან მალე.“

ქალაქის რწმუნებული აშკარად აღელვებული და შეცბუნებული ჩანდა. არ იცოდა, როგორ გაერთვა თავი არასასიამოვნო დავალებისთვის. ზოგჯერ თავისი მოვალეობა დაავიწყდებოდა და ელვინს უბრალო თანამოქალაქესავით ესაუბრებოდა, მაგრამ მალევე ახსენდებოდა ზედამხედველის ვალდებულება და იმ წამსვე გადამეტებულად მკაცრ და გულგრილ გამომეტყველებას იღებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„საიდან გაჩნდა ეს რობოტი? – მკვახედ იკითხა რწმუნებულმა და ელვინის თანამგზავრზე მიუთითა. – ჩვენიანია?“

„არა, - მიუგო ელვინმა. – ლისში ვიპოვე, ქალაქში, რომელიც მოვინახულე. აქ ცენტრალურ კომპიუტერთან გაცნობის მიზნით წამოვიყვანე.“

ელვინის მშვიდმა და აუღელვებელმა განცხადებამ რწმუნებულების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჯერ მარტო იმ ფაქტის აღიარება და გააზრება რად ღირდა, რომ დიასპარის კედლებს მიღმა სხვა სამყარო არსებობდა, ელვინს კი უცხო ქვეყნის ერთ-ერთი მკვიდრი ჩამოეყვანა და ქალაქის ცენტრალურ კომპიუტერთან წარდგენას აპირებდა. რწმუნებულებმა ისეთი სასოწარკვეთილი და მშფოთვარე სახით გადახედეს ერთმანეთს, რომ მათ შემხედვარე ელვინმა სიცილი ძლივს შეიკავა.

სანამ პარკის გავლით ქალაქის ცენტრისკენ მიემართებოდნენ, – რწმუნებულთა ესკორტი უკან მიყვებოდა და ერთმანეთში აღელვებული ჩურჩულებდა, - ელვინი გონებაში მომდევნო სვლას გეგმავდა. პირველ რიგში უნდა გაერკვია, რა მოხდა დიასპარში მისი არ ყოფნის დროს. ხედრონი, როგორც სერანისმა მოახსენა, ქალაქიდან გაუჩინარდა. დიასპარში უამრავი სამალავი და ლაბირინთი ეგულებოდა, სადაც ადამიანი საგულდაგულოდ დაიმალებოდა, და რადგანაც მასხარას ქალაქის ცოდნაში ვერავინ შეედრებოდა, ეჭვი ეპარებოდა, რომ ვინმეს მისი პოვნა მოეხერხებინა, სანამ თავად ხედრონი არ იკადრებდა სამალავიდან გამოსვლას. ელვინს აზრად მოუვიდა, წერილი დაეტოვებინა ისეთ ადგილას, სადაც ხედრონი აუცილებლად აღმოჩნდებოდა და ნახავდა, და მასხარასთვის შეხვედრა დაენიშნა. თუმცა საკითხავი იყო, ზედამხედველის თანდასწრებით რამდენად მოახერხებდა ამას.

ზედამხედველები უდავოდ დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, ელვინს დიდად თვალში არ ხვდებოდნენ და უხმოდ მოყვებოდნენ. ელვინის ბინას რომ მიაღწიეს, რწმუნებულების არსებობა თითქმის დავიწყებოდა. იფიქრა, რომ მის მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღუდგებოდნენ წინ, თუკი დიასპარის დატოვებას შეეცდებოდა, ჯერჯერობით კი ასეთი რამ აზრადაც არ მოსდიოდა. სინამდვილეში დარწმუნებული იყო, რომ ლისში დასაბრუნებლად პირვანდელი მარშრუტი აღარ გამოადგებოდა და ახალი გზები უნდა ეძებნა. სერანისი და მისი კოლეგები იმ დროისთვის უკვე საგულდაგულოდ დალუქავდნენ და ჩარაზავდნენ მიწისქვეშა სატრანსპორტო სისტემას.

ზედამხედველები ელვინს თახში არ შეჰყოლიან; იცოდნენ, რომ ბინას ერთადერთი გასასვლელი ჰქონდა და ვერსად გაექცეოდა, და ამიტომ გარეთ დარჩნენ. რადგანაც რობოტის თაობაზე ხელმძღმძღვანელისგან არანაირი ინსტრუქცია არ მოიუღიათ, მას ელვინის თანხლების ნებართვა მისცეს. რობოტის უცხო წარმომავლობა ეხამუშებოდათ და სურვილიც არ ჰქონდათ, ამ მექანიზმთან საქმე დაეჭირათ, რადგან თვალში მისი უცხო კონსტრუქცია ხვდებოდათ. რობოტის ქცევიდან ვერაფრით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაერკვიათ, ელვინის ბრძანებებს ემორჩილებოდა, თუ საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებდა და ამ გაუგებრობისა და გაურკვევლობის გამო, სიხარულით დაანებეს თავი და ელვინს მიანდეს.

როცა ზედამხედველების წინ კედელი დაიხურა, ელვინმა თავისი საყვარელი დივანი გამოიხმო, მატერიალური ფორმა მისცა და ზედ ნეტარებით მოკალათდა. როგორც კი ნაცნობი გარემოს სითბო იგრძნო, ქალაქის მეხსიერებიდან ფერწერასა და ქანდაკებაში თავისი ბოლოდროინდელი მიღწევები გამოიძახა და კრიტიკული თვალით შეხედა თავის ძველ ნამუშევრებს, რომლებიც არც ადრე გვრიდნენ მაინცდამაინც დიდ კმაყოფილებას. ახლა კი ორმაგად არ სიამოვნებდა მათი თვალიერება და სიამაყის ნატამალსაც არ გრძნობდა. ადამიანი, რომელმაც ეს ტილოები შექმნა, აღარ არსებობდა; დიასპარს გარეთ გატარებულმა რამდენიმე დღემ აბსოლუტურად შეცვალა ელვინი და უდიდესი გამოცდილება შესძინა, რასაც სხვები მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ დააგროვებდნენ.

ელვინმა თავისი სიყრმის დროინდელი მთლიანი შემოქმედება გააუქმა, მეხსიერების საცავებში კი არ დააბრუნა, არამედ სამუდამოდ წაშალა მეხსიერებიდან, ისე რომ მათი აღდგენის შესაძლებლობაც არ ჰქონოდა. ოთახი ისევ დაცარიელდა, დარჩა მხოლოდ დივანი, რომელზედაც იჯდა და რობოტი, რომელიც გაფართოებული, უძირო თვალებით აგრძელებდა მის შესწავლას. ნეტა რას ფიქრობდა დიასპარზე? – გაუელვა აზრმა. შემდეგ გაახსენდა, რომ რობოტი ქალაქს ნაწილობრივ იცნობდა, რადგან ვარსკვლავებთან კონტაქტის ბოლო დღეებში ეწვია.

სანამ საბოლოოდ არ მიეჩვია იმ აზრს, რომ სახლში დაბრუნდა, ელვინს მეგობრები არ გამოუძახებია. ძველი ნაცნობების მონახულება ერისტონით და ეთანიათი დაიწყო, თუმცა არა იმიტომ, რომ მათი დანახვა ყველაზე ძალიან სწყუროდა, უბრალოდ მოვალეობის გამო უხმო. გული არ დასწყვეტია, როცა კომუნიკატორებმა მათი არ ყოფნის შესახებ ამცნო, მაგრამ მაინც დაუტოვა მოკლე შეტყობინება, რომ დიასპარში დაბრუნდა. მაგრამ ამის საჭიროება ნამდვილად არ არსებობდა, რადგან მისი გამოჩენის ამბავი უკვე მთელ ქალაქს ეცოდინებოდა. თუმცა მაინც იმედი ჰგონდა, რომ წინდახედულობას და ყურადღებას დაუფასებდნენ; ნელ-ნელა პატივისცემის ფასს სწავლობდა, მაგრამ ჯერ ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო, რომ ნებისმიერ ღისეულ საქციელს მაშინ აქვს შედეგი, თუ სპონტანურია და ეგოიზმსა და ანგარებას არ ემყარება.

შემდეგ, მოულოდნელი იმპულსური მოძრაობით, ის ნომერი გამოიძახა, რომელიც ხედრონმა ლორენის კოშკში მისცა დიდი ხნის წინ. რა თქმა უნდა, პასუხს არ მოელოდა, მაგრამ ყოველთვის არსებობდა ალბათობა, რომ მასხარა შეტყობინებას დაუტოვებდა.

ელვინის მოლოდინი გამართლდა: მაგრამ შეტყობინების მოულოდნელმა შინაარსმა გააოგნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კედელი გაიხსნა და ელვინის პირისპირ ხედრონი გამოჩნდა. მასხარა დაღლილი და აღელვებული ჩანდა, სადღაც გამქრალიყო მისი ჩვეული თავდაჯერებულობა და ხასიათის სიმტკიცე, ხედრონი აღარ ჰგავდა იმ ცინიკურ ადამიანს, ლისისკენ მიმავალ გზაზე რომ დააყენა ელვინი, თვალებში შეშლილი გამომეტყველება ჰგონდა, და ისე სწრაფად ლაპარაკობდა, გეგონებოდა, დრო ეწურებოდა.

„ელვინ, - მოახსენა მასხარამ, - ეს ჩანაწერებია. მხოლოდ შენ შეგიძლია მათი წაკითხვა. შეგიძლია სურვილისამებრ გამოიყენო. ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.“

„იარლან ზეის სამარხში რომ დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ ალისტრა გვითვალთვალებდა. ალბათ საბჭოს მოახსენა, რომ დიასპარი დატოვე და რომ ამაში მეც მიმიძღვის წვლილი. სულ მალე რწმუნებულებმა ჩემზე ძებნა გამოაცხადეს და მეც გადავწყვიტე, დავმალულიყავი. მიჩვეული ვარ – ადრეც მომიწია დამალვა, როცა ერთ-ერთი ჩემი ხუმრობა სათანადოდ ვერ შეაფასეს. (აქ კი, - გაიფიქრა ელვინმა, - ძველი ხედრონის ხასიათმა გაიელვა.) დიასპარელებმა საუკუნეები რომ მეძებონ, მაინც ვერ მიპოვნიან, მაგრამ ვიღაცა კინაღამ ჩემს სამალავებს გადააწყდა. დიასპარში უცხოები იმყოფებიან, ელვინ; ეს ხალხი მხოლოდ ლისიდან თუ ჩამოვიდოდა და დარწმუნებული ვარ, მე მეძებენ. არ ვიცი, რა აქვთ ჩაფიქრებული, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ კარგი არაფერი. ის ფაქტი, რომ მათთვის სრულიად უცხო ქალაქში კინაღამ დამიჭირეს, იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხალხს გარკვეული ტელეპათიური შესაძლებლობები აქვს. საბჭოს კი ადვილად გავუმკლავდებოდი, მაგრამ ამ გამოუცნობ და გაურკვეველ საფრთხეს ნამდვილად ვერ შევებრძოლები“.

„ამიტომ წინასწარ ვიცი, რა ზომების გატარებასაც მაიძულებდა საბჭო, - რადგან ადრეც დამმუქრებია. მივდივარ იქ, სადაც უსაფრთხოდ ვიგრძნობ თავს და ვერავინ მიპოვნის; ასე ავიცილებ თავიდან ცვლილებებს, რომლებიც დიასპარშია მოსალოდნელი. შეიძლება ძალიან სულელურადაც ვიქცეოდე, მაგრამ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მივიღე, დრო გვიჩვენებს. ერთ მშვენიერ დღეს ყველა კითხვაზე პასუხი მეცოდინება“.

„ალბათ უკვე მიხვდი, რომ შემოქმედის დარბაზში დავბრუნდი და მეხსიერების საცავების უსაფრთხოებას მივანდე ჩემი ცხოვრება. რაც არ უნდა მოხდეს, ცენტრალური კომპიუტერის იმედი მაქვს და მჯერა იმ სასიკეთო ძალების, დიასპარის სასარგებლოდ რომ იყენებს. თუ ცენტრალურ კომპიუტერს რამე საფრთხე დაემუქრება, ყველანი დავიღუპებით. თუ არა, მაშინ საშიშიც არაფერია“.

„ამ წუთიდან ორმოოცდაათი ან ასი ათასი წელი გაივლის, სანამ დიასპარში ისევ შემოვაბიჯებ და ახალ ცხოვრებას დავიწყებ, მაგრამ დროის ეს მონაკვეთი წამივით გაივლის. ნეტავ როგორი დამხვდება ქალაქი? ძალიან გამიკვირდება, თუ შენ ისევ აქ იცხოვრებ; ალბათ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ვერ გეტყვი, სულმოუთქმელად ველი ამ შეხვედრას თუ შიშის კანკალით“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შენი მოტივების არასდროს მესმოდა, ელვინ, თუმცა რაღაც მომენტში ქედმაღლობა მეყო და ჩავთვალე, რომ ჩავწვდი შენს ხასიათს. ჭეშმარიტება მხოლოდ ცენტრალურ კომპიუტერს მოეხსენება, მანვე იცის, რა ბედი ეწია ყველა იმ უნიკუმს, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში დრო და დრო მოევლინებოდნენ ხოლმე დიასპარს და უკვალოდ ქრებოდნენ. გაარკვიე ბოლოს და ბოლოს, რა მოუვიდა ამ ადამიანებს?“

„მოუთმენლობა ალბათ ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც მეჩქარება, გავიქცე და მომავალს შევაფარო თავი. ძალიან მინდა, საკუთარი თვალით ვიხილო შენს მიერ დაწყებული საქმის დასასრული, მაგრამ გარდამალი ეტაპები ნამდვილად არ მხიბლავს. ვეჭვობ, რომ მაინცდამაინც სასიამოვნო პერიოდი არ უნდა იყოს და ამიტომაც დიდი სურვილი მაქვს, გამოვტოვო. ძალიან მაინტერესებს, როგორი დამხვდება სამყარო პირობითი დროის ამ რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორ ემახსოვრები მომავალ თაობებს, როგორც შემოქმედი თუ როგორც დამანგრეველი, ან საერთოდ თუ ემასხოვრები“.

„მშვიდობით, ელვინ. მინდოდა, რამდენიმე რჩევა მომეცა შენთვის, მაგრამ ვიცი, არ გაითვალისწინებ. მაინც იმას გააკეთებ, რაც გინდა, როგორც ყოველთვის აკეთებდი და შენს მეგობრებსაც, საჭიროებისამებრ, იარაღად გამოიყენებ და როცა აღარ გამოგადგება, თავისუფლად მოისვრი“.

„სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა, სხვა არაფერი მომდის თავში.“

წამით ხედრონმა – არა რეალურმა ხედრონმა, რადგან რეალური და ხელშესახები მასხარა აღარ არსებობდა, არამედ ქალაქის მეხსიერების უჯრედებში შენახულმა ელექტრო გამოსახულებების ნიმუშმა – სინანულითა და მწუხარებით სავსე თვალებით შეხედა ელვინს. შენდეგ ეკრანი ისევ ჩაქრა.

ელვინი, ხედრონის გამოსახულების გაუჩინარების შემდეგ, კიდევ დიდი ხანი იჯდა გაუნძრევლად. ცხოვრებაში პირველად ჩაუღრმავდა საკუთარ სულს და აღიარა, რომ ხედრონმა სრული სიმართლე უთხრა. განა ერთხელ მაინც კი დაფიქრებულა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისა და მთელი თავგადასავლის პერიოდში, რა შედეგი შეიძლებოდა მოეტანა მის საქციელს და რა ზეგავლენას მოახდენდა მეგობრების ცხოვრებაზე? ჯერჯერობით მხოლოდ მათი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ მალე ალბათ სერიოზულ საფრთხეში ჩააგდებდა – და ყველაფერი დაუოკებელი ცნობისმოყვარეობისა და იმის გაგების წყურვილის გამო, რაც ადამიანისთვის არ უნდა გამხდარიყო ცნობილი.

ხედრონი არასდროს ჰყვარებია; მასხარას გულჩათქრობილი და მკაცრი ხასიათი ხელს უშლიდა მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას; ელვინს რომც მოენდომებინა, მაინც ვერ დაუახლოვდებოდა. მაგრამ ახლა, როცა ხედრონის გამოსამშვიდობებელ სიტყვებს დაუკვირდა, უეცარი სინდისის ქენჯნა შემოაწვა. მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საქციელის გამო, მასხარა იძულებული გახდა, ამ ცხოვრებიდან გაქცეულიყო და გაურკვეველი მომავლისთვის შეეფარებინა თავი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, - ფიქრობდა ელვინი, - მომხდარის გამო მარტო საკუთარ თავს ვერ დაიდანაშაულებდა. მასხარას გაქცევამ ელვინის ვარაუდი მხოლოდ გაამყარა – ხედრონი მშიშარა იყო. შეიძლება ამ მხრივ დანარჩენი დიასპარელებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ დამატებით კიდევ ერთი არასახარბიელო თვისება ახასიათებდა – ზედმეტად ძლიერი წარმოსახვის უნარი ჰქონდა. ელვინი არ გაურბოდა თავის წილ პასუხისმგებლობას მასხარას ხვედრის გამო, მაგრამ მთლიანი დანაშაულის თავის თავზე აღებას ნამდვილად არ აპირებდა.

კიდევ ვის მიაყენა დიასპარში ტკივილი და გულისტკენა? ჯეზერაკზე გაიფიქრა, თავის მოძღვარზე, რომელმაც წარმოუდგენელი მოთმინება გამოიჩინა თავისი ყველაზე ძნელად აღსაზრდელი მოსწავლის მიმართ. გაახსენდა მშობლების კეთილგანწობა, რომლესაც მთელი ამ წლების განმავლობაში იჩენდნენ ელვინის მიმართ; და ახლა, როცა სხვა თვალით შეხედა ამ ყველაფერს, სასიამოვნო მომენტები უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა.

და კიდევ ალსიტრაზე დაფიქრდა, რომელსაც ნამდვილად უყვარდა, ელვინი კი ხან იღებდა მის სიყვარულს, ხანაც უარყოფდა, ხასიათისა და განწყობის მიხედვით. სხვა რაღა დარჩენოდა. მთლიანად რომ უარი ეთქვა მის სიყვარულზე, იგრძნობდა კი ალისტრა თავს უფრო ბედნიერად?

ახლა მიხვდა, რატომ არ ჰყვარებია არასდროს არც ალისტრა და არც სხვა ქალი დიასპარში. ეს ლისში ნასწავლ გაკვეთილთაგან ერთ-ერთი გახლდათ. დიასპარში ბევრი რამ დავიწყებოდათ, მათ შორის სიყვარულის ჭეშმარიტი არსი. ერლიში თვალყურს ადევნებდა, როგორ არწევდნენ კალთაში დედები თავიანთ შვილებს და თვითონაც იგივე მზრუნველი სინაზით განიმსჭვალებოდა იმ პატარა და უსუსური არსებების მიმართ, რომლებიც სიყვარულის უანგარო ორეულს წარმოადგენენ. მაგრამ დიასპარში არც ერთი ქალი არ ეგულებოდა, რომელმაც იცოდა ან ისწრაფვოდა იმისკენ, რაც ერთ დროს სიყვარულის დანიშნულება გახლდათ.

მარადიულ ქალაქში არც ნამდვილი ემოციები არსებობდა, არც ძლიერი ვნება. ამგვარი ცნებები მხოლოდ ისეთ გარემოში ჰყვაოდა, რომელსაც წარმავალობა ახასიათებდა, სადაც მარადიულად არაფერი გრძელდებოდა. რადგან დიასპარი ყოველივე წარმავალსა და გაურკვეველს უარყოფდა, ეს გრძნობები ყოველთვის ჩრდილში ჰყავდა მიჩქმალული.

და აი დადგა მომენტი, თუკი ასეთი მომენტი მართლა არსებობდა, როდესაც ელვინი მიხვდა, როგორ უნდა წარმართულიყო მისი ბედი. ამ წუთამდე მხოლოდ ბრმად მიჰყვებოდა საკუთარ იმპულსებს. გაგებული რომ ჰქონოდა ასეთი არქაული ანალოგიების შესახებ, თავის თავს გაქცეულ და სადავე აწყვეტილ ცხენზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამხედრებულ ცხენოსანს შეადარებდა. ამ მოუთოკავი ჯირითის წყალობით ბევრ უცნაურ ადგილას აღმოჩენილა და კიდევ არა ერთ წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევდა, მაგრამ ველური ცხენის ჭენებამ თავისი შესაძლებლობები და ძალა აჩვენა და თვალნათლივ დაანახა, რისი უნდოდა მიღწევაც სინამდვილეში.

ელვინის ფიქრები კედლის ეკრანის მელოდიურმა წკრიალმა მოულოდნელად შეწყვიტა. სიგნალის ხმის ტემბრზე მიხვდა, რომ შემომავალი ზარი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ვიღაცა სინამდვილეში მოსულა მის სანახავად. დადასტურების სიგნალი გააგზავნა და რამდენიმე წამის შემდეგ ჯეზერაკის პირისპირ აღმოჩნდა.

მოხუცს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ მის სახეზე მტრული განწყობა არ შეიმჩნეოდა.

„მთხოვეს, საბჭოში წამეყვანე, ელვინ, - მოახენა ჯეზერაკმა. – შენს მოსასმენად მზად არიან. – შემდეგ მოხუცმა რობოტი შეამჩნია და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. – ეს ალბათ შენი თანამგზავრია, მოგზაურობიდან რომ ჩამოიყვანე თან. მე მგონი, ჩვენთან ერთად უნდა წამოვიდეს.“

რობოტის წაყვანა ელვინს სავსებით აკმაყოფილებდა. ერთხელ უკვე შეძლო მანქანამ, სახიფათო მდგომარეობიდან ეხსნა და შეიძლება კიდევ დასჭირვებოდა მისი დახმარება. ძალიან აინტერესებდა, რას ფიქრობდა რობოტი იმ თავგადასავლებსა და უკუღმართ სიტუაციებზე, რომლებშიც ელვინმა ჩაითრია და ინატრა, გაეგო, რა ტრიალებდა ამ გულჩათხრობილი მანქანის თავში. ელვინს ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს მანქანას ჯერჯერობით მხოლოდ თვალთვალი, დაკვირვება და მდგომარეობის გაანალიზება გადაეწყვტა, ხოლო როცა საჭიროდ ჩათვლიდა, დასკვნებს გამოიტანდა და საკუთარი შეხედულებისამებრ მოიქცეოდა. მაგრამ შეიძლება ეს დრო სავსებით მოულოდნელად დამგარიყო და რობოტსაც მოქმედების ისეთი გზა ამოერჩია, რაც ელვინის გეგმებს შეეწინააღმდეგებოდა. ერთადერთი თანამოკავშირე მასთან მხოლოდ საკუთარი ინტერესის სუსტი ძაფებით იყო დაკავშირებული და ნებისმიერ მომენტში შეეძლო ზურგი შეექცია.

ალისტრა ქალაქში მიმავალ დაღმართთან ელოდებოდა. ელვინს რომც მოენდომებინა ალსიტრა იმ წილისთვის დაედანაშაულებინა, რომელიც საიდუმლოს გამჟღავნებაში მიუძღვოდა, მაინც არ ეყოფოდა გამბედაობა, ესაყვედურა. აშკარა იყო, რომ ძალიან იტანჯებოდა და როცა ელვინის შესახვედრად გამოექანა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

„ელვინ, - შესძახა გოგომ ტირილით. – რა უნდათ შენგან, რას აპირებენ?“

ელვინმა ისე ნაზად მოუჭირა ხელი ალისტრა ხელებს, რომ ორივე გაოცდა ამ მოულოდნელი ემოციის გამო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნუ ნერვიულობ, ალისტრა, - მიუგო ელვინმა. – დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს და ბოლოს ყველაზე უარეს შემთხვევაში საბჭომ შეიძლება ისევ მეხსიერების რეზერვუარებში გამისტუმროს – მაგრამ რატომღაც ვფიქრობ, რომ ასე არ მოხდება.“

ალისტრას სილამაზე და სევდა ისეთი მიმზიდველი იყო, რომ ახლაც ძველებურად გრძნობდა, როგორ პასუხობდა მისი სხეული გოგოს მიმზიდველობას. თუმცა ეს მხოლოდ ხორციელი ლტოლვა გახლდათ; საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ეს ახლა აღარ აკმაყოფილებდა. ალისტრას ფრთხილად გაუშვა ხელი და ჯეზერაკს შეჰყვა საბჭოს დარბაზში.

ალისტრამ თვალი გააყოლა ელვინს. მართალია, გული სევდისგან ეკუმშებოდა, მაგრამ უწინდელ სიმწარეს აღარ გრძნობდა, როცა დარბაზში შემავალ ელვინს ადევნებდა თვალს. ახლაღა მიხვდა, რომ ელვინი კი არ დაუკარგავს, უბრალოდ არც არასოდეს ეკუთვნოდა. ამ ფაქტის აღიარებამ უსაფუძვლო ეჭვებისა და სინანულისგან გაათავისუფლა.

ელვინი თანამოქალაქეების ცნობისმოყვარე და აღშფოთებით სავსე მზერას ყურადღებას თითქმის არ აქცევდა, როცა ის და მისი ამალა ნაცნობ ქუჩას მიუყვებოდნენ. გონებაში ხელსაყრელ არგუმენტებს უყრიდა თავს, რომლებიც თხრობის დროს გამოადგებოდა და მომავალ ისტორიას თავის სასიკეთოდ ალაგებდა. დრო და დრო თავს შეუძახებდა და არწმუნებდა, რომ სულაც არ ნერვიულობდა და სიტუაციას ჯერ კიდევ აკონტროლებდა.

შესასვლელში რამდენიმე წუთით შეყოვნდნენ, მაგრამ ეს დრო ელვინისთვის საკმარისი აღმოჩნდა, დაფიქრებულიყო, - თუ მართლა არაფრის ეშინოდა, რატომ გრძნობდა სისუსტეს ფეხებში, თითქოს ცელი მოუსვესო. ბოლოს მსგავსი შეგრძნება მაშინ დაეუფლა, როცა ლისის შორეული მთის უკანასკნელ მწვერვალზე ასვლა აიძულა საკუთარ თავს, საიდანაც ჰილვარმა ჩანჩქერი დაანახვა. შუქის უეცარი გაელვება, რომელმაც შალმარინამდე მიიყვანა, სწორედ ამ მწვერვალზე შენიშნეს. ნეტა რას აკეთებდა ახლა ჰილვარი, და თუ შეხვდებოდნენ ისევ ერთმანეთს. მოულოდნელად მეგობრის ნახვის დიდი სურვილი იგრძნო; დარწმუნებული იყო, რომ მათი შეხვედრა, თუ კი შედგებოდა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა.

უზარმაზარი კარი გაიხსნა და ჯეზერაკი ელვინს საბჭოს დარბაზში შეუძღვა. საბჭოს ოცივე წევრი უკვე ნახევარ მთვარის ფორმის მაგიდას მისჯდომოდა, და ელვინს ესიამოვნა კიდეც, რომ თავისუფალი ადგილები აღარ დარჩენილიყო. მრავალი საუკუნის განმავლობაში საბჭო მთელი შემადგენლობით ალბათ პირველად იკრიბებოდა. როგორც წესი, საბჭოს იშვიათი სხდომები სრულ ფორმალობას წარმოადგენს, რადგანაც ყველა მიმდინარე ყოველდღიური საკითხი ვიდეო ზარის მეშვეობითა და, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტსა და ცენტრალურ კომპიუტერს შორის მოლაპარაკებით წყდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი საბჭოს წევრთა უმეტესობას ცნობდა, და ამდენი ნაცნობი სახის დანახვამ ერთგვარად დააიმედა კიდევაც. ჯეზერაკის მსგავსად, მათაც არ ეტყობოდათ მტრული განწყობა, უბრალოდ შეფიქრიანებული და აღელვებული ჩანდნენ. საბჭოს წევრები ხომ საღად მოაზროვნე ადამიანები გახლდნენ. თუ ვინმემ მათი იმედები არ გაამართლა, რა თქმა უნდა, გაღიზიანდებოდნენ, მაგრამ ელვინს სჯეროდა, რომ სიბოროტეს გულშიც არ გაივლებდნენ. მართალია ერთ დროს ასეთი ვარუდი მეტისმეტად ნაჩქარევი იქნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანის ბუნება გარკვეულ წილად უკეთესობისენ შეიცვალა.

ელვინს გულდასმით მოუსმენდნენ და სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ, მაგრამ მათ აზრს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. საბოლოო ვერდიქტი საბჭოს კი არა, არამედ ცენტრალურ კომპიუტერს უნდა გამოეტანა.

თავი XVI

სხდომა ფორმალობების გარეშე დაიწყო. პრეზიდენტმა შეხვედრა გახსნა და ელვინს მიუბრუნდა.

„ელვინ, - მიმართა საკმაოდ თავაზიანად, - თუ შეგიძლია, მოგვიყევი, რა მოხდა შენი გაუჩინარებიდან ათი დღის განმავლობაში.“

სიტყვა ‘გაუჩინარების’ გამოყენებას, როგორც ელვინმა შენიშნა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ახლაც კი, როდესაც ფაქტის წინაშე დადგა, არ უნდოდა საბჭოს იმის აღიარება, რომ ელვინი დიასპარის საზღვრებს გასცდა. ნეტა თუ იციან, რომ ქალაქში უცხო პირები იმყოფებიან, - ფიქრობდა ელვინი, - მაგრამ მაშინვე გამორიცხა ეს ვარიანტი. ალბათ ეჭვიც არ აუღიათ, თორემ გაცილებით მეტი შეშფოთება დაეტყობოდათ.

ელვინმა ნათლად და ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე მოუყვა თავისი ამბავი; ისტორია იმდენად უცნაური და გამაოგნებელი აღმოჩნდა, რომ ზედმეტი შელამაზება არ დასჭირვებია. საბჭოს წევრები ყურებს არ უჯერებდნენ. ელვინმა თხრობის მხოლოდ ერთ მონაკვეთში გადაუხვია მკაცრ სიზუსტეს, და სიტყვა არ დაუძრავს იმაზე, თუ როგორ დააღწია თავი ლისს. სავარაუდოდ, ამ მეთოდის გამოყენება კიდევ არაერთხელ დასჭირდებოდა.

ელვინი დიდი ინტერესით აკვირდებოდა საბჭოს წევრების სახეებს, თუ როგორ იცვლებოდა თხრობისას მათი გამომეტყველება და დამოკიდებულება. თავიდან სკეპტიკურად შეხედეს მის ამბავს, ვერ ეგუებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ფესვგადგმული რწმენისა და შეხედულებების მოულოდნელ უარყოფას, ღრმად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამჯდარი ცრურწმენების ნგრევას. როცა ელვინმა ქალაქის მიღმა არსებული სამყაროს შემეცნების დაუოკებელი სურვილის შესახებ მოახსენა, და სრული სერიოზულობით განუცხადა თავისი დამაჯერებელი, თუმცა დაუსაბუთებელი რწმენა, რომ ასეთი სამყარო სინამდვილეში არსებობს, გაფართოებული თვალებით მიაჩერდნენ, როგორც საკვირველ და გამოუცნობ ცხოველს. მათი აზრით, ელვინი იყო კიდევაც უცნაური არსება. მაგრამ საბოლოო ჯამში, იძულებული გახდნენ, ეღიარებინათ, რომ სიმართლეს ამბობდა და რომ თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდებოდნენ. რაც უფრო შორს მიდიოდა ელვინის ნაამბობი, მათი საბოლოო ეჭვებიც ნელ-ნელა, თანდათანობით იფანტებოდა. შეიძლება მაინცდამაინც არ მოსწონდათ ეს ამბავი, მაგრამ მის ჭეშმარიტებას ვეღარ უარყოფდნენ. რომც მოენდომებინათ, მაინც ვერ შეძლებდნენ, რადგან ელვინის მდუმარე თანამგზავრი სიმართლის უტყვი დასტური გახლდათ.

საბჭოს აღშფოთება მხოლოდ ერთმა ასპექტმა გამოიწვია – და ისიც ელვინს არ უკავშირდებოდა. საბჭოს დარბაზს აშკარა აღელვება დაეტყო, როცა ელვინმა ლისის სურვილის შესახებ მოახსენა, დიასპარისგან შორს დაეჭირათ თავი და არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ მასთან უღირსი კავშირი და სერანისის მიერ ამ კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით მიღებული ზომების შესახებ მოახსენა. ქალაქი თავისი კულტურით ამაყობდა და სრულიად საფუძვლიანადაც, და საბჭოს წევრები ვერ აიტანდნენ იმ გარემოებას, რომ ვინმე ზემოდან დაჰყურებდა და ნაკლებად განვითარებულ რასად მიაჩნდა.

ელვინი ყველა ღონეს იყენებდა, რომ თავისი სიტყვებით არავისთვის არ მიეყენებინა შეურაცხყოფა; უბრალოდ უნდოდა, საბჭოს წევრთა კეთილგანწყობა შეძლებისდაგვარად მოეპოვებინა. ცდილობდა, საბჭო დაერწმუნებინდა, რომ საკუთარ ქცევაში ვერაფერს ცუდს ვერ ხედავდა და იშვიათი აღმოჩენებისა და დაკვირვებებისთვის მათგან ქებას უფრო მოელოდა, ვიდრე გაკიცხვას. ეს ყველაზე შედეგიანი ტაქტიკა აღმოჩნდა, რადგან წინასწარ განაიარაღა სავარაუდო კრიტიკოსების უმრავლესობა. შედეგად, თუმცა ელვინი ამას ნაკლებად ესწრაფვოდა, დანაშაულზე პასუხისმგებლობა მეტწილად გაუჩინარებულ ხედრონზე გადავიდა. თავად ელვინი, რაც მსმენელებსაც კარგად ესმოდათ, მეტისმეტად ახალგაზრდა გახლდათ, რომ წინასწარ განესაზღვრა, რა სავალალო შედეგები მოყვებოდა მის დაუფიქრებელ ქმედებას. მასხარამ კი უთუოდ ყველაფერი მშვენივრად იცოდა და მის უპასუხიმგებლო და დაუფიქრებელ საქციელს გამართლება არ ჰქონდა. საბჭოს წევრებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ ხედრონი სავსებით ეთანხმებოდა ამ აზრს.

თავად ჯეზერაკიც, როგორც ელვინის მოძღვარი და მასწავლებელი, იმსახურებდა მცირეოდენ გაკიცხვას, და დრო და დრო რამდენიმე მრჩეველმა ჩაფიქრებული სახით შეხედა. მოხუცს ყურადღება არ მიუქცევია, თუმცა მშვენივრად იცოდა, რასაც ფიქრობდნენ. ის ფაქტი, რომ ჯეზერაკი ყველაზე ორიგნალური და დანარჩენი დიასპარელებისგან განსხვავებული ადამიანის მოძღვარი გახლდათ, რომელიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიასპარს განთიადის ეპოქის შემდეგ მოევლინა, ერთგვარი პატივი იყო და ამას ვერავინ ვერ წაართმევდა.

ელვინს საბჭოს წევრების დარწმუნება არ უცდია, სანამ თხრობის ფაქტიური მხარე არ დაასრულა. ამ ხალხს როგორმე უნდა დაეჯერებინა ის ჭეშმარიტებანი, რაც ლისში აღმოაჩინა, მაგრამ როგორ უნდა გაეგო და წარმოედგინა ადამიანს ის, რაც არასდროს არ უნახავს?

„ჩემი აზრით, - განაგრძობდა ელვინი, - ნამდვილი ტრაგედიაა, რომ ადამიანთა მოდგმის ეს ორი გადარჩენილი განშტოება დროის წარმოუდგენლად დიდი მონაკვეთით აღმოჩნდა ერთმანეთისგან დაშორებული. ალბათ ერთ დღეს გავიგებთ, რაც მოხდა სინამდვილეში, მაგრამ მანამდე უფრო მნიშვნელოვან საქმედ ჩატეხილი ხიდის აღდგენა და შემდგომში მისი თავიდან აცილება მიმაჩნია. ლისში ყოფნისას მათ შეხედულებას შევეწინააღმდეგე ლისის დიასპარზე უპირატესობის შესახებ; მათი მეშვეობით ბევრ რამეს ვისწავლით, მაგრამ ჩვენც ხომ შეგვიძლია, სამაგიეროდ, ჩვენს ცოდნას ვაზიაროთ. ხომ აშკარად მცდარი მოსაზრება იქნება, თუ ორივე მხარე ჩათვლის, რომ ერთმანეთს ვერაფერს გაუზიარებს?“

ელვინმა მოლოდინით სავსე მზერით შეხედა დამსწრეთ და იმედმოცემულმა განაგრძო.

„ჩვენმა წინაპრებმა იმპერია აღმართეს, რომელმაც ვარსკვლავებს მიაღწია. ერთ დროს ადამიანები დაუბრკოლებლად, საკუთარი სურვილისამებრ, მოგზაურობდნენ ამ სამყაროებში – ახლა კი მათ შთამომავლობას ქალაქის კედლებს იქით ცხვირიც ვერ გაუყვია. გითხრათ, რატომ?“

ელვინმა სიტყვა გაწყვიტა; უზარმაზარ, ცარიელ დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

„იმიტომ, რომ გვეშინია – გვეშინია იმის, რაც ისტორიის დასაწყისში მოხდა. ამას მანამდეც ვეჭვობდი, მაგრამ ლისში ჩემი ეჭვები გამართლდა. ნუთუ სულ ასე მშიშრებივით უნდა ვიმალებოდეთ დიასპარში და თავს ვიტყუებდეთ, რომ სხვა არაფერი არსებობს – მხოლოდ იმიტომ, რომ მილიარდი წლის წინ დამპყრობლებმა დედამიწაზე მიგვამწყვდიეს?“

ელვინი დიასპარელების ყველაზე ღრმად გამჯდარ, იდუმალ შიშს შეეხო – შიშს, რომელიც სინამდვილეში არც განუცდია და ამიტომ ბოლომდე არ შეეძლო მისი ძალის შეფასება. ახლა რაც უნდათ, ის უქნიათ; უკვე მოახსენა საკუთარი შეხედულება სიმართლეზე.

პრეზიდენტმა სერიოზული სახით შეხედა.

„კიდევ გინდა რამის დამატება, - ჰკითხა, - სანამ გადავწყვეტთ, რა ზომებს მივმართოთ?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვთ. შეიძლება, რომ რობოტი ცენტრალურ კომპიუტერთან მივიყვანო?“

„კი, მაგრამ რატომ? ხომ იცი, რომ ცენტრალურმა კომპიუტერმა მშვენივრად იცის, რაც ამ ოთახში მოხდა?“

„ვიცი, მაგრამ მაინც მინდა მასთან მისვლა, - თავაზიანად, თუმცა ჯიუტად განაგრძობდა ელვინი. – ამისთვის საბჭოს და კომპიუტერის ნებართვას ვითხოვ.“

სანამ თავმჯდომარე რამეს უპასუხებდა, დარბაზში მკაფიო, თუმცა მშვიდი ხმა გაისმა. ელვინს პირველად ესმოდა ეს ხმა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, ვინც გამოსცემდა. საინფორმაციო მანქანებს, რომლებიც ამ უდიდესი ინტელექტის მხოლოდ მცირე და შორეულ ფრაგმენტს წარმოადგენდნენ, ადამიანთან საუბარი შეეძლოთ – მაგრამ მათ ხმაში ცენტრალური კომპიუტერისთვის დამახასიათებელი სიბრძნისა და ავტორიტეტის ნასახიც კი არ იგრძნობოდა.

„მოვიდეს ჩემთან,“ – წარმოთქვა ცენტრალურმა კომპიუტერმა.

ელვინმა თავმჯდომარეს შეხედა. გამარჯვების გამოყენება არც უცდია, რითაც ერთიორად ამაღლდა მათ თვალში. უბრალოდ იკითხა.

„შეიძლება, დაგტოვოთ?“

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გადახედა, და რადგან მათ სახეზე წინააღმდეგობა ვერ შეამჩნია, უმწეო ხმით უპასუხა:

„ძალიან კარგი. რწმუნებულები მიგაცილებენ და როცა განხილვას დავასრულებთ, ისევ მოგიყვანენ.“

ელვინმა მადლობის ნიშნად თავი ოდნავ დაუკრა; მის წინ უშველებელი კარი გაიხსნა და ელვინი ნელი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან. ჯეზერაკმა გააცილა და როცა უზარმაზარი კარი ისევ დაიხურა, ელვინი მოძღვარს მიუბრუნდა.

„როგორ ფიქრობ, რას მოიმოქმედებს საბჭო? – იკითხა აღელვებულმა. ჯეზერაკს გაეღიმა.

„როგორც ყოველთვის, მოთმინება არ გყოფნის, - უსაყვედურა მოხუცმა. – არ ვიცი, რამდენად გამართლდება ჩემი ვარაუდი, მაგრამ ვფიქრობ, რომ საბოლოოდ ჩარაზავენ იარლან ზეის სამახის კარს, რომ ვეღარავინ შეძლოს ამ მარშრუტის გამეორება. ხოლო გარე სამყაროსთვის მიუწვდომელი დიასპარი ჩვეულ, უწინდელ ცხოვრებას გააგრძელებს.“

„სწორედ ამის მეშინია,“ - აღნიშნა ელვინმა სიმწარით.

„შენ კიდევ გაქვს იმედი, რომ თავიდან აიცილებ ასეთ გადაწყვეტილებას?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინს მაშინვე არ გაუცია პასუხი; მიხვდა, რომ ჯეზერაკმა მისი ფიქრები ამოიკითხა, მაგრამ კონკრეტულ განზრახვებს და გეგმებს წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, რადგან არავითარი გეგმა არ დაუსახავს. ახლა ისეთი მომენტი დადგა, როდესაც იმპროვიზაციის უნარს უნდა მინდობოდა და ყოველ ახალ სიტუაციას წარმოშობისთანავე გამკლავებოდა.

„მე მადანაშაულებ?“ – მოულოდნელად წარმოთქვა ელვინმა, ჯეზერაკი გააკვირვა მოულოდნელმა ტონმა, მის ხმაში რომ ჟღერდა. ეს მორჩილების ერთგვარ მინიშნებას შეიცავდა და მოხუცს ვარაუდის საფუძველს აძლევდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ელვინი პირველად ეძებდა თავისი თანამემამულეების თანაგრძნობას. მართალია მოხუცს გული აუჩუყდა, მაგრამ ამავე დროს იმდენი სიბრძნე გამოიჩინა, რომ ასეთი უეცარი შემობრუნება სერიოზულად არ მიეღო. ელვინი დაძაბულ მდგომარეობაში იყო, და ხასიათის სასიკეთო ცვლილებები დიდხანს ვერ გასტანდა.

„მიჭირს პასუხის გაცემა, - ნელა წარმოთქვა ჯეზერაკმა. – მინდა გითხრა, რომ ნებისმიერ ცოდნას თავისთავად გარკვეული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს და შენც, უდავოდ, დიდი წვლილი შეიტანე ჩვენი ცოდნის გამდიდრებაში. მაგრამ შენი აღმოჩენებით საკმაოდ სერიოზული საფრთხეები შეგვიქმენი, და საბოლოო ჯამში ვინ იცის, რომელი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება? ამაზე თუ დაფიქრებულხარ ოდესმე?“

წუთით მოსწავლე მასწავლებელი ჩაფიქრებული მზერით ათვალიერებდნენ ერთმანეთს, ალბათ ახლა ყველაზე უკეთ ესმოდათ ერთმანეთის, ვიდრე ოდესმე. შემდეგ, თითქოს ერთი და იგივე იმპულსის შედეგად, ორივე საბჭოს დარბაზიდან გამავალ გრძელ დერეფანს დაუყვა, მათი ესკორტი კი თვინიერად და მორჩილად გაჰყვა კვალდაკვალ.

ელვინმა იცოდა, რომ ეს სამყარო ადამიანისთვის არ იყო განკუთვნილი. თვალისმომჭრელი, კაშკაშა, ცისფერი შუქით გასხივოსნებული გრძელი, განიერი დერეფნები უსასრულობამდე გაჭიმულიყო. ამ უზარმაზარ გასასვლელებში უამრავ რობოტს გაუვლია თავისი მარადიული ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ადამიანს დიასპარის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ფეხი ერთხელაც არ დაუდგამს.

მათ თვალწინ მიწისქვეშა ქალაქი გადაიშალა, სადაც მხოლოდ რობოტები ქალაქის მამოძრავებელი ბინადრობდნენ, რომელთა გარეშეც დიასპარს არსებობა არ შეეძლო. რამდენიმე ასეულ იარდში დერეფანი დაახლოებით ერთი მილის დიამეტრის მქონე მრგვალ დარბაზში შედიოდა. დარბაზის სახურავი უზარმაზარ სვეტებს ეყრდნობოდა, რაც ცენტრალური ენერგოსადგურის წარმოუდგენელ სიმძიმეზეც გაეთვალათ. რუქების მიხედვით, სწორედ აქ მდებარეობდა ცენტრალური კომპიუტერი და დღეებს დიასპარის ბედზე მარადიულ ზრუნვასა და ფიქრში ატარებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარბაზი იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ელვინი ოდესმე წარმოიდგენდა – მაგრამ თავად კომპიუტერი სადღა იყო? რატომღაც ერთიანი უზარმაზარი მანქანის დანახვას ელოდა, თუმცა ამგვარი ვარაუდი თვითონვე გულუბრყვილოდ მიიჩნია. მის ქვემოთ გაშლილმა ვეებერთელა, დიდებულმა, მაგრამ ყოველგვარ აზრს მოკლებულმა პანორამამ აიძულა, შეჩერებულიყო და გაოცებითა და დაბნეულობით სავსე მზერა მიეჯაჭვა ამ საოცრებისთვის.

დერეფანი, რომელმაც აქამდე მოიყვანა, მოულოდნელად წყდებოდა მაღლა, ადამიანის მიერ აგებულ ქვაბულებს შორის უთუოდ ყველაზე დიდი დარბაზის კედლის ბოლოში. დერეფნის ორივე მხარეს გრძელი ქანობები ეშვებოდა და მოშორებით იატაკს უერთდებოდა. თვალისმომჭრელი შუქით განათებული მთელი ეს ადგილი ასობით ვეებერთელა თეთრ კონსტრუქციას დაეფარა. კონსტრუქციებს იმდენად მოულოდნელი ფორმები ჰქონდათ, რომ ელვინს წუთით ეგონა, თითქოს რომელიღაცა მიწისქვეშა ქალაქს შეჰყურებდა. სანახაობით მიღებული გამაოგნებლად კაშკაშა და ცოცხალი შთაბეჭდილება ელვინს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. თვალს ყველაფერი უცხოდ ეჩვენებოდა, ვერსად შეხვდებოდით ლითონის ნაცნობ ელვარებას, რომელიც ადამიანის გონებაში უხსოვარი დროიდან მეტალის მსახურებთან ასოცირდებოდა.

ეს ევოლუციის უკანასკენლი ეტაპი გახლდათ, ისეთივე ხანგრძლივი, როგორც თავად ადამიანის ევოლუციის პროცესი. მისი დასაწყისი განთიადის ეპოქის ბურუსში იკარგებოდა, როდესაც ადამიანმა ძალისა და ენერგიის გამოყენება ისწავლა და მის მიერ შექმნილი მანქანები გრუხუნითა და ჟღარუნით მოედვნენ ქვეყანას. ორთქლი, წყალი, ქარი – თითქოს ყველა ეს ენერგია ერთად შეებათ გარკვეული ხნით და საერთო საქმისთვის გამოეყენებინოთ, მაგრამ მალევე დაევიწყებინათ. საუკუნეების განმავლობაში მატერიის ენერგია სამყაროს ამოძრავებდა, სანამ ისიც სხვა ენერგიით არ ჩაანაცვლეს, თითოეული შემდგომი ცვლილებისას ძველ მანქანებს ივიწყებდნენ, და მათ ადგილს ახალი მანქანები იკავებდნენ. თანდათანობით, საუკუნეების განმავლობაში ადამიანმა შეძლო, იდეალური მანქანა შეექმნა – იდეალი, რომელიც ერთ დროს ოცნებას წარმოადგენდა, შემდეგ შორეულ პერსპექტივას, და როგოც იქნა, რეალობად იქცა:

არც ერთ მანქანას არ უნდა ჰქონდეს მოძრავი ნაწილები.

აქ სწორედ ამ იდეალის საბოლოო გამოხატულება ესვენა, რომლის მისაღწევად ადამიანმა მილიონობით წელი დახარჯა და საკუთარი ტრიუმფის მომენტში სამუდამოდ შეაქცია ზურგი თავის ქმნილებას. მანქანებს სრულყოფილებისთვის მიეღწიათ და ამიერიდან დამოუკიდებლად, ადამიანის დაუხმარებლად შეეძლოთ საკუთარი თავისთვის მიეხედათ და ადამიანისთვის ემსახურათ.

ელვინი აღარ დაეჭვებულა, ამ მდუმარე თეთრი კონსტრუქციებიდან რომელი გახლდათ ცენტრალური კომპიუტერი. იცოდა, რომ კომპიუტერი ყველა მათგანისგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შედგებოდა, ყველაფერს მოიცავდა, ამ დარბაზის კედლებს სცილდებოდა და დიასპარში არსებულ უთვალავ მოძრავ თუ უმოძრაო მანქანას აერთიანებდა. ისევე როგორც მისი ტვინი შედგებოდა რამდენიმე გოჯის დიამერტზე განლაგებული მილიარდობით ცალკეული უჯრედის ნაკრებისგან, ზუსტად ისევე მიმოფანტულიყო მთელს დიასპარზე ცენტრალური კომპიუტერის ფიზიკური ელემენტები. ამ დარბაზში ალბათ მხოლოდ კომუტაციის სისტემა მდებარეობდა, რომლის მეშვეობითაც ცალკეული, მიმოფანტული ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო; იდგა და უზარზამარ, ნარნარ ქანობებსა და მდუმარე მიდამოს დასცქეროდა. ცენტრალურმა კომპიუტერმა ალბათ იცოდა, რომ ელვინი უკვე იქ იმყოფებოდა; კომპიუტერს ხომ არაფერი არ გამორჩებოდა, რაც დიასპარში ხდებოდა. ისღა დარჩენოდა, მის ინსტრუქციებს დალოდებოდა.

ახლა უკვე ნაცნობი, თუმცა ძველებურად შიშისმომგვრელი ხმა ისე ჩუმად და ისე ახლოს ჟღერდა, რომ ელვინს მოეჩვენა, თითქოს მხოლოდ მას ესმოდა და ჯეზერაკს არც გაუგია.

„მარცხენა ქანობს დაუყევი, - მიმართა კომპიუტერმა. – ახალ ინსტრუქციას იქ გაეცნობი.“

ელვინი ნელი ნაბიჯით დაეშვა ფერდობზე, რობოტი მის გვერით მიცურავდა. ჯეზერაკი და დანარჩენი მსახურები არ გაჰყოლიან; ნეტა ზემოთ დარჩენის ბრძანება მიიღეს, თუ უბრალოდ გადაწყვიტეს, რომ ამ ხელსაყრელი პოზიციიდან უკეთ მიადევნებდნენ თვალს და ქვემოთ ჩასვლით თავი აღარ შეუწუხებიათ. ან შეიძლება დიასპარის ყველაზე წმინდა ადგილამდე იმდენად ახლოს მივიდნენ, რომ მეტი მიახლოება ვეღარ გაებედათ.

ქანობი დასრულდა, ელვინმა კომპიუტერის ჩუმი ხმისგან ახალი ინსტრუქცია მიიღო და განიერ ქუჩას დაუყვა მძინარე ტიტანურ კონსტრუქციებს შორის. ხმამ კიდევ სამჯერ მიმართა და ელვინი მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს დანიშნულების ადგილს მიაღწია.

მანქანა, რომლის პირისპირაც აღმოჩნდა, თავის დანარჩენ თანამგზავრებს ზომით აშკარად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ელვინი მაინც ჯუჯად გრძნობდა საკუთარ თავს მის წინაშე. მანქანის ხუთი საფეხური მოლივლივე ჰორიზონტალური ხაზებით რომელიღაცა ჩასაფრებული ცხოველის პოზას მოგაგონებდათ. ელვინმა თავის რობოტზე გადაიტანა მზერა და თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ორივე მანქანა ერთი და იგივე ევოლუციის შედეგს წარმოადგენდნენ და ორივეს ერთი და იგივე სახელწოდება ესადაგებოდა.

იატაკიდან სამიოდე ფუტის მანძილზე კონსტრუქციის მთელს სიგრძეზე განიერი გამჭვირვალე პანელი გადიოდა. ელვინმა შუბლი გლუვ, გასაოცრად თბილ ზედაპირს მიადო და მანქანის შიგნით შეიჭვრიტა. თავიდან ვერაფერი შენიშნა; შემდეგ თვალები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოიჩრდილა და სიცარიელეში მოკიაფე ათასობით მქრალი შუქ-ჩრდილს მოკრა თვალი. შუქები სამ განზომილებიან გისოსებს ქმნიდნენ, იმდენად ამოუხსნელსა და ყოველგვარ აზრს მოკლებულს, როგორც ვარსკვლავები წარმოადგენდნენ უძველესი ადამიანისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ელვინი შუქთა პალიტრას დიდხანს აკვირდებოდა თვალამოუწყვეტლად, ისე რომ დროის სვლა სულ გადაავიწყდა, მაგრამ შუქები არც ადგილიდან იძვროდნენ და არც სიკაშკაშეს იცვლიდნენ.

ელვინი მიხვდა, რომ საკუთარ ტვინში რომ ჩაეხედა, ისეთივე ბუნდოვან სურათს აღმოაჩენდა, როგორც შუქებს შემხედვარეს. მანქანა ინერტული და უძრავი ეჩვენებოდა, რადგან მისი აზროვნების პროცესს ვერ ხედავდა.

და მხოლოდ ახლა დაიწყო მასში ქალაქის მამოძრავებელი ძალისა და ენერგიის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენის ჩამოყალიბებამ. მთელი ცხოვრება ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამდა სინთეზატორების მიერ შექმნილ სასწაულებს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთგულად, დაუღალავად აკმაყოფილებდა დიასპარის მოთხოვნილებებს. ათასჯერ მაინც უდევნებია თვალი შემოქმედების ამ პროცესებისთვის და იშვიათად თუ დაფიქრებულა იმაზე, რომ სადღაც აუცილებლად უნდა არსებობდეს პროტოტიპი იმისა, რაც მის თვალწინ იქმნებოდა.

ისევე როგორც ადამიანის ტვინს შეეძლო ერთ კონკრეტულ აზრსა და ფიქრზე შეჩერებულიყო, ასევე შეეძლოთ გაცილებით უფრო რთულ მოაზროვნე მექანიზმებს, რომლებიც ცენტრალურ კომპიუტერის მხოლოდ ერთ მცირედ ნაწილს წარმოადგენენ, ყველაზე უფრო ჩახლართული მცნებების დაფიქსირება და საუკუნოდ შენახვა. მარადიულ გონებაში ოდესღაც შექმნილი ყველა საგნის გაყინული ნიმუშები ინახებოდა, და მათი რეალურ საგნებად ქცევისთვის მხოლოდ ადამიანის ნების გამოხატვა იყო საჭირო.

სამყარო მართლაც რომ შორს წავიდა იმ პერიოდიდან, როცა გამოქვაბულის ადამიანები საათების განმავლობაში ჯიუტად და მოთმინებით ებრძოდნენ უდრეკ ქვას და მისგან დანებისა და შუბის პირების გამოთლას სწავლობდნენ.

მოლოდინით სავსე ელვინი მდუმარედ იდგა და მანქანის შემდგომ ნიშნებს ელოდებოდა. ნეტა როგორ გრძნობდა ცენტრალური კომპიუტერი მის არსებობას, როგორ ხედავდა მას და როგორ ესმოდა მისი ხმა? ირგვლივ გრძნობის ორგანოების არავითარი ნიშნები არ ჩანდა, არავითარი მგრძნობელიბითი ბადეები ან ეკრანები ან უემოციო კრისტალური თვალები, რომლითაც რობოტები ამ ქვეყანას აკვირდებოდნენ და აღიქვამდნენ.

„მომახსენე შენი გასაჭირი," - ჩუმი ხმა მის ყურთან გაისმა. ამ ვეებერთელა მექანიზმს საკუთარი აზრების ასეთი წყნარი, ოდნავ გასაგონი ხმით გამოხატვის გასაოცარი შესაძლებლობა ახასიათებდა. მაგრამ ელვინი მალევე მიხვდა, რომ თავს იტყუებდა; ცენტრალური კომპიუტერი თავისი ტვინის ალბათ მემილიონედ ნაწილსაც არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უთმობდა. ელვინის შემთხვევა ალბათ ერთ-ერთი გახლდათ იმ უთვალავი შემთხვევიდან, რომელიც დიასპარის ცხოვრებაზე მეთვალყურე კომპიუტერის ერთდროული და ყოვლისმომცველი ყურადღების ქვეშ მოექცა.

ძნელი იყო ისეთი რამის თანდასწრებით ლაპარაკი, ვინც მთელს სივრცეს იკავებდა და ავსებდა. ელვინს სიტყვების წარმოთქმასაც ვერ ასწრებდა, რომ დარბაზის სიცარიელეში იკარგებოდა.

„ვინ ვარ მე?“ – იკითხა ელვინმა.

მსგავსი კითხვა ერთ-ერთი სანფორმაციო მანქანისთვის რომ დაესვა, პასუხი წინასწარ ეცოდინებოდა. სინამდვილეში ამ კითხვით ხშირად მიუმართავს მათთვის და აი, რა პასუხით ისტუმრებდნენ ხოლმე, ‘ადამიანი ხარ’. მაგრამ ახლა საქმე გაცილებით უფრო რთული ინტელექტისა და აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის მქონე მანქანასთან ჰქონდა და გულისწამღები და დამღლელი სემანტიკური სიზუსტის დაცვის აუცილებლობას ვერ ხედავდა. ცენტრალური კომპიუტერი მაშინვე მიუხვდებოდა სათქმელს, თუმცა ეს იმას არ მოასწავებდა, რომ აუცილებლად უპასუხებდა.

და სამწუხაროდ ზუსტად ისეთი პასუხი გასცა, რომლისაც ელვინს ეშინოდა.

„ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ. რომ გიპასუხო, ძალაუნებურად ჩემი შემქმნელების ჩანაფიქრი უნდა გავცე, და აქედან გამომდინარე, მის განხორციელებას შევუშალო ხელი.“

„გამოდის, რომ ჩემი ცხოვრებისეული როლი ჯერ კიდევ ქალაქის მშენებლობის დროს დაიწერა?“

„ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ადამიანის.“

მანქანის პასუხმა ელვინი დააფიქრა. კომპიუტერი სრულ სიმართლეს ამბობდა; დიასპარში მცხოვრებ ადამიანებს ისევე ზედმიწევნით აპროექტებდნენ, როგორც თავად მანქანებს. ელვინს უნიკალურობა მხოლოდ გარშემომყოფებისგან განასხვავებდა, მაგრამ განსაკუთრებულ ღირსებას ნამდვილად არ გულისხმობდა.

ელვინი მიხვდა, რომ თავისი იდუმალი წარმოშობის შესახებ ამაზე მეტს ვერ შეიტყობდა. უაღრესად გონიერი მანქანის მოტყუების მცდელობას აზრი არ ჰქონდა, არც იმაზე უნდა დაემყარებინა იმედი, რომ კომპიუტერი ოდესმე გაამჟღავნებდა ინფორმაციას, რომლის დაცვაც ასე მკაცრად ჰქონდა ნაბრძანები. ელვინის იმედგაცრუება უმიზეზო არ ყოფილა; გრძნობდა, რომ სიმართლეს თანდათანობით უახლოვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ეს მისი ვიზიტის ძირითად მიზანს სულაც არ წარმოადგენდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლისიდან წამოყვანილ რობოტს შეხედა და თავის შემდგომ ნაბიჯზე დაფიქრდა. რობოტს რომ გაეგო, რის გაკეთებასაც აპირებდა ელვინი, შეიძლება მეტად მწვავე რეაქცია ჰქონოდა, ამიტომ არაფრის დიდებით არ უნდა გაეგო მისი და ცენტრალური კომპიუტერის ლაპარაკი.

„შეგიძლია სიჩუმის ზონის შექმნა?“ – ჰკითხა.

უმალვე შეიპყრო სამარისებული სიჩუმის შეგრძნებამ, როცა ამგვარ ზონაში მოხვედრილი ნებისმიერი სიძლიერის ბგერა ხმას კარგავს და მისი გარჩევა შეუძლებელი ხდება. ცენტრალურმა კომპიუტერმა, რომლის ხმას საოცრად უსიცოცხლო და ავის მომასწავებელი ჟღერადობა მიეღო, მიმართა:

„ახლა ჩვენი არავის ესმის. მითხარი, რისი თქმაც გინდა.“

ელვინმა რობოტს გახედა; ადგილიდანაც არ დაძრულა. შეიძლება არაფრის ეჭვი არ ჰქონდა და ელვინი ცდებოდა, თუ ფიქრობდა, რომ რობოტს საკუთარი მიზნები და გეგმები ამოძრავებდა. სავსებით შესაძლებელია, რომ რობოტი დიასპარში, როგორც ერთგული და მიმდობი მსახური, ისე გაჰყვა, ამ შემთხვევაში ელვინის ჩანაფიქრი საკმაოდ მზაკვრულ გეგმას წააგავდა.

„ალბათ გსმენია, რა ვითარებაშიც შევხვდი ამ რობოტს, - დაიწყო ელვინმა. – ჩემი აზრით, რობოტი წარსულის შესახებ ფასდაუდებელ ცოდნას ფლობს, რაც იმ უძველეს ეპოქას უკავშირდება, როცა ჩვენთვის ამჟამად ნაცნობი ქალაქი ჯერ კიდევ არ არსებობდა ამჟამინდელი ფორმით. შეიძლება დედამიწის გარდა, სხვა სამყაროების შესახებაც შეიძლება მოგვაწოდოს ინფორმაცია, რადგან მოძღვარს დაჰყვებოდა მოგზაურობისას. სამწუხაროდ, მეტყველების არხები დაბლიკილი აქვს. არ ვიცი, რამდენად ეფექტურია ეს ბლოკირება, მაგრამ გთხოვ, მოხსნა.“

მის ხმასაც უსიცოცხლო და ცარიელი ჟღერადობა ჰქონდა, რადგანაც სიჩუმის ზონა თითოეულ ბგერას მანამ შთანთქავდა, სანამ ექოს გამოიწვევდა. ელვინი იდგა ამ უხილავ, რევერბერაციას მოკლებულ ვაკუუმში და ელოდა, როდის შეასრულებდნენ მის თხოვნას ან უარით გამოისტუმრებდნენ.

„შენი სურვილი ორ პრომლემას გულისხმობს, - უპასუხა კომპიუტერმა. – ზნეობრივსა და ტექნიკურს. ეს რობოტი მხოლოდ ერთი განსაზღვრული ადამიანის ბრძანებების შესასრულებლად შეუქმნიათ. რა უფლება მაქვს, წინ აღვუდგე ამ ჩანაფიქრს, რომც შემეძლოს ამის გაკეთება?“

ელვინი მოელოდა ასეთ კითხვას და გონებაში რამდენიმე სავარაუდო პასუხი მოამზადა.

„ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რაში მდგომარეობს მოძღვრის აკრძალვა, - უპასუხა ელვინმა. – თუ რობოტთან დალაპარაკებას შეძლებ, იქნებ აუხსნა და დაარწმუნო, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარემოებები, რომელშიც აკრძალვა დაუწესეს, შეიცვალა და დუმილიც დაცვის აუცილებლობაც გაუქმდა.“

ეს, რა თქმა უნდა, აშკარა მიდგომას წარმოადგენდა. ელვინმა თავადაც არა ერთხელ სცადა ასეთი ხერხი, თუმცა უშედეგოდ, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ცენტრალური კომპიუტერი, თავისი ამოუწურავი გონებრივი შესაძლებლობების წყალობით, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდა ამ საქმეში.

„ეს მთლიანად ბლოკირების ხასიათზეა დამოკიდებული, - გაისმა პასუხი. – ისეთი ბლოკირების შექმნაცაა შესაძლებელი, რომელიც ავტომატურად წაშლის მეხსიერების უჯრედებში დაცულ ინფორმაციას, თუკი ვინმე მის მოხსნას შეეცდება. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ მოძღვარს ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება ჰქონოდა; ამისთვის სპეციალური მეთოდებია საჭირო. შენს რობოტს ვკითხავ, მეხსიერების ბლოკში წამშლელი მექანიზმი თუ აქვს ჩამონტაჟებული.“

„ხომ შეიძლება, - წარმოთქვა მოულოდნელად შეშფოთებულმა ელვინმა, - რომ ამ მექანიზმის შესახებ უბრალოდ კითხვის დასმამაც მეხსირების წაშლა გამოიწვიოს?“

„ამ შემთხვევისთვის სტანდარტული პროცედურა არსებობს, რომელსაც აუცილებლად დავიცავ. მანქანას დამატებით ინსტრუქციას მივცემ და ვუბრძანებ, რომ ყურადღება არ მიაქციოს ჩემს შეკითხვას, თუ უსაფრთხოების ზომები მართლა იყო მიღებული. ასეთი მეთოდის გამოყენებით რობოტის ლოგიკურ პარადოქსში ჩართვას შევძლებ. ასე რომ, არა აქვს მნიშვნელობა, მიპასუხებს თუ არა, მაინც იძულებული შეიქმნება, ინსტრუქციები დაარღვიოს. მსგავს შემთხვევაში ყველა რობოტი ერთნაირად იქცევა თავდაცვის მიზნით. შემავალ სქემებს ათავისუფლებენ და თავს ისე აჩვენებენ, თითქოს მათთვის კითხვა არ დაუსვამთ.“

ელვინი ნანობდა, რომ ეს საკითხი წამოჭრა, და წუთიერი შინაგანი ბრძოლის შემდეგ გადაწყვიტა, რომ რობოტის ადგილას ალბათ იმავე ტაქტიკას გამოიყენებდა და თავს მოიტყუებდა, თითქოს მისთვის არავითარი კითხვა არ დაუსვამთ. ყოველ შემთხვევაში, ერთ რამეში დარწმუნდა – ცენტრალური კომპიუტერი მზადყოფნას გამოხატავდა, რობოტის მეხსიერების უჯრედებში ჩამონტაჟებული ნებისმიერი მახისთვის გაერთვა თავი. ელვინს სულაც არ უნდოდა, რომ მისი მსახური უსარგებლო ჯართად ქცეულიყო. ამას ერჩივნა, უარი ეთქვა მისი საიდუმლოებების გაგებაზე და რობოტი ხელუხლებელი დაებრუნებინა შალმარინზე.

მოთმინება მოიკრიფა და დაელოდა, სანამ ეს ორი ინტელექტი უხმაუროდ, შეუმჩნევლად გაებაასებოდნენ ერთმანეთს. ეს გახლდათ კონტაქტი ადამიანის გენიის მიერ კაცობრიობის უდიდესი მიღწევების დიდი ხნის წინათ მივიწყებული ოქროს ხანაში შექმნილ ორ გონიერ არსებას შორის. ახლა კი დედამიწაზე მცხოვრები ვერც ერთი ადამიანი ვეღარ შეძლებდა ამ ორი გენიალური ქმნილების გაგებას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაისმა ცენტრალური კომპიუტერის უსიცოცხლო, ყრუ ხმა.

„ნაწილობრივი კონტაქტი დავამყარე, - განუცხადა. – ყოველ შემთხვევაში ბლოკირების ხასიათი ამოვხსენი და მე მგონი, ვხვდები, აკრძალვა რატომაც დაუწესეს. ბლოკის მოხსნის ერთადერთი ხერხი არსებობს. რობოტი ხმასაც არ ამოიღებს, სანამ „ძლევამოსილები“ ისევ არ ეწვევიან დედამიწას.“

„რა სისულელეა! – შეეწინააღმდეგა ელვინი. – მოძღვრის მეორე მიმდევარსაც სჯეროდა მათი და ეცადა კიდეც, დაეხასიათებინა ჩვენთვის. მოწაფის ნაამბობის უმეტესობა სრული აბდაუბდა იყო, აზრს ვერ გამოიტანდი. „ძლევამოსილებს“ არასდროს უარსებიათ და არც არასდროს იარსებებენ.“

მდგომარეობა ჩიხში შევიდა, და ელვინი მწარე იმედგაცრუება იგრძნო. მასსა და სიმართლეს შორის მილიონობით წლის წინათ გარდაცვლილი შეშლილის ნება და სურვილი ჩადგა.

„ალბათ მართლი ხარ, - დაეთანხმა ცენტრალური კომპიუტერი, - როცა ამბობ, „ძლევამოსილებს“ არ უარსებიათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არასოდეს გამოჩნდებიან.“

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ელვინი ცდილობდა, კომპიუტერის ბოლო წინადადების არსს ჩასწვდომოდა, ხოლო ორმა მოაზროვნე მანქანამ კვლავ დაამყარა ერთმანეთთან კავშირი და მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ელვინი შალმარინში აღმოჩნდა.

თავი XVII

უზარმაზარი კუპრივით შავი თასი, რომელიც მზის შუქს შთანთქავდა და მის მეასედსაც არ ირეკლავდა, ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ბოლოჯერ ნახა. ელვინი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს შორის იდგა და ტბას გაჰყურებდა, რომლის აუღელვებელი ზედაპირი ცხადყოფდა, რომ ვეებერთელა პოლიპი მიკროსკოპული ცოცხალი ორგანიზმისგან შემდგარ გაფანტულ ღრუბლად გადაქცეულიყო და ორგანიზებულ, გონიერ არსებასთან აღარავითარი კავშირი არ ჰქონდა.

რობოტი ისევ მის გვერდით იდგა, ჰილვარი კი არსად ჩანდა. ელვინს არც დასცალდა, მომხდარის მნიშვნელობაზე დაფიქრებულიყო, ან მეგობრის არ ყოფნაზე ენერვიულა, რადგან მოულოდნელად იმდენად დაუჯერებელი და ფანტასტიკური რამ მოხდა, რომ ელვინის ტვინიდან ყველა დანარჩენი ფიქრი გამოდევნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცა ორად გაიპო. წყვდიადის ვიწრო ზოლი ჰორიზონტიდან ზენიტამდე გადაიჭიმა და ნელ-ნელა გაფართოება იწყო, თითქოს თავად ღამე და ქაოსი ლამობდნენ, სამყაროს თავს რისხვით დასტყდომოდნენ. სიბნელის ზოლი განუწყვეტლივ იზრდებოდა, სანამ ცის მეოთხედი არ დაფარა. ასტრონომიული მოვლენების შესახებ ამომწურავი ინფორმაციისა და ცოდნის მიუხედავად, ელვინს მაინც ვერ დაეღწია თავი გამაოგნებელი შთაბეჭდილებისგან, თითქოს ის და მთელი მისი გარემომცველი სამყარო უზარმაზარი ლურჯი გუმბათის ქვეშ შეყუჟულიყვნენ – და რაღაც ამოუცნობი ძალა თავგამოდებით ცდილობდა, გარედან შემოემტვრია გუმბათი და შიგნით შემოეღწია.

შავბნელმა ზოლმა ზრდა შეწყვიტა. მისი წარმომშობი ძალები ახლა ზემოდან დაჰყურებდნენ ახალ აღმოჩენილ სათამაშო სამყაროს და ალბათ ფიქრობდნენ და ერთმანეთში ბჭობდნენ, ღირდა თუ არა ეს უსუსური ქვეყანა მათ ყურადღებად. ამოუცნობი ძალების კოსმიური მზერის შუაგულში მდგარი ელვინი არც შიშს გრძნობდა და არც ძრწოლას. იცოდა, რომ ისეთი ძალისა და სიბრძნის პირისპირ იდგა, რომლის წინაშეც ადამიანი მხოლოდ მოწიწებას უნდა გრძნობდეს და არა შიშს.

და აი, უდიდესმა ძალებმა გადაწყვიტეს, მარადისობის ერთი უმცირესი მონაკვეთი მიეძღვნათ დედამიწისა და მისი ბინადრებისთვის და ცაში გამოჭრილი ფანჯრიდან დედამიწაზე ჩამოსვლა იწყეს.

დედამიწაზე ზეციური სამჭედლოდან წამოსული ნაპერწკლებივით ჩამოცივდნენ. ნაკადი თანდათან სქელდებოდა, სანამ ციდან ცეცხლის მფრქვეველი ჩანჩქერი არ ჩამოიღვარა და დედამიწის ზედაპირს თხევადი შუქის ტბორებად არ მოედო. ელვინის ყურებში კურთხევასავით გაისმა შემდეგი სიტყვები:

„ძლევამოსილები მოვიდნენ.“

ცეცხლის ალმა ელვინამდეც მოაღწია, მაგრამ არ დაუწვავს. ალმოდებულმა მდინარეებმა ყველაფერი შთანთქეს, შალმარინის ვეებერთელა სასმისი კი ოქროსფერი ციალით აავსეს. გაოცებული ელვინი დიდებულ სანახაობას აკვირდებოდა და შენიშნა, რომ სინათლის ნაკადი უფორმო კი არ იყო, არამედ გარკვეული აგებულება და სტრუქტურა ჰქონდა. თხევადმა ცეცხლმა კონკრეტული ფორმები მიიღო და ცალკეულ ცეცხლოვან მორევებში იწყო თავმოყრა. მორევები მზარდი სიჩქარით ბრუნავდნენ საკუთარი ღერძების გარშემო, მათმა ცენტრებმა ზემოთ გადაინაცვლეს და კოლონები შექმნეს, რომლის შიგნითაც ელვინმა იდუმალ, ეფემერულ ფიგურებს მოკრა თვალი. ამ მოელვარე კერპებიდან უსასრულოდ შორეული, მაგრამ მომაჯადოვებელი მუსიკის სუსტი ხმები აღწევდა.

„ძლევამოსილები მოვიდნენ.“

ამჯერად პასუხმა არ დააყოვნა. ელვინს მკაფიოდ შემოესმა შემდეგი სიტყვები:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მოგესალმებიან მოძღვრის მსახურები. ველოდით თქვენს გამოჩენას.“ ელვინი მიხვდა, რომ ყველა ბარიერი მოიხსნა. და სწორედ ამ წუთას შალმარინი და მისი უჩვეულო სტუმრები გაქრნენ, და ისევ ცენტრალური კომპიუტერის პირისპირ იდგა მშობლიური დიასპარის სიღრმეში.

ეს მხოლოდ ილუზია გახლდათ, ისეთივე არარეალური, როგორიც ფანტასტიკური საგების სამყარო, რომელშიც მთელი თავისი ახალგაზრდობა გაატარა. მაგრამ როგორ შექმნეს; საიდან გაჩნდა ის საოცარი გამოსახულებები, ასე თვალნათლივ რომ იხილა?

„უჩვეულო პრობლემის წინაშე ავღმოვჩნდი, - განაგრძო ცენტრალური კომპიუტერის ჩუმმა ხმამ. – ვიცოდი, რომ რობორტს გარკვეული ვიზუალური წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ძლევამოსილები შესახებ. რობოტი უნდა დამეწმუნებინა, რომ მის მიერ მიღებული გრძნობითი შთაბეჭდილება ამ ვიზუალურ გამოსახულებას ემთხვეოდა, დანარჩენი სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.“

„და როგორ მოახერხე ამის გაკეთება?“

„ძირითადად გამოკითხვებით. რობოტისგან შევიტყვე, ძლევამოსილები როგორც გამოიყურებიან, შემდეგ მის ფიქრებში ჩამოყალიბებული გამოსახულება დავიჭირე. მართალია, ამ გამოსახულებას სრული სახე არ ჰქონდა და ბევრი რამის დამატება იმპროვიზაციის მეთოდით მომიხდა. ერთი ორჯერ ჩემს მიერ შექმნილი სურათი საგრძნობლად დაშორდა რობოტის წარმოდგენაში არსებულ გამოსახულებებს, მაგრამ მაშინვე ვამჩნევდი რობოტს მზარდ უკმაყოფილებას ამის გამო და ყველანაირად ვცდილობდი, გამოსახულებაში ცვლილებები შემეტანა და შემესწორებინა, სანამ რამეს იეჭვებდა. ალბათ ხვდები, რომ ასობით სქემის გამოყენება შემიძლია, - მაშინ როცა რობოტი მხოლოდ ერთ იყენებს, - და ერთი გამოსახულებიდან ისე სწრაფად გადავერთო მეორეზე, რომ ცვლილება შეუმჩნეველი დარჩეს. ეს გარკვეულ წილად ფოკუსსაც ჰგავდა; რობოტის სენსორული სქემების გადატვირთვა და მისი კრიტიკული აღქმის შესაძლებლობის დახშობა შევძელი. შენ დასრულებული, შესწორებული სურათი იხილე, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება მოძღვრის წარმოდგენებს. მართალია სრულყოფილი სურათი ვერ დავხატე, გარკვეული ხარვეზები აქვს, მაგრამ სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. რობოტი ისე დაარწმუნდა მისმა სინამდვილემ, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ბლოკი მოიხსნა და იმ წუთას მის გონებასთან აბსოლუტური კავშირის დამყარება შევძელი. რობოტი აღარაა შეშლილი; ამიერიდან შენს ნებისმიერ კითხვას უპასუხებს.“

ელვინი თავზარდაცემული იდგა; წარმოსახვითი აპოკალიპსის სურათი ჯერ კიდევ მთელი სიცხადით ედგა თვალწინ, და არც უცდია, სათანადო ყურადღება მიექცია ცენტრალური კომპიუტერის განმარტებებისთვის. ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა; თერაპიული სასწაული უკვე მოხდა, მის წინ ფართოდ გაიღო ცოდნის ტაძარში შემავალი კარიბჭე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ ცენტრალური კომპიუტერის გაფრთხილება გაახსენდა და შეშფოთებულმა იკითხა: „ზნეობრივ წინააღმდეგობაზე რას იტყვი, მოძღვრის ბრძანების გაუქმებასთან დაკავშირებით რომ გქონდა?“

„გავარკვიე, მოძღვარმა რობოტს აკრძალვები რატომაც დაუწესა. როცა დაწვრილებით შეიტყობ მის ამბავს, რისი საშუალება ახლა შენც გაქვს, აღმოაჩენ, რომ ბევრ სასწაულს იჩემებდა. მიმდევრებს სჯეროდათ მისი და მათი რწმენა მოძღვრის ძალაუფლებას აძლიერებდა. რა თქმა უნდა, ყველა ამ სასწაულს მარტივი ახსნა მოეძებნება – ან საერთოდ ხდებოდა კი სასწაულები? ვერაფრით დამიჯერებია, რომ ერთი შეხედვით გონიერი ხალხი ასეთ ტყუილებზე წამოეგო.“

„გამოდის, რომ მოძღვარი თვითმარქვია ყოფილა?“

„არა; საქმე ასე მარტივად არ არის. მოძღვარი რომ უბრალო შარლატანი ყოფილიყო, ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა და მისი მოძღვრება ამდენი ხანი ვერ შემორჩებოდა. ცუდი ადამიანი არ იყო და მისი მოძღვრებიდან ბევრი რამ სიმართლისა და სიბრძნის მარცვალს შეიცავდა. ბოლოს და ბოლოს თავადაც ირწმნუნა საკუთარი სასწაულები, მაგრამ ამავე დროს იცოდა, რომ ერთადერთი მოწმე არსებობდა, რომელსაც მისი გამჟღვანება შეეძლო. რობოტმა მოძღვრის ყველა საიდუმლო იცოდა; მისი მეშვეობით მოძღვარი თავის მიმდევრებს უკავშირდებოდა, მაგრამ თუ ვინმე მკაცრ დაკითხვას მოუწყობდა, რობოტის პასუხები მოძღვრების საფუძვლებისა და მისი ძალაუფლების რყევას გამოიწვევდა. ამიტომ უბრძანა, რომ არასდროს გაემხილა თავისი მოგონებები, სანამ სამყაროს დასასრული არ მოახლოვდებოდა და დიდებულები არ მოვიდოდნენ. დაუჯერებელია, რომ ერთი და იგივე ადამიანი ერთდროულად სიცრუისა და გულწრფელობის ასეთ უცნაურ ნაზავს ითავსებდა, მაგრამ ფაქტია.“

ნეტა როგორ აღიქვამდა რობოტი უძველესი ტყვეობიდან გათავისუფლებას? როგორც საკმაოდ რთულ მანქანას, ადვილად შეეძლო ისეთი ემოციის განცდა, როგორიცაა აღშფოთება. მისი რისხვა შეიძლება როგორც მოძღვრის მიმართ ყოფილიყო მიმართული, რომელმაც დაამონა, ასევე ელვინისა და ცენტრალური კომპუტერის მიმართ, რომელთაც მოტყუებით დააბრუნეს რობოტი რეალურ სამყაროში.

სიჩუმის ზონა მოიხსნა და ფარული ლაპარაკის საჭიროება აღარ არსებობდა. როგორც იქნა, ელვინისთვის ნანატრი მომენტი დადგა. რობოტს მიუბრუნდა და დაუსვა კითხვა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მას შემდეგ, რაც მოძღვრის ამბავი შეიტყო.

და რობოტმა პასუხი გასცა.

ჯეზერაკი და დანარჩენი მსახურები ისევ მოთმინებით ელოდნენ ელვინის დაბრუნებას. დაღმართის ზემოთა მხარედან, სანამ დერეფანში გადავიდოდნენ, ელვინმა მიწისქვეშა ქალაქს კიდევ ერთხელ გადახედა; ილუზია ახლა უფრო ცხადი და მკაფიო აღმოჩნდა. მის ქვემოთ უცნაური მოყვანილობის თეთრი შენობებისგან შემდგარი და თვალისმომჭრელი შუქით, ისეთით, ადამიანი რომ ვერ გაუსწორებდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალს, გასხივოსნებული მკვდარი ქალაქი იწვა. ქალაქს მკვდარს უწოდებდნენ, რადგან სინამდვილეში არც არასოდეს უცოცხლია, მაგრამ მასში უფრო ძლიერი ენერგია ფეთქავდა, ვიდრე ძალა, რომელიც ორგანულ მატერიას ამოძრავებდა. სანამ სამყარო იარსებებს, ეს უტყვი მანქანებიც აქ დარჩებიან და არასდროს გადაუხვევენ ადამიანის გენიალური გონების მიერ უხსოვარ დროს ჩანერგილ ფიქრებს.

სანამ საბჭოს დარბაზისკენ მიემართებოდნენ, ჯერეკმა რამდენიმე კითხვა დაუსვა ელვინს, მაგრამ სიტყვაც ვერ დააცდევინა ცენტრალურ კომპიუტერთან საუბრის შესახებ. ელვინის სიჩუმე მარტო წინდახედულობით არ ყოფილა გამოწვეული; ორიოდე წუთის წინ ნანახს იმდენად გაეოგნებინა და დაებნია, უეცრად მიღწეულ წარმატებას იმდენად აერია მისთვის გონება, რომ თანმიმდევრული საუბრისთვის თავი ვერ მოეყარა. ჯეზერაკს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა მოთმინება მოეკრიფა, იმ იმედით, რომ ელვინი მალე გამოვიდოდა ამ ეიფორიის მდგომარეობიდან.

დიასპარის ქუჩებში შუქი იღვრებოდა, მაგრამ მანქანების ქალაქთან შედარებით მკრთალი და მბჟუტავი ჩანდა. ელვინი თითქმის ვერ ამჩნევდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, არც უზარმაზარი კოშკების ნაცნობ სილამაზეს აქცევდა ყურადღებას, მის გვერდით რომ მიცურავდნენ, და არც თანამოქალაქეების ცნობისმოყვარე მზერას. საოცარია, - ფიქრობდა ელვინი, - მაგრამ ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა, თითქოს სწორედ ამ მომენტს უქმნიდა ერთგვარ ნიადაგს. ხედრონის გაცნობის შემდეგ მოვლენები ავტომატურად უბიძგებდნენ წინასწარ განსაზღვრული მიზნისკენ. მონიტორები – ლისი – შალმარინი – ამ სტადიათაგან თითოეულზე შეეძლო მზერა სხვა რამეზე გადაეტანა და თავი დაეჯერებინა, რომ ვერაფერს ხედავს, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა წინსვლისკენ მოუწოდებდა. ნუთუ თავად გახლდათ საკუთარი ბედის მჭედელი, თუ თავად განგებას გამოერჩია ყველასაგან? შეიძლება ყველაფერი ალბათობის თეორიიდან გამომდინარეობდა, და შემთხვევითობის კანონს უკავშირდებოდა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მის მიერ უკვე განვლილი ბილიკი ხელახლა აღმოაჩინოს, და გასული საუკუნეების განმავლობაში ალბათ უამრავი ადამიანი გაჰყოლია ამ ბილიკს ასე შორს. წინა უნიკუმები, მაგალითად... რა ბედი ეწიათ მათ? სავსებით შესაძლებელია, რომ ელვინს ბედმა პირველს გაუღიმა.

დიასპარის ქუჩებში განვლილი მთელი გზის მანძილზე ელვინი თანდათანობით ახლო კავშირს ამყარებდა რობოტთან, რომელიც საუკუნოვანი მონობისგან გაათავისუფლა. რობოტს ყოველთვის შეეძლო მისი ფიქრების აღქმა, მაგრამ აქამდე ვერ გადაეწყვიტა, დამორჩილებოდა თუ არა მის ბრძანებებს. ახლა ეს გაურკვევლობა მოიხსნა; ელვინს შეეძლო მასთან ადამიანივით ესაუბრა, მაგრამ რადგან მარტო არ იყო, უბრძანა, ვერბალური მეტყველება არ გამოეყენებინა და მარტივი, მისთვის გასაგები გონებრივი, ვიზუალური გამოსახულებებისთვის მიემართა. ზოგჯერ ბრაზობდა კიდეც, რომ რობოტებს ერთმანეთთან ტელეპათიური საუბარი შეეძლოთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხოლო ადამიანებს, ლისს თუ არ ჩათვლით, ასეთი შესაძლებლობები არ ჰქონდათ. აი, კიდევ ერთი უნარი, რომელიც დიასპარმა დაკარგა, ან განგებ უარყო.

ეს უხმო და, გარკვეულ წილად, ერთმხრივი საუბარი გრძელდებოდა, სანამ საბჭოს დარბაზის ვესტიბულში ელოდებოდნენ. შეუძლებელი იყო, ამჟამინდელი სიტუაცია არ შეედარებინა ლისში შექმნილ მდგომარეობასთან, როცა სერანისი და მისი კოლეგები ცდილობდნენ თავისი ნებისთვის დაემორჩილებინათ. იმედოვნებდა, რომ მორიგი კონფლიქტი არ წარმოიშობოდა, მაგრამ თუ შეტაკება გარდაუვალია, მაშინ ახლა გაცილებით უკეთ გახლდათ მომზადებული.

შეხედა თუ არა ელვინმა საბჭოს წევრების სახეებს, მაშინვე მიხვდა, რა გადაწყვეტილებაც გამოიტანეს. არც გაკვირვებას გრძნობდა და არც იმედგაცრუებას. ალბათ მრჩეველების მოლოდინი არ გამართლდა, პრეზიდენტის გადამწყვეტი სიტყვა ისე მოისმინა, სახეზე ემოციის ნატამალიც არ დასტყობია.

„ელვინ, - დაიწყო პრეზიდენტმა, - ჩვენ დიდი რუდუნებით განვიხილეთ შენი აღმოჩენით გამოწვეული მდგომარეობა, და ერთხმად მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება. რადგან დიასპარის ცხოვრების ჩვეული რითმის დაღვევა არავის სურს, და რადგან მილიონობით წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იბადება ადამიანი, ვისაც დიასპარის საზღვრების გადალახვა შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ყველასთვის ცნობილია გზა, ლისთან დამაკავშირებელი მიწისქეშა სისტემის საჭიროებას ვერ ვხედავთ. ამავე დროს შესაძლებელია ეს გზა საფრთხის მომტანი იყოს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ მოძრავი გზების შენობაში შემავალი კარი სამუდამოდ ამოვქოლოთ.

„გარდა ამისა, რადგან გამორიცხული არაა, რომ ქალაქიდან გასასვლელი სხვა საშუალებებიც არსებობდეს, მონიტორის მეხსირერების სისტემებში ძებნა განხორციელდება. ძებნა უკვე დაიწყო.

„ასევე განვიხილეთ სავარაუდო ზომები, რომლებსაც შენთან მიმართებაში, საჭიროების შემთხვევაში გავატარებთ. შენი ახალგაზრდობის, ასევე შენი წარმომავლობის უჩვეულო გარემოებების გათვალისწინებით, შენი საქციელის მკაცრი განსჯა მართებული არ იქნებოდა. არსებითად, ერთგვარი სასიკეთო სამსახურიც გაუწიე დიასპარს, იმით რომ პოტენციური საფრთხე გამოავლინე, რისთვისაც მადლობას გიხდით.“

ხალხში ჩუმი აპლოდისმენტები გაისმა და მრჩეველებს სახეზე კმაყოფილი გამომეტყველება დაეტყოთ. ურთულეს სიტუაციას უმოკლეს დროში გაუმკლავდნენ, და ელვინის დასჯის აუცილებლობაც თავიდან აიცილეს. ახლა კი თავისუფლად შეეძლოთ ჩვეულ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ და ეამაყათ იმ ფაქტით, რომ მათ, დიასპარის ყველაზე გავლენიანმა მოქალაქეებმა, პირნათლად შეასრულეს თავიანთი

fb.com/groups/elib

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვალი. თუ გაუმართლებდათ, ამგვარი შეკრების საჭიროება კიდევ მრავალი საუკუნეების განმავლობაში აღარ დასჭირდებოდათ.

პრეზიდენტმა მოლოდინით სავსე მზერით შეხედა ელვინს; ალბათ იმედი ჰქონდა, რომ ელვინი სათანადოდ უპასუხებდა და საბჭოს მიმართ მადლიერებას გამოხატავდა, ასეთი რბილი გადაწყვეტილების მიღებისათვის. თუმცა საბჭოს იმედი ნამდვილად არ გამართლდა.

„შეიძლება ერთი კითხვა დაგისვათ?“ – თავაზიანად იკითხა ელვინმა.

„რა თქმა უნდა.“

„ცენტრალურმა კომპიუტერმა მოიწონა თქვენი გადაწყვეტილება?“

ჩვეულებრივ ვითარებაში ასეთ შეკითხვას თავხედობად მიიჩნევდნენ. საბჭო არ არის ვალდებული ვისმეს წინაშე გაამართლოს ანდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ან ახსნას, რამ გამოიწვია მისი მიღება. მაგრამ ელვინს გარკვეული პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა, რადგან ცენტრალური კომპიუტერის ნდობით გახლდათ აღჭურვილი.

კითხვამ საბჭოს წევრების აშკარა შეცბუნება გამოიწვია და მეტად უხალისო პასუხი მოჰყვა.

„რა თქმა უნდა, ცენტრალურ კომპიუტერთან ვითათბირეთ. კომპიუტერმა ნება დაგვრთო, საკუთარი შეხედულებისამებრ გვემოქმედა.“

ელვინი ზუსტად ასეთ პასუხს მოელოდა. ცენტრალური კომპიუტერი საბჭოს ალბათ მაშინ ეთათბირებოდა, როცა ელვინს ელაპარაკებოდა – ზუსტად იმავე წუთებში პარალელურად დიასპარის მილიონობით სხვა საკითხსაც განიხილავდა. კომპიუტერმა, ისევე როგორც ელვინმა, მშვენივრად იცოდა, რომ საბჭოს წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მომავალი მოვლენები საბჭოს კონტროლს მას შემდეგ აღარ ექვემდებარებოდნენ, რაც მრჩეველებმა, საკუთარი ბედნიერი უვიცობის გამო, ჩათვალეს, რომ კრიზისს სავსებით წარმატებით გაუმკლავდნენ და საფრთხე უკან ჩამოიტოვეს.

ამ თვითკმაყოფილი სულელი მოხუცების, რომლებიც თავიანთ თავს დიასპარის ჭეშმარიტ მმართველებად მიიჩნევდნენ, შემხედვარე ელვინს ნამდვილად არ დაუფლებია უპირატესობის გრძნობა, არც მოსალოდნელი გამარჯვებით გამოწვეული ტკბილი მოლოდინი უგვრძნია. დიასპარის რეალური მბრძანებელი უკვე იხილა და დაელაპარაკა კიდეც ბრწყინვალე მიწისქვეშა ქალაქის სამარისებულ სიჩუმეში. ამ შეხვედრის წყალობით ელვინის სულში გამეფებული ქედმაღლობის გრძნობა თითქმის მთლიანად გაქრა, მაგრამ მაინც რჩებოდა საკმარისი სითამამე გადამწყვეტი საქციელისთვის, რომელიც ყველა აქამდე მომხდარ შემთხვევას გადაჩრდილავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა საბჭოს ემშვიდობებოდა, ელვინი ფიქრობდა, - ნუთუ არ გაკვირვებიათ, ასე მორჩილად და თვინიერად რომ მიიღო ლისში მიმავალი მიწისქვეშა გზის ჩარაზვის ამბავი და არც არავითარი აღშფოთება გამოუხატავს ამის გამო. რწმუნებულებს არ გაუცილებიათ; მასზე დაწესებული ზედამხედველობა მოხსნეს, ყოველ შემთხვევაში აშკარად აღარავინ უთვალთვალებდა. საბჭოს დარბაზიდან მხოლოდ ჯეზერაკი გაჰყვა და სხვადასხვა ფერებით მოელვარე და ხალხმრავალ ქალაქის ქუჩაში გააცილა.

„მაშ ასე, ელვინ, - მიმართა. – მართალია სანიმუშოდ იქცეოდი, მაგრამ მე ვერ მომატყუებ. რა გაქვს ჩაფიქრებული?“

ელვინს გაეღიმა.

„ვიცი, რომ რაღაცას იეჭვებდი; თუ გამომყვები, გაჩვენებ, რატომაც დაკარგა ლისის მიწისქვეშა გზამ თავისი უწინდელი მნიშვნელობა. და კიდევ ერთი ექსპერიმენტის ჩატარება მინდა; შეიძლება არ მოგეწონოს, მაგრამ გარწმუნებ, შენთვის ზიანის მომტანი ნამდვილად არ იქნება.“

„ძალიან კარგი. მართალია ჯერ კიდევ შენს დამრიგებლად ვითვლები, მაგრამ, როგორც ვხედავ, როლები შეიცვალა. სად მიგყავარ?“

„ლორენის კოშკში მივდივართ, და მინდა დიასპარის კედლებს მიღმა არსებული სამყარო დაგანახო.“

ჯეზერაკი გაფითრდა, მაგრამ თავი შეიკავა. შემდეგ, თითქოს საკუთარ სიტყვებს აღარ ენდო, მოკლედ და თავშეკავებულად დაუქნია თავი და ელვინთან ერთად მოძრავი გზების სწორად მოცურავე გლუვ ზედაპირზე შედგა ფეხი.

ჯეზერაკს შიშის მცირედი ნიშნებიც კი არ გამოუვლენია, როცა გვირაბს გადიოდნენ, საიდანაც დიასპარში მარადიული ცივი ქარი უბერავდა. გვირაბი შეცვლილიყო; ქვის გისოსები, რომლებიც ქალაქს გარე სამყაროსგან ღობავდა, მოეშორებინათ. გისოსებს არავითარი კონსტრუქტული დანიშნულება არ ჰქონდა, ამიტომ ცენტრალურმა კომპიუტერმა ელვინის თხოვნით ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოხსნა. მოგვიანებით შეიძლება მონიტორებს უბრძანოს, გისოსები აღადგინონ და თავიანთ ადგილას დააბრუნონ. მაგრამ ამჟამად შემოუღობავ და დაუცველ გვირაბსა და ქალაქის გარეთა კედელს შორის არავითარი წინაღობა არ არსებობდა.

სანამ სავენტილაციო შახტის ბოლოში არ გავიდნენ, ჯეზერაკი ვერ მიხვდა, რომ გარე სამყაროს პირისპირ აღმოჩნდნენ. ცის კამარას გახედა, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა; ნაბიჯები სიმტკიცეს კარგავდა, სანამ ბოლოს და ბოლოს ფეხებმა არ უმტყუნა და ადგილზე არ გაქვავდა. ელვინს გაახსენდა, რომ ალისტრაც სწორედ ამ ადგილას მოტრიალდა და გაიქცა, და ფიქრობდა, ნეტა თუ დაითანხმებდა ჯეზერაკს, გზა გაეგრძელებინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ქალაქის დატოვებას არ გთხოვ, - შეეხვეწა ელვინი, - უბრალოდ შეხედე. დარწმუნებული ვარ, შეძლებ ამის გაკეთებას!“

ერლიში მცირე ხნით ვიზიტის დროს, ელვინი აკვირდებოდა, დედა როგორ ასწავლიდა თავის შვილს სიარულს. თავისდაუნებურად ეს სცენა გაახსენდა, როდესაც ჯეზერაკს არწმუნებდა, დერეფანი გამოეარა, და თავის მასწავლებელს გამამხნევებელ შენიშვნებს აძლევდა, როცა ეს უკანასკნელი ცდილობდა, ურჩი ფეხები დაემორჩილებინა და ნელი ნაბიჯები გადაედგა წინ. ჯეზერაკი, ხედრონისგან განსხვავებით მშიშარა არ გახლდათ. მოხუცი მზად იყო, საკუთარი ცრურწმენებისა და წინათგრძნობის წინააღმდეგ ებრძოლა. ბრძოლა თავგანწირული აღმოჩნდა. როცა იმ მონაკვეთს მიუახლოვდნენ, საიდანაც უდაბნოს თვალუწვდენელი სივრცე იშლებოდა, ელვინს ისევე გამოცლოდა ძალა, როგორც მოხუც ჯეზერაკს.

და როცა დანიშნულების ადგილს მიაღწიეს, მოხუცის თვალწინ შეუდარებელი პეიზაჟი გადაიშალა, ისეთი ლამაზი, რომლის მსგავსი ჯეზერაკს არც ამ ცხოვრებაში და არც რომელიმე წინა ცხოვრებაში უნახავს და რომელმაც თანდაყოლილი შიში დასძლია. მოხუცი ალაგ-ალაგ შორეული, უძველესი ბორცვებით გადაკვეთილი მცოცავი ქვიშის დიუნების უსასრულო პეიზაჟს მოეჯადოებინა. მოსაღამოვდა და სულ მალე ამ უცხო მიწაზე დიასპარისთვის უჩვეულო მოვლენა – ღამე დაისადგურებდა.

„აქ მოსვლა იმიტომ გთხოვე, - მიმართა ელვინმა, თან ცდილობდა, სწრაფად ელაპარაკა, თითქოს მოუთმენლობისგან ძლივს იკავებდა თავს, - რომ ვფიქრობ, ყველაზე მეტი უფლება მოიპოვე, გაიგო, სინამდვილეში მოგზაურობამ სადამდეც მიმიყვანა. მინდა, რომ უდაბნოს შეხედო და მოწმე გახდე, დე საბჭომ იცოდეს, რაც ჩავიდინე.

„როგორც საბჭოს ვუთხარი, ლისიდან რობოტი იმ იმედით წამოვიყვანე, რომ ცენტრალური კომპიუტერი რობოტის მეხსიერებაზე მოძღვრის სახელით ცნობილი ადამიანის მიერ დადებული ბლოკის მოხსნას შეძლებდა. ჩემთვის გაუგებარი ხრიკის მეშვეობით, ცენტრალურმა კომპიუტერმა ამის გაკეთება მოახერხა. ამიერიდან ამ მანქანის მეხსიერებაში შეღწევისა და მასში ჩამონტაჟებული განსაკუთრებული ფუნქციისა და თვისების გამოყენების უფლება მაქვს. ახლა სწორედ ერთ-ერთი მათგანის გამოცდას ვაპირებ. უყურე.“

ჯეზერაკი მიხვდა, რომ ელვინმა რობოტს უხმო ბრძანება მისცა და მანქანა გვირაბის შესასვლელიდან გამოცურდა, სიჩქარე აკრიფა, და რამდენიმე წამის შემდეგ მზის შუქზე მეტალის მოკაშკაშე შორეულმა წერტილმა ნაპერწკალივით გაიელვა. წერტილი უდაბნოს ზედაპირთან ახლოს მიქროდა, ქვიშის დიუნებზე, რომლებიც გაყინული ტალღებივით კვეთდნენ უდაბნოს. ჯეზერაკს შეუცდომელი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს რობოტი რაღაცას ეძებდა – თუმცა რას, ვერ წარმოედგინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, მოელვარე წერტილი უდაბნოს ზედაპირიდან ცაში აიჭრა და დედამიწიდან ათასიოდე ფუტის სიმაღლეზე გაქვავდა. იმავე წამს, სანახაობით კმაყოფილმა ელვინმა შვებით ხმამაღლა ამოისუნქა და ჯეზერაკს შეხედა, თითქოს უნდოდა, ეთქვა: „აი, ხომ ხედავ!“

თავიდან ჯეზერაკმა, რომელმაც არ იცოდა, რისთვის მიექცია ყურადღება, ვერავითარი ცვლილება ვერ შეამჩნია. შემდეგ კი, - თვალებს არ უჯერებდა, - უდაბნოს შუაგულიდან ქვიშის ღრუბელმა იწყო ნელი სვლა.

უეცარი მოძრაობის აღმოჩენა იქ, სადაც დარწმუნებული ხარ, რომ არავითარი მოძრაობა არ უნდა არსებობდეს, ყველაზე საშინელი რამ არის, თუმცა როცა ქვიშის დიუნებმა გაშლა დაიწყეს, ჯეზერაკს არც გაოცების გამოხატვა შეეძლო, არც შიშის განცდის თავი ჰქონდა. უდაბნოს წიაღში თითქოს რაღაც გამოუცნობი გოლიათი იღვიძებდა საუკუნოვანი ძილიდან, და უცბად მოხუცს გაპობილი მიწის გუგუნი და წარმოუდგენელი ძალის შედეგად გახლეჩილი ლოდების გრიალის ხმა შემოესმა. შემდეგ, სრულიად მოულოდნელად მიწის შუაგულიდან ასობით ფუტის სიმაღლეზე ქვიშის უზარმაზარმა გეიზერმა ამოხეთქა და უდაბნო დაფარა.

ნელ-ნელა მტვერი ისევ მიწის ზედაპირს დაედო და უდაბნოს პირზე ახალი წარმოქმნილი უსწორმასწორო კრატერი გამოჩნდა. ელვინი და ჯეზერაკი თვალს არ აშორებდნენ ღია ცას, სადაც ორიოდე წუთის წინ მხოლოდ მოლოდინით სავსე რობოტი დაცურავდა. ახლა კი მიხვდა მოხუცი, რატომაც არ ანაღვლებდა ელვინს საბჭოს გადაწყვეტილება, რატომაც შეხვდა ასე გულგრილად ლისისკენ მიმავალი მიწისქვეშა გზების გადაკეტვის ბრძანებას.

კორპუსზე მიკრული მიწის საფარი და ქვაყრილი ხედვას უშლიდა ხელს, მაგრამ ხომალდის ამაყ კონტურებს ვერას აკლებდა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იხაზებოდნენ უდაბნოს გაპობილ ზედაპირთან. ხომალდი ზევით მიიწევდა. ჯეზერაკის თვალწინ ხომალდი აუჩქარებლად შემოტრიალდა და წრედ იქცა, შემდეგ, ნელა-ნელა წრემ ზრდა იწყო.

ელვინი სწრაფად და მოუთმენლად ალაპარაკდა, თითქოს ცდილობდა, განსაზღვრულ დროში ჩატეულიყო.

„რობოტი იმ მიზნით გახლდათ შექმნილი, რომ მოძღვარის თანამგზავრი და მსახური გამხდარიყო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხომალდი ემართა. სანამ ლისის ნავსადგურს მიადგებოდა, დიასპარის პორტში გაჩერდა, რომელიც ამჟამად ამ ქვიშაშია ჩამარხული. იმ დროისთვისაც დიასპარის კოსმოსური პორტი ალბათ უმეტეს წილად დაცარიელებულიყო; მე ვფიქრობ, მოძღვრის გემი ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი აღმოჩნდა, რომელსაც დედამიწამდე ოდესმე მოუღწევია. მოძღვარი ცოტა ხნით დიასპაში დასახლდა, სანამ შალმარინში გადავიდოდა; გზები იმ დღეებში ალბათ ჯერ კიდევ ხსნილი იყო. მაგრამ მოძღვარს ხომალდი აღარ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასჭირვებია და მთელი ამ ათასწლეულების განმავლობაში ამ ქვიშის დიუნებში განისვენებდა. ისევე როგორც დიასპარი, როგორც რობოტი და როგორც ნებისმიერი სხვა რამ, რომელსაც გარდასულ დროთა მშენებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, გემი აქამდე უვნებელი მხოლოდ მასში დამონტაჟებული მარადისობის სქემების მეშვეობით შემორჩა. სანამ ხომალდს ენერგიის წყარო არ ამოეწურებოდა, ცვეთა და განადგურება არ ემუქრებოდა; მის მეხსიერების უჯრედებში დაცული გამოსახულება არასოდეს გაქრებოდა, და სწორედ ეს გამოსახულება აკონტროლებდა მის ფიზიკურ სტრუქტურას.“

ხომალდი მიზანმიმართულად უახლოვდებოდათ, რადგან მის მესაჭე რობოტს სწორედ კოშკისკენ მიჰყავდა გემი. ჯეზერაკმა შეამჩნია, რომ ხომალდი ასიოდე ფუტის სიგრძის იქნებოდა, ორივე ბოლოში წაწვეტებული. გემის კორპუსზე არც ფანჯრები ჩანდა და არც სხვა რაიმე სახის ჭრილები, თუმცა ხომალდის ზედაპირზე ქვიშის სქელი ფენის გამო დანამდვილებით ვერაფერს იტყოდი.

უცბად ჯეზერაკს და ელვინს მტვერი შემოეყარათ, რადგან კორპუსის ერთ-ერთი სექცია გარეთ გაიღო და მოხუცმა პატარა, ცარიელი ოთახი შენიშნა, რომლის ბოლოშიც მეორე კარი მოჩანდა. ხომალდი სავენტილაციო შახტას ძალიან ფრთხილად მიუახლოვდა, როგორც ცოცხალ არსებას, და მისი კედლიდან ერთი ფუტის მოშორებით გაჩერდა.

„მშვიდობით, ჯეზერაკ, - დაემშვიდობა ელვინი. – სამწუხაროდ, დიასპარში ვეღარ დავბრუნდები, მეგობრებს რომ გამოვემშვიდობო. გეხვეწები, ყველას გამოეთხოვე ჩემს მაგივრად. ერისტონსა და ეთანიას უთხარი, რომ იმედი მაქვს, მალე დავბრუნდები; თუ ვერ დავბრუნდი, მინდა იცოდნენ, რომ მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეს. შენიც ძალიან მადლიერი ვარ, თუმცა შეიძლება მამტყუნებ კიდეც, რომ შენი შეგონება არ შევისმინე.“

„რაც შეეხება საბჭოს – გადაეცი, რომ ერთ დროს გახსნილი გზის გადაკეტვა უბრალო რეზოლუციის მიღებით შეუძლებელია.“

ხომალდი ცის ფონზე პატარა შავ ლაქად იქცა და მალე მთლიანად მიეფარა თვალს. ჯეზერაკმა მისი მოძრაობა ვერ შენიშნა, მაგრამ ციდან მოულოდნელად ადამიანის მიერ შექმნილი ყველაზე შემაძრწუნებელი ხმები დაატყდა თავს მეხივით – ეს ჰაერის ვარდნის გამაყრუებელი ჭექა-ქუხილი გახლდათ, რომელიც ატმოსფეროში თვალის დახამხამებაში გაჭრილი უსასრულო ვაკუუმის გვირაბში ეშვებოდა.

ჯეზერაკი დიდი ხანი იდგა გაქვავებული, იმის მერე, რაც ჭექა-ქუხილის ბოლო გამოძახილიც უდაბნოს სივრცეში ჩაიკარგა. ფიქრობდა ბიჭზე, რომელიც წავიდა – რადგან ჯეზერაკითვის ელვინი ყოველთვის ბავშვად დარჩებოდა, ერთადერთ ბავშვად, რომელიც სამყაროს მას შემდეგ მოევლინა, რაც დაბადებისა და სიკვდილის უხსოვარ დროში დაწესებული ციკლი აირია. ელვინი ვერასდროს გაიზრდებოდა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი სამყარო სათამაშო მოედნად მიაჩნდა, გამოცანად, რომლის ამოხსნაც მხოლოდ გართობის მიზნად სწყუროდა. და ამ ბავშვური თამაშის დროს ხელში ყველაზე სახიფათო, სასიკვდილო სათამაშო ჩაუვარდა, რომელსაც ნაცარ-ტუტად შეეძლო ექცია ყველაფერი, რაც ადამიანის ცივილიზაციიდან შემორჩენილიყო. თუმცა შედეგს რა მნიშვნელობა ჰქონდა, მისთვის მთავარი ხომ თავად თამაში გახლდათ.

მზე ჰორიზონტისკენ იხრებოდა, და უდაბნოდან ცივმა ქარმა დაუბერა. მაგრამ ჯეზერაკი ადგილიდან ისევ არ იძვროდა და შიშის დაძლევას ცდილობდა; და უცბად, პირველად ცხოვრებაში, მოხუცმა ვარსკვლავები შენიშნა.

თავი XVIII

როდესაც საჰაერო რაბის შიდა კარი გაიხსნა, ელვინის თვალწინ ისეთი მდიდრული და თვალისმომჭრელი სანახაობა გადაიშალა, რომლის მსგავსი დიასპარშიც იშვიათად უნახავს. ვინც არ უნდა ყოფილიყო მოძღვარი, ასკეტს ნამდვილად ვერ დაარქმევდით. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა ელვინი, რომ ეს სიმდიდრე და ფუფუნება ფუჭად არ იფლანგებოდა; სწორედ გემის ბაქანზე გაშენებული პატარა სამყარო უწევდა ალბათ მოძღვარს სახლის მაგივრობას ვარსკვლავებს შორის ხანგრძლივი მოგზაურობისას.

ირგვლივ მართვის პანელებსა და პულტებს ვერსად შენიშნავდით, მაგრამ უზარმაზარი ეკრანი, რომელსაც მთელი კედელი ეკავა ოთახის შორეულ ბოლოში, იმაზე მოწმობდა, რომ ჩვეულებრივი ოთახი არ უნდა ყოფილიყო. კედლის გასწვრივ ნახევარ წრის ფორმით სამი დაბალი სავარძელი მოეთავსებინათ; კაბინის დარჩენილ ნაწილს ორი პატარა მაგიდა და რამდენიმე რბილი სკამი იკავებდა, ზოგიერთი მათგანი აშკარად არ იყო ადამიანისთვის განკუთვნილი.

როცა ეკრანის წინ მოხერხებულად მოკალათდა, ელვინმა თვალით რობოტს დაუწყო ძებნა. მისდა გასაოცრად, რობოტი გაუჩინარდა; ცოტა ხნის შემდეგ, მომრგვლებული ჭერის ქვეშ დატანებული პატარა ნიშაში შენიშნა, მყუდრო ადგილი აღმოეჩინა და შეყუჟულიყო. რობოტმა მოძღვარი კოსმოსიდან დედამიწაზე ჩამოიყვანა და შემდეგაც ერთგული მსახურივით დაყვებოდა ლისში სტუმრობისას. ახლა კი, როცა დრო დადგა, ძველებურ მზადყოფნას გამოხატავდა, თავისი უწინდელი მოვალეობანი ეკისრა, თითქოს ათასწლეულებს არც ჩაუვლია.

ელვინმა საცდელი ბრძანება გასცა და წამში უზარმაზარი ეკრანი აციმციმდა. მონიტორზე უცნაურად დამახინჯებული და თითქოს გვერდზე გადაწილილი ლორენის კოშკი გამოჩნდა. კიდევ რამდენიმე ცდა და ეკრანმა ცის, ქალაქისა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უდაბნოს თვაუწვდენელი სივრცის ხედები გადაუშალა. გამოსახულება წარმოუდგენლად, თითქმის არაბუნებრივად მკაფიო და სრულყოფილი გახლდათ, თუმცა მასშტაბი ნორმალურის შთაბეჭდილებას ტოვებდა და გადიდებულიც არ ჩანდა. ელვინი განაგრძობდა ექსპერიმენტებს, სანამ სასურველი გამოსახულებები არ მიიღო; და სტარტისთვის მოეზადა.

„ლისში წამიყვანე“ – გასცა მარტივი ბრძანება, მაგრამ როგორ უნდა დამორჩილებოდა გემი, როცა თვითონაც არ იცოდა, რა მიმართულებით უნდა წასულიყვნენ? ელვინმა ეს ფაქტი უბრალოდ ვერ გაითვალისწინა და როცა მიხვდა, რაც ხდებოდა, უკვე დაგვიანებული იყო, ხომალდი თავბრუდამხვევი სიჩქარით მიქროდა უდაბნოს თავზე. მხრები აიჩეჩა და მადლიერებით აღიარა ის ფაქტი, რომ მასზე გაცილებით უფრო ჭკვიანი და მცოდნე მსახური ემორჩილებოდა.

ეკრანზე მოელვარე სურათის მასშტაბის დადგენა ძალიან ჭირდა, მაგრამ მოძრაობის სიჩქარიდან გამომდინარე ალბათ ერთ წუთში რამდენიმე მილის მანძილს ფარავდნენ. ქალაქის შორიახლოს ნიადაგის ფერი მოულოდნელად შეიცვალა, ღია ნაცრისფერი გახდა, და ელვინი მიხვდა, რომ ერთ-ერთი ამომშრალი ოკეანის კალაპოტის თავზე მიქროდნენ. დიასპარი შესაძლოა ერთ დროს ზღვასთან ახლოს მდებარეობდა, თუმცა ამაზე ყველაზე უძვლესი ისტორიული წყაროებიც კი არ მიანიშნებდა. მიუხედავად ქალაქის სიძველისა, ოკეანეები, როგორც ჩანს, მისი დაარსებამდე დიდი ხნით ადრე ამოშრეტილიყო.

ასობით მილის გავლის შემდეგ დედამიწის ზედაპირმა მკვეთრად აიწია და ისევ უდაბნო გამოჩნდა. ერთხანს გემი ურთიერთგადამკვეთი ხაზებისგან შემდგარი უცნაური სურათის თავზე შეაჩერა, რომელიც ქვიშის საფარში ბუნდოვნად მოჩანდა. თავიდან ვერ გაერკვია, რას ნიშნავდა ეს ხაზები; მაგრამ მალევე მიხვდა, რომ რომელიღაცა ძველი, მიტოვებული ქალაქის ნანგრევებს დაჰყურებდა. დიდხანს არ გაჩერებულა; გულს უკლავდა იმაზე ფიქრი, რომ მილიარდობით ადამიანს ისე გაუვლია ცხოვრება, რომ თავისი არსებობის კვალიც კი არ დაუტოვებია, ამ ქვიშის ღრმულებს თუ არ ჩავთვლით.

ჰორიზონტის სწორი ხაზმა, როგორც იქნა, გარდატეხა და დანაოჭება იწყო და მთების ქედად იქცა. ელვინის თვალის შევლებას ვერ ასწრებდა, რომ მთები უკვე გემს ქვემოთ გაიელვებდნენ. მანქანამ სვლა შეანელა და დედამიწას უახლოვდებოდა, ისე რომ ცაში ასიოდე კილომეტრის სიგრძის რკალს ხაზავდა. და აი, მის თვალწინ ლისი გადაიშალა, რომლის ტყეები და უსასრულო მდინარეები ისეთ თვალისმომჭრელ და შეუდარებელ სანახაობას ქმნიდა, რომ ამ სილამაზით მოჯადოვებული ელვინი რამდენიმე წუთი ადგილიდან ვერ იძვროდა. აღმოსავლეთით მიწა ჩრდილებს დაეფარათ და დიდრონი ტბები კუპრივით შავი გუბეებივით ტივტივებდნენ. მაგრამ დასავლეთისკენ შუქმოდებული წყლის ზედაპირი ლივლივებდა და ისეთ ფერებად ელვარებდა, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არ ენახა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერლის მდებარეობის დადგენა არ გასჭირვებია, გაუმართლა, რადგან რობოტს გემის მართვა აღარ შეეძლო. ელვინი ელოდა, რომ როცა იქნებოდა რობოტი ძალას ამოწურავდა, და ერთგვარი კმაყოფილებაც კი იგრძნო, როცა თავისი ყოვლისშემძლე თანამგზავრის შესაძლებლობების ზღვარი აღმოაჩინა. სავარაუდოდ, რობოტს არც კი სმენია ერლის შესახებ, ასე რომ სოფლის მდებარეობა მანქანის მეხსიერების სისტემაში არც იქნებოდა დაფიქსირებული.

რამდენიმე ცდის შემდეგ ელვინმა ხომალდი იმ მთის ძირას დასვა, საიდანაც ლისი პირველად იხილა. მანქანის მართვა ძალიან ადვილი აღმოჩნდა; მხოლოდ მიმართულების მითითება კმაროდა, დანარჩენ დეტალებზე რობოტი ზრუნავდა. სახიფათო ან შეუძლებელი ბრძანებების შესრულებას ალბათ თავს აარიდებდა, უბრალოდ უგულებელყოფდა, თუმცა ელვინი არც აპირებდა ასეთი ბრძანებების გაცემას, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვდა. ელვინი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ მისი ჩამოსვლა ლისელებს შეუმჩნეველი დარჩათ, რაც ძალიან ახარებდა, რადგან სერანისთან ახალი გონებრივი პაექრობის თავი ნამდვილად არ ჰქონდა. გეგმები მკაფიოდ ჯერ კიდევ არ ჩამოეყალიბებინა, მაგრამ მეგობრული ერთიერთობების დამყარებამდე გარისკვას არ აპირებდა. რობოტი ელჩის მოვალეობას შეასრულებდა, ელვინი კი გემბანზე მოიცდიდა სამშვიდობოს.

ერლისკენ მიმავალ გზაზე არავინ შეხვედრია. კოსმოსური ხომალდის გემბანზე ყოფნა, როცა მისი მზერა დაუბრკოლებლად წვდებოდა ნაცნობ ბილიკებს და ყურებში ტყის ჩურჩული გაისმოდა, უცნაურ შეგრძნებას უტოვებდა. რობოტთან ბოლომდე გაიგივება ჯერ კიდევ უჭირდა, ამიტომ მისი მართვა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

ერლიში საღამოხანს ჩავიდნენ, ქალაქის პატარა სახლები ჩამავალი მზის შუქში ცურავდნენ. ელვინი ჩრდილში დადიოდა, ცდილობდა თვალში არავის მოხვედროდა და როცა მისი გამოჩენა აღმოაჩინეს, ელვინს სერანისის სახლს თითქმის მიეღწია. უცბად გაბრაზებული, გულისწამღები ზუზუნი შემოესმა და წამში თვალთახედვის არე უზარმაზარმა გაშლილმა ფრთებმა დაფარა. მძვინვარე შემოტევისგან შეშინებულმა ელვინმა უნებლიედ უკან დაიხია; მაგრამ მალევე მიხვდა, რაც მოხდა. კრიფი თავის ჩვეულ ანტიპატიას და უნდობლობას გამოხატავდა ფრთების გარეშე მფრინავი არსებების მიმართ.

ელვინს არ უნდოდა მშვენიერი, მაგრამ უტვინო არსებისთვის ზიანი მიეყენებინა, რობოტს გაჩერება უბრძანა და შეძლებისდაგვარად იგერიებდა დარტყმებს, რომელსაც ფრინველი სერტყვასავით უშენდა. მიუხედავად იმისა, ერთი მილის მოშორებით მოკალათებულიყო, მაინც კრთოდა თითოეულ დატყმაზე და სიხარული ვერ დაფარა, როცა ამბის გასაგებად გამოსული ჰილვარი დაინახა.

პატრონის დანახვაზე კრიფმა უკან დაიხია, მაგრამ ისევ გამწარებული ზუზუნებდა. სიჩუმე ჩამოვარდა და ჰილვარი ერთხანს რობოტს ათვალიერებდა, შემდეგ გაიღიმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გამარჯობა, ელვინ, - მიესალმა მეგობარს. – მიხარია, რომ დაბრუნდი, თუ ისევ დიასპარში ხარ?“

ჰილვარის აზროვნების სიჩქარემ და სიზუსტემ კიდევ ერთხელ აიძულა ელვინი, შურით აღსავსე აღფრთოვანება ეგრძნო.

„არა, - უპასუხა ელვინმა და თან ფიქრობდა, რამდენად სწორად და მკაფიოდ გამოსცემდა რობოტი მის ხმას. – ერლიში გახლავარ, აქვე შორიახლოს. მაგრამ გადავწყვიტე, ჯერჯერობით აქ დავრჩე.“

ჰილვარს ჩაეცინა.

„სწორი გადაწყვეტილებაა. მართალია სერანისმა გაპატია, მაგრამ, აი, ასამბლეას რაც შეეხება... თუმცა ეს სულ სხვა საკითხია. ერლიში ამ წუთში კონფერენცია მიმდინარეობს, პირველი სხდომა ერლის ისტორიაში.“

„შენ გინდა თქვა, - ჰკითხა ელვინმა, - რომ თქვენი საბჭოს წევრები ფიზიკურად შეიკრიბნენ? თქვენს ტელეპათიურ შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, ასეთი შეხვედრების აუცილებლობას საერთოდ ვერ ვხედავ.“

„სხდომები იშვიათად იმართება, მაგრამ ზოგჯერ მათი ჩატარება სასურველია. ზუსტად არ ვიცი, რამდენად სერიოზულია ამჟამინდელი პრობლემა, მარამ ფაქტია, რომ სამი სენატორი უკვე ჩამოვიდა და დანარჩენებს წუთი წუთზე ელიან.“

დიასპარში განვითარებულ მოვლენათა ჯაჭვი იმდენად ზუსტად აისახა ერლიში, რომ ელვინმა ღიმილი ვერ შეიკავა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან საკუთარ კვალს ტოვებდა, რაც ხალხში გაოგნებას და აღშფოთებას იწვევდა.

„მე მგონი, ცუდი აზრი არ იქნება, შენს ასამბლეას რომ დაველაპარაკო, - შესთავაზა ელვინმა, - თუ, რა თქმა უნდა, საფრთხე არ დამემუქრება.“

„თუ ასამბლეა პირობას მოგცემს, რომ ისევ არ დაეუფლება შენს გონებას და მართვას არ შეეცდება, არავითარი საფრთხე არ გემუქრება. – განუმარტა ჰილვარმა. – წინააღმდეგ შემთხვევაში, შენს ადგილას მაქედან ფეხს არ მოვიცვლიდი და სენატორებთან რობოტს გავაგზავნიდი. აი, რობოტის დანახვა კი უხუცესებს ნამდვილად არ ესიამოვნებათ.“

ელვინი ჰილვარს შენობისკენ აღტაცებისა და სიხარულის ნაცნობი, მძაფრი შეგრძნებით მიყვებოდა. ლისის მმართველებს ახლა ადრინდელზე გაცილებით უფრო თანაბარ პირობებში ხვდებოდა; სენატორების მიმართ არავითარ წყენას არ გრძნობდა, მაგრამ მაინც დიდ სიამოვნებას გვრიდა იმ ფაქტის აღიარება, რომ ამიერიდან სიტუაციას თავად აკონტროლებდა და ისეთ ძალებს ფლობდა, რომელიც ბოლომდე თვითონაც ვერ შეეცნო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სათათბირო ოთახის კარი დაკეტილი დახვდათ, ჰილვარს იქ მყოფთა ყურადღების მისაქცევად საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. სენატორების გონება მთლიანად დაეკავებინა ახლად წამოჭრილ პრობლემას და მათ ფიქრებში შეჭრა ძალიან ჭირდა. შემდეგ კარი თითქოს უღიღმაღოდ გაიხსნა და ელვინმა რობოტი მაშინვე შეაცურა ოთახში.

გაოგნებული სენატორები მათკენ მომავალი რობოტის დანახვაზე ადგილზე გაქვავდნენ, სერანისს კი სახეზე მხოლოდ მცირედი გაოცება შეეტყო. ალბათ ჰილვარს უკვე მოესწრო მისთვის გამაფრთხილებელი შეტყობნების გაგზავნა, ან შეიძლება, ელოდა, რომ ადრე თუ გვიან ელვინი ისევ გამოჩნდებოდა.

„დილა მშვიდობისა, - მიესალმა ელვინი ზრდილობიანად, თითქოს ასეთი მოულოდნელი და უჩვეულო გამოჩენა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო. – დაბრუნება გადავწყვიტე.“

სენატრების გაოცებამ ელვინის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველაზე პირველი ერთ-ერთი სენატორი მოეგო გონს, ახალგაზრდა ჭაღარაშერეული კაცი.

„აქ როგორ მოხვდი?“ – გაოგნებისგან ენას ძლივს ატრიალებდა.

სენატორების გაოცებას მარტივი მიზეზი ჰქონდა. დიასპარელების მსგავსად, მიწისქვეშა მაგისტრალები მწყობრიდან მათაც გამოიყვანეს.

„ისევე, როგორც წინა ჯერზე,“ – მიუგო ელვინმა, თან თავს ვერ იკავებდა, რომ მათი გაოცების ხარჯზე.

ორი სენატორი მესამეს მისჩერებოდა, თვალს ვერ წყვეტდა. საგონებელში ჩავარდნილმა მესამე სენატორმა კი მხრები აიჩეჩა. შემდეგ მათ შორის ყველაზე ახალგაზრდამ ისევ მიმართა ელვინს.

„გზაში არ შეგხვედრია .. რაიმე .. დაბრკოლება?“ – ჰკითხა მან.

„“არავითარი,“ – მიუგო ელვინმა, ცდილობდა მეტი დაბნეულობა შეეტანა მათ რიგებში, როგორც ხედავდა არც თუ ისე წარუმატებლად.

„აქ საკუთარი ნებით დავბრუნდი, - განაგრძო ელვინმა, - მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გამცნოთ. თუმცა ჯერჯერობით თქვენი მხედველობის არის გარეთ ვრჩები, რადგან კარგად მახსოვს, წინა შეხვედრისას რა უთანხმოებებიც მოგვივიდა. თუ პირადად გეწვევით, მომცემთ იმის პირობას, რომ ჩემს გადადგილებას ისევ არ შეზღუდავთ?“

გარკვეული ხნის განმავლობაში ხმა არც ერთ არ ამოუღია. საინტერესოა, რა უსიტყვო ფიქრებს უცვლიდნენ ახლა ერთმანეთს, - გაიფიქრა ელვინმა. შემდეგ სერანისმა განაცხადა მათი სახელით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შენს მართვას აღარ შევეცდებით – თუმცა არა მგონია, რომ ბოლო ცდა დიდად წარმატებული ყოფილიყო.“

„ძალიან კარგი, - მიუგო ელვინმა, - მაშინ ერლიში შეძლებისდაგვარად სწრაფად ჩამოვალ.“

რობოტის დაბრუნებას დაელოდა; შემდეგ, ძალიან ფრთხილად მანქანას ინტსრუქციები გააცნო და გაამეორებინა. დარწმუნებული კი იყო, რომ სერანისი მიცემულ პირობას არ დაარღვევდა; თუმცა ერჩივნა, უსაფრთხო უკან დახევა უზრუნველეყო.

ელვინმა ხომალდი დატოვა თუ არა, საჰაერო რაბი დაიხურა. რამდენიმე წამის შემდეგ ოდნავ გასაგონი სისინის ხმა შემოესმა, როცა ჰაერის ნაკადმა ამოძრავებულ ხომალდს დაუთმო გზა, თითქოს ვიღაცას გაოცებისგან სუნთქვა შეეკრაო. წუთით ვარკვლავები შავმა ჩრდილმა დაფარა; შემდეგ გემი თვალს მიეფარა.

ხომალდი რომ გაუჩინარდა, მაშინღა მიხვდა ელვინი, რომ ყველაფერი ვერ გათვალა და ერთი უმნიშვნელო, მაგრამ გამაღიზიანებელი შეცდომა დაუშვა, რომელსაც შეეძლო, მისი საათივით აწყობილი და საგულდაგულოდ გათვლილი გეგმა ჩაეშალა. დაავიწყდა, რომ რობოტს მასზე გაცილებით უფრო მგრძნობიარე რეცეპტორები ჰქონდა, და თან ღამე მოსალოდნელზე უფრო ბნელი ჩამოწვა. გზას არაერთხელ ასცდა, ერთი ორჯერ კი ლამის ხეებს შეეჯახა. ტყეში ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ერთხელ ბუჩქნარიდან მისკენ რაღაც უზარმაზარი არსება დაიძრა. ფიჩხის მტვრევის ოდნავ გასაგონი ხმა შემოესმა და წამში სიბნელეში ელვინის წელის სიმაღლეზე ორმა ალმოდებულმა თვალმა გაიელვა და დაჟინებით მიაჩერდა. ელვინმა ჩუმი ხმით დაუძახა არსებას და ვიღაცის წარმოუდგენლად გრძელმა ენამ ხელი აულოკა. რამდენიმე წუთის შემდეგ უშველებელი მხეცი ნაზად გაეხახუნა და უხმაუროდ გაეცალა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

როგორც იქნა ხეებში სოფლის შუქები აციმციმდა, მაგრამ ელვინს გზის მკვლევი აღარ სჭირდებოდა, რადგან ბილიკი, რომელზეც მიაბიჯებდა, მქრალი ცისფერი ცეცხლის ნაკადად ქცეულიყო. ალმოდებულ ხავსზე ადგამდა ფეხს, თითოეული ნაბიჯი ნიადაგზე მუქ კვალს ტოვებდა, რომელიც მაშინვე უჩინარდებოდა. მშვენიერი და მომაჯადოვებელი სანახაობა იყო. ელვინი დაიხარა, ერთი მუჭა უცნაური ჯიშის ხავსი მოგლიჯა და შეათვალიერა. ხავსი რამდენიმე წუთის განმავლობაში ელავდა ხელის გულზე, შემდეგ ნელ-ნელა ჩაცხრა.

ჰილვარი მეორეჯერ შეეგება სახლის კართან, და ხელმეორედ გააცნო სერანისსა და სენატორებს. საზოგადოება უგერგილო და უღიმღამო თავაზიანობით მიესალმა; ალბათ ყველას აინტერესებდა, რობოტი სად გაქრა, მაგრამ არც ერთს სიტყვაც არ დასცდენია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ძალიან ვწუხვარ, - დაიწყო ელვინმა, - რომ ასე უღირსად რომ დავტოვე მაშინ თქვენი ქვეყანა. ალბათ დაგაინტერესებთ, რომ დიასპარიდან გაქცევაც ასევე რთული აღმოჩნდა...“

მცირედი პაუზა გააკეთა, დაელოდა, სანამ სენატორები მის ნათქვამს გაისიგრძეგანებდნენ, შემდეგ მალევე დააყოლა: „ჩემ ხალხს ლისის შესახებ მოვუყევი, ყველანაირად ვეცადე, თქვენზე სახარბიელო წარმოდგენა შექმნოდათ. მაგრამ დიასპარს თქვენთან არავითარი კავშირი არ სურს. რაც არ უნდა მეთქვა, აზრს არ იცვლიან, ყველა ღონეს მიმართავენ, რომ მათზე დაბლა მდგარ კულტურასთან არასასურველი აღრევა თავიდან აიცილონ.“

სენატორების რექაციის ნახვა ერთ სიამოვნებად ღირდა, თავშეკავებულ და დახვეწილ სერანისსაც კი ფერმა გადაჰკრა მის სიტყვებზე. ლისისა და დიასპარის გადაკიდება რომ შეძლოს, პრობლემა თითქმის გადაჭრილი იქნებოდა. ორივე მხარე ისეთი თავგამოდებით შეეცდება თავისი ცხოვრების სტილის უპირატესობის დამტკიცებას, რომ მათ შორის აღმართული ბარიერები მალე მოიხსნებოდა.

„რატომ დაბრუნდი ლისში?“ – ჰკითხა სერანისმა.

„მინდოდა, დამერწმუნებინეთ თქვენ და დიასპარელები, რომ ცდებით.“ – თუმცა მეორე მიზეზზე სიტყვა არ დაუძრავს – რომ ლისში ერთადერთი მეგობარი ეგულებოდა, რომელსაც ენდობოდა და რომლის დახმარებაც სჭირდებოდა.

სენატორები სიჩუმეს არ არღვევდნენ და ელოდებოდნენ, როდის განაგრობდა საუბარს. ელვინი ხვდებოდა, რომ სენატორების თვალებით უამრავი უხილავი ადამიანი უყურებდა ყველაფერს, რაც დარბაზში ხდებოდა და მათი ყურებით ისმენდა საუბარს. ამჟამად დიასპარს წარმოადგენდა და მთელი ლისი ელვინის მშობლიურ ქალაქს მისი ნათქვამიდან შეაფასებდა. უდიდესი პასუხიმგებლობით აღსავსემ აზრებს მოუხმო და ლაპარაკი დაიწყო.

საუბრის თემა დიასპარი გახლდათ. ისეთ დიასპარს ხატავდა, როგორიც ბოლოს ნახა. აღწერდა უდაბნოს კალთაზე მთვლემარე ქალაქს მოელვარე ბასტიონებით, ცის კამარაზე დატყვევებული ცისარტყელის მსგავსს. მეხსიერების საგანძურებიდან უძველესი პოეტების მიერ დიასპარის სადიდებლად დაწერილ ოდებს იხმობდა და იმ შემოქმედზე საუბრობდა, ვინც თავისი ცხოვრება დიასპარის დამშვენებასა და სრულყოფას მიუძღვნა. ქალაქის სიმდიდრის ამოწურვა არავის ხელეწიფებოდა, რაც არ უნდა დიდი ხანი ეცოცხლა; ყოველთვის გამოჩნდებოდა რაღაც ახალი შესაძლებლობა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ყველაზე მარჯვე დიასპარელების მიერ გამოგონებულ სასწაულებზე ყვებოდა; ცდილობდა, მათ წარმოსახვაში ხელოვანების მიერ ადამიანის მარადიულ თაყვანისსაცემად შექმნილი სილამაზის მცირედი ნაწილი მაინც დაენახათ. და ერთგვარი სინანულით დასვა კითხვა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართალი იყო თუ არა, რომ დიასპარის მუსიკა დედამიწიდან ვარკვლავეთში გაგზავნილ ბოლო ბგერებს წარმოადგენდა.

ელვინის ნაამბობი ბოლომდე მოისმინეს, ისე რომ თხრობა არ შეუწყვეტინებიათ, არც კითხვები დაუსვამთ. როცა მოყოლა დაასრულა, მიხვდა, რომ ძალიან დიდი დრო გასულიყო და ისეთი დაღლილად გრძნობდა თავს, რომ ფეხზე ძლივს იდგა. დაძაბულმა და ემოციურად დატვირთულმა დღემ სულ მთლად გამოაცალა ძალები და სრულიად მოულოდნელად, ელვინს ჩაეძინა.

გაღვიძებისას აღმოაჩინა, რომ უცხო ოთახში იმყოფებოდა, მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ გაახსენდა, რომ დიასპარში აღარ იყო. ცნობიერების დაბრუნებასთან ერთად ოთახში სულ უფრო მეტი შუქი იღვრებოდა, და ცოტა ხანში იქაურობა ახლა უკვე გამჭვირვალე კედლებიდან შემოჭრილი დილის მზის რბილმა და სუსხიანმა შუქმა გაანათა. ნახევრად მძინარე ელვინი იწვა და წინა დღის მოვლენებს იხსენებდა, თან ფიქრობდა, ნეტა იმ წუთას რა ძალები აამუშავა.

ერთ-ერთმა კედელმა ნაზი, მელოდიური ხმით იწყო ისეთი რთული მოძრაობებით დაკეცვა და დაგრაგნა, რომ თვალს ვერ შეასწრებდი. კედელში წარმოქმნილი შემოსასვლელიდან ჰილვარმა შემოაბიჯა და ელვინს ხუმრობანარევი სერიოზულობით შეხედა.

„ახლა, როცა გაიღვიძე, - მიმართა, - ალბათ ინებებ და მეტყვი, რა იქნება შენი მორიგი ნაბიჯი, ან აქ დაბრუნება როგორ მოახერხე. სენატორები მიწისქვეშა მაგისტრალების სანახავად მიდიან; ვერ გაუგიათ, როგორ შეძელი ამ გზებით დაბრუნება. ხომ მართლა ამ გზით დაბრუნდი.“

ელვინი საწოლიდან ჩამოხტა და გაიზმორა.

„მე მგონი, აჯობებს, დავეწიოთ, - შესთავაზა ელვინმა. – არ მინდა, ფუჭად დახარჯონ დრო. შენ კითხვას რაც შეეხება – ცოტაც მოითმინე და გაჩვენებ, როგორც ჩამოვედი.“

სამ სენატორს ტბასთან ახლოს დაეწიენ, მხარეები ოდნავ დაძაბული გამომეტყველებით მიესალმენ ერთმანეთს. საგამომძიებლო კომისია მიხვდა, რომ ელვინმა მშვენივრა იცოდა, სადაც მიდიოდნენ, და მოულოდნელმა შეხვედრამ კომისია ცოტა არ იყოს შეაცბუნა.

„ვშიშობ, წინა ღამეს შეცდომაში შეგიყვანეთ, - მხიარულად მიმართა ელვინმა. – ლისში ძველი გზით არ მოვსულვარ, ასე რომ მისი გადაკეტვის მცდელობას აზრი არ ჰქონდა. ისე, დიასპარის საბჭომაც გადარაზა მიწისქვეშა მაგისტრალის მეორე მხარე, მაგრამ ასევე წარუმატებლად.“

სანამ სენატორები გონებაში ამ გამოცანის ამოხსნის ვარიანტებს ატრიალებდნენ ერთი მეორის მიყოლებით, მათ განცვირებულ სახეებზე მთელი სიცხადით აისახებოდა ემოციები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მაშ როგორ მოაღწიე აქამდე?“ – იკითხა კომისიის ხელმძღვანელმა. მის თვალებში მოულოდნელად გაიელვა ვარაუდმა და ელვინი მიხვდა, რომ სიმართლესთან ახლოს იდგა. ელვინის უხმო ბრძანება ხომ არ დააფიქსირა, მთებს იქით რომ გაგზავნა? მაგრამ ხმა არ ამოუღია და ჩრდილოეთ ცისკიდურისკენ მიანიშნა.

თვალისდახამხამებაში სინათლის ვერცხლისფერმა სხივმა მთების მწვერვალებზე ალისფერი რკალი მოხაზა და გავარვარებული კვალი დატოვა. სხივი ლისის თავზე ოცი ათასი ფუტის სიმაღლეზე მყისიერად გაჩერდა. მისი მოძრაობის შემხედვარე თვალმა ინერციით გააგრძელა მზერა და ცისკიდურის მეოთხედი გაევლო, სანამ ტვინმა მოძრაობის შეჩერება დააფიქსირა. ციდან ჭექა-ქუხილიმა იგრიალა, გაპობილი ჰაერის გრგვინვის ხმამ, ჰაერისას, რომელსაც უზარმაზარი ხომალდის მოძრაობა არღვევდა. რამდენიმე წამის შემდეგ მზის შუქზე მოელვარე ხომალდი ასიოდე იარდის მოშორებით დაეშვა მთის ძირას.

ძნელი სათქმელი იყო, რომელი მათგანი უფრო განეცვიფრებინა მომხდარს, მაგრამ ელვინი პირველი მოეგო გონს. როცა თითქმის სირბილით გაექანნენ ხომალდისკენ, ელვინმა გაიფიქრა, ნუთუ ყოველთვის ასეთი კოლოსალური სიჩქარით მოძრაობდა. გაფიქრებამ ცოტათი შეაშფოთა, თუმცა ხომალდზე ყოფნისას მოძრაობა სულ არ უგრძვნია. გაცილებით უფრო მეტ გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, რომ სულ რაღაც ერთი დღის წინ ადამიანის ამ გენიალურ ქმნილებას რკინასავით მაგარი, ჩაკირული ქვის საფარი ერტყვა, რომელსაც ხომალდი უდაბნოს ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგაც ინარჩუნებდა. სანამ ელვინი გემს არ მიუახლოვდა და შემთხვევით არ დაიწვა თითები, როცა გაუფრთხილებლად ჩამოადო ხელი კორპუსს, მანამ ვერ მიხვდა, რაც მოხდა. კიჩოზე ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ლავის ქერქად ქცეული მიწის ნაკვალევი. სხვა ყველაფერი მოძრაობაში გაფანტულიყო, და მკვრივი გარსი გაეშიშვლებინა, რომელსაც ვერც დრო და ვერც სხვა ბუნებრივი ძალა ვერას აკლებდა.

ელვინი ჰილვართან ერთად დადგა გახსნილ ლიუკთან და მდუმარე სენატორებს გადახედა. ნეტავ რაზე ფიქრობენ სენატორები, - გაიფიქრა, - და საერთოდ, ნეტა რაზე ფიქრობს მთელი ლისი. სენატორების გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდით, იმდენად დაბნეულები იყვნენ, რომ საერთოდ ვერ აზროვნებდნენ.

„შალმარინში მივდივარ, - მოახსენა ელვინამ, - ერლიში დაახლოებით ერთ საათში დავბრუნდები. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, და სანამ მოვალ, მინდა, ერთ რამეზე დაფიქრდეთ.“

„ხომალდი უბრალო მფრინავი აპარატი არ გეგონოთ, რომელსაც ადამიანი დედამიწაზე გადასაადგილებლად იყენებდა. ეს კოსმოსური ხომალდი გახლავთ, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი კაცობრიობის ისტორიაში. თუ იმის გაგება გსურთ, სად აღმოვაჩინე, პასუხი შეგიძლიათ დიასპარში ეძებოთ. მაგრამ ამისთვის დიასპარში წასვლაა საჭირო, რადგან დიასპარელები თქვენთან არასოდეს მოვლენ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ ჰილვარს მიუბრუნდა და კარისკენ მიანიშნა. ჰილვარი მხოლოდ წამიერად შეყოვნდა, ნაცნობ პეიზაჟებს შეავლო თვალი, თითქოს გამოემშვიდობა და ღია ლიუკში შეაბიჯა.

სენატორებმა თვალი გააყოლეს ხომალდს, რომელიც ახლა საკმაოდ ნელა მოძრაობდა, რადგან მცირე მანძილი ჰქონდა გასავლელი. ორიოდე წუთის შემდეგ გემი სამხრეთისკენ გაუჩინარდა. შემდეგ სენატორების წინამძღოლმა ჭაღარა თმიანმა ახალგაზრდა კაცმა ფილოსოფიური გამომეტყველებით აიჩეჩა მხრები და ერთ-ერთ კოლეგას მიუბრუნდა.

„შენ ყოველთვის გვეწინააღმდეგებოდი, ცვლილებებისკენ ისწრაფოდი, - მიუგო მან, - როგორც ხედავ, გაიმარჯვე. მაგრამ არა მგონია, რომ მომავალი რომელიმე ჯგუფის ხელთ იყოს. დიასპარი და ლისი ეპოქის დასასრულამდე მივიდნენ, განვითარების ერთი ეტაპი დასრულდა და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ ამ ცვლილებებს.“

„სამწუხაროდ, მართალი ხარ, - დაეთანხმა პირქუში ხმით სენატორი. – კრიზისის პირას ვართ მისული და ელვინმა იცოდა, რასაც ამბობდა, როცა დიასპარში წასვლა გვირჩია. ჩვენს შესახებ უკვე იციან, ასე რომ დამალვას აზრი აღარ აქვს. მე მგონია, ჯობია, ჩვენს ნათესავებს დავუკავშირდეთ, შეიძლება ახლა თანამშრომლობის უფრო მეტი მზადყოფნა გამოხატონ.“

„კი მაგრამ, მიწისქვეშა გზა რომ ორივე მხარეს გადაკეტილია!“

„ჩვენი მხარის გახსნა შეგვიძლია; მალე დიასპარიც იგივეს იზამს.“

ერლიში მყოფი, ასევე მთელ ლისში მიმოფანტული სენატორების გონებამ ეს აზრი განიხილა და ერთხმად უარყო. მაგრამ უკეთეს ალტერნატივას ვერ ხედავდნენ.

ელვინის მიერ ჩაგდებულმა მარცვალმა ისე მალე გაიხარა, რომ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

როცა შალმარინს მიაღწიეს, მთის მწვერვალები ჯერ კიდევ ლივლივებდნენ ჩრდილში. სიმაღლიდან უზარმაზარი ციხე-სიმაგრე წერტილივით მოჩანდა; დაუჯერებელი ჩანდა, რომ ერთ დროს დედამიწის ბედი ამ პაწაწინა, შავ წრეზე იყო დამოკიდებული.

ელვინმა ტბის პირას ნანგრევებში დასვა ხომალდი, ირგვლივ გამეფებულმა მიტოვებულმა და გაპარტახებულმა ატმოსფერო გულზე შემოაწვა და სევდა მოჰგვარა. ლიუკი გახსნა თუ არა ხომალდში სამარისებული სიჩუმე შეიჭრა. ჰილვარმა, რომელსაც მთელი გზა ხმა თითქმის არ ამოუღია, ჩუმად იკითხა:

„რატომ დაბრუნდი აქ?“

ელვინს პასუხი არ გაუცია, სანამ ტბის ნაპირს არ მიუახლოვდნენ. შემდეგ მიუგო:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მინდოდა შენთვის ხომალდი ახლოდან მეჩვენებინა. და კიდევ იმედი მქონდა, რომ პოლიპი სიცოცხლეს დაუბრუნდებოდა; ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვალში ვარ მასთან და მინდა, ჩემი აღმოჩენის შესახებ ვუამბო.“

„თუ მასეა, - უპასუხა ჰილვარმა, - უნდა მოიცადო. ძალიან ადრე მოგიწია დაბრუნება.“

ელვინი ზუსტად ასეთ პასუხს მოელოდა; შანსი ნაკლები იყო, ამიტომ გული არ დასწყვეტია, მოლოდინმა რომ არ გაამართლა. წყლის აუღელვებელი ზედაპირი აღარ ცემდა იმ უწყვეტი, თანაბარი პულსით, ასე რომ განაცვიფრა მეგობრები პირველი ვიზიტისას. ელვინმა ტბის ნაპირას ჩაიმუხლა და ცივ, ბნელ სიღრმეს დააკვირდა.

ზედაპირთან ახლოს პაწაწინა ნახევრად გამჭვირვალე, თითქმის უჩინარი ზანზალაკები სხვადასხვა მიმართულებით დაცურავდნენ. ელვინმა წყალში ხელი ჩაუშვა და ერთ-ერთი მათგანი პეშვში მოაქცია, მაგრამ გაბრაზებულმა შეჰყვირა და მაშინვე გაუშვა ხელი. ზანზალაკმა ხელი დაუსუსხა.

დადგება დრო – შეიძლება წლების ან საუკუნეების შემდეგ – და ეს უგუნური პლაზმური ნაწილაკები ერთად შეიკრიბებიან და დიდებული პოლიპი სიცოცხლეს დაუბრუნდება, მეხსიერების გაფანტული ნაწილები გაერთიანდებიან და ცნობიერებაც გამოიღვიძებს. ნეტა როგორ მიიღებს პოლიპი ელვინის აღმოჩენებს; ალბათ არ ესიამოვნება მოძღვარზე სიმართლის გაგება. შეიძლება გაუჭირდეს იმის აღიარება, რომ მთელი საუკუნეების მორჩილმა ლოდინმა ფუჭად ჩაიარა.

თუმცა ჩაიარა კი ფუჭად? ეს არსებები კი დარჩნენ მოტყუებული, მაგრამ მრავალსაუკუნოვანმა სიფხიზლემ და მოთმინებამ თავისი შედეგი გამოიღო. თითქოს სასწაულით, მაგრამ მაინც მოახერხეს, მარადიული დავიწყებისგან ეხსნათ უნიკალური ცოდნა. ახლა თავისუფლად შეუძლიათ, დაისვენონ, ხოლო მათ მოძღვრებას იგივე ბედი ეწევა, როგორც მილიონობით სხვა რელიგიებს, მარადიულობაზე რომ ჰქონდათ ოდესღაც პრეტენზია.

თავი XIX

ჩაფიქრებული ჰილვარი და ელვინი უხმოდ დაუბრუნდნენ მომლოდინე ხომალდს, და ციხე-სიმაგრე მალე მთებს შორის მოქცეულ მუქ ჩრდილს დაემსგავსა. რაც უფრო მაღლა მიიწევდა ხომალდი, მით უფრო შორდებოდა ციხე-სიმაგრე, სანამ კოსმოსისაკენ მარაუდიულად მიპყრობილ შავ თვალს არ დაემსგავსა და ორიოდე წუთის შემდეგ სულ მთლად არ მიეფარა თვალს და ლისის თვალუწვდენელ პანორამაში არ ჩაიკარგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი ხომალდის მართვაში არ მონაწილეობდა; თუმცა მანქანა მაინც აგრძელებდა სვლას, ზემოთ მიიწევდა და ორიოდე წუთის შემდეგ ლისი მოყვითალო ზღვაში გაშლილი მწვანე კუნძულივით გამოჩნდა. ასეთ სიმაღლეზე არასდროს ასულა; როცა ხომალდი გაჩერდა, მეგობრების თვალწინ დედამიწა ნახევარ მთვარესავით გაიშალა. აქედან ლისი წერტილისოდენად მოჩანდა, როგორც ზურმუხტის მარცვალი ჟანგისფერი უდაბნოს კალთაზე, მაგრამ ნახევრად განათებული სფეროს ნაპირას რაღაც დამუშავებელი ბრილიანტივით ელვარებდა. და პირველად ცხოვრებაში ჰილვარმა დიასპარი იხილა.

მეგობრები დიდხანს ისხდნენ და დედამიწის ბრუნვას აკვირდებოდნენ. ადამიანის უძველესი მიღწევებიდან დედამიწის სიმაღლიდან თვალიერება ყველაზე სასურველი გახლდათ და ასეთ სილამაზეს ნამდვილად ვერ გამოტოვებდა. დიდი სიამოვნებით აჩვენებდა ლისისა და დიასპარის მმართველებს სამყაროს ისეთს, როგორსაც ამ წუთას ადევნებდა თვალს.

„ჰილვარ, - მიმართა მეგობარს ხანგრძივი დუმილის შემდეგ, - როგორ ფიქრობ, სწორად ვიქცევი?“

მოულოდნელმა კითხვამ ჰილვარი გააოცა. მას ხომ წარმოდგენა არ ჰქონდა იმ უეცარ ეჭვებზე, მის მეგობარს რომ ეუფლებოდა დროდადრო, არც მისი ცენტრალურ კომპიუტერთან შეხვედრისა და იმ ზემოქმედების შესახებ იცოდა, ამ შეხვედრამ რომ იქონია ელვინის ცნობიერებაზე. მეგობრის კითხვაზე მშრალ, უემოციო პასუხს ვერ გასცემდა; ხედრონის მსგავსად, თუმცა ნაკლებად საფუძვლიანად, ჰილვარიც გრძნობდა, როგორ იძირებოდა მისი ინდივიდუალურობა ელვინის პიროვნებაში. უიმედოდ ითრევდა მძლავრი მორევი, რომელსაც ელვინი ცხოვრების გზაზე ტოვებდა.

„ჩემი აზრით, სწორად იქცევი, - ნელა წარმოთქვა ჰილვარმა. – ჩვენი ხალხები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებული.“ ეს ხომ სრული სიმართლეა, - გაიფიქრა, - თუმცა იცოდა, რომ გულის სიღრმეში ეწინააღმდეგებოდა ასეთ პასუხს. მაგრამ ელვინს ძველებურად ეპარებოდა ეჭვი.

„კიდევ ერთი პრობლემა არ მაძლევს მოსვენებას, - განაგრძო შეწუხებული ხმით, - კერძოდ, დიდი განსხვავება ჩვენი ცხოვრების ხანგრძლივობაში.“ მეტი არაფერი დაუმატებია, მაგრამ ორივე ხვდებოდა, რაზე ფიქრობდა მეორე.

„ეგ საკითხი მეც მაღელვებს, - დაეთანხმა ჰილვარი, - მაგრამ ჩემი აზრით, პრობლემა თავის თავად მოგვარდება, როცა ჩვენი ხალხები ისევ შეხვდებიან და გაუგებენ ერთმანეთს. ორივე მხარე ვერ იქნება აბსოლუტურად მართალი, შეიძლება ჩვენი სიცოცხლე მეტისმეტად ხანმოკლეა, სამაგიეროდ თქვენ ცოცხლობთ უდავოდ მეტისმეტად დიდხანს. საბოლოო ჯამში, რაიმე კომპრომისი გამოინახება.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი მეგობრის ნათქვამს დაუფიქრდა. ერთადერთი იმედი უეჭველად სწორედ ამ მიმართულებით უნდა ეძებნათ, მაგრამ გარდამავალი პერიოდის ათასწლეულები ძალზედ რთული იქნება. სერანისის მწარე სიტყვები გაახსენდა: 'შენი ახალგაზრდობა ჩემი და ჰილვარის გარდაცვალების შემდეგ კიდევ მრავალი საუკუნე გაგრძელდება.' რაც არის, არის; მიიღებს ამ პირობებს. დიასპარშიც ხომ ნებისმიერი მეგობრობრული ურთიერობა ერთსა და იმავე ჩრდილქვეშ ვითარდება; ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენ ხანს გრძელდება მეგობრობა, ას თუ მილიონ წელს.

ელვინს მტკიცედ სჯეროდა, რომ კაცობრიობის კეთილდღეობა ამ ორი კულტურის შერწყმაზე იყო დამოკიდებული და ეს მტკიცე რწმენა ყოველგვარ ლოგიკურ ჩარჩოებს სცდებოდა; მთავარი ყურადღება საზოგადოების ბედნიერებას ენიჭებოდა, ხოლო ინდივიდუალური კმაყოფილება ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანი გახლდათ. წუთით კაცობრიობა ელვინისთვის უფრო ძვირფასი შეიქნა, ვიდრე საკუთარი ცხოვრების უბრალო ფონი, და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო უბედურება, რომელსაც მისი არჩევანი ერთ დღეს აუცილებლად მოუტანდა.

მათ ქვემოთ დედამიწა კვლავინდებურად აგრძელებდა მარადიულ ბრუნვას. ჰილვარი ჩასწვდა მეგობრის გუნება-განწყობილებას და არაფერი უთქვამს, სანამ ელვინმა თავად არ დაარღვია სიჩუმე.

„როცა პირველად დავტოვე დიასპარი, - დაიწყო მან, - არ ვიცოდი, რას ვეძებდი, რისი აღმოჩენის იმედი მქონდა. მაშინ ალბათ ლისი სავსებით მაკმაყოფილებდა, – უფრო მეტიც - ახლა კი ყველაფერი დედამიწაზე პატარა და უმნიშვნელოდ მეჩვენება. თითოეული ახალი აღმოჩენა ახალ კითხვებს წარმოშობდა, და ახალ პერსპექტივებს მიხსნიდა. საინტერესოა, რით დასრულდება ეს ყველაფერი...“

ჰილვარს არასდროს ენახა ელვინი ასეთი ჩაფიქრებული, და არ უნდოდა, მისი მონოლოგი შეეწყვიტა. ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში ბევრი ახალი რამ შეიტყო მეგობრის შესახებ.

„რობოტმა მითხრა, - განაგრძო ელვინმა, - რომ ხომალდს შვიდ მზემდე მისაღწევად ერთი დღეც არ სჭირდება. რას მირჩევ, ღირს იქ გამგზავრება?“

„როგორ ფიქრობ, შემიძლია შენი დაკავება? – მშვიდად მიუგო ჰილვარმა.

ელვინს ჩაეცინა.

„ეგ პასუხი არ არის, - შეეკამათა ელვინი. – ვინ იცის, კოსმოსი რა საიდუმლოებებს მალავს? დამპყრობლებმა კი დატოვეს დედამიწა, მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანის მიმართ მტრულად განწყობილი სხვა ცივილიზაციებიც არსებობდნენ?“

„რატომ უნდა იყვნენ მტრულად განწყობილი? – ჰკითხა ჰილვარმა. – ჩვენი ფილოსოფოსები მრავალი საუკუნეა ამ საკითხს განიხილავენ. ჭეშმარიტად გონიერი და ცივილური რასა არ შეიძლება არაკეთილგანწყობილი იყოს.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ჰო, მაგრამ დამპყრობლები - ?“

„ამოუცნობი საიდუმლოა, გეთანხმები. მართლა ასეთი ბოროტი და ღვარძლიანი რომ ყოფილიყვნენ, აქამდე თვითონვე გაანადგურებდნენ თავიანთ მოდგმას. თუ არა და... – ჰილვარმა ხომალდს ქვემოთ გაშლილ უსასრულ უდაბნოზე მიუთითა. – ერთ დროს ძლევამოსილი იმპერია გვქონდა. ნუთუ დაგვრჩა რამე, რასაც გაუმაძღარი დამპყროვლები მიიტაცებდნენ?“

ელვინი სახტად დარჩა, ვერ წარმოედგინა, რომ ვინმე მის შეხედულებებს ასე გაიზიარებდა.

„თქვენთან ყველა ასე ფიქრობს?“ – ჰკითხა.

„მხოლოდ უმცირესობა. უმრავლესობა უბრალოდ არ უფიქრდება ამ საკითხს, სავარაუდოდ ჰგონიათ, რომ დამპყრობლებს მართლა რომ სდომოდათ დედამიწის განადგურება, ამას აქამდე გააკეთებდნენ. არა მგონია, რომ ვინმეს მართლა ეშინოდეს მათი.“

„დიასპარში ყველაფერი სხვაგვარად არის, - ჩემი თანამემამულეები მშიშარა ხალხია. ქალაქის დატოვების გაფიქრებაც კი სზარავთ. არ ვიცი, რა მოხდება, როცა გაიგებენ, რომ კოსმოსური ხომალდი აღმოვაჩინე. ალბათ ჯეზერაკმა უკვე მოახსენა საბჭოს. საინტერესოა, ახლა რას აკეთებენ.“

„მე გეტყვი, რასაც აკეთებენ. როგორც სერანისმა მითხრა, ლისის დელეგაციის დასახვედრად ემზადებიან.“

ელვინმა ეკრანს შეხედა. დიასპარსა და ლისს შორის მანძილის დადგენა ერთი შეხედვით შეეძლო; ერთ-ერთ მიზანს უკვე მიაღწია, მაგრამ ეს მიღწევა ახლა ნაკლებად მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, ძალიან უხაროდა; როგორც იქნა, დასრულდება ამ ორ რასას შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სტერილური იზოლაცია.

იმის შეგნებამ, რომ ერთ-ერთი მისია, რომელსაც ადრე ყველაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭედა, წარმატებით დასრულდა, ელვინს ყველა ეჭვი გაუფანტა. დედამიწაზე უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება, უფრო სწრაფად და საფუძვლიანად, ვიდრე ოდესმე წარმოიდგენდა. მკაფიოდ გამოჩნდა გზა, რომელიც საბოლოო, და უსათუოდ ყველაზე დიდებული, თავგადასავლისა და მოგზაურობისკენ მოუწოდებდა.

„წამოხვალ ჩემთან ერთად, ჰილვარ?“ – ჰკითხა მეგობარს. ელვინს მშვენივრად ესმოდა საკუთარი კითხვის არსი.

„ამ კითხვის დასმა არც იყო საჭირო, ელვინ, - უპასუხა ჰილვარმა. – სერანისს და ჩემს ყველა მეგობარს დაახლოებით ერთი საათის წინ ვუთხარი, რომ შენთან ერთად მივდიოდი.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა ელვინმა რობოტს საბოლოო ინსტრუქცია მისცა, დედამიწიდან საკმაოდ მაღლა იმყოფებოდნენ. ხომალდი შეჩერდა, დედამიწისგან, რომელსაც თითქმის მთელი ზეცა ეკავა და საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურებოდა, ალბათ ათასამდე მილი აშორებდათ. საინტერესოა, - ფიქრობდა ელვინი, კიდევ რამდენი ხომალდი შეჩერებულა ასე მცირე ხნით დედამიწის თავზე, სანამ გზას გააგრძელებდა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს რობოტი სქემებსა და მართვის სისტემას ამოწმებდა, რომლებიც მრავალი გეოლოგიური ეპოქის განმავლობაში არ გამოიყენებოდა. შემდეგ მანქანამ პირველად მთელი ამ ხნის მანძილზე გამოსცა რაღაც სუსტი ხმა. თავიდან ოდნავ გასაგონი გუგუნი თანდათან იცვლიდა ტონალობას, მატულობდა ოქტავიდან ოქტავამდე, სანამ ყურთასმენის მიღმა არ დაიკარგა. ხომალდის მოძრაობას ვერავითარი ცვლილება ვერ შენიშნეს, მაგრამ მოულოდნელად ელვინმა ეკრანზე ვარსკვლავების მონაცვლეობას მიაქცია ყურადღება. დედამიწა კვლავ გამოჩნდა, თვალს მიეფარა, შემდეგ ისევ გამოჩნდა, ოღონდ ამჯერად მდებარეობა შეეცვალა. ხომალდი კურსის დადგენას ცდილობდა, კოსმოსში ტრიალებდა კომპასის ისარივით, რომელიც ჩრდილოეთს ეძებს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ზეცა გაუჩერებლად ბრუნავდა მათ გარშემო, სანამ ხომალდი ბოლოს და ბოლოს არ გაშეშდა ვარსკვლავებისკენ მიმართული უშველებელი ჭურვივით.

ეკრანის ცენტრში შვიდი მზის რკალი გამოჩნდა მთელი თავისი წარმტაცი დიდებულებით. დედამიწის კიდე ჯერ კიდევ მოჩანდა, როგორც მეწამული და ოქროსფერი დაისით შეფერადებული მუქი ნახევარ მთვარე. ელვინი გრძნობდა, რომ უცნაური რამ ხდებოდა და სავარძელს ჩაჭიდებული სუნთქვაშეკრული ელოდა მოვლენების განვითარებას. წამები მიქროდა და ეკრანზე შვიდი მზე ელვარებდა.

ირგვლიც სრული სიჩუმე იდგა, როცა მოულოდნელად ხომალდი შეირყა. წამიერად გონება დაებინდათ, შემდეგ დედამიწა გაქრა, თითქოს უხილავმა ძალამ ერთი ხელის მოსმით მოწყვიტა ადგილიდან. კოსმოსში მარტონი აღმოჩნდნენ, მხოლოდ ვარსკვლავები და უცნაურად შეკუმშული მზე მოჩანდა. დედამიწა გაუჩინარდა, თითქოს არც არასდროს უარსებია.

შემდეგ ისევ იგრძნეს რყევა და ამჯერად ოდნავ გასაგონი გუგუნის ხმა გაისმა, თითქოს გენერატორები მხოლოდ ახლა ამუშავდნენ საგრძნობი სიმძლავრით. წამით ვერავითარი ცვლილება ვერ შენიშნა; მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მზე გამქრალიყო და ვარსკვლავებიც ნელა მიცურავდნენ ხომალდის გვერდზე. უკან მოიხედა და აბსოლუტური სიცარიელის გარდა ვერაფერი დაინახა. ზეცა მთლიანად შთაენთქა წყვდიადის ნახევარსფეროს. ვაკრსკვლავები მის თვალწინ წყდებოდნენ ადგილიდან, სიბნელეში იძირებოდნენ და ქრებოდნენ წყალში ჩავარდნილი ნაპერწკლებივით. ხომალდი სინათლის სიჩქარეზე სწრაფად მიქროდა, და ელვინი მიხვდა, რომ დედამიწისა და მზის ნაცნობი სივრცე უკან ჩამოიტოვეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც მოულოდნელი, თავბრუდამხვევი რყევა მესამეჯერ განმეორდა, ელვინს კინაღამ გული გაუჩერდა. მხედველობის უცნაური ამღვრევა ახლა ეჭვს აღარ იწვევდა; უეცრად გარშემო ყველაფერმა იმდენად შეიცვალა ფორმა, რომ ირგვლივ ვერაფერს იცნობდით. ამ უცნაური დამახინჯების არსს ელვინი მოულოდნელად ჩაწვდა, თუმცა თვითონაც ვერ გაეგო, საიდან. თვალი არ ატყუებდა, ფორმების უეცარი სახეცვლილება რეალურად მოხდა. აწმყოს თხელ ფირფიტას არღვევდა და თავისდა უნებურად ხდებოდა მის გარშემო სივრცეში მიმდინარე ცვლილებების მომსწრე.

იმავე წამს გენერატორების სუსტი გუგუნი გამაყრუებელ გრუხუნად იქცა, რომელმაც ხომალდი შეაზანზარა – მოულოდნელი ხმა ელვინს განსაკუთრებით აშინებდა, რადგან მანქანისგან პირველად ესმოდა პროტესტის გამოძახილი. შემდეგ ხმაური შეწყდა და გარს ჩამოწოლილი სიჩუმე ზარის წკრიალივით გაისმა ყურებში. ხომალდის მამოძრავებელმა მძლავრმა გენერატორებმა თავისი სამუშაო შეასრულეს, მოგზაურობის ბოლომდე მათი გამოყენება აღარ დასჭირდებოდა. ვასრკვლავები მოთეთრო-მოცისფრო შუქით ელვარებდნენ და ულტრაიისფერ სივრცეში იკარგებოდნენ. მეცნიერებისა თუ ბუნების რაღაც სასწაულის წყალობით, შვიდი მზე ისევ მოჩანდა, თუმცა ადგილმდებარეობა და ფერი ოდნავ შეეცვალა. ხომალდი ადამიანის გონებისთვის წარმოუდგენელი სიჩქარით მიქროდა წყვდიადის გვირაბში, სივრცისა და დროის საზღვრების მიღმა.

დაუჯერებელი იყო, მაგრამ მზის სისტემა ისე გამალებით დატოვეს, რომ მალე გალაქტიკის შუაგულსაც მიაღწევდნენ და გალაქტიკის მიღმა არსებულ უდაბურ და უსასრულ სიცარიელეშიც გაიჭრებოდნენ, ეს თავაწყვეტილი რბოლა რომ არ შეჩერებულიყო. ვერც ელვინს და ვერც ჰილვარს ბოლომდე ვერ გაესიგრძეგანებინათ მოგზაურობის ჭეშმარიტი მასშტაბები; გალაქტიკური კვლებებისა და მოგზაურობების დიადმა საგებმა მთლიანად შეცვალეს ადამიანის შეხედულება სამყაროს მიმართ და უძველესი ტრადიციები ახლაც კი, მილიონობით საუკუნის შემდეგ, აგრძელებდნენ არსებობას. ლეგენდის მიხედვით, ერთ დროს ხომალდი აუგიათ, რომელმაც მთელ კოსმოსს შემოუარა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. ვარსვლავების გამყოფი მილიონობით მილი ასეთ სიჩქარესთან აღარაფერს წარმოადგენდა. ელვინს ეს მოგზაურობა ლისში პირველ გამგზავრებაზე ოდნავ უფრო გრანდიოზულად, და ალბათ ნაკლებად სახიფათოდ, მოეჩვენა.

შვიდი მზე მათ პირდაპირ ნელ-ნელა იძენდა სიკაშკაშეს. პირველად ჰილვარმა დაილაპარაკა, რითაც ორივეს ფიქრები გამოთქვა.

„ელვინ, - შენიშნა ჰილვარმა, - მსგავსი სტრუქტურა არ შეიძლება ბუნებრივი იყოს.“

ელვინმა თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„რამდენი წელია მეც მაგ აზრის ვარ, მაგრამ მაგრამ ეგ მოსაზრება ახლაც ფანტასტიკურად მეჩვენება.“

„შეიძლება ეს სისტემა ადამიანს სულაც არ აუგია, - დაეთანხმა ჰილვარი, - მაგრამ ფაქტია, რომ მისი შემოქმედი გონიერი არსება იყო. ბუნება ვერასოდეს ვერ ჩამოაყალიბებდა ასეთი თანაბარად მოკაშკაშე ვარსკვლავებისგან შემდგარ სრულყოფილ წრეს. და სამყაროს ხილულ ნაწილში ცენტრალური მზის მაგვარ ქმნილებას ვერსად შეხვდები.“

„რისთვის დასჭირდათ ასეთი რამის შექმნა?

„მიზეზი უამრავი შემიძლია დაგისახელო. შეიძლება სიგნალიც იყოს, რათა ყველა უცხო ხომალდმა, ჩვენს სამყაროში შემოსვლას რომ დააპირებს, იცოდეს, სად ეძებოს სიცოცხლე. ან შეიძლება გალაქტიკური ადმინისტრაციის ცენტრსაც აღნიშნავდეს. ან იქნებ – და რატომღაც მგონია, რომ ეს ვარაუდი ყველაზე უტყუარია – ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ნიმუშია და სხვა არავითარი დატვირთვა არ აქვს. ყოველ შემთხვევაში ამაზე ფიქრს არა აქვს აზრი, რამდენიმე საათში სიმართლეს ისედაც გავიგებთ.“

‘სიმართლეს ისედაც გავიგებთ.’ ალბათ გავიგებთ კიდევაც, - გაიფიქრა ელვინმა, - მაგრამ სიმართლის რა ნაწილი გახდება საბოლოოდ ჩვენთვის ხელმისაწვდომი? უცნაურია, მაგრამ ახლა, როცა დიასპარს და მასთან ერთად დედამიწასაც წარმოუდგენელი სიჩქარით ტოვებდა, გონებით ისევ საკუთარ იდუმალ წარმოშობას უბრუნდებოდა. ალბათ ეს არც თუ ისე უჩვეულო იყო; ლისში ჩამოსვლის შემდეგ უამრავი რამ შეიტყო და ისწავლა, მაგრამ აქამდე ერთი წუთიც ვერ მოიხელთა, რომ მშვიდად დაფიქრებულიყო.

ახლა ჯდომისა და ლოდინის გარდა სხვა არაფერი დარჩენოდა; ელვინის უშუალო მომავალს ეს საოცარი მანქანა აკონტროლებდა, – საინჟინრო მეცნიერების უდავოდ ყველა დროის საუკეთესო მიღწევა – რომელიც მეგობრებს სამყაროს შუაგულისკენ გამალებით მიაქროლებდა. ახლა ძალაუნებურად დადგა ფიქრისა და განსჯის დრო. მაგრამ ჯერ ჰილვარს მოუყვება ყველაფერზე, რაც მხოლოდ ორი დღის წინ მათი ნაჩქარევი განშორების შემდეგ მოხდა.

ჰილვარი გულისყურით, უკომენტაროდ უსმენდა ელვინის ნაამბობს და ახსნა-განმარტებაც არ მოუთხოვია. თითქოს უცბად ხვდებოდა, ელვინი რაზეც ლაპარაკობდა. არც მაშინ შეუმჩნევია გაკვირვება, როცა ცენტრალურ კომპიუტერთან შეხვედრისა და იმ უცნაურ ოპერაციაზე შეიტყო, რომელიც კომპიუტერმა რობოტის ცნობიერებაზე განახორციელა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ ჰილვარი საერთოდ მოკლებული იყო გაოცების უნარს, უბრალოდ მისთვის აქამდე ნაცნობ ისტორიაში იმდენი მსგავსი ამბავი მოიპოვებოდა, რომ ელვინი მონათხრობი გაკვირვებას აღარ იწვევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„დღესავით ნათელია, - დაამატა ჰილვარმა, როცა ელვინმა ლაპარაკი დაასრულა, - რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა შეიქმნა, ცენტრალურმა კომპიუტერმა სპეციალური ინსტრუქციები მიიღო შენთად დაკავშირებით. ახლა ალბათ ხვდები, რატომაც.“

„მე მგონი, ვხვდები. პასუხის ნაწილს ხედრონმა მიმახვედრა, როცა ამიხსნა, რომ დიასპარის შემქმნელმა ადამიანებმა იმგვარად დააპროექტეს ქალაქი, რომ რომ გადაგვარება და სტაგნაცია თავიდან აეცილებინათ.“

„შენ ფიქრობ, რომ შენ – და შენამდე სხვა უნიკუმებიც – იმ სოციალური მექანიზმის ნაწილი ხართ, რომელმაც სრული სტაგნაცია უნდა აიცილოს თავიდან. ანუ თუ მასხარების ქმედებები მოკლევადიან მაკორექტირებელ ფუნქციას ასრულებს, გამოდის, რომ შენნაირი უნიკუმები გრძელვადიან პერსპექტივაზე ხართ გათვლილი?“

ჰილვარმა ელვინზე გაცილებით უფრო უკეთ გამოთქვა სათქმელი, მაგრამ ელვინი სხვა რამესაც გულისხმობდა.

„ჩემი აზრით, სიმართლე გაცილებით უფრო რთულია. როგორც ჩანს, ქალაქის დაარსებისას საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო, ერთნი ფიქრობდნენ, რომ აუცილებელია ქალაქის სრული იზოლაცია გარე სამყაროდან, დანარჩენები მიიჩნევდნენ, რომ გარკვეული კონტაქტების შენარჩუნება დიასპარს არ აწყენდა. მართალი, პირველმა ჯგუფმა გაიმარჯვა, მაგრამ მეორეს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მე ვფიქრობ, იარლას ზეი დამარცხებული ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმხელა ძალაუფლება არ ჰქონდა, რომ ღიად ემოქმედა. რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, თუნდაც იმ მხრივ, რომ მიწისქვეშა მაგისტრალები მუშა მდგომარეობაში შეინარჩუნა და დაუშვა, რომ შემოქმედის დარბაზიდან პერიოდულად, საუკუნეების ინტერვალებში ვიღაც მაინც გამოვიდოდა, ვინც თავისი თანამემამულეების შიშებს არ გაიზიარებდა. სინამდვილეში მე რაც მაინტერესებს...“ – ელვინი შეჩერდა, მზერა ბუნდოვანი გაუხდა, თითქოს ვეღარ აცნობიერებდა, რაც მის გარშემო ხდებოდა.

„რაზე ფიქრობ? – ჰკითხა ჰილვარმა.

„ახლა მომივიდა აზრად – შეიძლება იარლან ზეი თავად მე ვარ. სავსებით შესაძლებელია. თავისი პიროვნების სქემებს შეიტანდა მეხსიერების საცავებში, იმ იმედით, რომ ოდესმე დიასპარის სტრუქტურის რღვევას შეძლებდა მანამ, სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა. აუცილებლად უნდა გავიგო, წინა უნიკუმებს რა ბედი ეწიათ, ეს ინფორმაცია საერთო სურათში არსებული ხარვეზების შევსებაში დამეხმარება.“

„და იარლან ზეიმ – ან ვინც არ უნდა ყოფილიყო – ცენტრალურ კომპიუტერს სპეციალური მითითება მისცა, რომ უნიკუმებს ნებისმიერ დროს დახმარებოდა, როცა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოჩნდებოდნენ,“ – წარმოთქვა დაფიქრებულმა ჰილვარმა, თან ცდილობდა, მეგობრის მსჯელობის ხაზს მიჰყოლოდა.

„მართალია. ირონია იმაშია, რომ მთელი ინფორმაცია შემეძლო უშუალოდ ცენტრალური კომპიუტერისგან მიმეღო საწყალი ხედრონის დაუხმარებლადაც. კომპიუტერი მე უფრო მეტს გამანდობდა, ვიდრე ხედრონისთვის ოდესმე უთქვამს. მაგრამ, უდავოდა, რომ ხედრონის დახმარებით უამრავი დრო დავზოგე, და ისეთი რაღაცეები ვისწავლე მისგან, რასაც მე თვითონ ვერასოდეს მივხვდებოდი.“

„ჩემი აზრით, შენი თეორია ჩვენთვის უკვე ცნობილ ფაქტებს ხსნის, - ფრთხილად მიუგო ჰილვარმა. – სამწუხაროდ, ყველა დიდი პრობლემა ისევ ღიად რჩება, კერძოდ, დიასპარის შექმნის თავდაპირველი მიზანი. რატომ ცდილობს შენი ხალხი გარე სამყაროს არსებობის უარყოფას? აი, ამ კითხვაზე მინდოდა ყველაზე მეტად პასუხი მიმეღო.“

„კითხვას აუცილებად ვუპასუხებ, - შეპირდა ელვინი. – მაგრამ ჯერ არ ვიცი, როდის, ან როგორ.“

ასე კამათობდნენ და ოცნებობდნენ, ხოლო შვიდი მზე ნელ-ნელა იშლებოდა ორივე მხარეს, სანამ ღამის წყვდიადის უცნაური გვირაბი, რომელშიც ხომალდი მიქროდა, მთლიანად არ დაიკავა. შემდეგ ბნელის კიდეზე ერთი მეორის მიყოლებით ჩაქრა ექვსი გარე ვარსკვლავი და ბოლოს თვალთახედვის არეში მხოლოდ ცენტრალური მზე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მზე ჯერ კიდევ სხვა სივრცეში იმყოფებოდა, ისევ ელვარებდა თვალისმომჭრელი მარგალიტივით, რაც სხვა მნათობებისგან გამოარჩევდა. სიკაშკაშე ყოველ წუთს მატულობდა, და მალე წერტილისგან პაწაწინა დისკად იქცა. შემდეგ ამ დისკმაც იწყო მათ თვალწინ ზრდა.

მოულოდნელად მოკლე გაფრთხილება გაისმა: ხომალდის კაბინაში ზარის მაგვარმა დაბალმა ხმამ გაიწკრიალა. ელვინი სავარძლის სახელურებს მოეჭიდა, თუმცა უშედეგოდ.

უზარმაზარი გენერატორები ისევ გამოცოცხლდნენ და გრუხუნით შეუდგნენ მუშაობას, ხოლო ცაზე წარმოუდგენელი სისწრაფით აინთო ვარსკვლავები და თვალისმომჭრელად აელვარდა. ხომალდი ნაცნობ სივრცეს დაუბრუნდა, მნათობებისა და პლანეტების ბუნებრივ სამყაროს, სადაც სინათლის სიჩქარეზე სწრაფად ვერაფერი ვერ მოძრაობდა.

მალე შვიდი მზის სისტემაში აღმოჩნდნენ, ცაზე უკვე აშკარად დომინირებდა სხვადასხვა ფერის სფეროსგან შემდგარი რგოლი. რა უცნაური ზეცა იყო! მათთვის ნაცნობი ვასკვლავები და თანავარსკვლავები სადღაც გამქრალიყვნენ. ირმის ნახტომი ზეცის შორეულ კიდეზე გავლებული ბურუსის ზოლს აღარ ჰგავდა; სამყაროს შუაგულში იმყოფებოდნენ, და მისი გრანდიოზული წრე მსოფლიოს ორ ნაწილად ყოფდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხომალდი ისევ გამალებით მიისწრაფვოდა ცენტრალური მზისკენ, ხოლო სისტემის დანარჩენი ექვსი ვარსკვლავი ფერადი შუქურებივით ჩამწკრივებულიყვნენ ცის გარშემო. მათ შორიახლოს მბრუნავი პლანეტები პაწაწინა ნაპერწკლებივით მოჩანდნენ, გიგანტური მასშტაბის მქონე სამყაროები უნდა ყოფილიყვნენ, ამხელა მანძილიდან რომ მოჩანდნენ.

ცენტრალური მზის სადაფისფერი ნათების გამომწვევი მიზეზი უკვე ნათელი გახდა. უზარმაზარი მნათობი აირის გარსში გახვეულიყო, რომელიც მის ელვარებას არბილებდა და მზის შუქს განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა. თვალს ბურუსით მოსილი გარემოს დანახვა უჭირდა, ყველაფერს იმდენად უცნაური ფორმა მიეღო, რომ ძლივს გაარჩევდი, და რაც უფრო დიდხანს აკვირდებოდა თვალი, მით უფრო ინტენსიური ჩანდა.

„მაშ ასე, ელვინ, - მიმართა ჰილვარმა, - არჩევანის გაკეთება უამრავ სამყაროს შორის შეგვიძლია. თუ ყველა მათგანის შესწავლა გაქვს გადაწყვეტილი?“

„საბედნიეროდ, ყველას შესწავლა არ არის აუცილებელი, - აღნიშნა ელვინმა. – თუ რომელიმე ადგილას კონტაქტის დამყარებას შევძლებთ, ყველა საჭირო ინფორმაციას მივიღებთ. ყველაზე ლოგიკური იქნება, თუ სამიზნედ ცენტრალური მზის ყველაზე დიდ პლანეტას ავიღებთ.“

„ძალიან დიდი პლანეტაც არ გამოდგება. გაგებული მაქვს, რომ ზოგიერთი პლანეტა იმდენად დიდია, რომ ადამიანი ვერ ცოცხლობს, - ადამიანმა რომ იქ ფეხი დაადგას, საკუთარ წონას ვერ გაუძლებდა.“

„არა მგონია, მსგავსი რამ აქ შესაძლებელი იყოს. დარწმუნებული ვარ, მთლიანი სისტემა ხელოვნურადაა შექმნილი. ყოველ შემთხვევაში, კოსმოსიდან კარგად დავინახავთ, არის თუ არა ქალაქები და შენობები.“

ჰილვარმა რობოტზე მიანიშნა.

„პრობლემა გადაჭრილია. არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენი გიდი აქ უკვე ნამყოფია. ახლა სახლში მივყავართ, - საინტერესოა, რას ფიქრობს ამის შესახებ?“

რობოტის აზრი ელვინსაც აინტერესებდა. მაგრამ შესაძლებელია კი, რომ რობოტს ადამიანური გრძნობების მაგვარი რამ განეცადა, როცა ამდენი საუკუნის ხეტიალის შემდეგ მოძღვრის უძველეს სახლში ბრუნდებოდა.

მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომპიუტერმა რობოტს ბლოკები მოხსნა და ლაპარაკის უფლება მისცა, არც ერთხელ არ გამოუმჟღავნებია რაიმე გრძნობის ან ემოციის ნიშანწყალი. ელვინის კითხვებს ყოველთვის პასუხობდა და ბრძანებებსაც ასრულებდა, მაგრამ რობოტის ჭეშმარიტ ხასიათს დღემდე ვერ ჩაწვდა. მკვეთრად ჩამოყალიბებული ხასიათი რომ ჰქონდა, ელვინი ამაში დარწმუნებული იყო;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წინაამღდეგ შემთხვევაში დანაშაულის ის უცნაური გრძნობა არ შეაწუხებდა იმ ოინის გახსენებაზე, რობოტსა და მის მთვლემარე თანამგზავრს რომ მოუწყო.

რობოტს ჯერ კიდევ სწამდა ყელაფრის, რასაც მოძვარი ასწავლიდა; მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ აყალბებდა მოძღვარი სასწაულებს და ატყუებდა თავის მიმდევრებს, სიცრუეს მისთვის ერთგულებაში არ შეუშია ხელი. რობოტს შეეძლო, ზოგიერთი ადამიანის მსგავსად, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება შეეთავსებინა.

ახლა რობოტი თავის უძველეს მოგონებებს მიყვებოდა სათავემდე. მოულოდნელად მოკაშკაშე ცენტრალური მზის შუაგულში ჩაკარგული მბჟუტავი ნაპერწკალი გამოჩნდა, რომლის გარშემოც სხვა მცირე ზომის სამყაროების გამოსახულებები კრთოდა. გრანდიოზული მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა; სულ მცირე ხანში გაირკვეოდა, მიზანს მიაღწიეს თუ არა.

თავი XX

პლანეტა, რომელსაც უახლოვდებოდნენ, რამდენიმე მილითღა იყო მათგან დაშორებული, - სხვადასხვა ფერით განათებული მოკაშკაშე სფერო. მის ზედაპირზე ღამე არ დგებოდა, რადგან სანამ პლანეტა ცენტრალური მნათობის გარშემო მოძრაობდა, სხვა ვარსკვლავები ერთმანეთის მიყოლებით მარშით მიცურავდნენ ცაზე. ახლა მიხვდა ელვინი, რასაც ნიშნავდა მომაკვდავი მოძღვრის უკანასკნელი სიტყვები: ‘მარადიული სინათლის პლანეტებზე ფერადი ჩრდილების თამაშის ყურებას არაფერი შეედრება.’

იმდენად ახლოს მივიდნენ, რომ კონტინენტების, ოკეანეებისა და ატმოსფეროს გამჭვირვალე ბურუსის დანახვა შეძლეს. ხმელეთსა და წყალს რაღაც უცნაური კონტურები ახასიათებდათ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ კონტინენტსა და ოკეანეს საოცრად მკვეთრი და სწორხაზოვანი ჰორიზონტი ყოფდა ერთმანეთისგან. მატერიკები ამ პლანეტაზე არ ჰგავდა ბუნების ქმნილებას, გონიერი ცივილიზაციის ხელი აშკარად ეტყობოდათ, - მაგრამ რა უმნიშვნელო საქმე უნდა ყოფილიყო სამყაროს გადაკეთება იმათთვის, ვინც მისი მნათობები შექმნეს!

„ეს ხომ ოკეანეები არაა! – შესძახა ჰილვარმა მოულოდნელად. – ვერ ხედავ რაღაც ნიშნულებს?“

სანამ პლანეტას არ მიუახლოვდნენ, ელვინი მეგობრის სიტყვების მნიშვნელობას ვერ ჩაწვდა. შემდეგ კონტინენტების საზღვრების გასწვრივ მქრალი ხაზები და სარტყელები შენიშნა, ღრმად ჩაფლულნი ღრმულში, რომელიც ზღვის ნაპირებად მიიჩნია. თვალწინ გაშლილმა ხედმა მოულოდნელი ეჭვით აავსო, რადგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მშვენივრად იცოდა, ეს ხაზები რასაც ნიშნავდა. ერთხელ უკვე ენახა მსგავსი სარტყელები დიასპარს მიღმა მდებარე უდაბნოში და მიხვდა, რომ მოგზაურობმ უშედეგოდ ჩაიარა.

„ეს პლანეტა დედამიწასავით მშრალია, - განაცხადა ელვიანმა ნაღვლიანი ხმით. – წყალი მთლიანად დაშრეტილა, ის ხაზები და ნიშნულები კი დიდი ხნის წინ დამშრალი ზღვისგან დარჩენილი მარილის შრეებია.“

„შეუძლებელია, ოკეანეების დაშრობას არ დაუშვებდნენ, - შეეპასუხა ჰილვარი. – ალბათ, მართლა ძალიან დავაგვიანეთ.“

იმედგაცრუება იმდენად აუტანელი აღმოჩნდა, რომ ელვინი სიმწრისგან ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა და უხმოდ დაჰყურებდა უზარმაზარ სამყაროს. პლანეტა შთამბეჭდავი სიდინჯით ბრუნავდა ხომალდის ქვემოთ, ხოლო მისი ზედაპირი საოცარი დიდებულებით მოიწევდა მათ შესახვედრად. მალე შენობებიც გამოჩნდა – პატარა თეთრი წერტილები, რომლებიც ირგვლივ ყველგან მოფენილიყვნენ, ოკეანის ფსკერის გარდა.

ერთ დროს ეს მსოფლიო სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა. ახლა კი ჩამკვდარიყო, მისი საჰაერო სივრცე სიცარიელეს მოეცვა, ხოლო ზედაპირზე ვეღარ შენიშნავდით პატარა მოძრავ, სიცოცხლის მომასწავებელ წერტილებს. თუმცა ხომალდი მაინც მიზანმიმართულად მიცურავდა გაქვავებული ზღვის გაყინულ ზედაპირზე, რომელიც დროდადრო ძალას იკრეფდა, გიგანტურ ზვირთებს აგორებდა და ამაყად იწვევდა ზეცას ბრძოლაში.

ხომალდი მოულოდნელად გაჩერდა, თითქოს რობოტმა, როგორც იქნა, შეძლო მეხსიერების სათავეს დაბრუნებოდა. მათ ქვემოთ უშველებელი მარმარილოს ამფითეატრის შუაგულიდან ამოხეთქილი თოვლივით ქათქათა თეთრი ქვის სვეტი გამოჩნდა. მოლოდინით აღსავსე ელვინი მცირე ხნით გაირინდა; მაგრამ რადგან ხომალდი ადგილიდან აღარ დაძრულა, მიწაზე კოლონის ძირთან დაშვების ბრძანება გასცა.

ამ დრომდე ელვინი იმედს არ კარგავდა, რომ პლანეტაზე სიცოცხლის აღმოჩენას შეძლებდა. ფუჭი იმედები მაშინვე გაქრა, როგორც კი შლუზი გახსნა და მიწაზე ფეხი დადგა. არადროს ცხოვრებაში არ შთაუნთქავს ასეთ აბსოლუტურ, ყოვლისმომცველ სიჩუმეს, არც შალმარინის უკაცრიელ სამეფოში უგვრძნია მსგავსი სიცარიელე. დედამიწა ყოველთვის რაღაც მოჩურჩულე ხმებით იყო გადაჭედილი, მუდმივად ისმოდა ცოცხალი არსებების შრიალი, ან ქარის ღმუილი და ოხვრა.

„ამ ადგილას რატომ მოგვიყვანე?“ – ჰკითხა ელვინმა რობოტს. თუმცა თავად პასუხი ნაკლებად აინტერესებდა, უბრალოდ თავის დროზე ძიებამ იმდენად გაიტაცა, რომ ახლა უკვე ინერტულად მიყვებოდა მოვლენებს, მიუხედავად იმისა, რომ ძებნის სურვილი და ინტერესი უკვე დაეკარგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მოძღვარი აქედან დაიძრა,“ – განუმარტა რობოტმა.

„მეც მასეთ განმარტებას ველოდი, - ჩაერთო ჰილვარი. – ვერ ხვდები, რაში მდგომარეობს ამ ამბის ირონია? ეს სამყარო შეცხვენილმა და დამცირებულმა დატოვა – შეხედე, როგორი მონუმენტი აუგეს!“

ქვის მონუმენტი ადამიანის ჩვეულებრივ სიმაღლეზე ალბათ ასჯერ უფრო მაღალი გახლდათ, და ვაკე ადგილიდან ოდნავ შემაღლებით მდგარ მეტალის წრეში ჩაესვათ. სვეტი სრულიად გლუვი იყო და არავითარი წარწერა არ ჰქონდა. ნეტავ რამდენი ათასი ან მილიონი განმავლობაში იკრიბებოდნენ აქ მოძღვრის მიმდევრები – ფიქრობდა ელვინი – და თაყვანს სცემდნენ თავიანთ წინამძღოლს? ნეტა თუ მოსვლიათ ოდესმე აზრად, რომ მშობლიური ქვეყნიდან განდევნილი მოძღვარი შორეულ დედამიწაზე მარტოობაში აღესრულა?

ამას ახლა უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. როგორც მოძღვარი, ისევე მისი მოციქულები მარადიულ დავიწყებას მისცემოდნენ.

„წამოდი, გარეთ გავიდეთ, - შესთავაზა ელვინს ჰილვარმა, ცდილობდა მეგობარი დეპრესიული განწყობიდან გამოეყვანა. – ნახევარი ქვეყნიერება შემოვიარეთ ამ ადგილის სანახავად. ახლა კი გარეთ გამოსვლაც აღარ გინდა? შეუძახე საკუთარ თავს და გამოადგი ფეხი.“

ელვინს ძალაუნებურად გაეცინა და მეგობარს საჰაერო შლუზის გავლით გაჰყვა. როგორც კი გარეთ გამოვიდნენ, ხასიათი გამოუკეთდა და გუნება-განწყობილებამაც ამაღლება იწყო. მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ინტერესს მაინც არ კარგავდა, ჯერ კიდევ შერჩა ძალა, წარსულის საიდუმლოებების ამოხსნაში რაც დაეხმარებოდა ელვინს.

ჰაერი დახუთული იყო, მაგრამ სუნთქვა მაინც შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცაზე უამრავი მნათობი ანათებდა, სიცხე მაინც არ იგრძნობოდა. მხოლოდ ცენტრალური მზის ქათქათა დისკსღა შერჩენოდა სითბოს გამოყოფის უნარი, მაგრამ ისიც ძალას კარგავდა, ვარკვლავს გარს შემოჯარული ნისლიანი საბურველის გარღვევას როცა ცდილობდა. სხვა მნათობები მართალია ფერთა პალიტრას ამდიდრებდნენ, მაგრამ მიწას ვერ ათბობდნენ.

სულ რამდენიმე წუთში დარწმუნდნენ, რომ ობელისკი სიმართლის პოვნაში ვერ დაეხმარებოდა, ახალს ვერაფერს ეტყოდა. უდრეკი მასალა, რისგანაც ეს მონუმენტი შეექმნათ, უდავოთ მის სიძველეზე მიანიშნებდა; კუთხეები მომრგვალებოდა, ხოლო მეტალის პედესტალს, რომელზეც ობელისკი იდგა, მოციქულებისა და პილიგრიმების მრავალი თაობის კვალი ემჩნია. ელვინს უცნაური შეგრძნება ჰქონდა, მაგრამ შესაძლოა ის და ჰილვარი ადამიანთა მოდგმის მილიარდობით წარმომადგენლებს შორის უკანასკნელი აღმოჩნდნენ, ვინც ამ ადგილას ფეხს დააბიჯებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰილვარმა ეს-ესაა დააპირა, ხომალდში დაბრუნება და ობელისკის შორიახლო მდებარე უახლოესი შენობისკენ გამგზავრება შეეთავაზებინა, რომ ელვინმა ამფითეატრის მარმარილოს იატაკზე გრძელი, ვიწრო ნაპრალი შენიშნა. ნაპრალს გაუყვნენ; კარგა ხნი მიყვებოდნენ, ბზარი ნელ-ნელა იზრდებოდა და ბოლოს ისე გაფართოვდა, რომ ვეღარ გადააბიჯებდი.

ორიოდე წამის შემდეგ, იმ ადგილას აღმოჩნდნენ, საიდანაც ნაპრალი წარმოიშვა. ამფითეატრის ზედაპირი იმგვარად იყო დახეთქილი და დამსკდარი, რომ ირგვლივ ერთ მილზე მეტი რადიუსის მქონე უზარმაზარი ჩაღრმავებული ადგილი წარმოშობილიყო. მისი გამომწვევი მიზეზის დასადგენად არავითარი განსხვავებული ინტელექტი და წარმოსახვა არ გჭირდებოდათ. საუკუნეების წინ – რა თქმა უნდა, ამ სამყაროს გაუკაცრიელებიდან მრავალი ასწლეულის შემდეგ – ამ ადგილას უშველებელი ცილინდრის ფორმის სხეული ესვენა, შემდეგ კიდევ ერთხელ აიჭრა სივრცეში და სამუდამოდ დატოვა ეს პლანეტა საკუთარი მოგონებების ანაბარა.

ვინ იყნენ? საიდან მოვიდნენ? ელვინს გაოცებულ მზერა მიეპყრო ამფითეატრისთვის. მეტი რაღა დარჩენოდა. ვერასდროს გაიგებდა, რამდენი ხნით გაუსწრეს იდუმალმა სტუმრებმა, ათასი თუ მილიონი წლით.

მეგობრები უხმოდ გაემართნენ საკუთარი ხომალდისკენ (ალბათ რა პაწაწინა გამოჩნდებოდა იმ ვეებერთელა მოხეტიალე ვარსკვლავთმავალის გვერდით, რომელიც აქ ერთ დროს განისვენებდა), ნელა გადაუფრინეს ამფითეატრს და მის ირგვლივ მიმოფანტული შენობებიდან ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი ნაგებობის წინ გაჩერდნენ. მოჩუქურთმებულ შესასვლელთან რომ დაფრინდნენ, ჰილვარმა ელვინის ყურადღება ისეთ რამეზე გაამახვილა, რაც უკვე ელვინსაც შეენიშნა.

„ეს შენობები მაინცდამაინც უსაფრთხო არ უნდა იყოს. შეხედე, როგორ იშლება ქვა – სასწაულით დგას ფეხზე შენობა. ამ პლანეტაზე ქარიშხალები რომ იცოდეს, დიდი ხნის წინ გაასწორებდა მიწასთან. არა მგონია, ჭკვიანური იყოს რომელიმე მათგანში შესვლა.“

„შესვლას არც ვაპირებ; რობოტს შევაგზავნი – ჩვენზე გაცილებით უფრო სწრაფად და უხმაუროდ გადაადგილდება, ისე შემოივლის შენობას, რომ არც გაიფაჩუნებს, მისი არც ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა შენობის ჭერის ნგრევას არ გამოიწვევს.“

ჰილვარმა მოიწონა ელვინის წინდახედულობა, მაგრამ ერთი რამ მოითხოვა დაჟინებით, რაც ელვინსაც გამორჩა. სანამ რობოტი დაზვერვას შეუდგებოდა, ელვინმა უბრძანა განკარგულება მიეცა არა ნაკლებ გონიერი ხომალდისთვის. ასე რომ პილოტს რამე რომ მოსვლოდა, დედამიწაზე უსაფრთხოდ დაბრუნებას მაინც შეძლებდენენ.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ორივე დარწმუნდებოდა, რომ ეს უღიმღამო სამყარო ახალს ვერაფერს შესთავაზებდა. სანამ რობოტი უდაბურ ლაბირინთებს იკვლევდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეგობრები ხომალდში ისხდნენ და თვალს ადევნებდნენ, როგორ მიცურავდნენ ეკრანზე უკაცრიელი, მტვერით მოფენილი კორიდორები და გასასვლელები. ყველა შენობა, რომელიც გონიერ არსებებს აეგოთ, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ფორმის სხეულით დაეჯილდოვებინა ისინი შემოქმედს, განსაზღვრულ ძირითადად კანონებს შეესაბამებოდნენ, და ცოტა ხანშიც, როცა თვალი მიეჩვეოდა ამ საოცარ სანახაობას, ყველაზე უცნაური არქიტექტურული მოყვანილობები და ფორმებიც კი აღარ იწვევდნენ გაოცებას, და ამ ერთგვაროვანი გამეორებისგან მონუსხულ გონებასაც თითქოსდა აღარ შესწევდა ძალა ახალი შთაბეჭდილებები მიეღო. შენობებს, როგორც ჩანდა, ერთ დროს საცხოვრებელი სახლების დანიშნულება ჰქონდა და იქ მცხოვრები არსებებიც დაახლოებით ადამიანის ზომისა უნდა ყოფილიყვნენ. სავსებით შესაძლებელია აქ მაცხოვრებლები ადამიანებიც ყოფილიყვნენ; მართალია შენობაში უამრავი ისეთი ოთახი და სხვა კუთხე-კუნჭული მოიძებნებოდა, სადაც მხოლოდ ფრთოსან არსებებს შეეძლოთ შეღწევა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ ქალაქის მაშენებლები აუცილებლად მფრინავი არსებები იყვნენ. მათ საკუთარი ანტიგრავიტაციული მოწყობილობების გამოყენება შეეძლოთ, რომლებიც ერთ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ახლა მათ კვალსაც კი ნახავდით დიასპარში.

„ელვინ, - ჰილვარმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო. – ამ შენობების შესწავლას შეიძლება მილიონი წელი დავუთმოთ, მაგრამ ზრი არ აქვს, შედეგს მაინც ვერ მივააღწევთ. უდავოა, რომ ეს ტერიტორია მაცხოვრებლებმა უბრალოდ კი არ დატოვეს, არამედ სათითაოდ გაიტანეს და საგულდაგულოდ გადამალეს ყველაფერი, რაც კი ღირებული გააჩნდათ. ტყუილად ვკარგავთ დროს.“

„მაშ რა ვქნათ, რას მთავაზობ?“ – ჰკითხა ელვინმა.

„კარგი იქნებოდა, ამ პლანეტაზე ერთ-ორ ასეთ ადგილს თუ კიდევ მოვინახულებდით, რომ გვენახა, ისინიც ასეთი უკაცრიელი თუ არის, და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ასეც იქნება. შემდეგ სხვა პლანეტებსაც უნდა გავეცნოთ ზერელეთ, ზემოდან დავათვალიეროთ, და მხოლოდ იმ შემხვევაში დავეშვათ, თუ ისინი ძირფესვიანად განსხვავებული იქნება სხვებისგან ან რამე უცნაურს შევნიშნავთ მასში. ამაზე უკეთეს ვერაფერს შემოგთავაზებ, მეორე ვარიანტია, აქ დავრჩეთ სამუდამოდ და ამ უკაცრიელ შენობებს მივაჩერდეთ.“

ჰილვარი სრულ სიმართლეს ამბობდა; აქ არქეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად კი არ მოვიდნენ, არამედ გონიერ არსებებთან კავშირის დასამყარებლად. პირველი მიზნის მისაღწევად სულ რამდენიმე დღე სჭირდებოდათ, თუ გარემოებებიც ხელს შეუწყოდნენ, რა თქმა უნდა, მეორე ამოცანის განხორციელებას კი, სავარაუდოდ, ადამიანებისა და რობოტების მთელი არმიების საუკუნოვანი დაუღალავი შრომა დასჭირდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პლანეტა ორი საათის შემდეგ დატოვეს და გულზე მოეშვათ, უხაროდაც კიდეც, რომ გამოაღწიეს. უსასრულო შენობების სამყაროში ცხოვრება ალბათ ძალიან დამთრგუნვლი უნდა ყოფილიყო, - გაიფიქრა ელვინმა, - მაშინაც კი, როცა აქ სიცოცხლე დუღდა. ირგვლივ არსად შეინიშნებოდა პარკების ან სხვა ღია ადგილების ნაკვალევი, სადაც მცენარეული საფარი გაიხარებდა. აბსოლუტურად სტერილური, უნაყოფო სამყარო გახლდათ და ძნელი წარმოსადგენი იყო, აქ მაცხოვრებელი არსებებს რა ფსიქოლოგიური მოტივები ამოძრავებდა. თუ მეორე პლანეტაც ასე გაუცრუებდათ იმედებს, ელვინმა გადაწყვიტა, რომ მაშინვე შეწყვეტდა ძებნას.

მაგრამ იმედი არ გაუცრუვდა; მეორე პლანეტა წინამორბედისგან კარდინალურად განსხვავდებოდა. ამაზე დიდ კონტრასტს ადამიანი ვერც კი წარმოიდგენდა.

მეორე პლანეტა მზესთან ახლოს მდებარეობდა, და კოსმოსიდანაც საკმაოდ ცხელი ჩანდა. ნაწილობრივ დაბალი ღრუბლები ფარავდნენ, რაც წყლის სიხალვათეზე მიანიშნებდა, მაგრამ ირგვლივ ოკეანეების კვალიც კი არ შეიმჩნეოდა. არც გონიერი არსების ნიშანწყალი ჩანდა სადმე; პლანეტას ორჯერ შემოუარეს, მაგრამ ადამიანის შემოქმედების ვერავითარი ნიმუში ვერ შენიშნეს. მთლიანი სფერო, პოლუსიდან დაწყებული, ეკვატორით დამთავრებული, კაშკაშა მწვანე ბალახის საფარს შეემოსა.

„მე მგონი, აქ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, - გააფრთხილა ჰილვარმა. –შეიძლება ცოცხალი სამყარო იყოს, მე კიდევ მისი მცენარეული საფარი არ მომწონს. ხომ არ აჯობებდა, ხომალდში დავრჩენილიყავით და შლუზი საერთოდ არ გაგვეღო.?“

„არც რობოტი გავაგზავნოთ?“

„არა, არც რობოტი. ალბათ დაგავიწყდა, ავადმყოფობა რასაც ნიშნავს. ჩემმა ხალხმა კი იცის, როგორ ებრძოლოს სნეულებებს, მაგრამ სახლიდან შორს ვართ და შეიძლება იმდენი უხილავი საფრთხე გვემუქრებოდეს, რომ აზრადაც არ მოგვივიდეს. მე ვფიქრობ, რომ შეშლილ სამყაროში მოვხვდით. ერთ დროს, სანამ აქ ხალხი ცხოვრობდა, ალბათ პარკებით და უზარმაზარი ბაღებით იყო სავსე, მაგრამ როცა პლანეტა მიატოვეს, ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა და გონიერი არსების შემოქმედებაზე იზეიმა. სანამ მთლიანი ვარსკვლავური სისტემა ცოცხალი არსებებით იყო დასახლებული, ასეთი ეს პლანეტა ვერასდროს იქნებოდა.“

ელვინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჰილვარი სიმართლეს ამბობდა. მათ ქვემოთ გაშლილი ველური პლანეტის ბიოლოგიურ ანარქიაში უდავოდ იგრძნობოდა რაღაც სიბოროტე, მტრული განწყობა იმ წესრიგისა და სისწორის მიმართ, რომელსაც ლისი და დიასპარი ემორჩილებოდა. მილიარდი წლის განმავლობაში ამ უდაბურ პლანეტაზე დაუსრულებელი ბრძოლა მიმდინარეობდა; და იმათგან თავის შორს დაჭერა, ვინც ამ გამძვინვარებულ შერკინებას გადაურჩა, გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნელ-ნელა დაეშვნენ უზარმაზარ სწორ დაბლობზე, რომლის ზედაპირი წარმოუდგენლად გლუვი და ბრტყელი აღმოჩნდა. დაბლობს გარს მომაღლო ადგილი შემორტყმოდა, რომელიც მთლიანად მოეცვა ტყის საფარს. ხეები ისე კომპაქტურად ამოსულიყო, და იმდენად დაეფარა ბარდებს, რომ ტანი აღარ უჩანდათ და, აქედან, მათი სიმაღლე ძნელი დადგენა ძალია ჭირდა. ხის კენწეროებზე უამრავი ფრთიანი არსება დაფრინავდა, რომლებიც ისე სწრაფად გადაადგილდებოდნენ, რომ ვერ გაარჩევდით, ცხოველები იყვნენ, თუ მწერები, თუ არც ერთი და არც მეორე.

აქა-იქ, რომელიმე ბუმბერაზი ხე გაკადნიერდებოდა, ხეთა რიგს გაარღვევდა და ბარემ რამდენიმე ათეული ფუტითაც გაუსწრებდა ხოლმე თავის შუღლიან კონკურენტებს, რომლებიც, შურითა და ბოღმით აღვსილნი, მაშინვე შეკრავდნენ პირს, დროებით გაერთიანდებობნენ და საერთო ძალებით ეცდებოდნენ გათავხედებული მეზობლის მეამბოხე სულის დახშობას და მის მიერ მოპოვებული უპირატესობა განადგურებას. მიუხედავად იმისა, რომ უსიტყვო ომი გახლდათ და იმდენად ნელა მიმდინარეობდა, რომ გარეშე თვალთათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, მაინც შეუწყალებლობისა და სისასტიკის გასაოცარ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დაბლობი კი ტყესთან შედარებით მოსაწყენი და არაფრით გამორჩეული აღმოჩნდა. დაბლობი აბსოლუტურად ბრტყელი და გლუვი გახლდათ, რამდენიმე დუიმს თუ არ ჩავთვლიდით, და შორს პირდაპირ ჰორიზონტამდე იშლებოდა. მისი ზედაპირი, როგორც ჩანდა, მავთულივით წვრილ ბალახს დაეფარა. მიუხედავად იმისა, რომ ორმოდაათიოდე ფუტით მიუახლოვდნენ, სულიერის ჭაჭანებაც არ ჩანდა, ცოცხალი არსების ვერავითარ კვალს ვერ შეამჩნევდით, რაც ჰილვარს თავის მხრივ ძალიან უცნაურად მოეჩვენა. ალბათ, - გაიფიქრა მან, - მათი მოახლოვებით შეშინებულმა ცხოველებმა მიწისქვეშა სამალავებს მიაშურეს.

რამდენიმე წუთის განმავლობაში დაბლობის თავზე ტივტივებდნენ და დაშვებას ვერ ბედავდნენ. ელვინი ცდილობდა, ჰილვარი დაერწმუნებინა, რომ ლუქის გახსნა არავითარ საფრთხეს არ უქმნიდათ, ჰოლვარი კი მოთმინებით და რუდუნებით უხსნიდა ისეთი ცნებების არსს, როგორიცაა ბაქტერია, სოკო, ვირუსი – ცნებები, რომლის აღქმა და მითუმეტეს იმის გააზრება, რომ რაიმე კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა მასთან, ელვინს ძალიან უჭირდა. კამათი რამდენიმე წუთი გრძელდებოდა, შემდეგ ერთი უცნაური რამ შენიშნეს. ეკრანი, რომელიც ორიოდე წუთის წინ ნათლად აჩვენებდა ტყის პანორამას, მოულოდნელად ჩაქრა.

„შენ გამორთე ეკრანი?“ – იკითხა ჰილვარმა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ერთი ნაბიჯით წინ უსწრებდა ელვინს საზრიანობაში.

„არა, - უპასუხა ელვინმა, და ზურგში ჟრუანტელმა დაუარა, როდესაც თავში ერთადერთმა ახსნამ გაუელვა. – შენ გამორთე?“ – მიმართა რობორტს.

„არა,“ – ექოსავით გაისმა პასუხი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინმა შვებით ამოისუნქა, როდესაც რობოტის თვითნებური საქციელის ვარიანტი გამორიცხა, თითქოს ხომალდს მანქანების ამბოხი ემუქრებოდა, და რობოტმა მან საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით დაიწყო მოქმედება და აჯანყებას სათავეში ჩაუდგა.

„მაშ რატომ ჩაქრა ეკრანი?“ – ჰკითხა მან.

„გამოსახულების რეცეპტორებს რაღაც გადაეფარა.“

„ვერ გავიგე,“ – აღმოხდა ელვინს, წუთით გადაავიწყდა, რომ რობოტი მხოლოდ გარკვეული ტიპის შეკითხვებს პასუხობდა და კონკრეტულ ბრძანებებს ასრულებდა. გონს მალევე მოეგო და რობოტს ჰკითხა:

„რა გადაეფარა რეცეპტორებს?“

„არ ვიცი.“

რობოტების სწორხაზოვანი აზროვნება და სიტყვაძუნწობა ხანდახან ისეთივე გამღიზიანებელია, როგორც ადამიანის ჭარბსიტყვიანობა. სანამ ელვინი დაკითხვას გააგრძლებდა, ჰილვარმა ჰკითხა.

„უბრძანე რობოტს, ხომალდი დაძრას რაც შეიძლება მალე და მაღლა აფრინდეს,“ – დაჟინებით მოითხოვა ჰილვარმა.

ელვინმა მეგობრის ბრძანება გაიმეორა. როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ შენიშნეს ვერავითარი მოძრაობა. შემდეგ ეკრანმა ნელ-ნელა დაიბრუნა გამოსახულება, თავიდან ბუნდოვან და დამახინჯებულ სურათს აჩვენებდა, მაგრამ მალე გამოსახულება გაიწმინდა და ეკრანზე აღბეჭდილმა სანახაობამ მაშინვე გაუქრო ხომალდზე მყოფთ მიწაზე დაშვების რაიმე სურვილი.

გლუვი დაბლობი აღარ იყო გლუვი და სწორი. მათ ქვემოთ ბრტყელი ზედაპირის ადგილას უზარმაზარი ბორცვის მაგვარი წარმონაქმნი გაჩნდა, რომლის წვეროც მოულოდნელად გაიხსნა, იმ ადგილას, სადაც ორიოდე წამის წინ ხომალდი ტივტივებდა. უცნაური არსება გამალებით, უმოწყალოდ ატლაშუნებდა ნაპრალის ირგვლივ ყველა მიმართულებით ვეებერთელა მათრახებივით ფსევდოსაცეცებს, თითქოს ცდილობდა, ხელახლა დაეჭირა მსხვერპლი, რომელიც სასწაულად დაუსხლტდა რკინის კლანჭებიდან. ელვინი შიშნარევი გაოცებით მიშტერებოდა საოცარ არსებას; ხმალივით მჭრელი საცეცებით შემოქობილი ვარდისფერი მფეთქავი ხვრელის დანახვა მოასწრო. ვეებერთელა არსება შეხმატკბილებულად, რითმულად სცემდა უზარმაზარ საცეცებს და რაც კი მოხვდებოდა, დაღებულ ხახაში გადაუძახებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსხვერპლწართმეული უცნაური არსება ნელ-ნელა ჩაეშვა მიწაში – და მხოლოდ ახლა მიხვდა ელვინი, რომ დაბლობი უბრალოდ ქაფის თხელი ფენა იყო დამდგარი ზღვის ზედაპირზე.

„მაინც რა იყო ეს?“ – ძლივს ამოღერღა მან.

„ქვემოთ რომ ჩავიდე და დაწვრილებით შევისწავლო, მაშინ კი გეტყოდი, რაც არის, ახლა ნამდვილად არ ვიცი, - მშრალად მიუგო ჰილვარმა. – შეიძლება რაღაც პრიმიტიული ცოცხალი ორგანიზმი იყო, სავსებით შესაძლებელია, ჩვენი შალმარინელი მეგობრის მონათესავე ცხოვრელიც. ცხადია, ინტელექტის ნასახიც არ გააჩნია, წინაარმდეგ შემთხვევაში, რაში დასჭირდებოდა კოსმიური ხომალდის შეყლაპვა.“

ელვინს თავზარი დაეცა, თუმცა იცოდა, რომ პრაქტიკულად არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდათ. საინტერესოა, კიდევ რა ბინადრობდა ამ ერთი შეხედვით უმანკო ზედაპირის ქვეშ, რომელიც ასე მაცდურად იზიდავდა და მოუხმობდა, რომ ხომალდი დაეტოვებინა და გლუვ და მოქნილ ზედაპირზე გაენავარდა.

„აქ სიამოვნებით გავატარებდი დროის დიდ მონაკვეთს, - წარმოთქვა ჰილვარმა, ნანახით აშკარად მოხიბლულმა. – მსგავს პირობებში ევოლუციას საკმაოდ საინტერესო შედეგები უნდა გამოეღო, და არა მარტო ევოლუციას, არამედ მის საპირისპირო პროცესსაც, – დევოლუციას – რადგანაც სიცოცხლის უმაღლესმა ფორმებმა დეგრადაცია განიცადეს მას შემდეგ, რაც პლანეტა გონიერმა არსებებმა დატოვეს. ახლა კი, როგორც ჩანს, გარკვეული ტიპის ბალანსი ჩამოყალიბდა და – შენ რა მიდიხარ უკვე?“

ჰილვარის ხმაში მუდარა გაისმა, როდესაც ეკრანზე შემცირებულ ლანდშაფტს მოკრა თვალი.

„მივდივარ, - მიუგო ელვინმა. – ისეთი სამყაროც მინახავს, სადაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ არის და ისეთიც, სადაც სიცოცხლე ზედმეტად დუღს, მაგრამ არ ვიცი, რომელი უფრო მეტად არ მომეწონა.“

პლატოდან ხუთი ათასი ფუტის სიმაღლეზე პლანეტამ კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი სიურპრიზი შესთავაზა. მოულოდნელად ქარის მიმართულებით მოცურავე უზარმაზარი, მოშვებული ბუშტების მთლიან ფლოტილიას მიადგნენ. თითოეული ნახევრად გამჭვირვალე გარსიდან ბღუჭობით ეკიდა საცეცები, რომლებიც ერთგვარი გადაბრუნებული ტყის იმიტაციასაც ქმნიდნენ. ზოგიერთი მცენარე, როგორც ჩანდა, პლანეტის ზედაპირზე გაჩაღებული სასიკვდილო ბრძოლისგან თავის დაღწევის მცდელობის შედეგად, ჰაერში არსებობას შეგუებოდა. ადაპტაციის სასწაულებრივი უნარის წყალობით, ნახშირწყლების გამომუშავება და ბუშტის შიგნით შენახვა ისწავლეს, რამაც მათ ატმოსფეროს შედარებით უსაფრხო ქვემოთა ფენის დონემდე აწევის საშუალება მისცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ მათი უსაფრთხოება აქაც არ იყო ბოლომდე უზრუნველყოფილი. მცენარეების ჩამოკონწიალებულ ღეროებსა და ფოთლებში ფაქტობრივად ობობის მაგვარ ცხოველებს დაებუდებინათ, რომლებიც ალბათ მთელ ცხოვრებას პლანეტის ზედაპირიდან მოშორებით ატარებდნენ ჰაერში გამოკიდულები და თავიანთ მარტოსულ საჰაერო პლანეტებზე აგრძელებდნენ მარადიულ ჭიდილს არსებობისთვის. ალბათ დრო და დრო მიწაზეც ეშვებოდნენ; ელვინმა შენიშნა, როგორ მოწყდა ზეცას მოულოდნელად ერთ-ერთი ვეებერთელა ბუშტი, რომლის გარღვეული გარსი პარაშუტის მაგვარი მოწყობილობის დანიშნულებას ასრულებდა. ნეტა შემთხვევით ჩამოვარდა, - ფიქტობდა ელვინი, - თუ ეს ამ უცნაური არსებების ცხოვრებისეული ციკლის ნაწილს წარმოადგენდა.

სანამ შემდეგი პლანეტის მოახლოებას ელოდნენ, ჰილვარმა ცოტა ხნით წაუძინა. გარკვეული მიზეზების გამო, რობოტმა არ აუხსნა მეგობრებს, რატომ მოძრაობდა ხომალდი ასე ნელა – ყოველ შემთხვევაში გალაკტიკაში მის თავზეხელაღებულ რბოლასთან შედარებით – ახლა, როცა მზის სისტემაში შეაბიჯა. დაახლოებით ორი საათი დასჭირდათ იმ პლანეტამდე მისაღწევად, ელვინმა მესამე გაჩერებად რომ აირჩია. თავად ელვინიც გაოცებული იყო, ძლივს იჯერებდა, რომ უბრალო პლანეტაშორისი მოგზაურობა ამდენი ხანი თუ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

როგორც კი ატმოსფეროში შეაღწიეს, ჰილვარი გააღვიძა.

„ამაზე რას იტყვი?“ – ჰკითხა მეგობარს და ეკრანზე გაშლილ გამოსახულებაზე მიუთითა.

მათ ქვემოთ მკაცრი, მოჟამული შავი და რუხი ფერებით მოხატული ლანდშაფტი მოჩანდა, რომელსაც მცენარეული საფარის და საერთოდ სიცოცხლის არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ სიცოცხლეზე არაფერი მიანიშნებდა, გარდა არაპირდაპირი დამადასტურებელი ნიშნებისა, როგორიცაა დაბალი ბორცვები და იდეალურად ზუსტი ფორმების მქონე ნახევარსფეროებით გადაჭედილი სწორი ველები, რომელთა ნაწილიც რთულ, სიმეტრიულ მწკრივებად განლაგებულიყო.

წინა პლანეტაზე სტუმრობამ ახალგაზრდებს სიფრთხილის ფასი ასწავლა, და ყველა შესაძლო შედეგებისა და ვარიანტების განხილვის შემდეგ, გადაწყვიტეს ატმოსფეროშივე გაჩერებულყვნენ და პლანეტის ზედაპირის დასაზვერად რობოტი გაეშვათ. რობოტის თვალებით ხედავდნენ, როგორ უახლოვდებოდა ერთ-ერთი ნახევარსფერო, სანამ აბსოლუტურად გლუვი და პრიალა ზედაპირიდან რამდენიმე ფუტის მოშორებით ტივტივებდა.

სფეროს შესასვლელის არავითარი ნიშნები არ ეტყობოდა, არც არაფერი მიანიშნებდა ამ კონსტრუქციის დანიშნულებაზე. საკმაოდ დიდი ზომის გახლდათ – დაახლოებით ასი ფუტის სიმაღლის; თუმცა ამაზე დიდი ნახევარსფეროები კი შეხვედრიათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიძლება შენობის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ არც შესასვლელი ჰქონდა და არც გასასვლელი.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ელვინმა რობოტს წინ წაწევა და გუმბათის შეხება უბრძანა. მისდა გასაოცრად, რობოტმა უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე. ეს ნამდვილი ბუნტი იყო – ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასე ჩანდა.

„რატომ არ ასრულებ ბრძანებას?“ – ჰკითხა ელვინმა, როცა პირველადი განცვიფრების შემდეგ გონს მოვიდა.

„აკრძალული მაქვს,“ – გაისმა პასუხი.

„ვინ აგიკრძალა?“

„არ ვიცი.“

„მაშინ, როგორ – მოიცა, გააუქმე მერე. ეს ჩაშენებული აკრძალვა არაა??

„არა.“

ეს ფაქტი ერთ-ერთ ვარიანტს გამორიცხავდა. გუმბათების მაშენებლები შეიძლება სწორედ ის რასა ყოფილიყო, რომელმაც რობოტი შექმნა და ეს ტაბუ მანქანის თავდაპირველ, ფუნდამენტალურ ინსტრუქციებში გააერთიანა.

„როდის მიიღე ბრძანება?“ – ჰკითხა ელვინმა.

„როცა მიწაზე დავეშვი.“

ელვინი ჰილვარს მიუბრუნდა; მის თვალებში ახალი იმედის ნაპერწკალი ელვარებდა.

„ამ პლანეტაზე ინტელექტი არსებობს. ვერ გრძნობ?“

„ვერა, - უპასუხა ჰილვარმა. – ეს ადგილიც ისეთივე მკვდარია ჩემს თვალში, როგორც პლანეტა, პირველად რომ მოვინახულეთ.“

„გარეთ უნდა გავიდე და რობოტს შევუერთდე. ის, რაც ახლა რობოტს ელაპარაკებოდა, შეიძლება მეც დამეკონტაქტოს.“

ჰილვარი აღარ შეწინააღმდეგებია, თუმცა ამ აზრს ნამდვილად არ აღუფრთოვანებია. ხომალდი დედამიწაზე გუმბათიდან ასიოდე ფუტში დაუშვეს, მოლოდინით აღსავსე რობოტის შორიახლოს, და ლუქი გასხნეს.

ელვინმა იცოდა, რომ შლუზი არ გაიღებოდა, სანამ ხომალდის ტვინი სავსებით არ დარწმუნდებოდა, რომ ატმოფერო სასუნთქად გამოდგება. წუთით იფიქრა, ტვინმა შეცდომა ხომ არ დაუშვა – ჰაერი იმდენად დამძიმებული იყო, რომ ფილტვებს თითქმის არანაირ ჟანგბადს არ აწვდიდა. შემდეგ, როცა ღრმად ჩაისუნთქა, მიხვდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ჟანგბადი საკმარისი იყო, რომ ცოცხლად დარჩენილიყო, თუმცა ფიქრობდა, რომ ამ უჰაერო პლანეტაზე რამდენიმე წუთზე მეტ ხანს ვერ გაჩერდებოდა, სული შეეხუთებოდა.

რობოტს ქოშინით მიუახლოვდნენ და იდუმალებით მოცული გუმბათის მომრგვალებულ კედელთან აღმოჩნდნენ. ერთი ნაბიჯიც გადადგეს, შემდეგ მოულოდნელად ყველანი ერთად გაჩერდნენ, თითქოს ერთი და იგივე უეცარმა დარტყმამ ადგილზე გააქვავაო. მათ გონებაში გიგანტური ზარის რეკვასავით გაისმა ერთადერთი წინადადება:

სახიფათოა. არ მიუახლოვდეთ.

ეს იყო და ეს. ეს სიტყვებით კი არა, მხოლოდ ფიქრებით გამოხატული გზავნილი გახლდათ. ელვინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნებისმიერი არსება, მიუხედავად მისი ინტელექტის დონისა, იგივე გამაფრთხილებელ გზავნილს მიიღებდა და ზუსტად იგივე ფორმით აღიქვამდა – საკუთარი ცნობიერების სიღრმისეული ნაწილით.

გზავნილს გამაფრთხილებელ ხასიათი ჰქონდა, მუქარა საერთოდ არ ჟღერდა სიტყვებში. მეგობრებმა რატომღაც ჩათვალეს, რომ ეს გაფრთხილება მათ წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ მათ დაცვას ისახავდა მიზნად. სიტყვებს თითქოს შემდეგ აზრს გამოხატავდნენ: აქ უაღრესად დიდი საფრთხე იმალება და ჩვენ, მის შემქმნელებს, არ გვინდა, რომ ვინმემ უმეცრებისგან შეტოპოს მასში და უნებლიე მსხვერპლი შეიქნას.

ელვინმა და ჰილვარმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს უკან, და ერთმანეთს შეხედეს, ერთმანეთს ელოდნენ, სანამ მეორე იტყოდა, რა უტრიალებდა თავში. ჰილვარმა პირველმა გამოიტანა დასკვნა.

„მართალი ვიყავი, ელვინ, - განუცხადა მეგობარს. – აქ არ არის ინტელექტი. ეს გაფრთხილებაც ავტომატური ხასიათისაა –ჩვენი მიახლოვებითაა გამოწვეული, სიგნალი მაშინ ჩაირთო, როცა ნებადართულ ზღვარს გადავაბიჯეთ.“

ელვინმა თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

„ნეტა რისი დაცვა სურდათ, - წარმოთქვა. – შეიძლება შენობების, ან ნებისმიერი სხვა რამის, რაც ამ გუმბათებს ქვეშ იქნებოდა.“

„ამას ვერასოდეს გავიგებთ, რადგან ყველა გუმბათი გვთხოვს, ახლოს არ მივეკაროთ, ჩვენს გაფრთხილებას ცდილობს. რა საინტერესოა, - განსხვავებები ამ სამ პლანეტას შორის. პირველი პლანეტას არაფერი დაუტოვეს, ყველაფერი თან წაიღეს, მეორე მოულოდნელად დატოვეს, ისე რომ, არც დაფიქრებულან, აქ კი, როგორც ჩანს, ძალიან ბევრი უმუშავიათ, ძალ-ღონე არ დაუშურებიათ. ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნებასაც გეგმავდნენ, და უნდოდათ, რომ ყველაფერი მზად და წესრიგში დახვებდროდათ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მაგრამ არ დაბრუნებულან – ეს კი ისე დიდი ხნის წინ მოხდა.“

„ალბათ გადაიფიქრეს.“

უცნაურია, - გაიფიქრა ელვინმა, - რომ ჰილვარიც და ელვინიც ქვეცნობიერად მიმარავდნენ ნაცვალსახელს „ისინი“. ვინც ან რაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მათი არსებობას ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა პირველ პლანეტაზე – აქ კი განსაკუთრებით. მათ წინაშე საგულდაგულოდ დაკონსერვებული სამყარო წარსდგა, რომელიც ვიღაცას რუდუნებით შეეფუთა და სათადარიგო თაროზე შემოედო, რომელიც მაშინ გაიხსნებოდა, როცა ამის საჭიროება ისევ დადგებოდა...

„მოდი, ხომალდზე დავბრუნდეთ, - მძიმედ ამოისუნთქა ელვინმა, - სული მეხუთება, ძლივს ვსუნთქავ.“

როგორც კი ხომალდში შეაბიჯეს და ლუქი დაიხურა, მაშინვე შვებით ამოისუნთქეს და იმის განხილვას შეუდგნენ, თუ შემდგომში რას მოიმოქმედებდნენ. პლანეტის დეტალური შესწავლის მიზნით, რამდენიმე მსხვილი გუმბათი უნდა აერჩიათ და სათანადოდ დაეთვალიერებინათ, იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს იპოვიდნენ ისეთ გუმბათს, რომელსაც გამაფრთხილებელი ნიშნები არ ექნებოდა და შიგნით შესვლის საშუალება მიეცემოდათ. თუ ეს ცდა არ გაამართლებდა – მაგრამ ელვინს არ სურდა დამარცხებაზე ეფიქრდა, სანამ გარემოებები პრაქტიკულად არ აიძულებდა რეალობისთვის თვალი გაესწორებინა.

ამ გარემოების წინაშე სულ რაღაც ორიოდე საათის შემდეგ აღმოჩნდა, და მას უფრო სავალალო და დრამატული შედეგი ჰქონდა, ვიდრე ოდესმე წარმოიდგენდა. რობოტი რამდენიმე გუმბათთან მიაგზავნეს, და ყოველ ჯერზე ერთი და იგივე შედეგით, სანამ ისეთ სანახაობას არ გადააწყდნენ, რომელიც ამ მოწესრიგებულ, აკურატულად შეფუთულ სამყაროში სრულიად არ ჯდებოდა.

მათ ქვემოთ განიერი ველი გადაიშალა, რომელზედაც აქა იქ მიმოფანტულიყო ისეთივე შეუღწევადი და გაუმტარი გუმბათები, როგორიც აქამდე შეხვედროდათ. ველის ცენტში ძლიერი აფეთქებისგან – ამაში ეჭვს ვერ შეიტანდი - დარჩენილი უზარმაზარი ნაპრალი მოჩანდა აფეთქებამ რამდენიმე მილი რადიუსით გაფანტა ნამსხვრევები და პლანეტის ზედაპირზე ღრმა კრატერი ამოწვა.

კრატერის შორიახლოს კი კოსმიური ხომალდის ნარჩენები ეყარა.

თავი XXI

მეგობრებმა ხომალდი ამ უძველესი ტრაგედიის ადგილთან ახლოს დასვეს, და სუნთქვაშერკულები ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ მათ წინ კოშკივით აღმართულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვეებერთელა კორპუსს. ხომალდის მხოლოდ პატარა ნაწილი შემორჩენილიყო – ცხვირი ან კიჩო; დანარჩენი, სავარაუდოდ, აფეთქებას გაენადგურებინა. როდესაც გემის ნამსხვრევებს მიუახლოვდებოდნენ, ელვინს ერთმა აზრმა გაუელვა, რომელიც სულ უფრო ძლერდებოდა და მალე ვარაუდი დარწმუნებულობაში გადაიზარდა.

„ჰილვარ, - მიუბრუნდა მეგობარს, თან ენას ძლივს აბრუნებდა, უჭირდა ერთდროულად ლაპარაკი და სიარული, - დარწმუნებული ვარ, ეს ის ხომალდია, პირველ პლანეტაზე რომ დაეშვა.“

ჰილვარმა მხოლოდ თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად, ერჩივნა არაფერი ეთქვა და ენერგიას გაფრთხილებოდა. ზუსტად იგივე აზრი მასაც მოუვიდა. ეს ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი სტუმრებისთვის. ჰილვარს იმედი ჰქონდა, რომ გაკვეთილი ელვინისთვის უშედეგოდ არ ჩაივლიდა.

ხომალდის კორპუსს მიუახლოვდნენ და მისი გაშიშვლებული ინტერიერის თვალიერებას შეუდგნენ. თითქოს ორად გაპობილი უზარმაზარი შენობის შუაგულში შეგეხედოს; აფეთქების შედეგად გახლეჩილი იატაკი, კედლები და ჭერი ერთი შეხედვით ხომალდის დამახინჯებულ ნახაზს ჰგავდა ჭრილში. ნეტა რა უცნაური არსებები განისვენებენ ხომალდის ნამსხვრევებში, - გაიფიქრა ელვინმა, - იქ, სადაც მოულოდნელად მოუსწრო სიკვდილმა?

„არ მესმის, - წამოიძახა უცბად ჰილვარმა. – ხომალდის ეს სექცია საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ თითქმის ხელუხლებელია კატასტროფის შემდეგ. დარჩენილი ნაწილი სადღა გაქრა? ნუთუ კოსმოსშივე გაიპო ხომალდი ორად და აქ მხოლოდ ეს ნაწილი ჩამოვარდა?“

სანამ ისევ რობოტი არ შეგზავნეს ხომალდის დასაზვერად და სანამ თვითონაც საგულდაგულოდ არ დაათვალიერების აფეთქების ადგილი, პასუხს ვერ ჩაწვდნენ. ეჭვის ნატამალიც არ არსებობდა; ყველა ეჭვი მაშინ გაიფანტა, როდესაც ელვინმა ხომალდის ახლოს მდებარე პატარა ბორცვზე მიწაყრილების დაბალი ხაზი შენიშნა, თითოეული ათიოდე ფუტის სიგრძის.

„აი, თურმე სად დაეშვნენ, - წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ჰილვარმა, - გაფრთხილება არ გაითვალისწინეს. შენსავით ცნობისმოყვარენი აღმოჩნდნენ და იმ გუმბათის გახსნას შეეცადნენ.“

კრატერის მეორე მხარისკენ მიანიშნა, გუმბათის გლუვ, სხვებისგან არაფრით გამორჩეული გარსზე, სადაც ამა ქვეყნის აწ გარდაცვლილ მმართველთ თავიანთი საგანძური დაელუქათ. მაგრამ უკვე გუმბათიც აღარ ეთქმოდა, თითქმის დასრულებულ სფეროს მიაგავდა, რადგანაც გრუნტი, რომელშიც ადრე ჩაფლულიყო აფეთქებ გადაეყარა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ხომალდი დაიღუპა, და კატასტროფას ბევრი მათგანის სიცოცხლე შეეწირა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეძლეს ხომალდის შეკეთება და აფრენა. გემს ეს სექცია მოკვეთეს და მოაშორეს, რაც კი ღირებული ჰქონდა. წარმომიდგენია, რა შრომის ფასად დაუჯდებოდათ ამის გაკეთება!“

ელვინი თითქმის არ უსმენდა მეგობარს; დაჭინებით ათვალიერებდა უცნაური მოყვანილობის ნიშნულს, რომლის წყალობითაც აღმოაჩინა ეს ადგილი – ეს გახლდათ წვრილი კოლონა, რომელსაც მწვერვალიდან სიმაღლის მესამედზე ჰორიზონტალური რგოლი კვეთდა. ნიშანის უცხო და უცნაური ბუნების მიუხედავად, ელვინი მაინც გრძნობდა იმ უსიტყვო გზავნილს, საუკუნეებს რომ გადასცემდა.

ამ ხელშეუხებელი ქვების ქვეშ, თუკი მათი მყუდროების დარღვევას გაბედავდა, სულ მცირე ერთი კითხვაზე მაინც იმალებოდა პასუხი. მაგრამ ამ კითხვას პასუხის გაცემა არ ეწერა; ვინც არ უნდ ყოფილიყვნენ ეს არსებანი, საუკუნო განსასვენებლის უფლება ნამდვილად დაიმსახურეს.

ჰილვარმა ძლივს გაიგონა სიტყვები, რომლებსაც ელვინი ჩურჩულებდა, სანამ ხომალდისკენ მიემართებოდნენ.

„იმედია, სახლში მიაღწიეს,“ – აღნიშნა მან.

„ახლა რას ვაპირებთ, საით მივდივართ?“ – იკითხა ჰილვარმა, როდესაც კოსმოსში გაიჭრნენ.

ელვინმა დაფიქრებული მზერა შეავლო ეკრანს, სანამ პასუხს გასცემდა.

„როგორ ფიქრობ, უკან უნდა დავბრუნდე?“ – იკითხა მან.

„გონივრული გადაწყვეტილება იქნება. იღბალი ყოველთვის არ გაგვიღიმებს, და ვინ იცის, კიდევ რა მოულოდნელობებს გვიმზადებენ სხვა დანარჩენი პლანეტები?“

ეს კეთილგონიერებისა და წინდახედულობის ხმა გახლდათ, და ამჯერად ელვინი მზად იყო, მისთვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია, ვიდრე რამდენიმე დღის წინ. მაგრამ რა შორი გზა გამოიარა და რამდენი ხანი – მთელი ცხოვრება – ელოდა ამ მომენტს; უკან არ დაიხევდა, როცა წინ ამდენი საინტერესო რამ ელოდა.

„ხომალდს არ დავტოვებთ, გემბანზე დავრჩებით, - თქვა მან, - და ზედაპირს არსად აღარ შევეხებით. ეს უფრო უსაფრთხო გამოსავალია.“

ჰილვარმა მხრები აიჩეჩა, თითქოს სურდა, ნებისმიერ შესაძლო შედეგზე პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან. ახლა, როცა ელვინი გარკვეულ სიფრთხილესა და კეთილგონიერებას იჩენდა, ჰილვარმა აღარ ჩათვალა საჭიროდ, ეღიარებინა, რომ თავადაც ისევე მოუთმენლად ელოდა მოგზაურობის გაგრძელებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც ელვინი, თუმცა ამ პლანეტებიდან რომელიმეზე ინტელექტის და გონიერი არსებების აღმოჩენის იმედი დიდი ხნის წინ დაკარგა.

ამჯერად მათ წინაშე ორმაგი სამყარო გადაიშალა - დიდი პლანეტა, მასთან ახლოს მოძრავი შედარებით მცირე სატელიტთან ერთად. ძირითადი პლანეტა გაჭრილი ვაშლივით წააგავდა პირველ პლანეტას, რომელიც მეგობრებმა მოინახულეს; იგივე ხასხარა მწვანე საფარი გადაკვროდა. ამ პლანეტაზე დაშვებას აზრი ნამდვილად არ ჰქონდა, ეს ყველაფერი უკვე შეესწავლათ.

ელვინმა ხომალდი სატელიტის ზედაპირს მიუახლოვა; დამცავი, კომპლექსური მექანიზმების გაფრთხილება სულაც არ ჭირდებოდა, თავადაც მიხვდა, რომ იქ ატმოსფერო არ იყო. ჩრდილებს მკვეთრი, ბასრი კიდეები ჰქონდათ და არ არსებობდა დღესა და ღამეს შორის გარდამავალი პერიოდი. ეს პირველი პლანეტა გახლდათ, სადაც ელვინმა ღამის მაგვარი მოვლენა შენიშნა, რადგან პლანეტის იმ მონაკვეთის ჰორიზონტზე, რომელსაც პირველად მიუახლოვდნენ, შორეული მნათობებიდან მხოლოდ ერთი ანათებდა. პეიზაჟი გაცრეცილ წითელ შუქში ბანაობდა, თითქოს რაღაც უხილავ ხელს ირგვლივ ყველაფერი სისხლში ჩაეწო.

ხომალდი რამდენიმე მილის მანძილზე მიქროდა მთების თავზე, რომლის მწვერვალებიც ისეთივე წაწვეტებული და დაკბილული იყო, როგორც მათი წარმოშობისას, შორეული ასწლეულების წინათ. ამ სამყაროს არ შეხებია არც ცვლილება, არც ეროზია, არც ქარს შეუწუხებია და არც წვიმას ჩამოურეცხია. ობიექტების ცინცხალი პირველყოფილი ფორმის შესანარჩუნებლად სულაც არ იყო საჭირო მარადიულობის სქემები.

მაგრამ თუ ჰაერი არ არსებობდა, ესე იგი არც სიცოცხლე არსებობდა – ან იქნებ ცდებოდა?

„რა თქმა უნდა, - მიუგო ჰილვარმა, როცა ელვინმა კითხვა დაუსვა. – ბიოლოგიური თვალსაზრისით ამ იდეაში არაფერი აბსურდული არაა. სიცოცხლე არ წარმოიშობა უჰაერო სივრცეში – მაგრამ სამაგიეროდ ისეთი სიცოცხლის ისეთი ფორმების განვითარება შეუძლია, რომელიც ამგვარ სივრცეში გადარჩენას შეძლებდა. ასეთი ცვლილებები, სავარაუდოდ, მილიონობით მომხდარა წარსულში, ყოველთვის, როცა დასახლებული პლანეტები ატმოსფეროს მოულოდნელად კარგავდანენ.“

„კი, მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ გონიერი სიცოცხლე ვაკუუმში არსებობდეს? განა ვერ შეძლებდნენ საკუთარი პლანეტის ჰაერის დაგკარგვისაგან დაცვას?“

„შეიძლება ვერც შეეჩერებინათ. ატმოსფერო მანამდე გაქრებოდა, სანამ ინტელექტის სათანადო დონეს მიაღწევდნენ, ამ პროცესის შეჩერება რომ მოეხერებინათ, მაგრამ თუ ატმოსფერული კატასტროფა მათი ჯერ კიდევ განვითარების პრიმიტიული სტადიისას მოხდებოდა, ამ არსებებს დიდი არჩევანი არ რჩებოდათ, ან უნდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეგუებოდნენ ცვლილებებს ან დაღუპულიყვნენ. ადაპტაციის შემდეგ, შეეძლოთ ინტელექტუალური განვითარების საკმაოდ მაღალი დონისთვის მიეღწიათ. ფაქტობრივად, ალბათ მიაღწიეს კიდევაც – იმდენად ძლიერი იქნებოდა ძალა, რომელიც ადაპტაციისკენ უბიძგებდა.“

ელვინმა ჰილვარის არგუმენტი ამ პლანეტასთან დაკავშირებით წნიმდად თეორიულ მოსაზრებად მიიჩნია. არსად არ ჩანდა თუნდაც მცირედი დამადასტურებელი იმისა, რომ პლანეტას ოდესღაც ცოცხალი ორგანიზმი წარმოუშვია, გონიერი თუ სხვაგვარი. მაშინ, ამ შემთხვევაში, რა დანიშნულება აქვს ამ სამყაროს? შვიდი მნათობის მრავალფეროვან მთლიან სისტემას, ელვინი ამაში უკვე დარწმუნდა, ხელოვნური წარმომავლობა ჰქონდა და ეს სამყაროც ამ დიადი და გრანდიოზული ჩანაფიქრის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ადვილად შესაძლებელია, რომ ამ პლანეტას წმინდა დეკორატიული დანიშნულება ჰქონოდა – დავუშვათ, თავისი გიგანტური თანამგზავრის ცაზე მთვარის ფუნქცია შეესრულებინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სავსებით დასაშვებია, მისთვის დამატებითი, პრაქტიკული დანიშნულება გამოეძებნათ.

„შეხედე, - თქვა ჰილვარმა და ეკრანზე მიანიშნა. – აი იქ, მარჯნივ.“

ელვინმა ხომალდის კურსი შეცვალა, და პანორამა მათ გარშემო მაშინვე შემოტრიალდა. დაიხარა. წითლად განათებული ლოდების გამოსახულება მათი გამალებული მოძრაობის შედეგად აირია, ბუნდოვანი გახდა; შემდეგ გამოსახულება გაიწმინდა, და ხომალდის ქვემოთ სიცოცხლის აშკარა დამადასტურებელმა ნიშანმა გაიელვა.

დიახ, უდავო, მაგრამ მეორეს მხრივ, შემაცბუნებელი დასტური. ამჯერად სიცოცხლემ ერთმანეთისგან დიდი მანძილით დაშორებული მაღალი სვეტების რიგის ფორმა მიიღო, - თითოეული მათგანი მომდევნოსაგან ასიოდე ფუტით დაშორებული და ორჯერ უფრო მაღალი. კოლონები იმდენად შორს იშლებოდნენ, თვალი ძლივს წვდებოდა. პერსპექტივა ჰიპნოტურად ამცირებდა მათ გამოსახულებას, სანამ ჰორიზონტი საბოლოოდ არ შთანთქავდა.

ელვინმა ხომალდი მარჯნისკენ შეატრიალა და კოლონების რიგს აუყვა თავბრუდამხვევი სიჩქარით, თან ფიქრობდა, რა დანიშნულება შეიძლება ჰოქნოდათ სვეტებს. ყველა კოლონა აბსოლუტურად ერთნაირი იყო, და ურღვევი მწკრივით იშლებოდნენ ქვაყრილებსა და ველებზე, არავითარი ნიშანი არ მიუთითებდა, რომ ოდესმე რაიმეს საყრდენად გამოიყენებოდნენ; კოლონები ერთმანეთისგან არაფრით გამოირჩეოდნენ. ყველა სვეტს ერთნაირად გლუვი და სწორი ზედაპირი ჰქონდა, ხოლო მწვერვალთან ოდნავ ვიწროვდებოდა.

სრულიად მოულოდნელად, სვეტთა რიგმა მიმართულება შეიცვალა და წარმოუდგენლად სწორი კუთხით გადაუხვია. ელვინს უკვე რამდენიმე მილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაევლო ინერციით, სანამ მოისაზრებდა და მოახერხებდა ხომალდისთვის მიმართულების შეცვლას.

კოლონები ისევ აგრძელებდნენ რიგებით სვლას და პეიზაჟს იდეალურად სიმეტრიული მწკრივებით კვეთდნენ. შემდეგ პირველი შესახვევიდან ორმოცდაათი მილის შემდეგ, ისევ მკვეთრად შეიცვალეს მიმართულება კიდევ ერთი სწორი კუთხით. თუ ასე გაგრძელდება, - ფიქრობდა ელვინი, - მალე იმ ადგილას დავბრუნდებით, საიდანაც მოძრაობა დავიწყეთ.

კოლონების უსასრულო მწკრივმა იმდენად მოაჯადოვა მეგობრები, რომ როცა რიგი დასრულდა, სვლა გააგრძელეს და ინერციით რამდენიმე მილით დაშორდენენ იმ წერტილს, სადაც მწკრივი შეწყდა. მხოლოდ მაშინ შეჰყვირა ჰილვარმა და ელვინს, რომელსაც არაფერი არ შეუნიშნავს, უთხრა, ხომალდი გაეჩერებინა. ნელა ეშვებოდნენ, და როცა შეჩერდნენ და ჰილვარის აღმოჩენის ირგვლივ დაიწყეს ტრიალი, ორივეს ერთდროულად მოუვიდა თავში ფანტასტიური აზრი – თუმცა თავიდან ვერც ერთი ვერ ბედავდა, ხმამაღლა გამოეთქვა თავისი მოსაზრება.

რამდენიმე კოლონა თითქმის ძირში გადამსხვრეულიყო, და ქვებზე გადაწოლილიყო, იქვე, დაცემის ადგილას. გარდა ამისა, ორი სვეტი, რომელიც წარმოქმნილ სიცარიელეს ემიჯნებოდა, გარეთ გამოზნექილიყო, თითქოს რაღაც უძლეველ ძალას გამოეღუნა.

შემაძრწუნებელ დასკვნას, რომელიც ნანახიდან გამომდინარეობდა, ვერსად გაექცეოდი. ახლაღა მიხვდა ელვინი, რის თავზეც დაფრინავდნენ; ასეთი რამ ხშირად ენახა ლისში, მაგრამ ამ მომენტამდე შოკისმომგვრელი განსხვავება მასშტაბში ხელს უშლიდა მათ გამოცნობაში.

„ჰილვარ, - მიმართა მეგობარს, თან ძლივს ბედავდა აზრები სიტყვებით გამოეხატა. – იცი, ეს რაც არის?’

„ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჯებირის კიდეს მივყვებოდით. კოლონების რიგი კი ღობეა – ღობე, რომელიც საკმარისად გამძლე არ გამოდგა, რომ ვიღაცის მოზღვავებული ენერგიის შემოტევისთვის გაეძლო“

„ადამიანები, რომლებსაც შინაური ცხოველები ჰყავთ, - აღნიშნა ელვინმა, თან ნერვიული სიცილით ცდილობდა შიშის დამალვას, - უნდა ზრუნავდნენ, რომ მათი სამყოფი დაცული იყოს და საფრთხეს არავის და არაფერს უქმნიდეს.“

ჰილვარს მეგობრის ნაძალადევი მხიარულებისთვის ყურადღება არ მიუქცევია; გარღვეულ ბარიკადებს აკვირდებოდა წარშეჭმუხნული და ჩაფიქრებული.

„არ მესმის, - წარმოთქვა ბოლოს და ბოლოს. – სად შოულობდა სარჩოს ამ პლანეტაზე? და რატომ გამოიქცა სადგომიდან? რამდენს გავიმეტებდი, რომ გამეგო, რა ცხოველია.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შეიძლება დატოვეს და იმიტომაც გამოიქცა, რომ მოშივდა, - ივარაუდა ელვინმა. – არ რაღაცამ გააღიზიანა.“

„მოდი, ცოტა დაბლა დავეშვათ, - შესთავაზა ჰილვარმა. – მინდა, გრუნტს დავაკვირდე.“

დაბლა დაუშვნენ, სანამ ხომალდი სალ და ციცაბო კლდეს არ შეეხო, და მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ ველი უამრავი პარატა ხვრელით მოწინკლულიყო, ორიოდე დუიმის დიამეტრით. სადგომის გარეთა მხარეს ეს იდუმალი ნიშნულები მიწაზე აღარ შეინიშნებოდა; კოლონის მწკრივთან მოულოდნელად ქრებოდნენ.

„მართალი ხარ, - დაეთანხმა ჰილვარი. მოშივდა. მაგრამ ეს ცხოველი არ იყო: უფრო მართებული იქნებოდა, თუ მცენარეს დავარქმევდით. სადგომის ნიადაგში არსებული საკვები ამოეწურა და იძულებული გახდა, სადმე სხვაგან ეძებნა სარჩო. ალბათ, ძალიან ნელა მოძრაობდა, შეიძლებოდა ამ ჯებირების გარღვევას წლების კი დასჭირვებოდა.“

ელვინის ცოცხალმა წარმოსახვამ უცბად შეალამაზა სურათი და ფრთები შეასხა ყველა იმ დეტალს, რომელთა შესახებ დარწმუნებით, რა თქმა უნდა, ვერაფერს იტყოდა. ეჭვი არ ეპარებოდა ჰილვარის დასკვნის სისწორეში, რომ რომელიღაცა ბოტანიკურმა ურჩხულმა, რომელიც იმდენად ნელა მოძრაობდა, რომ თვალს შეუმჩნეველი რჩებოდა, ზანტ, მაგრამ შეუპოვარ ორთაბრძოლაში სძლია ჯიუტ ჯებირს, რომელმაც თავისუფლებისკენ მიმავალი გზა გადაუღობა.

შეიძლება ამდენი საუკუნის შემდეგ ეს არსება ისევ ცოცხალი იყოს და საკუთარ ნებაზე მიშვებული პლანეტის ზურგზე დათარეშობდეს. მისი ძებნას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან ეს საქმე მთლიანი პლანეტის ზედაპირის შემოვლასა და შესწავლას მოითხოვდა. მისტიური არსების პოვნის ყოველგვარი იმედის გარეშე, მეგობრებმა გარღვეული ღობის ირგვლივ რამდენიმე კვადრატული მილი შემოიარეს და ერთი დიდი, თითქმის ხუთი ათასი ფუტი დიამეტრის მქონე მრგვალი ლაქა შენიშნეს, პატარა ორმოებით მოწინწკლული, სადაც არსება სავარაუდოდ საჭმელად გაჩერდა – თუკი შესაძლებელია ასეთი გამოთქმის გამოყენება ორგანიზმისადმი, რომელიც საკვებს სალი კლდისგან იღებდა.

როცა ისევ აფრინდნენ და ზეცაში აღმოჩნდნენ, ელვინმა მოულოდნელად უცნაური მოთენთილობა იგრძნო. რამდენი რამ ნახა, და რა ცოტა რამ შეისწავლა და გაიგო. ამ პლანეტებზე უამრავ საოცრებას შეხვდებოდით, მაგრამ იმას, რასაც ელვინი ეძებდა, დიდი ხნის წინ მიეტოვებინა იქაურობა. შვიდი მნათობის სხვა სამყაროების მონახულებას აზრი არ ჰქონდა. თუკი სადმე რომელიმე პლანეტაზე ჯერ კიდევ შემორჩა ინტელექტი, ვინ იცად, სად უნდა ეძებნა? ეკრანზე მტვერივით მიმოფნეულ ვარსკვლავებს შეხედა და მიხვდა, რომ მათ განკარგულებაში დარჩენილი დრო საკმარისი არ იქნებოდა ყველა ამ ვარსკვლავის შესასწავლად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცებ მარტოობის წარმოეუდგენლად დამთრგუნველი და მისთვის აქამდე უცნობი გრძნობა შემოაწვა. ახლა კი მიხვდა, რატომაც ძრწოდნენ ასე სასტიკად დიასპარელები გალაქტიკის თვალუწვდენელი სივრცეების წინაშე. ჩაწვდა შიშს, რომელმაც მისი თანამემამულეები აიძულა, მიკროსკოპული ქალაქის კედლებში გამოკეტილიყვნენ. ძნელი იყო აღიარება და იმ აზრთან შეგუება, რომ დიასპარლები მართალი არმოჩნდნენ, ასე რომ ეშინოდათ ქალაქის დატოვების.

ელვინი ჰილვარს მიუბრუნდა მხარდაჭერისთვის, მაგრამ უხმოდ ჰილვარი იდგა, მუშტები მაგრად შეეკრა და სახეზე გაყინული, არაფრის მთქმელი გამომეტყველება შეჰყინვოდა. თავი გვერდზე გადაეხარა, თითქოს რაღაცას სულგანაბული უსმენდა, ყველა გრძნობა დაეძაბა და გონებით ცდილობდა ირგვლივ ჩამოწოლილი სიჩუმისა და სიცარიელის გარღვევას.

„რა მოხდა?“ – იკითხა შეშფოთებულმა ელვინმა. კითხვის რამდენჯერმე გამეორება მოუხდა, სანამ ჰილვარი გონს მოვიდოდა და პასუხს გასცემდა, ისევ სიცარიელისკენ მიეპყრო გამჭოლი მზერა და, როგორც იქნა, მიუგო.

„რაღაც გვიახლოვდება, - წარმოთქვა ნელა. – მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია, რა არის.“

ელვინს მოეჩვენა, თითქოს კაბინაში უცბად აცივდა, და მომხდურების მიმართ მემკვიდრეობით მიღებულმა შიშმაც მოულოდნელად იჩინა თავი, ქვეცნობიერი გონების სიღრმეებიდან ამოტივდივდა და თვალთ დაუბნელა. მთელი თავისი ნების ძალისხმევით, რომელმაც მთელი ძალა გამოაცალა, ელვინმა ტალღასავით შემწოლილი შიში უკუგდება შეძლო.

„მეგობრულად არის განწყობილი? – იკითხა. – თუ დედამიწაზე უნდა გავიქცეთ?“

ჰილვარს პირველი კითხვისთვის პასუხი არ გაუცია, მხოლოდ მეორეს უპასუხა. ხმა დასუსტებოდა, მაგრამ შიშისა და პანიკის არავითარ ნიშანს არ ავლენდა. უფრო უსასრულო გაოცებასა და ცნობისმოყვარეობას გამოხატავდა, თითქოს იმდენად გამაოგნებელ რაღაცას გადააწყდა, რომ ელვინის გულგახეთქილი გამოკითხვის თავი ნამდვილად არ ჰქონდა.

„დააგვიანე, - უპასუხა. – უკვე აქაა.“

გალაქტიკა ვინ მოთვლის მერამდენეჯერ შემოიტრიალდა საკუთარი ღერძის გარშემო, მას შემდეგ, რაც ვანამონმა პირველად შეიცნო საკუთარი თავი. იმ უძველეს ეპოქებსა და არსებებზე, ვინც უვლიდნენ და ზრუნდავდნენ მასზე, ბუნდოვანი მოგონებები შემორჩენოდა, სამაგიეროდ ცხადლივ ახსოვდა მარტოობის მტანჯველი გრძნობა, რომელიც მას შემდეგ დაეუფლა, რაც არსებები წავიდნენ და ვარსკვლავების ანაბარა დატოვეს. იმ დღიდან მოყოლებული, საუკუნეების განმავლობაში დაძრწის და დაბორიალობს მზიდან მზეზე, ნელ-ნელა ვითარდება და ძალებს იკრებს. ერთ დროს გამზრდელი არსებების პოვნა ვანამონდის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუხედავად იმისა, რომ ოცნებას უკვე დაეკარგა ელფერი, ბოლომდე მაინც არ მომკვდარა და დღემდე შემორჩენოდა მათი ნახვის მცირედი იმედი.

აუარება პლანეტებზე, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში შემოევლო, სიცოცხლის მიერ დატოვებული ნანგრევები ხშირად აღმოეჩინა, მაგრამ ინტელექტი მხოლოდ ერთხელ შეხვდა – და შავი მზისგან შეშინებული და ელდანაცემი გამოიქცა. მაგრამ სამყარო უსასრულოა და წინ კიდევ ბევრი რამ დარჩა აღმოსაჩენი.

და მიუხედავად იმისა, რომ ენერგიის უეცარი მოზღვავება მისგან უსასრულოდ დაშორებული სივრცისა და დროის მონაკვეთიდან მოდიოდა, ამ ძალამ გალაქტიკის შუაულში იფეთქა და სინათლის წლების უფსკრულიდან გამალებით უხმობდა ვანამონდს. ვარსკვლავების გამოსხივებისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა, და ცნობიერების არეშიც ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც უღრუბლო ხაზე მეტეორის გაელვება. ვანამონდმა დრო და სივრცე გაარღვია და ამ ენერგიის შესახვედრად გაეშურა, მისი არსებობის უკანასკნელი მომენტისაკენ, გზაში წარსულის მკვდარ, უცვლელ სურათებს იცლიდა და იშორებდა, მხოლოდ მისთვის ცნობილი მეთოდებით.

უაღრესად რთული სტრუქტურის მქონე გრძელი მეტალის სხეულის არსს ვერაფრით ჩასწვდენოდა, რადგან ისეთივე მოუცხოო იყო მისთვის, როგორც ფიზიკური სამყაროს ყველა ობიექტი. სხეულის გარშემო ისევ ტრიალებდა იმ ძალის აჩრდილი, რომელმაც მთელი სამყარო შემოატარა და აქამდე მოეყვანა, მაგრამ ვანამონს ეს აღარ აინტერესებდა. ფრთხილად, ველური ცხოველის გრაციოზული სიმარდით, რომელიც ყოველთვის მზადაა, საფრთხის შემთხვევაში, გაქცევით უშველოს თავს, მიეახლა და მიწვდა ამ ორი ახალ აღმოჩენილი არსების გონებას.

და მაშინ მიხვდა, რომ მრავალწლიანი ძებნა დასრულდა.

ელვინმა ჰილვარს მხრებში ჩასჭიდა ხელები და მთელი ძალით შეაჯანჯღარა, ცდილობდა, გამოეფხიზლებინა და გონს მოეყვანა.

„მითხარი, რა ხდება! - შეეხვეწა, - რა უნდა გავაკეთო?“

მიჯაჭვული, გამჭვირვალე მზერა ნელ-ნელა მოშორდა ჰილვარის თვალებს.

„მაინც ვერ ვხვდები, - წარმოთქვა მან, - მაგრამ რაც არ უნდა იყოს, საშიში არაფერია – ამაში დარწმუნებული ვარ. არაფერს დაგვიშავებს. როგორც ჩანს, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობამ შეაწუხა.“

ელვინს პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად ისეთმა უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, რომლის მსგავი ცხოვრებაში არ განუცდია. თითქოს თბილმა, მოლივლივე სითბომ ტალღასავით დაუარა მთელ სხეულში; შეგრძნება მხოლოდ რამდენიმე წამი გაგრძელდა, მაგრამ როცა ჩაიარა, ელვინი მიხვდა, რომ რაღაც შეიცვალა მასში, თითქოს ტვინში ვიღაც ჩაუსახლდა, გადაეფარა გონებას, როგორც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ წრეს შეუძლია მეორე ნაწილობრივ გადაფაროს, და მის აზრებს დაუკითხავად იზიარებდა. ასევე გრძნობდა შორიახლოს ჰილვარის ცნობიერებას და მიხვდა, რომ ისიც გაბმულიყო ამოუცნობი არსების გონებრივ მახეში. შეგრძნება სულაც არ ყოფილა არასასიამობნო, უფრო უცნაურს თუ დაარქმევდით, რომელმაც პირველად აჩვენა ელვინს ჭეშმარიტი ტელეპათიის ხიბლი – ძალის, რომლითაც ოდესმე მისი თანამემეამულეები ყოფილან დაჯილდოვებული, მაგრამ რომელიც ისე გადაგვარდა, რომ ახლა მანქანების სამართავადღა თუ გამოიყენებოდა.

მართალია ელვინმა სერანისს, მისი გონების დაუფლებას რომ ცდილობდა, ერთ დროს კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ამ უცნაური არსებს გონებრივი ლაშქრობისთვის არც უფიქრია ხელი შეეშალა. ჯერ ერთი მიხვდა, რომ აზრი არ ექნებოდა, მეორეც, არსება, ვინც არ უნდა ყოფილიყო, სულაც არ ჩანდა მტრულად განწყობილი. ელვინი მოეშვა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიღო ის ფაქტი, რომ მასზე გაცილებით უფრო მაღალი ინტელექტის მქონე არსების შემოიჭრა ელვინის ცნობიერებაში და მის გონებას იკვლევდა. თუმცა, ეს მოსაზრება არ გამოდგა ზედმიწევნით მართალი.

ვანამონდმა მაშინვე შეამჩნია, რომ ერთ-ერთი გონება უფრო მეტ გულისხმიერებას იჩენდა და უფრო თბილად ექცეოდა, ვიდრე მეორე. გრძნობდა, როგორ გააოცა ორივე მისმა უეცარმა გამოჩენამ, მეგობრების გაოცებამ ვანამონდიც არანაკლებად გააკვირვა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ აღარაფერი ახსოვდათ; დავიწყება, ისევე როგორც, მოკვდაობა, ვანამონდის ცნობიერების საზღვრებს სცილდებოდა.

ურთიერთობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეგონა; ამ გონიერი არსებების ბევრი წარმოდგენილი, აზრობრივი გამოსახულება ვანამონდს იმდენად უცნაურად ეჩვენებოდა, რომ ძლივსძლივობით ცნობდა. გაოცებული და ოდნავ შეშინებული დარჩა გადამთიელთა მიმართ განცდილი შიშისა და ძრწოლვის გრძნობით; საკუთარი ემოციები გაახსენდა, როცა შავი მნათობი პირველად გაჩნდა მის ცნობიერებაში.

მაგრამ ამ ორმა შავი მნათობის შესახებ არაფერი იცოდა, და ახლა მის გონებაში ელვინისა და ჰილვარის კითხვებმა იწყეს ჩამოყალიბება.

„ვინ ხარ?“

ვანამონდმაც ერთი შესაძლო პასუხი გასცა.

„ვანამონდი.“

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა (რამდენი დრო სჭირდებოდათ ამ არსებებს აზრების ჩამოსაყალიბებლად) და მცირე ხანში კითხვა განმეორდა. რა უცნაურია, ვერ ხვდებოდნენ, რომ სწორედ მათმა მოდგმამ მიანიჭა სახელი, რომელსაც მის მეხსიერებაში დაბადების მოგონებებთან ერთად უნდა ეცოცხლა. მოგონებები ბევრი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ შემორჩენოდა, მაგრამ ერთი უცნაური რამ ახასიათებდა, დროის გარკვეულ მომენტში იწყებოდა, სამაგიეროდ კრისტალივით წმინდა და მკაფიო იყო.

მათი პაწაწინა აზრები ვანამომდის ცნობიერებაში დაჟინებით აგრძელებდა შეღწევას.

„სად არის ხალხი, შვიდი ზეცა რომ შექმნა? ღა დაემართათ, სად დაიკარგნენ?“

არ იცოდა; ძლივს დაიჯერეს, რომ სიმართლეს ამბობდა, და მათი იმედგაცრუება მთელი სიცხადითა და სიძლიერით იგრძნო იმ უფსკრულის მიღმაც, რომელიც ერთმანეთისგან აშორებდა მათ გონებას. მაგრამ უცხო არსებები მოთმინებას იჩენდნენ და ვანამონდიც მოხარული იყო დახმარებოდა, რადგან მათი ძიებანი ძალიან ჰგავდა მისას, თანაც ვანამონდი მთელი ცხოვრების მანძილზე პირველად შეხვდა თანამოსაუბრეებს.

ელვინი ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ამ ჩუმი და უსიტყვო საუბარზე უცნაურ რამეს გამოცდიდა. ძნელი იყო საკუთარი თავის მხოლოდ პასიური მაყურებლის როლში წარმოდგენა, ელვინს არაფრით არ უნდოდა იმის აღიარება, საკუთარი თავის წინაშეც, რომ ჰილვარის ტვინი გაცილებით უფრო განვითარებული იყო, ვიდრე მისი. მხოლოდ ისღა დარჩენობა, რომ სულგანაბულს ყური მიედევნებინა უხმო საუბრისთვის და ფიქრის უწყვეტი ნაკადით გაოცებულიყო, რომლის არსსაც ვერ წვდებოდა.

მოულოდნელად ჰილვარმა, გაფითრებულმა და დაძაბულმა, საუბარი შეწყვიტა და მეგობარს მიუბრუნდა.

„ელვინ, - მიმართა დაქანცული ხმით. – აქ რაღაც უცნაური ხდება. ვერაფერი გამიგია.“

ამ სიტყვებმა ცოტათი აამაღლეს ელვინის თვითშეფასება. ალბათ შესაბამისი ემოციები სახეზეც შეეტყო, რადგან ჰილვარმა მოულოდნელად თანაგრძნობით გაუღიმა.

„ვერ გამიგია, ეს – ვანამონდი – რა არის, - გააგრძელა ჰილვარმა. – ვხედავ, რომ უდიდეს ცოდნას ფლობს, მაგრამ, როგორც ვატყობ, ინტელექტი ნაკლებად აქვს განვითარებული. რა თქმა უნდა, - დაამატა, - შეიძლება იმდენად განსხვავებული გონებითაა დაჯილდოებული, რომ ჩვენთვის ძნელია მისი გაგება – მაგრამ მაინც, არა მგონია, რომ ეს სწორი განმარტება იყოს.“

„ეგ კარგი, მაგრამ რა გაარკვიე? – მოუთმენლად იკითხა ელვინმა. – შვიდ მნათობზე თუ იცის რამე?“

ჰილვარის ფიქრები ისევ შორს დაქროდნენ.

„შვიდი მნათობის შექნაში ბევრმა რასამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ჩვენმაც, - განმარტავდა ჰილვარი დაბნეული ხმით. – უამრავი ასეთი ფაქტის მოყვანა შეუძლია, მაგრამ არა მგონია, მათი მნიშვნელობა ესმოდეს. მე ვფიქრობ, რომ წარსული ახსოვს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უბრალოდ, მისი ინტერპრეტაცია არ შეუძლია. ყველაფერს, რას აქამდე მომხდარა, ერთ დიდ გროვადაა მოქცეული ვანამონდის ცნობიერებაში.“

ჰილვარი წამით შეჩერდა და რაღაცაზე ჩაფიქრდა, შემდეგ სახე გაუბრწყინდა.

„ერთადერთი გამოსავალი დაგვრჩენია; როგორმე ვანამონდი დედამიწაზე უნდა ჩავიყვანოთ და ჩვენს ფილოსოფოსებს მივგვაროთ. მხოლოდ ისინი შეძლებენ მის შესწავლას.“

„რაიმე საფრთხე ხომ არ გვემუქრება?“ – იკითხა ელვინმა.

„არა, - მიუგო მეგობრის შენიშვნით გაკვირვებულმა ჰილვარმა, იმდენად უჩვეული და ელვინისთვის არადამახასითებლად ეჩვენა. – ვანამონდი უწყინარი, მეგობრული არსებაა. გარდა ამისა, ვერ ხედავ, რა სინაზით გვეპყრობა?“

და უცბად, ელვინის გონებაში მთელი სიცხადით გაიელვა ფიქრმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უტრიალებდა თავში. კრიფი და მისნაირი ცხოველები გაახსენდა, რომლებიც წამდაუწუმ დაუსხლტებოდნენ ხოლმე პატრონებს და თავისი დაუმორჩილებლობით ჰილვარის მეგობრების გაღიზიანებსა და ღელვას იწვევდნენ. და უცბად გაახსენდა – ასე ეგონა, საუკუნის წინ მოხდა – ზოოლოგიური მიზნები, რომლებსაც ჰილვარის შალმარინში მოგზაურობა ისახავდა.

ჰილვარმა ახალი შინაური ცხოველი იშოვა.

თავი XXII

რა წარმოუდგენლად მოეჩვენეობა – მსჯელობდა თავისთვის ჯეზერაკი – ეს კონფერენცია, რამდენიმე დღით ადრე რომ ჩატარებულიყო. ექვსი სტუმარი ლისიდან ნალის გახსნილ თავთან მოთავსებულ მაგიდასთან იჯდა საბჭოს პირისპირ. სიტუაციის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ იმავე ადგილას ელვინი იჯდა და საბჭოს გადაწყვეტილებას ისმენდა დიასპარის გარე სამყაროსგან ხელახალი ჩაკეტვის შესახებ. და ახლა თავად ეს გარე სამყარო შემოიჭრა შურისძიების წყურვილით შეპყობილი.

საბჭოს შემადგენლობაც შევცლილიყო. მისი წევრებიდან სულ მცირე ხუთი სხდომას აღარ ესწრებოდა. ვეღარ შეძლეს პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება და მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გამკლავება და ხედრონის მაგალითს მისდიეს, მისი გზა აირჩიეს. ეს თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, - ფიქრობდა ჯეზერაკი, - რომ დიასპარმა გამოცდას ვერ გაუძლო, თუ მისი მაცხოვრებლების ამხელა ნაწილი უძლური აღმოჩნდა მილიონობით წლის განმალობაში წამოჭრილი პირველი სერიოზული გამოწვევის წინაშე. ათასობით დიასპარელმა უკვე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადაინაცვლა მეხსიერების რეზერვუარებში და მოკლევადან მივიწყებას მიეცა, იმ იმედით, რომ როცა გაიღვიძებდნენ, კრიზისი ჩავლილი იქნებოდა და დიასპარი ისევ თავის ძველ სახეს დაიბრუნებდა. ამ ხალხს მწარე იმედგაცრუება ელოდა.

ჯეზერაკს საბჭოს ერთ-ერთი ვაკანტური ადგილის დაკავება შესთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯეზერაკის წევრობა ერთგვარ ჩრდილს მოეცვა, ელვინის მასწავლებლის პოზიციის გამო, მისი დასწრება იმდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახდა, რომ ვერავის გაებედა, შეწინააღმდეგებოდა. მოხუცი ნალის ფორმის მაგიდის ერთ-ერთ ბოლოში მოთავსდა – მეტად ხელსაყრელი პოზიცია, რომელსაც რამდენიმე უპირატესობა გააჩნდა. ჯეზერაკს არა მარტო სტუმრების პროფილების შესწავლა, არამედ ყველა კოლეგა საბჭოს წევრის სახის დანახვაც შეეძლო – მათი სახის გამომეტყველება კი ბევრ რამეზე მიანიშნებდა.

ელვინის სიმართლეში ახლა ეჭვი აღარავის ეპარებოდა, და საბჭო ნელ-ნელა ეჩვეოდა ამ უსიამოვნო და მწარე სიმართლეს. ლისის დელეგაციის წევრები გაცილებით უფრო სწრაფად და სხარტად აზროვნებდნენ, ვიდრე დიასპარის ყველაზე ნათელი მოაზროვნეები. მაგრამ ეს მათ ერთადერთ უპირატესობას არ წარმოადგენდა. ლისელებს კოორდინაციის წარმოუდგენლად მაღალი ხარისხიც ახასიათებდათ, რაც, ჯეზერაკის აზრით, მათი ტელეპათიური შესაძლებლობებიდან გამომდინარეობდა. საინტერესოა, - გაიფიქრა მოხუცმა, - საბჭოს წევრების აზრებსაც ხომ არ კითხულობდნენ, მაგრამ ჩათვალა, რომ საზეიმოდ ფიცს არ დაარღვევდნენ, რომლის გარეშეც სხდომა აზრს დაკარგავდა.

ჯეზერაკი არ მიიჩნევდა, რომ კონფერენცია აშკარა წარმატებით მიმდინარეობდა; და საერთოდ ვერ ხედავდა რაიმე პროგრესის პერსპექტივას. საბჭოს, რომელმაც რის ვაივაგალახით აღიარა ლისის არსებობა, ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გაესიგრძეგანბინა მომხდარი. ერთი რამ უდავო იყო, საბჭოს წევრები შეშინებულები ჩანდნენ, და, როგორც ჯეზერაკმა შეატყო, ლისელებიც არა ნაკლებად დამფრთხალიყვნენ, მაგრამ საკუთარ შიშს ოსტატურად მალავდენ.

თავად ჯეზერაკი მოსალოდნელზე უფრო მხნედ და ყოჩაღად გრძნობდა თავს; მართალია შიშისგან ბოლომდე ვერ განიკურნა, მაგრამ როგორც იქნა, მისი დაძლევა ისწავლა. ელვინის გიჟურმა შემართებამ – ან შეიძლება უბრალოდ სიმამაცემ – მოხუცის შეხედულებები მთლიანად შეცვალა და ახალი თვალსაწიერი გადაუშალა. მართალია ჯეზერაკს აღარ სჯეროდა, რომ ოდესმე შეძლებდა დიასპარის საზღვარს იქით ფეხის გადადგმას, სამაგიეროდ მშვენივრად ესმოდა ის მიზეზები, რამაც ელვინს ამ სიმამაცისკენ უბიძგა.

პრეზიდენტის კითხვამ მოულოდნელობისგან გააოცა, მაგრამ მოხუცი მალევე მოეგო გონს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მე მგონი, - განმარტა მან, - უბრალო შემთხვევითობაა, რომ ამგვარი სიტუცია ადრე არასოდეს წარმოშობილა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ელვინამდე თოთხმეტ უნიკუმს უცხოვრია და ცნობილი ფაქტია, რომ მათი შექმნა კონკრეტული გეგმის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ეს გეგმა, ჩემი აზრით, ლისისა და დიასპარის შეთანხმებული იზოლაციის გაუქმებისკენ იყო მიმართული. ამაზე უკვე ელვინმა იზრუნა, მანვე გააკეთა ისეთი რამ, რაც არა მგონია ცენტრალური კომპიუტერის თავდაპირველი გეგმით ყოფილიყო გათვალისწინებული. შეუძლია ცენტრალური კომპიუტერს დამემოწმოს?“

კომპიუტერის უსულო ხმამ მაშინვე გასცა პასუხი.

„საბჭოს წევრს მოეხსენება, რომ არ შემიძლია ჩემი შემქმნელების ინსტრუქციებზე გავაკეთო რაიმე კომენტარი.“

ჯეზერაკმა მიიღო რბილი შენიშვნა.

„მიზეზების მიუხედავად, ფაქტებს ვერ უარვყოფთ. ელვინი კოსმოსში გაემგზავრა. თქვენ შეგიძლიათ, მოგზაურობის განმეორებაში შეუშალოთ ხელი, როცა დაბრუნდება – თუმცა, არა მგონია, რომ ელვინი შეგეპუოთ, მანამდე იმდენს რამეს ისწავლის, რომ ეჭვი მეპარება რამე გამოგივიდეთ. თუ უკვე ის მოხდა, რისაც ყველაზე მეტად გეშინოდათ, მაშინ ყველანი უძლურნი ვართ მოვლენების წინაშე. დედამიწა აბსოლუტურად დაუცველია – როგორც მილიონობით საუკუნის წინ.“

ჯეზერაკი გაჩუმდა და მაგიდასთან მსხდომთ გადახედა. მისმა სიტყვებმა საყოველთაო კმაყოფილება არ გამოიწვიეს, როგორც მოსალოდნელი იყო.

„თუმცა შეშფოთების მიზეზს მაინც ვერ ვხედავ. დედამიწა ისევე ექვემდებარება საფრთხეს, როგორც აქამდე. რატომ უნდა დაგვატეხოს ისევ დამპყრობლების რისხვა ერთ პატარა ხომალდში შეყუჟულმა ორმა ადამიანმა? თუ გულახდილები ვიქნებით საკუთარი თავის წინაშე, უნდა ვაღიაროთ, რომ დამპყრობლები, რომ მოენდომებინათ, ნებისმიერ დროს შეძლებდნენ ჩვენს განადგურებას და ამას დიდი ხნის წინ გააკეთებდნენ.“

დარბაზში არაკეთილგანწყობილი სიჩუმე ჩამოვარდა. ეს ნამდვილი ერესი გახლდათ – და ერთ დროს თავად ჯეზერაკიც ასე მონათლავდა მსგავს სიტყვებს.

წარბშეჭმუხვნილმა პრეზიდენტმა სიტყვა გააწყვეტინა.

„ლეგენდა იმას არ ამბობს, რომ დამპყრობლები იმ პირობით დათანხმდენ დედამიწის დანდობას, თუ თავად ადამიანი არასოდეს ეცდებოდა კოსმოსში გამგზავრებას? და ზუსტად ეს პირობა არ დავარღვიეთ?“

„ლეგენდა კი ამბობს, - დაეთანხმა ჯეზერაკი. – ლეგენდა ბევრ რამეს ამბობს და ჩვენც ულაპარაკოდ ვიჯერებთ, ეს პირობაც ერთ-ერთი მათგანია. თუმცა ამის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ არსებობს. დაუჯერებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვნი პირობა ცენტრალური კომპიუტერის მეხსიერებაში არ ყოფილიყო ჩაწერილი, კომპიუტერმა კი ამ შეთანხმების შესახებ არაფერი იცის. ეს კითხვა უკვე დავუსვი, მართალია მხოლოდ საინფორმაციო მანქანების მეშვეობით. საბჭოს შეუძლია პირდაპირ მას მიმართოს კითხვით.“

ჯეზერაკი ვერ ხედავდა რისკზე წასვლისა და აკრძალული ტერიტორიაზე შესვლს აუცილებლობას. მეორე საყვედურის მიღება ნამდვილად არ უნდოდა, ასე რომ, პრეზიდენტის პასუხს დაელოდა.

მაგრამ პასუხმა დააყონა, რადგან ზუსტად ამ მომენტში ლისელი სტუმრები შეკრთნენ ადგილებზე, მათ სახეებზე ერთნაირი, ეჭვით სავსე შეშფოთებული გამომეტყველება გაყინულიყო, თითქოს რაღაც შორეულ ხმას უგდებდნენ ყურს, რომელიც რაღაც ახალ ამბავს უჩურჩულებდა.

მოლოდინით აღსავსე საბჭოს წევრები გაშეშდნენ, უსიტყვო საუბრის გაგრძელებასთან ერთად იზრდებოდა მათი შეშფოთების გრძნობა. როგორც იქნა, დელეგაციის ხელმძღვანელი გამოერკვა ტრანსიდან და პრეზიდენტს ბოდიშის მოხდით მიმართა.

„ეს ესაა, უცნაური და საგანგაშო ინფორმაცია მივიღეთ ლისიდან, - მოახსენა საბჭოს წევრებს.

„ელვინი დედამიწაზე დაბრუნდა?“ – იკითხა პრეზიდენტმა.

„არა – ელვინი არა. რაღაც სხვა.“

როცა ელვინმა თავისი ერთგული ხომალდი ერლის პლატოზე დასვა, ძალაუნებურად გაუელვა აზრმა, ნუთუ ვინმეს ოდესმე ჩამოუყვანია რომელიმე კოსმოსურ ხომალდი დედამიწაზე ასეთი ტვირთი – თუ, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, ვანამონდის ხომალდის ფიზიკურ სივრცეში მოთავსება. მთელი მოგზაურობის განმავლობაში უცნაურ არსებას საკუთარი არსებობის არავითარი ნიშნები არ გამოუვლენია; ჰილვარი ფიქრობდა, და მას ვანამონდთან პირდაპირი ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა, რომ ვანამონდის ნებისმიერ პოზიციას სივრცეში მხოლოდ და მხოლოდ მისი ინტერესების სფერო განაპირობებდა. ფიზიკურად კი ვანამონდი არსად არ არსებობდა – და ალბათ არც ოდესმე უარსებია.

როცა ხომალდიდან გადმოვიდნენ, სერანისი და ხუთი სენატორი ელოდებოდნენ. ერთ-ერთი სენატორი ელვინს წინა ვიზიტიდან ახსოვდა; დანარჩენი ორი სენატორი წინა სხდომიდან, ელვინის ვარაუდით, ალბათ უკვე დიასპარში იმყოფებოდა. საინტერესოა, - გაიფიქრა ელვინმა – როგორ მიდის დელეგაციის საქმე და როგორ შეხვდა ქალაქი დიასპარში მილიონობით წლის განმავლობაში შემოსულ პირველ გადამთიელებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„როგორც ჩანს, ელვინ, - მიმართა მას სერანისმა მშრალად, მას შემდეგ, რაც შვილს მიესალმა, - გასაოცარი არსებების აღმოჩენის დიდი ნიჭით ხარ დაჯილდოებული. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ბოლო აღმოჩენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.“

ამჯერად ელვინის ჯერი დადგა, გაოცებულიყო.

„მაშ ვანამონდიც ჩამოვიდა?“

„დიახ, რამდენიმე საათის წინ. როგორღაც მოახერხა თქვენი ხომალდის ტრაექტორია აფრენამდე დაედგინა – რაც, თავის თავად, გასაოცარ მიღწევას წარმოადგენს, და საინტერესო ფსიქოლოგიურ საკითხებს წამოჭრის. არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ლისში სწორედ იმ მომენტში ჩამოვიდა, როცა აღმოაჩინეთ, ასე რომ ამ არსებას უსასრულოდ მაღალი სიჩქარის განვითარება შეუძლია. მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ამ ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში იმდენი და ისეთი რამ შევიტყვეთ ისტორიის შესახებ, რაც ვერასოდეს წარმოგვედგინა.“

ელვინმა გაოცებული თვალებით შეხედა სერანისს. შემდეგ მიხვდა; ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რა ზეგავლენასაც მოახდენდა ვანამონდი ამ დახვეწილი შეგძნებებისა და ერთმანეთთან უცნაური გზით დაკავშირებული და გადახლართული ცნობიერებების მქონე ხალხზე. მათ წარმოუდგებელი სისწრაფით მოახდინეს რეაგირება და ელვინმა უცბად პარადოქსული სურათი წარმოიდგინა, ლისის ცოდნას მოწყურებული ინტელექტებით გარშემორტყმული, ოდნავ შეშინებული ვანამონდი.

„გაარკვიეთ, რაც არის?“ – ჰკითხა ელვინმა სერანისს.

„დიახ. რთული არ იყო, თუმცა აქამდე მისი წარმომავლობა ვერ დავადგინეთ. ვანამონდი წმინდა გონებას წარმოადგენს და უსაზღვრო ცოდნას ფლობს. მაგრამ ძალიან ბავშვურია, ამ სიტყვას მისი პირდაპირი მნიშვნელობით ვხმაროობ.“

„რა თქმა უნდა, ასეც უნდა ყოფილიყო! – შეჰყვირა ჰილვარმა. – უნდა მივმხვდარიყავი!“

ელვინი გაოგნებული დარჩა; სერანისს შეეცოდა.

„იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვანამონდი კოლოსალური, შეიძლება ითქვას, უსაზღვრო გონების პატრონია, მაგრამ ჯერ მოუმწიფებელი და განუვითარებელია. მისი ნამდვილი ინტელექტი ადამიანის ინტელექტს ჩამოუვარდება, - სერანისს ოდნავ მწარედ ჩაეცინა. – თუმცა გონებრივი პროცესები გაცილებით უფრო ჩქარა მიმდინარეობს და ჩვენზე უფრო სწრაფად ითვისებს ახალ მასალას. ისეთი შესაძლებლობებიც გააჩნია, რომელიც ჯერ ვერ გაგვიგია. აღუწერელი მანქანებით მის წინაშე მთელი წარსულია გაშლილი, ამის გადმოცემა შეუძლებელია. ალბათ სწორედ ეს შესაძლებლობა გამოიყენა, და დედამიაზე იმ გზით დაბრუნდა, რომელიც თქვენ გაიარეთ.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელვინი უხმოდ იდგა, ცოტა არ იყოს გაოგნებული. ახლა მიხვდა, რა სწორად მოიქცა ჰილვარი, ვანამონდი ლისში რომ მოიყვანა. და კიდევ იმაშიც დარწმუნდა, რომ ძალზედ გაუმართლა, პირველ ჯერზე სერანისის გაცურება რომ მოახერხა. მეორედ ამას ვეღარასოდეს შეძლებდა.

„შენ იმის თქმა გინდა, რომ ვანამონდი ახლახანს იშვა?“

„მისი სტანდარტებით თუ ვისჯელებთ, კი. ფაქტობრივად, მისი ასაკი უსასრულოდ დიდია, მაგრამ სინამდვილეში როგორც ჩანს, ადამიანზე პატარაა. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ამტკიცებს, თითქოს ჩვენ შევქმენით. აი რატომ არ მეპარება ეჭვი, რომ ვანამონდის წარმომავლობა წარსულის უდიდეს საიდუმლოებებზეა დამოკიდებული.“

„ახლა რას აკეთებს?“ – იკითხა ჰილვარმა, მის ხმაში მესაკუთრის ტონი იგრძნობოდა.

„გრევარნის ისტორიკოსები იკვევლევენ ვანამონდის გონებას, კითხვებს უსვამენ. ცდილობენ წარსულის რუქის ძირითადი შტრიხები აღადგინონ, მაგრამ ამ საქმეს წლები არ ეყოფა. ვანამონდს ზედმიწევნით დეტალურად შეუძლია წარსულის აღწერა, მაგრამ რადგანაც არ ესმის იმის არსი, რასაც ხედავს, მასთან ძალიან ძნელია მუშაობა.“

ელვინი გაოცებული ფიქრობდა, ნეტა საიდან იცოდა სერანისმა ამდენი; მაგრამ მოისაზრა, რომ ალბათ ლისის ყველა ფხიზელი გონება ამ დიდი კვლევის შედეგებს თვალს ადევნებს. იმ ფაქტის შეგნებამ, რომ ლისზეც მისმა აღმოჩენებმა არა ნაკლები კვალი დატოვა, ვიდრე დიასპარზე, ელვინი სიამაყის შეგრძნების აღავსო. მაგრამ სიამაყეს იმედგაცრუებაც ემატებოდა. ისეთი იდუმალი არსების წინაშე აღმოჩნდა პირისპირ, რომ ვერასოდეს შეძლებდა მის ბოლომდე გაგებას; პირდაპირი კონტაქტი თუნდაც ადამიანების ცნობიერებებს შორის ისეთ საიდუმლოებად ეჩვენებოდა, როგორც ალბათ მუსიკა ყრუს ან ფერები ბრმას. ლისის მაცხოვრებლები კი ლაღად და დაუბრკოლებლად უზიარებდნენ ფიქრებს წარმოუდგენლად უცხო ქმნილებას, რომელიც დედამიწაზე სწორედ ელვინის მეშვეობით აღმოჩნდა, მაგრამ რომელსაც მარტო მის განკარგულებაში არსებული გრძნობებით ვერასოდეს აღმოაჩენდა.

აქ აღარაფერი ესაქმებოდა, მისი ადგილი ლისში არ იყო; როცა დაკითხვა დამთავრდებოდა, პასუხებს არავინ მოახსენებდა. უსასრულობის კარიბჭე შეაღო, და ახლა საოცარ კრძალვას – შეიძლება ითქვას შიშსაც - გრძობდა საკუთარი საქციელის გამო. სულიერი სიმშვიდის აღსადგენად ნაცნობ, პაწაწინა ქალაქში უნდა დაბრუნებულიყო და მის კალთას შეფარებოდა, სანამ ოცნებებსა და ამბიციებს არ შეელეოდა. სიტუაციის ირონია კი იმაში მდგომარეობდა, რომ ელვინი, რომელმაც ქალაქს ზურგი შეაქცია, რათა დიდებული მოგზაურობა წამოეწყო ვარსკვლავებისკენ, სახლში ბრუნდებოდა, როგორც შეშინებული ბავშვი, თავქუდმოგლეჯილი რომ მირბის დედისკენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი XXIII

არც დიასპარი დარჩენილა დიდად აღფრთოვანებული ელვინის დანახვით. ქალაქი ისევ აფორიაქებული და აღელვებული დახვდა, როგორც გიგანტური ჭიანჭველების ბუდე, რომელიც გამეტებით გადაჩიჩქნეს ჯოხით. დიასპარი ისევ უგერგილოდ უსწორებდა თვალს რეალობას, იმათ, ვინც უარს ამბობდა ლისის არსებობის აღიარებაზე, დასამალი ადგილი აღარ დარჩენოდათ. მეხსიერების რეზერვუარები უარს ამბობდნენ მათ მიღებაზე; ისინი, ვინც ჯერ კიდევ ებღაუჭებოდა ილუზიებსა და ფუჭ ოცნებებს და მომავალში ეძიებდა სიმშვიდეს, უშედეგოდ მიერმათებოდნენ შემოქმედის დარბაზისკენ. ნივთიერების გამხსნელი, უცეცხლო, ცივი ალი აღარ ეგებებოდა მათ; აღარ შეეძლოთ დროისა და დავიწყვების მდინარის დინებას გაჰყოლოდნენ, რათა ასი ათასი წლის შემდეგ სუფთა გონებით დაეღვიძათ და ახალი ცხოვრება დაეწყოთ. არ ჭრიდა არავითარი თხოვნა, არც მიმართვა ცენტრალური კომპიუტერისადმი, რომელიც უარის მიზეზებსაც არ ხსნიდა. და შეუმდგარი და უარყოფილი ლტოლვილები იძულებული რჩებოდნენ ქალაქში დაბრუნებულიყვნენ და მათი ეპოქის პრობლემებისადმი ძალაუნებურად გაესწორებინათ თვალი.

ელვინი პარკის განაპირა ნაწილთან, საბჭოს დარბაზის შორიახლოს დაეშვა. ბოლო მომენტამდე იმაშიც ეპარებოდა ეჭვი, რომ ცაზე გაჭიმული გარე სამყაროსგან დამცავი ეკრანის გარღვევასა და ხომალდის ქალაქში შემოყვანას შეძლებდა. დიასპარის ცის კამარა, ისევე როგორც ყველაფერი ამ ქალაქში, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ხელოვნური იყო და მანქანებით იმართებოდა. ღამეს თავისი ვარსკვლავებით, რომელიც ადამიანს ახსენებდა ყველაფერს, რაც კი დაკარგა, აკრძალული ჰქონდა, ქალაქისთვის თავისი კალთა გადაეფარებინა; დიასპარი ქარიშხლებისგანაც საგულდაგულოდ დაეცვათ, რომლებიც დრო და დრო უდაბნოს ზედაპირზე მძვინვარებდნენ და ქვიშის მოძრავი კედლები ცაზე გადაჰქონდათ.

უხილავმა მცველებმა ელვინი გაატარეს, და როცა ქვემოთ გაშლილ ქალაქს მოავლო თვალი, მიხვდა, რომ სახლში დაბრუნდა. მართლია, სამყარო უზომოდ იზიდავდა თავისი საიდუმლოებებით და მოგზაურობისკენ უხმობდა, მაგრამ აქ დაიბადა და სწორედ აქ იყო მისი ადგილი. ქალაქით ყოველთვის უკმაყოფილო იქნება და ახლის ძიების სურვილი არ მოეშვება, მაგრამ მაინც ყოველთვის აქ დაბრუნდება ხოლმე მორიგი ხეტიალის შემდეგ. ნახევარი გალაქტიკა მოიარა, რომ ეს მარტივი ჭეშმარიტება აღმოეჩინა.

ხალხი ხომალდის დაშვებამდე შეგროვილიყო. ნეტა როგორ დამხვდება ქალაქი, - ფიქრობდა ელვინი. ძალიან აინტერესებდა თანამემამულეების რეაქცია მის დაბრუნებაზე. სანამ ლუქს გახსნიდა და ხომალდიდან გადმოვიდოდა, სათვალთვალო ეკრანით აკვირდებოდა სახეებს და ადვილად კითხულობდა მათზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღბეჭდილ გამომეტყველებასა და ემოციებს. ყველაზე მეტად ცნობისმოყვარეობა სჭარბობდა, რაც თავისთავად სიახლე გახლდათ დიასპარისთვის. ცნობისმოყვარეობასთან ერთად ბევრს სახეზე ღელვაც და სიფრთხილეც ეტყობოდა, რომელიც აქა იქ შიშის აშკარა ნიშნებს იძენდა. მაგრამ მისი დანახვა, - გულდაწყვეტით აღიარა ელვინმა, - გულწრფელად არავის გახარებია...

საბჭომ კი პირიქით, საკმაოდ თბილად და დადებითად მიიღო, თუმცა, რა თქმა უნდა, არა მეგობრული სიყვარულის გამო. მართალია, დღევანდელი კრიზისი სწორედ ელვინმა გამოიწვია, მაგრამ მხოლოდ მას შეეძლო იმ ფაქტების შესახებ მოეხსენებინა, რომელზედაც ქალაქის სამომავლო სტრატეგია და პოლიტიკა დაეყრდნობოდა. დიდი ყურადღებით მოუსმინეს და ელვინმაც დეტალურად აუღწერა თავისი მოგზაურობა შვიდი მნათობისკენ და ვანამოდნთან შეხვედრა. შემდეგ აუარება რაოდენობის კითხვაზე უპასუხა, ისეთი მოთმინებით და რუდუნებით, რამაც, სავარაუდოდ, მისი ინტერვიუერების გაოცება გამოიწვუა. ელვინი მალევე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოს წევრების ცნობიერებაში დამპყრობლების წინააღმდეგ შიში დომინირებდა, თუმცა მათი სახელი არასოდეს უხსნებია და აშკარა უკმაყოფილება და უხერხულობა დაეტყოთ, როცა ელვინმა პირდაპირ ჩამოაგდო ამ თემაზე ლაპარაკი.

„დამპყრობლები რომ ისევ არსებობდნენ და ჩვენს სამყაროში იმყოფებოდნენ, - მოახსენა ელვინა საბჭოს წევრებს, - აუცილებლად შევხვდებოდი სამყაროს შუაგულში. შვიდ მნათობზე კი ინტელექტის ნასახიც არ მოიძებდენა; ამაში მანამდე დავრწმუნდით, სანამ ვანამონდი დაგვიდასტურებდა. ჩემი აზრით, დამპყრობლებმა დიდი ხნის წინ დატოვეს ჩვენი სამყარო; და, რა თქმა უნდა, ვანამონდმა, რომელიც დაახლოებით დიასპარის ასაკისაა, მათზე არაფერი იცის.“

„მე ერთი წინადადება მაქვს, - მოულოდნელად შესთავაზა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა. – ვანამონდი შეიძლება დამპყრობლების შთამომავალიც კი აღმოჩნდეს, რისი გაგებაც ჩვენი ამჟამინდელი შემეცნების უნარს ალბათ აღემატება. ამ არსებას თავისი წარმომავლობა დაავიწყდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე არ დააყენოს დიასპარი.“

ჰილვარმა, რომელიც საბჭოს უბრალო მაყურებლის სტატუსით ესწრებოდა, ვეღარ მოითმინა; არ დალოდებია საუბარში ჩართვის ნებართვას. ელვინი პირველად ხედავდა მეგობარს ასე გაბრაზებულს.

ვანამონდმა ჩემს გონებაში შემოაღწია და ჩემი აზრები წაიკითხა, - წარმოთქვა მან. – მეც, ჩემი მხრიდან, შევძელი მის ცნობიერებას შევხებოდი. ჩემმა ხალხმა ბევრი რამ შეიტყო მისგან, თუმცა ჯერ ვერ დაუდგენიათ, ვინ არის. ერთი რამ ნათელია, ვანამონდი აბსოლუტურად უვნებელი არსებაა, და მოხარულია, რომ გვიპოვა. მისგან არავითარი საფრთხე არაა მოსალოდნელი.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰილვარის ემოციური გამოსვლის შემდეგ, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, და ჰილვარმა სიტყვა დაასრულა სახეზე ერთგვარი შეცბუნებული გამომეტყველებით. ამიერიდან საბჭოს წევრებში დაძაბულობა საგრძნობლად შემცირდა, თითქოს დამსწრეთა გულებიდან შავი, დამთრგუნველი ღრუბელი წამოიშალა და გაიფანტაო. პრეზიდენტს არც უცდია, ჰილვარისთვის დამსახურებული საყვედური გამოეთქვა სხდომის შეწყვეტისათვის.

დებატების მოსმენისას ელვინისთვის ნათელი გახდა, რომ საბჭოს წევრებში სამი ძირითადი შეხედულება ბატონობდა. კონსერვატული შეხედულების მქონე წევრები, რომლებიც საბჭოს უმცირესობას წარმოადგენდნენ, ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ, რომ დრო მობრუნდებოდა, საათი უკუღმა დატრიალდებოდა და ძველი წესრიგი და წყობა აღდგებოდა. ნებისმიერი საღი აზრის მიუხედავად, ისინი მაინც ჯიუტად იმეორედნენ, რომ საჭიროა, დიასპარისა და ლისის მცხოვებლების ერთმანეთისგან სამუდამო იზოლაცია.

პროგრესული შეხედულების მქონე წევრებიც უმცირესობას ეკუთვნოდნენ; ელვინს ის ფაქტიც უხაროდა, რომ საერთოდ იყვნენ წარმოდგენილი საბჭოზე. მათ, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ გამოთქვეს სურვილი, დამპყრობლებს შეგებებოდნენ, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდათ, შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ გამოეყენებინათ შექმნილი ვითარება. ზოგიერთმა მათგანმა იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ ფსიქოლოგიური ბარიერების მოხსნა შესთავაზა დამსწრეთ, ხომ არსებობდა რაღაც გზა ამ წინაღობის მოშლისა, რომელიც ფიზიკურ კედლებზე უფრო ეფექტურად კეტავდა დიასპარს გარე სამყაროსგან.

საბჭოს წევრთა უმრავლესობა, რომელიც ზუსტად ასახავდნენ ქალაქის მოსახლეობის საერთო განწყობას, უბრალოდ თავს იკავებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისგან და მოლოდინითა და სიფრთხილით აღსავსე ელოდებოდა მოვლენების განვითარებას. მათ კარგად ესმოდათ, რომ სანამ ქარიშხალი არ ჩაცხრებოდა და მომავლის სურათი მეტ ნაკლებად ნათლად არ გამიხატებოდა, საერთო გეგმის შემუშავებასა და ნებისმიერი კონკრეტული პოლიტიკის განხორციელებას აზრი არ ჰქონდა.

ჯეზერაკი ელვინსა და ჰილვარს სხდომის დამთავრების შემდეგ შეხვდა. მოხუცი შეცვლილიყო ლორენის კოშკში, მათ ქვემოთ გაშლილი უდაბნოს წიაღში, მათი ბოლო შეხვედრის – და ბოლო განშორების – შემდეგ. თუმცა ელვინი ასეთ ცვლილებას სულაც არ მოელოდა, მომდევნო დღეებში სულ უფრო ხშირად მოუწევდა მსგავს მეტამორფოზებთან შეხვედრა.

ჯეზერაკი თითქოს გაახალგაზრდავებულიყო, თითქოს სიცოცხლის ცეცხლმა ახალი საზრდო იშოვა და მეტი ელვარებით აგიზგიზდა მოხუცის ძარღვებში. ასაკის მიუხედავად, ჯეზერაკი ერთ-ერთი იყო დიასპარელების უმცირებას შორის, რომელსაც გამოწვევის მიღებისთვის საკმარისი ძალა აღმოაჩნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შენთვის ახალი ამბავი მაქვს, ელვინ, - მიმართა მოხუცმა. – მე მგონი იცნობ სენატორ ჯერეინს, არა?“

ელვინი წამით დაფიქრდა; შემდეგ გაახსენდა.

„რა თქმა უნდა – ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადამიანი იყო, ვისაც ლისში შევხვდი. ლისის დელეგაციის წევრი არ არის?“

„ჰო; ჩვენ საკმაოდ კარგად გავიცანით ერთმანეთი. ბრწყინვალე ადამიანია, და იმდენად კარგად ერკვევა ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებულ საკითხებში, რომ მე ვერც კი წარმოვიდგენდი – თუმცა, როგორც მეუბნება, ლისის სტანდარტების მიხედვით, მხოლოდ ახალბედაა. სანამ დიასპარშია, გადაწყვეტილი აქვს ერთი ჩანაფიქრი განახორციელოს, რომელიც შენ, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონება. ჯერეინს განზრახული აქვს, ის იძულებითი მოტივები გააანალიზოს, რომლებიც ქალაქის კედლებში გვამწყვდევს, და იმედოვნებს, რომ როგორც კი გაიგებს, როგორ შთაგვინერგეს ეს მოტივები, მათ აღმოფხვრას შეძლებს. დიასპარის მაცხოვრებლებიდან დაახლოებით ოცი ადამიანი უკვე თანამშრომლობს მასთან.“

„და შენც ერთ-ერთი მათგანი ხარ?“

„დიახ, - უპასუხა ჯეზერაკმა, და ამასთან იმდენად შეცბუნებული სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომ ელვინი გააოცა, მსგავსი ემოცია მოხუცისთვის არ შეუნიშნავს. – რა თქმა უნდა, ადვილი სულაც არ არის და არც სასიამოვნო, მაგრამ პატარა სტიმულს მაინც იძლევა.“

„როგორ მუშაობს ჯერეინი?“

„საგების მეშვეობით. საგების მთელი სერია ააწყო და ჩვენს რეაქციებს აკვირდება, რაც კონკრეტული საგის განცდისას გვეუფლება. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ სიბერეში ახალგაზრდობაში დაბრუნება და ბავშვობის დროინდელი გართობის გახსენება მომიწევდა!“

„საგა რა არის?“ – იკითხა ჰილვარმა.

„წარმოსახვითი ოცნების სამყაროები, - აუხსნა ელვინმა. – ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა წარმოსახვითია, თუმცა ზოგიერთი ალბათ რეალურ ისტორიულ ფაქტებს ეფუძნება. ქალაქის მეხსიერების სქემებში უამრავი ასეთი საგაა ჩაწერილი; შეგიძლია, ნებისმიერი თავგადასავალი და ამბავი აირჩიო, რომელიც კი დაგაინტერესებს, და ისეთ აბსოლუტურ სინამდვილედ იქცევა შენში, რომ ეჭვსაც ვერ შეიტან, სანამ ტვინს სათანადო იმპულსები მიეწოდება.“

ჯეზერაკს მიუბრუნდა.

„ჯერეინმა რომელ საგებში შემოგთავაზა მონაწილეობა?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მათი უმრავლესობა, როგორც ალბათ უკვე მიხვდი, დიასპარიდან გასვლას ეხება. ზოგიერთი საგა ისტორიულ ეპოქაში, ჩვენი ყველაზე ადრეული ცხოვრებაში გვაბრუნებს, იმდენად ახლოს ქალაქის დაარსების პერიოდთან, რამდენადაც შეგვიძლია მიახლოება. ჯერეინი ფიქრობს, რომ რაც უფრო ახლოს მივალთ ამ იძულების სათავესთან, მით უფრო ადვილად შევძლებთ მის აღმოფხვრას.“

ელვინს გამბედაობა შემატა ამ ახალმა ამბავმა. მისი შრომა ნაყოფს გამოიღებს და სამუშაოს ნახევრად შესრულებულად ჩათვლის, თუ დიასპარის ჭიშკრის გახსნას შეძლებს – თუმდაც ქალაქის დატოვება არავის ისურვოს.

„მართლა გინდათ დიასპარიდან გასვლის შესაძლებლობა გქონდეთ?“ – იკითხა ჰილვარმა ცბიერად.

„არა, - უპასუხა ჯეზერაკმა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. – ამის გაფიქრებაზეც კი ჟრუანტელი მივლის, მაგრამ ვაღიარებ, რომ ძალიან ვცდებოდით, როცა ვფიქრობდით, რომ სამყარო დიასპარით იწყება და მისით მთავრდება და რომ ამ ქალაქზე მნიშვნელოვანი არაფერი მოიძებნება. საღი აზრი მკარნახობს, რომ შეცდომის გამოსასწორებლად რაღაცა აუცილებლად უნდა მოვიმოქმედოთ. ემოციურად ჯერ კიდევ არ ვარ მზად ქალაქის დასატოვებლად; ალბათ ვერც ვერასოდეს მივალ ამ აზრამდე. ჯერეინი ფიქრობს, რომ ბევრი დიასპარელის დარწმუნებას შეძლებს, ლისი მოინახულოს, და მეც დიდი სიამოვნებით დავეხმარები ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში – მიუხედავად იმისა, რომ გულის სიღრმეში იმედს ვიტოვებ, რომ არაფერი გამოუვა.“

ელვინმა მოხუც მასწავლებელს ახალი თვალით შეხედა და პატივისცემის მზარდი გრძნობით აივსო მის მიმართ. ახლა უკვე აღარ უარყოფდა შთაგონების უდიდეს ძალას და პირველად შეძლო სათანადოდ შეეფასებინა მოტივი, რომელიც ადამიანს აიძულებდა ლოგიკის წინააღდეგ ემოქმედა. ჯეზერაკის დინჯი სიმამაცე ძალაუნებურად შეადარა ხედრონის პანიურ გაქცევას მომავლის მარადიულ საცავებში – თუმცა ბოლო დროინდელი მოვლენების წყალობით ელვინმა ახალი თვალით შეხედა ადამიანის ბუნებას, უკეთ შეიცნო და ხედრონის საქციელი არც დაუგმია.

ჯერეინი, რა თქმა უნდა, ჩანაფიქრს აუცილებლად შეასრულებდა. შეიძლება ჯეზერაკი მეტისმეტად მოხუცი იყო, ცხოვრების წესი რომ შეეცვალა, რაც არ უნდა ძლერი ყოფილიყო ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ლისის გამოცდილი ფსიქოლოგების დახმარებით, ბევრი სხვა შეძლებდა ბარიერის გადალახვას. და თუ ერთი მაინც დააღწევდა თავს ამ მრავალ საუკუნოვან ყალიბს, გაყვებოდნენ თუ არა სხვემი მის მაგალითს უკვე დროის საკითხი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საინტერესოა, - ფიქრობდა ელვინი, - რა ბედი ეწეოდა დიასპარსა და ლისს, როდესაც ბარიერები სრულად მოიხსნებოდა. ყველანაირი ძალ-ღონე უნდა ეხმარათ, რომ ამ ორივე ქალაქის საუკეთესო თვისებები და ელემენტები შესანარჩუნებლად, და ახალ უფრო ჯანსაღ კულტურად შესადუღებლად. ეს უზომოდ შრომატევადი მისია დახლდათ და ორივე მხარის დაუღალავ და უშრეტ ენერგიას, სიბრძნესა და მოთმინებას მოითხოვდა.

მომავალი ადაპტაციის სიძნელეებმა უკვე იჩინეს თავი. დიასპარის სტუმრებმა თავაზიანად თქვეს უარი მასპინძლების შემოთავაზებაზე იმ სახლებში ეცხოვრათ, რომელიც ქალაქმა სპეციალურად მათთვის გამოყო და პარკის შემოგარენში არჩიეს დროებით დაბინავება, სადაც საკუთარი აპარტამენტები გამართეს. პარკი თავისი პეიზაჟით რაღაცით მშობლიურ ქალაქს მოაგონებდათ. ერთადერთი გამონაკლისი ჰილვარმა დაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ სრულებით არ ხიბლავდა გაურკვეველი, გამჭვირვალე კედლების მქონე და ეფემერული ავეჯით გაწყობილ სახლში ცხოვრების პერსპექტივა, მაინც თამამად ისარგებლა ელვინის სტუმართმოყვარე წინადადებით, იმით დაიმედებულმა, რომ იქ დიდხანს მაინც არ გაჩერდებოდნენ.

ჰილვარს ცხოვრებაში არ უგრძვნია სიმარტოვე, დიასპარში კი მთელი ძალით გამოსცადა ეს გრძნობა. ქალაქი იმაზე გაცილებით უფრო უცნაურად და უცხოდ ეჩვენებოდა, ვიდრე ელვინს ოდესმე ლისი მოჩვენებია. ჰილვარი დიასპარის უსასრულო და უზომო სირთულესა და მილიარდობით უცხო ადამიანთა არსებობას დაეთრგუნა და განეცვიფრებინა, რომლებსაც მისი თვალსაწიერის ყველა კუთხე-კუნჭული შეევსოთ. ლისში ყველას იცნობდა, ასე თუ ისე, მიუხედავად იმისა, შეხვედრია ამ ადამიანს თუ არა, აქ კი, დიასპარში, ათასი ცხოვრება რომც გაევლო, იცოდა, ყველას მაინც ვერ გაიცნობდა. თვითონაც კარგად ესმოდა, რომ ბარიერის ვერ გადალახვის წინათგრძნობა საღ აზრს იყო მოკლებული, მაგრამ ძალაუნებურად მაინც თრგუნავდა. ამ სამყაროში, რომელსაც მის საკუთართან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მხოლოდ ელვინისადმი ერთგულება აკავებდა.

არც თუ იშვიათად უცდია ჰილვარს ელვინისადმი დამოკიდებულება გაეანალიზებინა. იცოდა, რომ მათი მეგობრობა იგივე წყაროდან წარმოიშვა, რომელიც მის პატარა და მებრძოლი არსებებისადმი თანაგრძნობას ასაზრდოებდა. ეს გრძნობა ალბათ გააოცებდა იმათ, ვინც ელვინზე სულ სხვაგვარი აზრის გახლდათ და მტკიცე ნებისყოფის მქონე, ჯიუტი ეგოისტი ეგონა, რომელსაც არაფრად ჭირდებოდა ვინმეს სიყვარული და არ შეეძლო ვინმესთვის საპასუხო გრძნობით ეპასუხა.

ჰილვარმა ელვინი გაცილებით უკეთ გაიცნო. თავიდანვე ინსტიქურად გრძნობდა, რომ ელვინი ბუნებით მკვლევარი გახლდათ, მკვლევარები კი ყოველთვის ისეთ რამეს ეძებენ, რაც დაკარგეს და აკლიათ; თუმცა იშვიათად პოულობონ, რასაც ეძებენ და თუ მიზანს მაინც მიაღწიეს, მონაპოვარი გაცილებით ნაკლებ სიამოვნებას ანიჭებთ, ვიდრე თავად ძებნის პროცესი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰილვარმა არ იცოდა, ელვინი რას ეძებდა. მის მეგობარს უცნაური ძალები ამოძრავებდა, რომელიც საუკუნეების წინათ აემუშავებინათ გენიოსებს, დიასპარი რომ დაეგეგმათ ესოდენ მუხანათური ოსტატობით – ან მათზე უფრო დიდებულ გენიოსებს, რომელთაც გაბედეს და პირველებს წინააღმდეგობა გაუწიეს. გარკვეულ წილად, ელვინიც, დანარჩენი ადამიანების მსგავსად, მანქანა იყო, რომლის მოქმედებებსაც წინასწარ განსაზღვრავდა მემკვიდეობა. მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ამცირებდა ელვინის გაგებისა და თანაგრძნობის მოთხოვნილებას, არც მარტოობისა და იმედგაცრუებისგან იცავდა. საკუთარი თანამემამულეები ელვინს არასაიმედო და ამოუცნობ ადამიანად იცნობდნენ და ხანდახან ავიწყდებოდათ, რომ ზუსტად იგივე ემოციებს განიცდიდა, რასაც ისინი. მხოლოდ აბსოლუტურად უცხო და განსხვავებული ქვეყნის წარმომადგენელმა შეძლო, ელვინი ჩვეულებრივ ადამიანად მიეღო.

დიასპარში ჩასვლიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ჰილვარმა უფრო მეტი ადამიანი გაიცნო, ვიდრე მთელი ცხოვრების მანძილზე. გაცნობით კი ბევრი გაიცნო, მაგრამ ფაქტობრივად ვერავის დაუახლოვდა. გადაჭედილ დასახლებებს მიჩვეულმა საზოგადოებამ თავდაჭრილობის ისეთი რადიუსის შექმნა შეძლო, რომელშიც ძნელად თუ შეაღწევდი. ერთადერთი განმარტოება, რომლის უფლებასაც აძლევდნენ საკუთარ თავს, გონებრივი განმარტოება გახლდათ და ქალაქის უსასრულოდ რთული სოციალური ფერხულში ჩაბმული დიასპარელებიც დაჟინებით ცდილობნენ მის შენარჩუნებას. ჰილვარს ეცოდებოდა ეს ხალხი, თუმცა იცოდა, რომ სულაც არ საჭიროებდა მის თანაგრძნობას, რადგან ვერ ხვდებოდა, რა აკლდა – მათთვის უცხო იყო ადამიანური სითბო, ერთიანობის გრძნობა, რაც ყველას და ყველაფერს აკავშირებდა ერთმანეთთან ლისის ტელეპათიურ საზოგადოებაში. თავაზიანობის მიუხედავად, დიასპარელები, ჰილვართან საუბრისას, მაინც ვერ ახერხებდნენ ბოლომდე დაეფარათ სიბრალულის გრძნობა ჰილვარის მიმართ, როგორც მეტისმეტად უაზრო და ერთფეროვანი ცხოვრების მქონე ადამიანისადმი.

ერისტონსა და ეთანიას შეხედა თუ არა ჰილვარმა, მაშინვე დაკარგა ყოველგვარი ინტერესი, რადგან კეთილგანწყობის მიუხედავად, წარმოუდგენლად მოსაწყენ ადამიანებად მიიჩნია. ძალიან გაუკვირდა, როცა ჰილვარმა დედა და მამა დაუძახა – სიტყვები, რომლებსაც ლისში ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ უძველესი ბიოლოგიური მნიშვნელობა. ჰილვარს მუდმივი გონებრივი ძალდატანების ფასად უჯდებოდა იმ ფაქტის არ დავიწყება, რომ სიკვდილ-სიცოცხლის კანონები დიასპარის შემქმნელებს საგანგებოდ გაეუქმებინათ, და დრო და დრო ეჩვენებოდა, რომ ცოცხალი გარემოს მიუხედავად, ქალაქი ნახერად ცარიელი იყო, რადგან იქ ბავშვები არ ცხოვრობდნენ.

საინტერესოა, - ფიქრობდა ჰილვარი, რა ბედი ეწევა ქალაქს, როდესაც ამ იზოლაციას ბოლო მოეღებოდა. დიასპარის მხრიდან საუკეთესო ნაბიჯი მეხსიერების რეზერვუარების გაუქმება იქნებოდა, რომლებსაც მთელი საუკუნეების განმავლობაში გაყინულ და უძრავ მდგომარეობაში გაეჩერებინათ ქალაქი. საოცარი მიღწევის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუხედავად, - მეხსიერების რეზერვუარები ალბათ მათი შემქმნელი მეცნიერების მეცნიერების ტრიუმფს წარმოადგენდნენ – დაავადებული კულტურის მონაპოვარი გახლდათ, კულტურისა, რომელსაც ბევრი რამის ეშინოდა. ზოგიერთი ამ შიშებისგან და ფობიებისგან რეალობას ეფუძნებოდა, მაგრამ ბევრი მათგანი, როგორც ახლა გაირკვა, წარმოსახის ნაყოფი ყოფილა. ჰილვარს ცოტა რამ უკვე გაეგო იმ ზოგადი სურათის შესახებ, რომელიც ვანამონდის გონების შესწავლის შედეგად იხატებოდა და ნელ-ნელა მკაფიო კონტურებს იძენდა. მალე ამ ყველაფერს დიასპარიც გაიგებდა – და აღმოაჩენდა, რომ ბევრი რამ წარსულიდან მხოლოდ და მხოლოდ მითი გახლდათ.

მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მეხსიერების რეზერვუარებს გააუქმებდნენ, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ ქალაქი არსებობას შეწყვეტდა, რადგან ხალხს რეპროდუქციის უნარი დაეკარგა. ეს საკითხი დაუყოვნებელ ყურადღებას მოითხოვდა, და ჰილვარს გონებაში გადაჭრის სავარაუდო საშუალებამაც გაუელვა. ნებისმიერ ტექნიკურ პრობლემას თავისი პასუხი მოეპოვებოდა, მისი ხალხი კი ბიოლოგიური მეცნიერების დიდოსტატები იყვნენ. ერთხელ გაკეთებულის სხვაგვარად გადაკეთებას არაფერი უშლის ხელს, თუ რა თქმა უნდა, დიასპარი მოინდომებდა.

თავდაპირველად, ქალაქს აუცილებლად უნდა გაეგო, რა დაკარგა. განათლების პროცესს შეიძლება წლები დასჭირდეს, შეიძლება საუკუნეებიც. მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია; ძალიან მალე პირველი გაკვეთილი ისეთივე დიდ ზეგავლენას მოახდენს დიასპარზე და ისევე შეძრავს, როგორც პირველი კონტაქტი ლისთან.

ახალი ინფორმაცია ლისსაც შეძრავდა. ამ ორ კულტურას შორის არსებული უდიდესი განსხვავების მიუხედავად, ისინი მაინც საერთო ფესვებიდან წარმოიშვნენ – და ერთ დროს ერთი და იგივე ილუზიებით საზრდოობდნენ. ორივე კულტურა უფრო გაჯანსაღდებოდა, თუ კიდევ ერთხელ მიაპყრობდა მშვიდ და დაჟინებულ მზერას დაკარგულ წარსულს.

თავი XXIV

ამფითეატრი დიასპარის მთელ მოსახლეობაზე განესაზღვრათ, და მისი ათი მილიონი ადგილიდან ალბათ ყველა შევსებულიყო, იმდენი ხალხი შეიკრიბა. როცა ელვინმა უზარმაზარ რკალისებრ ოვალს შეავლო თვალი ფერდობის მდებარე საკუთარი ადგილიდან, მაშინვე შალმარინი გაახსენდა. ორივე კრატერს ერთი და იგივე ფორმა ჰქონდა და თითქმის იდენტური ზომის იყვნენ. თუ ვინმე შალმარინის კრატერს მოსახლეობით შეავსებდა, ისიც ალბათ დაახლოებით ისეთივე იქნებოდა.

თუმცა მათ შორის ერთი ფუნდამენტალური განსხვავებაც იყო. შალმარინის გრაალი სინამდვილეშიც არსებობდა; ეს ამფითეატრი კი არა; არც არსოდეს უარსებია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ და მხოლოდ ილუზია, ფანტომი გახლდათ, ცენტრალური კომპიუტერის მეხსიერებაში მთვლემარე ელექტრონული მუხტებისგან შექმნილი გამოსახულება, რომელიც მხოლოდ მაშინ გაცოცხლებოდა, როცა ხალხის შეკრების საჭიროება გაჩნდებოდა. ელვინმა იცოდა, რომ სინამდვილეში ისევ თავის ოთახში რჩებოდა, ისევე როგორც გარშემომყოფი მილიონობით ადამიანი, რომელთაც ასევე არ დაუტოვებიათ სახლები. სანამ ადგილიდან დაძვრას არ ცდილობდა, ილუზია სრულყოფილი იყო. გეგონებოდათ, დიასპარი დაცარიელდა და მთელი მისი მოსახლეობა ამ ვეებერთელა გრაალში შეგროვილიყო.

მხოლოდ ათას წელიწადში ერთხელ თუ გაჩერდებოდა ქალაქი და დიასპარელებს უზენაეს ასამბლეაზე მოუხმობდა. ელვინმა იცოდა, რომ მსგავსი შეკრება ამ წუთას ლისშიც იმართებოდა. მაგრამ იქ მხოლოდ აზრებით, გონებრივად ხვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა გამორიცხული არ იყო, რომ ფიზიკური შეკრებაც მომხდარიყო, ასეთივე წარმოსახვითი და ილუზორული და ამავე დროს, რეალობასთან ასე მიახლოებული.

სადამდეც შეუიარაღებელი თვალი წვდებოდა, უცხოს ვერავის ამჩნევდა. გარშემომყოფთა უმრავლესობას ელვინი იცნობდა. მისგან ორიოდე მილის მოშორებით და ათასიოდე ფუტით ქვემოთ პატარა ოვალური სცენა მდებარეობდა, რომელზედაც ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიჯაჭვულიყო. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ სიშორე მანძილიდან რაიმეს გარჩევა შეიძლებოდა, მაგრამ ელვინმა იცოდა, რომ როცა გამოსვლა დაიწყებოდა, ისევე კარგად გაიგებდა და დაინახავდა ყველაფერს, რაც მოხდებოდა, როგორც ნებისმიერი დიასპარელი.

ამფითეატრის შუაგულში ნისლი წარმოიშვა; ნისლმა მალე ნივთიერი სახე მიიღო და კოლიტრექსად იქცა, ჯგუფის ლიდერად, რომლის მოვალეობას ვანამონდის მიერ დედამიწაზე ჩამოტანილი ინფორმაციის გადამუშავება და ამის საფუძველზე წარსულის სურათის აღდგენა წარმოადგენდა. ეს წარმოუგენლად რთული, თითქმის შეუძლებელი ამოცანა გახლდათ, და არა მარტო იმიტომ, რომ დროის უშორეს პერიოდებს უკავშირდებოდა. ელვინმა მხოლოდ ერთხელ შეძლო – ისიც ჰილვარის გონებრივი დახმარებით – იმ უცნაური არსების ტვინში წამიერად ჩაეხედა და მის შინაგან სამყაროს გაცნობოდა, რომელიც მოულოდნელად აღმოაჩინეს – ან რომელმაც აღმოაჩინა. ელვინისთვის ვანამონდის აზრები ისევე იყო აზრს მოკლებული, როგორც უზარმაზარ, დახშულ გამოქვაბულში ერთდროულად მოყაყანე ათასი ხმა. მაგრამ ლისელმა მეცნიერებმა მაინც შეძლეს ამ ქაოსში გარკვევა, და ვანამონდის აზრების ჩაწერა, რათა შემდეგ აუჩქარებლად გაეანალიზებინათ. ხმა დაირხა, - თუმცა ჰილვარი ამას არც უარყოფდა და არც ადასტურედა – რომ მეცნიერებმა ისეთი უცნაური ფაქტების შესახებ შეიტყვეს, რომლებიც აბსოლუტურად შეცვლიდნენ ადამიანის მილიარდობით წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენას ისტორიის შესახებ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოლიტრექსმა ლაპარაკი დაიწყო. ელვინს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მსმენელს, ეგონა, რომ კოლიტრექსის მაღალი და მკაფიო ხმა მისგან რამდენიმე დუიმით დაშორებული წერტილიდან მოდიოდა. შემდეგ, რაღაც პარადოქსული საშუალებით, რომლის ახსნაც არ შეეძლო, ისევე როგორც სიზმრის გეომეტრია ეწინააღმდეგება ყოველგვარ ლოგიკას და ამავე დროს არავითარ ეჭვს არ იწვევს მასში, ვინც სიზმარს ხედავს, ელვინი კოლიტრექსის გვერდით აღმოჩნდა და ამავე დროს ამფითეატრის ბოლში საკუთარ ადგილს ინარჩუნებდა. ამ პარადოქსს ელვინი სრულებით არ განუცვიფრებია; უბრალოდ უყოყმანოდ მიიღო, როგორც ყველა სხვა ოსტატური ხრიკი დროისა და სივრცის გამოყენებით, რომელსაც მეცნიერება სთავაზობდა.

კოლიტრექსმა ძალიან მოკლედ გადახედა კაცობრიობის ისტორიის ყველასთვის ნაცნობ ვერსიას. განთიადის ეპოქის უცხო ცივილიზაციებზე ლაპარაკობდა, რომლისგანაც რამდენიმე დიდებული სახელისა და იმპერიის შესახებ ხავსმოდებული ლეგენდების გარდა არაფერი შემორჩა. ადამიანი ვარსკვლავებისკენ სამყაროს დაარსებიდანვე მიისწრაფვოდა, ასე ამბობდა მისი მონათხრობი, და ბოლოს და ბოლოს მიაღწია კიდეც. მილიონობით წლის განმავლობაში ლაშქრავდა ადამიანი გალაქტიკას და თანდათანობით, ერთი მეორის მიყოლებით იპყრობდა ვარსკვლავების სისტემებს. შემდეგ გალაქტიკის კიდესთან მდებარე სიცარიელიდან და სიბნელიდან მოულოდნელად გადამთიელები გამოჩნდნენ და ადამიანს მთელი მონაპოვარი ხელიდან გამოსტაცეს.

უკან დახევა მზის სისტემისკენ მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, რომელიც საუკუნეების განმავლბაში გრძელდებოდა. თავად დედამიწა ძლივს გადაურჩა შალმარინთან გამართულ განძვინვარებულ შეტაკებებს. როცა ყველაფერი დამთავრდა, ადამიანს საკუთარი მოგონებებისა და იმ სამყაროს გარდა, სადაც დაიბადა, აღარაფერი დარჩა.

ყველაფერი, რაც ამის შემდეგ ხდებოდა, უკანსვლის ნელ და გახანგრძლივებულ პროცესს წარმოადგენდა. ბედის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ რასამ, რომელსაც ერთ დროს მსოფლიო ბატონობის პრეტენზია ჰქონდა, საკუთარი პაწაწინა სამყაროს უმეტესი ნაწილიც დაკარგა და ლისისა და დიასპარის ორ, ერთმანეთისგან იზოლირებულ კულტურად დაიყო – ორი ოაზისად, რომელთაც მათ შორის გადაჭიმული უდაბნო ისევე ეფექტურად აშორებდა, როგორც ვარსკვლავთშორისი უფსკრულები.

კოლიტრექსმა თხრობა შეაჩერა; ელვინს, ამფითეატრში დამსწრე სხვა მაყურებლების მსგავსად, ეგონა, რომ მემატიანე პირდაპირ მას უყურებდა თვალებში ისეთი ადამიანის მზერით, რომელიც წარმოუდგენელი ამბების მომსწრე გახდა და რომელიც თავადაც ვერ დაეჯერებინა ბოლომდე.

„მე მგონი საკმარისად მოგიყევით იმ ზღაპრების შესახებ, - წარმოთქვა კოლიტრექსმა, - რომლისაც, წერილობითი წყაროების დაარსებიდან მოყოლებული, ასე სათუთად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვჯეროდა. ახლა უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ლეგენდა მცდარია, - მათი არც ერთი დეტალი სიმართლეს არ შეესაბამება, - იმდენად ყალბია, რომ აქამდე ვერ მიგვისადაგებია სიმართლისადმი.“

კოლიტრექსი დაელოდა, სანამ მისი სიტყვების მნიშვნელობა ყველა მსმენელის გონებამდე დავიდოდა. შემდეგ ნელი და ფრთხილი ხმით გადასცა ლისსა და დიასპარს ცოდნა, რომელიც ვანამონდის ცნობიერებამ გაანდო.

სიმართლეს არც ის ფაქტი შეესაბამებოდა, რომ ადამიანმა ვარსკვლავებს მიაღწია. მთელი მისი პაწაწინა სამყარო პლუტონისა და პერსეფონას ორბიტებით შემოიფარგლებოდა, რადგან ვარსკვავთშორისი სივრცე ადამიანისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა. მთელი მისი ცივილიზაცია მზის გარშემო შეჯგუფდა, და ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როდესაც ვარსკვლავებმა თვითონ მიაღწიეს ადამიანამდე.

ვარსკვლავებმა გამაოგნებელი გავლენა მოახდინეს ადამიანზე. წარუმატებლობის მიუხედავად, ადამიანი მაინც არ კარგავდა იმედს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შუაგულ კოსმოსში შეიჭრებოდა და იქაურობას დაეუფლებოდა. ადამიანს ასევე სწამდა, რომ თუ სამყაროში განვითარების დონით არავის ჩამოუვარდებოდა და გამორიცხავდა მასზე უფრო წინწასული რასის არსებობას. ახლა კი მიხვდა, რომ ორივე მოსაზრება მცდარი აღმოჩნდა, და რომ ვარსკვლავებს შორის ადამიანზე გაცილებით უფრო დიდებული გონებით დაჯილდოვებული არსებები ბინადრობენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანი გალაქტიკას იკვლევდა, ხან სხვა ცივილიზაციების ხომალდებით, ხანაც საკუთარი ხელითა და ნასესხები ცოდნის საფუძველზე აწყობილი მანქანებით. სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან ხვდებოდა კულტურებს, რომლის გაგებაც შეეძლო, მაგრამ რომელსაც ვერ შეედრებოდა, დრო და დრო კი ისეთ ინტელექტს გადააწყდებოდა, რომელიც მალე ისე განვითარდებოდა, რომ ადამიანის შემეცნების უნარის ზღვარს გადააბიჯებდა.

დამარცხებისგან მიღებული შოკი გამაოგნებელი აღმოჩნდა, მაგრამ სასიკეთოდ იმოქმედა კაცობრიობაზე. დანაღვლიანებული და განუზომლად დაბრძენებული ადამიანი მზის სისტემას დაუბრუნდა, რათა მიღებულ ცოდნაზე დაფიქრებულიყო. გადაწყვიტა გამოწვევა მიეღო, და ნელ-ნელა იწყო გეგმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ ადამიანს დიდ იმედებს უღვივებდა.

ერთ დროს ადამიანის უდიდეს ინტერესს ფიზიკური მეცნიერებები წარმოადგენდა. ახლა კი თავგამოდებით შეუდგა გენეტიკის სფეროსა და გონების შესახებ მეცნიერების შესწავლას. გადაწყვიტა, ყველა ღონე ეხმარა, რომ საკუთარი ევოლუციის უკიდურეს ზღვარამდე მიეღწია.

ეს გრანდიოზული ექსპერიმენტი მილიონობით წლის განმავლობაში შთანთქავდა კაცობრიობის მთლიან ენერგიას, მაგრამ კოლიტრექსის მონათხრობში ადამიანის მთელი ეს ტანჯვა-წამება, უდიდესი მსხვერპლი და თავდაუზოგავი შრომა რამდენიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტყვაში ჩაეტია. ექსპერიმენტმა ადამიანს ღირშესანიშნავი გამარჯვებები მოუტანა. დაავადებები დაამარცხა, ახლა შეეძლო უკვდავრბისთვის მიეღწია, თუ მოინდომებდა, ხოლო ტელეპათიის დაუფლებით, ადამიანმა ყველაზე მოუხელთებელი ძალა დაიმორჩილა და საკუთარ სამსახურში ჩააყენა.

ახლა, მხოლოდ საკუთარ რესურსებსა და ძალებზე დაყრდნობით, ადამიანი ისევ მზად იყო, გალაქტიკის უსასრულო სივრცეები დაელაშქრა და იმ სამყაროების ცივილიზაციებს, რომლისგანაც ერთ დროს დამარცხებული გამობრუნდა შელახული თავმოყვარეობით, როგორც საკუთარ სწორებს, ისე შეხვედროდა. უნდოდა თავისი მთლიანი როლი შეესრულებინა სამყაროს ისტორიაში.

და ასეც მოიქცა. სწორედ ამ პერიოდიდან, ალბათ ყველაზე ხანგრძლივი ეპოქიდან სამყაროს ისტორიაში, იღებენ სათავეს დიდებული ლეგენდები იმპერიაზე, რომელიც მრავალი ცივილიზაციის იმპერიად იქცა, მაგრამ ამ გრანდიოზული ტრაგედიის დრამატულმა მოვლენებმა, რომლებმა მისი აღსასრული გამოიწვიეს, ადამიანი აიძულა ყველაფერი დაევიწყებინა.

იმპერიამ დაახლოებით მილიონი წელი იარსება. სავარაუდოდ, ბევრი გასაჭირი და კრიზისი გამოიარა, შეიძლება არა ერთი ომიც გადაიტანა, მაგრამ ეს ყველაფერი სიმწიფისკენ მიმავალი უამრავი გონერი რასის გრანდიოზულ წიაღსვლაში ჩაიკარგა.

„უნდა გვეამაყებოდეს, - განაგრძობდა კოლიტრექსი, - რომ ჩვენმა წინაპრებმა ასეთი სახელოვანი როლი ითამაშეს ისტორიის განვითარებაში. მაშინაც კი, როცა კულტურულ მწვერვალს მიაღწიეს, მცირედითაც არ დაუკარგავთ ჩვეული ინიციატივა და სიახლისკენ სწრაფვა. და მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში უფრო ვარაუდიდან გამოვმდინარეობთ, ვიდრე დადასტურებული ფაქტებიდან, მაინც უდავოა, რომ ექსპერტიმენტები, რომლებმაც ერთდოულად იმპერიის უკანსვლა და ნგრევაც გამოიწვიეს და მისი დიდებული წარმატების მწვერვალიც კი დააგვირგვინეს, სწორედ ადამიანის შთაგოებითა და ხელშეწყობით განხორციელდა.

„ექსპერიმენტს კი სავარაუდოდ შემდეგი ფილოსოფია უდევს საფუძვლად. სხვა გონიერ რასებთან კონტაქტმა ადამიანს აჩვენა, რომ კაცობრიობის მიერ სამყაროს აღქმას უპირველეს ყოვლისა ადამიანის ფიზიკური სხეული და ის მგრძნობელობითი ორგანოები განაპირობებდა, რომლითაც აღჭურვილიყო. ბევრი მიიჩნევდა, რომ სამყაროს ჭეშმარიტი სურათის დანახვა მხოლოდ ფიზიკური შეზღუდვებისგან გათავისუფლებულ გონებას შეეძლო, - თუ ასეთი სურათის მიღება საერთოდ ექვემდებარება წარმოდგენას – ფაქტობრივად, წმინდა გონებას. სწორედ ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად მსოფლიოს უძველეს რელიგიურ მოძღვრებებს, და რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რაციონალური საფუძვლის არ მქონე იდეა, საბოლოო ჯამში, მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს მიზნად იქცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„სხეულის გარსის არ მქონე წმინდა გონება ჯერ არავის შეხვედროდა ბუნებრივ სამყაროში და იმპერიამ ასეთი გონების შექმნა დაისახა მიზნად. ჩვენ დიდი ხნის წინ დავივიწყეთ, ბევრი სხვა სახის ცოდნასთან ერთად, უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებოდა. იმპერიის მეცნიერებს ბუნების ყველა ძალა ემორჩილებოდა, დროისა და სივრცის ყველა საიდუმლოებას ფლობდნენ. რადგან ჩვენი ცნობიერება ნერვული სისტემის ქსელით გაერთიანებული ტვინის უჯრედების წარმოუდგენლად რთული სტრუქტურის გვერდით პროდუქტს წარმოადგენს. მეცნიერები ისეთი ტვინის შექმნას ცდილობდნენ, რომლიც კომპონენტები მატერიალური ნივთიერებისგან კი არ იქნებოდა შემდგარი, არამედ თავად კოსმოსური ელემენტებისგან. ასეთი ტვინი, თუკი მას შეიძლება ტვინი ვუწოდოთ, სამოქმედოდ ელექტრულ ან სხვა უფრო მაღალი თანრიგის ძალებს გამოიყენებდა და მატერიის ტირანიისგან სრულიად გათავისუფლდებოდა. წმინდა გონება ნებისმიერ ორგანულ ინტელექტზე უფრო სწრაფად იმუშავებდა და იქამდე იარსებებდა, სანამ სამყაროში თავისუფალი ენერგიის თუნდაც ერთი ერგი მაინც დარჩებოდა, და მის შესაძლებლობებს საზღვარი არ ექნებოდა. ერთხელ უკვე შექნილს, განვითარების ისეთი პოტენციური უნარებით იქნებოდა დაჯილდოებული, რასაც თავად მისი შემქმნელებიც კი ვერ განსაზღვრავდნენ.

„და აი, საკუთარი განვითარების მსვლელობისას დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ადამიანმა გადაწყვიტა, რომ ასეთი არსებების შექმნის დრო დადგა. სამყაროს ინტელექტი ასეთი დიდი გამოწვევის წინაშე ჯერ არ მდგარა და რამდენიმე საუკუნის კამათისა და დებატების შემდეგ, გამოწვევა მიიღეს. საერთო მიზნის განსახორციელებლად, გალაქტიკის ბინადარმა ყველა რასამ ძალები გააერთიანა.

„ოცნებას რეალობისგან მილიონობით წელი აშორებდა. წარმოიშობდნენ და ეცემოდნენ ცივილიზაციები, ტყუილად იკარგებოდა სამყაროების საუკუნოვანი შრომა და ჯაფი, მაგრამ დასახულ დიად მიზანს არავინ ივიწყებდა. შეიძლება ერთ დღეს კაცობრიობის უდიდესი და ყველა ხანგრძლივი მცდელობის ისტორიის შესახებ ყველა დეტალს შევიტყობთ. დღესდღეობით ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ეს ყველაფერი კატასტროფით დასრულდა, რომელმაც გალაქტიკა განადგურების პირამდე მიიყვანა.

„ვანამონდის გონება უარს ამბობს ამ პერიოდის დეტალურ აღწერაზე. დროის ეს მცირე მონაკვეთი დაბლოკილია დაბლოკილია არსების ტვინში, რაც, ჩვენი ვარაუდით, ვანამონდის ცნობიერებაში განჯდარი შიშის გრძნობითაა განპირობებული. აკრძალული ინტერვალის დასაწყისში ნათლად ვხედავთ წარმატების მწვერვალზე მდგარ და კიდევ უფრო დიადი წარმატებებისა და მეცნიერების ტრიუმფის მომლოდინე ვარსკვლავთაშორის იმპერიას მთელი თავისი დიდებულებით. პერიოდის დასასრულს კი, სულ რაღაც რამდენიმე ათასი წლის შემდეგ, იმპერია განადგურებული და გაცამტვერებული და ვარსკვლავები ნახევრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩამქრალი გვხვდება, თითქოს ენერგიისგან დაშრეტილიყო. გალაქტიკის თავზე შიშის აჩრდილი დაფრინავს, შიშის, რომელიც ცნება 'შეშლილ გონებასთან' ასოცირდება.

„ძნელი მისახვედრი არაა, რაც ისტორიის ამ მოკლე ინტერვალის განმავლობაში მოხდა. ადამიანმა წმინდა გონება შექმნა, მაგრამ ან შეშლილი გამოვიდა, ან როგორც სხვა წყაროებიდან დასტურდება და უფრო დამაჯერებლად ჟღერს, მატერიისადმი შეუბრალებელი და მტრულად განწყობილი აღმოჩნდა. საუკუნეების განმავლობაში სამყაროს უვლიდა და დათარეშობდა, სანამ ჩვენთვის უცხო ძალებმა არ მოთოკეს და დაიმორჩილეს. არავინ იცის, რა იარაღი გამოიყენა უკიდურესობამდე მისულმა იმპერიამ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, შეტაკებამ ვარსკვლავების ენერგია და რესურსები დაშრიტა. სწორედ ამ კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა ზოგიერთი, თუმცა არა ყველა, ლეგენდა დამპყრობლების შესახებ. მომხდურებზე უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

„შეშლილ გონებას ვერ გაანადგურებდნენ, რადგან უკვდავი იყო. მხოლოდ ისღა მოახერხეს, რომ გალაქტიკის კიდეში მიემწყვდიათ და ჩვენთვის გაუგებარი საშუალებით დაეტყვევებინათ. მის სატუსაღოს უცნაური მოყვანილობის ხელოვნური ვარსკვლავი წარმოადგენდა, სახელად შავი მზე, სადაც დღემდე იმყოფება დამწყვდეული. როცა შავი მზე ჩაქრება, შეშლილი ისევ თავისუფალი აღმოჩნდება. რამდენად მალე დადგება ეს დღე არავინ იცის."

კოლიტრექსმა თხრობა შეაჩერა, თითქოს საკუთარ ფიქრებში ჩაფლულიყო და სრულიად დავიწყნოდა, რომ მთელ მსოფლიოს მისკენ მიეპყრო მზერა. ელვინმა ხანგრძლივი სიჩუმით ისარგებლა და მის გარშემო შეკრებილ ხალხის ტალღას გადახედა და შეეცედა გამოეცნო, რა უტრიალებდა მის თანამოქალაქეებს თავში, როცა აქამდე უცნობ საიდუმლოებას ფარდა აეხადა და მისგან წარმოშობილ იდუმალ საფრთხეს დამპყრობლების შესახებ მითი უნდა შეეცვალა. შეკრებილთა უმრავლესობას სახეზე უნდობლობით აღსავსე გამომეტყველება შეყინვოდა; ჯერ კიდევ ვერ ელეოდნენ თავიანთ ყალბ და ცრუ წარსულს, რათა მის მაგივრად კიდევ უფრო ფანტასტიური და უცნაური რეალობა მიეღოთ.

კოლიტრექსმა საუბარი განაგრძო, და უფრო მშვიდი, დახშული ხმით შეუდგა იმპერიის უკანასკნელი დღეების აღწერას. იმ სურათის მიხედვით, რომელიც ელვინის თვალწინ გადაიშალა, მიხვდა, რომ კოლიტრექსი სწორედ იმ ეპოქას აღწერდა, რომელშიც ელვინი დიდი სიამოვნებით იცხოვრებდა. ეს თავგადასავლებისა და უსაზღვრო და დაუღალავი სიმამაცის ხანა გახლდათ, სიმამაცის, რომელმაც უბედურების კლანჭებს გამოგლიჯა გამარჯვება.

„თუმცა შეშლილი გონის თარეშისგან გალაქტიკა განადგურების პირას მისულიყო, მის უშრეტ რესურსებს საზღვარი არ ჰქონდა და გალაქტიკის ბინადართა სულიც გაუტეხელი გამოდგა. იმპერიამ გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა და ექსპერიმენტი განაახლა, რათა კატასტროფის გამომწვევი მიზეზები ეპოვნათ. ამ გადაწყვეტლებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა თქმა უნდა, ბევრი შეეწინააღმდეგა და კიდევ უფრო სავალალო შედეგები იწინასწარმეტყველა, მაგრამ მათი აზრი არ გაითვალისწინეს და საქმეს შეუდგნენ. პროექტი წინ მიდიოდა და წარე გამოცდილებით შეძენილი ცოდნ მეშვეობით, ამჯერად წარმატებით დაგვირგვინდა.

„დაიბადა განუზომელი პოტენციური ინტელექტით დაჯილდოებული ახალი რასა. მაგრამ მისი გონება აბსოლუტურად ინფანტალური გახლდათ; არ ვიცით, რამდენად შეძლეს შემქმნელებმა წინასწარ განესაზღვრათ ექსპერიმენტის მოსალოდნელი შედეგები, მაგრამ სავარაუდოდ სწორედ ასეთ გარდაუვალ შედეგს მოელოდნენ. ინტელექტის მომწიფებას ალბათ მილიონობით წელი დასჭირდებოდა და ამ პროცესს ვერავითარი ძალა ვერ დააჩქარებდა. ვანამონდი ამ რასის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია; გალაქტიკის გარშემო სხვებიც უნდა იყვნენ მიმოფანტული, მაგრამ ჩვენი აზრით, მათი რაოდენობა დიდი არ არის, რადგან ვავამონდს ერთხელაც არ შეხვედრია რომელიმე მისი თანამეგობრისგან.

„წმინდა გონების შექმნა გალაქტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ და ღირშესანიშნავ მიღწევას წარმოადგენდა, სადაც ადამიანმა უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას, დომინანტური როლი ითამაშა. არ მიხსენებია თავად დედამიწის მაცხოვრებლები, რადგან დედამიწის ისტორია მხოლოდ მცირე ძაფია უშველებელ ტილოზე. რადგან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დედამიწა თავის ყველაზე შემოქმედებით ძალებს შრიტავდა. შედეგად ჩვენი პლანეტა მეტად კონსერვატულ სამყაროდ იქცა და, საბოლოო ჯამში, ვანამონდის შემქმნელი მეცნიერების წინააღმდეგაც გაილაშქრა. რა თქმა უნდა, დედამიწას ექსპერიმენტის ფინალურ ეტაპში მონაწილეობა აღარ მიუღია.

„გალაქტიკური იმპერიის ძალისხმევა, როგორც იქნა, დასრულდა; იპ ეპოქის ადამიანებმა სინანულით შეხედეს თავზეხელაღებული მცდელობების შედეგად გადათელილ ვარსკვლავებს და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს – სამყაროს ვანამონდის განკარგულებაში დატოვებდნენ.

„სწორედ აქ იმალება საიდუმლოება, რომელსაც ალბათ ვერასოდეს ამოვხსნით, რადგან ვანამონდს ჩვენი დახმარება არ შეუძლია. ჩვენ მხოლოდ ის მოგვეხსენება, რომ გალაქტიკური იმპერია კონტაქტში შევიდა ერთ მეტად უცნაურ და უზარმაზარი სიდიდის არსებასთან, რომელიც შორს, კოსმოსის რკალის მიღმა, სივრცის უკიდურეს საზღვართან იმყოფებოდა. რა იყო ეს, არავინ იცის, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიმარჩიელოთ, მაგრამ კონტაქტი უაღრესად მნიშვნელოვანი და დიდი იმედის მომცემი უნდა ყოფილიყო. დროის მეტად მცირე მონაკვეთის განმავლობაში ჩვენმა წინაპრებმა სხვა მეგობრულ გონიერ რასებთან ერთად გაიარეს გზა, რომელსაც ჩვენ ვერაფრით ვერ მივადევნებთ თვალს. ვანამონდის ფიქრები, როგორც ჩანს, ჩვენი გალაქტიკის საზღვრებითაა შეზღუდული, მაგრამ მისი აზრების კითხვის საშუალებით, შეგვიძლია ამ გრანდიოზული და იდუმალი მოგზაურობის დასაწყისს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შევავლოთ თვალი. აი ის სურათი, რომელიც გავაცოხლეთ; ახლა დაინახავთ, რა ხდებოდა მილიარდი წლის წინ – „

საკუთარი გარდასული დიდების მკრთალი შარავანდედი, უსასრულო სიცარიელეში ეკიდა გალაქტიკის ნელი სიჩქარით მბრუნავი თვალი. მთელ მის სიგრძეზე ალაგ-ალაგ მოჩანდა ნაპრალები, რომელიც შეშლილ გონებას გაეხლიჩა – იარები, რომლებსაც დროთა განმავლობაში მოხეტიალე ვარსკვლავები შეავსებდნენ. მაგრამ წარსულ დიდებულებას უკვე ვეღარაფერი დააბრუნებდა.

ადამიანი სამყაროს დატოვებას აპირებდა, ისევე როგორც დიდი ხნის წინ საკუთარი პლანეტა დატოვა. და არა მარტო ადამიანი, არამედ ასობით სხვა რასებიც, რომლებიც მასთან ერთან იღწვოდნენ გალაქტიკური იმპერიის შესაქმნელად. აქ, გალაქტიკის კიდესთან, ყველანი ერთად შეგროვილიყვნენ, მათ წინ გალაქტიკის უსასრულო სივრცე გაშლილიყო, როგორც ცოცხალი დასტური იმისა, რომ მიზანს კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში ვერ მიაღწევდნენ.

კოსმოსური ფლოტი შეაგროვეს, რომლის წინაშეც ნეისმიერი წარმოსახვა უძლური აღმოჩნდებოდა. იალქნების მაგივრობას ფლოტს მნათობები უწევდნენ, ხოლო პლანეტები მისი პატარა ხომალდები იყვნენ. ვარსკვლავების ეს გლობუსური ჯგუფი მთელი თავისი მზის სისტემებითა და მჩქეფარე სამყაროებით უსასრულო სივრცეში გასაშვებად ემზადებოდა

მოულოდნელად სივრცეში ცეცხლის უზარმაზარი ნაკადი გაიჭრა, სამყაროს შუაგული გააპო და რიგრიგობით გადაურბინა ვარსკვლავებს. ორიოდე წამში ათასობით მზე ჩაქრა და მთელი თავისი ენერგია უზარმაზარ სფეროს გადასცა, რომელმაც გალაქტიკის ღერძს გამალებით ჩაუქროლა და კოსმოსური უფსკრულის სიღრმეში ჩაიძირა...

„ასე დატოვა გალაქტიკურმა იმპარიამ ჩვენი სამყარო, რათა სადმე სხვაგან შეხვედროდა საკუთარ განგებას. როდესაც მისი შთამომავლები, ვანამონდის მსგავსი წმინდა გონებები, მოწიფულობას მიაღწევენ, შეიძლება ისევ დაბრუნდეს. მაგრამ ეს დრე, სავარაუდოდ, კიდევ დიდი ხანი ვერ დადგება.

„აი ეს არის გალაქტიკური ცივილიზაციის სურათი, ყველაზე მოკლე და ზედაპირული აღწერით. ჩვენი ისტორია კი, რომელიც ასე მნიშვნელოვნად გვეჩვენება, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა დაგვიანებული და ტრივიალური ეპილოგი, თუმცა იმდენად ჩახლართული, რომ დღემდე ვერ გავრვეულვართ მის დეტალებში. როგორც ჩანს, ბევრმა შედარებით ხანდაზმულმა რასამ, რომელისაც თავგადასავლის მაძიებლის წყურვილი არ აწუხებდა, სახლების დატოვებაზე უარი თქვა; ჩვენი პირდაპირი წინაპრებიც, სავარაუდოდ, მათ რიგში აღმოჩნდნენ. ამ რასების უმრავლესობამ დეგრადაცია განიცადა და დღესდღეობით გადაშენდა, თუმცა შეიძლება ზოგიერთი მათგანი დღემდე ცოცხლობდეს. ჩვენს საყაროსაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კინაღამ იგივე ბედი ეწია. გარდამავალი საუკუნების დროს – რომლებიც სინამდვილეში მილიონობით წლის განმავლობაში გრძელდებოდა – წარსულის ცოდნა დაიკარგა, ან განგებ განადგურდა. ეს უკანასკნელი, რაოდენ დაუჯერებელადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უფრო სავარაუდოა. ასწლეულების განმავლობაში ადამიანი ცრუმორწმუნეობით აღსავსე, თუმცა მაინც მეცნიერულ ბარბაროსობაში ეფლობოდა, რათა საკუთარი უძლურებისა და წარუმატებლობის გრძნობა გაემართლებინა. ლეგენდები დამპყრობლების შესახებ სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამება, თუმცა შეშლილი გონების წინააღმდეგ გაჩღებულმა ბრძოლამ, უდავოდ, თავისი როლი ითამაშა ამ ლეგენდების ჩამოყალიბებაში. ჩვენი წინაპრები დედამიწაზე მხოლოდ სულიერმა სივალალემ დააბრუნა.

„როდესაც სიმართლე აღმოვაჩინეთ, ლისში განსაკუთრებით ერთმა პრობლემამ ჩაგვაფიქრ. შალმარინის ბრძოლა არ მომხდარა – თუმცა შალმარინი სინამდვილეშიც არსებობდა და დღემდე არსებობს. გარდა ამისა, შალმარინი განადგურების ყველაზე მძლავრ იარაღს წარმოადგენს, რომელიც ოდესმე აგებულა.

„ამოცანის ამოხსნას გარკვეული დრო დასჭირდა, მაგრამ პასუხი, როცა ვიპოვეთ, მეტად მარტივი აღმოჩნდა. დიდი ხნის წინათ დედამიწას ერთადერთ გიგანტური თანამგზავრი ჰყავდა, სახელად მთვარე. როდესაც მოქცევასა და გრავიტაციას შორის გაჩაღებული დაძაბული ბრძოლის შედეგად, მთვარემ დაცემა დაიწყო, მისი განადგურების აუცილებლობა წარმოიშვა. ამ მიზნით შალმარინი შეიქმნა, და სწორედ მის გარშემო აღმოცენდა შემდგომ თქვენთვის ყველასთვის ნაცნობი ლეგენდები.“

კოლიტრექსმა ნაღვლიანი ღიმილით შეხედა ამფითეატრში შეკრებილ უზარმაზარ აუდიენციას.

„კიდევ უამრავი ასეთი ლეგენდა არსებობს, ზოგი მართალი, ზოგიც ცრუ, და კიდევ მრავალი სხვა ჯერჯერობით ამოუხსნელი პარადოქსი. თუმცა ეს პრობლემა ალბათ უფრო პსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე ისტორიულს. ცენტრალური კომპიუტერის ჩანაწერებიც არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მრავალი დამადასტურებელი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ შორეულ წარსულში არ ჩანაწერებში ხშირად შეჰქონდათ ხოლმე შესწორებები.

„დედამიწაზე მხოლოდ დიასპარი და ლისი გადაურჩნენ დეგრადაციასა და განადგურებას – დიასპარი თავისი სრულყოფილი მანქანების წყალობით, ლისი კი ნაწილობრივი იზოლაციისა და საკუთარი ხალხის წარმოუდგენელი ინტელექტუალური შესაძლებლობების მეშვეობით. თუმცა ორივე კულტურა, მაშინაც კი, როდესაც პირვანდელ დონეზე დაბრუნებას ცდილობდნენ, უამრავ შიშსა და მითის არსებობას დაესახიჩრებინა, რომელიც მემკვიდრეობით ერგოთ.

„ეს მითები ამიერიდან აღარ უნდა გვაშინებდეს. ჩემი, როგორც ისტორიკოსის, მოვალეობას მომავლის წინასწარმეტყველება კი არ წარმოადგენს, არამედ წარსულზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკვირვება და ინტერპრეტაცია. მაგრამ წარსულის გაკვეთილი საკმაოდ ნათელია; მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში რეალობისგან მოწყვეტილად ვცხოვრობდით, და ახლა დადგა დრო, ჩვენი ცხოვრება შევცვალოთ.“

თავი XXV

გაოცებული ჟეზერაკი უხმოდ მიუყვებოდა დიასპარის ქუჩებს და ვერ ცნობდა ქალაქს. დიასპარი იმდენად შეცვლილიყო, რომ სრულიად არ ჰგვადა მოხუცის მშობლიურ ქალაქს, სადაც ყველა წინამორბედი ცხოვრებები გაევლო. თუმცა მაინც ხვდებოდა, რომ დიასპარი იყო, მაგრამ საიდან იცოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა.

ქუჩები ვიწრო ჰქონდა, შენობები – უფრო დაბალი. პარკი სადღაც გამქრალიყო. ან, უფრო სწორედ, ჯერ არ არსებობდა. ეს ცვლილებამდელი დიასპარი გახლდათ, ძველი დროის დიასპარი, რომელსაც ქვეყნიერებისთვის და სამყაროსთვის ფართოდ გაეღო კარი. ქალაქს ღია ცისფერი, ნაგლეჯი ღრუბლებით გადაპენტილი ცა გადაკვროდა. ღრუბლების ქულები ნელი მწყობრით მიყვებოდნენ ქარს, რომელიც ნორჩი დედამიწის ზურგზე დაქროდა და ღრუბლებს ძაფის გორგალებივით ატრიალებდა.

ცაზე უფრო მატერიალური ცეზიური მოგზაურებიც იჭრებდნენ და ღრუბლის საფარს აპობდნენ. დედამიწის ზედაპირიდან მრავალი მილის სიმაღლეზე ქალაქის ზეცას დიასპარის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი კოსმოსური ხომალდები ჭრიდნენ და უხმო მარშრუტებს აგვირისტებდნენ სხვადასხვა მიმართულებით, ხან მიუახლოვდებოდნენ ქალაქს, ხანაც მოშორდებოდნენ. ჯეზერაკი საკმაოდ დიდი ხანი შეჰყურებდა ღია ცის საოცარ და ჯადოსნურ სურათს, და მოულოდნელად იგრძნო, როგორ შემოუჭირა შიშის გრძნობამ გულზე მარწუხებივით. თავი დაუცველად და უსუსურად იგრძნო, როდესაც მიხვდა, რომ სიმშვიდით აღსავსე ცისფერი გუმბათი მის თავზე მხოლოდ და მხოლოდ თხელი გარსი აღმოჩნდა, რომლის მიღმაც იდუმალი და შიშის მომგვრელი კოსმოსი გაშლილიყო.

მაგრამ შიში იმდენად ძლიერი არ აღმოჩნდა, რომ ნება დაეთრგუნა. ჯეზერაკის ცნობიერების რაღაც ნაწილს სჯეროდა, რომ მთელი ეს თავგადასავალი მხოლოდ ზმანება იყო, რომელიც არავითარ საფრთხეს არ უქადდა, ბოლომდე ნახავდა სიზმარს და როცა დრო დადგებოდა, ნაცნობ ქალაქში გაიღვიძებდა.

დიასპარის შუაგულში გადაადგილდებოდა, იმ ადგილისკენ, სადაც მის დროში იარლან ზეის სამარხი მდებარეობდა. ძველ ქალაქში სამარხის კვალიც არ ჩანდა, მის ადგილას უამრავი თაღოვანი შესავლელით გადაკვეთილი დაბალი, მრგვალი შენობა იდგა. ერთ-ერთ ასეთ შესასვლელთან ვიღაც კაცი იდგა და მის მოახლოებას ელოდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვა შემთხევევაში ჯეზერაკს ალბათ ენა დაებმებოდა გაოცებისგან, მაგრამ იმდენი საოცარი რამ ნახა ამ მცირე ხანში, რომ აღარაფერი არ უკვირდა. რატომღაც ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ პირისპირ უნდა შეხვედროდა ადამიანს, რომელმაც დიასპარს სათავე ჩაუყარა.

„ალბათ, მიცანი," – მიმართა იარლან ზეიმ.

„რა თქმა უნდა; ათასჯერ მაინც მინახავს თქვენი გამოსახულება. თქვენ იარლან ზეი ბრძანდებით, ეს კი ქალაქი დიასპარი გახლავთ მილიარდი წლის წინათ. ვიცი, რომ სიზმარს ვხედავ, და სინამდვილეში არც ერთი ჩვენგანი აქ არ იმყოფება."

„თუ მასეა, რაც არ უნდა მოხდეს, არ შეშფოთდე. ასე რომ, მომყევი და გახსოდეს, რომ არავითარი საფრთხე არ გემუქრება, რადგან საკმარისია, ისურვო, რომ ნებისმიერ დროს გამოიღვიძო შენი ეპოქის დიასპარში."

ჯეზერაკი მორჩილად შეჰყვა იარლან ზეის შენობაში, მისი ცნობიერება ღრუბლის მსგავსად იწოვდა, რაც გარშემო ხდებოდა, უბრალო რეცეპტორის როლს ასრულებდა და არაფერს არ აყენებდა ეჭვ ქვეშ. რომელიღაცა მოგონება ან მოგონების შორეული ხმა ჩურჩულით აფრთხილებდა იმის შესახებ, რაც შემდეგ უნდა მომხდარიყო და ჯეზერაკმა იცოდა, რომ ერთ დროს ამის დანახვაზე ელდა ეცემოდა. ახლა კი არაფრის აღარ ეშინოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავგადასავლის არარეალურობის შეგნება დაცულობის გრძნობას მატებდა, არამედ იმიტომაც, რომ იარლან ზეის ყოფნა ტალისმანად ეჩვენებოდა, რომელიც ნებისმიერი საფთხისგან დაიცავდა.

შენობის სიღრმისკენ მიმავალ მოძრავ ტროტუარებზე რამდენიმე ადამიანი დაცურავდა, და როცა ჯეზერაკი და იარლან ზეი გრძელ, კოშკივით აღმართულ ცილინდრთან აღმოჩნდნენ სიჩუმეში, მათ გარდა კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ჯეზერაკმა იცოდა, რომ ცილინდრი ქალაქიდან გაიყვანდა და ისეთ მოგზაურობაში გააქროლებდა, რომელიც მომავალში სისხლს გაუყინავდა და გონებას შეურყევდა. როცა იარლან ზეიმ ღია არისკენ მიუთითა, ჯეზერაკი ხოლოდ ერთი წამით შეყოვნდა ზღურბლზე და შემდეგ თამამად გადააბიჯა.

„აი, ხომ ხედავ? – გაუღიმა იარლან ზეიმ. – ახლა დამშვიდდი, და არ დაგავიწყდეს, რომ არავითარი საფრთხე არ გემუქრება, არავინ არაფერს არ დაგიშავებს."

და ჯეზერაკსაც სჯეროდა მისი. მხოლოდ მაშინ იგრძნო მცირედი შიშის ჟრჟოლა, როდესაც გვირაბი მათ შესახვედრად ნელი სვლით გამოემართა და მანქანა, რომელშიც აღმოჩნდნენ, დაიძრა და დედამიწის შუაგულისკენ გაიჭრა, თან გზა და გზა სიჩქარეს კრეფდა. ამ იდუმალ, წარსულის თითქმის მითიურ პიროვნებასთან დალაპარაკების მწველმა სურვილმა მთლინად განდევნა ჯეზერაკის გონებიდან თუკი რაიმე შიშის გრძნობა აწუხებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„უცნაურად არ გეჩვენება, - დაიწყო იარლან ზეიმ, - რომ მიუხედავად იმისა, რომ ზეცა ხსნილია ჩვენთვის, მაინც მიწისქვეშა გასასვლელებს ვირჩევთ და ვცდილობთ რაც შეიძლება ღრმად დავიმარხოთ? სწორედ აქედან იწყება ავადმყოფობა, რომლის ფიანლური სტადიის მომსწრეც შენ ხარ თანამედროვე ეპქაში. კაცობრიობა დამალვას ცდილობს; ეშინია იმის, რაც კოსმოსში ელოდება, და მალე ცხრა კლიტულით ჩარაზავს სამყაროსთან დამაკავშირებელ ყველა კარიბჭეს.“

„კი მაგრამ, ახლახანს არ ვნახეთ დიასპარის თავზე კოსმოსური ხომალდები?“ – შეეწინააღმდეგა ჯეზერაკი.

„დიდხანს არ გაგრძელდება, ცოტა ხანში ვეღარ იხილავ. ვარკსკვლავებთან კონტაქტი დავკარგეთ, და სულ მალე მზის სისტემის პლანეტებიც დაცარიელდება. კოსმოსურ სივრცეში გასაჭრელად მილიონობით წელი დაგვჭირდა, უკან დასახევად და დედამიწაზე დასაბრუნებლად კი რამდენიმე ასწლეულიც საკმარისი აღმოჩნდა. და დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ დედამიწის უმეტეს ნაწილსაც დავტოვებთ.“

„რატომ მოიქეცით ასე?“ – ჰკითხა ჯეზერაკმა. თუმცა პასუხი მშვენივრად იცოდა, თაი ვერ შეიკავა, რომ არ ეკითხა.

„თავშესაფარი გვჭირდებოდა, რომელიც სიკვდილისა და სივრცის შიშისგან დაგვიცავდა. ავადმყოფი რასა ვიყავით და აღა გვინდოდა, რაიმე როლი შეგვესრულებინა სამყაროს განვითარებაში. ამიტომაც თავი მოვიკატუნეთ, ვითომ საერთოდ არც არსებობდა. ჩვენ გვენახა, როგორ დათარეშობდა ქაოსი ვარსვლავებს შორის და სიმშვიდე და სტაბილურობა გვწყუროდა. აქედან გამომდინარე, დიასპარის კარი უნდა დახურულიყო, ისე რომ ვერაფერ ახალს ვერ შეეღწია შიგნით.

„ჩვენ ქალაქი შევქმენით, როგორც მოგეხსენება, რომელისაც ყალბი ისტორია მოვუგონეთ, რათა ჩვენი სიმხდალე დაგვემალა. პირველებს არ მიგვიმართავს ამ მეთოდისთვის, მაგრამ ასე გულდასმით ეს პროცესი არავის არ განუხორციელებია. ადამიანის მთლიანი სული გარდავქმენით, ამბიციისგან და მძვინვარე ვნებებისგან გავათავისუფლეთ, რათა არსებულით კმაყოფილი ყოფილიყო და ახალი არაფერი მოენდომებინა.

„ქალაქის მთელი მისი მექანიზმებით აგებას ათასი წელი დასჭირდა. როდესაც თითოეული ჩვენგანი საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, მისი გონებიდან მოგონებებს შლიდნენ და საგულდაგულოდ შემუშავებული ყალდი და ფალსიფიცირებული მეხსიერებით ცვლიდნენ, შემდეგ პიროვნების საინდენტიფიკაციო მონაცემებს ქალაქის ელექტრონულ სქემებში ინახავდნენ, სანამ მისთვის მორიგი სიცოცხლის შთაბერვის დრო დადგებოდა.

„და დადგა დღე, როცა დიასპარში არც ერთი ცოცხალი ადამიანი აღარ დარჩა; იყო მხოლოდ ცენტალური კომპიუტერი, რომელიც ჩვენს მიერ ჩაშენებულ ბრძანებებს ასრულებდა და მეხიერების რეზერვუარებს იცავდა, სადაც დროებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განვისვენებდით. არ დარჩა არვ ერთი ადამიანი, რომელსაც თუნდაც მცირედი კავშირი ექნებოდა წარსულთან და სწორედ ამ წერტილიდან იწყებს ათვლას ახალი ისტორია.

„შემდეგ, წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით, კომპიუტერის ელექტრონული მეხსიერების ლაბირინთებიდან გამოგვიხმეს, ხორცი შეგვაბეს და სიცოცხლე დაგვიბრუნეს. ახლად შექმნილი მანქნის მსგავსად, რომელიც პირველად აამუშავეს, დიასპარი იმ მოალეობების შესრულებას შეუდგა, რომლისთვისაც შეიქმნა.

„მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ჩვენგანს თავიდანვე გვღრღნიდა ეჭვები. მარადიულობა ხანგრძლივი ვადაა; მშვენივრად ვაცნობიერებდით რისკს, როცა ვცდილობდით გარე სამყაროსგან სრული იზოლაციისთვის მიგვეღწია, ისე რომ ერთი გასასვლელიც არ დაგვეტოვებინა. მეორეს მხროვ, ვერაფრით გავუცრუვებდით იმედებს მთელ ჩვენ საზოგადოებას, ასე რომ გადავწყვიტეთ, ფარულად გვემუშავა და საჭიროებისამებრ შეგვეტანა ცვლილებები.

„უნიკუმები ჩვენს ერთ-ერთ გამოგონებას წარმოადგენდნენ. დროის საგრძნობი ინტერვალების შემდეგ ამოჩნდებონენ და, რამდენადაც გარემოებები ამის შესაძლებლობას მისცემდნენ, აღმოეჩინათ, დიასპარის მიღმა თუ არსებობდა რაიმე, რომელთან დაკავშირებაც ღირდა მცდელობად. ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ ამხელა დრო გავიდოდა, სანამ ერთ-ერთი მათგანი წარმატებას მიაღწევდა და ვერასდროს ვიფიქრებდით, რომ წარმატება ასეთი გრანდიოზული აღმოჩნდებოდა.“

შეზღუდული კრიტიკული აზროვნების მიუხედავად, რაც ასე დამახასიათებელია სიზმრისთვის, ჯეზერამა წამიერად გაიფიქრა, როგორ შეეძლო იარლან ზეის მისი ეპოქიდან მილიარდი წლის შემდეგ მომხდარ ამბებზე ასე დამაჯერებლად ესაუბრა. ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა... ალბათ ორიენტაციის უნარი დაკარგა, ვერაფრით გაეოგ, დროისა და სივრცის რომელ მონაკვეში იმყოფებოდა.

მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა; გვირაბის კედლები აღარ ელავდნენ ფანჯრებს მიღმა ისეთი თავბრუდამხვევი სიჩქარით. იარლან ზეის ხმას მრძანებლობისა და მომთხოვნელობის ტონი შეერია, რომელიც აქამდე არ შეუმჩნევია.

„წარსული დასრულდა. ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და ამით ყველაფერი დამთავრდა. როცა გქმნიდნენ, ჯეზერაკ, გარე სამყაროსადმი შიში და ქალაქის შიგნით დარჩენის აუცილებლობის შეგრძნება შთაგინერგეს, რომელსაც შენთან ერთად ყველა დიასპარელი იზიარებს. ახლა უკვე იცი, რომ გარე სამყაროს შიში უსაფუძვლო და უნიადაგო იყო, და რომ ხელოვნურად მოგახვიეს თავს. მე, იარლან ზეი, რომელმაც ეს გრძნობა შთაგინერგე, ამიერიდან გათავისუფლებ მისი მარწუხებისგან. გესმის, რას გეუბნები?“

ბოლო სიტყვების გამოთქმისას იარლან ზეის ხმა სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა, სანამ მთელი სივრცე არ შეაზანზარა. მიწისქვეშა ვაგონი, რომლითაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მგზავრობდნენ, მოულოდნელად შეირყა და და გაიფანტა, თითქოს სიზმარი, რომელსაც ჯეზერაკი ხედავდა, დასასრულს უახლოდებოდა. გამოსახულება ფერს კარგავდა, მაგრამ ყურებში მაინც მკაფიოდ ჩაესმოდა იარლან ზეის მბრძანებლური ხმის გრუხუნი:

„აღარ გეშინია, ჯეზერაკ. უკვე აღარაფრის გეშინია.“

ჯეზერაკი სასოწარკვეთილი ცდილობდა, გამოფხიზლებულიყო, როგორც მყვინთავი ცდილობს ხოლმე ოკეანის სიღრმიდან წყლის ზედაპირზე ამოჭრას. იარლან ზეი გამქრალიყო, ჯეზერაკი კი რაღაც უცნაურ შუალედურ სამყაროში იმყოფებოდა; ხმები, რომელიც ეცნობოდა, მაგრამ კონკრეტულ ადამიანებთან მაინც ვერ დაეკავშირებინა, გამამხნევებლად ელაპარაკებოდნენ, და გრძნობდა, რომ ვიღაცის მზრუნველი ხელები იჭერდნენ. და შემდეგ რეალობის შეგრძნება მოულოდნელი განთიადივით ჩამოიღვარა.

ჯეზერაკმა თვალები გაახილა და ელვინი, ჰილვარი და ჯერეინი შენიშნა, რომლებიც მღელვარე მზერით ათვალიერებდნენ. მაგრამ მათთვის ყურადღება არ მიუქცევია; ჯეზერაკის გონება მთლიანად მოეჯადოებინა მის თვალწინ გადაშლილ საოცარ სურათს – ტყეებისა და მდინარეების პანორამასა და ღია ცის ცისფერ გუმბათს.

ლისში იმყოფებოდა; და არაფრის შიში არ ჰქონდა.

ჯეზერაკის მყუდროება არავის დაურღვევია, სანამ ეს ჯადოსნური მომენტი სამუდამოდ აღიბეჭდებოდა მის გონებაში. და ბოლოს, საოცარი სანახაობით როცა გული იჯერა და მის რეალობაში დარწმუნდა, მხოლოდ მაშინ მიუბრუნდა თანამგზავრებს.

„გმადლობ, ჯერეინ, - წარმოთქვა მან. – ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ წარმატებას მიაღწევდი.“

საკუთარი თავით ფრიად კმაყოფილი ფსიქოლოგი ფრთხილად არეგულირებდა რაღაც უწვრილეს დეტალებს პატარა აპარატზე, რომელიც მის გვერდით ჰაერში ეკიდა.

„ერთი ორჯერ სერიოზულად შეგვაშფოთე, - აღიარა ჯერეინმა. – მოგზაურობისას ხანდახან ისეთ კითხვებს სვამდი, რომელზედაც ლოგიკური პასუხი არ მოიძებნება, და ვიფქრე, რომ ექსპერიმენტის თანმიმდევრობის შეწყვეტა მომიხდებოდა.“

„იარლან ზეის რომ ვერ მოეხერხებინა ჩემი დარწმუნება – მაშინ რას იზამდით?“ – ჰკითხა ჯეზერაკმა.

„იძულებული გავხდებოდით, უგონო მდგომარეობაში დაგვეტოვე და ისე გადაგვეყვანე დიასპარში, სადაც ბუნებივად გაიღვიძებდი და არ გეცოდინებოდა, რომ ლისში იყავი.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„და იარლან ზეის გამოსახულება, რომელიც ჩემს გონებაში შექმენით – რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს მისი სიტყვები?“

„უმეტეს წილად, არბათ, სიმართლეს ამბობდა. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ საგის წარმოსახვითი მხარის დამაჯერებლობა უნდა მადარდებდა, ვიდრე ისტორიული სიზუსტე, მაგრამ კოლიტრექსმა გაეცნო ისტორიის ამ ვერსიას და ვერავითარი შეცდომები ვერ აღმოაჩინა. იარლან ზეის ნაამბობი, უდავოდ, ემთხვევა იმას, რაც ჩვენ ვიცით იარლან ზეისა და დიასპარის დაარსების შესახებ.“

„აი ახლა კი ნამდვილად შევძლებთ ქალაქის გახსნას, - თქვა ელვინმა. – ამას, შეიძლება, დიდი დრო დასჭირდეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შიშს გავანეიტრალებთ და ნებისმიერი მსურველი შეძლებს დიასპარის დატოვებას.“

„ამას ნამდვილად დიდი დრო დასჭირდება, - მშრალად მიუგო ჯერეინმა. – და ის ფაქტიც არ დაგავიწყდეს, რომ ლისი იმდენად დიდი არაა, რომ დამატებით რამდენიმე მილიონი ადამიანი დაიტიოს, იმ შემთხვევაში, თუ ყველა დიასპარელი მოინდომებს აქ გადმობარგებას. არა მგონია, რომ ასე მოხდეს, მაგრამ მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.“

„ეს პრობლემა თავისთავად მოგვაგვერდება, - შეეპასუხა ელვინი. – მართალია, ლისი პატარაა, მაგრამ სამაგიეროდ სამყაროა დიდი. რატომ უნდა დავტოვოთ სამყარო უდაბნოს განკარგულებაში?“

„ელვინ, შენ კიდევ არ ეშვები ოცნებებს? – ღიმილით უპასუხა ჯეზერაკმა. – ახლა ვფიქრობდი, ნეტა თუ დარჩა რამე გასაკთებელი.“

ელვინს პასუხი არ აუცია; ჯეზერაკმა დასვა კითხვა, რომელიც ამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში სულ უფრო და უფრო დაჟინებით გაისმოდა მის გონებაში. ელვინი თანამგზავრებს ჩამორჩა, მთიდან რომ ჩამოდიოდნენ ერლის მიმართულებით და ფიქრებში ჩაფლული მომავლის სურათს ხატავდა. ნუთუ საუკუნეები, რომელიც გასავლელი ჰქონდათ, ახალ შთაბეჭდილებებს მოკლებული და უინტერესო იქნება.

პასუხი მის საკუთარ ხელებზე იყო დამოკიდებული. რადგან განგების მიერ განსაზღვრული ბედისგაან იხსნა თავი, იქნებ ახლა მაინც დაეწყო სრულფასოვანი ცხოვრება.

თავი XXVI

მიზნის მიღწევას ერთვარი სევდა ახლავს თან, იმის გაცნობიერებას, რომ დიდი ხნის ნანატრი, სანუკვარი ოცნება ახდა როგორც იქნა და რომ საჭიროა ცხოვრების ახალ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყაიდაზე გადაწყობა, მისთვის ახალი კონტურების მოხაზვა. ელვინს მთელი ძალით შემოაწვა ეს გრძნობა, როდესაც ლისის ტყეებსა და მინდვრებში მარტო დაბოდიალობდა, თან ჰილვარიც არ ახლდა, რადგან ადამიანის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი მომენტები, როდესაც ის საუკეთესო მეგობრებისგანაც უნდა განმარტოვდეს.

უმიზნოდ არ დაეხეტებოდა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ არასოდეს არ იცოდა, რომელ სოფელს მიადგებოდა შემდეგ. სინამდვილეში, კონკრეტულ ადგილს კი არ ეძებდა, უფრო ახალ განწყობას, ახალ შთაბეჭდილებას, უფრო ზუსტად, ცხოვრების ახალ წესს ესწრაფვოდა. დიასპარს ელვინის დახმარება აღარ სჭირდებოდა. ცეცხლი, რომელიც ქალაქში დაანთო, მთელი ძალით გიზგიზებდა, და რაც არ უნდა გაეკეთებინა, ვერ დააჩქარებდა და ვერც შეაჩერებდა ცვლილებებს, რომლებიც ქალაქში ხდებოდა.

ცვლილებებს ლისის მშვიდობიანი მხარეც ვერ ასცდებოდა. ელვინს ხშირად ებადებოდა კითხვა, შეცდომა ხომ არ დაუშვა, როდესაც საკუთარი ცნობისმოყვარეობის უმოწყალო მისწრაფების წყალობით ამ ორი კულტურის დამკავშირებელი უძველესი გზა გახსნა გამოიწვია. რა თქმა უნდა, ლისისთვისას აჯობებდა, სიმართლეს თუ გაიგებდა, რადგან, დიასპარის მსგავსად, ისიც ნაწილობრივ შიშსა და სიყალბეს ემყარებოდა.

ზოგჯერ ფიქრობდა, რა ფორმას მიღებდა ახალი საზოგადოება. სჯეროდა, რომ დიასპარი აუცილებლად უნდა გათავისუფლებულიყო მეხსიერების რეზერვუარების ტყვეობისგან, და სიცოცხლისა და სიკვდილის ციკლი აღედგინა. ჰილვარი ამ ჩანაფიქრის განხორციელებადობაში დარწმუნებული იყო, თუმცა მეტისმეტად ტექნიკურ და რთულ მეთოდებსა და გზებს სთავაზობდა ელვინს. ალბათ, ისევ დადგებოდა დიასპარში დრო, როდესაც სიყვარული დიასპარში აღარ იქნება ასეთი უნაყოფო.

ნუთუ, - ფიქრობდა ელვინი – სწორედ სიყვარული აკლდა დიასპარში – ნუთუ სინამდვილეში მხოლოდ ამას ეძებდა და ესწრაფვოდა? ახლა უკვე მშვენივრად ხვდებოდა, რომ როცა ადამიანი ნებას, პატივმოყვარეობასა და ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებს, მაინც რჩება გულში სევდა. ვერავინ იტყვის, რომ სრულფასოვანი ცხოვრებით უცხოვრია, თუ სიყვარულისა და ვნების მსვენიერ სინთეზს საკუთარი თავზე არ გამოცდის, რომლის არსებობის შესახებ ელვინს წარმოდგენაც არ ჰქონდა, სანამ ლისს არ ეწვია.

შვიდი მზის სისტემის პლანეტები შემოიარა – პირველი ადამიანი, რომელმაც ეს მოახერხა. თუმცა ახლა ეს მიღწევა არაფრად მიაჩნდა; ზოგჯერ ფიქრობდა, რომ მთელ თავის აღმოჩენებს დათმობდა, ოღონდ ახალდაბადებული ჩვილის ტირილის ხმა გაეგო და სცოდნოდა, რომ მისი საკუთარი პირმშო გახლდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს იპოვის ლისში იმას, რასაც ესწრაფვოდა; ლისელებს ისეთი სითბო და გულისხმიერება ახასიათებდათ, რაც დიასპარელებს აშკარად აკლდათ. მაგრამ სანამ დაისვენებდა, მშვიდ ცხოვრებას დაიწყებდა, კიდევ ერთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

მის განკარგულებაში უდიდესი ძალაუფლება გადავიდა თავის დროზე; ამ ძალას დღემდე ფლობდა. ეს ის პასუხისმგებლობა გახლდათ, რომელისაც ერთ დროს თავგამოდებით ეძებდა და სიხარულით იტვირთა, როდესაც გამოჩნდა. მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ ზედმეტ ტვირთად იქცა და რომ სიმშვიდე არ ეღირსებოდა, სანამ პასუხისმგელობა ისევ კისერზე დააწვებოდა. თუმცა მისი ასე ხელაღებით მოშორება იმადამიანების ღალატის ტოლფასი იქნებოდა, ვისაც მისი სჯერობა და სწამდათ...

პატარა არხებზე, განიერი ტბის ნაპირას გაშენებულ სოფელში ელვინმა როგორც იქნა გადაწყვეტილება მიიღო. გარინდებული ფერად-ფერადი სახლები, რომლებიც ღუზა ჩაშვებული გემებივით ტორტმანებდნენ ოდნავ შესამჩნევ ტალღებზე, ენითაუწერელი სილამაზის სურათს ქმნიდნენ. აქ ყველაგან სიცოცხლე ჩქეფდა, ირგვლივ ადამიანური სითბოსა და მყუდროების შეგრძნება სუფევდა – ყველაფერი, რაც შვიდი მზის მატოსული დიდებულების წიაღში ასე აკლდა.

ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი ისევ ეწვევა ვარსკვლავებს. ელვინმა არ იცოდა, რა ახალ თავს დაწერს მოელვარე მნათობებზე მოგზაურობისას. თუმცა ეს უკვე მის საზრუნავს აღარ წარმოადგენდა, რადგან ელვინის მომავალი აქ, დედამიწაზე იყო.

როდესაც ელვინმა ზევით მიმავალი ხომალდის ვერტიკალური სიჩქარე შეამოწმა, ქალაქი იმდენად შორს მოჩანდა დედამიწაზე, რომ ადამიანის ხელი აღარ ეტყობოდა. მალე პლანეტის გრეხილიც გამოჩნდა. მცირე ხნის შემდეგ შორს, ჰორიზონტზე ბინდის ხაზი გაევლო და მათგან ათასობით მილის მოშორებით უდაბნოს კალთაზე შეუდგა გამალებულ რბოლას. მათ ზემოთ და ირგვლივ სივრცე ვარსკვლავებით მოჭედილიყო, რომლებიც დაკარგული ელვარების მიუხედავად მაინც თვალისმომჭრელად კაშკაშებდნენ.

ჰილვარი და ჯეზერაკი ხმას არ იღებდნენ, და ცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ, რატომ გადაწყვიტა ელვინმა ამ გზის გამოვლა, და რატომ აირჩია ისინი საკუთარ თანამგზავრებად. არც ერთს არ უნდოდა ლაპარაკი, რადგან მათ ქვემოთ ჩამკვდარი და სიცოცხლის ყოველგვარ ნიშანწყალს მოკლებული პანორამა გადაიშალა. მის სიცარიელეს ორივე დაეთრგუნა, და ჯეზერაკმა მოულოდნელი ზიზღნარევი სიბრაზე იგრძნო წარსულის მკვიდრებზე, რომელთაც ეს სილამაზე უგულებელყვეს და ჩაქრობის საშუალება მისცეს.

იმედოვნებდა, რომ ელვინის დაკარგულის სამოთხის აღდგენის ოცნება ფუჭი არ აღმოჩნდებოდა და ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა შეიცვლებოდა. ადამიანის განკარგულებაში ცოდნა და ძალაუფლება რჩებოდა – მხოლოდ ძლიერი ნება იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საჭირო, რომელიც საუკუნეებს დააბრუნებდა და დამშრალ კალაპოტებში ოკეანის ტალღებს ააგორებდა. ღრმად, დედამიწის ფარულ მისადგომებში ისევ მოიპოვებოდა წყლების უშრეტი მარაგები; ან, თუ საჭირო გახდებოდა, ქარხნების აღმართვაც შეიძლებოდა, რომლებიც დედამიწისთვის წყლებს გამოიმუშავებდა.

სამომავლოდ კიდევ ბევრი რამ რჩებოდა გასაკეთებელი. ჯეზერაკი გრძნობდა, რომ ორი ეპოქის გზაგასაყარზე იდგა; ირგვლივ ადამიანის აჩქარებული გულისცემა ისმოდა. წინ უდიდესი სირთმულეების გადალახვა მოუხდებოდათ, მაგრამ დიასპარი ამ პრობლემებს თავს გაართმევდა. წარსულის აღდგენას არა ერთი საუკუნე დასჭირდებოდა, მაგრამ როდესაც ეს მტკივნეული პროცესი დასრულდებოდა, ადამიანი დაკარგულს დაიბრუნებდა.

მაგრამ შეძლებდა კი, უკლებლივ დაებრუნებინა ყველაფერი? – ფიქრობდა ჯეზერაკი. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ოდესმე გალაქტიკის ხელახალ დაპყრობას შეძლებდნენ. თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მიზნისთვის უნდა ებრძოლათ გალაქტიკის დასაბრუნებლად.

ფიქრები ელვინმა დაურღვია, ჯეზერაკმა ეკრანს მოაშორა თვალი და ელინს მიუბრუნდა.

„მინდოდა, რომ საკუთარი თვალით გენახა ეს ყველაფერი, - მშვიდად მიმართა ელვინმა. – შეიძლება მეორედ ასეთი შესაძლებლობა აღარც მოგეცეს.“

„დედამიწას ტოვებ?“

„არა; კოსმოსში აღაფერი მესაქმება. გალაქტიკაში რომელიმე ცივილიზაცია რომც შემორჩენილიყო, ეჭვი მეპარება, რომ მათი ძებნა ღირდეს. აქ იმდენი რამე რჩება გასაკეთებელი; ახლა ვხვდები, რომ დედამიწის იქით გზა არ მაქვს, ეს არის ჩემი სახლი,და აღარ ვაპირებ მის დატოვებას.“

ქვემოთ გაშლილ ვეებერთელა უდაბნოს დახედა, მაგრამ ელვინის მზერამ გავარვარებული ქვიშის ნაცვლად წყალი შენიშნა, რომელიც ათასი წლის შემდეგ ააგორებდა ამ სივცეზე ტალღებს. ადამიანმა დაკარგული სამყარო დაიბრუნდა და სანამ მისი სტუმარია, ყველა ღონეს მიმართავს, რომ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადოს –

„ვარსკვლავებზე გასამგზავრებლად ჯერ მზად არ ვართ, და საკმაოდ დიდი დრო გავა, სანამ ამ გამოწვევას ისევ გავუსწორებთ თვალს. სულ ვფიქრობ, ამ ხომალდს რა ვუყო; თუ დედამიწაზე დავტოვებ, მუდმივად მომიწევს მისი გამოყენების ცდუნებასთან ბრძოლა, და სიმშვიდეს დავკარგავ. მაგრამ ვერც მოვიშორებ და ვერც სხვას მივცემ მისი ბოროტად გამოყენების საშუალებას; ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ვიღაცამ მასზე მეურვეობა გადმომილოცა, და მხოლოდ მე შემიძლია მისი ქვეყნიერების სასარგებლოდ გამოყენება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„აი, რა გადავწყვიტე. ხომალდს რობოტს ჩავაბარებ და გალაქტიკაში გავუშვებ, იმის აღმოსაჩენად, თუ რა ბედი ეწია ჩვენს წინაპრებს – და, თუ შესაძლებელია, იმის გასაგებად, რატომ დატოვეს დედამიწა, რის პოვნას ლამობდნენ. ალბათ, წარმოუდგენლად მიმზიდველად ეჩვენებოდათ, რადგან ამდენი რამ დათმეს და მის საძებნელად გაემართნენ.

„რობოტი არასსროს არ დაიღლება, რაც არ უნდა შორი გზა გაიაროს. ერთ მშვენიერ დღეს მოკეთეები ჩვენ გზავნილს მიიღებენ და ეცოდინებათ, რომ აქ, დედამიწაზე ველით. ისინიც აუცილებლად დაბრუნდებიან, და იმედი მაქვს, იმ დროისათვის მათი ღირსნი გავხდებით, რაც არ უნდა გამობრძნედილი და გონებრივად სრულყოფილები იყვნენ.“

ელვინი დადუმდა, დაჟინებული მზერა მიაპყრო მომავლის იმ სურათს, გონებაში რომ დახატა და რომელსაც ალბათ ვერასდროს იხილავდა. სანამ ადამიანი სამყაროს გარდაქმნითაა დაკავებული, ხომალდი გალაქტიკებს შორის გაწიმულ ბნელ სივრცეს გადაკვეთს, და მრავალი ათასი წლის შემდეგ დაბრუნდება. შეიძლება ელვინი მოესწორს ამ დღეს, მაგრამ თუ არ მოესწრება, მაინც კმაყოფილი დარჩება თავისი გადაწყვეტილებით.

„ჩემი აზრით, ჭკვიანურად იქცევი, - დაეთანხმა ჯეზერაკი, და ბოლოჯერ შემოაწვა უძველესი, პირველყოფილი შიშის ექო, და სიმშვიდე დაურღვია. – მაგრამ წარმოიდგინე, - დაამატა მან, - რომ ხომალდი ისეთ რამესთან შევა კონტაქტში, რომლის შეხვედრაც ჩვენ არ გვენდომება...“

მაგრამ როგორც კი გაიაზრა, საიდანაც იღებდა სათავეს განგაშის გრძნობა, ხმა ჩაუვარდა და ცალყბა, საკუთარი სიმხდალისადმი საყვედრით სავსე ღიმილით გადევნა დამპტრობლების უკანასკნელი აჩრდილი.

„ალბათ დაგავიწყდა, - მიმართა ელვინმა, რომელმაც ჯეზერაკის სიტყვებს მოსალოდნელზე მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, - რომ ვანამონდი მალე ჩვენი დამხმარე გახდება. ბოლომდე ვერ შევიცანით, რა შესაძლებლობებს ფლობს, მაგრამ ლისში ფიქრობენ, რომ ვანამონდის განკარგულებაში უსაზღვრო პოტენციური ძალებია. ასე არ არის, ჰილვარ?“

ჰილვარმა მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა. ვანამონდი კიდევ ერთ გამოცანას, კიდევ ერთ უშველებელ კითხვის ნიშანს წარმოადგენდა, რომელიც, სანამ ეს არსება დედამიწაზე დარჩება, მოსვენებას არ მისცემს კაცობრიობის მომავალს და მის მუდმივ თავსატეხად დარჩება. უკვე გაირკვა, რომ ვანამონდის თვითშეგნებისკენ განვითარებისკენ მიმართული ევოლუცია საგრძნობლად დააჩქარა ლისის ფილოსოფოსებთან კონტაქტმა. ლისელი მეცნიერები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ იმფანტალურ ზეგონებასთან მომავალ თანამშრომლობასთან, და სჯეროდათ, რომ

fb.com/groups/elib

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ბუნებრივი განვითარებისთვის საჭირო მთელი ეპოქების შემოკლებას შეძლებდნენ.

„დარწმუნებული არ ვარ, - აღიარა ჰილვარმა. – რატომღაც ვფიქრობ, რომ ვანამონდზე დიდი იმედების დამყარება არ ღირს. მართალია ახლა მისი დახმარება შეგვიძლია, მაგრამ ჩვენთან ურთიერთობა მხოლოდ მცირე ეპიზოდად დარჩება მის უსაზღვროდ ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე. არა მგონია, რომ მის საბოლოო დანიშნულებას ჩვენთან რაიმე კავშირი ჰქონდეს.“

ელვინმა გაოცებით შეხედა მეგობარს.

„რატომ ფიქრობ მასე?“

„ვერ აგიხსნი, რატომ, - მიუგო ჰილვარმა. – უბრალოდ ინტუიცია მკარნახობს.“

კიდევ შეეძლო ერთი ორი სიტყვის დამატემა, მაგრამ თავი შეიკავა. მსგავსი რამის გადმოცემა ადვილი საქმე არ გახლდათ, და თუმცა ჰილვარმა იცოდა, რომ ელვინი მის ოცნებას მასხარად არ აიგდებდა, ამ პრობლემის საუკეთესო მეგობართან განხილვასაც ერიდებოდა.

ჰილვარი დარწმუნებული იყო, რომ ეს მარტოოდენ ოცნებას არ წარმოადგენდა და რომ მთელი ცხოვრება მოსვენებას არ მისცემდა და რომელიც ვანამონდთან კონტაქტისას დაეუფლა მის ცნობიერებას. ჰილვარს ვერავისთვის გაენდო ეს ენითაუწერელი, გამაოგნებელი ურთიერთობა. ნეტა ვანამონდმა თუ იცოდა, რა მარტოსული ბედი ეწერა?

ერთ დღეს შავი მზის ენერგია დაიშრიტება და მისი ტყვეც ბორკილებს აიყრის და თავისუფლებაზე გაიჭრება. და შემდეგ, სამყაროს დასალიერს, როცა დრო ბორძიკს დაიწყებს და გაჩერებას დააპირებს, ვანამონდი და შეშლილი გონი ისევ შეხვდებიან ერთმანეთს ჩამქრალი ვარსკვლავების ფონზე.

ამ შეტაკებამ შეიძლება სამყაროს მთელ შემოქმედებაზე დაუშვას ფარდა. თუმცა ამ კონფლიქტს არავითარი საერთო არ ექნება ადამიანთან, რომელიც ვერასდროს შეიტყობს მისი შედეგების შესახებ...

„შეხედეთ! – შეჰყვირა მოულოდნელად ელვინმა. – აი, რა მინდოდა, თქვენთვის მეჩვენებინა. გესმით, ეს რას ნიშნავს?“

ხომალდი იმ წუთას პოლუსის თავზე იმყოფებოდა, და მათ ქვემოთ მდებარე პლანეტა იდეალურ ნახევარსფეროს წარმოადგენდა. ჯეზერაკი და ჰილვარი ბინდის სარტყელს დაჰყურებდნენ და სამყაროს მოპირდაპირე მხარეებზე ერთდულად ხედავდნენ განთიადსა და მზის ჩასვლას. სანახაობა იმდენად სრულყოფილ და გამაოგნებელ სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა, რომ ეს წამი წარუშლელად აღიბეჭდა მათ მეხსიერებაში მთელი ცხოვრების განმავლობაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ სამყაროში ღამე წვებოდა; ჩრდილები აღმოსავლეთისკენ იწელებოდნენ, რომელიც მეორე მზის ამოსვლას ველარ მოესწრებოდა. მაგრამ ირგვლივ ისეთ ენთო ნორჩი ვარსკლვლავები და დილის სინათლე თრთოლვას იწყებდა; ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი ისევ დაადგამს ფეხს მიერ მიერ არჩეულ და გავლილ ბილიკს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE